

114
1943



მნათობი

9-10


თბილისი
1943



მნათობი

სრულიად-საქართველოს სამქოთა შწერლუბის
კავშირის ყთველთვიური სალიტერატურთ,
სახელთვნთ და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ქერნალი

წელიწადი მმოცე




9-10

19 საქართველო — საქართველო

ს ა ხ ე ლ ბ ა მ ი

43



სახელი

3961

საკრედიტო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
გამსახურდია კონსტანტინე
ღონაძე სერგო
ქალაძე კარლო
გაგაშვილი ალიო (პ/მ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
შენგელაია დიმიტრი

ბელმოწერილია დასაბეჭდად 3/1-44 წ. ნაბეჭდ ფორმ. რაოდენობა 15 ფ. 12 სს.
შპ 01111. შედეგთა № 3354. ტირაჟი 5900.

სახელგამის ბეჭდვითი ცენტრის კომინატი, თბილისი, უორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: უორესის ქ. № 5. სახელგამი, ტელეფ. 3 — 04 — 64.

ალექსანდრი აბაშილი

სიმღერა ბაკიაზე

სამშობლოს გულის ფიცარზე
ოქროს სხივებით სწერია
სახელოვანი ვაჟკაცი
და შრომის ზმირი ბერია.

მყინვარქედს მტერი მოადგა,
ჩვენს მიწას ემუქრებოდა,
მთის კალთებს ცეცხლი ევიდა,
მწვერვალზე თოვლი დნებოდა.

ამ დროს ის დიდი ქართველი
საქართველოსკენ მოჰქროდა,
სტალინის ნება ურყევი
მტრის შესამუსრად მოჰქონდა.

მოვიდა და მტერს შეუქრა
მთის ბილიკა და შარაგზა,
ვაჟკაციონის კარები
რკინის ურდულით ჩარაზა.

მტრის ურდო დამარცხებული
უაუქციული გარბოდა,
უნისლო მთათა კრებული
ვაჟკაცის ქებას ამზობდა.

სამშობლოს მთანი მალაღნი
დღესაც გუგუნით მღერიან:
„სტოცხლობდეს მრავალჯამიერ
ჩვენი დამცველი ბერია!“

თბილისი ლაბით

ეს ცისფერი საღამო, ნაზი და ურბილესი,
აზღაც ისე წყნარია, როგორც იყო ომამდი.
ვარსკვლავიან ღამეში ისე შედის თბილისი,
როგორც ოკეანეში შექჩამქრალი ხომალდი.

მღუმარებენ ვარსკვლავნი და იისფერ თაღიდან
ცვივა თოვლას შტეერივით მოციმციმე წვეთები.
მღუმარებენ ვარსკვლავნი, მაგრამ ბნელ ოთახიდან
ვხედავ, როგორ ავარდნენ ცაში თეთრი სვეტები.

თითქო სწყვეტენ ვარსკვლავებს მოელვარე ხელები,
თითქო ზღაპრულ ფრინველთა ანთებული ფრთვბია.
იჩხევიან სვეტები, ვით გრიგალში ხეები,
ანათებენ, ელავენ და უეცრად ჰქრებიან.

შემდეგ ღამის ჰაერი, ნაზი და ურბილესი
ისევ ისე წყნარია, როგორც იყო ომამდი.
ვარსკვლავიან ღამეში დგას ჩამქრალი თბილისი,
როგორც ზღვაში გასული შექჩამქრალი ხომალდი.

სიმონ ჩიქოვანი

აკმაზის აკრძიღები

1. ძველი მცხეთა

ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე!
მე ვარ მისი გაზაფხულის რომარი.
შენეთვისე, გულით დაეიფურცლე,
შინაალებენ ვარდები და ღროშანი.

პირველ ქართველს აქ დაუკრავს ბარი,
ჯერით შეუკრავს ვენახი და ასული.
აქვე მზრდიდა გამრჯე წინაპარი,
თანგიანი, ხანგიანი წარსული.

მეც ავანთე მომღერალი ცეცხლი,
პაპის პეშვით მოტანილი ღაღარი.
სად გამჭრალა კერა დანაკვერცხლი,
პირველ-ქმნილი ჩემი კვამლი სად არი?

მოიძებნეთ, არ გახრწნილა ნეშტი,
სამარეში გამოცოცხლდა მირონით.
წამომდგარვართ ქვებზე ანაბეჭდი,
არმაზიდან ირემივით ვყვიროდით.

ავნთებულვართ დაბლობში და მთაში,
ვრძელი უამი გაგვიკაფავს მხარულით.
სამარეში სუნთქავს პიტიახში,
მიწით მესმის იარაღის ელარუნი.

ქარიშხალში მეც გადავრჩი ერთი,
როგორც ქვაზე გამოთლილი ყურძენი.
მცხეთა არის ჩემი დედუღეთი,
არ დამქნარა მისი ვაზის ფურცელი.

არ დამშრალა მოჩხუბარი მტკვარი,
საქართველოს მთების ცრემლი მცირედა,
მე ვარ მისი ძველი მეგობარი,
არმაზიდან მომყვირალი ირემი.



2. ფიქრი სერაფიტზე

მცხეთის ღამე გახლართულა სუროში,
 ქვას მოედო ივერიის ქვერტლი.
 სერაფიტი წევს გარანდულ კუბოში,
 მისი თმებით მორთულია ქართლი.
 მაგონდება ნაძვის ხე და მაცყალი,
 ეაზის ტოტზე დაფრქვეული მადლი.
 ფერფლად ქმნილა სერაფიტი მადალი,
 უღედნოდ წევს მისი ტურფა ლანდი.
 ლანდი არის ანარეკლი ტანადი,
 არ დაიფშენას, არ დაჰკარგოთ ნეშტი.
 კუბოთ ენთო სილამაზე მარადი
 და კვამლივით ირხეოდა ეშხი.
 ლანდი არის უკვდავების ნუგეში,
 ქვაში ცოცხლობს უჩინარი ჩრდილი.
 სერაფიტი წევს გარანდულ კუბოში
 და წარსული შეგვიწინაბა თბილი.
 ამაოა!—დაგვჩურჩულებს,—ამაო! —
 თუმც გავაბე ქვერტლიანი ღამე.
 წამოდექი, ქვაზე ქარი ქანაობს,
 მე მამლერე, ან მიმლერე რამე!
 ქართლში ყოფნა აღარ არის ამაო,
 ეაზი შენებრ ეტმასნება ჭიგოს.
 ჯვარი, როგორც გადაშლილი მარაო,
 შენი თმებით გაცისკრული იყოს!
 მართლა გვითხარ სიტურფეზე იგავი,
 არმაზის და ძველი მცხეთის ნერგო.
 სამარეშიც ჩვენ ღამაზი ვიყავით
 და მშვენიებით უკვდავება გვერგო.
 ამოხვედი, მიმიწვიე, მისუფრე,
 ჩვენამდისინ მოაღწიე ლანდით,
 ამოხვედი, როგორც ცისკრის სიტურფე
 და ამოგყვა შენ არმაზის მადლი.
 ვერ დაფთარა გაყინულმა სამარემ.
 შენს კუბოსთან დაჩოქილი გეტრფი.
 როცა მოგვედგე, მშვენიერო, გაბარებ:
 დამაყარე დაეანგული ფერფლი.



3. საბალოგველი სერაფიტისადმი

მშვენიერო რტოვ არმაზის!
 მოველე მცხეთა და ქინძარი.
 შენ ცხადი ხარ, თუ სიზმარი,
 თუ მძინარეს მოვისწარი.
 ვინ გიწოდა სერაფიტი,
 სად ხარ, გვამცნე ზეაშიადი!
 ეამი გასკერ, გადმოფრინდი,
 სუროს კაბით აშრიალდი!
 არმაზი და საფურცლია,
 შენი ეშხით მორწყე თურმე.
 კუბოდ ცეცხლი დაგიცლია,
 გულის ფერფლი დაგვიბრუნე.
 რა ხმა გვექონდა, რა ფხიანი,
 მოგვითხრე და დაგვაჯერე,
 შენი სული ცხრა ფრთიანი,
 კუბოდ როგორ გააჩერე!
 რა გზა შეგვხვდა, რა გრიგალი,
 რას ვგალობდით, რა ვიყავით!
 ტურფავ, შენი ნაფიქრალი
 როგორც ლუკმა, გამიყავი.
 დიდი მცხეთა და არმაზი,
 ქინძარი და საფურცლია,
 შენ დაგეძებ, სილამაზევ,
 გული მღერით დამიცლია.
 კუბოდ როგორ აღბეჭდილხარ,
 სული ჩემი რად დაიმშა!
 ევაზე მწოლი სიმღერა ხარ.
 არ გაცივდე, არ დაიფშენა!
 ჩემი გული არ გათელო
 აღსდეგ, თმეზათ აშრიალდი!
 შენ ხარ, ძველი საქართველო,
 შენ ხარ ჩემი ზეაშიადი!



4. სერაფიმის გამოხმობა

ქარიშხალმა დაგიმსხვრია დარბაზი,
 ფრთამომტყდარი დაგტიროდა არმაზი.
 იმ დროიდან სამარესთან გელოდი,
 დავიღალე, მოიგვალე ველოზი.
 ეხლა შეგხვდი, მოშრიალდი კალოზი,
 კვლავ მიმღერე, რასაც ძველად ჰგალობდი,
 უხსოვარ დროს რომ ვგალობდით მე და შენ,
 ორ მდინარედ შემოსული მცხეთაში.
 სამარეში გარინდულხარ ასული,
 რომ კუბოში ჩაგეფუთნა წარსული.
 შენი ხმები შენახულა ჰაერში,
 გარინდული, შესუდრული კაეშნით!
 მე შევარხევე, — შენი ტკბილი ღულენი,
 განმეორდეს, გაარღვიოს უკუნი,
 დამიჯერე, მეწვის სულის სანათი,
 მოგიტანე ხილით სავსე კალათი.
 ხილს შეახე თლილი ხელი ლაღობით,
 იჭაშნიკე ჩვენი მიწის ნაყოფი.
 წამოდეჭი და წარმართულ კილოზე,
 მამულისთვის, ვენახისთვის ილოცე!
 სილამაზე მოგვიტანე სამართი,
 წელზე გერთყა ვაზის წნული ქამარი.
 ღვიძავს მცხეთას, გაიღვიძა ლაშქარმა,
 სძინავს არმაზს, შენზე გლოვამ დამშხამა.
 ჩუქურთმა ხარ, თუ ლოცვა ხარ საწუთროს,
 ტურფა დაო, შენმა ფერფლმა გვაკურთხოს!
 სამარეა, თუ წარსულის საგულე
 დასტოვე და სილამაზე გვარგუნე!

არჩილ ჩაჩიბაძე

კავშირის სიგლა

მარშანი სდუმს.

დუმილია ირგვლივ.

ფრთხილად მიაბიჯებს იგი წავარანზე.

გზა გოხის ლურჯ ნაოჭებში თანდათან საშიში ხდება. თავისუფლად ვერ შეტრიალდება, ვერ გადაიბრუნ, ვერც აჩქარდება.

იგი დაღლილი, ძალაგამოლუღილი მიჰყვება მხრებ-ჩამოტეხილ კლდეებზე გაკლაკნილ ამ საშიშ გზას.

ხმას არ იღებს.

თითქოს მუხლები მოეკვეთნენ.

თითქოს ჰაერიც არა ჰყოფნის, სული ეხუთება...

ზურგზე ჰკიდია მძიმედ დაჭრილი, ძმასავით ტკბილი, ძმასავით საყვარელი კავშირები.

კავშირების ტკბილები საშინლად აწუხებს, მაგრამ ერთხელაც არ ამოუტყუანს.

სდუმს ისიც.

მარშანს სურს კავშირების გამოელამარავოს, მაგრამ არ ძალუძს.

ცდილობს, მალე მიაღწიოს იმ ადგილს, სადაც შეიძლება კავშირების პირველი დახმარება აღმოუჩინონ. აი ეს არის მისი საზრუნავი. ამიტომ მიჰყვება იგი ასე შეუსვენებლივ ამ საშიშ გზას.

ამ გზის იქით შეუძლიან მას თავისუფლად ამოისუნთქოს, შეისვენოს და შემდეგ უხედაოდ მიაღწიოს თავის ნაწილს.

„მაგრამ დევთგერის კვალი რომ არა სჩანს, ხომ არ გადაიჩეხა ის ბიჭი?“ — ეს ფიქრი გულს უღრღნის.

ისინი მტრის ზურგში ღრმა რეიდიდან უკვე მეორე დღეა, რაც დაბრუნდნენ.

უქანასკნელ გადმოსასვლელთან კავშირები მძიმედ დაიჭრა.

მარშანმა იგი მხრებზე მოიკიდა, ხოლო დევთგერს უბრძანა, სწორედ ამ გზით წასულიყო ნაწილში, გზა გაეკვლია, მიეღო ზომები, რათა მოშველებოდნენ.

მეორე დღეა უკვე, რაც მარშანი ტანჯვითა და წვალებით მიჰყვება ამ გზას, მაგრამ დევთგერის კვალი მაინც არ სჩანს, გზაც უცნაურად გრძელდება.

— მარშან, ჩემო ძმაო... დამტოვე... აი აქ სადმე დამტოვე... ან მესროლე, პირდაპირ მესროლე... მესროლე ისე, რომ ნურც შემომხედავ... შენც გა-

დარჩები ტანჯვას, — პირველად აბუტბუტლა ტყევილისაგან გამწარებულ და თავმოებურებული ჰაშიმბაი.

მარშანი ამ სიტყვებზე ერთი შეტორტმანდა, მაგრამ თავი დაიხრეხრა კვლავ დუმილით გასწია წინ.

ზემოთ მოხლეჩილ კლდეთა ნაოქებია ჩამოშავებული.

დაბლა ღრმა უფსკრულები უცნაურად ხშიანობენ.

ირგვლივ კავკასიონის ქედტეხილები ყინულის ლოშკრებივით ჩამოთეთრებულიან. ხელს ვერავენ ახლებს მათ, ფეხს ვერავენ დააკარებს. უნდონი არიან, მიუჯარებენლი.

— გესმის, ძმაო, კმარა, რაც ჩემთვის იტანჯე. შენ ხომ დუმილი არ იცოდი. ალბათ მე ვარ მიზეზი, დიად, ასეა... მზეც მიდის დასაძინებლად და შენ კი ჯერ არ დაგიძინია. გესმის? გიულარს გეფიცები, შენს სიყვარულს, შენს ძმობას გეფიცები... რომ შემეძლოს, მე თვითონ დაგისხლტებოდი ხელიდან, გაგანათვისუფლებდი, ამოგასუნთქვინებდი... მაგრამ შეშინია, ორწოხებში ორივენი არ გადავიჩხოთ... მეშინია, შენც არ გადაგიტანო, შენც არ გადაგიჩხო, თორემ მე მაინც უნდა მოგვედე, ეს მაჩერებს... ეს მიშლის ხელს, მარშან. სული მეხუთება, სული... დამტოვე, გივედრები, დამტოვე აქ სადმე... მოგვედები და კლდის ნატეხივით დავეგლები სადმე...

მარშანი შეწუხდა.

ძალა მოიკრიბა, თავი მალდა ასწია, ოღნავ გაიმართა, თითქოს ჰაშიმბაის აგრძნობინა, რომ იგი სულაც არ ამძიმებს, კიდევ დიდხანს შეუძლიან თავისუფლად ატაროს. ამის შემდეგ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, სული მოითქვა და გულის დასამშვიდებლად ოღნავ გასაგონი ხმით მიმართა ჰაშიმბაის:

— იყურე, ჰაშიმბაი, იყურე, ძმაო ჩემო!

• •

ჰაშიმბაი ასეულში ყველას უყვარდა.

სიცოცხლით სავსე, გულმხიარული ახალგაზრდა ყველას ხიბლავდა.

მალაღი, მაგრამ თხელი ტანის, გულმართალი და ამხანაგების მოსიყვარულე. ჰაშიმბაის არ შეიძლებოდა სიტყვა ეთქვა და არ შეეცდებინა. ამხანაგებისათვის არავითარ საფრთხეს არ ერიდებოდა.

— უთქვენოდ, ძმებო, ერთი დღეც ნუ ვიცოცხლო! თქვენი წუხილი ჩემი წუხილია, თქვენი სიხარული ჩემი სიხარულია. ვიცოცხლებ? თქვენთან ერთად ვიცოცხლებ. მოგვედები? თქვენთან ერთად მოგვედები, — იტყოდა ჰაშიმბაი.

მშვენიერი ზმა ჰქონდა ჰაშიმბაის.

თავისუფალ ღროს ჰაშიმბაის, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეიძლებოდა თავისი მომჯადოებელი ხმით არ დაეწყო მეტად სასიამოვნო, გულში ჩამწვდენი სიმღერა.

ზან მთელის ხმით მღეროდა, ზან ოღნავ ლილინებდა.

ეს სიმღერა რაღაც ნაღვლიანი, ჩამაფიქრებელი და ზოგჯერ გულის ამაჩუყებელი იყო.

შას ასეულის მომღერალს ეძახდნენ.

— იმღერე, ჰაშიმბაი, იმღერე ერთი შენებურად, იმღერე ჩვენი გამარჯვების!

— ერთი დამწვარი იმღერე, პაშიმზაი! — ეტყოდნენ დასვენების დროს მებრძოლები. და, პაშიმზაი მღეროდა, მღეროდა გულში ჩამწვდნენ, ტკბილ და ოცნების ბურუსში გამხვევ სიმღერებს.

— კარგია, მეტად კარგია! — აღტაცებით ამბობდა მარშანი. — როგორ შეიძლება არ შეგოცვარდეს ასეთი ბიჭი, ყოჩაღ ძმაო, ყოჩაღ!

პაშიმზაის განსაკუთრებით უყვარდა მარშანი.

მარშანიც ძმასავით უყურებდა პაშიმზაის და უყვარდა კიდევაც. უყვარდა იმიტომაც, რომ ასეულის სული და გული იყო. მრავალი სიმღერა უთქვამს ამ ასეულზე და თვით მარშანის გმირობაზე, ვაჟაკობაზე.

ბოლო ხანებში პაშიმზაის ხასიათი შეეცვალა. ხშირად იყო ჩაფიქრებული, მღუპარე. ეტყობოდა, რაღაც გარდატეხა უნდა მომხდარიყო მასში.

ეს ცვლილება ყველამ შენიშნა, ყველაზე ადრე კი მარშანმა.

ერთხელ, დასვენებისას, მარშანმა დაინახა, რომ პაშიმზაი მარტო იჯდა და თავისთვის ღიღინებდა.

მისი უმოძრაო სახე ამტკიცებდა, რომ ღრმა ფიქრებში წასულიყო.

— პაშიმზაი, ასე მარტო რომ დამჯდარხარ და ჩაფიქრებული ღიღინებ, ალბათ ძხალ სიმღერას ჰქმნი. რას იტყვი, მართალს ვამბობ, თუ არა?

— მართალი გითხრა, შე თვითონ არ ვიცი, რას ვაკეთებ.

— როგორ? ასეთი პასუხი რომ არ იცოდი, შენ, პაშიმზაი?

— რა ვიპასუხო, არ ვიცი, მაგრამ ეს კია, ვმღერი ისე, რომ არც გონებამ და არც გულმა არ იცის, რას ვმღერი და რატომ ვმღერი.

— მაინც რას ნიშნავს ეგ?

— აბა, რა გითხრა!

— შენ ხომ მომღერალი ხარ?

— შერე?

— სიმღერა უსიტყვოდაც გულის საიდუმლოების მოქმელია.

— მართალი, ხარ. გული სტირის? სიმღერას მაინც იტყვის. გულს უხარიან? სიმღერას კვლავაც იტყვის. გული კვდება? იმღერებს მაინც. სიკვდილსაც თავისებური სიმღერა აქვს. ახლა არ ვიცი, გული რად სწუხს და უსიტყვოდ რას ვღიღინებ. იქნებ სიკვდილის სიმღერა შეეპარა გულს. სასაცილოა, არა? ჰა, ჰა, ჰა!

— პაშიმზაი, იცი, რას გეტყვი? ზოგჯერ სიყვარული დამწუხრებულ გულსაც აამღერებს, — რაღაც განსაკუთრებულად წარმოსთქვა მარშანმა და გაუღიმა.

— მართალია, სწორია! — უპასუხა პაშიმზაიმ და განაგრძო: — მე მგონია, სიყვარული რომ არ ყოფილიყო, სიმღერაც არ იქნებოდა.

— გეთანხმები. ოღონდ მითხარი, არ დამიმალო, შენ ახლა სიყვარულის ტკბილი გრძნობები ხომ არ გაღიღინებენ, ა?

— როგორ?

— აი ხასიათ შეცვლილს რომ გხედავ, ასე მგონია, ვიღაც გიყვარს.

— ეპ, ჩემო მარშან, მართალი გითხრა? ეს ჩემს ტკბილ ოცნებას წარმოადგენდა, დიად, ტკბილ ოცნებას!

— როგორ?

— ხომ არის, ადამიანს ზოგჯერ ტკბილი სიზმარი ათასგვარ სიამოვნებას აგრძნობინებს. ყოველ შემთხვევაში მე ბევრი ტკბილი სიზმარი მინახავს. მაგრამ გამჭარალა ისე... საწყალ დედაჩემს როგორ სჯეროდა სიზმრები, რას

არ მეტყოდა, რას არ მოიფიქრებდა, როგორი იმედებით დახატავდა საოცრებო და სანუკვარ ამბებს, მაგრამ ყველაფერი გამქრალა...

დიდი! სიზმარი რა არის და მისი ნატვრა რა იქნება! სისულელეა მთელი ეს ყვარული სიზმარივით გახდა ჩემთვის... მამაც მაფრთხილებდა, როგორ მაფრთხილებდა! რომ მაგონდება, მეცინება. მაგრამ რას იზამ! უსწავლელი კაცი იყო და თავისებურად მსჯელობდა... ხშირად იტყოდა ჩემს გასაგონად — ქალი ეშმაკისაო. დედამიწაზე ჯერ ქალი გაჩნდა და მერე ეშმაკიო. ხომ იცი, ყველაფერს თავისი მოწინააღმდეგე უჩნდება. ასეთია ცხოვრების კანონი: კარგთან ცუდია, ჰკვიანთან უტყუოა, ეშმაკთან კეთილი. ეშმაკი გაჩნდა თუ არა, გაჩნდა კეთილი, რომელიც ეშმაკს შეებრძოლა, რათა მოესპო იგი. მაგრამ ეშმაკმა იმით იხსნა თავი, რომ ქალის უბეში ჩაძვრა და ქალის სილამაზემ იხსნა იგი. მას შემდეგ ქალის სილამაზე ინახავს. ამ სილამაზეშია ეშმაკი და ამ ეშმაკშია ის სილამაზე... გაფრთხილდი, ხშირად სილამაზე უბედურების თეთრი კბილია, ხშირად კი ბედნიერების ნათელი სახე. ფრთხილად იყავი, ფრთხილად: — ასე შეუბნებოდა მამა-ჩემი, მაგრამ მე არც ერთი განმიცდია და არც მეორე. როგორ მინდოდა განმეცადა სიყვარული, განმეცადა ასე, როგორც მე თვითონ მქონდა წარმოდგენილი.

— რატომ ამბობ მაგას?

— რომ იცოდე, ჩემო მარშან, როგორი გატაცებით ვოცნებობდი ჩემი ახალგაზრდული ცხოვრების მოწყობაზე. ვერ მოგატყუებ, ყველაფერი წინასწარ მქონდა მოფიქრებული, წარმოდგენილი. მართალი გითხრა, ოცნება ტკბილ ბურანში ვიყავი გახვეული.

აი ახლა, დროა მყავდეს ჩემი გულის მესაიდუმლე, — ვფიქრობდი ჩემთვის: — მიველაერსებ, ერთი წუთითაც არ გავუჯავრდები. ისიც მომეალერსება, ისიც სულითა და გულით მომენდობა. ყველაფერს მოგაწყობდი იმისათვის, რომ ორივეს ბედნიერად გვეცხოვრა. გამახარებდა ჩემი ოჯახის კეთხეში ატიკტიკებული ბავშვის ხმაც. დიდი! ეკ, როგორ მქონდა ყველაფერი წარმოდგენილი და როგორ ენატრობდი მის შესრულებას, მაგრამ... — ამ სიტყვებზე ჰაშიმბაიმ მძიმედ ამოიოხრა.

— მაგრამ რა, ჩემო ჰაშიმბაი?

— ხომ ხედავ, ძმაო, სადა ვარ? ომმა ჩამიშხამა ეს ტკბილი ცხოვრება. თუ ცოცხალი დავრჩი, ალბათ, შეიძლება ჩემი ოცნება სინამდვილედ ვაქციო. შემეძლება ჩემს ოჯახში ჩემი მეგობარი მხიარულად მივიღო. ჩემი ოჯახის პირველი მეგობარი შენ იქნები, ჩემო მარშან. მაგრამ მოვესწრები კი ამას? ეკ, რა ტკბილი ცხოვრება გქონდა და როგორ ავკაწიოკეს!

ამ სიტყვებს ამბობდა ჰაშიმბაი, როდესაც მარცხნივ, ალვის ხეების ჩრდილებიდან, ქალის მისალმება გაისმა.

— სალამ-ალეიქუმ, ჰაშიმბაი!

ჰაშიმბაი თითქოს ამ წუთებს უცდიდაო, თითქოს ხმა იცნოო, ურთბამად გულგახარებული შეტრიალდა.

— ალეიქუმ სალამ, გიულარი! — მიესალმა ჰაშიმბაი და აჩქარებულ გიულარს თვალი გააყოლა.

ეტყობოდა, ჰაშიმბაის გული გიულარისაკენ მიილტვოდა.

ირგვლივ რომ არაეინ იყოს, ასეული ამ მინდორ-ველებში რომ არ იყოს გაშლილი, გაიქცეოდა და გადაეხვეოდა, გულში ჩაიკრავდა, თვალებს ჩაუ-



კონცინდა და, სიყვარულის გრძნობით აგზნებული, მის მკერდზე გათრატ-
ბოდა.

ახლა-კი არ შეუძლიან ასე მოიქცეს, მიტომ შესცქერის გიჟი გზიდან
მოწყურებული.

მარშანმა ოდნავ გაიღიმა, პაშიშაის მხრებზე ხელი დაჰკრა და უთხრა:
— ჩემო ძმაო, გიულარი რომ გიყვარდეს, მესმის. აი — გოგონა! აი
ვინა შეყვარება შეიძლება! მინდა პირდაპირ გითხრა, — ფატყობ, გიულარი
გყვარს. ძალიან კარგია, მოსაწონია.

პაშიშაიმ ღრმად ამოისუნთქა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი
შეიკავა, მარშანს შეხედა.

— ეჰ, — ამოიოხრა ისევ მწარედ, ჯიუტად მიაჩერდა მიმავალ გიულარს
და თავისთვის სევდიანად ჩაილაპარაკა:

სულს სიამე ეფინება,
ლაშაზია გიულარი,
გულს ცეცხლივით მოედება
სილამაზე გიულარის,
გულს დაისრულს გაახარება
შემოხედვა გიულარის,
საესე მოვარეს შეედრება
პირმკინარე გიულარი!

მართლაც, რომ მშვენიერი გოგონაა გიულარი: სიცოცხლით საესე, შე-
თელწარბა. სულის ამფორიაქებული შემოხედვისა და ტკბილად მოუბარი
გოგონა არ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდა.

პირველ გაცნობისთანავე დაიპყრო მან პაშიშაის გული.
ეს იყო ბუინაქსში, როდესაც გიულარი პირველად მივიდა ნაწილში, რო-
გორც მედიცინის და. ეს წუთები არასოდეს არ დაეფიყდება პაშიშაის.

პირველად შეიჭრა მის ახალგაზრდა სულში გიულარის მშვიდი სახე და
ააფორიაქა კიდევც.

— ეჰ, სიყვარული ზოგჯერ ბოროტს გააკეთილშობილებს და კეთილს გა-
აბოროტებს! — ამოუოხრებია პაშიშაის და გულწრფელად უთქვამს მარშა-
ნისათვის, — სადმე სხვაგან რომ შემხვედროდა, მოვიტაცებდი, თუნდაც ეს
ბოროტებად ჩაეთვალათ. დედას გეფიციები, მოვატყუებდი! ეხლა კი ჩემი
გრძნობა გულში უნდა ჩაეახშო. მასაც არ უნდა გაეაგებინო.

— რატომ პაშიშაი?

— აბა, მითხარი ერთი, რა დროსია ასეთ გრძნობებზე ლაპარაკი? ქვეყა-
ნა სისხლით ირწყვება და პირად გრძნობებზე ფიჭრი უადგილოა. განა ეს არ
ვიცი?.. თუმცა ჩემდა უნებურად მოვიდა ეს გრძნობა. ეს ის პირველი გრძნო-
ბაა, რომელიც ჩემს ახალგაზრდულ და ბედნიერებით საესე ცხოვრებაში ოც-
ნებად მქონდა გადაქცეული. არ მეგონა, მარშან, რომ აქ, წითელარმიის
რიგებში გაწვევის შემდეგ, ვიპოვიდი მას...

ოცნების ტკბილ ბურანში მყოფი პაშიშაი მოურიდებლად ამბობდა გუ-
ლის ნაქარნახევს.

— ვიცი, ვერ შევეხები მას, ვერ მივსწვდები, მასთან ყოფნით ვერ დავსტ-
კებები. ვინ იცის, იქნებ სადმე ბრძოლის ველზე დავლიო სული, ისე, რომ
გიულარი ახლოც არ იყოს. მაგრამ მან ახლა ჩემი გული ააფორიაქა. დიად!
ასეა, ვერ დაემალება, რომ მართლაც ასეა.



მცირე ღუმლის შემდეგ განაგრძო:

— აჰ, ამ მთებში, ამ ტყე-ველებში შევხვდით ერთმანეთს და ერთმანეთს მომაჯადოვა, გამიტაცა, შემიყვარდა! ის მოვიდა რათა სამშობლომ დაგეგმოს მტე აქ ვარ, რათა ვასახლო ჩემი სამშობლო... ასე მგონია, ასე მწამს, სამშობლოსათვის ბრძოლაში ეს ტყბალი გრძნობა აგვამადლებს...

რაც დრო გადიოდა, ჰაშიმბაი უფრო და უფრო დაუახლოვდა გიულარს. ცდილობდა, ხშირად ენახა, თვალი მაინც მოეკრა. მაგრამ ზოგჯერ ამისი საშუალება არა ჰქონდა. ეს უფრო უღვივებდა ნახვის სურვილს.

ჰაშიმბაი თითქოს გრძნობდა გიულარის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს აჩარებდა მის გულს.

ერთხელ, როდესაც გიულარი სანიტარულ ნაწილიდან ბრუნდებოდა, ჰაშიმბაის სიმღერა შეესმა.

მაშინვე ჰაშიმბაისკენ გაემართა.

— გიულარ, შენა ზარ? — ისეთი სიხარულით წამოიძახა, რომ მერე თვითონ შერცხვა.

გიულარიმ იგრძნო ის სიხარული, რომელიც მისი მისვლით განიცადა ჰაშიმბაიმ. ჰაშიმბაის სახეზე ცხადიყო იყო აღბეჭდილი მანამდე მასთვის შეუცნობელი გრძნობა.

გიულარი ცდილობდა ისეთ რამეზე გამოლაპარაკებოდა, რაც ჰაშიმბაის დააინტერესებდა. ასეთად მან ისევ სიმღერა მიიჩნია.

— ჰაშიმბაი, შე ძალიან მიყვარს ის სიმღერა, რომელსაც შენ ახლა მღერობდი! — ღიმილით მიმართა მან.

— ეს იყო სიმღერა სამშობლოზე.

— დიაღ, ეცი. მართალი გითხრა, მაგ სიმღერის ფირფიტა სახლში მაქვს. ყოველდღე ვისმენდი. მას მღერის შესანიშნავი მომღერალი ბაჟულ-ბიული. ალბათ, იცი... ძალიან მიყვარს. შენც მშვენივრად მღერი.

— მაჩარებენ, გიულარ, შენი სიტყვები.

— განა მართო მე მომწონს შენი სიმღერები? ყველას მოსწონს.

— კმაყოფილი ვარ მაგ ყურადღებით, გიულარ.

— იცი, რას გეტყვი, ჰაშიმბაი: ომი რომ დამთავრდება, თუ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, უსათუოდ დაგეხმარები ნიჭის განვითარებაში. მე ეს არ გამიძნელებდა, რადგან ბავშვობიდან მოსკოვში ვიზრდებოდი და იქ ბევრი ნაცნობები მყავს. მათ შორის ბევრია კომპოზიტორი, მომღერალი. თუ მოისურვებ, ბაქოშიც შეიძლება დახმარების აღმოჩენა. ჩემი შმა ნავთის სარეწაოებში მუშაობს, მამა რკინიგზის სამმართველოში. ყველანი ხელს შეგიწყობენ...

ჰაშიმბაი არ მოელოდა, თუ გიულარი ასეთ მზრუნველობას გამოიჩენდა მასთვის, და როდესაც გიულარიმ სერიოზული ტონით კვლავ დაადასტურა თავისი აზრი, მან უთხრა:

— გიულარ, თუ სიკვდილი მიწერია, შენ იყავ ჩემი სიკვდილი, თუ სიცოცხლე გამაჩარებს, შენ იყავ ჩემი სიცოცხლე!

გულიდან აღმოხდა ჰაშიმბაის ეს სიტყვები. მან სიყვარულით აღზუნებული თვალები მიაპყრო და თან გაუღიმა.

გიულარიმ თვალი გაუსწორა, მაგრამ სახე მაინც აელეწა.

— მშვიდობით, ჩემო ჰაშიმბაი, — უთხრა ბოლოს. — ხომ იცი, როგორ განსაზღვრულია ჩვენი დრო. ვფიქრობ არ მისაყვედურებ, არ მეტყვი კიდევ, სულ

ცოტა ხანს მაინც დარჩიო. ნახვამდის, ჩემო მომღერალო, ნახვამდის — უნდა, ხელი მაგრა ჩამოართვა, ერთხელ კიდევ შენათა აღზნებული თვალები და სწრაფად განშორდა.



ჰაშიმბაისათვის ყველაზე ბედნიერი წუთი იყო ეს. თითქოს ოცნების ნისლეში ცურავდა მისი გონება. აღმაფრენის გრძნობით ფრთაშესხმული მარშანისკენ გაჰქანდა, რათა მისთვის ეამბნა ყოველივე ეს. მარშანი კმაყოფილებით ისმენდა ჰაშიმბაის სიტყვებს და როდესაც ამ უკანასკნელმა თბრობა დაასრულა, უთხრა მეგობარს:

— არ ვამბობდი, თორემ გატყობდით, თუ როგორ ვიყვარდით ერთმანეთი. ახლა შენ იცი, ჩემო ჰაშიმბაი, როგორ საგმარო საქმეებს უჩვენებ შენს სატრფოს.



შეუმჩნევლად განელეს დღეებმა. ეშელონი ფრონტისაკენ მიისწრაფის. აი ისინი: მწვანეში ლორფინებოვით აღმართული კლდეკარები, ორთქლმავლის ჩამოშლილ ბოლში რომ ეფარებიან თვალებს.

რჩებიან ჟეკან ნაბანაკარი, ნაცნობი, მაზლობელი ადგილები. ეს ადგილები თვალით ნახული და ნაცნობია როგორც მარშანისათვის, ისე ჰაშიმბაისათვის.

გიულარიც იქ ეუფლებოდა სამხედრო საქმეს. ისიც ვარჯიშობდა. მაშინ ჰაშიმბაი შორიდან შესცქეროდა და უზაროდა. დიად, უხაროდა. ახლად გათხრილი სანგრებიდან ცეცხლის ხაზისაკენ შველივით რომ გაიქცეოდა, ზოგჯერ სანგარსასვლელს მიეფარებოდა. ზშირად ორთვალას უსწრებდა, დაეალებას სწრაფად ასრულებდა.

ამ ვარჯიშობაში იწრთობოდა გიულარი... ჰაშიმბაი დიდ სიხარულს განიცდიდა.

„გიულარ გენაცვალე!“ — ძგერდა მისი გული. ეს ტკბილი გრძნობა ძალას მატებდა, გამბედაობას უორკეცებდა.

ასეულში ჰაშიმბაის სახელი უფრო ცნობილი გახდა, როგორც საუკეთესო მებრძოლისა.

ერთ მშვენიერ დღეს (ეს დღე მართლაც მშვენიერი იყო ჰაშიმბაისათვის და მას იგი არასოდეს არ დაივიწყებს) საველე კარავში სახეგაბრწყინებული გიულარი შევიდა.

— გმირებო, მოგილოცაეთ, სულითა და გულით ვისურვებთ ახალ წარმატებას!

ჰაშიმბაი ვერ მიმხედარიყო, რატომ ამბობდა გიულარი ამას. — რას გვილოცაე, გიულარ? — მიმართა მარშანმა: — რით გაგვახარებ.

— რა სიხარული მოიტანე, ჩემო სიხარულო? — შესძახა ჰაშიმბაიმ.

გიულარამ დივიზიის გაზეთი გადაშალა, იქ დაბეჭდილი იყო წერილი დივიზიის წარჩინებულ ადამიანებზე. წერილი ეხებოდა ჰაშიმბაი რაზუმბაევს, მარშან შარაშიძეს და დევეთვერ ჩართილანს. გაზეთს ამშვენიებდნენ ამ სამი ვაჟკაცის პორტრეტები.

ჰაშიმბაის თითქოს ფრთები შეეხსნათ. აღტაცების საამო ერთმანეთს და-

ურა. მაგრამ თავი შეიკავა. შეეცადა გიულარის თვალში მსუბუქი ქვეყანა გამოსვლოდა.

— გილოცავთ მთელის გულით, გილოცავთ! — იღიმებოდა გმრესკნსკამი ეს ღიმილი გულის სიღრმემდე სწვდებოდა ჰაშიმბაის. გიულარის ღიმილმა და სასიხარულო ამბავმა აამღერა ჰაშიმბაის გული:

თვალში ბინდი ჩაწოლილა
 ეს დარღია გიულარის.
 მზემ რომ კარგად გაანათა —
 გაიღიმებს გიულარი.
 გული კენესის, გული შეოთავს —
 ლამაზია გიულარი.
 ყვევილები თავს ხრიან —
 გაიხარე გიულარი!

და აი ახლა, როდესაც ეშვლონი ასე გუგუნით მიარღვევს სივრცეს, იქ არის გიულარიც. ისიც მიჰყვება ასეულს ფრონტისაკენ.

მარშანი და ჰაშიმბაი სხვებთან ერთად ერთ ვაგონში არიან მოთავსებულნი.

მეზობელ ვაგონში ვიღაც ტკბილად უკრავს გარმონს. მატარებლის ბორბლების რიტმიულ ხმაურს დროდადრო მხიარული წამომახილი და ტაში უერთდება.

თვალწინ იშლებიან ფერადი მთები და სივრცეები.

— ეჰ, ჩემო ჰაშიმბაი! ხედავ იმ მთებს, იმ მწვერვალებს? — ეუბნება მარშანი ჰაშიმბაის. — აი იმ მთების იქით არის ჩემი შშობლიური ქვეყანა, ჩემი სულის სიამაყე, ჩემი ტკბილი და ბედნიერი საქართველო. სწორედ, რომ ზღაპრული, მზიური ქვეყანაა საქართველო. მისი ხავერდოვანი მდელოები — ცხოვრების სილაღეა, მისი ჩანჩქერები და ნაკადულები — სიცოცხლის ნექტარია, მისი ვაჟაკები — გმირება არიან, რომლებიც სამშობლოსათვის ამოუკენესვლად დაიფრფლებიან, თუ კი, საჭირო იქნება. მისი ცა ფირუზისფერია, მისი სივრცე კი ნათელია, როგორც ქართველის გული. საქართველოს თვალწარმტაც სივრცეში გაიგონებ გულიდან მოხეტიაელ სიტყვებს: გაუმარჯოს ცის ნამს, ხარის ქედს, მიწის ბარაქას და გლეხის მარჯვენასო.

ეჰ, ჩემო ჰაშიმბაი, არც ცის ნამი გვაკლია, ხარის ქედსაც არ უმტყუნებია, გვახარებდა მიწის ბარაქა, ტრიალებდა გლეხის მარჯვენაც. მაგრამ აგვაწიოკეს, სისხლსა და ცეცხლს ბოლო არ უჩანს. რამდენ ვაჟაკს დაუბნელეს მზე, რამდენი დედა ააცრემლეს, რამდენი ქალაქი და სოფელი გააპარტახეს!

ვინ მოსთვლის ძმაო, ვინ! მტერს სურს დასჯიჯგნოს ჩვენი ქვეყნის გული, მაგრამ ურჯულები ამას ვერ მოესწრებიან. დავიზოცებით და ეს არ მოხდება! ქართველ ხალხს ბევრი კირი გადაუტანია, ბევრი სისხლი დაუღვრია და მის ღირსებას, მის თავისუფლებას არავის შევებდალვინებთ. ქართველი ხალხი ფეხზე სდგას. ქართველ ხალხს იარაღი ხელში უკირავს და გმირავს პირსისხლიან ურჯულებს. საქართველო თავისუფალი დარჩება. დუშმანი ვერაფერს დააკლებს. კავკასია ურჯულების სასაფლაო გახდება. კავკასიის კარიბჭესთან ისინი სამუდამოდ ჩაძაღვდებიან.

აი ამ მთებს იქით არის ჩემი შშობლიური კუთხე, ადგილი, სადაც დავიბადე, სადაც ფეხი ავიდგი, სადაც აკვანშივე მიმღერა დედამ სიყვარული სამშობლოსადმი, მეგობრისადმი...



— მარშან, ძმაო, ჩემი ოცნება ყოველთვის საქართველოს ნახვა იყო. შე-
ტავ თუ მოვესწრები ამას!

— რატომაც არა?
— თუ ბედმა არ მიმუხთლა, — დაუმატა პაშიშაი.

— ომში ვინც მიდის, განა ყველა კვდება? — შენიშნა მარშანმა.
— ეგ იმიტომ კი არა ვსთქვი, სიკვდილისა მეშინოდეს. თუ სიკვდილი
აუცილებელია, ჯანდაბას, რაც იქნება, იყოს! ისე მაინც არ მოკვცდები, ხუ-
თიოდე ურჯულო სიბოროტს არ გავისტუმრო.

— შენ არხეინად იყავი, ჩემო პაშიშაი. მაგ სიტყვებს მშშინ მოგაგონებ,
როდესაც გამარჯვებულნი უკან დაებრუნდებით. მტყიცედ მაქვს გადაწყვე-
ტილი, ჩემს სახლში წავიყვანო, მაგრამ მარტო არა, გეფიცები, მარტო არა! —
ჩაიციანა მარშანმა.

— როგორ, რა გინდა სთქვა?
— გიულარსაც წავიყვან და ქორწილს მე გადაგიხდით. დიად, ჩემთან! რო-
გორ მოგწონს ეს აზრი? საუცხოო იქნება, არა? შენი ამბავი რომ ვიცი, ალ-
ბათ, ბევრ ახალ სიმღერასაც გამოსთქვამ.

— ეპ, ნეტავი მაგრე მოხდებოდეს და ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ
ექნება.

მარშანი ერთი წუთით ჩამავალ მშის სხივებს მიანერდა.
მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა და მთებსა და მთებს შორის
გუგუნებდა.

— აი ახლა, — დაიწყო ფიქრებში წასულმა მარშანმა: — მზე რომ ასე გა-
დაიხრება, ჩვენს ფართო ქიშკარს ბლავილით მოადგება ჩემი ხელით გაზრდი-
ლი ფუჯიე. შეიძლება აი ამ წუთებში დედა-ჩემი ჩვეულებრივად უღუმს
ქიშკარს ფუჯიეს, ხოლო ჰკვიანი ჯურუხა ყფით აყრუებს მიწყნარებულ
ეზოს...

ღრმა ფიქრებში წასული პაშიშაი ტკბილი ხმით აღიღინდა.
ამ ხმამ ტკბილ მოგონებებში გაჰხვია მარშანის გონებაც.

თითქოს აი, ახლა, მის თვალწინ მისი ეზოს სიმწვანე გაშლილიყოს, თითქოს
დედის ალერსიანი სიტყვები იხმობდნენ თავისკენ გულში ჩასაკონებლად, სა-
ალერსოდ და...

... მატარებელი შეუჩერებელი ქშენით, ქოშინით მიჰქრის წინ — ფრონტი-
საკენ.




და აი ეშელონმა მიადწია ფრონტისპირა ღებანს.
შორს, მთებს იქით, მთებსა და მთებს შუა-ზარბაზნების ყრუ გუგუნი არ-
ყვეს სივრცეს.

პერში უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან მტრის თვითმფრინავები.
ზოგჯერ საზარელი ხმა შეაზანზარებს კაპან-ტყიან მიდამოს.

პორიზონტზე რჩება კვამლის გრძელი და დაკლავილი კვადრი.
გაივლის წუთი და მიწას გმინვა აღმოხდება.

ეს თვითმფრინავი დაენარცხა მიწაზე.
თითქოს არავინა სჩანს.

ბე-ხოციელის ჩრდილიც კი არ გადალანდის მარ-მარეს, მაგრამ სივრცე
მაინც ჰქუხს და გუგუნებს.





საქართველოს
საბჭოთაო მთავრობის

ირყევა მიწა.

ირყევა სივრცე.

ცა თითქოს ნაპერწკლებ-ნარეკ უხილავ ნამსხვრევებად სცემს სიკვდილი დაძრწის ჩალისფერ მიდამოებში.

მებრძოლებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. ჩასანგრდნენ.

ყოველწუთს მოსალოდნელია საშინელი განცდით აკენებდეს ეს არე-მარე, ადამიანების დაფლეთილი სხეულებით, ლითონის ნამსხვრევებით მოიფინოს ველ-მინდორი.

მაგრამ... ჯერ ისევ ჩუმად არიან მებრძოლები. ჯერ ისევ ცივია მათი იარაღის ლულა.

თუმცა, კაცმა რომ სთქვას, უფრო და უფრო იგრძნობა ფრონტის საშინელი სუნთქვა, ფრონტის მძაფრი წუთების სისასტიკე.

„ამასაც მოვესწარი, აი ფრონტი. მტრის პირისპირ ვდგევარ — ამბობს ჰაიმბაი თავისთვის: — ენახოთ ერთი, როგორი მარჯვენა მაქვს. მოვინჯო ერთი, თუ რა შეუძლიან ჩემს ვაეკაცობას. დავიჭრები? — ჭრილობას გიულარი შემისხვევს. მოგვედები? თვალებს გიულარი დამისხუქავს“.

სალამო უამს კაპიტანმა მებრძოლებს მიმართა:

— საჭიროა საბრძოლო დავალებით მტრის ღრმა ზურგში წასვლა. ვინ არის მსურველი?

არც ერთი წუთით არ შეეყოყმანებულა მარშანი და ვაეკაცურად შესძახა:

— მზად ვარ!

— შეც! — დასძახა ჰაიმბაიმ.

— შეც! — დასძინა დევეთგერმა.

კაპიტანს იმავე წუთს გაჰყენენ სამივენი.

დარჩნენ უკან ჩასანგრებული მებრძოლები.

დარჩა უკან სანიტბუნქტი, სადაც იყო გიულარი, მაგრამ ჰაიმბაი მას ეხლა, ამ წუთში ხომ ვერა ნახავს. სხვა რომ არა იყოს-რა, მეტად უხერხულია.

„შეგვადები კი?“ გაიფიქრა ძალაუნებურად. თითქოს გულში ტყვილი იგრძნო, ერთი წუთით მხოლოდ.

ჰაიმბაის ისე ეგონა, რომ გიულარზე არ უნდა იფიქროს. იმაში ხშირად დაურწმუნებია თავისი თავი, მაგრამ ახლა ყველაზე მწვავედ იგრძნო, თუ როგორ ეუფლებოდა გიულარის ნახვის სურვილი.

„ეითომ გიულარს მეტად ვერ ვნახავ?! მოგვედები! ეპ, თუ მართლა სიკვდილი მიწერია, მართლა თუ მოგვედები, მოგვედები გმირულად. ლაჩრულ სიცოცხლეს, სიკვდილი სჯობია, მოგვედები ისე, რომ გიულარი ვერ იტყვის, კიდევ შეეძლო ეცოცხლაო!“ — ესაუბრება ჰაიმბაი თავის თავს და იმავე დროს კაპიტანს გვერდით მიმავალი, პირველი სერიოზული საპატიო საბრძოლო დავალების მიღების მოლოდინში, ერთგვარ სულიერ კმაყოფილებას და სიანაყეს განიცდის.

მას შემდეგ გაიარეს დღეებმა.

მარშანი საბრძოლო დავალების წარჩინებულად შესრულების შემდეგ ბრუნდება ღრმა რეიდთან. მაგრამ ჰაიმბაი დაჭრილია, ხოლო დევეთგერი წინ გაგზავნა.

„რატომ არა სჩანს ის ბიჭი?! ხომ არ გადაიჩეხა, ან ხომ არ მოკვლია?“
 თქვობს მარშანი.

კლდე და კლდე კვლავ ყრუ და შემაძრწუნებელი მარადიული დუმილი,
 დუმილი, ყრუოლვისა და შიშის ამტანი.

ხანდახან ყინულის მთა სკდება. ჩნდება დანაწილებული ლიბრი ნაპრა-
 ლები. სკდომის ხმა საზარლად არყევს მიდამოს, ასე გგონია, თითქოს ღრუბ-
 ლებამდე აზიდული ლიბრი სივრცეები ნამსხვრევებად ჩამოინგრევიანო, გზა-
 კვალს აგირევენო.

ზოგჯერ შეღვაძებები ქარხვეტი ამოვარდება და ქვაბულებში გველის წი-
 წილებივით სისინებს.

ეს სისინი გიშფოთებს სულს, რაღაც უცნაურ, საშინელების მოლოდინის
 შეუცნობელ გრძობებში გხვევს.

ეს გრძობა მით უფრო ძლიერია, რომ აქ სიცოცხლის ნიშან-წყალიც არა
 სჩანს. ძე-ხორციელის ხმა არ ისმის.

გზა თანდათან სახიფათო ხდება!

დაბლა რომ ჩაიხედო, თვალები აგემღვრევა, შიშის ქრუანტელი დიგივლის
 და თავი თუ არ შეიმაგრე, შეიძლება გადავარდე კიდევაც.

მარშანი ჩაჩეხილ უფსკრულისაგან არ იხედება. მას მეტი აღარ შეუძლიან.
 ძალა და უნარი გამოელია. ორი დღეა, ამ საშიში გზით რომ მოდის. არც
 საკმელი, არც სასმელი არ მიჰკარებია მათ პირს.

გამოელიათ. სრულიად არაფერი აქვთ.

თუმცა ყოჩაღად უჭირავს თავი, მაგრამ მეტიც მოთმენა შეუძლებელია.

მუხლები აღარ ემორჩილება.

— ეჰ!

როგორ სწყურიან წყალი, მაგრამ რა უნდა ჰქნას. ზემოთ, კლდეების თავ-
 ზე თუ არის თოვლი და სადაც ქვევით, ჩარუშულ უფსკრულში, თუ მიჰ-
 ქვხს მთის მდინარე, თორემ ახლოს ბელმისაწვდენი საიმედო არაფერი
 სჩანს.

და მაინც რა აუტანელი გახდა ეს გზა!

განა ამაზე უფრო სახიფათო გზა არ გაუვლია მარშანს ალპინისტებთან
 ერთად ექსპედიციის დროს?

მისთვის ცნობილია და არაერთხელ გადაულახავს აილამის, შხარის, დიხ-
 ტაუს, კაშტან-ტაუს თუ ვისტოლის მყინვარები, მაგრამ ახლა ეს თავგანწირ-
 ვა მის ძალას აღემატება.

ღრმად ჩავარდნილი თვალებით გასცქერის გზას.

— მარშან, ძმაო, დამტოვე აქ... დამტოვე... ვიცი, რომ მეტს ვერ ვი-
 ცოცხლებ... მინდა მოვეკდე და შენ, ძმაო, ტყუილად უნდა დაგტანჯო...

— იყუჩე! — ძლივს მოახერხა მარშანმა სიტყვის წარმოთქმა.

თითქოს გულიც აღარ ემორჩილება. თითქოს ჰაერი აღარა ჰყოფნას. პი-
 რი უშრება. თვალთ აკლდება.

ხანდახან სივრცეში ათასნაირი სახეები და ლანდები აილანძებიან. ღონეს
 მოიკრებს, გაიხედავს, თავს ძალას დაატანს, რომ სივრცე მოსინჯოს.

თითქოს აგერ ნაცრისფერ კლდიდან გადმოსჩქვთს რუ.

მარშანი წავა, გულამოვარდნილი დასძლევს სივრცეს. საცაა დაეწაფება
 რუს, წყურვილს მოიკლავს, დიად, დიდი ხნის წყურვილს მოიკლავს. მაგ-
 რამ...

— დალაზეროს ჩემმა გამჩენმა! მოჩვენებაა თუ რა უბედურებაა. — წაბუტბუტებს თავისთვის, როდესაც ახლოს მისული კლდის თეთრ-მწვანე შინავეს.

გინჯლინიძე

ახლა კი უიმედობის სასოწარკვეთილებამ შეაფთოთა მისი სული.

პაშიმბაი თითქოს უფრო და უფრო უარესად ხდება.

მარშანს უნდა თავი შეიშინებოდა, მაგრამ როგორ მოახერხოს? საჭურველი მოიხსნას?

არა, არ შეიძლება. ვინ იცის, როგორ გამოადგება.

საოცარია. ასე ცუდად მარშანს თავი არაადროს არ უგრძენია.

თითქოს სიკვდილის შავი ხელები სწვავდნენ მის გულს, ჩაღრღნეს სიმ-შვიდე.

ამ მთებში, ამ უღალ გზებზე დარჩენა სიკვდილის ნიშნავს. სჯობია წინ წასვლა, გზის შემოკლება, იქნებ დევითგარი შემოხვდეთ. იქნებ დევითგარის მიერ გამოგზავნილი მოეშველნენ.

„არა, გზის გაგრძელება აუცილებელია“ ფიქრობს მარშანი. მაგრამ ტვირთი უნდა შემსუბუქდეს.

თუმცა რომელი ერთი უნდა გაიმეტოს? ხელყუმბარები? აეტომატი?

აეტომატში ხომ ტყვია არა აქვს, მტერი რომ შეხვდეს, მაინც ვერ გამოიყენებს. რად უნდა ასეთი იარაღი? — თითქოს ჩასძახის იღუმალი ხმა. მაგრამ არა, მარშანი მას ვერ შეეღევა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადააგდება. ეს მებრძოლის წესია, სანამ შეუძლიან, სანამ ჯერ კიდევ შესწევს ძალ-ღონე, ივლის, უკანასკნელ ძალას მოიკრეფს და ივლის.

რადაც არ უნდა დაუჯდეს, ეს საშიშია გზა დღის სინათლეზე უნდა გაიაროს.

თუ შემოადამდა, აქ, ამ უღალ გზაზე, ვერ გაათევს.

თუ ვინიცობა მაინც იძულებული გახდა, სადმე ქვაზე უნდა ჩამოჯდეს, ან კლდეს მიეყრდნოს, ფრთხილად იყოს, თვალდაუხუტავად.

თუ დაეძინა და ტანი ოდნავ გადაექანა ან ფეხი დაუსხლტა, ორწოხებში ქვასავით ჩაეშვება.

აქვს ეს მარშანმა. ამიტომ მიიჩქარის შეუსვენებლივ.

„ეს გზა განვლვ მარშანი მზემ არ ჩაგასწროს, მარშანი“ — ჩასძახის ხმა იღუმალი.



ჩწყება დაღმართი. გზა აქ უფრო ფართოა.

მარშანს ახლა იმედი მიეცა. მაგრამ მეტის ატანა აღარ შეუძლიან.

ახლა სუნთქვაც უჭირს.

საყვლო შეიხსნა. ესეც ძლივძლივობით მოახერხა.

ყოველივე ეს მით უფრო ძნელი და წარმოუდგენლად საშინელია, რომ მარშანი ცდილობს პაშიმბაის არ აგრძნობინოს ეს სასტიკი წუთები, სულის შემსუთველი დაღლილობა. და ყოველივე ეს მან უნდა გადაიტანოს უხმოდ, ამოუყენესებლად. პაშიმბაის კი ჩაუჩერგოს იმედი, გაამხნევოს იგი.

„თვალებს მაინც რა დამართათ? დასწყევლოს ღმერთმა, ესენიც, ესენიც მალატობენ!“ — მწარედ აღმოხდა მარშანს, მაგრამ ვის უნდა შესჩივლოს, ვისგან უნდა მიიღოს იმედი?



სივრცე იმღვრება.

კლდე, ტანგადმოზნექილი ხეები, ორწოხები და ცამწვერეაფიჭოფიჭოფის ზოგჯერ უჩინარდებიან, ზოგჯერ ფერად-ფერებში თვალწინ ჩაბრუნდებიან მამინ მარშანი სულის მოსათქმელად შეჩერდება.

— მარშან, ძმაო, ვიცი, მეტი აღარ შეგიძლიან... ეს გზა მე მაინც ვერ მიმეყვანს სიცოცხლის წყარომდე. ველარ დაეწაფები მას. თუმცა როგორ მწყურია, რომ დაეწაფო, ეპ, რა ტბილი ყოფილა სიცოცხლე მაგრამ... ვგრძნობ, რომ შორს ვარ ბედნიერებისაგან. ვიცი, მალე მოვევლები და შენ, ჩემო ძამიკო, ნუ იტანჯები... ვერ მიმატოვებ? სიკვდილთან მართო ვერ დამტოვებ?

პაშიშაიმ ოდნავ ჩაახველა, სული მოითქვა და კვლავ წელი, მისუსტებულ ხმით განაგრძო:

— გიულარს არაფერი დაუმალო, უთხარი, ჩემო მარშან, ყველაფერი უთხარი. უთხარი, როგორ მიყვარდა და მიყვარს. მაგრამ არ დაგველა... მე ვეკვდები... ჩემი წმინდა გული ეკუთვნის მხოლოდ მას, მაგრამ, ეპ! ახლა ვხედავ, სიკვდილი სჯიჯგნის მას... — ბუტბუტებდა პაშიშაი.

მაგრამ მარშანი ისე იყო დაღლილი, რომ არაფერი ესმოდა, მხოლოდ შესვენებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა და მიიწევდა წინ.

ბოლოს მუხლები მაინც მოეკვეთა, თავბრუ დაესხა და... წაბოროძიდა.

მარჯვენა ხელის მიწაზე დაკარება მოასწრო, თორემ დაეცემოდა.

შებარბაცდა, ერთი მწარედ ამოიოხრა და მარჯვენა მხარეზე წაწვა.

მაგრამ თვითონაც ღონე-მიხბილი რამდენიმე წუთს დაეკრა ჭვაროფებს, ხმის ამოუღებლად.



თითქოს მიწას საზარელი გუგუნე აღმოხდა.

გუგუნე იგი გაიზარდა, გაიშალა.

კლდეებმა ჰახანი გააღინეს, სივრცე შეიკრია.

მარშანმა თავი მალა ასწია. პაშიშაის გადახედა. პაშიშაის თვალები მიელულა. მაჯა გაუშინჯა. დაწყნარდა.

სცადა აღგომა. ტანი ვერ ასწია.

კვლავ აჯანკალდა მიწა. კვლავ კლდეები თითქოს ქვის ნაფოტებს ჰყრიდნენ სივრცეში.

„ეტყობა, შორისმსროლელის ყუმბარებია“, — გაიფიქრა მარშანმა.

კვლავ სცადა წამოდგომა.

მაგრამ ვერ მოახერხა...

ამ საშინელ გზაზე ორი დღის წვალეზამ თავისი კვალი დასტოვა.

— ეპ, ძმაო, უწყლობით ენა მიშრება. ჩემო ძმაო, ჩემო მარშან, მიშველე რამე! — ამოიკვნესა პაშიშაიმ და თვალები ისევ მილულა.

განა აქამდე არ სწყუროდა პაშიშაის, მაგრამ თუ არაფერი სთქვა, თუ მოითმინა, მხოლოდ იმითმ, რომ უნდოდა მარშანისათვის ახალი სატანჯველი არ მიეცა. მან იცოდა, რომ წყალი არსად იყო.

ეხლა მეტის მოთმენა ველარ შესძლო და პირველად, ამ ძნელი მგზავრობის შემდეგ პირველად უთხრა მარშანს ასე შეძრწუნებულმა.



— იყუჩე, იყუჩე, ჰაშიმბაი! — დაამშვიდა მარშანმა.

ეს სიტყვები არც ჰაშიმბაის უშველიდნენ რასმეს და არც შანს.

თავით მარშანი გაფაციცებით დაეძებს კლდის გამოწაფონს, რათა ენა მინც დაისველოს, მაგრამ ახლოს არაფერი მოსჩანს.

მარშანმა პირი ფართოდ გააღო და მთის გრილი ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

გრილი ჰაერი სიცოცხლის ნექტარივით ტკბილია და დაღლილი გონების გამომცოცხლებელი.

და აი მარშანმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფა.

აღვა. მიმოიხედა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. უცებ მოშორებით ქარქარაებს მოჰკრა თვალი.

„ოჰ, ეს კარგი ნიშანია!“ — გაიფიქრა.

და მართლაც, დაქანებული გზა გორაკთან თავდებოდა.

იქვე ახლოს გაუვალი ტყე იწყებოდა. ხეებს შორის კი ვერცხლის ფრად მიივლაცნებოდა ფშა.

მარშანს თითქოს ძალა შეემატა. ერთბაშად სიხარულმა აიტაცა და მხიარულად მიმართა ჰაშიმბაის:

— წყალი გინდა, ძეო ჩემო? საესე მათარას მოგიტან. ზომ გეუბნებოდი, ყველაფერი იქნება-მეთქი. გული მეუბნება, დევთგერსაც მალე ვნახავთ... გიულარიც საკუთარი ხელით მოგივლის და მოგარჩენს. ნურაფრისა ნუ შეგეშინდება, სიკვდილს დავსძლევეთ!

ჰაშიმბაიმ თითქოს გაიღიმა.

ყოველ შემთხვევაში მარშანს ასე მოეჩვენა.

მარშანი გზას ჩაჰყვა.

ცდილობდა რაც შეიძლება მალე მისულიყო ფშასთან, დასწაფებოდა მას, ჰაშიმბაისთვისაც მიეტანა წყალი, სიცოცხლის ნექტარი.



უსმელ-უჭმელი, ფერმიხდილი, გაუპარსავი, თვალუბ-ჩაცვივნილი მარშანი ჩაჰყვა გზას.

იგი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ფშას, მაგრამ უფრო აუტანელი ხდებოდა წყურვილი.

„ფშა ზომ სულ ახლოს იყო თითქოს და ჯერ კიდევ რა შორისაა იგი ჩემგან?“ — ფიქრობს მარშანი.

ბორძივით, ლასლასით მიდის წინ.

ზემოდან, კლდის თავიდან წვრილი ქვები შუილით წამოვიდნენ.

აიხედა.

„ნადირმა თუ გადაირბინა, — გაიფიქრა, — ვინ იცის, რა მხეცი ბუღობს აქ?“

კლდეზე გაკლავნილი გზა თავდებოდა.

იწყებოდა პატარა მინდორი.

ზემოდან კვლავ ჩამოიშხუილეს ქვებმა.

მარშანი ექვმა შეიპყრო.

„თუ ნადირია, ფეხდაფეხ როგორ მომყვება? პირიქით, უნდა გადაიკარ-

გოს. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ადგილი უნდა შეარჩიოს და გაადორებულ
ზედ თავზე დამეცეს?"

აიხედა.

ეროვნული
განმათავისუფლებელი

კვლავ არაფერი მოსჩანდა.

ფრთხილად, ფრთხილად ვაჟაკო! ეუბნება გული, მაგრამ რა ჰქნას. ავტო-
მატი ვართი ტყვიაც არა აქვს. რისი იმედი უნდა ჰქონდეს? მკლავში ღონე
გამოლევია. მაგრამ, არა, იგი ჯერ ხომ ცოცხალია, მაშასადამე, შესძლებს
თავის დაცეას.

კვლავ წინ წაიწია.

კლდის ზემოთ სროლის ხმა გაისმა.

მარშანმა მწარედ ამოიკენესა და დაეცა.

— ეჰ, სად მომიწარ სიკვდილო!

სროლის ხმამ ხეობაში გაიგუგუნა.

მარშანს მარცხენა თუძოში მოხვდა ტყვია. მაგრამ ვინ ესროლა? არა
სჩანდა.

გტყობოდა, ტყვია ძვალს მოხვდა, ძვალი ჩაიღწა.

ღნდოდა წამომჯდარიყო, მაგრამ როგორც კი სცადა, თავი ვერ შეიმავრა,
წაქცა და ფერდობზე ჩავორდა.

ტყვილისაგან მიწაზე გართხმული საშინლად იკლავებოდა.

მაგრამ ამ დროს სიცოცხლისადმი ტრფილმა და შურისძიების გრძნობამ
გაუგონარი ძალით იფეთქა მასში.

გულს უკლავდა ის, რომ ვერ გაიგო, ვინ ესროლა. ამასთან სულს უშფო-
თებდა, რომ ასე ხელცარიელი, უტყვიოდ შეხვდა ამ საშინელ წუთებს.

— იქნებ სამაგიერო გადამეხადა, იქნებ მეც გამეგმირა იგი.. ძმაო პაშიმ-
ბაი, იცი თუ არა, რა დღეშია შენი მარშანი ახლა? ეჰ ნეტავი პირისპირ
შეგბრძოლებოდი მუხანათს, თუნდაც ხელცარიელი. გულს მაინც მოვიჯე-
რებდი. ვაი დედაჩემო, სად გიკვდები! გიკვდება შენი შვილი ისე, რომ
მკვლელი დაუსჯელი რჩება! ვაიმე, დედა-ჩემო!

მაგრამ...

• მარშანის თვალი კვლავ მახვილია, მარშანის გული კვლავ მედგარი.

აი თვალი მოჰკრა, რომ სულ რამდენიმე ნაბიჯზე ავტომატი გდია. სჩანს აქ
ბრძოლა ყოფილა.

ტყვილების მიუხედავად, მარშანმა სცადა წაფორთხება, წინ წაწევა.

ტყვილებმა დაუარეს.

კვლავ გაიკლავა მიწაზე. შეისვენა. მერე ისევ წაფოტხდა. ერთმა სურ-
ვილმა შეიპყრო — როგორმე ხელში ჩაეგდო ავტომატი.

ვინ იცის, თუ ცოტახანს კიდევ იცოცხლა, როგორ გამოადგება იგი მტერ-
თან ბრძოლაში.

მაგრამ რა ემართება? ტანს სრულებით ვერა სწევს, თავს ვერ იმორჩი-
ლებს.

ფრჩხილებით ებლაუშება მიწას. მერე ბუნჩებს წაატანა ხელი და ასე შე-
ეცადა ტანის გადატანას.

არა, ასე დიდხანს მოუნდება ავტომატთან მიჩოჩებას.

დაიღალა, მეტად დაიღალა.



სისხლიც ბლომად დაკარგა.

ნაკვალევი სისხლის წვეთებით არის გადაწითლებული.

წარმოუდგენელი მოთმინებისა და საშინელი ტყვიულების მარშანი. საოცარი პირდაპირ.

სიცოცხლისადმი ტრფილის, სიცოცხლის წყურვილის გრძნობა მატებს სულის სიმტკიცეს და ჯერ კიდევ უნარჩუნებს წონასწორობას.

თვითონაც არ ეგონა, თუ კიდევ იყო მასში რაიმე შესაძლებლობა.

კვლავ ცდილობს გადაათრიოს ტანი. მაგრამ ეს რა ხმაა, რომ ისმის.

— შეჩერდი, შეჩერდი!

საიდან ისმის ეს ხმა?

— ვინ არის?

ნუ თუ აქ, ახლოს ვინმეა?

გაოცებული მარშანი ცდილობს მიმოავლოს თვალი მიდამოს.

აგერ მოშორებით, პირდაპირ თავგასისხლიანებული მოწინააღმდეგე გდია. ის ძლივს სწევს თავს მაღლა და ჩახლეჩილი ხმით ღრიალებს:

— შეჩერდი, შეჩერდი!

მარშანი აინთო.

— შხამიანო გველო, ამიტომ!

უხლა კი ორივეს ცდა იმაში იყო — ვინ მიასწრებდა ავტომატის აღებას.

ვინც პირველი მიაღწევდა, დასძლევდა მეორეს და თვითონ გადაარჩებოდა. ყოველ შემთხვევაში სიცოცხლეს შეინარჩუნებდა.

ორივეში თანაბრად ძლიერად გაიღვიძა სიცოცხლისათვის ბრძოლის ინსტინქტმა და ამან თითქმის ორივე აიტაცა.

აი ხედავს მარშანი, რომ იგი წინ მოიწევს.

ნელა, წელის საშინელი თრევით, მაგრამ მაინც მოიწევს.

თუ ასე ათრია სხეული, ის აიღებს ავტომატს და დააყრის ტყვიას მარშანს. დიად, სწორედ ასე იქნება!

ამდენი საგმირო საქმეების ჩამდუნ მარშანს ქვეშრომივით მიწაზე გართხმული მხეცი ბილწი ხელეებით მოუღებს ბოლოს, სამუდამოდ შეუწყვეტს გულის ძერას.

ის-კი უძრავად და უგრძნობლად ეგდება ზე, ამ მოთბეში და ვერც ჰაშიმბაი ნახავს, ვერც გიულარი, ვერც დევეთგერი.

ველარ ნახავს მეზობლებს, რომელთა სანახავადაც ასე მიისწრაფოდა. ველარ უბატაკებს მხედართმთავარს მტრის ღრმა ზურგში საბრძოლო დავალების საუკეთესოდ შესრულებას.

ველარ ნახავს თავის მშვენიერ, თვალწარმტაც საქართველოს, ველარ გადაეხვევა დედას, დას.

ამაოდ დაუწყებენ ლოდინს.

შეიძლება ლოდინი და ნახვის წყურვილი დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ ბოლოს მიივიწყებენ, დიად, მიივიწყებენ.

აქ მას ნადირები დაფლეთენ. ძელები თუ დარჩებიან, ნადირის კბილებით დახრული, მაგრამ ძელებსაც ქარქარაკებთან ერთად წყალი მიარიყავს საღმე.

აი იქ, კლდის პირას, მარშანს ჰაშიმბაი ელის.

იქნებ ჰაშიმბაიმ სროლის ხმაზე შენიშნა კიდევ, თუ როგორ დაეცა მარშანი. მაგრამ როგორ მოეშველებო, როცა ადგომა არ შეუძლიან.

მამ მარშანი ყველას უნდა ჩამოშორდეს!



ქართული
მწიგნობრობის
სამეცნიერო ცენტრი

— შეჩერდი, შეჩერდი!
კვლავ ესმის მარშანს ეს სიტყვები.

— გველო, შხამიანო გველო! — აღრქიალებს კბილებს მარშანს: *მარშანს: დამეცხა*
ლობს წინ წაიწიოს, მაგრამ ცალი ფეხი სისხლში აქვს მოსერილი, ვერ მი-
ათრევს, ტკივილი ადამიანური მოთმინების საზღვარს სცილდება.

მაგრამ მაინც წინ უნდა წაიწიოს მარშანმა, რაღაც უნდა დაუჯღღეს!
მაგრად ძვერს გული.

დაფერდება მაინც რომ იყოს, მარშანი თავს გასწირავს, ჩაგორდება.
მიწას კვლავ ფრჩხილებით ჩაეჭიდება და ამგვარად მიათრევს ტანს.

ტკივილები კვლავ აშფოთებენ, მაგრამ სიცოცხლის გრძნობა ძლევს ამ ტკი-
ვილებს.

თუ მიწაში ჩაკრული ლოდის წვეტს ჩაავლო ხელი, არაქათგამოღულ
მარშანი იმდენ ძალღონეს კიდევ მოიკრეფს, რომ კვლავ წაიწივს წინ.

სადაც არც ქვა, არც ბუჩქია, იქ რბილ მიწას ხელით სთხრის და იშვე-
ლებს, როგორც ხელის ჩასაჭიდს, რათა ტანი გადაათრიოს.

— არა, არა და არა, წინ არ გავიშვებ. იკლავს გველივით.

მაგრამ მან, უცნობმა მტერმა, გასისხლიანებული თავი შხამიანი გველივით
ასწია, კისერი წაიგრძელა, ხელები ბუჩქის ტოტებს ჩაავლო, რაღაც უაზ-
როდ წამოაბრიალა (ტკივილების გამო ალბათ) და სცადა წინ წაწევა.

კიდევაც წაიწია წინ. და ახლა ის უფრო ახლოს არის ავტომატთან, ვიდრე
მარშანი.

დაასწრებს, უსათუოდ დაასწრებს!

იქნებ მარშანს თვალი ატყუებს, იქნებ ეჩვენება, იქნებ იქ კაცი კი არა,
კუნძი გდია.

მაგრამ არა, კუნძი არ არის. თავ-გასისხლიანებული მოწინააღმდეგეა, რო-
მელსაც რომ შეეძლოს, ყელში ეცემოდა, თვალებს ფრჩხილებით ამოუჯაწ-
რავდა.

ეს ავტომატი, კასკები, სისხლში ამოსერილი მათარა და ცარიელი პილზე-
ბის გროვა მარშანს არწმუნებენ, რომ აქ ბრძოლა ყოფილა. ის კაცი, ალბათ,
აქ დაიჭრა. დიად, აქ დაუჭრიათ და უპატრონოდ დაუგდიათ. არაქინ გამოჩნ-
და, რომ მიშველებოდა, ყოველ შემთხვევაში, სჩანს, მტერი ახლოსაა.

„მაგრამ აქ ხომ დევითგერიმ გაიარა. იქნებ ეს დევითგერის ნავეთკაცი-
რია?“ — ფიქრობს მარშანი. და მართლაც ნამდვილად ასე მოხდა.

როცა დევითგერი ფშას მიუახლოვდა, გუშაგის ხმა შემოესმა:

— ჰალტ! ჰალტ!

დევითგერი ერთი წუთით შეჩერდა.

უნდოდა გაეგო, ვინ ეძახდა. როცა ხმა კვლავ განმეორდა, გუშაგაც შენიშ-
ნა, ესროლა, მიწას დაანარცხა და სწრაფად გასწია დავალების შესასრულებ-
ლად.

— მაგრამ ეს რა ქვები ცვივა ზემოდან? ეს რა ხმაურია, რომ ისმის?
მარშანმა აიხედა.

ზედავს მწვერვალდიან მტრის ჯარისკაცთა ჯგუფი მობობდავს.

პირდაპირ მისკენ მიდიან. მამასადამე, სიკვდილი აუცილებელია.

აკუწავენ, დატანჯავენ, სულს ამოხდიან.

რა უნდა ჰქნას? მარშანი ლაჩრულად მტერს არ ჩაუვარდება.

რამდენიმე კაცია. ყველა შეიარაღებული.



მარშანი კი მარტოა, უიარაღო. დაჭრილი.

— ჰაშიმბაი! ჰაშიმბაი! — ძალუნებურად წამოიძახა მან.

თითქოს მოსამველებლად ეძახისო. მაგრამ განა არ იცოდა, ^{მინდოდა} ~~მინდოდა~~ ^{მინდოდა} ~~მინდოდა~~ ეს ძახილი.

კვლავ წაიფორთხა ავტომატისკენ, რათა ხელში ჩაეგდო იგი, რათა ერთ-მათგანი მაინც მოეკლა, თუნდაც აი ეს, მიწაზე რომ არის გართხმული.

ის-კი, ის უცნობი გრძნობს მარშანის განზრახვას. თვალებიდან სიბრაზის ნაპერწკლებსა ჰყრის. ქვებს შორის მოძვრება.

დორბლავს ქვებს და ზღაპრული ფოცხვერივით მოივრინება.

— უნდა გაისრისოს. ეჰ, რა დროს მიღალატე, სიცოცხლე! — გმინავს მარშანი, შფოთავს, ბორგავს.

ძალა აღარ შესწევს.

სისხლისაგან იცლება. სისხლი გრძელ ხაზებად მიიკლავება.

— ეჰ, სიკვდილმა დამჯაბნა სიკვდილი მიხუთავს სულს!



დამშეული, მოწყურებული, ღონე-გამოლეული ჰაშიმბაი ღრმად ჩაცვიფრებული, ჩალურჯებული და სევდიანი თვალემათ შესცქეროდა მთის მწვერვლებს შორის მოქცეულ ცის ნახევს, ხარბად ისუნთქავდა ჰაერს და კლდის სიღრმიდან მონაბერი ნესტიანი, გრილ სიოთი იბრუნებდა სულს.

მალღობიდან, სადაც მარშანმა იგი დააწვინა, ხედავდა, როგორ ჩადიოდა გზა ფშასთან.

ამ გზათ წავიდა მარშანი, რათა წყალი მოეტანა, წყურვილი მოეკლა მისთვის.

ლოდინის წუთებმა უფრო მოღალეს ჰაშიმბაი, მაგრამ როცა წყლის მოსატანად წასულ მარშანს ესროლეს და დასჭრეს, ჰაშიმბაი მიძვე განსაცდელის გრძნობამ შეზოჭა.

— ჰაშიმბაი! ჰაშიმ...

ეს მარშანის ძახილი იყო.

შეძრწუნებულმა ჰაშიმბაიმ გაიხედა მარშანისაკენ.

სცადა ფეხზე წამოდგომა, მაგრამ ტყვიელმა სახე უცნაურად დაუმანჭა და ამოიკენესა:

— არა, ჰაშიმბაი ვერ მოითმენს ამას: — მისი მეგობარი, მისი მარშანი დაცა.

რა უბედური წუთებია!

რა საშინელი მოლოდინია!

არსაიდან შეველა, არსაიდან იმედი!

— გაჯაღწევთ ვითომ ამ კლდეებს?

სიარულის თავი არც ჰაშიმბაის აქვს და არც მარშანს.

ერთმანეთს დაშორებულნი კუნძებივით გდიან ისინი.

მალე ჩამოზნეულდება. დაწყვეტილ ქარატასავით მიმოიბნევიან ვარსკვლავები ცაზე.

ალბათ დამე საშინლად ბოროტი და შემადრწუნებელი იქნება ამ კლდეებში. ყველაფერი მოსალოდნელია, ყველაფერი მოსალოდნელია ტყვიამ კიდევ

გაიწივლოს და პაშიშაი მოკედეს, ისე რომ მარშანს ვეღარ შეხედოს, ვეღარ
 ლარა ვეღარ იხილოს. დიად, მოსალოდნელია.

შეიძლება ბინდში მხეცებზე დაესიონ, დაფლითონ, ნაყუწ-ნაყუწი კანკაში
 ნუ თუ ასე უნდა დაიღუბნენ ამ უღრან ადგილებში?
 საოცარია.

ტყვისფერ კლდის ფერდობში თითქოს აჩრდილივით წამოიზარდა გიულა-
 რის ფიგურა. პაშიშაი თვალს არ უჯერებს.

— თვალები მატყუებენ, თუ რას ნიშნავს ეს? ნუ თუ გიულარია? როგორ,
 რანაირად? არაფერი არ შესის. ნამდვილად ის არის. დიად, მან იცის ასე-
 თი სირბილი, მხოლოდ მან იცის. თუ მართლა ის არას, მაშინ დევთგერის ნა-
 წილამდის მიუღწევია. მაშასადამე, გადავჩინოთ: ჩემო საყვარელო, ჩემო გი-
 ულარ. — ბუტბუტებს პაშიშაი.

იგი ფშასთან ჩამწკრივებულ ხეებისაკენ იყურება.

იქიდან გიულარი გამოვბის, პაშიშაის პირველი სიყვარული, უშიშარი გო-
 გონა...

გამორბის, რათა ნახოს მარშანი, პაშიშაი, რათა დაჭრილ სატრფოს სახ-
 წრაფო დახმარება აღმოუჩინოს.

„ალერსიანად, სათუთად შეეუხვევ კრილობას. თუ საჭირო იქნება, ჩემს
 სისხლს გადაეხსმევიანებ, მაგრამ ვინ იცის, როგორი კრილობა აქვს. იქნებ
 სისხლი მოეწამლა?“ — ფიქრობს გონება-აფორიაქებული გიულარი და ისე
 სწრაფად გარბის, რომ დევთგერის ჯგუფი უკან ჩამოიტოვა.

— გიულარ ფრთხილად, დიდა! — ეუბნებოდა დევთგერი.

მაგრამ გიულარი გარბოდა, რაც შეეძლო. ან-კი რა შეაჩერებდა, როდესაც
 გაიგო, რომ პაშიშაის შველა სჭიროდა.

სხვა არა იყოს-რა, ის ვალდებულია დაჭრილ მებრძოლს დროზე მიეშვე-
 ლოს, მოუაროს, სიცოცხლე შეუნარჩუნოს. ეს მისი ვალია. ამ ვალს იგი
 უშიშრად ასრულებდა, ამიტომაც უყვარდათ იგი. ამიტომ წარადგინეს მთავ-
 რობის ჯილდოზე.

და აი ახლა ის უპირველეს ყოვლისა თავისი მოვალეობის შესასრულებ-
 ლად მიიჩქარის, მაგრამ გულში ჩამართულმა სიყვარულმა ახლა ყველაზე
 მძლავრად იფეთქა და ამ გრძნობამ მთლად შეიპყრო.

დიად, მიიჩქარის გიულარი. აყვავა კიდეც ფერდობს. მოშორებით დევთ-
 გერის ჯგუფი მისდევს.

გზა ხვეისკენ უხვევს, დიდი ლოდი გადაელობა. გიულარი არ შეყოყმან-
 ბულა, სწრაფად ახტა ქვაროფზე, ლოდის ნაპრალს ხელი ჩასჭიდა და გა-
 დახტა.

— ვაიმე, მარშან, შენც? — ერთბაშად შესძახა გიულარიმ, როდესაც იქვე
 მიწაზე განრთხმული, სისხლში ამოსვრილი მარშანი დაინახა. სწრაფად მი-
 ვარდა.

— გიულარ, შენა ხარ? — შესძახა გაოცებულმა, სინარულისაგან აღტაც-
 ბულმა მარშანმა. — მაშ აქა ხარ, გიულარ, ჩემო გიულარ! ყოჩაღ, ყოჩაღ! გა-
 იქეც, აი იქ, აღმართზე, პაშიშაი წყევს, დროზე უნდა შველა. მე კი აგერ ის
 ავტომატი მომე, აგერ ავლია...

გიულარს გაუკვირდა, მარშანმა რომ ავტომატზე ჩამოუფგო ლაპარაკი და
 არა კრილობის შეხვევაზე.

— ჩქარა მომე-მეთქი, გიულარ! გახედე, როგორ მოფორთხავს. წამოდგა კიდევ, არ მოგასწროს.

გიულარმა ახლა დაინახა პირდაპირ ფერდობზე, ფოცხვერივეთა მტერი, ის მართლაც წამოდგა, მართლა მოიწვედა წინ.

გიულარი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სწრაფად მოიმარჯვა რევოლვერი. გაისმა სროლის ხმა. უცნობი შეიმართა, შეტრიალდა და დაეცა.

— შენ გენაცვალე! — წამოიძახა მარშანმა. — კარგია! სიკვდილი განგმირულია!

გიულარი ხედავს, მარშანს სახე გასცრეცია, მკვდრის ფერი დასდებია. მისი ღრმად ჩაჯარდნალი თვალები ოდნავ ბეუტავენ, თითქოს იმის უნარიც კი აღარ შესწევს, რომ სიხარული გამოსთქვას, აღტაცება გამოამკლავნოს.

— გიულარ, მე არა მიშავს. უკვე კარგად ვგრძნობ თავს. ჰაშიმბაისთან წადი, იმას მიეშველე.

— ამ წუთში, ამ წუთში წავალ, მაგრამ ჯერ ფეხი უნდა შეგიხვიო. მაგრე ხომ ვერ დაგტოვებ!

განა თვითონ გიულარის გული ჰაშიმბაისაკენ არ მიისწრაფის?

განა თვითონ მას არ უნდა, ეალერსებოდეს ჰაშიმბაის, ჭრილობას უშუშებდეს?

და აი გიულარმა ჩანთას თავი მოხსნა, რათა სათანადო მოწყობილება ამოეღო, მაგრამ...

ზემოდან, კლდიდან სივრცე შეირყა — სროლა გაისმა.

გიულარიმ ვერ მოასწრო ჩანთიდან შესახვევების ამოღება, რომ მტრის ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა.

შეტორტმანდა, ხელები როგორღაც უცნაურად გაასავსავა. ოდნავ წინ წაიწია, მერე ერთბაშად წელში მოიხარა.

— მშვიდობით ჰაშიმბაი... მარშანი უკანასკნელად წამოიძახა გიულარიმ და უფსკრულში გადაიჩეხა.

მორჩა! გათავდა! სიზმარივით გაჰქრნენ ტკბილი წუთები. მოჩვენებასავით გაჰქრა გიულარის სანატრელი სახე.

— მშვიდობით ჰაშიმბაი, მარშანი გამოძახილებად გაიფანტნენ გიულარის ეს სასოწარკვეთილი სიტყვები.

კლდის ნაოჭებში ნაეონი წვეთები თითქოს გიულარის ნაცრემლარივით ჩამოწვეთილიყვნენ ქვაბულებში. მთება თითქოს უფრო ჩამოპირქუშდნენ, გობოროტდნენ, მიუკარებელნი გახდნენ.

მორჩა! გათავდა! გიულარი ცოცხალი აღარ არის.

ეჰ, როგორ მოჰქროდა იგი ჰაშიმბაისკენ.

გიულარ, ძვირფასო, საყვარელო! — ამ სიტყვებით ვეღარ მიეგებება მას ჰაშიმბაი, ვეღარ ასიამოვნებს გიულარს ჰაშიმბაის ტკბილი ხმა.

ჩაკვდა, სამუდამოდ ჩაკვდა სიმღერა ჰაშიმბაის ათრთოლებულ გულში.

ცრემლი და კვნესა დაიბუდებს მის გულში, მის სულში.

გიულარი იყო, გიულარი აღარ არის, გიულარი აღარ იქნება!

ტანჯვისა და წამების ყველაზე საზარელი წუთები დადგა.



ზემოდან, კლდეებიდან, ფრთხილად ჩამოდინდა მტრის ჯაშუშების მათ მოჰკლეს გიულარი, მათ დასჭერეს მარშანი.

ახლა ისინი ფერდობებით ჩამოვლენ და პაწიშხაის სატანური ხითხითით შეწოხევიან.

იქნებ ამათი ხმაური იყო, ასე საზარლად რომ ისმოდა ნადირთა ბუნაგეზიდან?

ნუ თუ ცოცხალი აღარა ხარ, პაწიშხაი? ნუ თუ აღარ შეგძლიან შური იძიო? — თითქოს ჩასძახის გიულარია. — მე შენთან მოვედი, მიყვარდი. შეველა გესაქიროებოდა და მოვედი.

აი აქ უფსკრულში გაღამჩხეხეს, შენთან არ მომიშვეს. ნუ თუ შურს ვერ იძიებ? ისინი კლდეებიდან ჩამოდინან.

მისუსტებული, დაუძლურებული პაწიშხაი რაღაც უცნაურმა ძალამ გააღვიძა, მან თვალები ფართოდ გაახილა და ზევით აიხედა.

ამ კლდეებიდან, ამ მთებიდან სურთ ბარში შეიჭრან.

არა, არასოდეს არ მოხდება ეს! ისინი აქვე უნდა დაივლიტონ. ამას გიბრძანებს შენ სამშობლო, ამას გეუბნება შენი გიულარი, რომელიც სიხარულით, ნახვის სურვილით ანთებული მოჰქროდა შენსკენ, სწყუროდა შენი ნახვა, შენი აღერსი, შენი მზრუნველობა, შენთან მოილტვოდა სიცოცხლის მომნიჭებლად, შენს დასახსნელად. მაგრამ იგი უკვე აღარ არის. არასოდეს აღარ შეგხვდება, არასოდეს აღარ შემოგხვდავს აღერსიანი თვალებით, აღარ გეტყვის, იმღერე ჩემო პაწიშხაიო. შური იძიე, პაწიშხაი, შური! — ჩასძახის იღუმალი ხმა.

და აი პაწიშხაი წამოიშართება შურის საძიებლად.

მაგრამ ძაღლონე არ შესწევს. მუხლებმა უმტყუნეს. გული რაღაც უცნაურად უძგერს. თვალებში სივრცე იბინდება. სული ეხუთება და კვლავ მიწაზე გაიშხლართება.

ოდნაე შეისვენა. მწარედ ამოიგმინა.

სიცოცხლეზე უფრო ძლიერია მისწრაფება სიცოცხლისაკენ. იგი ცოცხალია, მაგრამ ღონე არა აქვს. რად უნდა ასეთი სიცოცხლე? — სიკვდილს შესცქერის თვალებში.

— შური იძიე, შური იძიე, პაწიშხაი! კვლავ ჩასძახის მას იღუმალი ხმა.

ისინი-კი უფრო და უფრო ეშვებიან.

არა, ეს შეუძლებელია! რატომ კლდე-კლდეს არ მიეჯახება და არ მოისრისავს ბიწიერებს! ფიქრობს პაწიშხაი. — ისინი უნდა დაიხოცნენ. მაგრამ როგორ?

პაწიშხაიმ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა არ იცოდა, ეს ხერხი გასჭრიდა თუ არა.

გულმოკლულმა, შურისძიებით ანთებულმა პაწიშხაიმ სიმღერა დაიწყო.

ღიად! პაწიშხაი მღერის ტანჯვის, მწუხარებისა და შურისძიების ცეცხლში გახვეული.

დადუმებულ სივრცეში თანდათან გაიშალა პაწიშხაის უცნაური სიმღერა.

როდესაც ტკივილი მოუვლიდა, ხელებს თმაზე იტაცებდა. თითქოს ეს ტკივილი თმაზე ხელის ჩაჭიდებით უნდოდა შეენელებინა, ამავე დროს მთელი გულით მღეროდა, მღეროდა განუწყვეტლივ.

ამ სიმღერაში ხან ტირილი, ხან მოთქმა, ხან მრისხანე აზვირთება და ხან გულის ჩამწყვეტი სინანული მოისმოდა.

მტრის ჯგუფი შედრკა. უცნაურმა სიმღერამ შებოჭა მისი რვეულები და ეს იყო შეუცნობელი შიში, რომელსაც სიმღერასთან ერთად იწყვედა ხის ტოტების ოღნაევი შერხევა და ზოგჯერ კლდიდან ქვის ნატეხის ჩამოვარდნის ხმაც-კი.

ისინი შედრკნენ. პაშიმბაი კვლავ მღერის.

უნდოდათ გაეგოთ, ვინა მღეროდა, საიდან მოდიოდა ეს ხმა.

აეტომატები მოიმარჯვეს, მზად იყვნენ სროლა აეტეხათ.

არე-მარეს თვალი მიმოავლეს. მაგრამ პაშიმბაის გარდა ვერავინ შენიშნეს. იქნებ განგებ არის მოწყობილი? — ფიქრობდნენ ისინი.

პაშიმბაი-კი, ტყვილისა და ურვის მიუხედავად, მღერის, მღერის რაც შეიძლება მთელის ხმით.

ამ სიმღერამ თვალწინ გადაუშალა პაშიმბაის წარსულის ტკბილი წუთები, ახალგაზრდული ცხოვრების ტკბილი ოცნება...

მღერით თვალებიდან ცრემლი დაბა-ღუბით სდიოდა და ღრმად ჩავარდნილ ლოყებს უსველებდა.

ეს ცრემლები სიბრაზის, გულისჯერების ცრემლები იყო.

ეს ცრემლები დაკარგული ახალგაზრდობის მწვავე განცდის ცრემლები იყო.

ცრემლნარევი თვალებით მღეროდა იგი და ამ სიმღერის ეშინოდათ, ამ აღდილს უფრთხოდნენ.

მტრის ჯგუფი გაიშალა და ფრთხილად, ნელი ნაბიჯით გაემართა პაშიმბაისაკენ.



პაშიმბაი კი ისევ მღერის:

ცას აღმასები მოუსხამს —

ეს ცრემლია გიულარის.

ჭარი მინდერებს დაჰქეითინებს —

ტირილია გიულარის.

გეფიცები შურს ვიძიებ —

საყვარელო გიულარ.

სამშობლოსთვის სიკვდილშიაც —

სიცოცხლეა, გიულარ!

აი ისინი ფრთხილად მიიწევიან.

მზე მთებს მოეფარა.

ირგვლივ უფრო და უფრო ჩამოშავდა.

გაჰქრა დღის ნათელი და გაჰქრა პაშიმბაის სიხარული. იმედი, ტკბილი ოცნება.

ჩამოიწეწა საღამოს, პირქუშიანი და სისხლიანი საღამოს შავმღერით ბინდი და ამ ბინდისფრად ჩამოიწეწნენ სიკვდილის ჩრდილები, შემზარავი ფიქრები. მაგრამ პაშიმბაი მაინც მღერის...

პაშიმბაი მაინც ამცნობს ქვეყანას, რომ ის სიმღერით შეებრძოლა სიკვდილს, რომელიც თვალებს დასთხრის, გულს ჩაუბტყრევს, ბაგეებს გაუფითრებს. ერთი წუთითაც არ შეანელებს იგი სიმღერას.

ღიად, უკანასკნელ შესაძლებლობამდე არ შესწყვეტს სიმღერას, თუგინდ



ქვიშით ამოუვსონ პირი, ან კონდახით დაუხეთქონ უკვე გალურჯებული ბაგეები.

თუ პაერი არ ეყო, თუ ზმა ჩაუწყდა, გული მაინც განაგრძობს შექმნას მისი, სიკვდილისა და სიყვარულის ამ შემავსოთებელ სიმღერას.

ეს აღმასები მოსტამს —
 ეს ცრემლია გიულარის.
 პირი მინდვრებს დაჰქეითინებს —
 ტირილია გიულარის.

მას სწამს, შურს იძიებს.

ეს რწმენა ჰმატებს ძალას.

რწმენაზე ძლიერი არა არის-რა. რწმენა სიკვდილს დაძლიეინებს ადამიანს. რწმენის გამო მიღებულ ტანჯვა სულს ამსუბუქებს.

პაშიმბაის სწამს გიულარის სისხლს აიღებს, რწმენა აჯაყებს მის სულს, ასაკლდევებს.

აი მის ირგვლივ, სულ ახლოს, სულ რამდენიმე ნაბიჯზე ველური ღრიალით შემოერკალნენ მეავტომატეები.

ქვებს ამოფარებულნი, ქვისფერი სახით, სიკვდილის ცივი თვალებით დასცქერიან ისინი პაშიმბაის.

პაშიმბაი, მიუხედავად საშინელი ტკივილებისა, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრავს და მღერის, ისე, თითქოს მათ ყურადღებას არც-კი აქცევს.

აი გადახტა ერთი, მივიდა პაშიმბაისთან და ფეხი წაჰკრა.

პაშიმბაიმ მწარედ ამოიკვნესა.

როგორც-კი შეატყო, რომ პაშიმბაი დატრიალი იყო, რომ მას სასიცოცხლო ფერი არ ედებოდა, დანარჩენებს ხელი დაუქნია, საშიში არაფერია, მოდიო.

მეავტომატეთა ჯგუფი პაშიმბაის შემოერტყა. მაშინ პაშიმბაიმ ქვეშ შემალულ ყუმბარისკენ შეუმჩნევლად ხელი წაიღო.

როდესაც ისინი სატანისებურად ხითხითებდნენ, ზოგი წიხლს ჰკრავდა, ზოგიც გაუგებარი სიტყვებით რაღაცას ამბობდა, პაშიმბაიმ ხელყუმბარა სწრაფად დაანარცხა მიწაზე.

საშინელმა გუგუნმა არე-მარე შეაზანზარა.



დევთგერის მებრძოლებმა მარშანი აიყვანეს და პაშიმბაისკენ გაემართნენ.

ისინი აღმართს შეუდგნენ მაშინ, როდესაც პაშიმბაიმ საკუთარი თავიც ააფეთქა და მეავტომატეთა ჯგუფსაც ბოლო მოუღო.



ღრმა მწუხარებით შეპყრობილი მარშანი და დევთგერი დასტიროდნენ პაშიმბაის ცივ გვამს, რომლის ირგვლივაც ნაფლეთებლად მკეული მტრის მეავტომატეები ეყარნენ.

იღვნენ ისინი მღუმარენი, თვალებზე ცრემლმეუშრობელნი და თითქოს ჯერ კიდევ ესმოდათ პაშიმბაის სიტყვები:

სამშობლოსთვის სიკვდილია —
 სიცოცხლეა, გიულარი

აკაკი გელიაშვილი

თავგადასავადი ბესიკ გაბაშვილისა¹

კაპიტანი ლვოვი კარგახანს ემზადებოდა საქართველოში გამოსამგზავრებლად და მხოლოდ ხუთ იანვარს მოახერხა პეტერბურგიდან წამოსვლა. ის საგარეო საქმეთა კოლეგიის განსაკუთრებული დავალებით იყო გამოგზავნილი საქართველოში. რამდენჯერმე დაიბარეს ნიკიტა პანინთან. პირველად დედოფლის წყალობეს სიგელები ჩააბარეს ერეკლესა და სოლომონისთვის გადასაცემად. შემდეგ პანინმა ორი დღით გააჩერა და თავისი პირადი წერილები გაუმზადა ქართველ მეფეთათვის მისართმევად. კიდევ რამდენიმე დღე აცდევინეს და შემდეგ პირდაპირ სასახლეში დაიბარეს. ახლა გრაფ გრიგოლ ორლოვის თანდასწრებით ანდრია პირველწოდებულის ორდენები მისცეს ერეკლესა და სოლომონისათვის და თანაც დააბარეს, ეს ორდენები რაც შეიძლება დიდის ზეიმით გადაეცა მათთვის.

— ისინი ველურები არიან და, ალბათ, არც კი ესმით, რას ლებულობენ, — სიცილით ეუბნებოდა ლოყებ-ჩამოვარდნილი ორლოვი მის წინ სარივით გამოჯგიმულ ლვოვს: — მათთვის ეს მხოლოდ ბრჭყვიალა დილებია, მეტი არაფერი. ამიტომ გადაეცით მის ბრწყინვალეობას გრაფს, რომ დიდი პარადი მოაწყოს. ზარბაზნებიც ისრაოლოს და სხვა ამისთანები.

როდესაც ჩაზინიდან ორი ტყავის ტომარა მოიტანეს, რომლებშიაც თითო-ში ორმოცდაათი ათასი მანეთის ოქრო იყო, ორლოვმა სარკასტიულად წამოიძახა:

— აი ამის ფასი კი იციან. მაგრამ აქ ცოტა ფრთხილი ვიქნებით. მისმა ბრწყინვალეობამ ნიკიტა ივანეს ძემ ხომ გაგაფრთხილა?

— დიალ, თქვენო ბრწყინვალეობაე, — უპასუხა ლვოვმა.

— ძალიან კარგი. თქვენც ჩემის სახელით მოახსენეთ გრაფს, რომ ამ ფულს ნუ გამოუჩენს ნურც ერეკლესა და ნურც სოლომონს. თქვენც არავისთან გაამხილოთ, რომ ეს ფული მიგაქვთ მათთვის გადასაცემად, თორემ ერთ დავიდარაბას ასტეხავენ. ამოდენა ფული მათ, ალბათ, სიზმარშიაც არ უნახავთ და ტოტლებენს შეიძლება ყაჩაღებივით თავსაც კი დაესხნენ. ტოტლებენსაც და მოურავოვსაც უთხარი, რომ ეს ფული ქართველ მეფეებს მხოლოდ მაშინ გადასცენ, როცა ისინი მართლა ფინანსიურ გაჭირვებაში ჩავარდებიან.

მთელი ამ ავლადიდებით დატვირთული ლვოვი, როგორც იყო, ხუთ იანვარს დაიძრა პეტერბურგიდან და მარტის შუა რიცხვებში ძლივს მოაღწია ყიზლარს. ასტრახანამდე მარხილით მოდიოდა, იქიდან ეტლით გამოემგზავრა.

¹ გაგრძელება. იხ. „მნათობი“, №16 4—5, 6, 7, 8.



რადგან კასპიის ზღვა ჯერ კიდევ ვოლგიდან დაძრული ყინულებით იყო დაფარული, ხოლო ველებზე თოვლის ერთი ნამცეციც აღარ იყო. ამ ყინულებზე დიდი გაზაფხული იდგა. ლვოვმა მძიმე ქურტები გაიძროს და გვერდის ფორმაში გამოწყობილი ამყად იჯდა კიბიტკაში. ერთადერთი, რაც მას აწუხებდა, იყო ის, რომ ამ მგზავრობაში ჯამაგირის გარდა ერთი გროში არ გააჩნდა. ჯამაგირიც მოსკოვში გამოვლისას ქალაქის თამაში წააგო და ახლანასებები ფულით უხდებოდა მგზავრობა. გაბრაზებული იმით, რომ ოქროთი გატენილი ტომრები გვერდით ეწყო, ჯიბეში-კი არა გააჩნდა-რა, ათასწიარად სწყევლიდა ბედს. მისი მღვდომარეობა მოითხოვდა, ხელგაშლილად ეცხოვრა და არავის არ ეგრძნო, თუ რა გაჭირვებაში იყო ლეიბ-გვარდიის ოფიცერი. ხშირად იძულებული ხდებოდა თავის მოსამსახურესთან ერთად ეშმიშინა კიდეც.

როდესაც ფუნდუკში შევიდა, რათა სანამ ცხენებს ქერს ჩაუყრიდნენ, თითონ ჩაით მინც გაბერილიყო, გაშლილი სუფრისა და ოფიცრების დანახვზე თვალები სიხარულით აუციმციმდა. ეს სიხარული ოსტატურად გამოიყენა და თავი ისე დაიჭირა, თითქო ჩოგლოკოვის შეხვედრამ გაახარა.

— გრაფ, ნუ თუ თქვენა ხართ? — შეეგება ჩოგლოკოვს. — გამიდრდებით, ველარ გიცანით.

— მოდი, მოდი, ლამაზო, — სტაცა ხელი ჩოგლოკოვმა და სუფრასთან მიიყვანა. — ჯერ ეს არაყი გადაკარი, რომ გუნებაზე მოხვიდე და შემდეგ დაწერილებით მიამბე. რატივე, გაიცანი, გვარდიის ოფიცერი ლვოვი, როგორც მას შეეფერება, თავქარიანი და ჯიბეცარიელი. დაჯექ!

ყველანი ისევ მიდუსხდნენ სუფრას. ჩოგლოკოვმა ლვოვი გვერდით მოისვა და არყით სავსე დიდი ჭიქა მიაწოდა.

— ერთი ეს მითხარი, როდის მოხვედი ყიზლარში? როგორც ვხედავ, შენთვის ფეხზე გამომისწრია. დალიე ეგ ჭიქა, რაღას უცდი?

— ახლავუ, — სტაცა ხელი ჭიქას ლვოვმა და ტუჩზე მიიყუდა.

— აგრე, ყოჩაღ! აი ეგ მიყვარს, — მხარზე ხელის თათუნით უთხრა ჩოგლოკოვმა, როდესაც ლვოვმა იმოდენა ჭიქა უცბად გადაჭკრა. — როგორია?

— არა უშავს-რა, თქვენო ბრწყინვალეზე.

— მართალია, ლიკიორი-ი არ არის, მაგრამ სტომაქი ამას უკეთ ეგუება. ერთი ეს მითხარი, რას ამბობენ ჩემს შესახებ პეტერბურგში? სასახლეში არა გავიგონია რა?

ლვოვს არაფერი განსაკუთრებული არა ჰქონდა გაგებული ჩოგლოკოვის შესახებ, გარდა იმისა, რომ პანინმა უთხრა, სეპარტელოში ჩოგლოკოვი გამგზავრა მოხალისედ და თვალყური ადევნეთ, სისულელე არა ჩაიდინოს-რაო.

ამიტომ ჯერ არც კი იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ არაყმა გასჭრა და პასუხიც თავის-თავად მოაფრინდა ენაზე:

— როგორ არა, თქვენო ბრწყინვალეზე. მისმა ბრწყინვალეებამ გრაფმა პანინმა დამაბარა, განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყარიო.

— განა არ ვიცი, — ემაყოფილებით ჩაილაპარაკა ჩოგლოკოვმა: — პანინი ჰკვიანია. იცის, ვისთან ექნება მომავალში საქმე. კიდევ რა გაიგე? ორლოვს არა უთქვამს-რა?

— არაფერი, თქვენო ბრწყინვალეზე.

— ეგ არაფერი. დიდხანს აღარ დარჩენია სასახლეში ფარშევანგივით სი-

რულის უფლება. თითონაც კარგად იცის, რომ სალტიკოვის ბედი მოკლის. თუ არ მოწამლეს, ღმერთს მადლობა შესწიროს.

— ერთი ეს მითხარით, თქვენო ბრწყინვალეზავ, — ჰკითხა ლოკოვის: — რატომ დაყოვნებულხართ გზაში? მე უკვე საქართველოში შეგონეთ ჩასული.

— ავად ვიყავი, ჩემო კარგო. ყიზლარში მთელი თვე მომიხდა ამის გამო შეჩერება. მერე და მამულები გავეიდე, ფული უნდა მომსვლოდა და იმას ველოდებოდი.

— მამულები? რატომ?

— ეჰ, ჩემო კარგო, დიდი გემის ხვედრი დიდი ცურვია. მე ან ეშაფოტზე ავალ, ან ტახტზე.

— როგორ?

ლეოვი, მართალია, უკვე საქაოად გაბრუებული იყო არყით, მაგრამ ჩოგლოკოვის უკანასკნელმა ფრაზამ უცბად გამოაფხიზლა. შიშით მიმოიხედა, ჯერ რატიევს შეხედა თვალებში და მხრების აწევით მუნჯურად ანიშნა, ეს რას მიედ-მოედებო, მერე ნაზაროვს გადახედა.

— შენ რა გიკვირს, აქეთ-იქით რომ იხედები? — ოდნავ გულმოსულმა უთხრა ჩოგლოკოვმა: — ნუ თუ გაგებულეც არა გაქვს, ვისთან ლაპარაკობ? არყით ჭიქა აავსო, გადაჰკრა და ისევ განაგრძო:

— თუ არ იცი, ბარემ ახლავე იცოდე. შენ წილად გხვდა ბედნიერება ესა-უბრებოდე რუსეთის კანონიერ ტახტის შემკვიდრეს, რომელსაც ბედმა უბრალო ოფიცრობა არგუნა.

ახლა უკვე რატიევიც გაოცდა. ლოკოვს კი ისეთი თავზარი დასცა ჩოგლოკოვის მიერ თავის-თავის ტახტის შემკვიდრედ გამოცხადებამ, რომ ყოველგვარ შორიდებს თავი ანება და პირდაპირ მიახალა ამ თავხედ ოფიცერს:

— თქვენ, მგონი, გაგიყვებულხართ!

— სრულიადაც არა, ჩემო კარგო.

— მაშ რასა ბოდავთ! — გულმოსულად შეუტია ლოკოვმა. — მე ერთადერთი ტახტის შემკვიდრე ვიცი: პავლე პეტრეს ძე.

— ჰა, ჰა, ჰა! — გულიანად გაღიხარხარა ჩოგლოკოვმა. — რა გულბრყვილო ჩერჩეტი ვინმე ყოფილხარ, ჩემო კარგო. თუ მაგის მეტი არა იცი რა, შორს ვერ წახვალ.

— შე მგონია, ცოტა აჭარბებთ, — ღიმილით უთხრა რატიევმა ჩოგლოკოვს. — წედანაც თქვენი თარჯიმანი შეუბნებოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე.

— მოითმინეთ, ნუ ღელავთ, რა საჭიროა წინასწარი აღლევება. თითო გადავკრათ და ყველაფერს გავარკვევთ, — დაამშვიდა ჩოგლოკოვმა ოფიცრები. — მაშასადამე, თქვენ ამაში ეჭვი გეპარებათ?

— არა თუ ეჭვი მეპარება, მე გიკრძალავთ კიდევ ასეთ ლაპარაკს! — მკვახედ მიუგო ლოკოვმა.

— მოიცა. ეს გადაჰკარი, — მიაწოდა სავსე ჭიქა ჩოგლოკოვმა. — შენ ხომ არა გგონია, გული მომდიოდეს?! სრულიადაც არა, პირიქით, გაქვბ, ჩემო კარგო. ოფიცერი ფიცის ერთგული უნდა იყოს, მაგრამ ცოტა დაკვირვებაც უნდა გქონდეს. პრეობრაჟენსკის პოლკის ლეიბ-გვარდიის ოფიცერს მეტი წოდებობევა. ნუთუ არ იცი, რა საიდუმლოებება სასახლეში მას შემდეგ, რაც დიდი პეტრე გარდაიცვალა და ტახტს რიგრიგობით დედაკაცები დაეპატრო-

ნენ? ამაზე, ალბათ, ისტორია იტყვის თავის სიტყვას. იტყვის და ყველაფერს დღის სინათლეზე გამოიტანს. თუ ბედმა ტახტის ნაცვლად ეშაფოტზე დასვა მარგუნა, იმასაც იტყვის, რომ პეტრე დიდის პირდაპირი შთამომავალი მხოლოდ პოლკოვნიკი ჩოგლოკოვი იყო... არა, დაიცათ. თქვენ გინდათ, დაგიმტკიცოთ ჩემი ვინაობა? ახლავე!

ჩოგლოკოვი ზეზე წამოიჭრა, კუთხეში მიწყობილ თავის ბარგიდან ერთი ჩემოდანი აიღო, მაგიდაზე დასდო და თავი ახადა. დამსწრეებმა ცნობისმოყვარეობით ჩიხედეს ჩემოდანში. მთელი ჩემოდანი საესე იყო ძვირფასი თვალმარგალიტით და ოქროს ნივთებით. ერთმანეთში ჩახლართულმა თბილის სიმსხო მარგალიტის გულჭანდებმა, ალმასის თვლიანმა ოქროს სამაჯურებმა, დიადემებმა, ოქროსავე ლარანკებმა, სათუთუნეებმა, მედალიონებმა და ათასგვარამა ნივთებმა ზღაპრულად ამოანათეს ჩემოდნის სიღრმეში.

ჩოგლოკოვი დამცინავი ღიმილით შესცქეროდა ყველას, როდესაც დაინახა, რომ ამოდენა განძის დანახვამ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, ვიდრე მისმა მტკიცებამ შთამამავლობის შესახებ. მართალია, რატიევი გულგრილი გაკვირვებით დასცქეროდა ამოდენა სიმდიდრეს, ხოლო ლეოვი და განსაკუთრებით ნაზაროვი თრთოლვით, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც უღიღესი იყო.

— აქ მართლაც, უთვალავი განძია! — წამოიძახა რატიევმა. — მგონი, ერთი სამეფო კიდეცაც იყიდოთ, თუ დაგჭირდათ.

— რად გინდათ, ეს ამოდენა განძი საქართველოში რომ მოგაქვთ, თქვენო ბრწყინვალეებო? — ხმის კანკალით ჰკითხა ლეოვმა ჩოგლოკოვს.

— კმ, არა თუ ეს განძი, მთელი მამულები გავეყიდე და მისი ფულიც აქ უნდა მომივიდეს. თქვენ გეგონათ, რომ მე სიტყვებს ჰაერში ვისვრი და ქარს ვატან? არც ისეა საქმე, ბატონებო. გინდოდათ საბუთი? განა დედა ჩემი რომ პეტრეს დისწულია, ეს არ იყო საკმაო საბუთი თქვენთვის? განა ჩენი დედოფალი დედიჩემის გამზრდელი არ არის? ნუთუ ესეც არ იცოდით, კაპიტანო? საბუთი გინდათ? აი საბუთი.

ჩოგლოკოვმა ჩემოდნიდან ოქროს სათუთუნე ამოიღო, რომელიც ალმასის თვლებით იყო მოოჭვილი. გახსნა და ოფიცრებს უჩვენა შიგნით ერთ მხარეზე ამოკვეთილი წარწერა:

„შევსთხოვ უფალს, რათა ბედნიერ ჰყოს
მემკვიდრე ჩენი ღვთივ მოწოდებული
მმართველად ქვეყნისა, ამინ“.

მეორე მხარეზე ეწერა:

„გრაფინია ჩოგლოკოვას მისი ვაჟის
დაბადების გამო“.

ლეოვმა ამოკითხა წარწერა და სათუთუნე რატიევს გადასცა. იმან კიდეც მახაროვს, რომელმაც წარწერას სხვათა შორის დახედა, სათუთუნე ხელში ასწონა და წამოიძახა:

— რამ სიმძიმეა, ასი თუმანი მაინც ეღირება!

— ჩემთვის ეგ ასი თუმანი კი არა, ასიათასი ღირს, — შენიშნა ჩოგლოკოვმა და გამარჯვებული სახით გადახედა ყველას.

ლეოვი მართლა შეაფიქრინა ამ ამბავმა და თითქმის დაიჯერა ჩოგლოკოვის სიტყვებში. რატიევს, პირიქით, არაფერი არა სჯეროდა. მაგრამ გარეგნუ-

ლად არ გამოუმეტლავნებია თავისი ფიქრები და ისეთი სახე მიიღო, თითქო დარწმუნებული იყო, რომ მის წინ მართლა ტახტის მემკვიდრეა. „ეს ან ნამდვილი ავანტიურისტია, ან სასახლის ინტრიგების მომავალი მსხვერპლი, — გაიფიქრა რატიევმა. — მაგრამ შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში ამის გამოყენება. ჯერჯერობით მგონი სჯობია, რომ დაეუ-ჯეროთ“.

ჩოგლოკოვმა ჩააგდო პორტიგარი ჩემოდანში, თავი დაახურა და კუთხისკენ უღარდელად გადაისროლა. მერე დაჯდა, ჭიქა აავსო და სხვებსაც დაუსხა.

— თუ ეშაფოტზე მოგხვდე, კმაწვილებო, მაშინ ჩემი შესანდობარი მინც დალიეთ. ახლა კი ჩვენს მომავალ მგზავრობას გაუშარჯოს!

— გაუმარჯოს! — აფუსფუსებული მლიქვნელობით წამოიძახა ლვოვმა და თავისი ჭიქა ჩოგლოკოვის ჭიქას მიუჯახუნა.

იმ დღეს სამივენი ისე გაიბრუნენ არყით, რომ იძულებულნი გახდნენ ღამე ფუნდუკში გაეთიათ. მეორე დღეს სამივენი გაემგზავრნენ მოზდოკისაკენ. გზაში ლვოვი განსაკუთრებით ცდილობდა დამსახურებინა ჩოგლოკოვის ყურადღება და ათასგვარი ანეგდოტებით ართობდა.

ერეკლე ბატონი სურამიდან ქვიშხეთს წავიდა და თავისი ჯარით იქ დაბანაკდა. ტოტლებენი სურამში დარჩა.

ორი რამ აფერხებდა დაუყოვნებლივ ლაშქრობას. ჯერ ერთი, საჭირო იყო მტკვარზე ხიდის აგება და მეორე, რაც მთავარი იყო, არც ქართველთა ლაშქარი და არც რუსები სურსათით არ იყვნენ მომარაგებული.

ერეკლემ ისარგებლა აღდგომის მოახლოვებით და თავისი ლაშქრიდან სამიათასი კაცი გაგზავნა სურსათის მოსამზადებლად. ხიდის შენებასაც მაშინვე შეუდგა. ძველი ხიდი ჩაქეუული იყო და მხოლოდ გაღმა-გამოღმა დულაბით ნაშენი ბურჯები იდგნენ მტკიცედ. ოსტატებმა იქვე მოსჭრეს სანთლებივით სწორი ნაძვის ხეები, სწრაფად გაათალეს სახიდე ისრები, და დიდ ხუთშაბათს საკმაოდ ფართო ხიდი უკვე მზად იყო.

იმვე დღეს სარქარდარებმა მოახსენეს მეფეს, სურსათზე გაგზავნილი რაზმების მობრუნება და მათ შიერ საკმაო სურსათის მოზიდვა. გამომცხვარი პურის გარდა, ფჭვილიც ბევრი მოეტანათ. ერეკლემ ბრძანა, რაც რუსებს ლაშქრობაში სურსათი დასჭირდებოდათ, ახლავე მთლიანად გადაეცათ მათთვის. ამასთან ტოტლებენს შეუთვალა, რომ ლოდინი შეუძლებელი იყო და პარასკევს დილით სალაშქროდ დაეძრა ჯარი.

მოურავოვი თითონ წავიდა სურამს გრაფისათვის ერეკლეს ბრძანების გადასაცემად. მაგრამ საღამოთი უკანვე მობრუნდა და მეფეს სასიხარულო ამბავი მიუტანა. ტოტლებენმა პეტერბურგიდან კაპიტან ლვოვის ხელით დედოფლის წყალობის სიგელები და ანდრია პირველწოდებულის ორდენები მიიღო თქვენთვის. მოსართმევეალო.

ტოტლებენი სთხოვდა ერეკლეს, ამის გამო ლაშქრობა ხუთი დღით კიდევ გადაედო, რადგან საჭირო იყო ორდენების გადაცემის ცერემონიალისათვის მომზადება. სწორედ აღდგომაც კარზე იყო მომდგარი და უმჯობესი იყო ამ ბედნიერ დღესასწაულზე მიეღო მეფეს ეს ძვირფასი ჯილდო.

ერეკლე კვლავ შეაფიქრინა ლაშქრობის გადადება, რადგან ისევ საჩუქნავი ხდებოდა ჯარის მომარაგება. ჯერ მტრის მიწაზე ფეხი ვერ დადგმული, ხოლო ქართლის საზღვართან დაბანაკებული ამოდგნისა შიშით შიშით ნთქავდა აუარება ხორავს. ახლომასლო სასყიდლად უკვე არაფერი იშოვებოდა და არც ხარკის გაწერით იყო შესაძლებელი რაიმე მოგროვებულობა. ვარე-კახეთიდან და ქართლის შუაგულიდან საკმაო სურსათის მოზიდვას დიდი დრო სჭირდებოდა. ძალიანაც რომ მოესურვებინათ, დღეში ას კოდზე მეტს ვერ მოზიდადენენ, ხოლო ლაშქარს ასოცი კოდი სჭირდებოდა დღეში. მტრის მიწაზე კი ამაზე ზრუნვა სრულიადაც არა სჭირდებოდა, რადგან დასადაც გაშვებულ თარეშს იმდენი ზორბალი მოჰქონდა და იმდენ საკლავს მოერეებოდა, რომ ათ ამოდენა ჯარს შეინახავდა.

ახლა სურსათი ისე იყო გამოზომილი, რომ ერთი დღის დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. ერეკლემ მუშრბები იხმო, კიდევ იანგარიშეს, ასწონ-დასწონეს და კარგა ხნის თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: რუსის ჯარი როგორმე უზრუნველყოთ ახალციხის საფაშოში შეჭრამდე, ქართველი ჯარი-კი გაეფრთხილებინათ, პური დაეზოგათ და მეომრებისთვის პურის ნაცვლად თეთრი დაერიგებინათ. ამ ფულით ქართველები ადვილად მოახერხებდნენ ახლომასლო სოფლებში პურის ყიდვას.

ლაშქრობა გადაიდო, თუმცა ერეკლეს ძალზე უჭირდა დასტური მიეცა. მისთვის გაუგებარი იყო, რატომ აქიანურებდა ტოტლებენი ლაშქრობას. გარეგნულად თითქო არსებობდა საკმაო მიზეზები, რაც აფერხებდა დაუყოვნებელი მოქმედების დაწყებას, მაგრამ აშკარა იყო, რომ ტოტლებენი განგებ ეძებდა მიზეზებს, რათა გაეკიანურებინა ახალციხისკენ წასვლა.

ამ ფიქრებში იყო გართული ერეკლე, როდესაც ეზოს მოძღვარმა მოახსენა, რუსი ოფიცრები გახლნენ და თქვენი ნახვა სურთო. ერეკლესთან ზშირად დადიოდენ ოფიცრები, რომელთაც მეფე ყოველთვის პატივისცემით იღებდა, გულიად ესაზრებოდა და ხშირად სუფრაზედაც იწვევდა. ახლაც უბრძანა ეზოს მოძღვარს, მიეყვანა ისინი, თანაც ეხმო დავით სარდალი, ლეონ ბატონიშვილი და მორიგე მდივანი.

მოურავოვმა უხერხულად ჩასთვალა კარავში დარჩენა, რადგან იცოდა, რისთვისაც მიდიოდნენ რუსი ოფიცრები მეფესთან და სთხოვა ერეკლეს, მიეცა მისთვის უფლება, რომ ამ მიღებას არ დასწრებოდა.

ერეკლემ დასტური ჰყო. მოურავოვმა სამეფოს კარავის დასავლეთის კალთა გადასწია და გარეთ გავიდა.

ოფიცრები ეახლნენ მეფეს და სამხედრო სალაში მისცეს. ჩოგლოკოვის და ნაზაროვის გარდა, რომელთაც ერეკლე პირველად ხედავდა, დანარჩენებს ყველას იცნობდა. იქ იყვნენ მაიორი რემენნიკოვი, კაპიტანი პლატოვი, პორუჩიკი დეგრალოე და შტაბ-ოფიცერი ზუბოვი.

რემენნიკოვმა წარუდგინა ერეკლეს ჩოგლოკოვი და მოახსენა, რომ ეს ოფიცერი მოხალისედ არის წამოსული თქვენს დასახმარებლადო.

ნაზაროვმა გადაუთარგმნა მეფეს, თანაც დასძინა:

— ამის ამბავს, თქვენო უმაღლესობავ, ცალკე მოგახსენებთ.

ერეკლეს გაუკვირდა, რუს ოფიცრებში ქართულის მცოდნე ოფიცერი რომ დაინახა და ჰკითხა:

— შენ საიდან იცი ქართული?

— აქაური გახლავართ, მეფეე ბატონო, — უპასუხა ნაზაროვმა. — მამა ჩემს

ერთ ღროს მამათქვენთან, ნეტარხსენებულ თეიმურაზთან უმსახურნია, მერე მოზღოვში გადასახლებულა... მე მაშინ ბაღლი ვიყავი. იქ რუსეთს წამოვიყვანი შეველ. ახლა ბედმა ისევ თქვენთან ხლება მარგუნა. დამტოვა თქვენი წყალობა ნუ მომაცლოს!

ერეკლეს რაღაც უნდოდა ეპასუხხა, მაგრამ ამ ღროს კარავში შევიდნენ ლონ ბატონიშვილი, დავით სარდალი და ბესიკი. სამთავემ დაბლა დაუტრეს თავი მეფეს და შემდეგ ოფიცრებს მიესალმნენ.

მეფემ სთხოვა ყველას, კარავში გაშლალ ხალიჩაზე დამსხდარიყვენ და თითონაც ფეხმოკეცილი დაჯდა, სპარსულ ყაიდაზე. ხელში კრილოსნით და თავზე თეთრი დოლბანდიანი ქუდით ერეკლე გარეგნობით უფრო სპარსეთის მბრძანებელს ჰგავდა, ვიდრე ქართველთა მეფეს.

რუს ოფიცრებს ყოველთვის უპირდათ ფეხმოკეცილი ჯდომა. მათ ირმის ტყავის თეთრი შარვლები ეცვათ, რომლებიც ისე ჰქონდათ თეძობზე შემოკიშული, რომ შეუძლებელი იყო მუხლების მოხრა. გარდა ამისა, ჩექმებზე დამაგრებული ღებები შეუძლებელს ხდიდა ფეხმოკრეფით ჯდომას. ამიტომ ისევ გვერდელად უნდა დამჯდარიყვენ, ნახევრად მხართეძოზე წამოწოლილი. ჩოგლოკოვმა კარგა ხანს იტრიალა, სანამ მოხერხებულად დაჯდომას შესძლებდა.

ბესიკმა საწერ-კალამი მოიმარჯვეა, რომ თუ საჭირო იქნებოდა, ყველაფერი ჩაეწერა, რასაც უბრძანებდნენ.

— დავით, მოახსენე ოფიცრებს, რომ მე მზადა ვარ მოვისმინო მათი საუბარი, — უთხრა ერეკლემ სარდალს, თან თავის მარგალიტის კრილოსანს მარცვლიდა.

დავითმა უღვაწზე ხელი გადაისვა, ერთ წუთს ჩუმად იყო, თითქო არ იცოდა, როგორ დაეწყო მათთან საუბარი და დაფიქრებული დასცქეროდა საუცხოვოდ ნაქარგ ქირმანის ხალიჩას.

— ბატონო ოფიცრებო, — მიმართა ბოლოს დავითმა რუსულად ოფიცრებს, — მეფე ვახოთ მოახსენოთ, რაც გსურთ რომ უთხრათ.

— თქვენო აღმატებულება, — მიმართა რემენნიკოვმა დავითს, — მე ერთხელ კიდევაც მოვახსენე მის უმაღლესობას, რომ თუ ჩვენ გადამტრელი ზომები არ მივიღეთ, ეს პირველი შემთხვევა იქნება რუსი ხალხის დიად ცხოვრებაში, როდესაც შეიძლება ჩვენს სახელოვან მხედრობას სირცხვილი აჭამონ. ჩვენ ვამტყიცებთ, რომ გენერალი ტოტლებენი ბოროტმოქმედი. მე ბრძოლაში ნაკადი ოფიცერი ვარ და ჩემი თანამებრძოლი მეგობრებიც ნაწრობები არიან. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით სამხედრო მოქმედების მთელი საიდუმლოება. გენერალმა ტოტლებენმა ტოპოგრაფები დაგზავნა თქვენი სამეფოს ციხე-სიმაგრეების შესასწავლად. ჩვენ შთაბეჭდილება გვჩვენა იმისა, რომ მას თქვენი ქვეყანა უფრო იზიდავს, ვიდრე ახალციხეს გალაშქრება. ახლა ცნობებს აგროვებს თქვენს ციხე-სიმაგრეებზე, სად რამდენი ზარბაზანი დგას. თუ ჩვენ აქ თურქებთან საომრად ვართ მოსული, მაშინ ჩვენ ახალციხის საფაშოს სამხედრო შესაძლებლობას უნდა ვსწავლობდეთ. ამაზე-კი მას სრულიად არ უფიქრია.

დავითმა გადაუთარგმნა ერეკლეს, რაც რემენნიკოვმა სთქვა.

ერეკლემ მოისმინა ყველაფერი და პასუხი არ გასცა. დაფიქრებული მარცვლიდა კრილოსანს.

— დღეს ოფიცრებს სასტიკი საყუდური გამოგვიცხადა. დაპატიმრების

მუქარით აგვიკრძალა თქვენთან მოსვლა, — განაგრძო რემენნიკოვმა, — ყა-
კითხავია, რატომ? თუ ჩვენ მეგობრები ვართ, განა რა არის *ფრედხენსკი*,
რომ რუსი ოფიცრები ქართველთა მეფეს ესტუმრონ. თქვენო *ბუნდლანტსმასტერ*,
ჩვენ აქ ყოველ ოფიცერს და ჯარისკაცს ჩვენი დედოფლისათვის სისხლო
გვიღვრია და მრავალ ომში გვიბრძოლია, ჩვენი ქვეყნის ერთგულებაში არა-
ვის ეჭვი არ შეუტანია და ახლა ეს ოსტრეელი გერმანელი, იმისთვის რომ
ჩვენ ქართველთა მეფეს პატივისცემით ვეპყრობით, რუსეთის მოღალატეებს
გვიწოდებს. ხმალში გაიწვევდი, მაგრამ არ გამოიყვება.

— იმიტომ რომ ავანტიურისტია, — წამოიძახა დეგრალიემ.

— როგორაო? — იკითხა ერეკლემ, როდესაც დავითმა სიტყვა ავანტიურისტი-
ტი არ გადასთარგმნა და ისევე მოახსენა, როგორც წარმოითქმოდა.

— ესე იგი... — შედგა დავითი, — მოგახსენებთ რომაო... ავანტიურისტო...
ანუ კაცი, რომელიც ცუდის განზრახვებით ეძიებს სახელისა და ქონების მო-
ხვეჭას.

— აჰა, მესმის! — წამოიძახა ერეკლემ და ისევე განაგრძო კრიალოსანის
მარცვლა.

— ჩვენ პირად წყენას მის მიერ გავუძლებდით, — განაგრძო რემენნიკოვ-
მა, — მაგრამ მისი მოქმედება თქვენს მიმართ, გარეგნულად თითქო მეგობ-
რული, სულ სხვას ამჟღავნებს. აქამდე გალაშქრებას იმისთვის აკიანურებდა,
რომ სურსათის ნაკლებობას იმიზეზებდა. ახლა სურსათი მივიღეთ და ლაშქ-
რობა მაინც ხუთი დღით გადასდო, რატომ? ეშმაკმა იცის იმისი თავი. განა
ცხადი არ არის, რომ ლაშქრობის დაყოვნებამ შეიძლება დამღუპველი შედეგი
გამოიღოს? მთებში იღალის მოძრაობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ჯარ-
მა სურსათი მტრის მიწაზე უნდა მოიმარაგოს. ეს ბავშვისათვისაც კი ცხადი
ქეშმარიტებაა. ამიტომ რაც უფრო მალე შევიჭრებით მტრის მიწა-წყალზე,
მით უფრო ადვილი იქნება იმ დიდი ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც ჩვენსა
და თქვენს ქვეყანას ვალად აღევს. ჩვენ რუსეთის სახელოვან იარაღს ვერ შე-
ვარცხვენთ. ამისათვის გადაწყვიტეთ, თქვენო უმაღლესობაგ, ტოტლებენს
დავატუსალოთ და სანამ დედოფალი ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში
დარწმუნდებოდეს, თქვენი მფარველობა ვითხოვთ.

— ეგ შეუძლებელია, ბატონებო, — უბასუხა ერეკლემ.

ოფიცრებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. ჩოგლოკოვს სურდა რა-
ღაც ეთქვა, მაგრამ ერეკლემ ხელით ანიშნა შეჩერებულყო და განაგრძო:

— ტოტლებენს ისეთი არა ჩაუდენია-რა თქვენსა და ჩემს მიმართ, რომ
მისი დატუსალება გააბათიონ. თუ თქვენ გადაწყვეტილებას არ გადახვალთ, ეგ
თქვენი საქმეა, მე ვერც გირჩევთ და ვერც დაგიშლით. ჩემი ერთგულებისა-
თვის მაღლობა მომიხსენებია, მაგრამ მე ხომ თქვენი შეთქმულების თანამო-
ნაწილე ვერ გავხდები. ერთი იარაღის გულისათვის რუსეთის დედოფალს
მტრად ვერ მოვიკიდებ. ტოტლებენის დანიშვნა და მისი დათხოვნა მხოლოდ
დედოფლის უფლებაა. ამიტომ მე თქვენს კანონს ვერ დავარღვევ.

— ეს არ იქნება, თქვენო უმაღლესობაგ, კანონის დარღვევა, — შეედავა
რემენნიკოვი, — ქვეყნად ბოროტება რომ არ ყოფილიყო, არც კანონების და-
წესება იქნებოდა საჭირო. კანონი ბოროტებას ზღუდავს და არა სიკეთეს. იქ-
ნებ ოდესმე ჩვენი მგაფლითის საფუძველზე ახალი კანონი დაიწეროს, რომ
თუ სარდალი განზრახ რაიმე უკეთობას ჩადიოდეს, ოფიცრებს უფლება მიე-
ცეთ დაატუსალონ იგი და სამართალში მისცენ.



ერეკლემ გაიცინა:

— ასეთი კანონი არასოდეს არ დაიწერება, რადგან მაშინვე დაიწყებოდა იქნებოდა, შეილო ჩემო, ქვეყნისა და ლაშქრის მართვა. ჩემი ჯარისკაცები ზრახვებზე ხელი აიღოთ. ჯერ ერთი, საქართველოში მბრძანებელი მე ვარ და თქვენი სარდალი უჩემოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს. მე კი მენდეთ, რომ მას სწორედ ვატარებ. თქვენი ერთგულება იმედს მაძლევს, რომ კიდევაც თუ ისურვა ზურგში დანა დამცეს, ამას ვერ მოახერხებს. ვარდა ამისა, დედოფალს ჩემთვის ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბოძებია, აღდგომას ტოტლებენმა უნდა მომართვას. აბა რას იფიქრებს მისი უდიდებულესობა დედოფალი, როდესაც ამ ამბებს გაიგებს? მე თქვენ ვერ გიბრძანებთ, მხოლოდ მამაშვილურად ვთხოვთ, ამარადლოთ ის დიდი უთანხმოება, რაიცა შესაძლებელია ჩვენსა და მისი უდიდებულესობას შორის ჩამოვარდეს.

— თქვენო უმაღლესობაე, ჩვენ მზადა ვართ შევასრულოთ არა თუ თქვენი თხოვნა, არამედ ყოველი ბრძანება. მხოლოდ ტოტლებენის მიმართ ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია *Alea jacta est*, იულიოს კეისრის თქმისა არ იყოს. არჩევანი უკვე გადაწყვეტილია, მხოლოდ ჩვენ მას დავატუსალებთ მას შემდეგ, როცა ის უმაღლესს ჯრღლოს გადმოგცემთ. ამის შემდეგ თქვენი პიროვნება სრულიად ხელშეუხებელი იქნება, — მოახსენა რემენნიკოვმა.

— თქვენო უმაღლესობაე, — წამოიჭრა ზეზე ჩოგლოკოვი, — ვცისრულობ ჩემს თავზე მთელს პასუხისმგებლობას. ტახტის მემკვიდრის პავლე პეტრესძის შემდეგ, მემკვიდრეობის კანონის მიხედვით, მე ვახლავართ კანონიერი მოცილე რუსეთის ტახტისა. დედოფალმა პირადად გამომავაზენა საქართველოში განსაკუთრებული დავალებით. ახსნა-განმარტებასაც მე მოვასწენებ, ასე რომ თქვენ არაფერს შეაში იქნებით. სანამ ეს ამბები პეტერბურგამდე მიადწევდნენ, ჩვენ, უეჭველია, თურქებზე ვავიშარჯვებთ და, როგორც მოგვსენებათ, გამარჯვებულებს არა სჯიან.

ერეკლემ რაღაც წასურჩულა დავითს, დავითმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ოფიცრებს მიმართა:

— ბატონებო, მეფე კვლავ გიმეორებთ თავის თხოვნას და თანაც დასძენს, რომ მოხარული იქნება, ხვალ კიდევ განაგრძოს თქვენთან საუბარი. ახლა მის უმაღლესობას სურს ცალკე ესაუბროს ბატონს ჩოგლოკოვს. ბესიკ, გააცილე ბატონი ოფიცრები.

ოფიცრები წამოიშალნენ, მეფეს დაბალი თავის დაკვრით გამოეთხოვნენ და კარავი მიატოვეს. ნაზაროვს სურდა ჩოგლოკოვთან დარჩენა, როგორც მის პირად თარჯიმანს, მაგრამ ბესიკმა თავაზიანად მიუთითა კარავის კალოთებისაკენ და ისიც იძულებული გახდა სხვებთან ერთად გარეთ გასულიყო.



ოფიცრებმა სურამში დაბრუნება გადასწყვიტეს. არც ჩოგლოკოვს დაუცია და სამხარზედაც უარი განაცხადეს. აქჯერად სჯობდა კვლავ არ მიექციათ ტოტლებენის ყურადღება. ცხენები მოითხოვეს და მაშინვე გაუდგნენ გზას თავიანთი ბანაკისაკენ.

ნაზაროვი მათ არ გაჰყვა, ჩოგლოკოვს დაელოდა და ბესიკთან მუსაიფი გააბა.

ბესიკი ფიქრებით იყო შეპყრობილი. ნაზაროვის ლაქლქს ვერც დადებდა და მის კითხვებზე მარტო პოთი და არათი უპასუხებდა. ბოლო კარუს მომხდარმა ამბებმა საგონებელში ჩააგდო ბესიკი. ისევ მოაზრებულად ნაამბობი ახალციხის ფაშასთან მიწერილი ბარათის შესახებ და ეპიკურა შეიპყრეს. ახლა მისთვის თითქმის ცხადი იყო, რომ ტოტლებენი სულ სხვაგვარ კავშირს აბამდა ახალციხის ფაშასთან და საშინლად ნანობდა, რომ მაშინვე არ დაედევნა თურქ შიკრიკს. თუნდაც სიცოცხლის ფასად, ის ბარათი ხელში უნდა ჩაეგდო და ბატონისთვის მიერთმია. მაგრამ ახლა გვიან იყო ამაზე ფიქრი და თავში ხელის ცემა. ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა როგორმე რეინგვის გამოტეხვა. ეს ცრუბენტელა ექიმი ისევ ტოტლებენის ბანაკში იმყოფებოდა. მართალია, სახადით იყო შეპყრობილი და ტოტლებენის ბრძანებით მას არავის აკარებდნენ, მაგრამ ბესიკს შეეძლო მოემიზებებინა ვითომ მეფის დავალებით მიდიოდა მასთან მოსანახულებლად და უარს ვერ ეტყოდნენ.

სანამ ჩოგლოკოვი მეფესთან საუბრობდა, ბესიკმა მოსტენა სოლომონ ლეონიძე და თუმცა სოლომონის შორიგეობის ჯერი არ იყო, სთხოვა სანამ სურამს შივილიდა, მისი მაგიერობა გაეწია. შემდეგ სახლთუხუცესისაგან წასვლის ნებართვა აიღო და როდესაც კარგახნის ლოდინს შემდეგ მეფის კარავიდან აღფრთოვანებული ჩოგლოკოვი გამოვიდა, ბესიკმა ნაზაროვის პირით სთხოვა მეც სურამს მოედევარ და ნება მომეცით თქვენთან ერთად წაშოვიდე, რადგან რუსთა ბანაკზე მხოლოდ იმას ატარებენ, ვინც პირდაპირ ტოტლებენთან მიდის, მე-კი ქალაქში შიკრე საქმე მაქვსო.

ჩოგლოკოვი დასთანხმდა, ბესიკს მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა და ნაზაროვს უთხრა:

— რა მშვენიერი ვაეკაცი სჩანს ეს ყმაწვილი. ალბათ, მეფის შთაბამელი იქნება. უთხარი, ჩემს გვერდით ატაროს ცხენი.

ბესიკმა მადლობა მოახსენა.

ჯილადარებმა ცხენები მიიყვანეს, ჩოგლოკოვი მარდად მოველო თავის ბედაურს და მთელი ამალის თანხლებით გაემგზავრა სურამისაკენ. მას იმ ამალის გარდა, რომელიც პეტერბურგიდან ახლდა, მოზლოკში კიდევ ორმოცდაათი ჰუსარი მიემატა. რატომღაც კავკასიის ხაზის სარდალმა გენერალმა მეღმმა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა ჩოგლოკოვის მიმართ და მოზლოკის კომენდანტს ყიზლარიდან ესტაფეტით ბარათი გაუგზავნა, დაუყოვნებლივ ეახლებინა ჩოგლოკოვისთვის ჰუსართა რაზმი.

უკვე ბინდებოდა, როდესაც მათ რუსის ჯარის ავანპოსტები გაიარეს და სურამში შევიდნენ. სურამის ციხე თავისი მაღალი კოშკით და ქონებულებიანი კედლებით მაღალ კლდეზე ამართული ამჟამად არწივივით დასცქეროდა გარშემო წიწილებივით შემოსეულ ქოხებსა და საყდრებს.

როდესაც ქალაქში შევიდნენ, ბესიკი გამოეთხოვა ჩოგლოკოვს და კათოლიკე მისიონერების სადგომისაკენ გაემართა, რადგან რეინგვი იმათ ქსენონში იმყოფებოდა.

ქსენონი ერთ პატარა ქოხში იყო მოთავსებული. ბესიკი ცხენიდან გადმოხტა და მიმოიხედა. ეზოში არავინ არა სჩანდა. ცხენი სადავით აივნის სვეტზე მიაბა და თითონ აივანზე ავიდა. დამახეხა ან კარის დაკაქუნება ზედმეტად ჩასთვალა, პირდაპირ შეიღო კარი და მიმოიხედა.

ოთახში კრაჭი ენთო, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო დაღამებული და დღის სი-

ნათლუ კიდეც აღწევდა ქალაღ-აგრულ ფანჯარაში. ბესიკმა ის იყო დაინტერესოლოგინში შწოლოარე რეინეგსს მისალმებოდა, რომ უხებურად ერთ აღტრალს გაშეშდა, რადგან შეამჩნია, რომ ლოგინში ორი აღამიანი იწვა. იმანტისწინაშე. გინგლიწინაშე. ეძინათ, რადგან ბესიკის ოთახში შესვლა არ გაუგიათ.

ბესიკი სწრაფად გაბრუნდა გარეთ, კარები გაიხურა და შემდეგ შაგრაღ დაბრახუნა.

არავინ ხმას არ იღებდა.

კიდეც დაბრახუნა და ყური დაუგღო.

ოთახში ჩურჩული გაისმა. შემდეგ რაღაც გაბრახუნდა, კარები ოღნავ გაიღო და ღრიტოში შემკრთალი რეინეგსის სახე გამოჩნდა.

— ოჰ, ბესიკ, შენა ხარ? — შვებით ამოისუნთქა რეინეგსმა და კარები ფართოდ გააღო. — შემოდი, მე ვიღაც სხვა მეგონა.

— მეგონი, შენ შარტო არ უნდა იყო, — უთხრა ბესიკმა.

— შემოდი, არა უშავს-რა, შენ შინაური ხარ, — უთხრა სიცილით რეინეგსმა და ლოგინისაკენ გაიქცა, რადგან საცვლების ამარა იყო და შესცივდა.

ბესიკი ოთახში შევიდა. ლოგინის კუთხეზე ჩამოშვდარმა დედაკაცმა შაშინვე ჩადრი აიფარა და მერე ისე უღარდელად დაიწყო ჩაცმა, თითქო არაფერი მომხდარიყოს.

— დაჯექ, ამისი ნუ გერიღება, ეს ახლავე წავა, — უთხრა რეინეგსმა, საბანი შეისწორა და მხართუძოზე წამოწვა. — თუ ამალამ ჩემთან სტუმრობას აბირებ, არ მოგაწყენ, ამას მეორეს მოვაცუანიებ...

ბესიკმა არაფერი უპასუხა. ელოდა, სანამ ქალი ჩაიცვამდა და ოთახს დასტოვებდა. მერე საფუხა სკამი მონახა, ჩამოჯდა და რეინეგსს ჰკითხა:

— შართლა სახადით იყავი ავად?

რეინეგსს არ მოეწონა ბესიკის კილო და მოიღუშა. იგრძნო, რომ რაღაც მოხდა.

— განა საკითხავია, — უპასუხა რეინეგსმა. — ვიყავ და ვგრე!

— არ გეტყობა, — მკვახედ მიახალა ბესიკმა, — ფერზედაც კარგადა ხარ და...

ბესიკმა თვალებით კარებისკენ ანიშნა, ეს ქალიც, ახლა რომ გარეთ გავიდა, იმასვე მოწმობსო.

— ფერზეო, მერე რა, ჩემო კარგო! პატრმა ლეონარდომ ისეთი წამალი დამალეგინა, რომ მეორე დღესვე მომიკრა ფაღარათი. ეს ორი დღეა უკვე ღვინოსაცა ვსვამ და ქათმის ხორცსაც გიახლებით.

— იცი, რა გითხრა, — ბესიკი აღგა, მიმოიხედა, სწრაფად კარებს ურდული გაუგღო და ისევ რეინეგსს მოუბრუნდა: — თუ შენ პატრი ლეონარდი ისეთ წამალს გაწეღის, როგორიც ამ წუთას ვნახე, მაშინ შენი მუცლის გერემა სულ სხვა რამე ყოფილა. ბევრი რომ არ ვილაბარაკოთ, ახლავე უნდა მითხრა, რა მისწერეთ შენ და ტოტლებენმა ახალციხის ფაშას, ცხინვალში რომ ვიყავით მაშინ. იცოდე, მე ბევრი ლაბარაკის დრო არა მაქვს და არც ბოღიშებს დაგეწეებ. აქვე ავიგებ ანდერძს, თუ სიმართლე არ მითხარი.

რეინეგსმა შეუმჩინეღად შეაბარა ბალიშის ქვეშ ხელი, სადაც დამბანა ჰქონდა დამალული. რამდენჯერმე მოუფათურა თითები, მაგრამ ვერ მიავნო. აღბათ, ქვევით თუ იყო დაცურებული.

— ჰი, ჰი! რა სულელი რამა ხარ, — სცადა რეინეგსმა უღარდელი კილოთი გაეცა პასუხი ბესიკისათვის. — რა უნდა მიეწერა ტოტლებენს ახალციხის

ფაშასათვის. იარალი დაჰყარეო. აბა იმას ხომ არ მისწერდა, მამიდაშვინი მომიკითხე, იმას კი ვენაცვალეო.

— მაშ ეგ მისწერა?

— ჰო-მეთქი.

— შენ ჯალილა იცი? — ჰკითხა ბესიკმა.

— რომელი ჯალილა?

— ავღანელი, — ერეკლე ბატონის ჯალათი. ხომ არ გინდა, ის რომ მოგიყვანო ექიმად.

რეინეგსი უცბად მოიღუშა, ვითომ ლოგინში შესწორების მიზნით წამოიწია, ბალიშის ქვეშ უფრო ღრმად შეჰყო ხელი და დამბაჩა დაითრია. მერე უცბად დამშვიდდა.

— ჰმ, ჯალილა, — გაიფრუტუნა რეინეგსმა. — მე ისეთი ჯადო მაქვს, რომ ჯალილა ვერას დამაყლებს.

ბესიკს არ გამოჰპარებია რეინეგსის მოძრაობა, მიხედა, რომ მას ხელში ხანჯალი ან დამბაჩა ეჭირა. ერთ წუთს გაიფიქრა, სცემოდა და იარალი აერთმია, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარაყო. თუ თითონ არ დაესხმოდა თავს, რეინეგსი ისე ვერ ვაბედავდა მეფის მდივნის წინააღმდეგ იარალი ეხმარა.

— მაშ არ გინდა სთქვა, რა მისწერეთ ახალციხის ფაშას?

— ეს რა ხათა გამიჩნდა, — ახლა გულმოსულად წამოიძახა რეინეგსმა. — შარხედ ხომ არა ხარ?!

— იცი, რა გითხრა, შენ, მგონი, თავი მოჭტულებია. ხომ იცი, ჯოჯოხეთიდანაც რომ ეშმაკები დაისთო მცველებად, სულ ერთია, გათქმევენებ ყველაფერს და არ გიჯობს, ახლავე მითხრა ყველაფერი?

— თავი მე კი არა, შენ მოგძტულებია. მე გირჩევ, აქედან წახვიდე, თუ გინდა, შენ თითონ რომ გადარჩე და არ გაება ჯალილას მარწუხებში. შენა გგონია, მე უფრო მეტი რამ არ ვიცი შენს შესახებ? აბა ერთი ბატონს მოვასხენო, რომ შენ იმის დას ანას ჰყვარობ და მერე ვნახავ, როგორ აღიღინდები.

— რაო? ეგ რა სთქვი? — წამოიძახა გაფითრებულმა ბესიკმა.

— ჰო, არ გესიამოვნა? რა ექნა, ჩემო კარგო. არც მე მესიამოვნა შენი სულელური ლაპარაკი, მაგრამ რას იზამ, ახლა ბარი-ბარსა ვართ.

ერთ წუთს მზად იყო ბესიკი, რომ სცემოდა რეინეგსს და იქვე კატასავით წაეხრჩო. გული ისე მძლავრად აუტოკდა, რომ სუნთქვა შეეკრა. სიმწრის ჟრუანტელმა დაურბინა მთელ სხეულში. როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა, შებლი მოისრისა და ოდნავ გამოერკვა.

დამცინავი ღიმილით შესცქეროდა მას რეინეგსი და ხელში დამბაჩას ათამაშებდა.

— მოდი, მოვრიგდეთ, — უთხრა მცირე ღუმილის შემდეგ რეინეგსმა და ლოგინში დაჯდა. — შენ შენთვის, მე ჩემთვის. შენ ჯერ ბალღი ხარ და ცხოვრებისა ბევრი არა გაგეგება-რა. ვისთვის დაუფასებდათ სიკეთე, რომ შენ დაგიფასონ. სულ ერთია, ჩემო კარგო, რაც არ უნდა ეცადო, საბოლოოდ მაინც ან დიღეგში ამოგალბობენ ან უარესს რამეს დაგმართებენ. მაში შენის მაგალითი მაინც გაიხსენე. ერეკლეს ხასიათი არ იცი? ასეკრაც თავი რომ გასწირო მისთვის, თუ დასჭირდა, გროშის ფასად არ დაგინდობს და მარწუხებით სულს ამოგზდის.

ბესიკი უაზროდ შესცქეროდა რეინეგსს და სულ სხვაზე ფიქრობდა.

მოაგონდა ანა, მოაგონდა მისი ბარათი, რომელიც ახალუხის გულისჯიბეში ჰქონდა შენახული.

«ჩემთან ბედთან აღმომითენა შენი ზაფი ასე გვიან, ჩემო ბეჭეჭე შენი მამა სინათლე თვალთა ჩემთა და ვვედრი უფალს, რათა გული შენი სცემდეს მარად, ვითარცა ჩემი სიხარულის მაუწყებელი ზარია».

გულისჯიბეში ჰქონდა შენახული ეს ბარათი და ახლა ბესიკის გული ბავაბუვით სცემდა ამ უნაზესი გრძნობით მოწერილ უსტარს.

— აბა რას იტყვი? — ჰკითხა რეინეგსმა.

ბესიკი ფიქრებიდან გამოერკვა.

— როგორ თუ რას ვიტყვი?

— დაგიჯდა ჰქუაში ჩემი სიტყვა?

ბესიკს არ გაუგონია, რა უთხრა ბოლოს რეინეგსმა, მაგრამ ერთი რამ მისთვის ცხადი იყო: ეს ბრძოლა წაგებული ჰქონდა. თუმცა უკვე მიმხვდარი იყო, რაც მოსწერეს მათ ახალციხის ფაშას, მაგრამ ახლა ყოველივე ამას აზრი ეკარგებოდა. რეინეგსმა მას პირზე ბოქლომი დაჰკიდა.

— არ მესმის, რას შეუბნებდი, — უთხრა ბესიკმა და კიდევ მოისრისა შებლი.

— ეჭვ, კიდევ უნდა გაგიმეორო! გეუბნები, შევთანხმდეთ-მეთქი.

ბესიკმა პასუხი არ გასცა და ნაცემივით, ათრეული ლასლასით გაემართა კარებისაკენ.

— დაიცა, ამაღამ სად მიდიხარ, — მიაძანა გამხიარულბულმა რეინეგსმა, დამბაჩა ისევ ბალიშ ქვეშ დამალა და ზეზე აღგა. ამაღამ ჩემთან დარჩი. გინდა, ხანუმები მოვაყვანირო? ტოტლებენს მთელი ჰარამხანა ახლავს თან.

ბესიკი კარებთან შედგა. ერთხანს ასე ზურგშექცეული და დაფიქრებული იდგა, ნელა გაუგდო ურდული კარებს, მერე მობრუნდა და რეინეგსს უთხრა:

— ეს იცოდე, არც სიკვდილისა შეშინიან, არც ტანჯვა-წამებისა. მე არც ბატონის დის მიჯნური ვარ, როგორც შენა გგონია, მაგრამ ბოროტმა ენამ თუ ისურვა, ღვთისმშობელსაც ლაფში ამოსვრის. ეს იცოდე, თუ კიდევ გინებებია მისი სახელის აგად ხსენება, მკვდარიც რომ ვიყო საფლავიდან აედგები და ჩემის ხელით ამოგზდი მაგ ბინძურ სულს. ახლა რა გაეწყობა, ისევ დუმილი უნდა ვარჩიო.

— აგრე სჯობია. დუმილი ოქროაო, ხომ გაგიგონია, — უთხრა რეინეგსმა, თან ჩაცმა დაიწყო. — შენ საზი დაუკარ და ლექსები სწერე, ეგ უფრო კარგია. განა კატას შეუძლიან ლომისა და ვეფხვის გაშველება? ჯერ შენ ჯველი ხარ და რად გინდა, თავი წააგო. ვირჩევ, ყური მიგდო, თორემ ხვალ ან ზეგ შეიძლება ბევრიც მევედრო, ტოტლებენთან შემარიგე, ჩემზე წყალობა მოილოსო, მაგრამ გვიანდა იქნება. — ჩაცმით გართულმა რეინეგსმა ვერც კი შეამჩნია, როდის გავიდა ბესიკი ოთახიდან და როდესაც გარედან ცხენის ფეხის ხმა შემოესმა, აიხედა და დაინახა, რომ ის უკვე წასულიყო.

რეინეგსი ჯერ შვიდიად განაჯრძობდა ჩაცმას, რადგან ბესიკი უკვე უვნებლად მიიჩნდა. მაგრამ თანდათან იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ შეიძლებოდა ასეთი ახალგაზრდის ნღობა. მას შეეძლო ვინმესთვის გაენდო თავისი მოსაზრებანი ახალციხის ფაშასთან მიწერილი უსტარის შესახებ, შეეძლო ეამბნა რეინეგსთან შეხვედრა და მერე ველარაფერი იხსნიდა ექიმს. ტოტლებენი შეიფარავდა, მაგრამ ერეკლე თუნდაც თავისი წონის ოქროს ფასად დაით-

რევედა რეინეგსს და სანამ არ გამოსტეხდა, ისე აწამებდა, რომ ჯოჯოხეთისაჲ კი შიშის ზარს მოპკვრიდა.

ამიტომ უმჯობესი იყო, სანამ ბესიკი ქვიშხნთამდე მივიდუღებდნენ დაედევნებინათ, ან მოეტყინათ, ან მოეკლათ.

რეინეგსმა ფსფუსით ჩაიცვა და მაშინვე ტოტლებენთან გაიქცა. ყველაფერი უამბო და სთხოვა, სასწრაფოდ ზომები მიედო.

— ის ჩერჩეტი მოურავოვი კი მიმტყიცებდა, ეგ ყმაწვილი ჯამუში არ არისო, — წამოიძახა წარბშეკმუხნულმა ტოტლებენმა. — არა უშავს-რა, მაგ პატარა ლაქას ჩვენ ახლაც მოვხოცავთ.

მაშინვე უბრძანა აღიუტანტს, ქამანდარი ყალმუხი სალაგათი მოეყვანა, რომელსაც უბრძანა დასწეოდა ბესიკს და ტყვედ ჩაეგდო ან მოეკლა, მხოლოდ თოფი ან დამბაჩა არ ეხმარა. ჯილდოდ ათ ოქროს დაჰპირდა.

— დაიქერ? — ჰკითხა ტოტლებენმა.

სალავათმა გაიცინა. ჯერ არ ახსოვდა არავის, რომ სალაგათის ქამანდს ვინმე გაქცეოდეს. ტოტლებენს თავი დაუკრა და მაშინვე გავიდა კარავიდან. რეინეგსი თან გაჰყვა. ველარ ითმენდა და სალაგათს აჩქარებდა, ნულარ აყოვნებ, თორემ გაგვასწრებსო.

სალავათმა ზიზღით გადახედა რეინეგსს და მერე აუჩქარებლად წავიდა თავის კარვისაკენ. უნაგირი ამოიღლია და ისევე აუჩქარებლად წავიდა მინდვრისაკენ, სადაც ცხენები სძოვდნენ. დასტვინა. იმ წამსვე რემას ერთი ბედაური გამოეყო და სალაგათთან ჰიხვინით მოჯირითდა.

სალავათმა უნაგირი დაადგა, ლაგამი ამოსდო, მერე მიბრუნდა, ქამანდი წყრთის ზომაზე აახვია, ტახტაზე დაჰკიდა და შემდეგ ტანის ერთი აქნევით უნაგირს მოევლო. ბედაური ერთი კი შედგა ყალხზე, თითქო ტორებით ციდან ახალი მთვარის ჩამოგდებას ლამობსო, მერე ისეუბა გორაკებზე, ელვის სისწრაფით გაიქროლა და თვალთავან მიეფარა.

რეინეგსმა შევებით ამოისუნთქა. სალაგათმა იცოდა თავისი საქმე.



როდესაც ჩოგლოკოვი ბესიკს გამოეთხოვა და ბანაკში მივიდა, მაშინვე რემენნიკოვი იკითხა. უნდოდა თავის ახალ მეგობრისათვის ეამბნა, რახელიც ელაპარაკა რამდენიმე საათის განმავლობაში ერეკლეს, როდესაც მართო დარჩა მასთან.

რემენნიკოვი კარავში არ დაუხვდა. „დენშიკმა“ მოახსენა, რომ მისი კეთილშობილება სხვა ოფიცრებთან ერთად საიღაც წავიდა და არ ვიცრ, სად არიანო.

ჩოგლოკოვმა მათ მოსაძებნად ნაზაროვი გავზავნა, თითონ-კი ლეოვის კარავისაკენ გაემართა, საიდანაც სანთლის შუქი გამოვკრთოდა.

კაპიტანა ლეოვი კარავში იჯდა პატარა მაგიდასთან და რალაცას სწერდა. შესულ ჩოგლოკოვს თავის დაქნევით მიესალმა და წერა განაგრძო.

— სად იყავით? — ჰკითხა მან ჩოგლოკოვს წერის შეუწყვეტლად.

— ერეკლესთან. რატომ შენც არ წამოხველ ჩვენთან?

— ერეკლესთან? — ლეოვმა წერას თავი მიანება და ჩოგლოკოვს ახედდახედა. — არ დაიშალეთ და მაინც წახვედით, რას იტყვის ვრადი?

— ერთი შენც, აგჩემებია გრაფი და გრაფი როგორც გეტყობა, ძალზე შეუშინებიაჩარ მის უბნელესობას.

ჩოგლოკოვი კარგ გუნებაზე იყო. ერეკლესთან საუბრის შემდეგ დად აღარ მიიჩნდა და დედამიწა ქალამხად. ერეკლემ მრავალი დაპირებახი აღუთქვა, კარგი რჩევა-დარიგება მისცა და აღდგომას ნადიმზე მიიწვია. ამიტომ ჩოგლოკოვს ახალგაზრდული გატაცებით ხსლავე სურდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი. რემენნიკოვი ვერა ნახა და რადგან ლოვს უკვე ერთგულ მეგობრათ სთვლიდა, ამიტომ მოაშურა მის კარავს.

— გრაფი! დაგაეწყდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ საპყრობილეში აჯდა შენი გრაფი, — განაგრძო ჩოგლოკოვმა და არხეინად ჩამოჯდა ზანდუკზე, რომელიც კარავში სკამის მაგიერობას სწევდა. — მერე და მე გრაფთან რა საქმე მაქვს?

— როგორ თუ რა საქმე გაქვს! — გაოცდა ლოვოვი. — აქ ჯერ-ჯერობით გრაფია უფროსიც და მბრძანებელიც. გიბრძანა, ერეკლესთან ფეხი არ გადგო. თქვენ-კი დადიხარ, ხან თავადებს ეჩურჩულებით, ხან მეფეს.

— ერთი გამაგებინე, რა ნახე მაგ გრაფში, რომ მაგრე თავგანებებით იცავ მის ავტორიტეტს? იმის მაგაერ, რომ მეფეს ხლებოდი და შენის ხელით ჩაგებარებინა დედოფლას სიგელები, ახლოსაც არ გაეყარე. იცოდე, ერეკლე ძალზე ნაწყენია შენზე.

— აქ გრაფია ჩემი უფროსი და არა ერეკლე, — უპასუხა ლოვოვმა.

— უყურეთ ერთი ამას, რას მიედ-მოედება! — სთქვა ჩოგლოკოვმა. — ნუ თუ არ გესმის, რომ დედოფალს უშუალო მიმოწერა აქვს ერეკლესთან. და იქნებ ისეთ რამეს სწერს, რაც ტოტლებენმა არ უნდა იცოდეს.

— ეგ შეუძლებელია, — დაიქვდა ლოვოვი. — აგრე რომ ყოფილიყო, მაშინ განსაკუთრებულად დამავალბდნენ ის ბარათები საიდუმლოდ გადამეცა ერეკლესათვის. ამიტომ მე გირჩევ, თუ არ გინდა გრაფის რისხვა დაი-მსახურო, აღარ გაბედო მეორედ ერეკლესთან მისვლა.

— მაგ შენს საყვარელ გრაფს ზვალე დავატუსალებთ და მაგის უფროსობასაც ბოლოს მოვუღებთ, — მიიხალა გაბრაზებულმა ჩოგლოკოვმა ლოვოს. — მე და რემენნიკოვი უკვე შეეთანხმდით. დღეს უნდა დაგვეტუსალებინა, მაგრამ რამდენიმე დღით გადავდეთ.

გაოცებული ლოვოვი ფეხზე წამოიჭრა და თავის მოსაუბრეს სახეში ჩააცქერდა. უნდოდა სახის გამომეტყველებით მაინც გაეგო, ჩოგლოკოვი ზუმრობდა თუ მართალს ამბობდა.

არა. ჩოგლოკოვი არა ზუმრობდა.

— როგორ შეიძლება გრაფის დატუსალება დედოფლის ბრძანების გარეშე? — აკანკალებული ხმით შეეკითხა ლოვოვი ჩოგლოკოვს.

— შეიძლება.

— პასუხისგებაში მიგცემენ.

— მეღის შიშით ტყეში შესვლა ვერ უნდა გაბედო? პასუხსაც ვაგებთ და თავსაც ვამართლებთ. შენ კი გირჩევ, ჩვენ გვიგდო ყური. დავატუსალებთ თუ არა გრაფს, სარდლობას რემენნიკოვს ჩაეაბარებთ. ის გამოცდილი ოფიცერია, ათი ამოდენა ჯარი ჰყოლია ბრძოლაში. ამგვარად ერეკლეს გვერდით ისეთი უძლიველი ძალა ევაქნებით, რომ შეიძლება სტამბოლამდეც კი მივიღეთ. შენ მაშინ ნახავ, რა ამბები დატრიალდება.

ლვოვი დაფიქრდა. დაეტუქა ჩოგლოკოვი თუ მისი მხარე დაეჭირა ე-
თიც და მეორეც სამიში იყო.

ფრთხილად უნდა ემოქმედნა.

ამიტომ ჩოგლოკოვს თავი ისე მოაჩვენა, თითქო მათი განზრახვა კიდევაც მოსწონდა. მაგრამ სიფრთხილეს ურჩევდა და შიშს გამოსთქვამდა, ვაი თუ ბეტერბურგმა თქვენი მოქმედება სხვაგვარად შეაფასოს და ყველას ციმბირში გიკრან თავიო.

— ეკ, ამაზე შორს აღარც ციმბირია, ჩემო კარგო — მიუფო სიცილით ჩოგლოკოვმა: — იმ განსხვავებით, რომ აქ გამარჯვების ერთი შანსი მაინცა გვაქვს. ცხოვრებაში-კი ასეთი საბედნიერო შემთხვევები ხშირად როდი დაგვიხვდება წინ. აი შენ, მაგალითად, ალბათ გენერლის ჩინზე ოცნებობ და შეაძლება მთელი ცხოვრება ისე გაატარო, კაპიტნობას ვერც გადააბიჯო. ან არა და იქნება კიდევაც ელიროს გენერლობას, მაგრამ როდის? როდესაც უკვე ნიკრისის ქარებით იქნები დაზოთული. იცოდე, არავითარი დადა საქმე ურისკოდ არა კეთდება.

— ასევერ მოზომე, ერთხელ მოსჭერიო, ნათქვამია. არც ეს ვარგა, რომ უბრალოდ თავა წაიხდინო. ცხოვრება ქალაქის თამაში როდია, — შეეღაუვა ლვოვი.

— არა, ჩემო კარგო, ეგ მეც კარგად მესმის, მხოლოდ ეს საქმე, გარდა მცირეოდენი სუბორდინაციის დარღვევისა, არავითარ ბოროტმოქმედებას არ შეიცავს და არც ფიცის დარღვევას წარმოადგენს. ტოტლებენს დაეატუსალებთ. დიდ საქმეს გამარჯვებით დაეაგვირგვინებთ და შორჩა. შენ ნუ გეშინიან, ამ საქმეში არ გაგრევთ, მხოლოდ ხელს ნუ შეგვიშლი.

— იყოს ნება თქვენი, — ამოიოხრა ლვოვმა და ჩიბუხი გატენა. — მოურავოვმა თუ იცის თქვენი განზრახვა.

— არა მგონია. ოფიცრებს არა უთქვამთ-რა.

— თანამგრძნობნი ბევრნი არიან? ნუთუ ყველა უკმაყოფილებას გამოსთქვამს?

— თითქმის ყველა, მაგრამ, ხომ იცით, თაოსნობის უნარი ყველას არა აქვს. ამ შემთხვევაში გამოჩაილის წარმოადგენს რემენნიკოვი, დეგრალიე და კიდევ იცი ვინა? ის რომ ახლა აქ იყოს, საქმე უკვე გათავებული იქნებოდა.

— ვინა?

— რატიევი.

— ის ხომ მოზღოკში დარჩა.

— მართალია, მაგრამ აქამდე რაზმს მისცემდნენ უკვე და ახლა, ალბათ, გზაშია. არა უშავს-რა, უიმისოთაც მოვერევით საქმეს.

— როდის გინდათ ვრაფი დაატუსალოთ? — ისეთი ხმით ჰკითხა ლვოვმა, თითქო უკვე თითონაც ეჩქარებოდა ტოტლებენის დატუსალება.

— ზვალ საღამოს.

— ერთ რამესა გთხოვთ.

— რას?

— დაატუსალებთ ვრაფ ტოტლებენს თუ არ დაატუსალებთ, ეგ თქვენა საქმეა. მე, როგორც ლეიბ-გვარდიის კაპიტანს, არ შემიძლიან თქვენს განზრახვაში მონაწილეობა მივიღო. გერჯერობით სჯობია მე არაფერი ვიცოდე თქვენი საქმისა. თუ გსურთ შემდეგში სამეფო კარის წინაშე შუამავ-

ლად გამოგადგეთ, უკეთესი იქნება, თუ ფქვენი საქმის შემთხვევითი მარჯვება გავხდები.

— შეშინდი? ჰა-ჰა-ჰა! მე უფრო ვაყვავი მეგონე, — სიცინებდა მარჯვნივ ჩოგლოკოვმა, შემდეგ მხარზე მეგობრულად ხელი მოუთათუნა და დაბალი ხმით წასჩურჩულა: — არა, გეხუმრები. შენ მართალი ხარ, აგრე აჯობებს. შემდეგში ვეცდები, ეგ ამავი დავგიდასო. ოღონდ ახლა მართლა სჯობია განზე გადგე. მამ ორივენი ვლუმვართ.

— დიად.

— აგრე იყოს. მეც წავალ ბარემ. ვითომ ჩვენ მეგობრებიც-კი არა ვართ, ჰა-ჰა-ჰა! ნახვამდის, ჩემო კარგო!

ჩოგლოკოვი წავიდა. მარტო დარჩენილი ლვოვა-კი ფიქრმა შეიბყრო. სცადა წერა განეგრძო, მაგრამ ვერ შესძლო. ვერ მოეშორებინა თავიდან ფიქრი იმის შესახებ, რაც იმ საღამოს გაიგო. ვერ გადასწყვიტა, როგორ ემოქმედა.

ნაბდის ქეჩაზე წამოწეა, ხელები თავქვეშ შეიწყო და ფიქრი განაგრძო. არ უთხრას ტოტლებენს, ეინ იცის, იქნებ მართლა დაატუსაღონ გრაფი. მერე? მერე, ალბათ, ლაშქარს მოწოდებით მიმართავენ, ჩოგლოკოვს მიიშველებენ, როგორც სასახლესთან დაახლოვებულ პირს. შეიძლება დანარჩენი ოფიცრებიც აიყოლიონ.

მაგრამ იქნებ ტოტლებენმა უკვე იცის ამ შეთქმულების შესახებ და ყველაფერი გათვალისწინებული აქვს. შეიძლება ყველანი დაატუსაღოს და ჩოგლოკოვმა დაკითხვაზე წამოაყრანტალოს, ლვოვმა ჩვენი შეთქმულების შესახებ ყველაფერი იცოდაო. მაშინ ბეკრიც რომ იმართლოს თავი ლვოვმა, ალბათ, არ დაუჯერებენ და შეთქმულებთან ერთად ციმბირისაკენ უკრავენ თავს.

— არა, ახლავე უნდა ეუთხრა ყველაფერი გრაფს, — გაუელვა ლვოვს. — შემდეგ შეიძლება გვიან იყოს.

მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და მუნდირი შეისკვნა. როდესაც კარავიდან გადიოდა, ერთი კიდეე შეყოყმანდა. შურისძიებისა შეეშინდა. ხომ შეიძლება ბოდა, რომელიმე შეთქმული გამოჩნეთ, არ დაატუსაღონ. მაშინ ლვოვა სულ იმის შიშში უნდა იყოს, რომ მოხერხებულ ადგილას ბოლო არ მოუღონ.

— არა, ეს არ მოხდება, — გაიკეთა გული ლვოვმა და თავისი დიდა-გვარდიული ნაბიჯით ტოტლებენის დიდი კარვისაკენ გაემართა.

გზაში აფორააქებული რეინეგსი შეეხებრა, რომელიც სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სიჩრბილით მიიჩქაროდა ტოტლებენის კარვისაკენ.

— რა მოხდა, ექიმო? — მიამახა ლვოვმა. — საით მიიჩქარით?

რეინეგსი შეკრთა, თითქო ქურდობაზე წაესწროთ. რაღაც არაბუნებრივად გაშეშდა ერთ ადგილას, ნელა მიიხედა, და როდესაც ლვოვი იცნო, გულზე მოეშვა.

— აა, თქვენა ხართ, კაპიტანო, საღამო მშვიდობისა!

«მგონი ამასაც შეუტყვიო შეთქმულების ამბავი, — გაიფიქრა ლვოვმა: — რაღაც ძალიან აფუსფუსებულაა».

— რა მოხდა? — იკითხა მეორედ ლვოვმა.

— არა... არაფერი. გრაფთან მივდიოდა. თქვენც მასთან?

— დიად.

— თავის კარავშია? — ჰკითხა რეინეგსმა, ვითომ არ იცოდა.

— იქ არის. ერთად წავიდეთ.

რეინეგსს უნდოდა ტოტლებენის მარტო ენახა, ამიტომ ლეოვსამკინეშვილს რა არ ესიაშოვნა. „ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, რა ფეხებში შენ ლახდები — გაიფიქრა მან. — რაღა ახლა წამოვიარა გრაფის ნახვის სურვილმა?“ გარეგნულად შინც არაფერი შეიმჩნია, უხმოდ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია, და ორივემ ერთად გზა განაგრძეს.

— რაღაც შეშფოთებული ხარო, ექიმო? — ჰკითხა ლეოვმა და რეინეგსს ზევიდან დახედა. ის მთელი მტკაველით მაღალი იყო რეინეგსზე. — ხომ არაფერი მომხდარა?

— არა, არაფერი, — წარბშეკმუხვნით უპასუხა რეინეგსმა.

ორივენი ეჭვის თვალთ და უნდობლობით უცქეროდნენ ერთმანეთს. «სტყუი, არამზადავ. — ფიქრობდა ლეოვი. — შენ რაღაც იცი შეთქმულების შესახებ და გინდა დამასწრო. მაგრამ ვერ მოვართვი. გრაფს ჯერ მე უნდა ვესაუბრო».

«ამ სასახლის ინტრიგანს, მგონი, რაღაც შეუტყვია, — ფიქრობდა თავის მხრივ რეინეგსი. — ახლა უნდა რაიმე დამაცდენინოს. არა, ჩემო კარგო, შენ ჯერ სათანადო კბილები არ ამოგსვლია. შენისთანა ტურა ჩემგან ვერაფერს წაიღებს».

ორთავემ ერთად შეიჭყიტეს ტოტლებენის კარავში. გრაფს მუნდირის დილები გაეხსნა. მაგიდასთან იჯდა და სანთლის შუქზე რაღაც ქაღალდს კითხულობდა. ლეოვისა და რეინეგსის დანახვაზე ქაღალდი მაგიდაზე დააგდო და ორივენი კარავში მიიწვია.

— წავიდა საღვათი? — ჰკითხა მან რეინეგსს.

— წავიდა, მაგრამ... — თავი გაიქნია რეინეგსმა და ამოიოხრა.

— ნუ გეშინიანთ. შეგიძლიანთ ის უკვე მოყვანილად ჩასთვალოთ, — დაამშვიდა ტოტლებენმა. შემდეგ ლეოვს მოუბრუნდა: — რას შეტყვით ახალს, კაპიტანო?

— თქვენო ბრწყინვალეებავ, მე თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს, მხოლოდ... — რეინეგსს გადახედა. — მხოლოდ პირისპირ უნდა მოვილაპარაკოთ. ტოტლებენმა ოდნავი გაოცებით შეხედა ლეოვს, შემდეგ რეინეგსს თვალთ ანიშნა, გასულყო. რეინეგსი უხალისოდ გაემართა გარეთ.

— შეგიძლიანთ მშვიდათ დაიძინოთ, — მიამბა ტოტლებენმა, — ხვალ დილით ყველაფერს შეგატყობინებთ.

— არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, — უპასუხა რეინეგსმა, — მე ამაღამ ვერ მოვისვენებ და სჯობია აენაშოსტზე საღვათს დაველოდო. ვერ დავმშვიდდები, სანამ...

— კარგი, კარგი, — შეაწყვეტინა ტოტლებენმა, — საღვათთან ერთად გელოდებით. სულ ერთია, იმ არამზადის დასაკითხავად თარჯიმანი დავუქირდება.

რეინეგსი გავიდა.

— გისმენთ, კაპიტანო, — უპასუხა ტოტლებენმა ლეოვს. — აი აგერ დაჯექით, ლეგინზე.

ლეოვი დაჯდა და ოდნავ აჯანკალებული ხმით უამბო ყველაფერი, რაც ამ საღამოს ჩოგლოკოვისაგან შეიტყო. ტოტლებენი ჩუმად უსმენდა და ერთხელაც არ შეუჩერებია ლეოვი. არც სახის გამოშეტყველება შეუცვლია.

ლვოვი ვერ მიხვდა, იცოდა ეს ამბავი გრაფმა, თუ პირველად ესმოდა ამ შეთქმულების შესახებ.

როდესაც ლვოვი დაამთავრა და ყველაფერი უამბო განუცხადებდა, დენიშე ხანს ჩემად იყო. ჩაფიქრებული შესცქეროდა აღს, რომელიც ზოგჯერ პეპელასავეთ თრთოდა.

— დიდად გმადლობთ, კაპიტანო, — უთხრა მცირე დღემლის შემდეგ ტოტლებენმა ლვოვს. — გმადლობთ ერთგულებისათვის, აი ნახეთ...

მაგიდაზე ქაღალდებს მისწვდა და ლვოვს გაუწოდა.

— ეს რა არის, თქვენო ბრწყინვალეებო?

— შეთქმულთა დატუსაღების ორდერები. მე ამ შეთქმულების შესახებ უკვე ვიცოდი. მაიორი რემენნიკოვი, პორუჩიკი დეგრალიე და დანარჩენები ამაღამვე იქნებიან დატუსაღებული. მაიორი ყოლუბოვი და მაიორა კარბი რომ ჩემი ერთგულები არ აღმოჩენილიყვნენ, შეიძლება ცუდად წასულიყო საქმე, მაგრამ... მე თქვენი მაინც დიდი მადლობელი ვარ, კაპიტანო.

— რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეებო! ეს ჩემი, როგორც ჯარისკაცის, უბრალო მოვალეობა იყო. შევიტყე თუ არა, იმ წამსვე გამოვეშურე თქვენსკენ.

— ჩოგლოკოვსაც მათთან ერთად დავატუსაღებ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დედ-მამის შვილია და, ალბათ, სასახლეში ბევრი მფარველიც ეყოლება.

— არა მგონია, თქვენო ბრწყინვალეებო. ტრამახობს, თორემ არც თუ მართლა დიდი ვინმეა.

— მე ვიცი, ვინც გამოგზავნა ეგ, მაგრამ არ გაუვა ასეთი ოინები. მან არ იცის, რომ მაგეთ პატარა კრაზანებს ადვილად დაეაწყვეტ ფრთებს.

ლვოვი ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა ტოტლებენი: პანინს, რუმბინცევის თუ რომელიმე სხვა დიდი თანამდებობის პირს. უნდოდა ეკითხა, მაგრამ რადგან თითონ ტოტლებენმა არ დასახელა, თავი შეიკავა.

— ჩოგლოკოვი ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერიაში მესამე პიროვნება ვარ დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის შემდეგაო. — ღიმილით უთხრა ლვოვი ტოტლებენს. — განა დასაჯერებელია, თქვენო ბრწყინვალეებო?

— ეგ, რასაკვირველია, სისულელეა, მაგრამ სამეფო კარზე მას ორაოდე ძლიერი მფარველი მართლა მოეპოება.

— იქნებ სჯობდეს ჩოგლოკოვი ჯერ არ დაატუსაღოთ, თქვენო ბრწყინვალეებო? თუ მართლა მას...

— ეჰ, ეგ არაფერია, — შეაწყვეტინა ტოტლებენმა. — მე მაგის მფარველებისა არ მეშინიან. თუცა ვნახოთ: ამაღამ კიდევ ვიფიქრებ. რაკი მთავარი შეთქმულნი დატუსაღებული მეყოლებიან, ეგ ერთი ვერას დამაკლებს.

გარედან რაღაც ხმაური მოისმა. შემდეგ კარავში სახე-გაფითრებული რეინგესი შევიარდა და სანამ ხმას ამოიღებდა, ერთი-ორჯერ მძიმედ ამოისუნთქა.

— რა მოხდა? — ჰკითხა შემფოთებულმა ტოტლებენმა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, სალაგათის ცხენი მარტო მოჯირითდა ბანაკში, — ძლიეს ამოილულულა რეინგესმა და მოწყვეტით ჩამოჯდა ლოჯინზე.

— როგორ თუ მარტო? მხედარი რა იქნა?

— ცხენს ლაპარაკი არ შეუძლიან, თქვენო ბრწყინვალეზავ, და აბა რე რა ვიცი, სად ან როგორ დაკარგა თავისი მხედარი!

ეროვნული
გზისმკვლევანი



ქართველთა ბანაკში ყველანი შემფოდნენ. შემფოთების მიზეზი ის იყო, რომ ხმა გავარდა, ბატონსა და იარაღალ ტოტლებენს შორის უთანხმოება ჩამოვარდაო.

მთელი ლაშქარა ერეკლეს საველე საყდართან იყო მოგროვილი აღდგომის წირვის მოსასმენად. საველე საყდარი დიდ თეთრ ტილოს კარავს წარმოადგენდა, რომელიც ახლა ისე იყო გაჩირადლებული სანთლებით, რომ ბნელაში უზარმაზარ ფარანივით ანათებდა. კარავში მხოლოდ ბატონი და რამდენიმე დიდებული იყო, დანარჩენები, სარდლებიცა და უბრალო მეომრებიც, გარეთ იდგნენ და იქიდან ისმენდნენ წირვას.

წარეა კარგახნის დაწყებული იყო, როდესაც უკანა რიგებში ჩონჩლი ატყდა.

აქა-იქ გაისმა:

— რა მოხდა?

— რა ამბავია?

ხალხი ჯერ კიდევ არ იყო დაწყნარებული, როდესაც ბატონის მანდატურმა წრე გაარღვია, წინა რიგებში გაჩნდა და დავით სარდალს რაღაც წასჩურჩულა. დავითმა გაკვარვებით შეხედა მანდატურს, შემდეგ კარავში შევიდა, იქიდან ლეონ ბატონისშვილი გამოიყვანა. მერე მანდატურის თანხლებით სამივენი ციხისკენ გაემართნენ.

— როდის მოვიდა? — ჰკითხა დავითმა მანდატურს, როდესაც სამივენი სრულიად განმარტოვდნენ და ციხის აღმართს შეუდგნენ.

— ესაა, რაც გეახლათ. სულ ცოტა ხანია მას შემდეგ. მოვიდა თუ-არა, მაშინვე მიბრძანა, ბატონი დავითი იხმე და ექამი მომგვარეო. თურმანიძე იქვე გახლდათ და მაშინვე მივგვარე.

— დაჭრილია? — ჰკითხა ლეონმა.

— არა, ბეჰის ფრთა ჰქონია ამოვარდნილი, მაგრამ მაშინვე თავისსავე ადგილას ჩამხტარა. ახლა მარტო ტკივილი აწუხებს. თურმანიძემ სთქვა, ორ დღეში გაუვლისო.

— ის სადღაა?

— ენა, ტყვე? იქვია. ურჯულო უნდა იყოს, რუსს არა ჰგავს.

მალე აღმართიც აივაცეს და სამივენი ციხის კოშკში შევიდნენ.

კოშკის შუაგულში ცეცხლი ენთო. ბესიკი კერასთან იჯდა პატარა სამფენა სკამზე. მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა და აბრეშუმის ქრელი თავშალით ეკიდა მკერდზე.

— ბესიკ, როგორა ხარ? ეგ რა მოგსვლია? — მისცივიდნენ ორივენი ბესიკს და აქეთ-იქიდან შემოუხსხდნენ.

ლეონმა ფრთხილად დაუსვა მხარზე ხელი.

— გტკივა?

— ძალიან, — თითქო ამოიყენესა ბესიკმა. — ბეწვზე გადავრჩი.

— გვიამბე ერთი, შენმა დღეგრძელობამ, — მოუთმენლად ჰკითხა დავითმა და პატარა სამფენა სკამი უფრო ახლო მისწია. — სად იყავი?

— სურამიდან ვბრუნდებოდი. ფიქრებში ვიყავ გართული. ცხენი ნელ-
ნაბიჯით მომყავდა. ალბათ, ფიქრის გამო იყო, რომ ვერ გაუფრთხილდი
დამეწია ის ურჯულო... ნიკოლოზი

— ვინა? — ჰკითხა ლეონმა.

— აი ის, კუთხეში რომ ზის, — მიუთითა ბესიკმა კუთხისაკენ.

ორივემ ახლა დაინახეს თოკით გაბაწრული ყალმუხი, რომელიც სოხა-
ნეზე იჯდა და კედელზე მიყრდნობილი მგელივით ანთებული თვალებით
შეცქეროდა მოსაუბრეებს.

— შეცრად ვიგრძენი, რომ მარყუჟი მხრებზე ჩამომევო. ქამანდმა ისე
ამიტაცა უნაგირიდან, მგონია, კაცმა აგრე ადვილად ბელურაც-კი ვერ აიტა-
ცოს. კიდეც კარგი, ბეჭით დავეცი მიწაზე. მცირე ხანს გონებაც კი დავ-
კარგე, მაგრამ თოკმა რომ ამოთრია, გონს მოვედი. მარყუჟი იდაყვებს ზე-
მით მქონდა შემოჭერილი. ეცადე ფეხზე წამოდგომა, მაგრამ მაგან თოკი
მოხიდა და ისევე ზღართან მოვადინე მიწაზე. ცხენიდან ჩამოხტა და ჩემს-
კენ გამოექანა. მაშინ-კი ვიფიქრე, დაღბა, ბესიკ, შენი აღსასრული-მეთქი.
უცბათ მოვიხაზრე: იგაყვებს ქვემოთ ხელები თავისუფალი მქონდა. სწრა-
ფად ვიძრე ხანჯალი, თოკი გადავჭერი და როდესაც ვგ ურჯულო ჩემთან
მოუარდა, შიშველი ხანჯალი გულზე შევაგებე. არ მოელოდა. ალბათ, ამან
წაახდინა, თორემ ხელი რომ აეკრა ვერას გაეხდებოდი, მარცხენა ხელი
მოჭრილივით შეკიდა და აბა ცალხელი კაცი რას დავაკლებდი. გაფითრე-
ხულმა გაქცევა სცადა, მაგრამ ერთი ნახტომიც ვერ მოასწრო, ხანჯალი
სიბრტყით შემოვკარ. ჩაიკეცა. მაშინვე ბეჭებზე დამბაჩის ლულა დავაყრდ-
ნე. რაღაც უახრო ლულულა დაიწყო, ადე-მეთქი, ვუბრძანე და წინ გა-
მოვივლე. აქამდე ისე მოვიყვანე, რომ დამბაჩის ლულა ზურგიდან არ მო-
მიშორებია. გზაში ბეჭი ისე ამტკივდა, რომ ერთი ორჯერ კინადამ გული
შემიღონდა. შოლის პირას რომ მოველ, ჩვენი მხედრები ცხენებს ჰხანდნენ
და ისინი რომ არ მომშველდებოდნენ, ალბათ, წავიქცეოდი.

— იღბლად გადარჩენილხარ, ბედი გქონა ბესიკ! — უთხრა დავითმა და
ყალმუხს რუსულად ჰკითხა:

— რუსული იცი?

— ცოტა ვიცი, — უპასუხა სალავათმა.

— რა გინდოდა ამასთან, რომ თავს დაესხი?

— მე არაფერი, არაფერი. გენერალმა მიბრძანა, დაიჭირო, მაშ რა შექნა!

— თითონ გენერალმა?

— დიალ.

— შეტი არაფერი უთქვამს?

— არაფერი. მითხრა, ეცადე დაიჭირო, თუ არ დაგნებდეს... — სალავათი
შედგა, ცოტა ხანს დაფიქრდა და შერე გაჰკიანურებით სთქვა: — თუ არ
დაგნებდეს, თავი ანებეო.

— თუ მოჰკალიო? — გაიცინა დავითმა.

— არა.

— შენ მუსკულმანი ხარ?

— არა.

— ქრისტიანი?

— არა. ყალმუხი ვარ.

დავითმა გაკვირვებით მიიხედა მეგობრებისაკენ.



— წარმართი იქნება, — უთხრა ბესიკმა.

სამივემ ცოტახანს ითათბირეს, რა ექნათ ტყვესათვის. ცხადი იყო, რომ მათთვის მუცელს ვერაფერს გაიგებდნენ. ყალბუბი ეტყობოდა, გულწრფელად კი არა კობდა და რაც იცოდა, ყველაფერი სთქვა. ამიტომ გადასწყვიტეს, გაენთავისუფლებინათ და ბანაკშივე გაეშვათ. ლეონმა თითონ შეუხსნა ხელები სალავათს. ის გაოცებული შესცქეროდა სამივეს.

— წადი, თავისუფალი ხარ, — უთხრა მას დავითმა.

სალავათი გაოცდა. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მოჰკლავდნენ. იმდენად სიკვდილისა არ ეშინოდა, რამდენადაც წამებაზე ფიქრი სცემდა თავზარს. ახლა, როდესაც გამოუცხადეს, თავისუფალი ხარო, ყურს არ უჯერებდა და ერთ ადგილს იდგა, თითქო გაქვავებულიაო.

— წადი, რაღას უღგებხარ! — გაუმეორა დავითმა. — ხელს არაიენ ვახლებს. გინდა კაცს გაგაყოლებო?

სალავათი უცბათ დაეცა მუხლებზე.

— შემობრალეთ, — წაიღუღლულა მან და შემდეგ ბესიკს მიმართა: — ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის.

— ერთი შენცა, წადი მოგეშორდი, — ჩაილაპარაკა ბესიკმა.

— მე არსადაც არ წავალ, — განაგრძო სალავათმა. — სულ ერთია, გენერლის რისხვა არ ამცდება. სალავათმა თუ ტყვე ვერ დაიჭირა, სალავათი მკვდარია. ახლა მე შენი მონა ვარ, ახლა ჩემი სიცოცხლე შენია: გინდა მომკალი, გინდა მიმსახურო.

სამივემ ერთმანეთს გადახედეს. გაეცინათ.

— შინაყმა მაინც არა გყავდა და რაღა გიშავს. ერთი ზომ იშოვე, — სიცილით უთხრა დავითმა ბესიკს.

— თუ ძმა ხარ, უთხარი, აქედან მოგეშორდეს, მაგის არც ყმობა მინდა, არც მონობა. სადაც უნდა, იქ წავიდეს, — უთხრა ბესიკმა დავითს.

— წადი, ნუ გეშინიან, — მიმართა დავითმა სალავათს, რომელიც მიწაზე დამხობილი მუსულმანი მლოცველივით გარინდულიყო და უაზროდ რაღაცას ლუღლუღებდა: — წადი, გენერალს უთხარი, ტყვე დაჭერილი მყავდა, მაგრამ ქართველები თავს დამეხსნენ და ბელიდან გამაგდებინეს-თქო. გაიგე? მე კიდეც იმათ გავეძეცი-თქო. შეიძლება კიდეცა დაგასაჩუქროს, არა თუ დაგსაჯოს.

სალავათი ნელა წამოდგა და ისევ ბესიკს მიმართა:

— შენ ბატონი, მე ყმა. მიბრძანებ, წავალ, მიბრძანებ აქვე ცეცხლში ჩავარდები.

— შენი ბედი, რომ ამ აღდგომის ღამეს ჩაგვივარდი ხელში, — სთქვა ლეონმა და შემდეგ ბესიკს ჩაულაპარაკა: — შენ უთხარი, წავიდეს, თორემ ზედაც, აღარ გეშორდება.

ბესიკმა ხელის აწნევით ანიშნა სალავათს წასულიყო.

სალავათი ადგილიდან არ იძროდა.

— წადი, წადი, — უთხრა ბესიკმა, — იდი დამოი!

— თქვენი ნებაა, — სთქვა სალავათმა, — წავალ. როდესაც მიბრძანებთ, ისევ მოვალ.

— კარგი, აგრე იყოს.

დავითმა იასაულს დაუძახა, სალავათი ჩააბარა და უბრძანა, გაეცილებინა. შემდეგ ყველანი ბანაკში ჩაბრუნდნენ წირვის მოსასმენად.

გზადაგზა სამივენი საუბრობდნენ ამ შემთხვევის გამო. ბესიკმა არ უთხრა მეგობრებს, თუ ვისთან იყო სურამში, რადგან ეშინოდა რეჟიმისთვის ხელი ეხსენებინა. თუ ეს ამბავი ერეკლეს ყურამდე მიიღწევდა, ყველაფერს ათქმევინებდა. მაგრამ მაშინ შეიძლება შურისძიების მიზნით რიენგესს ისიც ეთქვა, რის გამჟღავნებაც ბესიკს ყველაზე მეტად აშინებდა. ამიტომ მეგობრებს უთხრა, ოფიცრებისათვის მინდოდა მეკითხა, იქნება ვინმემ იცოდა იმ ბარათის შინაარსის შესახებ რამეო და საერთოდ საუბარში ეცადა მიეფუჩინებინა, თუ ვის შეხვდა და ელაპარაკა.

— კაცო, ერთი გამაგებინეთ, ეგ კაცი ჩვენი მტერია თუ მოყვარე? — წამოიძახა ლეონმა. — თავის ბანაკისთვის ალყა შემოურტყავს და ბრძანება გაუცია, ამ ბანაკიდან არც არავინ გავიდეს და არც არავინ შემოღწვათ აქაო. თითქო მტრის ქვეყანაში იყოს.

— ეგ არაფერი, — დასძინა დავითმა: — უბრძანებია, თუ რომელიმე ოფიცერმა გაბედა ქართველების ბანაკში მისვლა ან ბატონთან ხლებმა... პო განა თქვენ იქ არ იყავით, რემენნიკოვმა რომ მოახსენა მეფეს: გვიბრძანა დაგაბატიმრებთ, თუ გაბედეთ ერეკლესთან მისვლაო.

— თავი მომიკვდეს თუ ამ საქმის რაიმე გამეგებოდეს! — წამოიძახა ლეონმა. — მამა ბატონი არას ამბობს. რამდენჯერმე ვკითხე, ეს რა ამბები ხდება-მეთქი. მგონი, თითონაც ვერა გაუგია რა და არას მეუბნება. მოურავოვსა ვკითხე და იცი, რა მითხრა, იარანალი თვითნება კაცია და რას ვიზამთ, ცოტა უნდა მოვითმინოთო. მოთმენას ვინა ჩივის, მოვითმენთ, მაგრამ აქ სხვა რამ ფანდები არ იყოს.

— აქამდე არ მეგონა და ახლა მეც ვეპუვობ, — ჩაილაპარაკა დავითმა. — ვატყობ, რომ თუ მართლა არ დაატუსაღეს იარანალი ოფიცრებმა, შეიძლება ცუდად დატრიალდეს საქმე.

როდესაც სამივენი ბანაკში მივიდნენ, წირვა უკვე გამოსულიყო. ყველანი პირჯერის წერით და კოცნით ულოცავდნენ ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას. ბატონი, ყმა, სარდალი და უბრალო მხედარი ერთმანეთში არეულიყვნენ. აქა-იქ სააღდგომო საგალობელი ისმოდა. მთელი ბანაკი აბრიალებული კოცონებით იყო განათებული. ყოველ კოცონთან ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილ მხედრებს სუფრა გაეშალათ, ტიკები მოეხსნათ და ერთმანეთთან საცხე ყანწებს გადადიოდნენ. იქვე ნაკვერცხლებზე ხის შამფურებით მწვადებს ატრიალებდნენ.

ერეკლეს კარავშიაც სუფრა იყო გაშლილი. დავითი და ლეონი კარვისკენ გაემართნენ. ლეონს უნდოდა ბესიკიც წაეყვანა, მაგრამ მან არ მოისურვა მეფის სუფრაზე მიუპატიებლად მისვლა და თავის კარვასკენ გაემართა დასაძინებლად.

— ბატონს ამაღამ ნურას ეტყვიო, რაც გადამხდა, — უთხრა ბესიკმა ორივეს. — სადარდებელი ისედაც ბევრი აქვს.

— სულაც არას ვეტყვი, — დაამშვიდა ლეონმა. — შენ დაძინე, რომ ხეალ იქნებ მხარის ტყვიელმა მთლად გაგიაროს.

ბესიკმა მართლაც სცადა დაძინება, კარგა ხანს იწვა თავის ნაბაღზე გარინდებული, მაგრამ დაძინება ვერ მოახერხა: ტკავილი აწუხებდა.

გარეთ ღრიანცილი მატულობდა. ქაიხოსრო მურვანოვი რამდენჯერმე შევიდა კარავში. ბესიკს გარეთ ეპატიებოდა, ცეცხლის პირას. ადუ, დაილოცე მანაც და ერთი ყანწი დაცალეო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონის ლაშ-

ქარში სახელგანთქმული გოგია ფატრელი შეიჭრა კარავში და ბესიკს თავზე დაადგა:

— ეგ როგორ იქნება, ბესიკ, აღდგომია. ადე, თორემ აზრად არაა კადრულობ.

— არა, გოგაივ, მხარი მტკივა.

— მხარიო? განა რა მოგვივიდა? — ჰკითხა გოგიამ და იქვე ჩაცუცქდა: — მხარი რა, გცემა ვინმემ?

— მცემა და ეგრე? — საცილით მიუგო ბესიკმა, წამოიწია, ნაბადზე ფეხმორთხმული დაჯდა და უამბო გოგიას, რაც შეემთხვა.

— იიპ, მეც არ ვიფიქრე, ეგ რაა! — წამოიძახა გოგიამ. — შენ უნდა გენახა, ერთხელ რომ თათრებმა მთელა დღე თოკით მათრიეს. ისე დამნაყეს, რომ თავიდან ფეხებამდე ელენთასავით ვიყავი დალურჯებული. ხედავ, მაინც ცოცხალი გადავრჩი. ვაჟაკი არა ხარ! ადე ერთი ორი თუნგი ღვინო დალიე და ყველაფერი გაგივლის. წამოდი, ჩემზე უკეთესი აქიმი შენ არ გინდა. ახლავე მოგარჩენ.

გოგიამ წელზე ხელი მოხვია ბესიკს, წამოაყენა და ცეცხლის პირას მიიყვანა. მანუჩარ თუმანიშვილმა, სუფრის თამადამ, მაშინვე ჯიხვის ყანწი აავსებინა და ბესიკს გაუწოდა.

ბესიკმა ჩამოართვა, დაილოცა და ცალი ხელით უხერხულად მოიყუდა.

— აი გაამოს, გაამოს! — აქეზებდნენ მოქიფენი. ბესიკმა ჯიხვი დასცალა. მთელ ტანში საამო სითბომ დაუარა. მხარის ტკივილს სრულიად აღარა გრძნობდა. შამფურს ცხელი მწვადის ნაჭერი აახლიჩა, პურს გადასწვდა და როდესაც მაშინვე მეორე ყანწი მიაჩინეს — ეს ფეხის ასაჩქარებელია, რომ როგორმე დაგვეწიო, თორემ ბოლოსში ჩანჩალი რა თქვენი საკადრისიაო, — უბარი აღარ უთქვამს, ჩამოართვა.

ახალციხის ფაშის დიდ სასტუმრო დარბაზში ნელ-ნელა მოგროვდნენ დიდებულნი. საფარ-ფაშა დიდიდანვე აფორიაქებული იყო. გათენებისას გააღვიძა მსახურმა და პირდაპირ საწოლ ოთახში შეუყვანა მგზავრობისაგან დაღლილ-დაქანცული ისკანდერი, რომელმაც ტოტლებენის საიდუმლო უსტარი გაუწოდა და თანაც თავისი თავგადასავალი უამბო.

წაიკითხა თუ არა ბარათი, საფარ-ფაშა მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და მთელი სასახლე ფეხზე დააყენა. მსახურები დაგზავნა და თავისი საბატონოს დიდებულები დაიბარა. საომარი სამზადისის გამო, დიდებულები ახალციხეში იყვნენ... და დილის ათი საათისათვის ყველანი დიდ დარბაზში შეგროვდნენ. არტაანის ბეგლარბეგი ემინი, სტამბოლადან გამოგზავნილი ლეკო სუფთა-ხანი და მალაჩინი თვით საფარ-ფაშასთან სტუმრობდნენ. ყველაზე აღრე დარბაზში ისინი შევიდნენ.

— ნეტავ, რა ამბავი მოუვიდა ისეთი, რომ დილის ნამაზიც კი არ დაგვაცალა რიგიანად შეგვესრულებინა? — ჰკითხა ბეჭებგანიერმა სუფთა-ხანმა ისეთსავე ბეჭებგანიერ ჩამოსხმულ ვაჟაკს მალაჩინს, რომელმაც დარბაზში შესვლისთანავე პატარა ნოხზე მოიკეცა და ზელში კრიალოსანა მოიმარჯვა.

— სასიხარულო ამბავი უნდა იყოს. მსახურებმა ასე მომახსენეს, — უბახუბა მალაჩინმა და კრიალოსნის მარცვლას შეუღდა.

დიდ დარბაზში იატაკი ერთი მთლიანი თექის ხალიჩით იყო დაფარული. ამ ხალიჩაზე სკამების ნაცვლად პატარა ოთხკუთხი სამლოცველო ნიჭიერი მწიგნობარი დიდებულები თითო-თითოდ მოდიოდნენ და ამ პატარა ლამაზ მრგვალი ოთხკუთხედიან ვით სხდებოდნენ. მოვიდნენ: არტაანის ბეგლარბეგი ემინი, მალალი და უცნაურად გამხდარი კაცი ჩაფარდნილი თვალებით და თხელი მოკლე წვერით, ტაოსკარის ბეგი მუსალიმ-ჩაჩა, უკვე სიმსუქნეში შესული ახალგაზრდა კაცი, კასკიმ-ბეგი შავშეთისა, რომელსაც აბრეშუმისით რბილი წითელი წვერი მკერდზე ეფინებოდა, არტაანის ბეგი ყალიმ, რომელსაც ქონა ყალიმს უწოდებდნენ, ნარიმან ბეგი, კოკა ჰაჯი. ყველაზე ბოლოს მდევებებით შებაჯბაჯდნენ დარბაზში ლევანდის გოლიათი ბეგები ბაშ-ალა და ბაშ-დელი.

დღიდანვე აფორიაქებული საფარ-ფაშა ახლა დარბაზში გასვლას აგვიანებდა.

წერილმა საგონებელში ჩაავლო.

ასეთი სანატრელი გამარჯვება, ერეკლე-ხანის დამარცხება და საქართველოს დაპყრობა მას მთელ ქვეყანაზე სახელს გაუთქვამდა. ას სულთანის პირველი ვეზირი გახდებოდა. სტამბოლში უბოძებდნენ მარმარილოს სასახლეს. ახალციხის საფაშოს გარდა, საქართველოც მისი საკუთრება გახდებოდა. სოლომონ მეფეს, აფხაზეთის მთავარს და დადიანს ხომ საბოლოოდ დაიმორჩილებდა.

მერე იქნება სულთანობაც კი... ამ აზრისა შეეშინდა საფარ-ფაშას და ისევ წერილს დაუბრუნდა.

გამარჯვება კარგია, მაგრამ ამ გამარჯვებას მას სასყიდლად სთავაზობენ. ოციათას თუმანს სთხოვენ.

გაიმეტოს ოციათასი თუმანი, მაგრამ ვაი თუ ტოტლებენმა მოატყუოს. მაშინ რომელ თავის სოროში ჩაძვრეს. მართალია, გამარჯვებას მარტო ხმლებით როდი მოიმიკიან, მაგრამ ამოდენა თანხა ზემორობა ხომ არ არის. ოციათასი თუმანი რომ მოაგროვოს, უნდა გაჰყიდოს, რაც ძვირფასი. რამე გააჩნია: ოქრო-ვერცხლი, თვლები, ჩალიჩები, ფარჩა, აბრეშუმი. მაგრამ თუ კოჭი აღჩუს არ დაუჯდა, მერე სადღა წავიდეს. მას ისეთი საფაშო აბარია, რომ ამ ტილიან ქვეყანაში ბევრს ვერ მოაგროვებს.

სუფთავ-ხანს ჯიბეში ორასი ათასი მანეთი ანუ ოციათასი თუმანი უდევს. სტამბოლში ჩაუთვალეს და დააბარეს, რაღაც უნდა დაგიჯდეს, თბილისი დაიპყარი, საქართველო შემოგვიერთე, თანაც აღუთქვეს, ყველაფერი შენი ძყოსო. ეს ორასიათასი მანეთიც და თბილისის ბატონობაც სტამბოლში ჩართულ ამ ლეკს მიართვეს და ახლა გამარჯვების მოსაბოებლად საფარ-ფაშამ თავისი ხალათი უნდა გაჰყიდოს.

რისთვის?

არა და რატომ უნდა შეავლოს თავისი მყუდრო ცხოვრების ბედი საეკვო ცასწორზე საფარ-ფაშამ. ერეკლესთან მეგობრობა მას თუ შემატებს რამეს, თორემ არას აგნებს. თუ ერეკლესთან მორიგდება, დადიანიც დამორჩილებული ეყოლება, სოლომონ იმერთა მეფეც და აფხაზეთის მთავარიც. ერეკლეს შინაც ასე უყვარს სოლომონი, როგორც ძალს კატა. ისინი კარგა ხანია ფიტრებიან ერთმანეთს. არა და ისიც ცხადია, რომ ერეკლეს კარგა ხანია თვალი უჭირავს სამცხე-საათაბაგოზე.

ამბობენ, ეს კუთხე უწინ საქართველოს თვალი იყო. ეს ძველი ციხე-კოშკები და საყდრები არიან ამის უსიტყვო და ჩუმი მოწმენი.



ვარძიის ქვაბებში თამარ მეფის სურათია კედელზე მიხატულს, განა მარტო ვარძია არის ამის მოწმე? ყოველ სოფელში, ყოველ კედელზე ქრისტიანული საყდრის ნახვრევებია ამართული.

მართალია, ამ სოფლებში მუსულმანები სახლობენ, მაგრამ მათ მაინც ქართული გვარები აქვთ.

მართალია, ამ მოსახლეობას ვერ უხსენებ, რომ ისინი ქართველებია არიან, მაგრამ თუ ერეკლეს ხმალმა მათ თვალწინ გაიღვია, მაშინ ეს მუსულმანი ქართველები ჩალმებს ტალახში გადააყრიან და თავიანთ ეკლესიის ნანგრევებში პირჯვრის წერას დაიწყებენ.

ხმალმა მონათლა ქრისტიანები მაჰმადიანებად.

იგივე ხმალი მათ ქრისტიანებად მონათლავთ, თუ ამ ხმალმა გაიმარჯვია.

არ გაიმარჯვებს ეს ხმალი.

მართლმორწმუნეს ვერა სძლევს უსჯულო. მაგრამ ახლა საქიროა ოციათასი თუმანი. მერე სად, იშოვოს ეს ფული საფარ-ფაშამ?

არა.

სჯობია საფარ-ფაშა ისევ ახალციხის მფლობელი იყოს, ჰყავდეს თავისი ორმოცი ცოლი, ჰქონდეს ეს ცოტად თუ ბევრად კარგი სასახლე და არაიწმინდავდებოდეს ქონებაში.

აგერ ლეკი სუფჰავ-ხანა ოცნებობს თბილისის დაპყრობას. მას სტამბოლში სწორედ ოციათასი თუმანი უძობეს და აღუთქვეს, თუ საქართველოზე გაიმარჯვებ, თბილისის ფაშობა შენი იყოსო.

იყოს.

თუ ფაშობა უნდა, ფულს ნუ დაინანებს. ათი ზანდუკი ფული ჩამოიტანა სტამბოლიდან, აიღოს და გაუგზავნოს ტოტლებენს.

საფარ-ფაშამ საბოლოოდ გადასწყვიტა, ტოტლებენის წინადადება დიდებულთა სამსჯავროზე გაიტანოს. თუ ვინმე მოისურვებს თავისი ქონების გაწირვას თითონ საფარ-ფაშა არას დაჰკარგავს. სულთანის მფარველობა არ მოაკლდება და თუ საქმე ცუდად წავიდა, ყოველთვის მოახერხებს ერეკლესთან შერიგებას.

ასეთი გადაწყვეტილებით საფარ-ფაშამ თამამად შეაბიჯა სასტუმრო დარბაზში და დიდებულებს სალაში მისცა.

შემდეგ მდივანბეგს ტოტლებენის უსტარი ჩამოართვია და ხმამალა წაიკითხა.

ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ.

საფარ-ფაშამ კითხვა დაამთავრა, ეშმაკურად თვალი მოჰუტა, წვერებზე ხელი დაისვა და დინჯად ჩაილაპარაკა:

— ვინც ერეკლეს ხმალს იცნობს, მისთვის ასეთი წინადადება სამოთხეში შესვლაზე უფრო სანატრელია. დიდებულებო, უძლეველი მეფენი ეშმაკური ფანდით ყოფილან ძლეულნი. ეს ყველას გაგიგონიათ. ერეკლე-ხანის ხმალი გერ ვერავის მოუხრია. მისი ხმალი შელოცვილია ან ისეთი ჯადო აქვს, რომ თუ თვით ალაჰი არ შეედა, ისე გერავენ დააკლებს რასმე. მაგრამ ახლა ამაზე უკეთესი შემთხვევა, მგონი, არასოდეს არ მოგვეცემა. მე მგონია, თვით ალაჰმა ინება ასე უკუღმართად წარემართა რუსთა და ქართველთა საქმე. ხოლო ჩვენ, მართლმორწმუნე მაჰმადიანთ, გვიბრძანებს, თქვენთვის ხელი მომიმართინა და დანარჩენი თქვენ იცითო. მაგრამ მცარე რამ დაბრკოლება, რაიცა ჩვენ ერთობლივ უნდა გადავლახოთ, გველობება წინ. საღარო

ჩემი, მართალია, სრულიად ვერა ზღავს იმ საფასურს, რასაც ტოტლებენი გვთხოვს, მაგრამ...

სუფთა-ხანი უტბად ზეზე წამოიჭრა, საფარ-ფაშას მდაბლადაა და პატივება სთხოვა, რომ სიტყვა შეაწყვეტინა.

— რა გინდა სიტყვა სუფთა? — ღიმილით შეეკითხა საფარ-ფაშა და სასმენად მოეშადა. კმაყოფილი იყო საფარ-ფაშა, რომ ამოდენა ღლავი ზელად წამოეყო ანკესზე.

— ნება მომეცი თქვენს ჩრდილს, ორიოდ სიტყვა მოგახსენო.

„ახლა ჩრდილს უწოდებ შენ თავს, მაგრამ თუ თბილისი ხელში ჩაიგდებ, მერე მე უნდა დაეიჩოქო შენს წინაშე“, — გაიფიქრა საფარ-ფაშამ.

— მე არც ქონებას ვეძიებ, არც სიმდიდრეს, — დაიწყო სუფთა-ხანმა და დიდებულებს გადახედა: — ღმერთზე დაბალმა, მაგრამ მზეზე უმაღლესმა სულთანმა ოციათასი თუმანი მიბოძა, თუ ერეკლეს დავამარცხებ და თბილისს ავიღებ. მე შეტი არა გამაჩნია-რა, არც საბატონო მაქვს და არც სიმდიდრე. შემომიწირავს სულთანის ნაბოძები ქონება, მხოლოდ ერთის პირობით; თბილისი მე უნდა ავაღო იმის შემდეგ, როცა ერეკლეს ლაშქარს გავანადგურებთ.

— თანახმა ვარ, — ბრძანა საფარ-ფაშამ.

— კიდევ ერთი ჩემი პირობაც, — წამოიჭრა ფეხზე მალაჩინი: — მართალია, საფარ-ფაშავ, შენი სტუმარი ვარ და როგორც სტუმარს ბევრი ლაპარაკის უფლება არა მაქვს, მაგრამ ეს სიტყვა თუ არ მომისმინე, აქვე თქვენს წინ გავიგმირავ გულს.

— ბრძანე.

— ერეკლე-ხანთან ბრძოლა არ აგვეცდება. ეს ცხადია. არწივს, მართალია, ხატანჯს ვუგებთ, მაგრამ კიდევაც რომ ჯაებას, რომელი თქვენგანი გაბედავს შიშველი ხელით არწივას დაჭერას. ერეკლე-ხანის დამარცხება არც თუ აგრე აღვილია. მაგრამ ახლა ვხედავ, მისი აღსასრული მართლა დამდგარა. მე მხოლოდ ერთ შემთხვევაში შემიძლიან დავეთანხმო თქვენს გადაწყვეტილებას.

— რა შემთხვევაში? — გაოცებულა თვალებით შეხედა მალაჩინს საფარ-ფაშამ.

— თუ ერეკლე-ხანს ჩემის ხელით მომაკვლევიანებთ. ახლაც გაფრთხილებთ, ვინც გაბედავს ბრძოლაში ჩემს გარდა შეებას ერეკლე-ხანს, ამ ჩემი საკუთარი ხმლით მოვკვებთ თავს. თქვენ გამარჯვებას ოქროთი ყიდულობთ, მე ოქრო არა მაქვს და არც ვაკადრებ ჩემს ხმალს მოსყიდვით მოაპოვოს გამარჯვება. ის ჩემი მოსისხლეა და მხოლოდ მე მაქვს უფლება ჩემი ხელით მოვუღო მას ბოლო. თქვენც იცოდეთ და ლაშქარსაც გამოუცხადეთ, ვინც გაბედავს და ერეკლეს შეებრძოლება, აღაშს ვფიცავ, ის ჩემი მოსისხლე იქნება.

— მალაჩინი მართლაც ბრძანებს, — მიმართა დამსწრეებს საფარ-ფაშა და თვალბში შეხედა სუფთავეს, რომელიც უსიამოვნოდ მოიღუშა — ამ უფლებას მას ვერ წაეართმევთ. სუფთავეს ვატყობ ენანება ეს საპატიო საქმე ვინმეს დაუთმოს, მაგრამ მაშინ სისხლის აღებას მალაჩინს ვერ დაუშლით.

— მე თანახმა ვარ, — ჩაილაპარაკა სუფთა-ხანმა და ბეჭებში გასწორდა. — მხოლოდ იცოდეთ, თუ მალაჩინს ბედმა უმტყუნა მაშინ მართო ჩემა ხმალს ექნება უფლება შეებას ერეკლეს ხმალს.

საფარ-ფაშას გუნებაში ეციებოდა და თანაც უხაროდა, რომ ეს ორი ვაე-

კაცი სამგლე ნუკრებივით ატეხილიყუნენ. ქართველებზე გამარჯვების მოლო-
ვება უდაოდ ხელში ეჭირა, მაგრამ ამ ბრძოლაში რომ ოროვენივე მხარე
და სუფთავიც, თავებს წააგებდნენ, ესეც ადვილი წარმოსადგენი იყო. მარ-
თალია, თრევს სახელგანთქმული ვაჟაკის სახელი ჰქონდა ხალხში დავარდ-
ნილი, განსაკუთრებით მალაჩინს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, მოქნეუ-
ლი ზმლით მხედარს ცხენიანად ჰკვეთდა შუაზე, მაგრამ საფარ-ფაშა ექვობ-
და, რომ რომელიმე მათგანმა ერეკლე პირისპირ შებმით დაამარცხოს. ამი-
ტომ თავაზიანი ღიმილით უსმენდა ორივეს და გარეგნულად ცდილობდა ისე
ერეკლებინა თავი, თითქო დიდად აღტაცებული იყო მათი ვაჟაკური გატ-
ყებით.

მცირე თათბირის შემდეგ გადასწყდა, დრო რომ არ დაეკარგათ, მაშინვე
გაეგზავნათ კაცი ტოტლებენისათვის, რათა მას დანიშნულ ადგილას შეხვედ-
როდენ, ფული გადაეცათ და თანაც შეემუშავებინათ ერთად მოქმედების გეგმა.
ტოტლებენს თითონ სუფთაე-ხანი უნდა შეხვედროდა. ამისათვის ის ახლა-
ვე უნდა წასულიყო აწყურს, საიდანაც უფრო მოსახერხებელი იყო ტოტლე-
ბენთან კავშირის დამყარება და დანიშნულ ადგილას შეხვედრა.

— არ ვიცი, ეს ქრისტიანების აღდგომა ვის გაუთენდა ასე იღბლიანი, ჩვენ
თუ იმათ, — სიცილით სთქვა საფარ-ფაშამ. — დღეს მათ დიდი ნადიმი და წვეუ-
ლება აქვთ. ვგონებ, ალპი არ შეგვრისხავს, თუ ამ ბედნიერი საქმის გამო
ჩვენც ვინადიმებთ. დაე, ქრისტიანებმა იფიქრონ, რომ იმათი პატივისცემით
ვეძლევით ლხინს.

ფაშამ მსახურები იხმო და უბრძანა, რომ სანადიმო სუფრა გაეშალათ.



რუკაზე დახრილი ტოტლებენი თარჯიმანის საშუალებით უხსნიდა ერეკლეს.
— ეს მდინარეა, — გააყოლა თითი ხაზს ტოტლებენმა და თარჯიმანს
უთხრა: — გადაუთარგმნეთ.

თარჯიმანი თავდახრილი ადგა და სიტყვა-სიტყვით სთარგმნიდა ტოტლე-
ბენის ნათქვამს ფრანგულიდან რუსულად, რუსულიდან ქართულად კი მეფეს
დავით ორბელიანი უთარგმნიდა.

— ეს მთებია, — განაგრძო ტოტლებენმა.

დავითს უტბად მოუვიდა გული. წარბები შეჰკრა და თარჯიმანს მიუბრუნდა:
— გადაეცი მის ბრწყინვალებას, რომ მისი უმაღლესობა მეფე მშვენივ-
რად იცნობს რუკებს და ყველა პირობითს ნიშანს. მისმა ბრწყინვალეობამ
კეთილ ინებოს და უშუალოდ საქმეზე ილაპარაკოს.

თარჯიმანი შეკრთა. ფიცხი ხასიათის ტოტლებენი შესაძლებელია სრუ-
ლიად უსაფუძვლოდაც-კი აფეთქებულიყო. ამიტომ ცოტა შეაგვიანა დავითის
სიტყვება მოეხსენებინა გრაფისათვის.

— რაო? — იკითხა ტოტლებენმა — რა სთქვა?

თარჯიმანმა მოახსენა.

ტოტლებენს გული არ მოსვლია. მას შემდეგ, რაც შეთქმული ოფიცრები
დაატუსალა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, ტოტლებენმა შეებით
მოითქვა სული. ჯარის ამბოხების ეშინოდა. არაფერიც არ მოხდა. აღბათ,
ამიტომ, რომ აღდგომის გამო ყველანი სადღესასწაულოდ იყვნენ განწყო-
ბილნი. წირვაზე ყველას დედოფლის ერთგულებაზე დადებული ფიცა გაა-

მეორებინა. მერე მთელა ჯარი საპარადოდ დააწყო, ერეკლეს ბანაკში წაიყვანა და დიდის ზეიმით გადასცა მეფეს ანდრია პირველწოდებულს. იცდთერთმეტჯერ დააქუხეს ზარბაზნებმა. ქართველები საზღვარი არა ჰქონდა. საუბრის დროს გრაფმა ფრთხილად მოახსენა მეფეს, რომ იძულებულა გახდა რამდენიმე თავისი მეამბოხე ოფიცერი დაეტუსალებინა. მოახსენა და თან თვალებში შესცქეროდა ერეკლეს. დარწმუნებით სჯეროდა რომ მეფე შეთქმულთა თანამონაწილე იყო. უნდოდა თვალებით გამოემეტყველებით გაეგო, შეკრთებოდა თუ არა მეფე.

მეფე არ შეკრთა. გრაფს უთხრა, გავიგე ოფიცრები იმისთვის დაგიტუსალებია, რომ ჩემთან დადიოდნენო. ჩვენ სტუმართმოყვარე ხალხი ვართ და როგორ შემეძლო მათთვის ამეკრძალა, არ მოსულიყვნენ ჩემთან.

გრაფმა თავაზიანად მოახსენა, რომ სრულიადაც მაგის გამო არ დამატუსალებიაო ისინი. ამით გათავდა მოსალოდნელი შეჯახება მეფესთან და ტოტლებენმა მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა ლაპარაკი. მოისურვა მეფესთან ერთად განებოდა მომავალი ლაშქრობის გეგმა.

კარავში რუკები გაშალეს და გრაფმა აუხსნა ერეკლეს თავისი განზრახვა. გრაფი თავისუფლად ლაპარაკობდა, რადგან მეფე კარგ გუნებაზე იყო. ზეიმით მირთმეულმა ორდენმა, ალბათ, შესაფერი გავლენა მოახდინა მასზე. მაგრამ დავით სარდალის გამოშფევევა უკმებობამ გააკვირვა.

მიხვდა ტოტლებენი.

გამოცილდ მეფეს ადვილად შეეძლო დაეფარა ყველაფერი, რაც გულში ედო. ახალგაზრდა სარდალს-კი ეს არ შეეძლო.

— აუხსენით ბატონ სარდალს, რომ ჩვენი რუკების პირობითი ნიშნები არსებითად განსხვავდებიან სპარსული რუკების ნიშნებისაგან, — უთხრა ტოტლებენმა თარჯიმანს და შემდეგ ისევ რუკას დახედა.

უცბათ გული მოუვადა. დავითს შეხედა და გუნებაში გაიფიქრა: „მე შენ გასწავლი ქედმაღლობას, ბალო!“

— გადაეციეთ მის უმაღლესობას, რომ მე პირისპირ მსურს მასთან საუბარი. გამოუძახეთ მოურავოვს და დანარჩენებს ვთხოვთ მარტო დაგეტოვოთ. თარჯიმანმა მორჩილად მოახსენა:

— მესმის.

და მაშინვე გავიდა კარავიდან. დავით სარდალმა გაკვირვებით შეხედა გრაფს.

ერეკლე რუკებს დასცქეროდა და მთელმა ამ ამბავმა მისთვის შეუმჩნეველად ჩაიარა. როდესაც მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა, თავი აიღო და დავითს ჰკითხა:

— რა მოხდა?

— ეშმაკმა ნუ იცის ამისი თავი! თქვენი ხატრი რომ არა მქონდეს, მეფეც, ისეთ პატივსა ეცემდი მას, როგორც ერთხელ ნუქარდინის ელჩსა სცა ზაქარია მხარგრძელმა. თუ ნებას მომცემთ, წავალ აქედან, თორემ... — მშვიდი სახით მოახსენა დავითმა მეფეს, რომ ტოტლებენს სახის გამოემეტყველებით ვერ შეემჩნია რამე.

— წადი, შეილო.

დავითმა თავი დაუკრა მეფეს და მაშინვე დასტოვა კარავი.

ერეკლე ისევ რუკას დააქერდა.

თარჯიმანმა მოურავოვი მოიყვანა.

— თქვენ საჭირო აღარა ხართ, — უთხრა გრაფმა თარჯიმანს და მოურავოვს მიუბრუნდა: — სად გადაიკარგეთ, თავადო.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეებო. პანინთან ბარათსა შექმნილიყო დელი ზემისა და თქვენს მიერ მეფისათვის ორდენის გადაცემის შესახებ.

— აა, ეგ კარგია, მაგრამ მაგას მოვასწრებთ.

ტოტლებენმა ისევ დახედა რუკას და მოურავოვს უთხრა:

— მოახსენე მის უმაღლესობას, რომ მე ვერჩევე, მთავარი ბანაიკი სადგერში გადაიტანოს. მე ჩემ ჯარს მტკერის მარცხენა მხარეს ვატარებ და აწყურამდე ასე ვივლით: მე მარცხენა ნაპირს გავუყვები, მისი უმაღლესობა — მარჯვენა ნაპირს.

— ეგ თითქმის შეუძლებელია, — სთქვა ერეკლემ, როდესაც მოურავოვმა ტოტლებენის ნათქვამი გადაუთარგმნა: — მარცხენა მხარეზე პეტრეს ციხემდე გზა გაუვალია და ზარბაზნებს ვერ გავიტანთ. მარჯვნივ უნდა ვიაროთ. მტკვარგალმა აწყურის ხიდზე უნდა გავიდეთ და იქიდან ახალციხემდე სულ მინდვრებზე მოგვახდებდა სიარული.

— აწყურის ციხეს რომ ავიღებთ, განა არ აჯობებს ხელსაყრელი პოზიციები დაეიჭიროთ და მტრის ძალების მოსვლას ველოდოთ? — ჰკითხა ტოტლებენმა. — თუ ჩაუუსადრდებით, მათ ლაშქარს ადვილად გავანადგურებთ.

— აწყურის ციხე შეიძლება ვერ ავიღოთ, — უთხრა ერეკლემ. — თქვენმა თორმეტგორიანქიანმა ზარბაზნებმა ვეჭვობ, მის კედლებს რაიმე დააკლონ. უმჯობესია მტკვარ-გალმა გავიდეთ, გარშემო სოფლები დავიბყრაოთ და შემდეგ პირდაპირ დავიძრაოთ ზურქთა ჯართან შესახვედრად. მხოლოდ მე მგონია, ასე მოვიქცეთ:

ჩემს ლაშქარს მარჯვენა მხრიდან ვიწრო ხეობით ვატარებ და მოკლე გზით როკითის უღელტეხილზე გადავიყვან, — ერეკლემ თითი გააყოლა რუკას: — აქ ასანინა უნდა იყოს, აქედან ახალციხემდე მოკლე გზაა. ამგვარად თურქებს უკან დასახვე გზას მოუჭერი და სანამ თქვენ ახალციხის ვაკეზე მტერს შეხვდებით, მეც იქ გავჩნდები, ზურგიდან დაფუთვი მათ, და მტერი ისეთ მახეში გვეყოლება მომწყვდეული, რომ გასაქცევი გზა აღარ ექნება.

ტოტლებენი დაფაქრდა. რუკა გულდასმით დაათვალიერა. ერეკლეს წინადადება მოეწონა.

თუ ახალციხის ფაშა მის წინადადებაზე უარს იტყვოდა, მაშინ მართლა საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს თურქებს, რადგან ადგილმდებარეობა სრულიად შესაძლებლად ხდიდა ერეკლეს განზრახვის განხორციელებას. ტოტლებენს შეეძლო ჩასაფრებულოყო, მშვიდად ეცქარა მტრის ჯარისათვის, სანამ თათრების ზურგში ერეკლე არ გამოჩნდებოდა. მაშინ ტოტლებენიც წავიდოდა იერიშზე და თურქთა ლაშქარს სიკვდილის მეტი ვერა იხსნადა-რა.

მაგრამ თუ ახალციხის ფაშა დათანხმდებოდა ტოტლებენის წინადადებაზე, მაშინ უფრო კარგი მდგომარეობა იქნებოდა ერეკლეს გასანადგურებლად. როკითის უღელტეხილისაკენ მიმავალი ქართველთა ჯარი ვიწრო ხეობაში იქნებოდა ჩაკეტილი. თუ ტოტლებენი აწყურიდან უკან დაიხევდა, მაშინ თურქებს შეეძლოთ აწყურის გარნიზონის დახმარებით ერეკლესათვის უკანდასახევი გზა მოეპრათ, ხოლო წინ, სანამ უღელტეხილზე ავიდოდნენ ქართველები, თურქებს საშუალება მიეცემოდათ სათითაოდ ამოეწყვიტათ ერეკლეს მეომრები.

ტოტლებენი ისევ კარგ გუნებაზე დადგა. ჯიბიდან ბურნუთის კოლოფი ამოიღო, მაგრამ მამინეე ისევ ჩაიღო ჯიბეში. არ შეიძლებოდა კიეფესლერ ბურნუთის მოწევა.

— მე თანახმა ვარ, თქვენო უმადლესობავ. ყოველგვარი პირფერობის გარეშე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ შესანიშნავად მსჯელობთ. მაშ გადამწყვეტილია. მხოლოდ ეს მიბრძანეთ, როდის ინებებთ გალაშქრებას.

— ეგ თქვენზეა დამოკიდებული, თქვენო ბრწყინვალეობავ. მე თუნდა დღესვე დაქვარე ლაშქარს, — უთხრა ერეკლემ და მოურავოვს ღიმილით ჩაულაპარაკა: — ეგ დალოცვილი ხან მეუბნება ლაშქრობა ხუთი დღით გადავდლოთო, ხან კიდევ მაჩქარის. ერთი ჰკითხე, შენმა დღეგრძელობამ, საბოლოოდ რა სურს.

მოურავოვმა ჰკითხა ტოტლებენს, თითონ როდის სურდა გალაშქრება.

— ხვალ.

— იყოს ნება თქვენი, — უპასუხა ერეკლემ.

— ნება მომეცით გამოგეთხოვოთ, — დაუკრა თავი ტოტლებენმა მეფეს.

ერეკლემ ეზოს მოძღვარი იხმო და ბრძანა, რათა სარდლებს გაეცილებინათ გენერალი. შემდეგ, როდესაც ტოტლებენი კარაიდან გავიდა, მოურავოვს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ რაღაც ცუდ გუნებაზე ხარ, ანტონ.

— ბევრი რამ მადარდებს, მეფევე.

— მაინც?

— ერთს რამეს მოგახსენებთ, მაგრამ სიტყვა უნდა მომცეთ, რომ ამის შესახებ არავის არა უთხრაოთ რა, თორემ ეს ამბავი ჩემს შეტმა არავინ იცის და თუ გამჟღავნდა, იმასაც გაიგებენ, რომ მე მოგახსენეთ.

— სიტყვას გაძლევ, არსად არა ვთქვა-რა.

ანტონმა მიმოიხედა და ჩურჩულით მოახსენა მეფეს:

— დედოფალმა ხუთიათასი თუმანი გამოგზავნა თქვენთვის ანდრია პირველწოდებულის ორდენთან ერთად, მაგრამ ეს ფული გრაფმა რატომღაც არ მოგართვათ. მე კი მეგონა ორდენთან ერთად გადმოგცემდათ. ეს ფული ლაშქრობის ხარჯებისათვის არის გამოგზავნილი. მართალია, პანინი სწერს გრაფს, რომ ერეკლეს ეს ფული მაშინ გადაეცი, თუ სპირდებოდესო, მაგრამ განა საკითხავია? დღეს რომ ლაშქარს თეთრი დაურიაგეთ, რატომ თქვენმა ჯიბემ უნდა ზღოს ყველაფერი?

ერეკლე მოიღუშა.

— შენ რომ არა მყავდე ნუგეშად, ჩემო ანტონ, არ ვიცი, რა დამემართებოდა. — მერე უნებურად წასკდა სიცილი: — რა ჯადო აქვს ამ ოქროს, ყველას რომ თვალს უბრმავებს, გინდ სარდალი იყოს, გინდ ვაჭარი. არა უშავს-რა, მაგ ფულს მოგატანინებ. ყელამდე ვალეშში ვარ და მართლა შვება იქნებოდა ჩემთვის, რომ ახლა ეგ ხუთიათასი თუმანი ხელთა მქონოდა. მე პანინს ბარათს მიეწერ და ეითომ არა ვიცი-რა, ფულსა ვთხოვ, შენ კიდევ შენის მხრით აცნობე, თუ რა დღეში ვარ. მამინ რაღას იზამს ღრაფი. ძალიანაც რომ სურდეს უარის თქმა, ვერას გახდებდა.

— მეც აგრე ვფიქრობ, მეფევე. ჯერ როგორმე იოლად წაეადეთ. მანამდე ეითომ არა ვიცი-რა.

— შეთქმულთა შესახებ რა შეიტყე? — ჰკითხა ერეკლემ.

— ლვოვი მიამბობდა, რაც მოხდა, მაგრამ აქ დამიძახეს და ბოლომდე არ

მომისმენია. თქვენის ნებართვით ვიახლებით და წერილად ყველაფერს ვამბობინებ.

გაბაშვილი
ბიზუნიონიქა

— კარგი, წადი, ნულარ დააყოვნებ.

მოურავოვმა თავის კარავს მიაშურა. ლოვი იქვე იყო. მან მთელი ღამე ისე გაათენა, რომ ერთი წუთით თვალი არ მოუხუჭავს. როდესაც გათენებისას რემენნიკოვი დაატუსაღეს, გრაფმა ლოვის თანდასწრებით დაჰკითხა მას. რემენნიკოვი ამყად იღვა, გრაფს რამდენიმე უდიერი პასუხა მისცა, ლოვის-კი ისე გადახედა, თითქოს მისი განგმირვა სურდა. ჩვენ კიდევ შეეხედებით ერთმანეთსო, უთხრა მან გრაფს და ასევე ლოვს გადახედა. თითქოს ეს მუქარა მისკენაც იყო მიმართული. ლოვი გვარდიის ოფიცერი იყო და შიში კი არ ღანჯღღია ამის გამო (ყოველ შემთხვევაში თავის თავს ასე არწმუნებდა), არამედ შეშურდა რემენნიკოვის ასეთი ვაჟაკური ქცევა.

ეს შთაბეჭდილება მას ბოლომდე შერჩა და თუმცა ჩოგლოკოვს უფრო ვაჟაკურად ეჭირა თავი გრაფთან, მას ისეთი გავლენა აღარ მოუხდენია ლოვზე.

— მიამბე, რა მოხდა შემდეგ, — მიმართა მოურავოვმა ლოვს კარავში შესვლისთანავე და იქვე ქეჩაზე მოიკეცა.

— საღ შეეჩერდი, აღარც კი მახსოვს, — სთქვა ლოვმა და თვალები ისე მოიფშვნიტა, თითქოს ახლა გაეღვიძებინოთ.

— ერთის სიტყვით, დეგრალიე სამსახურიდან გაავლო და ჯერი ჩოგლოკოვზე მიღვა, — გაახსენა მოურავოვმა. — შემდეგ?

— ჰო, უკვე კარგად იყო გათენებული. გრაფმა ბრძანა, ჩოგლოკოვიც მოეყვანათ. აღმოჩნდა, რომ ის ისევე აქ წამოსულიყო, ქართველთა ბანაკში. გრაფმა ბრძანა, სასწრაფოდ გამოეწვიათ. მერე მე და მაიორ ეოლუბოვს გვთხოვა მოგვეცადა, თითონ ოფიცრები შეკრიბა და ჯერ კარგად შეახტრა, მერე განკარგულება გასცა, ჯარი საპარადოდ დაეწყოთ. ამასობაში ჩოგლოკოვიც მოიყვანეს. შემოვიდა თუ არა კარავში, მაშინვე მიხედა ყველაფერს და შეკრთა. მთლად გაფითრდა. გრაფმა უთხრა, რამდენჯერმე გირჩიე ჰკუთით ყოფილიყავ, შენ კი სისულელეებს არ იშლი, ამიტომ ხვალვე აიკარი ბარგი და პეტერბურგში წადიო. შენისთანა მოხალისე მე არა მჭირდება და ჩემზედაც ნურა გეჭნება-რა სასაყვედურო, რადგან რაც შემძლო, ყოველივე ვიღონე ცუდი გზიდან ამეცდინეო.

— კარგი, ბატონი ბრძანდები, — უთხრა ჩოგლოკოვმა: — წავალ, მაგრამ იცოდეთ, ეს დიდად საწყენია ჩემთვის.

— ამის მიზეზი თითონ თქვენა ხართ — მიუგო გრაფმა: — ამიტომ გთხოვთ, სიტყვის შეუბრუნებლად გაემგზავროთ.

— კეთილი, წავალ, — უპასუხა ჩოგლოკოვმა, — მხოლოდ იცოდეთ, ისევ ძალე დაებრუნდები.

გრაფმა უთხრა:

— თუ შენსას არ დაიშლი და შენის ნებით არ წახვალ, დაგატუსაღებ და ისე გაგზავნი.

— როგორ თუ დამატუსაღებთ? აბა ერთი გაბედეთ და დაშნა ჩამომართვით. მას თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებთ დამიბრუნოთ, თუ მისი წვერი თქვენსკენ იქნება მომართული.

გრაფმა მაშინვე ბრძანა დაეტუსაღებინათ ჩოგლოკოვი და თანაც დასძინა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მე ტოტლებენი ვარ და თუ დედოფალი დაშნას დაგიბრუნებთ. შეგიძლიანთ ყველგან მომხახთ.

— თუ მე დაშნა დამბრუნებს, ქვესკნელშიაც კი ვერ დამტყურობს უბასუხა ჩოგლოკოვმა. — ისიც ვიცი, რომ თქვენ ტოტლებენი ხართ, მაგრამ არც ის დაგავიწყდეთ, რომ მე ჩოგლოკოვი ვარ.

— ვიცი, — უბასუხა გრავმა, — მხოლოდ ის კი არა მჯერა, რომ თქვენ იმპერიაში მესამე პერსონა ბრძანდებით და თანაც ტახტის მემკვიდრე. მე რუსეთში ვმსახურებ, ტახტის მემკვიდრეც ვიცი ვინ არის, თქვენ კი გირჩევთ თქვენს კარავში მიბრძანდეთ.

ისიც, რასაკვირველია, იძულებული გახდა გასცლოდა გრავს. ჩვენ კი აქეთ წამოვედით. დანარჩენი თქვენც იცით, ანტონ რომანოვიჩი! — დამთავრა ამბავი ლოვმა და თან მაღიანად დაამთქნარა.

— ცუდია ყველაფერი ეგ, ცუდი, — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა მოურავოვმა და ხელი უღვაშზე გადაისვა, — წუხელ კიდეც გრავს მეფის მდივნის დატუსაღება განუზრახავს. ჩემს ბანაკზე რატომ გამოიარაო. აბა, ეს რასა ჰგავს? მე აქეთ ვცდილობ, ერეკლე მეფე როგორმე დავაშოშმინო, გრავის მაგიერ ყოველ წუთს თავი ვიმართლო, ის დალოცვილი კი ისე იტყვევს, თითქო განგებ სურდეს მეფე გადაიბტეროს.

— როგორ?

— როგორ და ქართველებს შორის ხმა გავარდა, გრავმა ოფიცრები იმისთვის დაატუსაღა, ქართველებს რად დაელაპარაკეთო.

— აბა ეგ რა სისულელეა! — გაიცანა ლოვმა.

— კიდეც კარგი, რომ გრავისა და მეფის საუბარმა ამ საკითხზე ასე იოლად ჩაიარა. თუმცა თავათ შეატყობდნი, როგორ ერიდებოდა ორივე საკითხის გამწვავებას, და ბედი ჩვენი, რომ გრავი მეტად თავდაპყრილად იყო. ეს დღეს, მაგრამ ხვალ რა იქნება? არ ვიცი, კიდეც რამდენჯერ დამჭირდება გრავის მაგიერ ბოდინის მოჭრა.

— არა უშავს-რა, — დამშვიდა ლოვმა მოურავოვი, — ყველაფერი რიგზე იქნება.



ორშაბათ დილას, როდესაც ნაგვიანევი ცალგვერდა მთვარე ცისკართან ერთად ამოიწვერა, ქართველთა ბანაკში საყვირი დაუკრეს და მთელი ჯარი წამოიშალა. ყველანი ჭინჭველებივით აფუსფუსდნენ, კარვები აშალეს, საბალნეები შეპკრეს და საბალახოდ გაშვებული ცხენები მორეკეს. ყველგან ისმოდა მზიარული ყიჟინი, სიცილი-ხარხარი, სიმღერები და შეძახილები. ერთ საათში უკვე მთელი ჯარი გამზადებული იყო. ლაშქრის მოძრაობას ახლა დავით ორბელიანი ხელმძღვანელობდა, რომელმაც სადროშოებს წასვლის თავთავიანთი ჯერი დაუწესა და თავში ზევსურთა ათასეული გაუშვა. ზევსურებმა მძიმე ძუნძულით გარეკეს ცხენები. მათ ბავშვებივით უხაროდათ, რომ როდესაც მტერს დაუახლოვდნენ, მეწინავეთ ისინი გაუშვებ.

გაიბაჟრა თუ არა გზაზე მათი მწკრივი, დავითის მიერ გაგზავნილმა ჯარჩებმა, რომელთაც ბესიკი მეთაურობდა, ჯარის გადათვლა დაიწყეს. ისინი მოხერხებულ ადგილას ჩაუსხდნენ. ბესაკმა კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა და დაიწყო ჩაწერა, რასაც დამთვლელები რიგრიგობით ეუბნებოდნენ.

დილას, როდესაც ბანაკი აიშალა, დავითს რაღაც თვალში ეცოტა და ლაშქარი. მართალია, მეფემ ათასი კაცი პურის მოსატანად გაგზავნა და მისი მანძი უფრო შეთხლებულად მოეჩვენა და ათასი კაცის დაჯილდოება იმდენად არ უნდა შესტყობოდა. ეს ამბავი მაშინვე ერეკლეს მოახსენა, რომელმაც ოდნავი ღიმილით ანუ გეგმა დაეითა.

— ალბათ, თეთრი რომ დაეფრიგეთ, ახლო-მახლო სოფლებში თუ დაიფანტნენ პურის სასყიდლად. არა უშავს—რა, სანამ ჩვენ ხილზე ვავიდოდეთ, ისინიც მოგროვდებიან.

ერეკლემ, რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ ერთ ადგილზე გაჩერება მისი ჯარისთვის ძნელი იყო. ასე ახლო ადგილიდან კი არა, თვით ყანდაარის-დან გაპარვიან სახლში მხედრები. ახლო-მახლო ლაშქრობის დროს-კი იშვიათად მიჰყოლიან ბრძოლამდე ყველანი. უმრავლესობა შინ მიიპარებოდა. ბევრჯერ სცადა, მკაცრი სასჯელი შემოეღო გამარულების დასასჯელად. გზებზე ისაულებს გზავნიდა საყარაულოდ, მღვერებს ადევნებდა, მაგრამ ყველაფერი ამათ იყო. კიდევაც რომ დაეგრუნებინა გაქცეული, ბრძოლისათვის ის მაინც აღარ ეარგოდა. ამიტომ ერეკლე ყოველთვის ვარაუდობდა ლაშქრობის დროს ჯარის ერთი შესამედიტ შემცირებას. ახლაც იცოდა, რომ ბევრი გაეპარებოდა ბანაკიდან და ამიტომ უფრო უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გადაეტანა ბანაკი სადგერში, რომ ბორჯომის ვიწრო ხეობაში ჩაეკეტა ლაშქარი. იქიდან გზების შეკვრა ადვილი იყო, აქ კი ხაშურის ტრიალ მინდვრებზე შეუძლებელი იყო მათთვის თვალყურის დევნება.

დავითისთვის ეს წარმოუდგენელი მოვლენა იყო, რადგან ის რუსეთის ჯარის ზნე-ჩვეულებებზე იყო გაზრდილი და არაოდეს ფიქრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ შესაძლებელი იყო ასეთი თვითნებობა. ახლა გაოცებული შეაქცერდა მეფეს.

— თქვენო უმაღლესობავ, როგორ თუ პურის სასყიდლად წავიდოდნენ?— ჰკითხა დავითმა ერეკლეს, — ნებართვა ხომ უნდა მიეღოთ. განა აგრე თავის ნებაზე შეეძლოთ წასვლა?

— ვითომ ბევრად შემცირდა ჯარი?

— რა მოვახსენოთ. დათვლა ვუბრძანე. მგონი ნახევარიც არ უნდა იყოს.

— კარგი, შეილო, დაითვალეთ. სადგერში რომ ავალთ, დავთრებით გავსინჯოთ და მებატონეებს სასჯელი დავადოთ.

დავითი გაბრუნდა. სარდლები შეკრიბა და უბრძანა შეკრიკები დავგზავნათ და ვინც ახლო-მახლო სოფლებში იყო თავის ნებით წასული სურსათის სასყიდლად, სასწრაფოდ მოეგროვებინათ. თითონ კი გორაკზე ავიდა და იქიდან დაუწყო თვალყურის დევნება ჯარის მოძრაობას.

ბორჯომის ხეობიდან დაბრუნდა ნისლი ნელა მიცურავდა მტკვრის გასწვრივ და ხაშურის ვაკეზე გამოსული ნაწყვეტებად იფანტებოდა.

ტრიალ მინდორზე, სადაც ჯარი იყო დაბანაკებული, აქა-იქ კიდევ ბოლავდნენ დაფერფლილი კოცონები. სალაშქროდ გამზადებული მხედრები ჯგუფებად შეგროვილიყვნენ და თავიანთ გამგზავრების ჯერს ელოდებოდნენ. ჯარჩები ერთის ღრიალ-ყვირილით იძახებდნენ ამა თუ იმ სადროშოს ჯარებს და გზის პირად აწყობდნენ. დამთავრდებოდა თუ არა წინა სადროშო რაზმის გამგზავრება, მაშინვე გაუშვებდნენ შემდეგ რაზმს და სანამ ეს მწყობრა გადავიდოდა გზაზე, ახალს იძახებდნენ.

დავითმა თვალი გააყოლა გზაზე გაბაჟრულ ლაშქარს, რომელიც ისე გრძლად გაქიმულიყო, რომ მისი თავი აღარც კი მოსჩანდა, თითქმის ხიდგალმაც კარგა მანძილზე სწევდებოდა თვალი. ბანაკს კი თითქმის ხეივანურ არც კი მოპკლებოდა. ეს რუსეთშიაც შეუძენნევია დავითს. *შეკრივებდაღ და რაზმული ჯარი უფრო მრავლად ეჩვენება თვალს, ვიდრე იმავე რაოდენობის უბრალოდ შეჯგუფული ხალხის გროვა. ამიტომ ახლა დავითს თავისი დაე-ქვება, რომ ლაშქარს ხალხი აკლდა, ცოტა არ იყოს უსაფუძვლოდ მოეჩვენა და უხერხულება იგრძნო. მას, როგორც ახლად დანიშნულ მთავარსარდალს, წერილმანი უფიცობისა ან მოუფიქრებელი ნაბიჯებისა ეწინოდა. ცხენი გააბრუნა და ბესიკისაკენ გაემგზავრა, რომელიც გზისპირად ჩასაფრებულ ჯარზემის დახმარებით მიმავალ მხედრებს ითვლიდა.

— როგორაა საქმე, მგოსანო, რამდენმა გაიარა უკვე? — შორიდან გასძახა დავითმა ბესიკს, ცხენიდან ჩამოხტა, მიუახლოვდა და გაშლილ დავთარში ჩახვდა.

— ჯერ არ შემიკრებია, ცალ-ცალკე ეწერ, — უბასუხა ბესიკმა, — ხევსურებს ცალკე, ჩერქეზებს ცალკე, ქართლებს ცალკე.

— აბა ერთი ვარაუდად შეკრიბე, რამდენია.

ბესიკმა თვალდათვალ შეაჯამა რიცხვები და თავაუღებლად უბასუხა:

— ჯერ ათას კაცსაც კი არ გაუვლია.

დავითი ჩაფიქრებული დასცქეროდა დავთარს. მერე ასევე ბანაკისკენ მიიხედა, თითქო კიდევ სურდა თვალდათვალ შეემოწმებინა, რამდენი იქნებოდა მეომარი.

— ბეჭი კიდევ გტკივა? — ჰკითხა მცირეოდენი ღუმლის შემდეგ დავითმა.

— კიდევ მავ. წუხელ თურმანძემ მალამოთი დამიზილა მხარი და სიმსიენე დამიცხრა, თორემ, ალბათ, უარესი დამემართებოდა. ახლა ოდნავ მაწუხებს.

— გინდა სხვა გამოვავზავნო?

— არა. მეომრად ვერ ვივარგებ რამდენიმე დღეს, თორემ მდივან-მწიგნობრობას ეს არ შემიშლის. მარცხენა მხარია, მარჯვენა ხომ არა.

— მუხრანის სადროშო სამასთერამეტი, — მოახსენა. ბესიკს ერთ-ერთმა დამთელელმა და შორიდან ჩააცქერდა მის მუხლზე გაშლილ დავთარს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, სწორად ჩასწერდა თუ არა ბესიკი მის ცნობას.

— სამასთერამეტი! — გაიკვირვა დავითმა. — დანარჩენები რა იქნენ?

— გაიპარებოდნენ, — გულგრილად უბასუხა ბესიკმა.

— როგორ თუ გაიპარებოდნენ? შენ რა იცი?

ორივემ ერთმანეთს გაკვირვებული სახით შეხედეს. დავითს ის გაუკვირდა, რომ ბესიკმა ისე არხეიანად და გულგრილად უთხრა, გაიპარებოდნენო. თითქოს ეს ჩვეულებრივი ან სავალდებულო მოვლენა ყოფილიყო. ბესიკ კი ის უკვირდა, რომ დავითს თითქო პირველად ესმოდა ასეთი ამბავი.

— შენ რა იცი, რომ გაიპარებოდნენ? — გაუმეორა კითხვა დავითმა.

— ჯერ ერთი, ეს რა საკვირველია. განა არ იცი: დავთარშიაც რომ ჩაწერილი გყავდეს ყველა, მაინც გაგეპარება თითო-ორორი. მერე და ისე გაემსიკინენ, რომ განა სწორად გეტყვიან სახელსა და გვარს დავთარში ჩაწერის დროს. მოვა ერთი ვილაც, ხან გეტყვის, წილნელი ვარ, ხან კიდევ — ბაყაყიშვილიო. შემოწმების დროს წყნეთელი ვირივით დგახარ და ყვირი, ბაყა-

ყიშვილი რომელი ხარ, ხმა ამოიღო. შენც არ მომიყვდე, მთელ წელსადაც რომ იყვირო, ხმასაც არავენ გაგცემს.

— ეჰე, ვერა ხარ კარგი მახარობელი, ბესიკ. ეგ როგორ იტყვიან ხუთსასაჯელის არ ეშინიანთ? მე რომ შევსწრებოდი, ყველას თავებს დაეაყრე-ვინებდი.

— აბა რა სასაჯელისა უნდა ეშინოდეთ: ეახტანგის კანონებში სწერია, ვინც მტრის მხარეს გადავიდეს, მას ცალი ფეხი მოეჭრასო. ლაჩრებზე არა სწერია-რა. თუმცა რა უნდა დაეწერა: ჯარში ლაჩარი ვის რად უნდა. რაც უფრო მალე გაგეცლება, მით უკეთესი.

— აგრეც ნუ იტყვი, ჩემო ბესიკ. დათვს რომ მაგრა შეუძახო, შეაშინებ და გაგეშინებ. მაგრამ თუ თავის ბელებს იცავს, თოფიც რომ დაახლო, მაინც შენსკენ წამოვა და დაგლეწავს. გულადობა გაზრდაზეა, მაგრამ ვაი მათ, რომ ზოგს კარგი ბედურივით მართო დასტევნით გააქენებ, ზოგს-კი კარგი მართახები უნდა გადააწნა, სანამ წინ ფეხს წაადგმევიანებ.

დავითი გაბრუნდა. ბოღმა ახრჩობდა. იმ წუთში რომ რომელიმე გაპარული ჯარისკაცი შეპყროდა, დაუფიქრებლად თავს გააგდებინებდა. შეუჩვენელი იყო და ყოველ ამგვარ ნაკლს განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა. მას უნდოდა ერთის დაკვრით მოესპო ყოველგვარი დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა სახელმწიფოში წესიერად საქმის დაყენებას. მაგრამ გრძნობდა, რომ ამ საქმეში უძლური იყო, რომ ყველანი, მეფეც, დიდებულნიც და სახელმწიფოს მოხელენიც, შეჩვეულნი იყვნენ და ასეთ ვითომდა წერილმან ბოროტებას ყურადღებას არც კი აქცევდნენ, თითქო სავალდებულო მოვლენა ყოფილიყო. ეს უფრო აბრაზებდა დავით სარდალს.

როცა გორაკი გადაიარა, საიდანაც მთელი ბანაკი და ხაშურის დაბლობი ხელის გულივით მოსჩანდა, შეჩერდა. დილის ნისლი უკვე გაფანტულიყო. ტრიალ მინდორზე დაინახა შორიდან მიმავალი მხედართა ჯგუფები. დავითმა ჭოგრიტი გაშალა, გახედა და დარწმუნდა, რომ მხედრები ქართველები იყვნენ. ისინი გამალებით მიაქვენებდნენ ცხენებს.

— ბრუნდებიან, — გაიფიქრა დავითმა. — მგონი, ტყელი-უბრალოდ შევიტანე ეჭვი.

მან ახლა უხეჩხულემა იგრძნო, რატომღაც შერცხვა და სახეზე უნებურმა სიწითლემ გადაურბინა. მართლა და როგორ შეიძლებოდა ამდენი ხალხის გაპარვა. ეს რა სულელური აზრი მოუვიდა თავში.

დავითმა კიდევ გახედა მინდორს. ჯგუფები ბლომად იყვნენ. მარცხნივ, მარჯვნივ, პირდაპირ, ყოველ ბილიკზე ან შარაზე მოსჩანდნენ აჩქარებით მოშავალი მხედართა გუნდები.

ახლა საესებით დარწმუნდა დავითი, რომ სცდებოდა. საოცრად ნანობდა, რომ მეფეს გაუზიარა თავისი უსაფუძვლო ეჭვი. ერეკლემ, ალბათ, არ აწყენინა თავის სასიძოს და მისი ეჭვები საფუძვლიანად მიიჩნია. ის-კი ამას ვერ მიხვდა. დამთვლელებიც რომ გაგზავნა! თუ საქირო იყო, ამას განა თვით ერეკლე ვერ მოიფიქრებდა.

ჰო, მაგრამ ბესიკი რატომღა ეუბნებოდა, გაიბარებოდნენო. ესეც ხომ არ იჩენდა თავაზიანობას დავითის მიმართ.

„რა, ბესიკი პირფერობას არ დაიწყებს, — გაუელვა თავში დავითს: — მე, ალბათ, მართალი ვარ, მხოლოდ, მგონი, ცოტა გავაზვიადე“.

ამ აზრით ველი დაიშვიდა დავითმა, ცხენს მათრახი გადაეკრა და წაიყვანა საკენ გაემართა.

როდესაც დავითი ციხის ეზოში შევიდა, დაინახა, რომ დიდებულებითა და სარდლებით გარშემორტყმული ერეკლე რაღაცას გაკვირვებით ეკითხებოდა მანუჩარ თუმანიშვილს.

დავითი მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან, მეფეს მიუახლოვდა და გიორგი ბატონიშვილს ჰკითხა, რა მოხდაო.

გიორგიმ ჩურჩულით უამბო, რომ მეფეს დილით მანუჩარ თუმანიშვილი გაუგზავნია ტოტლებენტან იმის საკითხავად, თუ რომელ საათზე მოჰყავდა ჯარი, რათა გზის სიფიროვის გამო ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ. გრაფსკი თავისი ბანაყის გარშემო ყარაულები დაუყენებია და არავის ახლოს არ იკარებს. მანუჩარა კინაღამ ხიშტზე აღვიათ გუშაგებს.

— ბევრი ვიყვირე, მეფის კაცი ვარ, უფლისწულის მდივანი ვარ, გრაფთან საქმე მაქვს-მეთქი. თქვენს მზესა ვფიცავ, მეფეც, ყურცი არაიან მათხოვო. ღრაფთან კი არა, ბანაყის ახლოსაც არ მიმიშვეს, — განაგრძობდა თავის ამბავს მანუჩარი.

ერეკლემ გაკვირვებით გადახედა მოურავოვს, თითქო ეკითხებოდა, ეს რას უნდა ნიშნავდესო, მაგრამ მოურავოვს ამ ამბისა თითონ არა გაეგებოდა-რა და ამანაც გაოცების ნიშნად მხრები შეათამაშა.

გრაფის მოქმედებამ ყველა აღაშფოთა. განსაკუთრებით დავითი, რომელსაც ამ ახალმა უსიამოვნებამ მთლად გაუფუჭა გუნება. ხმაღს ვეღამი მაგრა ჩასჭიდა ხელი და მეფეს მოახსენა:

— მეფეც, იქნება ღრაფს სურს, როგორც ღენერალს, მხოლოდ თქვენ სარდალს ელაპარაკოს და სხვას არაიანს ღებულობს. ნება მომეცით, თვით მე გაიხლოთ ტოტლებენტან.

გუნებაში კი გააფიქრა, წავალ და ერთი ვნახავ, როგორ გაბედავს ჩემს არმილებასო.

ერეკლემ თავისი ბასრი თვალები შეანათა დავითს და მაშინვე მიხედა მის განზრახვას. ტარიელივით დააცლავდა ის გუშაგებს თავებს, თუ კი ისინი გაბედადენენ და დავითს გზას გადაუღობადენენ.

შეიძლება მართლაც სჯობდა იმ ხეპრე ღრაფის ერთის დაკვრით მოთვინიერება. უკვე აუტანელი ხდებოდა მისი ყოველღაღური თავხედობა. ტოტლებენტანის ქცევა ერეკლეს სარდლობისა და ქვეშევრდომთა გულში ჯერ თუ აღშფოთებას იწვევდა მხოლოდ, ხვალ ამგვარი მოპყრობით იგი ისე გაუტეხდა სახელს მეფეს, რომ შეიძლება ერეკლე ფარეშებსაც-კი არაჩად მიეჩნიათ.

ხალხს მხოლოდ ძლიერი მეფე უყვარს. ქვეშევრდომებს უნდა ემინოდეთ მისი. „შიში შეიქმს სიყვარულსა“, ასე ამბობს რუსთაველი. ამიტომ იქნებ მართლა სჯობდა, რომ დავითი წარეგზავნა ტოტლებენტან და გადაეკრა საკითხი: ან მოერჯულებინა ტოტლებენი და ბოლო მოეღო მისი თავხედური ქცევისათვის, ან არა და აეყარა ლაშქარი და სრულიად განზე გამდგარიყო. მაშინ თითონ ტოტლებენს გაუხდებოდა სახეეწნად საქმე.

არა, ეს შეუძლებელია. ორი საუკუნეა ქართველთა მეფეები რუსეთის მეგობრობისა და მფარველობისათვის იბრძვიან და განა ღირდა ამ გადამთიელი უჯიშო გენერლის ფსუკიანი ხასიათის გამო საქმის გაფუჭება?

ერეკლემ ძალის-ძალათი გაიღიმა და დავითს თავისი მშვიდი მომხიბველი ხმით უთხრა:

— აბა, რა საქიროა თქვენი წაბრძანება. იაჩანალმა გუშაგებს უბრძანა, არაენ შემოუშვათო, გუშაგები კიდევ ერთგულად ასრულებენ ფიქრ-ბრძანებას. ტოტლებენს, ალბათ, დაეიწყება გაეფრთხილებინა ისინი. შეკრიკები დაუბრკოლებლი მიეყვანათ მასთან. აგერ ბატონ დესპანს ანტონ შორაევოს ვთხოვით, ჩვენი მოსახსენებელი გადასცეს ღრავს. ჩვენ კი ნულარ დაეყოვნებთ სადგერს გამგზავრებას.

მოურავოვი მაშინვე გაემართა თავის თანამშრომლებთან ერთად სურამისაკენ. ვრეკლემ გიორგი უფლისწულს, რომელიც აიღალ განავებდა, უბრძანა, არ დაეყოვნებინა ურმების გამოგზავნა, თითონ-კი ამაღის თანხლებით შეუერთდა გზაზე გაჭიბულ ლაშქარს.

ბესიკს მოურავოვთან ერთად მოუხდა სადგერის ციხემდე მგზავრობა, რადგან სანამ მთელი ლაშქარი არ გაივლიდა, მას არ შეეძლო მიეტოვებინა დავალება და არ გადაეთვალა ჯარი. უკვე სამხრობა იქნებოდა, როდესაც მარჯით დატვირთულმა ურმებმაც ჩაიარეს. ბესიკი გაეშადა გაყოლოდა ლაშქარს. ამ დროს მოურავოვიც მივიდა და ისანი ჯარების თანხლებით ერთად გაუდგნენ გზას.

მთელი დღე შშვენიერი ამინდი იდგა. მინასავით გამჭვირვალე ცაზე ერთი ღრუბლის ნაჭერიც კი არა სჩანდა. სქელი, გაუვალა ტყით დაფარული მთები ახლა იწყებდნენ ამწვანებას. ალაგ-ალაგ ნაძვისა და ფიჭვის ხეები მოსჩანდა, რომელთა მუქ-მწვანე ფერი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ახალდაბიდან თითქმის სულ ნაძვანარი იწყებოდა და ჰერი გაზაფხულის მზისაგან გამთბარა ფიჭვანარის საამო სურნელებით იყო გაედენთილი. გზის გასწვრივ სხლტეებზე უამრავი ია და ზამბახი ჰყვავოდა, რომელთა გამაბრუნებელი სურნელება ალაგ-ალაგ შადრევანივით სჩქეფდა.

გზა ხან მტკერის პირად რიყეს მიჰყვებოდა, ხან მადლა ადიოდა და დაბურულ ტყეში მიიკლავებოდა. ბებერ ასწლოვან ნაძვებს ჩამოძონძილი ხავსი პერანგის ნაფლეთებივით ეკიდათ ტოტებზე. ალაგ-ალაგ ფუმფულა-ბეწვიანი თრითინები ფხაკუნით დაბტონდნენ ტოტებზე და ფიჭვის ჯალღუზებსა ბრავდნენ.

ბესიკი გაბრუნებულივით იჯდა ცხენზე. ამ კუთხეში პირველად მოგზაურობდა და განსაკუთრებულის გულისყურით შესცქეროდა მომხიბვლელ მიდამოს. სრულიად დაავიწყდა თავისი დავთრებიც, მხარის ტკივილიც და ისაც, რომ ლაშქარში იმყოფებოდა. ნებაზე მიჰყავდა თავისი ყურებ-დაცქვეტილი აფხაზურა და არაფერზე არა ფიქრობდა. მხოლოდ უცქეროდა ხეობაში ჩაკლავილ მტკვარს, მხართემოზე წამოწოლილს და რიგზე ჩარამშულ მთებს, ასწლოვან ხეებს და ყვავილნარით მოქარგულ კორდებს.

მოურავოვიც ეტყობოდა მოხიბლული იყო ამ უცნაურად აფერადებული მთების ხილვით.

შაფყალზე გასვლის დროს ცხენები ხარბად დაეწაფნენ პატარა მდინარეს. — როგორ მოსწყურებიათ ცხენებს, — წამოიძახა მოურავოვმა, როდესაც სადავე რამდენჯერმე მოზიდა უკან, მაგრამ ცხენმა თავი არ დაანება.

— აქ წყალია ისეთი, — შენიშნა ერთმა ჭალარა-წვეერიანმა მხედარმა, რომელიც ბესიკს ახლდა დამთვლელად და ახლა მასთან ერთად მიდიოდა.

— როგორ, ვანა რა წყალი უნდა იყოს? — გაკვირვებით ჰკითხა მორუ-
ვოვმა.

— როგორა და მთელი ეს ხეობა ბაკურიანამდე სულ ვეძის წყლისაა. წყალი
საესე. მაჭარივითა დღეს და სურამი ჩასხმულს რომ თავი დაუტო, გაჭბეთ-
ქავს. ირმებს უყვართ ამ წყლის სმა. მარილიანია. ცხენებმაც კარგა იციან
ამ წყლის გემო.

მორუაოვმა რაღაც მძიმედ ამოიოხრა და ბესიკს გადახედა:

— აბა შენ უნდა განახა, ბესიკ, პეტერბურლიდან დიდი ქონების პატრო-
ნები ღერმანიასა და იტალიაში რომ მიემგზავრებიან ასეთი წყლების სას-
მელად.

— არა, მართლა?

— მაშ. ასეთ ადგილებში გერმანელებს აგარაკები აქვთ მოწყობილი და
მთელი ქვეყნის წარჩინებული ხალხი სულ იქ დადის ზაფხულობით სააჭი-
მოდ. ერთხელ მეცა მხედა წილად კარლსბადში ყოფნა.

— კარგი ადგილები იქნება.

— კარგიო? ამის მესამედიც კი არ იქნება, მაგრამ ისეა გამშვენებულ
სასახლებით, ბეივებით, შადრევნებით და თლილი ქვაფენილებით, რომ
მართლა შშვენიერი რამ სანახავია. აბა, ეს მიდამო რომ ისე მორთო, ვანა
ამას შეედრება რამე? იქ ერთი პატარა წყარო მოწიანწიარებს, რომელიც მი-
ლებით გამოუყვანიათ, შუშაბანდებში ჩაუსვამთ და ქიქობითა ჰყიდიან. აქ-კი
მთელი მდინარე მოდის და ცხენებს ვასმევთ. ეჰ, იქნება ჩვენს ქვეყანასაც
მოესწროს ასეთი სიკეთე. შენ ახალგაზრდა ხარ და შეიძლება კიდევ მოეს-
წრო, მე-კი, ვინ იცის, რომელ უდაბნოში დაეტოვებ ამ ჩემს ძელებს.

მორუაოვმა მათრაზი გადაჰკრა თავის ცხენს, მდინარეზე დგაფუნით
გადაატარა და აღმართს შეუდგა.

ბესიკიც მიჰყვა.

ახლა მან სხვაგვარად მოავლო თვალი მიდამოს და ცდილობდა წარმოედ-
გინა ეს ადგილები ისევე გამშვენებული, როგორც მორუაოვმა აუწერა.

აი იქ, კლდოვან მთის წვერზე, მალა-კოშკებიანი სასახლე უნდა იდგეს.
იქ უნდა ცხოვრობდეს გრძელწინავეებიანი მომხიბვლელი ასული.

„ანა!“

ტანში ყრუანტელმა დაურბინა. თავი გაიქნია, თითქოს ეს ფიქრი ბუზივით
აჯდა შუბლზე და უნდა მოეშორებინა.

„არა. ანა არა“.

ცხენს ფეხი ააჩქარებინა. მორუაოვს დაეწია. მასთან საუბარი ვააბა, მაგ-
რამ რაი ერთხელ გაასწენდა, ანაზე ფიქრი ვერ მოიშორა.

„ანა. ანა უნდა იყოს იმ სასახლეში“.

ბინდებოდა, როდესაც სადგერის ზეგანზე ავიდნენ. ჯარი თითქოს დაბა-
ნაკებული დაუხედათ. აქ კარები აღარ დაედგათ. ტყის გასწვრივ და მინ-
დორზე პირდაპირ დაენთოთ კოცონები, რომლის გარშემო ჯგუფ-ჯგუფად
ისხდნენ ან ნაბდებზე წამოწოლილიყვნენ მემორები.

მეფე და დიდებულნი სადგერის ციხეში დაბინავებულიყვნენ.

მორუაოვი მეფეს ეახლა. ბესიკმა კი მამინევე მონახა დავითი, რომელიც
ციხის კოშკზე ასულიყო და მიდამოს ათვალიერებდა.

— რა ჰქენ, დავითაო? — ჰკითხა დავითმა ბესიკს, როდესაც ის კოშკის
ბანზე ავიდა და საზარბაზნე ქონებურზე ჩამოჯდა.



საქართველო

— დაეითვალე.

— რამდენია?

— სამიათას რეას ოთხმოცი კაცი ბატონის ამაღლის ჩაუთვალეს და დაეითვი მოიღღუშა. თითქო თავის თავს ელაპარაკებო, ბუტბუტით დაიწყო თვლა:

— სამიათას რეას ოთხმოცი. ათასი კაცი ბატონმა გაგზავნა. ოთხიათას რეას ოთხმოცი, თუნდაც ხუთიათასი ვიანგარიშით. ბატონის ამაღა ხუთასი კაცი.

— ბევრი არ გვაკლია, — უთხრა ბესიკმა და უდარდელად მოავლო თვალი მიდამოს, — დანარჩენებიც დაგვეწვიან.

— არა, თუ-კი მართლა პურის სასყიდლად წავიდნენ, დანარჩენებიც, ალბათ, მობრუნდებიან. შე დავინახე, ძალიან ბევრი მოიჩქაროდა ბანაკში.

ამ დროს კოშკის ბანზე ლეონი ამოვიდა, რომელმაც ყური მოჰკრა მათ საუბარს და იკითხა:

— რაზე პაექრობთ?

— ცოტა ხალხი დაგვაკლდა და დაეითვი ცხარობს, ეგ როგორ იქნებო.

ლეონმა გადახარხარა.

— ჩემო დაეით, პირველად მეც კინადამ გამაგვია ასეთმა ამბებმა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჩვენი ლაშქარი გაუცხრილავ ზორბალს ჰგავს. მამამ მიბრძანა, შეილო, მხედრებს ომის გადახდამდე არა უნდა უბოძო-რა, თუ გსურს ომში ბოლომდე მოგყენენ, და ყოველთვის უნდა ივარაუდო, რომ ათ კაცს ორი ან სამი მუდამ მოაკლდებაო. ეგ არაფერი, ჩემო დაეით, შენ თითონ არა ბრძანე ხალვათხანაში თათბირზე: ასი ათასთა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიაო. ვინც ჩვენთან დარჩება, იმით უფრო კარგად ვძლეეთ მტერსა. შავას თავი ვანებოთ. ახალი ამბავი უნდა ვითხრა. თბილისიდან შიკრიკი მოვიდა აი ამ წუთში და ბარათები მოიტანა. შენთანაცაა ერთი უსტარი.

— ვისგან?

— აბა თუ მიხვდები? თამარისგან. თბილისში ჩამოსულა თელავიდან და მოკითხვასა გწერს.

დაეითს სიხარულის აღმა გადაურბინა სახეზე და მაშინვე გაუწოდა ხელი ლეონს, რომ ბარათი გამოერთმია.

დაღვრემილი გულდაწყვეტილი ბესიკი ოდნავი ძალდატანებით იღიმებოდა. იქნებ კიდევაც ბევრს სურდა მისთვის წერილი მოეწერა, მაგრამ ამ ლაშქრობაში მას ვერც ერთი ვერ გამოუგზავნიდა ბარათს...

• • •

ადღკომის წინა დღეს, შაბათს დილით ჩამოვიდა თბილისში თამარი და პირდაპირ სასახლეში მივიდა. საჩინოში არც შეუვლია. სასახლეში მას, როგორც შეფის უფროს ქალიშვილს, თავის დედინაცვალზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდა მოპოებული, ამიტომ საეაღდებულოდ არ მიაჩნდა დარეჯანს ხლებოდა. მაშინვე გაიძრო სამგზავრო კაბა, სადარბაზო ტანსაცმელში მოირთო და პირველად მამიდას ეწვია. ანა თავის სასტუმრო ოთახში იყო და, ფრანგულ საყარძელში ჩამჯდარი, ანაკოსთან ერთად გულისპირებს ქარგავდა. თამარის დანახვაზე საქარგავი განზე გადასდო, ზეზე წამოიჭრა და აღტაცებით წამოიკვილა:

— თამარ, შენ კი გენაცვალოს მამიდა შენი! — გადაეხვია და გადასჯილ-
ნა. — როგორ გამეხარდა შენი დანახვა. დაცა, ერთი კიდევ შემიჩქელო.
ნამდვილი თამარ დედოფალი ხარ.

— დედოფალი შენა ხარ მამიდა ჩემო, სულ უქნობი ვარდი, გაფურჩქ-
ნული, — სიცილით უთხრა თამარმა. შემდეგ ანიკოს გადაეხვია, — შენ-კი
გენაცვალე, ეს რა მშვენება აღმოცენდა ჩვენს წალკოტში. როგორა ხართ,
მოწყენას ხომ არ შეუპყრიხართ. მართლა, დიმიტრი როგორ ბრძანდება?

— ეჰ, როგორ იქნება, ჩემო თამარ, — მძიმეთ ამოიოხრა ანამ: — უბედურ
ღუბზე ვყოფილვარ გაჩენილი და რას ვიზამ.

— განა ისევ ლოგინად არის ჩაეარდნილი?

— ისევ.

— ექიმები რას ამბობენ?

— რა უნდა სთქვან! რეინეგსმა მითხრა, მაგ ხნის კაცი ცოცხალიც რომაა,
არ გიკვიროს. მოდი, დაესხდეთ, რა ფეხზე ვდგევართ.

სამიფენი დასხდნენ რბილ ტახტზე და საუბარი გააბეს. ერთმანეთი და-
წერილებით მოიკითხეს. ანამ უამბო თამარს სასახლის ამბები, სადაც, ერეკ-
ლეს სალაშქროდ წასვლის შემდეგ, ისეთმა მოწყენამ დაიბუღა, რომ წირვა-
ლოცვის მოსმენის მეტი გასართობი არა იყო-რა. ქალაქშიაც ჩამჭრალი იყო
ცხოვრება, რადგან დიდი და პატარა — ყველა სალაშქროდ იყო წასული.
ეგლათა, საჩინოში თუ იკრიბებოდნენ ხანდახან და იქაც აღარა ღირდა მისვლა,
რადგან ანტონ კათალიკოსი თითქმის ყოველდღე დაბრძანდებოდა დედო-
ფალთან თავისი ძილისმომგვრელი ქადაგებების საღაიადებლად.

— ყველანი იმასა ვლოცულობდით, — უთხრა ანამ თამარს, — ბატონი
მშვიდობით დაბრუნდეს და ყველანი უვნებლად მოიყვანოს. მაშინ მართლა
მოვილხენთ. შენი დავითიც...

— იჰ, კარგი ერთი, — სიცილით უთხრა თამარმა. ეუხერხულეობდა თა-
ვის საჭმროზე ლაპარაკი.

— რამდენი ხანია აღარ გინახავთ ერთმანეთი?

— აღარც კი მახსოვს, ხუთი წელიწადი იქნება.

— ნეტავ ისეთი ვაჟაკი კიდევ თუ დაიბადება! ჩემიანობით არ გამბობ,
ერეკლეს მზემ, — მძიმედ ამოიოხრა ანამ. — ტარიელია, ნამდვილი ტარიელი.

— მართლა რუსულად აცვია? ასე მითხრეს, ქართული აღარც კი ახსოვს
და სულ რუსულად ლაპარაკობსო.

— აბა რას ამბობ, გენაცვალე. უხუმრიათ. რუსულად ეცვა. შვენოდა, მაგ-
რამ მე კი არ მომწონს. ეს თუთრი შარვლები ისე აქვთ შემოჭიმული ტან-
ზე, გეგონება, ჯამიშვლებულანო. ახლა-კი ჩვენებური სარდლის ტანსაცმე-
ლი აცვია. ეჰ, მშვიდობით დაბრუნდეს, რომ ერთი სასახლო ქორწილი გა-
ვაჩალოთ.

— ბესიკი საღაია, — უცბად იკითხა თამარმა, — ჩემი შესაიღუმლე.

ბესიკის ხსენებაზე ანა ისე შეკრთა, თითქო გულზე ისარი მოხვედროდეს.
სახეზე აღმური მოედო.

პატარა ანიკოც შეკრთა, თავი დახარა და ქარგვა ახლა გაახსენდა. გამა-
ლებით აატრიალა ნემსი.

— იხიც სალაშქროდ არის, — უპასუხა ანამ.

— აი ის ეშმაკის ფეხი, ისა, — გაიცინა თამარმა. — სალაშქროდო. ნე-
ტავ გამაგებინა, ვის ეტრფის ახლა? ერთხანს იბრეივის ცოლს უმღეროდა



და მგონი კიდევაც გაუმიჯნურდა. აქეთ იმისათვის მოვიჩქაროდი, რომ ბესიკის ნახვა მომენატრა. ლექსებს ალარ სწერს?

— როგორ არა, — უპასუხა ანამ რაღაც შეცვლილი ხმით: *მეზღვიანისა* უნდა გიულნარას მიჯნურობის შესახებ არაფერი არა ჰქონდა გაგებული. პირველად ესმოდა ეს ამბავი.

უბრალო გული შეუქუჟმა და თუ რამდენიმე წუთის წინათ სახე წითლად აელუნა, ახლა სიფითრემ გადაჰკრა.

„არა, შეუძლებელია, — გაიფიქრა ანამ, — მერე და შეიძლება კიდევაც იყო გამიჯნურებული გუშინ, შარშან, მაგრამ დღეს... დღეს არა“.

— არა! — წამოიძახა ხმამაღლა ანამ.

— რა არა? — გაკვირვებით შეანათა თვალები თამარმა, რადგან ეს არა სხვაგვარი კილოთი იყო წარმოთქმული და არ შეეხებოდა ბესიკის მიერ ლექსების წერის საკითხს.

ანა შეკრთა. ფიქრებიდან გამოერკვა.

— ოჰ! ფიქრებმა შემიპყრეს, — სთქვა ანამ. — ჩემს ძმას გაამარჯვებინებს ღმერთი თუ არა. ახლა ბატონი რომ დაგვიმარცხდეს, როგორ შემოცვივდებიან აქ თათრები და როგორ აგვიკლუბენ. ამისთვის წამოვიძახე არა-მეთქი.

ცრემლები მოადგა თვალებზე ანას.

თამარმა ხელი მოხვია მამიდას. ისეთი საბრალო და თანაც მიმზიდველი იყო ანა, რომ თამარი წარმოუდგენელმა სურვილმა შეიპყრო: ისე მოალერსებოდა მამიდას, როგორც პატარა გოგონას. გულში ჩაიკრა და ენის მოჩლექით უთხრა:

— არა, ჩემო მამიდა, ეგ არასოდეს არ მოხდება.

— ქაბუა ამბობს, — ცხვირსაზოცი მოძებნა ანამ, ცრემლები მოიწმინდა, — ქაბუა ამბობს, გული ცუდს მითქვამს და ამბებიც ცუდი მოდიხო.

— ქაბუამ რა იცის?

— როგორ თუ არ იცის: მაგაზე ამბობენ, ბრძენიაო.

— იჰ, ბრძენი კი არა და... ამას რასა ჰქარავ? — მისწვდა თამარი ანას სახელსაქმოს. ნაქარგები შეათვლიერა. — რა მშვენიერი სურათია. სად ნახე, დაგიბატა ვინმემ? მართლა, გავიგე იბრეში ჩამოსულა, ლიონის აბრე-შუმებს ჩამოიტანდა. არა ყოფილხარ ქარვასლაში?

— სულ ვაპირებ, მაგრამ გული არა მაქვს. ყაბაზზე ვიყავი ერთხელ, მაშინ ვნახე მისი საქონელი.

— ერთად წავიდეთ. ადე, ახლავე წავიდეთ. რას ჩაკეტილხარ ამ ოთახში, — წამოიჭრა ზეზე თამარი, საქარგავი ხელიდან გამოსტაცა ანას, განზე მიაგდო: — დარდი და ვარამი ჩვენ თუ არ შევიმცირეთ, თავის-თავად არ მოიკლებს. შენ რა ჩემი და ხარ? — მიუბრუნდა თამარი ანიკოს, — მონაზონივით რომ დაღვრემილხარ. ადე, ჩვენთან წამოდი.

თამარმა დასტაცა ხელი ანიკოს, შეუღიტიანა, ხელი მოხვია და რამდენჯერმე შეატრიალა. მერე მამიდას ეცა და ისიც ააფორიაქა. ქალების სიცილმა თითონ ოთახიც გამოაღვიძა. ეს მხიარულება მალე მთელი სასახლის მოწყენილსა და ჩაჩუმებულ დარბაზებსაც მოედო. თამარმა ანა-ხანუმიც შოინახულა, სეფე-ქალები შექყარა და აქამდე დაღუმებული სასახლე უცბად გამოაცოცხლა.

აღღვომის ღამის წარვაზე, სიონში, ქალთა კაბების არაჩვეულებრივმა

შრიალმა, ხამალალმა ჩურჩულმა და ხანდახან წამოკისკისებამ კათალიკოსის ყურადღებაც კი მიიქცა. თამარმა ხუმრობით ჩასჩურჩულურ ჩინს უკვე აღარ დარჩენილა ქალაქში და მოდი ამ მღვდლებს დავერიოთ ამს უნდა ყური მოჰკრა თამარის სიტყვებს და მღვდლების შესახებ ფრიად დამამცირებელი მოსაზრება გამოსთქვა. ანა სიცილი წასკდა და რომ დროზე თავი არ შეეკავებინა, ალბათ, ეს სიცილი ხანძარავით მოედებოდა ყველას. აღდგომის ნაღიმი თამარმა სასახლის დიდ სანადიშო დარბაზში მოაწყო, ქანდარები მესაქრავეებით აავსო და სუფრაზე მთელი თბილისის წარჩინებული ქალები მიიწვია.

ლხინი მთელ აღდგომის კვირას გაგრძელდა. დარეჯანი ახლა იძულებული იყო, სასახლეს ხშირად სტუმრებოდა, რადგან საჩინოში აღარავინ ეკარებოდა. პატარა ბატონიშვილებიც კი სასახლისაკენ მიიწვედნენ და მთელ დღეებს სულ თამართან ატარებდნენ. მათ ძალიან უყვარდათ უფროსი და უკვირდათ, რომ დედა ასე გულგრილად ეპყრობოდა თამარს და ხშირად სრულიად უმიზეზოდ ბრახობდა მასზე, როდესაც თამარს არავითარი დანაშაული არ მიუძლოდა დედის წინაშე. ბავშვებმა, ცხადია, არ იცოდნენ, რომ მათი დედა თამარის დედინაცვალი იყო.

— ეგ ისეა ატეხილი, რომ ნახავთ, თუ რაიმე უბედურება არ დაგვატყდეს, — ბუზღუნებდა დარეჯანი თამარზე: — ან თითონ შეეყრება რაღაც საშინელებას, ან ჩვენ მოგვივლენს რამეს. ბევრმა სიცილმა ბევრი ტირილი იცისო. სად გაგონილა მულამ დღე სიცილ-ხარხარი და ცეკვა-თამაში!

მართალია, დარეჯანი ამგვარ მოსაზრებას ხშირად გამოსთქვამდა, მაგრამ თამარის მხიარულმა განწყობილებამ ისიც ჩაითრია. იმის შიშით, რომ თამარის გავლენა სასახლეში უფრო არ გაზრდილიყო, თითონ სცადა ამგვარივე ხერხით მხიარულობის წინამძღოლობა ხელში ჩაეგდო. რამდენჯერმე თამართა ნადიმი. ჯერ კათალიკოსის პატივსაცემად. შემდეგ საერო დიდებულები მიიწვია და სეფე-ქალებს ზომ ყოველდღიით უგზავნიდა ფარეშებს, დღეს სუფრა უნდა დამიმშვენოთო.

ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ერეკლესიგან ყოველ დღე ღებულობდა წერილებს, სადაც საიმედო ამბები ეწერა და, ცხადია, ლხენაც არ იყო დასაზრახი.

თამარმა ჩამოსვლისთანავე მოსწერა ბარათი დავითს და მხოლოდ მეხუთე დღეს მიიღო პასუხი. ამის შემდეგ სხვებთან ერთად თამარიც ყოველდღე ღებულობდა წერილებს. დავითი ძალზე თავაზიან და მორიდებულ შარათებს სწერდა. ერთი სიტყვაც არ იყო ამ ბარათებში ტრფობისა და შიჯნურობის გამოხატველი.

თამარი სულმულამ აკითხებდა ანას დავითის წერილებს. ერთ წერილში დავითი დაწერილებით მოუთხოვრებდა თამარს ბესიკზე თავდასხმას და მისივე სიამაყით სალაგათის ქამანდისაგან თავის დახსნას. ანამ გულის კანკალოთ გადაიკითხა ბარათი. ბესიკის გამარჯვებამ გაახარა, განსაკუთრებით იმისთვის, რომ ასეთი გამარჯვებით ბესიკი უფრო ახოვანი, თითქო ხანში შესული ვაჟკაცი ხდებოდა. იმავე დამეს, როგორც კი შარათო დარჩა, ხატების წინ დაიჩოქა და მთელი საათი ევედრებოდა ღვთისმშობელს ბესიკის მშვილობით დაბრუნებას.

აღდგომის კვირამ შეუმჩნევლად გაიარა. ლხინიც და ნადიმებიც დამთავრდა. გარეგნულად სასახლეში თითქოს მიწყნარდა ცხოვრება. თამარსა და

ანას ახალი საქმე გამოუჩნდათ. აღას ქარვასლაში აუარებელი ფარეველი შეიძინეს და კაბების კერვას შეუდგნენ. თამარი საქორწილოდ და, ცხადია, ახალი კაბები უნდა შეეკერა. მთელი ოთახი ნაირ-ნაირი ქსოვილების ნაჭრებით და დიდიდან სალამომდე მკერავი დედაკაცები კრიდნენ. ჰკერავდნენ და დალამბულ კაბებს აზომებდნენ ქალბატონებს.

საქმეში გართულმა ქალებმა ვერ შეამჩნიეს და ერთი დღე ისე გამოეპარათ, რომ აღარც კი გახსენებიათ ის ბარათები, რომელთაც ყოველდღე დებულობდნენ.

მეორე დღეს შემთხვევით გააჩნდა ანას და წამოიძახა:

— მართლა, გუშინ ბარათები რომ არ წაგვიციტხავს. თამარ, რა უყავი? უბრძანე, მოგვიტანონ.

— ჰო, ახალი ამბები გავიგოთ, — დაემოწმა თამარი, საკერავს თავი ანება, თავის ოთახისკენ გაემართა ბარათის მოსატანად, მაგრამ კარებთან შედგა და ჩაფიქრებულმა წამოიძახა: — განა გუშინ შიკრიკი მოვიდა?

— როგორ? — შეკრთა ანა.

— გუშინ შიკრიკი არ მოსულა, — დარწმუნებით სთქვა თამარმა და მობრუნდა. — აქ არ გამოიკირდა, მონაგარდისა რომ არ მოვიდა ჩემთან. ყოველი ბარათის მოტანაში მინალთუნს ვუბოძებ და ის უბედური დიდიდან სალამომდე დიღმის გზაზე ელოდება შიკრიკის გამოჩენას.

— იქნებ შიკრიკს რაიმე შეეშობოდა, — სცადა თავისი თავის დამშვიდება ანამ. — დღეს ზომ მოვა. ბატონი ზომ ყოველდღე გზავნის მალიადმსარბოლებს?

— მართალია, დღეს ყველაფერს გავიგებთ, — დამშვიდებით სთქვა თამარმა და ისევ მისწედა გალამბულ საკაბეს, რომელიც ტანზე უნდა მოესინჯა. მაგრამ შიკრიკი არც იმ დღეს მოვიდა, არც მეორე დღეს და არც მესამე დღეს. ორივენი ისე შეაშფოთა ამ ამბავმა, რომ რამდენჯერმე მოინახულეს ღარეჯანი, რომელიც ისევ საჩინოში გადასახლდა და ახლა მთელი დღეები ხატების წინ იყო დამხოზილი.

არც მღიანბნეგებმა იცოდნენ რამე. ქაბუა ორბელიანი ყოველდღე დადიოდა ვასილ პეტროვიჩ ლვოთან საელჩოში, რომ იქნებ მისგან მაინც შეეტყო ამბები, მაგრამ იმანაც არა იცოდა-რა. მოზღოკიდან ჩამოსულმა შიკრიკმა აცნობა, რომ რატივეი დუშეთს ჩამოვიდა ხუთასი კაცისაგან შემდგარი რაზმით და ხვალვე აპირებს ტოტლებენტან წასვლასო. ამის მეტი ვასილ პეტროვიჩმა არაფერი იცოდა.

თამარიც და ანაც გრძნობდნენ, რომ კარგს არას მოასწავებდა სალაშქროდ წასული მეფის ასეთი დუმილი.

დარეჯანი ყოველდღე გზავნიდა შიკრიკებს მეფესთან. მაგრამ ისინიც თითქო მიწას ჩაეყლაბოს, უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ეს უფრო აძლიერებდა შიშს და ყოველი მათგანის გულს დარდს მატებდა.

შაბათ სალამოს, აღდგომის მეორე კვირას, თამარი და ანა დადუმებულნი ისხდნენ ოთახში, მწარე ფიქრებით შეპყრობილნი, და არ იცოდნენ, დარდო როგორ გაექარებინათ.

— დღეს ამრიღს ოცია, არა? — იკითხა ანამ.

— შაბათია, ჰო, ოცია, — უპასუხა მეორე დუმილის შემდეგ თამარმა, როდესაც თითბზე მოითვალა დღეები. — რამდენი დღეა რაც არა ვიცი-რა?

ანას ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ ოთახში ლოყებ-დაკარგული და
თმა გაშლილი მათა შეიჭრა. ხველით წამოიძახა რამდენჯერმე მეგობრებო

— მომკალით! მომკალით! თუ ხარო ქრისტიანი!

და იქვე ჩაიკცა.

გულახებთქო ანა ხეზე წამოიჭრა, მათს ჭივარდა, ჩაიჩოქა და თავზარ-
დაცემულმა შესძახა:

— რა მოხდა, მათავ?

— მათავ, რა გაიგე? — წამოიძახა თამარმაც, რომელსაც მუშტები ლო-
ყებზე მიედო, თითქო ამით უნდოდა ქვითინი შეეკავებინა.

მათამ წამოიწია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლოკინით წამოიძახა:

— ახალციხის ფაშას... ბატონის ჯარი მთლად გაუწყვეტია... ისე, რომ ამ-
ბის მომტანიც არ გადარჩენილა... ცოცხალი ერთიც აღარ გადარჩენილა...
იარანალ ტოტლებენს უბრძანებია, რადგან საქართველოს პატრონი კაცი
აღარ დარჩა, რუსეთის ერთგულებაზე უნდა დავაფიცოო...

— ეგ რა სთქვი, მათავ? — წამოიკვილეს ორივემ.

— ხელ-ზევით ტოტლებენი თბილისში ჩამოვა თავის ჯარითო, — განაგრძო
ხველით მათამ: — ვაი ჩვენს მოსწრებას! ციხეებში რუსის ჯარი ჩაუყენე-
ბია. ნუ გეშინიანთ, გიპატრონებთო...

— ვინ გითხრა ეგ ამბავი, მათავ? — როგორც იყო შეეკითხა გაფითრებუ-
ლი თამარი.

— დედოფალთან ვიყავი... იქ არიან ყველანი... კაბუაძე სთქვა, ეპისკოპეტ-
როვინს უთქვამს. შიკრიკი მოსვლია, ისიც იქ არის, ყველა იქ არის. მიშვე-
ლეთ, თქვენი ჭირიმეთ, ჩამქოლეთ, მომკალით! — მოსთქვამდა მათა და და-
კარგულ ლოყებს უფრო იკაწრავდა.

სადგერში ერეკლეს მთელი კვირა მოუხდა ცდა, საწამ ტოტლებენი მივი-
დოდა თავისი ჯარით. პურზე გაგზავნილმა ხალხმაც დაიგვიანა და მალე
სადგერის ზეგანზე შეგროვილ ჯარში პატარა პურის ნატეხებიც კი იშვიათი
სამოვნი გახდა. ახლო-მახლო სოფლებში მარტო საკლავი იშოვებოდა და
იქაც არავის უშვებდნენ, რადგან დავით სარდლის განკარგულებით გზებზე
იასაულები დააყენეს: უნებართვით ბანაკის გარეშე არავის არ ჰქონდა წასვ-
ლის უფლება.

ერეკლე იძულებული გახდა, ხუთასი კაცი კიდევ მოეკლო ჯარისათვის და
პურის მოსატანად გაეგზავნა. ახლა მისთვის თითქმის უღაო იყო, რომ ტოტ-
ლებენი განგებ აჭიანურებდა ლაშქრობას, რათა ერეკლესთვის აუტანელი
პირობები შეექმნა. რამდენჯერმე კიდევაც გადასწყვიტა ერეკლემ, ლაშქრით
უკანვე გაბრუნებულიყო და თათრებთან ომი გადაედო მანამდე, საწამ პე-
ტრებურგი ამ უმსგავს გენერალს უკანვე არ გაიწყვედა. ვერაფრით ვერ
აეხსნა ტოტლებენის საქციელი. მოურავოციც გაკვირვებული იყო და თი-
თონვე ამბობდა, ეს რა ღეთის ცეცხლი გამოგვიგზავნესო.

კარგახნის ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, გაისმა დოღების ბრაბუნნი და
რუსი ჯარი ბორჯომის ხეობაში შევიდა. ერეკლე მამის პეტრეს ციხეში
იღბა ბანაკად. იმდენად გაახარა ამან, რომ თითონ გაეგება გენერალს. ციხე-
ში მიიწვია და იქვე დაბანაკა.

თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, მეორე დღეს გაელაშქრათ აწყურისკენ.

ახლა რატომღაც ტოტლებენი ჩქარობდა, მაშინ, როდესაც ერეკლე, პირველი ლაშქრობის გადადება უნდოდა. იმედი ჰქონდა, რომ მანამდე სურსათზე გავეზავნილი ხალხი დაბრუნდებოდა, თორემ დამშეული ლაშქარი საფრანგულ მხარეში ყვანა ტოტლებენის დაყოვნებამ ძალაუნებურად გასაჭირში ჩაავდო.

მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ერეკლე დაეთანხმა, მეორე დღესვე დაძრულიყვნენ. აწყურამდე როგორმე მიალწევდა და იქ უკვე პეტრის მიწაზე იქნებოდა. იმედი ჰქონდა, რომ ახლო-მახლო სოფლებში ფარეშებს გაუშვებდა და ჯარს როგორმე მოამარაგებდა სურსათით.

ტოტლებენის მოთხოვნით აქაც ისევე ქართველები წავიდნენ წინ. ერეკლეს ჯარი ახლა მხოლოდ სამიათისი კაცისაგან შესდგებოდა.

როდესაც დილაადრიან ქართველთა ლაშქარი გასამგზავრებლად გაემზადა, ერეკლე კიდევ ყოყმანობდა, მას კიდევ აშინებდა სურსათის უქონლობა. დავითსა და ლეონს თავისი გულისწუხილი გაუზიარა, მაგრამ ორივემ სიცილით დამშვიდეს მეფე. ქართველ ლაშქარში კაცი არ იყო, რომ პეტრის საყმოდ მარაგი არა ჰქონოდა.

— ეგ როგორ? — გაოცდა ერეკლე, — განა გიორგი უფლისწულის კაცები მოვიდნენ?

— არა, მამე, — უთხრა ლეონმა, — ჩვენმა ბიჭებმა რუსებისაგან იყიდეს პური. თეთრი ყველასა ჰქონდა, ჩაესივნენ წუხელ საღამოს და ისეთი ვაჭრობა გაახურეს, რომ უკეთესი არ იქნებოდა.

— ეჰ, ეგ კიდევ ახალი დარდი გამიჩნდა! — წამოიძახა ერეკლემ — მერე და რუსები თითონ რას აპირებენ?

— არ ვიცი, ალბათ, იმდენი აქვთ, რომ გასასყიდადაც მოეპოვებათ. რა ვიცი, არც აფიცრებს და არც იარანალს არ დაუშლიათ თავიანთებისთვის, პურს ნუ გაჰყიდი.

— თქვენს პირს შაქარი, თუ აგრეა, — სთქვა მეფემ, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ თავისი ჯარის ამგვარად მომარაგება არ მოსწონდა.

ერეკლე თავისი ამალით დილიდანვე პეტრეს ციხეში გაემგზავრა. ტოტლებენი მთელი შტაბით შეეგება და შემდეგ ორივენი, ცხენებზე შემსხდარნი, პატარა გორაკზე დადგნენ და თვალყურს ადევნებდნენ ქართველი ჯარის მოძრაობას. ორივენი საზეიმოდ იყვნენ ჩაცმულნი. ერეკლეს ირანული ოქრომკვდით მოქარგული ხალათი ეცვა, მხირზე მუარის ლურჯი ანდრიას ლენტე ეკიდა, ხოლო მკერდზე ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბრწყინავდა. მისი ბედაურის მოკაზმულობა — ლაგამიც, უნაგირიც, მოსართავებიც — ოქროთი და ძვირფასი თვლებით იყო შემკული.

ტოტლებენსაც საპარადო მუნდირი ჩაეცვა. თავისი სამკუთხიანი კივერით, ზედ მოფრიალე ჯილით და ფერადი ტანსაცმელით იგი ზოზობის მავგარ რაღაც უცნაურ ფრინველს წაავადდა.

ქართველთა ჯარში ხმა გავრცელდა, ერეკლესა და ტოტლებენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ახლა, როდესაც ორივენი ერთად დაინახეს, მხედრებს გული მოეცათ, გამხიარულდნენ, ცხენებს მათრახები გადაჰკრეს და მოხდენილად ჩაიარეს მეფის წინ.

გაიარა ქართველმა ჯარმა, მისწყდა ნაღარის ხმები და იმ წამშივე დაიძრა რუსთა ლაშქარი. ერეკლე წინ წავიდა, რომ თავის მხედრებს დასწეოდა, ტოტლებენი-კი პეტრეს ციხეში დაბრუნდა, საპარადო მუნდირი გამოიცვალა და შემდეგ მათორ ფოლუბოვს უბრძანა:

— ახლავე ერთი რაზმი სადგერის ციხეში გაგზავნეთ და იქ დააბანაკეთ, მეორე რაზმი ამ ციხეში დასტოვეთ. ყველა გზებზე გუშაგები დასაყენებთ და ვინც არ უნდა იყოს, ჩვენიანის გარდა, ან იქით მიმავალი, ამ ციხეში მომავალი, თუნდაც თითონ მეფე ერეკლე, დაატუსაღონ და მომგვარონ.

შემდეგ ციხეზე შეჯდა და თავისი ჯარით მიჰყვა ერეკლეს ლაშქარს.

გზის სიფიროვის გამო ჯარი ნელა მოძრაობდა და აწყურთან მხოლოდ დაბინდებისას მიაღწიეს. კლდეზე ამართული და მტკიცე გალავნებით შემოსალტული აწყურის ციხე მართლაც ქაჯეთის ციხესავით აზიდულიყო მტკერის ეიწრო ხეობაში.

ციხიდან ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა, თითქო შიგ ადამიანის ხსენებაც აღარ ყოფილიყოს, თუმცა ციხეში ათასი მეომარი და აწყურის მთელი მოსახლეობა იყო შეხიზნული. ქართველი ჯარის მოახლეობა მათ გვიან გაეგოთ, და თუმცა მოსახლეობას შეესწრო ციხეში, მაგრამ პირუტყვიც და მთელი საოჯახო ქონებაც მას ღვთის ანაბარად მიეტოვებინა.

ერეკლე შალაღი გორაკიდან დასცქეროდა ციხესა და ქალაქს.

დიღხანს იღგა ერეკლე და თვალს არ აშორებდა მდუმარედ ამართულ, თითქო მიწიდან ამოზიდულ გორაკს, რომლის ფერდობებიც და მწვერვალიც შემოსალტული იყო ქონგურებიანი კედლებით.

სარდლებიც ჩუმად იღვნენ.

ერეკლემ რამდენჯერმე მძიმედ მოავლო თვალი მიდამოებს, მერე ცას ახედა. ჯერ ვარსკვლავები არ ანთებულობყვნენ. თითო-ოროლა ღრუბლის ნაგლეჯი კადევ ღვიოდა წითლად.

— დავით, — ხმით ერეკლემ სარდალი, — უბრძანე, ჯარმა ქალაქი არ ააოხროს. ხიღზე ხევესურები დააყენე.

— საქონელზე როგორ მიბრძანებთ? მცხოვრებთ უპატრონოდ დაუყრიათ.

— საქონელი წამოასხან. სურსათიც, სადაც ნახონ, წამოიღონ. დანარჩენს ხელს ნუ ახლებენ. ჯარს გამოუცხადეთ, მართალია, თურქების საბრძანებელში ვართ, მაგრამ ეს ჩვენი ქვეყანაა და ბატონმა ბრძანა, აქაურთა სახლ-ქარის დაქცევისათვის სასჯელი მოგეზღებათ-თქო. ნახიბი რაც მოდენონ, ნახევაირი რუსებს გაუგზავნეთ, თუმცა მე თვით ვნახე, კახაყები ას სულ ძროხან უკვე მიერეკებოდნენ, მაგრამ ტოტლებენმა რომ არა სთქვას რა, ნახევაირი მაინც მიჰგვარეთ.

დაბალი, წყნარი ხმით ლაპარაკობდა მეფე.

დავითმა თავი დაუკრა მეფეს, მერე სარდლები გაიყოლა და თავქვე დაეშვა.

ერეკლემ ისევ გახედა აწყურს. ფიქრმა გაიტაცა.

აშლის წვერები მორჩილად იღვნენ შორიახლო. ყოველი მათგანი ერთსა და იმავეს ფიქრობდა მეფეზე: ბატონი მომავლის გეგმებს სახავსო. ამიტომ ყველანი ჩუმად იღვნენ. ფრთხილად, ფეხის წვერებზე დადიოდნენ და ყოველ ახლად მისულს წინასწარ შორიდან აფრთხილებდნენ:

— სსს... ჩუმად...

და ხელით ანიშნებდნენ, ვითომ როგორ ვერ ხედავ, ბატონი როგორ შეუბყრია ფიქრებსო.

ერეკლე ბრძოლაზე არა ფიქრობდა. მას თავისი მასწავლებელი იასე შვიგნობარი მოაგონდა, რომელიც ლეოდრაფიას ასწავლიდა. იასემ ერთხელ როს-

ტომის დროინდელი რუკა გადაუშალა, ყოველივე აუხსნა, რაც ზედ ღერ გ-
მოსახული, მერე სამცხე-საათაბაგოს და ტაო-კლარჯეთს ხელმძღვანელად
უთხრა:

— ჩვენი ქვეყნის აკვანი ეს კუთხეა, შვილო, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი, ამ აკვანში ახლა სხვისი ყრმა აწვევია.

რატომღაც გულში ჩაჩრა ეს სიტყვები ერეკლეს და შემდეგ, როდესაც წამოიზარდა, დაეაყვადა, ხშირად გახსენებია თავისი მასწავლებლის სიტყვები. გახსენებია ავღანეთში, როდესაც ქართველთა ათასეული, ყანდაარის მალაღო კოშკის ასაღებად მიჰყავდა იეროშზე, გახსენებია ინდოეთის გაუფალ შამბნარებში, სადაც თავის დაღლილ-დაქანცულ მეომრებს მაგალითს აძლევდა თავისი რკინისებური სიმტკიცით.

გახსენებია და გული სტკენია.

მას იმ გადაკარგულ ქვეყნებში ნადირ-შაჰის დიდებისათვის უნდა ეღვარა სისხლი, ზოლო თავის ქვეყანაში ორი ფეხის ნაბიჯზე უმშვენიერესი კუთხე სხვას ეყარა ხელთ.

„ნეტავ იასე ცოცხალი იყოს და ახლა აქ მახლდეს“, — გაიფიქრა ერეკლემ. მერე მიმოიხედა. ლაპარაკი სურდა ვინმესთან.

ყველაზე ახლოს მასთან ლეონი და ბესიკი იდგნენ.

ერეკლემ არა სთქვა რა, მხოლოდ გაუღიმა მათ.

ლეონმა მამის ღმილი ზეაღინდელი გამარჯვების ნიშნად შიიჩნია და აღტაცებით უთხრა:

— მამავ ბატონო, უფლება მომეც, ციხეში პირველად მე შევიჭრა.

ერეკლემ შეხედა ციხეს. მერე ლეონს.

— ციხეს ვერ ავიღებთ.

— როგორ? — გაოცდა ლეონი და თითქო პასუხი ბესიკისაგან სურდა მიეღო, მისკენ მიიხედა.

— გერ გოლა-ფაშის ლაშქარი უნდა დაემარცხოთ და შემდეგ აწყურიც და ახალციხეც თავისთავად დაგვნებდებიან. თორემ ამ ციხეს მთელი ჯარიც რომ შევაწყვიტოთ, ვერას გავხდებით, — უთხრა ერეკლემ ლეონს.

— რუსის ზარბაზნები? — ლეონი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ისინი გვერდს უვლიდნენ აწყურის ციხეს.

— რუსის ზარბაზნებით ამ ციხეს ვერას დაეკლებთ.

ერეკლემ მეტი აღარა სთქვა-რა და თავის ბანაკისკენ გაემართა. ამაღაც თან გაჰყვა. გორაკზე მარტო ლეონი და ბესიკი დარჩნენ.

— ეს რა სთქვა მამა-ჩემმა, — წამოიძახა ლეონმა: — მე მეგონა, ზვალ ამ ციხის კოშკზე ჩემს დროშას ავაფრიალებდი. დაიცადე. ის რა არას, ხედავ? — მიუთითა ლეონმა: — რუსებს ზარბაზნები მოაქვთ ამ გორაკზე.

გორაკს მართლაც უახლოვდებოდა ტოტლებენის არტილერია. მეზარბაზნე ჯარისკაცებს სადავით მოჰყავდათ ცხენები. ამლართში ცხენებს უჭირდათ მალაღ ბორბლებზე შედგმული მძიმე ზარბაზნების ათრევა და ჯარისკაცები მათ ერთის შეძახილებით ერეკებოდნენ.

(გაგრძელება იქნება)

შიშველი მიწა

მწვანე გორაკი ჩამოვირბინე,
 ახლა მინდვრების ზღვაზე მოვეცურავე,
 ირგვლივ ჯეჯილი ლაღად ბიბინებს,
 აქ კი ბალახიც არ ამოსულა.
 ყრია აქ-იქ რკინის ნამსხვრევი,
 მიმოფანტულა ირგვლივ ნახშირი,
 მიწა შიშველი მიცქერს დარცხვენით,
 ნასახლარით ყუჩად გაშლილი.
 მიკვირს რად არის წელგატეხილად,
 რამ დაუბინდა ზეცის სარკმელი?
 მტრისგან ეს მხარე არ დამეხილა,
 არ მოხვედრია ზელი ამკლების...
 ნაცნობ გარემოს ვუმზერ, ვიცანი
 და მახსენდება ერთი არსება:
 ამ ცას გაკვროდა შარშან მტრის სეავი,
 შავი ფრთიანი გველის მსგავსება.
 ტყიდან ქვემეხმა შეძრა ქვეყანა,
 სროლა გამოდგა მარჯვე, ქებული:
 სეავი წივილით ძირს დაეჭანა
 და აქ დაეცა ცეცხლმოდებელი.
 მიწამ ტყივილით ამოიგმინა,
 ეხედავ, მას შემდეგ კმუნვით მოცულა.
 ბევრგან მომხიბლა ყანის ბიბინმა,
 აქ კი ბალახიც არ ამოსულა.
 წყლულად მინდვრიდან განაყოფილა.
 თითქოს ზეცისგან იყოს გამობილი.
 რა გესლიანი სეავი ყოფილა,
 რა შხამიანი დედის შობილი!
 ჩვენო სიცოცხლის შუქის დაფენავ.
 ერცელო ყანავ და დიდო ვენახო,
 მტრის შხამიანი სეავის გაფრენა.
 ნურსად ლაყვარდში ნუ დაგვენახოს.
 მგლური თარეში მტრებს წამწარდებათ,
 ჩავლენ საფლაეში მკერდდაგლეჯილი,
 აქ კი ბალახი კვლავ ამწვანდება,
 აბიბინდება ლაღად ჯეჯილი.

კავკასიონის პარკთან¹

რომანი

IX

იღუმლად მიტყველი სიმი

ზრალით ჰყვეთდნენ ჰაერს ტყვიები, სხედნენ სიმიდის ფოთლებსა და ღეროებს, თავზე აყრიდნენ მიწაზე გართმულ ეთერსა და ბესოს.

ამ გაბმულ ტახტახში მხოლოდ ერთი მზარავი გრძნობა ეუფლებოდათ:

— საშველი არაა...

მალე ნაღმსატყორცნიდანაც გახსნეს ცეცხლი. შხუილით დასრიალობდნენ ნაღმები, ცოფიანი პირუტყვებით ბლაოდნენ, შორი-აბლო ეცემოდნენ და მღერიე შადრევანივით აფრქვევდნენ ირგვლივ მიწის ნაფლეთებს.

ბესომ უძრავად ყოფნა ვერ აიტანა, ასე ეგონა, გარს შემონთებული ალი ხერხემლის ძვალშიაც ჩაუძვრა; სულშეხუთულივით ასწია თავი და ეთერს მიჰხედა. ერთ წამს დაუყუტდა საბედისწერო განსაცდელით აწრიალებული გული, იმდენად გააოცა ეთერის გამომეტყველებამ.

შკავებზე დაეყრდნო ეთერს ნიკაბი და თვალგაშტერებული მისჩერებოდა ერთ წერტილს, ისე გაქვევებული იყო, თითქო მარმარილოსაგან არისო გამოკვეთილი მისი სევდიანი სახის ყოველი ნაკვთი, თითქო ამ ორომტრიალის მიღმა იმყოფებოდეს და ამოუხსნელი ფიქრისაგან თავი ვერ დაეღწიოს.

ნამდვილად კი ეთერი ახლა არაფერზე არ ფიქრობდა, საცნობით გაოგნებული იყო; არც არავინ ახსოვდა, არც ეს საშინელი საფრთხე აკრთობდა. იმდენად შეჯაჭვული იყო ამ გამოუვალი მდგომარეობით, რომ თავდაცვის ინსტინქტი მოდუნებოდა; ან არა და, იქნება ეს ქვეშეცნეულად მოქმედი ნებისყოფა იყო, რომელიც შესვენებას, ძალღონის მოკრებას უკარანახებდა.

ბესომ ეთერისკენ მიიჩოჩა, ხელი შეახო.

— დავიღუპებით... ვაგზობდეთ.

ეთერი შეკრთა, უნებლიედ თავი დასწია, მერე ბესოს მიეყრდნო, სწორედ ისე, შეშინებული ბავშვი რომ მშველელს მიეფარება. წამსვე გამოერკვა, მიმოიხედა, მიმართულება აირჩია.

— გასწი! — უთხრა-ბესოს და თვლით სამხრეთი ანიშნა.

როგორც იყო, ყანიდან გააღწიეს, მაგრამ აქ უარესს ცეცხლში მოხედნენ. ტყის კიდემდის ეალტამიან ველს ნაღმები ხნავდნენ. არც თხრილი იყო მახლობლად, რომ შიგ ჩაწოლილიყვნენ.

ისევ ერთ ადგილას წოლა არჩიეს.

¹ იხ. „მნათობი“, № 6, 7, 8.

უამთა სვლა თითქო ცეცხლის შორეველ იქცა, უნაპირო შორეველ, არაფერს უწყის, სად დასრულდება ამ აღთნაკადის მდინარება, სად წაგორდება და გადაგისვრის.

ბესომ გულის გამაღებელი ცემა ვერ აიტანა, სულის მოსათქმელად თავი ოდნავ ასწია. ეს იმ დროს მოხდა, როცა ერთი წამით ნაღმების ბათქა-ბუთქი მინელდა. ახლა შეღონებული გული ყელთან მოაწევა, იგრძნო, რომ მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. ძალის მოსაყრებად სივრცეს გაჰხედა. შორს, ცის გუმბათთან, მთის თხემს მოჰკრა თვალი. ისე გაოცდა, თითქო ყრმობის შემდეგ აღარ ეხილოს ასეთი წარმტაცი მწვერვალი, ახლად ამოსული მზის სხივებით დამშვენებული. თვალები გაუფართოვდა, გააქროლა. მერე შევებით ამოისუნთქა. მყისვე იელევეს მის არსებაში ფესვგარდგმულმა სახეებმა და თავის ეზოში ჩაიხედა.

დაბალი სახლის აივანზე ზის ბესოს მეუღლე, აკვანზე გადაწოლილა და ბავშვს ძუძუს აწოვებს. საშუალოს,—შავთვალწარბა გოგონას, იქვე მოურთხამს ფეხება და დედისათვის წვივზე თავი მიუდევს, ხოლო მუდამ მოუსვენარი ბიჭიკო ლეკვს ეთამაშება. სახლის წინ, ფარდობზე ვენახი ჯერ არ დაუკრფვიათ. მტევნები აკიდოებივით კამკამებენ. თრიალეთის ქედზე გადმომდგარი მზის შუქი მოჰყენია შიდაშოს.

და მთელი ეს არემარე, ეს ცხოველმყოფელი, დედის რძესავით ტკბილი პაერი, ეს ვრცელი ჰალეები და მარად მჩქეფარე მტკვარი ანდამატივით იზიდავს ბესოს, ეძახის.

აჯერ ბესოს მეუღლემაც თავი ასწია, ქმარს მოწყურებული თვალები მიაპყრო.

რა ნაღვლიანი სიყვარული გამოსჰქვივის ამ თვალებში!

და იგი უსიტყვოდ უხზობს ბესოს, თავისკენ იწვევს, აჩქარებს.

მთვარეულივით წამოიშრათა ბესო.

— მომყევი! — მიამახა ეთერს და წელში მოხრილად გაიქცა.

ეთერიც აედევნა.

ოცი მეტრიც არ გაურბენიათ, რომ სივრცეში კვლავ ნაღმი აშხულიდა. მყისვე მიწას გაეკრნენ.

მტვერი რომ გაიფანტა, ბესომ უკან მიიხედა. სწორედ იმ ადგილას იყო ამოთხრილი მიწა, სადაც რამდენიმე წუთის წინათ იყვნენ.

„გადავრჩით, იქ რომ დავრჩენილიყავით, ახლა დაფლეთილი ვიქნებოდით“, — გაიფიქრა ბესომ. „ჩემმა ცოლშვილმა გადამარჩინა, ჩემმა ქვეყანამ“.

ამ ფიქრმა ისეთი ცხოველი სიხარულით აღუვსო გული, რომ იმ წამს საესეებით დაავიწყდა ყოველივე საფრთხე, შიში დასძლია. თან ჯერ განუცდელი სიამაყე იგრძნო. ნათლად წარმოიდგინა, თუ რისთვის და ვისთვის იბრძვის აქ. უცებ შემოეცალა ბუნდოვანი სამოსი მრავალგზის ნაფიქრ ცნებას — სამშობლოს, მოვალეობას. კი არ გაერკვა, მთელი თავისი არსებით შეიგრძნო, რომ მის ზურგს უკან, მაღალი მთების გადაღმა, მასთან ერთად სულდგმულობს მისი კარმიდამო, მისი წვრილი ცოლ-შვილი, სიყრმიდანვე თანშეზრდილი ქვეყნიერება, რომ მათთვის, მათი სიცოცხლისათვის, მათი ბედნიერებისათვის დგას მოსისხლე მტრის პირისპირ.

ეთერს მიჰხედა, გაუღიმა.

— ძაან არ გადავრჩით!..

ეთერი გააოცა ბესოს მშვიდმა ხმამ და მღიმარე თვალებიდან გამოჰკრათალ-

მა შექმა. თვითონ მთელი სხეული უცახცახებდა, ყოველ წამს ნაღვს მოქლოდა, სიკვდილს თვალეზში შეკუთრებდა. ეს ჩია კაცი კი ისე უმეცრედ მოიყურებოდა, თითქო უკვე სამშვიდობოზე გასული ყოფილიყო. ბესო ეთერთან მიჩოჩდა, დაყვავებით უთხრა:

— ნუ გეშინია, მალე გავალთ. ხო ხედავ, სროლა მიწყნარდა.

ამ დროს ყვირია მოესმათ.

— ხო გესმის, ჩვენები არიან, იერიშზე მიდიან. — სოქვა ბესომ და ეთერს ხელი დასტაცა.

— ამ ადგილს უნდა გავცილდეთ. წამო!

ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ქვემების ყუმბარამ თავზე გადაუარათ, ტყვიამტრქვევებიც არემარის ლამბვას შეუღვინენ.

სქელ ხეს მიეფარნენ. ეთერს დაღლილობამ უწია, მუხლები მოეკვეთა, უღონოდ ჩაიჩოქა, ხეს მიეყარნო.

— ცეცხლიდან გავედით, ახლა ჩვენების ზურგში ვართ. — ჩაილაპარაკა ბესომ და შუბლიდან ოფლი მოიწურა, მერე ეთერს დაჰხედა.

„საწყალი, ძალა გამოვლია. ადამიანის ფერი აღარა აქვს“. გაიეღო გულში და გვერდით მიუჯდა.

— გული ხო არ გიწუხს? იქნება წყალი გინდა?

— არა... ცოტა მადროვე, ბესო. სულს მოვითქვამ.

— წამოწყვიტო. — უთხრა ბესომ და ხელი გაუწოდა.

მყისვე მიენდო ეთერი ამ ძლიერ ხელს, ბესოს გაწვილ ფეხზე, მუხლს ზემოთ თავი დაადო, თვალი დახუჭა.

ჯარს თითქო ბამბის ქულები შემოეხვია; ნელი-ნელ ჩამოეშვა მსუბუქი ნისლი და გარემოს გადაეფარა. ქვეა-ქუხილივით გადაიარა განვლილმა ქამმა, შორს, ძალიან შორს იღვრა და მიწყნარდა ყველაფერი. თავისი გულის ძალით უღელს ცემას გრძნობს მხოლოდ. ახლა თითქო არავითარი საგონებელი აღარ აწუხებს, არც-სადმე მიეჩქარება, არც ვისიმე ნახვა ენატრება, ოღონდ იწევს ასე გაუნძრევლად, მოისვენოს.

ბესო გრძნობდა, რომ საკმაო იყო თავი ხეზე მიეყარნო, თვალი დაეხარა და წამსვე მკვდარივით დაეძინებოდა. თვალბეზვზე ხელი მოასვა, ძალა მოიკრახა. თავის შესაქცევად სმენა კანტი-კუნტ სროლას მიიპყრო, მერე ეთერს დააქცერდა. ბავშვობა მოაგონდა ერთხელ, სწორედ ეს დრო იყო მაშინ, აგვისტოს მიწურული, უფროს დას ახლდა მთაში. მოცივი მოჰკრიფეს. დიდრონი კალათები გაავსეს. ხევიდან მაღალ ქედზე ძლივს აიტანეს. ლიბლანდენ. თბეშვზე დასხდნენ. დაიწყო წვიმა, ბესოს ფეხზე თავი დაადო და ჩაეძინა. ბესოსაც სურდა მოსვენება, მაგრამ უცებ თავი ისეთ გმირად წარმოიდგინა, როგორც ზღაპარში გაეგონა, ეს ფესშიშველა, თმა-გაჩეჩილი გოგო კი — მზეთუნახავად. ამაყად გადაჰხედა დაბლობში გაფენილ სოფელს, ქალაში დაკლავილ მტკვარს, სალ კლდეებსა და ფიქვნიანი ფერდობებს, მერე თითქო ხმალი იშიშველა, გუშავად დადგა, რომ დისათვის ძილი არავის დაეფრთხო.

ახლაც ისეთივე გულუბრყვილო სიამაყე იგრძნო ბესომ, მზრუნველი თვალთ მიუალურსა ეთერს. მზად იყო, მთელი საათობით არ განმრეულიყო, რომ ეთერი არ შეეკრთო.

„რაც არ უნდა იყოს, მაინც ქალია, — ფიქრობდა ბესო, — ბევრ ვაჟკაცს გაუჭირდება იმდენი განსაცდელის ატანა, რაც ამან გუშინს აქეთ გამოიარა. მაინც რა ცეცხლში მოვხვდით!.. ამას რო იმდენი სიმტკიცე არ გამოეჩინა,

აუცილებლად დავიღუპებოდით... საწყალი, მთლად მტვერშია ამოგანგლული... რა იცის მამამსმა, სად არის მისი ქალიშვილი, რა დღეშია? ვერაფერი წერილობითი არაა, თქვენმა სიცოცხლემ გადამარჩინა ამ დღეს... იყო, როგორ მიმიზიდას... რაღაცა ძაფია გაბმული ჩვენს შორის. აი, თვალს რომ ვეალებ, ვერაფერს ვხედავ, ისე კი მგონია, გულიდან ამოდის ოქროს ძეწკვივით. ვერაფერი ვერ ვაპყვეთს, ვერც რაიმე გადაეღობება წინ..."

— ეს იყო ზამთრის უნდა ზამთრის უნდა, რომ მოგებნა, თითქმის შორიდან რაღაც ბუნდოვანი ტალღა დაიძრა, თანდათან მოახლოვდა, საცაა გარს მძაფრად შემოენარცხება. შეერთა, თვალი გაახილა. წამსვე სამსონი მოაგონდა... ვინ იცის, იქნება სისხლისაგან იცლებს. ეთერი კი...

მკვირცხლად წამოიჭრა.

ბესო შემფოთდა.

— ნუ გეშინია, ეთერი მე მღვიძავს, არავითარი საფრთხე არაა, მოისვენე, ძალა მოიკრიბე.

— რა დროს მოსვენებაა. ვიჩქაროთ! — ჩაილაპარაკა ეთერმა და სამოსი გაიბერტყა, ჩექმის ყულები ამოიწია, ჩანთა გაისწორა.

ტყის პირს ვაკვყვენ. მალე მივიდნენ იმ ადგილას, საიდანაც ამ დილით ჩვენების რაზმი იერიშზე გადავიდა.

სანგრები ცარიელი იყო. აქა-იქ მხოლოდ დაცლილი ვაზნები ეყარა. რაღაც ნაპარტახალის შთაბეჭდილებას სტოვებდა ეს არე-მარე.

შორს, ვრცელ ყანებს მიღმა, სოფელი მოსჩანდა. დროგამოშვებით იქიდან სროლის ხმა ისმოდა.

„ჩვენები ახლა იქ იქნებიან“, გაიფიქრა ეთერმა, მანძილი მოწყურებული თვალთ გაზომა. ნუ თუ სამსონს დღესაც ვერ ნახავს? ოღონდ ცოცხალი იყოს და... ამ დროს ძახილი მოესმა. მიმოიხედა, ვერაფერს დაინახა, ხმა კი საოცრად ნაცნობი ეჩვენა.

— აგე, ცაცხვის ძირას არის ვიღაც! — წამოიძახა ბესომ, — დაჭრილი უნდა იყოს.

— სანდრო, შენა ხარ, კაცო? — წარსთქვა მიახლოებულმა. ბესომ და ნაბიჯს აუჩქარა.

— მე ვარ, ძმობილო, მე. სწორედ კაი დროს მომთმარით... მიიწია, კაცო, დამანახე! ეს ჩვენი ეთერია ხომ?.. ნუ გეშინია, დაო, მაგრად ვარ, მხოლოდ ჭრილობიდან ცოტა სისხლი მოეონავს. იმ რეტიანმა კოლია ბარბაქაძემ შემიხვია. მაგ ჭურის თავზე უნდა იდგეს და ლეინოს შინჯავდეს, აქ კი ექიზობა დამაწყუო. არა, ერთში კი ვერ დავემდურები, იმ ვაი-უბედურებაში ჩანთიდან არყით საჭეს შუშა ამოაძვრინა. სწორედ მისწრება იყო, სული მოვიოქვე. აქამდის სულ დიღინით მოვედი...

სხვა დროს სანდროს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მეტად დინჯი კაცი იყო. ახლა მარტოობას გული გაეწყალებინა, თან ტყვივლები აწუხებდა და საუბრით თავს იქცევდა. თბილისში გაზრდილი მეთორნე იყო. სოფელში რამდენიმე წელიწადში ერთხელ თუ ჩავიდოდა სტუმრად, მაგრამ წმინდა რაჭველი კილო მაინც შერჩენოდა.

ეთერი მკლავს რომ უხვევდა, სანდრო ლაპარაკს მაშინაც განაგრძობდა:

— არა, ერთობ გამოიღეს ხელი ჩვენმა ბიჭებმა! ხომ ვახსოვთ, აქეთ რომ მოვედიოდი, რას გვეუბნებოდნენ გამოქცეულები? ჩვენ ვერაფერს ვახდით და თქვენ ვისი დევგმირები გვყვეხართო. თქვენი არ ვიცო და მე ცოტა შინში

ქე ჩამივარდა გულში. ეს ნაომარი ხალხი თუ ცერაფერს გახდა, ვერ თუ ჩვენც შევრცხვეთ მეთქი. ვენაცვალე ჩვენს ბიჭებს! აბა, ახლა ვაბეჭდო—მეჩვენა დე გვითხრას — ცუდი მებრძოლები ხართო! კაცო, სულ რომ არ მოელოდი, ეს რამეს გააკეთებდო, ასეთებიც კი ვეფხვეზად იქცნენ. აბა რაეა იფიქრებდი, კოლია ბარბაქაძე ქეთისა და სიმღერის მეტს თუ რამეს შესძლებდა! უნდა ნახოთ, როგორ ტრიალებს შუაგულ ცეცხლში!.. ჩვენი საწყალი ლომგულა ხომ გმირულად დაცვა... ახლა დავით ჯამაიას არ იკითხავთ? მაგ მე წიგნის კაცი მეგონა, გულსუსტი. თურმე ლომი ყოფილა! რომელი ერთი ჩამოეთვალო?... შალვა და სამსონი ხომ ჩვენი სულის ჩამდგმელები არიან...

ეთერს ხელი შეუჩერდა, სანდროს თვალებში ჩაჰხედა.

— როდის ნახე სამსონი?

— აგერ ახლა. სულ ორი საათი არ გასულა მას შემდეგ! ნუ გეშინია, კარგადაა... ისე ღმერთმა ნუ მომკლას, რომ თქვენს ქორწილში ყანწით ღვინო არ დავლიო.

საოცარია, არც სამსონს და არც ეთერს არავისთვის არ უთქვამთ, რომ ისინი დანიშნულები არიან, ყველამ კი იცის!

„ძნელი ყოფილა სიყვარულის დამალვა“, — გაიფიქრა ეთერმა და ქრილობის შეზვევა განაგრძო.

— ახლა მე თვითონ გავყვები ნელ-ნელა მელსანბატისაკენ. — სთქვა ბოლოს სანდრომ. — გამყოლი არ მჭირია. შალვას, ჩვენს კომისარს, გუშინ აქეთ მკლავი შეზვეული აქვს, მაგრამ ბრძოლის ველს არ შორდებო... ხო, მართლაც ბესო, აგერ შინდორში რომ ყორღანი მოსმანს, იქ ჩვენი მიცვალებულია, საწყალი არჩილი. მიდი, თუ ძმა ხარ, უბატრონე, დამარხე. ცოდვაა, რამემ არაფერი მოსწიოს... ეხ, რაბიჭი იყო საწყალი! პოეტო იყო, ისეთ ლექსებს გვიკითხავდა, ისეთს, რომ... ეჰ, რაღაი, რა... მისგან ერთ საწყენ სიტყვას ვერ გაიგონებდი. ჩვენი ათეულის ბიჭებს თვალში რომ ჩაეარდნოდათ, ზელს არ ამოისვამდნენ. ამ პირველ შეტევაში რომ არ დაღუპულიყო, მისგან ერთობ კარგი მებრძოლი დადგებოდა. ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო, ხმარად-რაღაცა გააშეშებდა, გაყრუებულებით მიდიოდა. სწორედ ამან მოუღო ბოლო უბედურს. ვეუბნები: კაცო, დაწევი, არ გაანძრე. გაგიგონია, მიღის თოფმოპარკეებული... ჰეი, ჰეი, რას გრძნობს ნეტავი ახლა დედამისი... აბა, გავწყვე ახლა მე. დიდი მადლობა, დია... ბესო, ეს ჩემი ბარი ხანჯალივით გალესილი მაქვს, წაიდე, სამარის ამოსათბრელად დაგპირდებით, მე ისედაც ერთობ დამძიმებული ვარ.

ჯობი დაიბიჯა, მძიმედ გაუდგა გზას სანდრო.

ეთერმა და ბესომ ყორღანისკენ გასწიეს. მიცვალებული მალე იპოვნეს. ყორღანის პირად სამხრეთით შეუღდნენ საფლავის ამოთხრას.

— ეს მხარე სჯობია, — სთქვა ბესომ, — სამშობლოსთან უფრო ახლოს იქნება... შენ ნუ სწუხდები, მოისვენე, მე ამას ხელად ამოვთხრი.

არ მოეწონა ეთერს ბესოს მშვიდი ხმა. მესაფლავე მოაგონდა. პირველად არ იყო ეს, ბრძოლაში დაღუპული მებრძოლის დამარხვა რომ უწყევდა, მაგრამ მაინც ვერ შეეჩვია. უნებლიედ აღუღდებოდა გული, ცრემლი ერეოდა.

ახლაც მიწას თვალი მოარიდა. კავკასიონისაკენ გაიხედა. შუადღე ახლოვდებოდა, ცა მოწმენდილი იყო. თოვლიან მწვერვალებს ნისლი არ ეხვიათ, უბიწო კამკამით გადმოჰყურებდნენ მზის სხივებში მოხასხასე ფერდობს.

— რა მიწაა, დალოცვილი, რა მიწაა! მარცვლებივით იფშენება! — მოესმა

ეთერს ბესოს ხმა. გამოერკვა. მუშაობას შეუდგა, გაოფლიანდა, გული ვაღარ
აყოლა.

არჩილი პირადმა ესვენა ბალახში. მძინარესავეთ მშვეილი სახე
წლის ჭაბუკი იყო, თბილისს უნივერსიტეტის სტუდენტი.

სამარე რომ ამოთხარეს, ბესომ მიცვალეულს გულის ჯიბიდან პატარა
რვეული ამოუღო, ეთერს გაუწოდა. რვეულის ერთი კუთხე სისხლით იყო
შეღებილი.

ეთერმა რვეული გადაფურცლა, მეტისმეტად წვრილი მსოებით დაწერილი
ლექსები მოჰხვდა თვალში. ახლა კითხვებს დრო არ იყო, მაგრამ ბოლო ფურ-
ცელზე დაუმთავრებელი ლექსის პირველმადე სტრიქონმა ისეთი გრძნობა
აღუძრა, თითქო არჩილი ვაცოცხლებულიყოს და ოდნავ გასაგონი ხმით მე-
ტყველებდეს ამ სიტყვებს:

„გამოგეთხოვე, ჩემო ძვირფასო,
გამომეცე შენი კეთილი სახე.
მზნედ ვარ, თუმცა კი ხანდაზან ვეფიქრობ —
უკანასკნელად ხომ არა ვნახე?
იქნება მოგვედღე... არაფერია,
ჩენი სამშობლო იყოს დღევრძელი,
ის შაპატებს, ის მიმიხედება,
რომ არ დაეშურე, რაც კი შეეძელი.
გამოვიხედავ შენსკენ, ძვირფასო,
მეტყვები თოვლიან მწვერვალის ცქერით.
ის შენ გლარაჯობს და მე მეძახის —
გასწი, ეკვეთე, შემუსრე მტერი!
აქ თუ დავეცე, ამას გაეალებ,
არ მოიწამლო სიცოცხლის დღენი.
მანდღან ხშირად გაჰხედე მყინვარს,
მესაიდუმლე ის იყოს ჩენი...“

ეთერმა რვეული დახურა, ჩანთაში ჩაიდო. მერე უნებლიედ გახედა მყინ-
ვარს. თვალები ცრემლით აევსო.

საოცარია, რაღაც სითბო იყო ამ ცრემლებში, რწმენისა და მხნეობის მომ-
ნიჭებელი სიტყბო. მის გვერდით ბრძოლაში განგმირული ჭაბუკი ესვენა,
სამარეც ამოთხრილი იყო, მაგრამ თითქო მისი უმთავრესი ნაწილი არ იმარ-
ხებოდა, ისევ ცოცხლობდა, ისევ მეტყველებდა. ეს იყო ის უჩინარი და მარა-
დი, რაც უკვდავია ადამიანში. აგერ აღმასივით ბრწყინავს ამაყად ცაღამარ-
თული მყინვარი. არავითარი ჭმუნვა, უსასო ჭმუნვა არ ემჩნევა მის სპეტაც
შუბლს. ის შორსმჭვრეტელია, ყველაფერს ხედავს, ხედავს გულბილწი მტრის
მიერ მოკლულ ჭაბუკს და იმ ძვირფას არსებასაც, რომელსაც ისეთი მღელ-
ვარე სიყვარულით ავალებს იგი, — არ მოიწამლო სიცოცხლის დღენი...
გაივლის დრო, დღედაღამაქის გულიდან, მთაწმინდის კალთებიდან გამოჰხე-
დავს მყინვარს ამ ჭაბუკის საყვარელი ადამიანი და გაიბმება მათ შორის
იდუმალად მეტყველო-სიმი. მყინვარი იქნება მათი გულის მესაიდუმლე.
უანგარო ურფობის ნადველში ხსოვნის ყვაილი გაიფურჩქნება და ვერ და-
აზრობს ამ ყვაილს დროთა მდინარების სუსხი. თაობები თაობებს შეესტე-
ლიან, ამ ჭაბუკის საყვარელი არსებაც მიწას მიეზარება, მაგრამ მუდამ შერ-
ჩებათ მშობლიური მთების მწვერვალებს ხსოვნის ყვაილთა ელფერი...

ამ წამიერი ფიქრიდან გამორკვეულ ეთერს მახლობლად ჩამოვუდარი ბესოს გამომეტყველება მეტისმეტად ეუცხოვა. ბესოს ჩანთიდან ხმელი პურის ნატეხები ამოეღო და ისე გამალეზით ილუქმებოდა, როგორც კარგად დასაფარად ადამიანს სწევდია.

ბესომ მყისვე დაიჭირა ეთერის მზერა. არ შემკრთალა, პურის ნატეხი გაუწოდა, მშვიდი ხმით უთხრა:

— ზოდი, ჩამოჯექი, ეთერ, დაიხმსე... ვიცი, ვიცი... ძნელია მიცვალებულის გვერდით პურის ჭამა, მაგრამ რას იზამ, ომია, კაცი ყველაფერს უნდა შეეჩვიოს. აჰა, გამომართვი.

— არა, ბესო, ახლა არ მინდა, გული არ მთხოვს.

ეთერი მიცვალებულთან მივიდა, დაიხარა. თვალი ოდნავ დია დარჩენოდა არჩილს. „მტერი არ ჩაუცვივდესო“, გაიფიქრა ეთერმა და ფრთხილად დაუხუჭა, გულმკერდზე ხელები გაუსწორა. მერე ბესო მიუშველა და სამარეში ჩაუშვეს. ეთერმა პირზე ხელმანდილი გადააფარა.

ძლივს მოსწყვიტა თვალი ეთერმა ყორღანის სამხრეთით, კავკასიონის გასწვრივ შეზვინულ მიწას. წასვლისას ერთხელ კიდევ იელვა თითქო იღუმლად მეტყველმა სიმმა და მყინვარს დილის მზის შუქივით შემოეხვია.

X

ბრძოლის შემდეგ

სოფელს მიუახლოვდნენ. უზომოდ დაღლილი იყვნენ. ეთერი მაინც წინ მიდიოდა, მიიჩქაროდა. ისე მოსწყურებოდა სამსონის ნახეა, რომ სხვა არაფერი აღარ ახსოვდა. ეგონა, თუ არ ვისწრაფე, ვერ დავეწვიო. ისეთი განცდა აეკვიატა, თითქო სამსონი საბედისწერო საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, ხოლო თუ მიუსწრებდა, ეს საფრთხე უმაღლესე გაქრებოდა.

ბესომ რამდენჯერმე მოინდომა, ეთქვა ეთერისათვის, მცირე ხნით შევისვენოთო, მაგრამ ვერ გაუბედა. უკან რომ ჩამორჩებოდა, ერთ წამს შესდგებოდა, ოფლს მოიწმენდდა, თოფსა და ჩანთას შეიმსუბუქებდა და სირბილით დაეწყო.

ბოლოს ბილიკის პირად, ყანაში, საზამთროს მოჭრა თვალი. ვეღარ მოითმინა, მუდარით მიმართა ეთერს:

— თუ და ხარ, რამდენიმე წუთი მაჩუქე. დაჯექი. მოისვენე.

გაიქცა, საზამთრო მოარბენინა.

— რა დალოცვილი ქვეყანაა! რა მოსაველი სცოდნია! — ჩაილაპარაკა და ჩაჯდა. ჯიბის დანით საზამთრო დასჭრა, საუკეთესო ნაჭერი დანაზე წამოაგო, ეთერს გაუწოდა, მეორე ხელით დიდი ნაჭერი პირთან მიიტანა და ხარბად უქბინა.

— იპ, რა არის, რა, ე დალოცვილი! თაფლია, თაფლი!

ეთერმა ფეხი მოირთხა. საზამთრომ პირი გაუსხნა, გული დაუამდა. ახლა იგრძნო, რომ მეტისმეტად მოწყურებული ყოფილა.

ამ დროს ციდან შორი ზუსტნი მოესმათ. ბესოს თავი არ აღწევია, ჭამით იყო გატაცებული, ეთერმა კი ძლივს მოჭრა თვალი მოთინათინე ცისიერში მზვინვარე თვითმფრინავს. მალე თანდათან მოახლოვდა იგი, გადიდდა, ევება ჩარჩოსავით გადმოადგათ თავზე.

— გერმანელების მზვერავია. — სთქვა ეთერმა.

ბესომ ნიკაპზე საზამთროს წვენი მოიხოცა, თვითმფრინავს ცალკეადა აბე-
და, პირდაპირ დამყურე ყუმბარაშენი რომ დაინახა, უნებლიედ დაიშინა და
გასწია.

— არაა ჰგავს ეს ვერანა! ჩვენი თვითმფრინავების ხმას რო გავიგონებ
ზოლმე, მუსიკა მგონია, ეგა კი ზარნაშოსავით ეღრიალებს. ეხ, სად არიან ეხ-
ლა ჩვენი შევარდნები ისე ჩაუნისყარტებენ, რო მაგის ბურღლაც არ დარ-
ჩება.

— ეგ, ბესო, შეგჯავშნულია, ანე ადვილი არაა მაგის ჩამოგდება.

— არაფერია, მოერევიან... უყურე, შეტრიალდა, რაღაცა ივარძნო, იქნება
მართლა მოჰქრიან ჩვენები!

— ნულარ ვაყოვნებთ, წავიდეთ. — აჩქარდა ეთერი, — შესაძლოა ამ მზვე-
რავს ბრძოლის განახლება მოჰყვეს და სოფელში ვეღარ შევალთ.

შუე ჩადიოდა. თემშარის პირას ჩამწკრივებული ერთსართულიანი სახლები
მღუმარედ გამოიყურებოდნენ, თითქო ჯერ ვერ გარკვეულანო სასტიკი ბრძო-
ლის ქამს გაოგნებულნი.

ეთერი და ბესო რიყის ქვით შემოზღუდულ ფართო ეზოში შევიდნენ.

ხეხილების ქვეშ მებრძოლებს ეძინათ.

პირსავსე, სახელაქაფა მზარეული ვაშლის ტოტზე ჩამოკიდებულ ცხვარს
ატყავებდა. იქვე ეყარა რამდენიმე ცხვრის თავი და ფეხები.

ფართო ფარდულში გაჩაღებულ ცეცხლზე ვეება ქვაბი იყო შემოდგმული.
მახლობლად შაქრო მისისაშვილი იჯდა და კარტოფილს ფცქვნიდა. ეტყობო-
და, ჩაფიქრებული იყო და ბესოს მისგლა ვერ გაიგო.

— შაქროს გაუმარჯოს! — შეეხმაურა ბესო.

შაქრომ ცალი თვალით აახედა, გაგიმარჯოსო, უბასუხა ცივად და კარტო-
ფილის ფცქენა განაგრძო.

— როგორა ხარ, შაქრო? ფეხის ტკივილი ხომ არ გაწუხებს?

— როგორ ვიქნები, ვარ რა...

— ერთი ჰკითხე, ბესო, აქ დაქრილები თუ არიან საღმე.—გასძახა ეთერმა.

შაქრომ თავი ასწია, ეთერს გაჰხედა, შავი უღვაშებით დაბურულ ტუჩებ-
ში ღიმილმა გაუელვა. ადგა, შუბლი შეიკმუნხა, მტკივან ფეხზე ხელი დაისვა,
კოჭლობით გაემართა ეთერისაკენ.

— თქვენ როგორა მოაღწიეთ აქ, ექიმო? (შაქრომ იცოდა, რომ ეთერი
ქეიმი არ იყო, მაგრამ მაინც ექიმს უწოდებდა ზოლმე, ეგება რაიმე დახმარე-
ბა აღმოშიინოსო). — რო იცოდეთ, რა ცეცხლში გამოვიარეთ!

— თქვენ ერთ ცეცხლში იყავით, ჩვენ კი ორ ცეცხლში მოვხვდით. —
ჩაურთო სიტყვა ბესომ.

შაქრომ ბესოს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, ეთერს ხელი გაუწოდა,
მასპინძელივით მიიბატიყა:

— მობრძანდით, დაისვენეთ.

— არ იცი, დაქრილები სად არიან მოთაქსებული?—კვლავ იკითხა ეთერმა.

— ჰო, დაქრილები... თითქმის არაინაა, სამი კაცია მსუბუქად დაქრილი,
ჭრილობა შეხვეული აქვთ, სძინავთ.

— სამსონი სად არის?

— ამ საათში აქ იყო, მაიორს გაჰყვა ისა და შალვა ყიფშიძე. მალე მოვლენ.
ვახშამს ვამზადებთ. აგე, იმ სახლში აქვთ ბინა.

ეთერმა შევებით ამოისუნთქა, სახე გაუნათლდა. ღვიძლ დასავით დააჩრდო მხარზე ხელი გაჭირვებაში დამშობილებულ ბესოს.

— აბა, ახლა კი შეგვიძლია, ბესო, მოვისვენოთ.

მერე შაქროს ჰკითხა:

— აქ სადმე დიასახლისი არაყინაა?

— როგორ არა, წამობრძანდით.

მალალი, ქერა ქალი გამოეგება ეთერს, სუფთად მილაგებულ ოთახში შეუძღვა, საკმელი გამოუტანა, დედასავით დაუყვავა.

ახლა იგრძნო ეთერმა დაღლილობა, მოეშვა, ჩექმები ძლივს გაიხადა, თავი ბალიშზე მისდო და წამსვე ღრმად ჩაეძინა.



გამსჭვირვალე ბინდ-ბუნდივით ჩამოეფინა ომგადახდილ სოფელს მშვიდი, შამებელი დამე. მხოლოდ ხანგამოშვებით იელეებდნენ ზოლმე შორს, ჩრდილოეთით ფრონტის ხაზის აღმნიშვნელი მაშხალები.

შაქრომ ეზოში შემოსულ მეთაურებს თვალი შეასწრო, სწრაფად წამოადგა, კოჭლობით მიეახლა მათ; წელში გასწორდა და სალაში მისცა.

სამსონი წინ მოდიოდა, შაქროს თვალეში ჩაჰხედა; მიხედა, რომ მას რაღაც სათქმელი ჰქონდა.

— რა ამბავია, შაქრო, ახალი ხომ არაფერია?

— არაფერი, — დინჯად უბასუხა შაქრომ, მერე თავი მისწია და შესაიდუმლესავით დასძინა: — ეთერი მოვიდა.

— რას ამბობ! სადაა მერე?

— აგერ, იქაა, დიასახლისთან.

სამსონს მოუღრდნელი სიხარული ჯერ რაღაც მძიმედ შემოაწვა გულზე, მერე მთელს სხეულში დაუარა. ამხანაგებისათვის არ მიუხედავს, ისე გასწია დიასახლისის ბინისაკენ. კარებთან შესდგა, სული მოითქვა, თან თითქო რაღაცა უნდა გაეაზრებინა, მაგრამ მთელი მისი არსება ეთერის სიახლოვით იყო აღსავსე და ის მოლანდებული ფიქრი უმაღლეს გაუქარწყლდა.

დიასახლისს შეკითხვა არ დასჭირებია, თვალეში შეატყო სახეწამონ-თებულ ჰბაბუს, თუ ვის დაეძებდა ის.

— მობრძანდით... თქვენ, ალბათ, მედიცინის დის ნახვა გასურთ. აქ გახლავით. სძინავს. მეტიმეტად დაღლილი იყო. საცოდავი. როგორც კი დანაყრდა, იმ წამსვე ჩაეძინა.

სამსონმა ფრთხილად შედგა ფეხი მკრთალად განათებულ ოთახში. უნდოდა მიახლოებოდა მძინარე ეთერს, მაგრამ შეეშინდა, ძილი არ დაეფრთხოვო. შორიდან დააცქერდა.

მარჯვენა ხელი დაწვს ქვეშ ამოედო ეთერს, ტუჩები ოდნავ გახსნილა ჰქონდა. ერთი ხუმუჭა კულელი შუბლზე ჩამოშლოდა. ისე მშვიდად ეძინა, თითქო არ სუნთქავსო.

სამსონს ეგონა: რაღაც ბონდი ჰპურავსო ეთერს, ისეთი ბინდი, რომელიც ალიონის შუქივით მოუძღვის წინ სასიყვარულოდ თვალგახელილ ქვეყნიერებას.

თავს ძალა დაატანა, გამობრუნდა, ჩუმი ხმით უთხრა დიასახლისს:

— ნუ გააღვიძებთ. მე თვითონ მოვაკითხავ.

ვარეთ რომ გამოვიდა, აქ მოსვლისას გულში აღძრული ფიქრი განუახლოდა. ამხანაგებთან მისვლა ემძიმა. ხის ჩრდილს ქვეშ განმარტოვდა, უკნესად კი მოუვდა.

რატომ მოჰყვა ასე უცებ მოზღვაებულ სიხარულს. ეს უცნაური წუხილი და შეშფოთება? მტერთან ბრძოლაში გაიმარჯვა, თვითონ მშვიდობით გადაარჩა, თუმცა რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. ახლა კიდევ საყვარელი ადამიანი ნახა. აქვეა, მის გვერდით... ჰო, სწორედ ეგ არის, რომ აქვეა! — გაეხმაურა სამსონი თავის ფიქრს, — იმასაც, ყოველ წამს საფრთხე მოელის... ეს, ომი დიდხანს გაგრძელდება, მრავალ მსხვერპლს შეიწირავს. შენ რაც მოგივა, მოგივიდეს. მებრძოლი ხარ, რაზმის მეთაური, მაგრამ ეთერი... რა ბედნიერი არიან ამხანაგები, რომელთაც შორს, მთებს გადაღმა, სამშვიდობოში ჰყავთ თავიანთი საყვარელი ადამიანები! სამსონმა როგორ გაუძლოს ორმაგ სიმძიმეს? მტერს პირისპირ ედგეს, იერიში იერიშზე მიჰქონდეს და ამავე დროს იმაზედაც იფიქროს, რომ ეთერს არაფერი მოუვიდესო. სადა აქვს ამისი დრო? ან რათ ვარგა გაორებული მებრძოლი... ისედაც არაა კმაყოფილი თავისი თავით. საგრძნობი დანაკლისი აქვს პირველსავე ბრძოლაში. იქნება უფრო მეტი უნარი და მოხერხება რომ გამოეჩინა, ამდენი მებრძოლი არ დაიჭრებოდა. მეტი გამჭირაობაა საჭირო. ცბიერ მტერთან გვაქვს საქმე... ახ, ნეტავი არავინ... არა, არავინ კი არა, ნეტავი ეთერი არა ჰყავდეს სამსონს სადარდებელი, ისიც შინ იყოს დედასთან, დებთან! მაშინ...

ფეხის ხმა მოესმა, თავი ასწია. შალვა ყიფშიძე მოდიოდა. ადგა, მიეგება.

— სადა ხარ, ამობილო? ასე უნდა მასპინძელი? ბიჭები გამგებლებული არიან, ვახშამს მოელიან. — უსაყვედურა შალვამ.

— ახლავე, ახლავე. ყველაფერი იქნება. — მკვირცხლად უპასუხა სამსონმა და მეგობარს საღ მკლავში ზელი გამოსდო. — წავიდეთ. ყველაფერს გავაჩენ.

— ეთერი სად არის?

ეს შეკითხვა სამსონისათვის მოულოდნელი იყო, რადგან ეგონა, რომ მხოლოდ მან და შაქრომ იცოდა ეთერის აქ ყოფნა.

— ეთერი... დიასახლისთანაა, სძინავს.

— ჰო... ვახშამზე აუცილებლად მივიწვიოთ.

— კარგი. მე აგერ ბიჭებს ჩამოვუფლო, განკარგულებას მივცემ, ამ წუთას მოვალ.

სამსონმა იცოდა, რომ მაიორ მიხეილ ოდიშელისა და ალექსი კლდეკარელისათვის ვახშამს არავითარი ფასი არ ექნებოდა, თუ სადმე ლეინოს არ იშოვიდა. ერთად-ერთი კაცი, რომელსაც ამ საქმის მოგვარება შეეძლო, კოლია ბარბაქაძე იყო. ამიტომ სწორედ იმის მოსაყვანად გაგზავნა შაქრო.

მეთაურებს ავტომატები ტახტზე დაიწყეთ, მაგიდას შემოსხდომოდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ. დალილობა არც ერთს არ ემჩნეოდა. კავკასიონია მისადგომებთან მოძალბებულ მტერზე გამარჯვება აგზნებდათ. მოცილილებივით ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ.

შალვამ ჩვარი იშოვნა, კუთხეში მივიდა და ჩექმების წმენდას შეუდგა.

— აბა, უყურეთ ახლა მაგას! — წამოიძახა მაიორმა ალექსი კლდეკარელმა. ამხანაგებს თვალით შალვა ანიშნა. — აქაც კონტაობს!.. მოდი აქ, კაცო, დაჯექი, შეისვენე. ხელის ტკივილი მაინც არ ვაწყუბებს?

შალვამ ალექსის ცალყბად გამოჰხედა, გაუღიმა.

— ვიცი, ვიცი! დაიწყებს ახლა თავისებურს. — განაგრძო ალექსიმ, — მე-

თათრი მუდამ გაკრიალებული უნდა იყოსო, მებრძოლს მაგალითს უნდა მი-
 ლევდესო. ეგ ხომ აგრეა, მაგრამ თქვენ გგონიათ, მარტო ამიტომაც უნდა
 ყოლილი სისუფთავეს? თქვენც არ მომიკედეთ... ვაიხედე, კაცო, ვინაა
 წინათ სოფელში შემოვდივით. გზაზე წვიმა დაგვესწრო. ტალახში ვართ ამო-
 თითხნილი. ერთი სახლიდან ოსის ქალი გამოვიდა. მართლა არაჩვეულებრივად
 ლამაზი იყო ის დალოცვილი. მაღალი, ტანადი, გვეგონებოდათ, თვლივით
 თეთრ ღრუბელში სავსე მთვარე გამოსცურდაო. მოკრა შალვამ თვალი და
 გაშეშდა. მე გგონია, ტარიელმა რომ პირველად ნესტანი ნახა, იმას არ დად-
 ვომა ისეთი გაჭირვება, რაც მაგას დაემართა. მერე უცებ ტალახით გასერილ
 შარვალზე და ჩექმაზე დაიხედა, უნდა გენახათ, როგორ დაეღრიჯა სახე,
 როგორ თავმოძულებულად გამართა ნაბიჯი.

ეს რომ სთქვა, ალექსი წამოდგა. შუბლი შეიკრა, ერთობ ნაღვლიანი გამო-
 ბეტყველება მიიღო და ნაბიჯი გადადგა.

ყველას გულიანად გაეცინა.

კარი გაიღო, სამსონი შემოვიდა.

— სადაა, კაცო, შენი ვახშამი? — ბოხი ხმით შეეკითხა მაიორი მიხეილ
 ოდიშელი.

— ახლავე, მიხეილ, ახლავე!

მიხეილმა სამსონის უკან, ზღურბლთან გაჩერებულ კოლია ბარბაქაძეს
 მოკრა თვალი.

— აა, ეს ჩვენი ბარბაქაძეა? მოიწი, კაცო, აქით, როგორაა საქმე? იქნება
 რამე თუ იცი?

კოლიას ხელში თუნგი ეჭირა. ძირს დადგა. წინ წამოიწია, მხედრულად
 გასწორდა.

— არის, ბატონო. ისეთი არაა, თქვენ რომ გეკადრებათ, მარა...

— რა არის, ბიჭო?

— რაი და, ღვინო, ბატონო.

— რამდენია?

— იქნება ასე ათ ჩაფამდე.

— რას ამბობ? შენს მამულში ხომ არ გგონივართ.

— ვაი, ნეტავი ღმერთი თქვენს თავს ჩემს ოჯახში მომასწრებდეს და მე-
 რე მომკლა, არ ვჩივი.

მიხეილი წამოდგა, ქერამდის აწვდა ახოვანი, მხრებგაშლილი, გრძელი
 მკლავი კოლიას მხარზე დაადო, ალერსით უთხრა:

— მარჯვე ყაზახი ხარ, კოლია, მარჯვე.

მერე ამხანაგებს მიუბრუნდა.

— საოცარია, სადაც არ უნდა მივიდეს, სუნით გაიგებს, თუ სადმე ღვინო
 ან არაყი იშოვება.

— თქვენი თავი მყავდეს კარგად და... — ჩაილაპარაკა კოლიამ. მერე სამ-
 სონს მიმართა: — ნება შიბოძეთ წავიდე. მიჭები მელოდებიან.

— წადი, მხოლოდ ზედმეტი არ მოგივიდეთ. ხომ ვესმის?

— შესმის, ბატონო!

მიხეილმა ჩაის ჭიქა ღვინით გაავსო, ერთი მოთქმით დალია, გემო გაუცნო.

— არა უშავს, გვარია. — სთქვა დარბილებული ხმით და კვლავ დაიხსა.
 პეტისმეტად უყვარდა ღვინო მიხეილს. ბევრსაც სეამდა, მთვრალს კი ვერა-
 სოდეს ვერ ნახავდით. არც ლაპარაკს მოუშატებდა, დინჯად საუბრობდა.

მხოლოდ საზე გაუნათლებოდა; დიდი, არწივისებური ცხვირი და სქელი ტუჩები სანდომიან ელფერს იღებდნენ. ძველ, თამარის დროინდელ მკურნალს მგავდა. მხარგრძელის ლაშქარში უთუოდ იქნებოდნენ მიხეილის მსგავსი ვაჟკაცები, ომანიანი, შეუღრეკლნი.

„არა, ძმაო, არ დაუჯეროთ, ვინც ამბობს, შიში არ ვიციო. — იტყოდა ხოლმე მიხეილი. — სიკვდილის მხოლოდ სულელს არ ეშინიან. საქმე ისაა, ვინება არ უნდა დაქარვო, შიში არ უნდა მოგერიოს. თუ კაცი ვარგა, გამოსაველს ყველგან იბოვის. ისე კი, თუ საქმემ მოითხოვა, თავი არ უნდა დაგინანოს“.

და მართლაც, ხშირად ისე შედიოდა გრიგალისებურ ცეცხლში ეს ახოვანი კაცი, თითქო მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ელისო.

შაქრომ ვახშაში შემოიტანა. დიასახლისიც შემოაყვია. სუფრა გააწყო. მაგიდას რომ შემოუხსდნენ, შალვამ სამსონს ეთერი შოაგონა.

— ესთხოვოთ დიასახლისს, გააღვიძოს ეთერი.

— მე წავალ, ახლად მოვიყვან. — უბასუბა სამსონმა და სწრაფად გავიდა. ეთერს თითქო წყვილიადმი ეძინა; ახლა უცებ მხურვალე ნათელი დაეფინა სახეზე. ოდნავ შეიმშლუნა. თვალის გახელა მაინც დაეზარა, რადგან მეტისმეტად ტკბილი იყო ეს ნათელი.

— ეთერ!

— აჰ, შენა ხარ, სამსონი — წყნარად სთქვა ეთერმა და ოდნავ წამოიწია. უმაღლე მოეშვა, თავი ისეე ბალიშზე დასდო. იმდენად გამსჭვალული იყო მთელი მისი არსება მოლოდინით, რომ სამსონის მისვლა სრულიად არ გააკვირებია. მხოლოდ რაღაც განცხრომისებური გულსავესობა იგრძნო, თავისი სიცოცხლის ისეთი წამი დაიჭირა, რომელიც დაუსრულებლად რომ გაგრძელებულიყო, მაინც სანატრელი იქნებოდა.

— მოდი, ჩამოგეჭი აგერ.

სამსონი უხერხულად ჩამოგდა ტახტზე. პირველად ხედავდა ასე მინახებულ ეთერს, მარტოოდენ ქალური მიმზიდველობით სავსეს.

ეთერმა სამსონის ხელი აიღო, ყელთან მიიტანა, მიიხტა. შიშგამოვლილ ბავშვივით მოუნდა ეამბნა სამსონისათვის, რაც გაკვირება გამოიარა.

— იცი, სამსონ, რა ცეცხლში მოვხვდით, პირდაპირ სასწაულია, როგორ გამოვალწით! არა, ბესოს რომ არ ემარჯვნა, ჩვენი საქმე წასული იყო. არ ვიცი, შენ დავკვირებებიხარ თუ არა ბესო გოგოლაძეს, ერთი ჩია კაცია, მუდამ თავისი წვრილი ცოლ-შვილი აკერია პირზე. გუშინდამით, აქით რომ წამოგედით, მასზე გულიც კი მომივიდა. მაგრამ შემდეგ, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამოიცვალა ჩემს თვალში. დილას ხეზე გასულმა გერმანელმა ავტომატიდან ტყვიები დაგვაყარა. სულ ახლოს იყო. მაშინ გამოიღვა თავში, ვეღარ მოვესწრები ჩემს სამსონის ნახვას-მეთქი. მართლაც შეუძლებელი იყო გამოსვლა. ბესოს სიმამაცემ გადაგვარჩინა, გერმანელი ზიდან ჩამოაგდო, მერე, სამსონ... ეჰ, რა არის აღამიანი, რამდენ გაკვირებვას იტანს! ორცეცხლში ამოგყავით თავი. ახლაც ყურში მიწივის ნაღმების საზარელი შხუილი...

გამბულად უყვებოდა ეთერი, ტკბებოდა, გამოყოლილი შიშისაგან რომ თავისუფლებოდა. თან სამსონის ხელს ესიყვარულებოდა, ვაჟკაცის არსებიდან გაღმოსული ძლიერებით იმსკვალეზოდა.

ხოლო სამსონის გულს ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე გრძნობა ადევნებდა. უდიდეს ნეტარებას გრძნობდა, ეთერი რომ მის ხელს უაღერსებდა,

მასთან რომ ასე ახლოს იმყოფებოდა, მაგრამ ამავე დროს უღმობლად ჰქონებოდა შემადარწუნებელი სურათი: აგერ მოპქრის ნაღმი, სწორედ იქ დადგენილია, სადაც ეთერი წევს...

— აჰ, არა! ეს საშინელება!

ეთერმა თბრობა შესწყვიტა, თვითონაც შეშფოთდა.

— რა მოგივიდა, გენაცვალე, სამსონ? ნუ გეშინია, მე აქა ვარ, შენთან, მუდამ, სიკვდილამდის.

სამსონი აენტო. უსაზომო სიყვარულით დააცქერდა ეთერს სახეზე.

— რა შეშველება, შენ რომ რაიმე მოგივიდეს! — ცრემლნარევი ხმით ჩაილაპარაკა. თავი გაიქნია. ყელთან მოწოლილი მღუღარება უკუაგდო. მკაცრად უთხრა ეთერს:

— რატომ წამოხვედი? დარჩენილიყავი იქ. დაპრილებისტვის მოგველო!

— რას ამბობ? მერე შენ?

— ჩემი საქმე სხვაა... ამიერიდან არ გაიმეორო ეს ხომ გესმის?

— მესმის, ამხანაგო ლეიტენანტო! — სიცილით უბასუხა ეთერმა. მერე ნატყრით დასძინა: — ნეტავი მხოლოდ ჩემი მზრძანებელი იქნებოდე!.. რა ბედნიერი ვიქნებოთ, ეს საზარელი ომი რომ აღარ იქნება!

ოთახში დიასახლისმა შეიხედა. სამსონს ახლა მოაგონდა:

— შერთლა, ეთერი ამხანაგები ვახშამზე გველოდებიან.

— წადი შენ, მე ახლავე მოვალ.

ეთერმა ზეღბირი დაიხანა. ტანისამოსი გაიწმინდა. მერე მოზრდილი სარკე სანათთან დასდგა, თმა დაივარცხნა, კულულები ზელის გულით დაიხუჭუჭა. თავის სახეს აკვირდებოდა, სიყვარულის ეშხით გაბრწყინებულს. კოხტაობდა, გუნებაში სამსონს უღიმოდა. სულ არ ახსოვდა გამოვლილი განააცდელი. თითქო სადღაც შორს გადაეშვა ომის მრისხანე გრიგალი, საამო მყუდროებამ დაჟფარა დაპრილთა მწუხარე სახეები და მოკლულთა საფლავები.

— აა, ეთერი მოვიდა, ჩვენი ეთერი! — აღფრთოვანებით წამოიძახა ალექსიმ. ყველანი წამოდგნენ, ეთერს მიეგებნენ.

შალვა ყიფშიძემ რომ ზელი გაუწოდა, ეთერმა დაკიდებულ მკლავზე დახედა.

— ამ დილით გავიგე თქვენი დაჭრა, აბა ენაქოთ, თითები როგორ მოძრაობს, სისხლის მიმოქცევა თუ ნორმალურია.

— ეგ არაფერია, ძვირფასო ეთერ. გააქწურულია მხოლოდ. რამდენიმე დღეში მომირჩება.

— მაინც სიტრთხილეა საქირო, არ გაგიმიზეზდეთ.

მეტად ტკბილი სიახე მოჰგვარა შალვას ეთერის ხმაში გამომკრთალმა მზრუნველობამ. ალერსით გამოსდო მკლავში ზელი, სჯამთ თავის გვერდით დაუდგა.

— აბა, ძმაო, თუ ხარ თამადა, დაგვალევიენ თითო კიჭა. — მიმართა ზიხელიმა ალექსის, თან კიჭები ლერით აავსო.

ალექსიმ სასპისი აიღო, შეეგვრემანი სახე წამოეგზნო, მკვირცხლი თვალები მეტის ბრწყინვალეობით დაღმშვენდა. ერთბაშე მიმზიდველი შინაგანი ძალა გამოსჭვივოდა მის გამომეტყველებაში, დილის შექვიეთ ანკარა ძალა. მის ვაჟკაცურ ხმაშიაც გრძობათა სიწრფელე ეღერდა.

ჭართველი ქალის ყველა სამკაული ჩააქსოვა ალექსიმ ეთერის სადღეგრძელოში, მოიგონა ნესტანი, თინათინი. მაგრამ ახალი საქართველოს ახალი ქა-

ლი კიდევ უფრო მაღლა უნდა იდგესო, — ამბობდა ალექსი. — ჩვენ წინ მივდივართ, უფრო მაღალი მწვერვალისაკენ მივიწიეთ. ჩვენი ძველი-ძველი შვილი, ჩვენი სტალინი მთელ მსოფლიოს მზესავით დაგვიწყობს. ჩვენნი ქალი მთელი თავისი სიტურფით უნდა ელვარებდეს ამ მზეში. ასეთი ქალების წარმომადგენელია ეთერი. ის აქ არის, ჩვენს გვერდით, უსასტიკესი ბრძოლის ფელზე...

მაღე ყველანი შეზარხოშდნენ. ისედაც აწიულ გუნებაზე იყვნენ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატების შემდეგ და ახლა კიდევ უფრო გამახიარულდნენ, ურთიერთს გული გადაუშალეს.

მიხეილმა უბის ჯიბიდან თავისი ცოლ-შვილის ფოტოგრაფიული სურათი ამოაღო, ამხანაგებს გაუწოდა. ამით თითქო ყოველი მათგანი თავის ოჯახში მიიწვია, თითქო წინასწარ ჰქონდა თვალი მომავალ მშვიდობიან ცხოვრებას, როდესაც შინ მოიყრიან თავს ომგადახდილი მეგობრები.

მხოლოდ სამსონმა ვერ გაინთავისუფლა თავი ამ საღამოს განსაკუთრებული სიმძაფრით აკვიატებული ნაღვლიანა ფიქრისაგან. სახე უნებლიედ ეღრუბლებოდა, სხივისან თვალებში სევდის ნაპერწკალი უკრთოდა. არ უნდოდა გაემხილა თავის თავისათვის, ეთერის იქ ყოფნა რომ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ რამდენადაც ებრძოდა ამ გრძნობას, მით უფრო მწვევადებოდა იგი, მეტი ძალით ეუფლებოდა.

„ამ უღობველ ომში, — ეუბნებოდა სამსონს შინაგანი ხმა, — მებრძოლს არაფერი არ უნდა ჰპოვებდეს, ყოველ წამს, განუწყვეტლად, დღისით და ღამით მტრის განადგურებაზე უნდა ფიქრობდეს, შენ კი განსაცდელში მყოფი ეთერი გიდგას თვალწინ“...

— რა მოგივიდა, სამსონ? რაღაც მოწყენილი მეჩვენები. — გადაულაპარაკა ალექსიმ და თვალებში ჩაჰხედა, ხელი მხარზე მოჰხვია. — არა, ძალიან იმარჯვე გუშინ, შენ რომ ფლანგიდან არ დაგერტყა, ცუდად იყო საქმე, შალვა თავისი ბიჭებათ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

ეთერმა რამდენჯერმე შეასწრო თვალი სამსონის კეფსიან გამოშტყველებას. ახლაც, როცა იგი ალექსის გაესაუბრა, ეთერს ეუცხოვა მისი ნაძალადევი ღიმილი.

„რა აწუხებს?“ გაიფიქრა ეთერმა და... ეწყინა. სულ სხვა რაიმეს მიაწერა სამსონის უგუნებობა.

ეთერის გვერდით შალვა იჯდა, ჩვეულებრივზე გამამეტებული გრძნობიერებით ეხმატებოდა.

„პო, ამის გამოა... ეჭვიანობს... სულელი?“ — დაასკვნა ეთერმა და შუბლი შეიკრა. სამსონს თვალი მოსწყვიტა, შალვას მიჰხედა, გაუღიმა.

შალვას გული გაუნათდა, არ შეუშინევია, რომ ეთერის ღიმილი მას არ ეკუთვნოდა, რომ იგი სხვა წყაროდან მომდინარეობდა.

— როგორ ვიხსენებთ, ეთერ, ღიმილი! ასე მგონია, ჩვენი სოფლის გორაკზე ვდგევარ და მზის ამოსვლას შევეყურებ. — ჩუმი, მღელვარე ხმით უთხრა შალვამ. თავისი სიყრმე მოაგონდა ალტაცებულს.

ხუთმეტი წლისა იყო მაშინ შალვა და სწორედ ასეთი გრძნობით იყო შეპყრობილი. ერთი ცქრაალა ქალიშვილი უყვარდა. შორიდან ეტრფოდა, მიახლოვება ეკრძალებოდა. მაშინ დაიწყო ლექსების წერა. არავის არ უმხელდა, საიდუმლოდ ინახავდა, ისე როგორც თავის უბიწო სიყვარულს. შორი-ახლო გაჰყვებოდა ხოლმე ვოგონას, ასე ეგონა, მისგან რაღაც შექი მონარნარობ-

და და შორეული მხარისაკენ იწვევდა რაინდად ქვეულ ყმაწვილს. სწორედ საფრთხეს წარმოიდგენდა. არავის არ შეეძლო ეხსნა განსაკუთრებულ ჩვენარდნოვანი ქალიშვილი. არგვლივ შემამარწყმებელი შიში დროს გამოჩნდებოდა შალვა. შეუბოვრად გადაეშვებოდა უფსკრულში. სტრფოს სამშენებლობაზე ამოიყვანდა.

— თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ. რითი უნდა გადავიხადოთ სამაგიერო? — ეტყოდა ქალიშვილი.

— როგორ გეკადრებათ, თქვენ იყავით ბედნიერი, ჩემთვის მეტი არაფერი არაა საჭირო. — უპასუხებდა შალვა და თავაზიანად გამოეთხოვებოდა.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ის ქალიშვილი მხოლოდ მოგონებაშია დარჩა, როგორც სიყრმის ოცნებათა ანარეკლი. აღრინდელი კლემამოსილებაც შემოეცალა ქალთა საზოგადოების მოყვარულ ქაბუჯს. მხედრის დაუდევარმა ცხოვრებამ არა ერთ ქალთან გააბმევინა კავშირი. ყველას თავისი განსაკუთრებული იერი და მიმზიდველობა ჰქონდა, ყველა თავისებურად უყვარდა. მაგრამ ახლა, ეთერს რომ შეჰყურებს, ასე ჰგონია, თავიდან იწყებსო ცხოვრებას, განაზღვრული სიყრმის უმანკო გრძნობებით ეტრფის ეპთა მდინარეებიდან ანახლად ამომხევებულ სახეს. ამ წამს შალვა თითქო სინამდვილის მიღმა იხედება, ისეთი მშვენიერებით სტკბება, რომელიც არასოდეს არ დასტკნება. ჰო, სწორედ ასეთი იყო ის, ამას უმღეროდა მთრთოლვარე გულით დაწერილ ლექსებში. მართალია, იმ ლექსებიდან შალვას არცერთი სტრიქონი არ ახსოვს, ნაადრევად მოწყვეტილი ვარდის ფოთლებივით გაზუნდნენ ისინი მივიწყებულ რვეულში, მაგრამ ახლა ისევ იელვა სიყრმის ცხოველმა გრძნობამ, იელვა და კვლავ იწვევს წინ, დაუშრეტელ ნეტარებას პპირდება. ეს ღიმილი, ეს ნანატრი თვალები, ეს ფრთაშებრილი წამწამები, ეს ბადრი სახე, რომელშიაც უთქმელი სევდაც გამოსტვევის, — ეს არის ის, ვისთვისაც შალვა ბობოქარ ზღვაში გადაეშვება, ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს, ვინაიდან სწამს, რომ უთუოდ გავა ნაპირზე, უთუოდ იხილავს იმ ნათელს, რომლისაკენაც სიყრმიდანვე ისწრაფვის. ამ ნათელის შორი ციმციმივით ამოდის ახლა ეთერი მისი სულიდან. ამიტომ არის ასე უზომოდ აღფრთოვანებული. მხოლოდ ხანდახან, გონების რომელიღაც კუნჭულში მწვავე ნაბერწკალივით გაქრავს შეგნება იმისა, რომ ეთერი საწონის დანიშნულია, ხოლო სამსონი მისი გულითადი მეგობარია. მაგრამ ამ გრძნობას შალვა უმაღლეს დაამშვიდებს, ეტყვის: „მერე რა? მე ხომ არ ვეცილები? განა ოდესმე ვიკადრებ, რომ ბრძოლაში დამობილებულს სიცოცხლე მოუწალო?! არა... ეს ისეა, სინათლეს მოწყურებულმა რომ მზის ამოსვლას შეესწროს. მზე ხომ ქრთისათვის არ ამოდის“...

მიხეილმა ჰიქა დასცალა, ეთერთან საუბარში გართულ შალვას მიხედა, დინჯად უთხრა:

— შენ, ძმაო, ძალიან გაგიტაცა ქუჭუნმა. დალიე!

ამ დროს ეთერმა სამსონის უცნაურად კუჭტი მზერა დაიჭირა. ისე შეკრთა, თითქოს მძიმე დანაშაული ჩაედინოს. მერე უცებ უზომოდ მოესურვა ამდგარიყო, სამსონთან მისულიყო, მიფერებოდა. მაგრამ რა-კი ეს შეუძლებელი იყო, გუნებაში თავისებურად დაუყვავა: „სულელი... დამაცა, კიდევ უფრო გაგაჯავრებ“... ეთერმა რომ ეს გაიფიქრა, ოთახში შტაბის უფროსი შემოვიდა, ალექსის მოახსენა:

— გერმანელები კონტრიერიშისათვის ემზადებიან. ფრონტის მარჯვენა

მხარეს ამოძრავდნენ. მაგრამ ეს უთუოდ მანევრია. შემოტევა სხვა მხრიდანაა მოსალოდნელი.

ალექსიმ მეგობრებს თვალი მოაელო, შემდეგ მცირე ხნით ჩაატრიალებს და ღმრთობის წამოგზნებულ შეგვრემან სახეზე სიმშვიდის ელფერი გადაეფინა. რაღაც გაიანგარიშა. თავი ასწია.

— კარგი... ძალიან კარგი. — ჩაილაპარაკა თავისთვის და დასძინა: — მზე-რავები უნდა გაიგზავნოს.

სამსონი წამოდგა.

— ნება მიბოძეთ, მე გავუძღვები.

შალვამ მყისვე შეამჩნია, თუ როგორ შეკრთა ეთერი, როგორ გაუშტვრდა სამსონისადმი ზიზყრობილი თვალები. უმაღლესი წამოიმაართა.

— არა, სამსონ, თუ ძმა ხარ, შენ აქ დარჩი. შავ საქმეს მე მოვაგვარებ.

— რას ამბობ, კაცო? მკლავზე დაიხედე! — მოკლედ მოსჭრა სამსონმა და კარისაკენ გაემართა.

„ერთხელაც არ მომიხედა. გაჯავრებულია“, გაიფიქრა გულდათუთქულმა ეთერმა. საშინელმა ზმანებამ შეიპყრო: უფსკრულის პირად ფეხი დაუცდა, სამსონს შეეძლო გადაერჩინა, მან კი ხელი ჰკრა. შემადრწუნებლად ჩასწივის ყურში პირდაღებული ჯურღმული: „დიდი ხნით გშორდება, დიდი ხნით... შესაძლებელია, ვერასოდეს შეღარ იხილო“...

(გაგრძელება იქნება)

ალექს. ზენგელია

ორდენოსან მუკინავს ნ. ზენგელიას

არა, არ მინდა დარჩეს უთქმელი,
იმ სანეტარო დღეებს ვიგონებ,
როს გაზაფხული ნაჩუქროთმევი
ფერად-ფერადებს სწერდა სტრიქონებს.

როს აღტაცება გვექონდა სახელად,
გვიფრთხილებდა გული შერცხალი,
ექმნიდით, ვიღწვოდით ვაშას ძახილათ,
ხალხი ნაწრთობი და ნაცეცხლარი.

პეფიცავდით, გმირთა წმინდა საფლავთან,
კალმით და ზიშტათ გვებრძოლნა მარად,
ჩვენთა სიტყვათა დაუსტამბავთა
ჩვენი რიონი დუღუნებს კვალად.

იმ სანეტარო დღეებს დიდება!
რა ყოფა იყო, რა სიხალისე!
ქვეყნად მისი კვლავ გაბრწყინდება,
ჩვენი ნათელი, დიდი მისი.

ქართველო ბიჭო! თან გაგყოლია,
ამხედრებული ჩვენი გულისხმა,
მტრისადმი ზიზღი თანატოლთა
სამშობლოსადმი სიყვარულისა.

ჩვენი სურვალი, ჩვენი მიზანი
არ დამცხრალა და არ გაყოფილა,
ჩვენ სიყვარულის შუქით ვიზარდეთ,
მტრის სიძულვილშიც ძმები ვყოფილვართ.

დასცხე! დიდება ვაჟკაცურ სახელს,
გასწი, გაფრინდი, მისწვდი, გათელე!
მე წურწუმის საფლავი ვნახე,
მას ღიმილივით ადგა ნათელი.



მან გამოგაწრთო კაბუკი გმირად,
 მალლა-მალლა რომ შეინაეარდე,
 განთიადისას მე ვკოცნი ფრთხილად
 მის ლამაზ მკერდზე ამოსულ ვარდებს.

როს გამარჯვების დაპყრავს ღიღება,
 როს აენტება შუქი ზეალისა,
 ქვეყნად მაისი კვლავ გაბრწყინდება,
 ჩვენი ნათელი, ღიღი მაისი, —

კვლავად შევხვდებით შეფიცულება,
 რომ ისევ ძმურად ჩავკიდოთ ხელი,
 კვლავ იმღერებენ ჩვენი გულები,
 რაც სიყვარულში დაგვრჩა უთქმელი.

ზორის ჩხიძე

ღიახვის პიკას¹

თავი III

ორშაბათ დილით ევასიმ სახლი მიილაგა, ქათმები დააპურა, შემოურბინა ეზოს, ბაღს, ბაღჩას, გამოაღვიძა ლოგინში ნებიერად შერჩენილი დანიშნული ქალიშვილი ბაბუცა, ჩაიცვა საუკეთესო ტანთსაცმელი, მოირთო ფერუშმარილით, ჩააბარა შვილს ოჯახი წესრიგზე და გასწია ამილახერის ხიდისაკენ მაკრინე ბორტიშვილისას.

გვარის უკანასკნელი მოგიკანი მაკრინე ბორტიშვილიც ევასისავით ქერივი იყო. ბორტიშვილები ბაგრატიონებივით ძველ-გვარი იყო, მაგრამ ვახტანგ მეექვსის დროს დაკნინდა და დაქვეითდა. უფრო გავლენიანნი მათ შორის სევედამწარებულს გაპყენენ რუსეთს. იქ ბევრი გაწყდა, ბევრიც გარუსდა და ბარტოვებად გადაიქცა. სამშობლოში დარჩენილთ ვახტანგის შემდგომი გვირგვინოსანნი ბორტიშვილებს აღარ მფარველობდნენ. რუსეთთან შეერთებისას ამ გვარის რამდენიმე კომლი კიდევ ცხოვრობდა მცირედის მიწაწყლით ქართლში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მარტო მაკრინეს პაპამ წამოიწია მეფის რუსეთის სამსახურში, რაც მაკრინეს შამამ ველარ განაგრძო. საუკუნის მიწურულში კი ისინიც ამოწყდნენ. მაკრინე გათხოვილი იყო ვილაც სამხედრო პირზე, რომელიც ლოთობით დაიღუპა. მაკრინე დაუბრუნდა ძმის სახლს. ათეული წელიწადი გაატარა ერთად უშვილძირო დაძმამ. ბოლოს ეს უკანასკნელი მამაკაციც გარდაიცვალა. შერჩა მაკრინე ძმის სახლს, რადგან მემკვიდრეობაზე თავისი ნების განმცხადებელი თითქმის არაეინ აღმოჩნდა და თან ძმის ნატარეუსის წესით დამტკიცებული ანდერძიც ამის სრულ უფლებებს აძლევდა.

კარგად განათლებული ქალი იყო მაკრინე. მრავალი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი. პარიზშიაც კი იყო ნამყოფი. ზოლო პეტერბურგს, მოსკოვსა და ვარშავაში ისე ზნირად დაიარებოდა, როგორც კარალეთელი გორში. ქმრის სიცოცხლეში, როცა ევასი სადარბაზოდ დაიარებოდა გორის ინტელიგენციაში, თავადთა, აზნაურთა და გამოჩენილ ვაჭართა სახლებში, ერთის სიტყვით, როგორც იტყვიან, ყველგან კარგ ხალხში ჰქონდა ნაბიჯი, ბევრჯერ შეხვედრია ბორტიშვილიანთ მაკრინეს. გვარის უკანასკნელი მოგიკანი ენაწყლიანი, მხიარული და სანდომიანი მანდილოსანი იყო. კოხტად, გემოვნებით ჩაემა უყვარდა. მის სრულიად იაფფასიან ქინძისთავეებს, ბეჭდებს, ძეწკვებს ალტაცებაში მოჰყავდა გორელები. ახლად შეკერილი ქალის ძვირფა-

¹ იხ. „მნათობი“. №№ 4-5, 6, 7, 8.

სი ტანსაცმელი მაკრინეს მოსაწონი უნდა ყოფილიყო. უხაროდით მაკრინეს სტუმრობაც. ხანდახან მაკრინეც პატივობდა სტუმრებს, მაგრამ ~~მეც მასთან~~ ლენოს მოყვარულს, სიმთვრალეს გადაყოლილს ქვრივი შინ ~~სადაც უმჯობესად~~ ქვრივი აწყობდა პროფერანსის თამაშს ჩაითა და ტკბილულ-ხილულთ. მცირეოდენ მაგარ სასმელსაც სდგამდა სუფრაზე. განთქმული იყო მაკრინეს სერვიზი. ქვეყნის ყოველი მხრიდან მოტანილი ათასფრად მოხატულ-მოგარაყებულ კურკლეული მოეპოვებოდა. ამბობდნენ: ქვრივი არც თუ მცირე შემოსავალს ძმის ქონებიდან წლობით უყრის თავს, მერმე კარგა ხნით მიდის პეტრბურგს და მხოლოდ ძვირფას კურკლეულს ყიდულობსო. გორის მოწინავე, მოქალაქეებს მიუხაროდით მაკრინეს სასტუმრო ოთახში. შეიძლება ეს ერთგვარი ჩვევითაც იყო გამოწვეული, რადგან ბევრს არც კი ესმოდა, რად მიუხაროდა. როგორც ვთქვით, მაკრინეს სახლში არც არავინ წესულა მთვრალი და არც არავინ გამოსულა იქიდან გაღვილი. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ მაკრინესთან მიუხაროდით, პროფერანსს გარდა, ოსტატურად მოყოლილ ამბებისათვის და საუცხოო კურკლით ჩაის დასალევად.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მიეგება მაკრინე ევასის და კარებში შეხედა. გულში ჩაიკრა. — რამ მოგაგონათ ჩემი თავი, რამ მოგიყვანათ?

— მე კი მომაგონდები ხოლმე, ჩემო მაკრინე, მაგრამ ვის რაში ვჭირდები, ქვრივი და ოხერი, ამიტომაც კარს არავის ვუტალახინებ. — სიმართლე უთხრა ევასიმ.

— სიჭკრით, ჩემო ძვირფასო, მე ვერ გამაყვირებ. ჰაი, ჰაი რა ვაქაცო გყავდა, შე უბედურო! ეს რომ თავისი მოყვანილი ტანით ვალსს დაუვლიდა თან არჩივის თვალით დასტკეროდა ზემოდან თავის დამას, უკეთესი სანახავს საფრანგეთშიც არ შევხვედრივარ. ჰო, ქალო! რამდონი შვილი დაგრა იმისაგან?

— იმისაგან, თორემ მე აღარ ვავთხოვილვარ. ერთი ქალი, თუ ვახსოვს.

— უი დამიდგეს თვალი, როგორ დავიბენი: ისეთი ქმრის პატრონი ქალი ველარავის მოიწონებდა. შენი ქალი ხომ ჰგავს მამას? ერთი სიტყვით, ტანად მამას თუ ჰგავს, თვალ-წარბითა და ტუჩ-ბილით შენ...

— ეგ არის ჩემი ბედნიერება, აგრეა.

— ღმერთმა მოგცეს. აბა რა გიჭირს, მდიდარი და ყველაზე უკეთესი გაცი შეირთავს.

— უი ეგ რა სთქვი! ვის უნდა ახლა გარეგნობა და ქალის შინაგანი ზრდილობა, ჩემო მაკრინე? ყველას ფულზე დაუშვებია თვალები. ჩემი ქალი კი, ვარსკვლავიც რომ იყოს, ხელის მომკიდებელი არა ჰყავს. უფულოა. აბა ერთი, ხუთასი თუმანი და ოციოდე დღიური სანახანავე მომცა? მაშინ მოგეცა ლხენა, სასურველ სიძეს ვიშოვიდი.

— ეხ, ასეთი ვახდა ხალხი, ჩემო ევასი. ჩემს დროს კი აგრე არ იყო. ჯერ ქალი უნდა ყოფილიყო, რომ ქალსა ჰგვანებოდა, სხვა თუ რამე გააჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და უფულობით კარგ ქალს ხელიდან არავინ გაუშვებდა. მაინც ნუ გეშინიან, ზრდილობა და იერი გაიტანს თავისას, შესაფერისს საქმროს იშოვის, იცხოვრებს.

— მგონია, აგრეა, მეც მაგის იმედი მაქვს, თორემ ფიჭრი მომავალ სიბერეზე, როცა აღარავის დაეჭირდები და კუდიან დედაბერს დამიძახებენ, აღრევე მომისპობდა სიცოცხლეს.

— შინ ისე ვავს, სასიძო შევირჩევია. იქნება დანიშნე კიდევაც?

— აგრეა, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო ბატონო, ჩემო მაკრინე, და-
ნიშნა.

ერკინესული
ნიშნისნიშნა

— მერე ვიზედა, ხომ არ ვიცნობ?

— სასიძოს, ალბათ, ვერა, იმის მამას კი უთუოდ იცნობდი. იქნება ვახ-
სოვს კაპელმეისტერი პოლონელი შილკა?

— ეიო შილკაი, მშვენიერი კაცი და მუსიკოსი იყო. ფიზგარმონიაზე და-
საკრავად შემოდიოდა ხოლმე ჩემთანა. პროფერანსშიც დახელოვნებული იყო.

— იმისმა უმცროსმა შვილმა დანიშნა ჩემი ბაბუცა. მამის სახელი
ჰქვიან — ვლადისლავი.

— იცის რამე?

— ტექნიკია.

— აბა არა გიჭირს რა. შენ ისა სთქვი, ღვინოში როგორია? მამაკაცის უბე-
დურება ეგ არის. ღვინის მოყვარული მამაკაცი მეზარება, ცოლშვილსაც
ღუპავს.

— ჯერ წვეთსაც არ იკარებს, არც ღვინოს, არც არაყსა. მემრისა კი რა
ვიცი, რავე გამიწყრება ღმერთო.

— ეგა, ჩემო ევასი, შენ ქალზეა ამიერიდან დამოკიდებული. თუ ივარ-
გებს, აზრიანი ქალი გამოდგა, ქმარიც სასურველი ეყოლება. ჰქვიან ქალს
ქმარი არ გაულოთდება. რახან აგრეა, ღმერთმა გავიბედინიეროს, შეგასწროს
იმის შვილსა და შვილის-შვილებსა. ქორწილი ხომ არა გაქვს განზრახული?

— შემოდგომისთვის ვაპირებ. მოერჩები მზითვის დაწყობას, საქმესაც ვა-
ვათავებ. მანამ კი ვაჩერებ. სწორედ. ამაზე შეგაწუხეთ, თქვენი მოხმარება
მჭირდება, რჩევა და...

— ტანსაცმელზე არა შეითხო-რა. ახლანდელი, ისეთი ვიწრო მოდეგი შე-
მოვიდა, რომ არაფერი მომწონს. ისე მძულს ეს მოსუსტული კაბები, წამო-
კოსებული შლიაბები, მახათის წვერა ტუფლები, რომ რაღა გითხრა. ვაი ჩვე-
ნი ქალიშვილების ბრაღი, დაკუტდებიან, დაკოტლდებიან, ან რაღაც სხვა
უბედურება დაემართებათ. გამოჯავრებულმა უკან მივიხედე, როგორ ეცვა
დედა ჩემსა და დიდდა ჩემსა, როგორ ეცვათ დარბაისელ ძველ ოჯა-
ხის ქალებსა და მეც აღმოვაჩინე, რომ ქართული ტანისამოსი ყველაფერს
სჯობს. აედექ და შეეიკერე. ახლა მხოლოდ იმით გამოვდივარ ერში. ვინც
რა უნდა, ისა სთქვას. მაინც რაც შემიძლიან, არ დაგზარდები. ეგ არის ქიდევ
ფულის მოხერხების თავი არა მაქვს.

— არც ერთზე გაწუხებ, ჩემო ბატონო, და არც მეორეზე, სულ სხვა სათ-
ხოვარი მაქვს. როგორც მოგახსენეთ, მზითვეს უწყობ ქალსა. ღვთის მად-
ლით, ლოგინი შეუქერე. ერთი წყვილი საწოლიც ვუყიდე, კამოდიცა. ორი-
ოდე თვალი და ბეჭედიც მაქ, ჩემ ქმრის ნაყიდი. ღმერთმა ისიც იმათ შოახ-
შაროს. ფულად და დამარჩა ათი თუმანი. გადაეწყვიტე ერთი რიგიანი სერვი-
ზი შეუძინო: მაინც და მაინც დიდად არა ვწუხდი ამას. არც ეფიქრობდი.
მარა ქალაქში გავიარე ერთ დღესა. გიგო ჩარქეაშვილს გამოუფენია ახლად
მოტანილი ჭურჭელი. ცეცხლი შემომეკიდა ტანზე. ვთქვი, ეს როგორ არ უნ-
და ჰქონდეს მეთქი ჩემს ბაბუცას. გავიკითხე და გამოვიკითხე. შევხედე
ფასს, აესწონ-დაესწონე, შევეკითხე თავს: ევასი თვალს რა არ მოგჭრის
ქვრივსა და ოხერს, შენ ისა სთქვი, ასწევ, შესძლებ? შენ მივარდი, მინახულ-
ჩამალული ერთად შეეგაროვე, დავთვალე, ამას ზედ მოტანებული ქმრის
პენსიაც დავადე და გამოდგა: აესწევ, ვიყიდი. მერე იქვე მომაგონდა. ეს კი

გადავწყვიტე, ვიცილო, მაგრამ იცი რამე ამ ნაირი საქონლისა? მოგხსენებთ, ჩემო მაკრინე, მდიდრები არ ვიყავით, მაგისტანები არა გვქონებოდა, მაგრამ სიკეთე, ერთი გამომყვე, ორიოდ ნაბიჯს ნუ დამამადლი და ამომირჩევინე ჭურჭელი, თორმეტ პირისთვის სამყოფნი.

— ამოგარჩევინებ, ადვილი სამსახურია. ე მაგაში ჯერ კიდევ დიდხანს ვერავენი დამკრავს გორშია. როდისთვის გინდა?

— მოგეხსენებთ, ფული წუწკი და ძნელი შესანახია. რა კი და იმ ფულს ის სახელი შევარქვი, რაც მოგახსენეი, დღესვე გაეიაროთ, ხალხი ეხვევა, ვაი თუ გაიყიდოს, ან ისეთი აღარ შემხედეს, რომელიც საუკეთესო სახისაა.

— ახლავ, ადვილი სამსახურია, — დაეთანხმა მაკრინე.

მოზრდილ ოთახში შევიდნენ. მაკრინემ ამოაღვა ქართული ტანთსაცმელი ჩიხტითა და კოპით. ჩაცმას შეუდგა. ფარეშობდა ევასი. აწოდებდა სამკერაღვჯას, კაბას, ზედანენს, ლესავდა უმარულს, წარბის საღებავს.

შლადლისათვის გამოვიდნენ შინიდან. ცხელოდა გარედ. მიწას ბული ასდიოდა. ცაზე ვარვარებდა მზის ლითონი. ნელა, დაიახებით, მუსაიდით მიდიოდნენ ქვრივები ცარსკისაკენ. უეცრივ ცხენების ფლოქვების მძლავრი თქარა-თქური მოისმა. მოხვეულიდან გამოვიდა ახლად-ახალი კარეტა, ორქურანა, კანის დახეთქამდე დასუქებულ ცხენებ-შებმული. ქვრივები შეჩერდნენ, მიიხედეს კარეტისაკენ. კარეტამ გრიალით ჩაიარა.

— ნეტავ ვინ არის? — იკითხა ევასიმ.

— არ იცი, ქალო, თავადი ელიზბარია. ამ ზემოთ მამული აქვს. აი ჩასკდეს, ილიას ბაძავს, ცხენებიც ისეთი უყიდნია, ტანთაც ისეთი აცვია და...

— არ მინახავს, გამიგონია კი, ნეტავ სად მიღის?

— მამულში უთუოდ. აგერ ხიდი გადაიარა, გზაც იქით აქვს. დიდი გაფხვერილი ვინმე კი ბრძანდებდა. ესაო და საგუბერნიო მარშლად დამასახლეოსო, ყაენს აღარ აძლევს სალამს. მე კი, ჩემო ევასი, იმისთანა ხალხთან მჭონია საქმეი, რომ მაგას ხელუკუღმა ჩაისუამდნენ ჯიბეშია. ჩემთან ვინ რას გააყიდის. ხომ არა ჰგონია მაგის კნეინას თუკლესა, ჩემზე უკეთესი გვარისა იყოს? მოხუცობას არ გამოეცლია ჩემთვის ძალი და ღონე, სახის იერი და ხალისი, მაშინ მე ვიციოდი, როგორც წამივიდოდა წინ ვინმე, თუნდაც ეგ ელიზბარია. ლამის არის მთელი ეს ზემო მხარე ისეთამდე სულ ხელში ჩაიგდოს. გლეხი და აზნაური უმამულოდ დაჰყაროს, ქირა კაცად გადააქციოს. ვიცი კი, ერთი დრო არც მაგას შერჩება, დეთის მაღლით. ადამიანის სიცოცხლე, ჩემო კარგო, მოჩვენება და ამოებბაა. ახლა აღარც სიმდიდრისა მწამს რამეი და აღარც ნასწავლობისა. გაიგე, რა მოსვლია დეკანოზ თომა ჩუთაშვილს? აი გაზარდე ქალი, ასწავლე, თან გადააყე, თურმე ყველაფერი ტყუილია, ტყუილი.

— რაზე ამბობ, თუ ღმერთი გწამს? — დაინტერესდა ევასი.

— რაზე და ასწავლა გოგოსა, რა საცხოვრებელი, რა მიწა-წყალი შეუძინა მშითვეშია. ნამესტნიკის კანცელარიის ხალხი ეხვეწებოდა, მოგეთხოვდიო. იმას კი, იმ ჩასასკდომს, ყურშიაც არ უნდა თურმე გაიგონოს. აგერ სწორედ მაგ ელიზბარს ერთი ნაყმევი ჰყოლებია აგრონომი. იმაზედ უჭირავს თურმე თვალი.

— ვუი, ვუი! მეზერიშვილიანთ პავლიას ბიჭი. ვაი სირცხვილო, ეს რა მესმის! ერთი განახვა კვირაობით ის პავლია, შეაბავს ურემში კამეჩებს, ზედ ცოლი უხის ხელში სახრითა, იმ ბიჭის დედაი. ზედადგარზე ქათმიდან დაწ-

ყობილი კოფჩხილამდე ყველაფერი უძევს. დაჯდებიან იარმუკაში და მთელ დღეს ჰყიდიან. ვაი სირცხვილო და გამოკუნებავ!

— ჰანდე, ევასი, სადამდის მიდის ჩვენი კეთილშობილების და ნასწავლების საქმე. დომხალივით აირევა, ალბათ, ყველაფერი.

— ლმერთმანი, მაკრინე, მეც ვატან უგვარო კაცსა ჩემს ქალს, მაგრამ ჩემი საქმე სხვაა. ჩემი სასიძო უცხო ტომის კაცია.

— ჰო, ეგ სხვა საქეა, მესმის. მაგ ჩუთაშვილის ქალისა კი არა გამეგებარა. ნასწავლი, მამულიანი როგორ აძლევს თავს ნებას შეეძლიოს ელიზბარის ნაყმევს, მეტრუმის შვილს, აგერ, შენ არა სთქვი თითონ?

ამ ლაპარაკით მივიდნენ ქვრივები გიგო ჩარეჭაშვილის საეპქროს სახლის ვიტრინასთან. შედგნენ. თვალი მოავლეს გამოფენილ საქონელს. საეპქროს კარი ნახევრად ღია იყო. სიღრმიდან ისმოდა იოკიმე თუშელიშვილის ხმაური.

— ეგეც გულზე ნემსივით მესობა, ევასი? — უთხრა ჩუმად მაკრინემ ევასის.

— რა, ჩემო ბატონო?

— არ გითხარი, ხალხი თავის ჰკუპაზე აღარ არის მეთქი. მაშ აბა რა არის, ბარძიმ თუშელიშვილის ძმა და გიგო ჩარეჭაშვილის ნოქარი? ლმერთო ჩემო, გვედრები, ჰკუპაზე არ შემშალო ან ეს ქვეყანა საგიეთად არ გადააქციო.

— ეჰ, რა გაეწყობა, ჩემო მაკრინე. ფული აზნაურიც არის, თავადიც, მეფეცა და ლმერთიცა.

— მერე ფულის გულისათვის კაცმა გვარიშვილობა უნდა შეირცხვიოს?

— ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი, — სცადა ევასიმ აეცდინა გზისათვის ეს საუბარი: — ყველას თავისი თავი აქვს საპატრონო და სარჩენი. როგორც უჯობს, ისე მოიქცევა.

— არ იცი კი არა, — გაუტრიზავა მაკრინემ. — ლმერთმა ჰქნას მიწისძვრა მოუვლინოს ამისთანა ქვეყანას, გაქლიტოს, დაქციოს, აგერ კარიცა, შევიდეთ დროით.

მაკრინემ თვალი გადაჰკრა ვიტრინას. კარგა ხანს ღიმა გუნდა-ლახუსტაკით გაბოხილი წარბები. იბუტბუტა თავისთვის მცოდნის დამაჯერებლობით. ჩაილაპარაკა:

— ჰო, შევიდეთ, აქ ვინ მოიტანს იმ ფაიდურსა და ფაიანს, ჩემი მოსაწონი აღმოჩნდეს. ისე კი არა უშავს რა. ვერ უყურებთ მაგ პარკა გიგოს? მაინც ძალიან უშოვნია. — ქვრივები კარს მიადგნენ, შეიჭვრიტეს. შეიძლება შემოსელო, იკითხეს. იოკიმე კარებში ჩადგა მოღუშული სახით, ცოტა უხეშადაც მიახალა ქვრივებს:

— ხედავთ, საეპქრო ღია არ არის, რად მოდიხართ? საქონელს გიგოს დაბრუნებამდე არა ვყიდით.

ქვრივებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა ვყიდით, რასა ჰქვია, მწნილად ხომ არ აბირებ შეინახო? — გაჯავრდა მაკრინე.

— საქონელი პატრონს უცდის და რაც გინდათ, ის დაარქვით.

— არა მესმის რა, ლმერთმანი, — მხრების ჩეჩვით მიუბრუნდა მაკრინე ევასის.

— მე დღეს მაინც ვერ წავიღებ საქონელს. ხვალ, ზეგ იყოს. ოღონდ როგორც მინდა, ამომარჩევინე. ცალკე გადამიწყე. ამ აღამიანს ყოველთვის ხომ ვერ ვიშოვი. ახლაც დიდი ხათრით გამომყვა, — შეეხვეწა ევასი იოკიმეს.

ვად. უეცრად ვილაცამ კარს ხელი ჰკრა, შეპგლიჯა და სავაჭრო ხალხით გა-
ივსო. ილანძღებოდნენ.

— აი ოხრები, ვინახავთ ასეთი? ფულს ვაძლევთ, ესენი კი ^{განაწილებენ} ~~განაწილებენ~~
ხიან. ესეც ვაჭრობა!

— ხალხო, სავაჭროში მივარდებით?

— ვინ ოხერი გივარდება, ჭურჭელი გეინდა ვიყიდოთ, — აყვირდნენ
მუშტრები.

გორელებმა კი არა, თვითონ იოკიმეს აგენტებმაც არ იცოდნენ, ვერ მიხე-
დნენ, რომ ეს ზედა ხორა მოწყობილი თამაში იყო.

— ხალხო, რა ამბავია, რა დავემართათ, მე ნოქარი ვარ, უპატრონოდ მე
რა ხელი მაქვს გავეცილო ეს ოქროს წონად ღირებული საქონელი?

— აგერ პატრონიცა! — დაიძახა ვილაცამ.

ყველანი დამშვიდდნენ. კარისაკენ მიიხედეს, გასაღული გზა გააკეთეს. სა-
ვაჭროში მაკრინესა და ევასის ხლებით შემოვიდა გიგოს მოხუცი დედა და
იოკიმეს გამოეჭიმა.

— რა ამბავია, რა ხდება? — იკითხა მოხუცმა.

— რასაც ხედავთ!

— აჰას მიჰყიდეთ, ქალს ათხოვებს, — უთხრა მოხუცმა.

— ვერა, ვერ მიყვიდი!

— შენ ვინა ხარ, მე გეუბნები მიჰყიდე, ფასი დარქმეული აქვს. მე გეუბ-
ნები, მორჩა და გათავდა! — გაჯავრდა მოხუცი.

— ვინცა ვარ, ესა ვარ! — გაჯავრდა იოკიმეც.

— ამოიღე ფული, დაუთვალე, — უთხრა მოხუცმა ევასის. — ამოდენა ძალა
კი მაქვს ჩემს საცხოვრებელზე! — ბრახით სთქვა მოხუცმა და გარეთ გა-
ვარდა.

— იკადრე და საქონელი მომეცი! — წამოიძახა ბრძანების კილოთი ევასიმ.
ვიწრო შავი კაბის დეკოლტედან ხელი ჩაიყო ილიაში. რვა თუმანი და
ოთხი მანეთი დაყარა დახლზე.

— აი, ხალხო, მოწმენი იყავით, მე ციხეში არ ჩავედები, — აბურტყუნდა
იოკიმე.

ფული დახლში ჩაჰყარა, ჭურჭლეული ყავისა და ჩაისა, საუშმისა და სა-
დილისა გადმოაღავა ყაფაზიდან. ჩაულავა ფრთხილად ქვრივებს ხელკალა-
თებში. ამათ შემდეგ იოკიმემ კიდევ გაჰყიდა რამდენიმე კომპლექტი. სავაჭ-
რო დაჰქცა თითქმის ძალით.

სადღაც გაჰქრა ერთი კვირა. გორს, გიგოს სავაჭროს გარდა, სალაპარაკო
არა ჰქონდა-რა. ზედახორა იყო ვიტრინასთან. ქალები ერთმანეთს ხელიდან
ჰგლეჯდნენ ჭურჭელს. ერთ დღეს სამ ცხენ-შებმულ ეტლით მაზრის უფრო-
სის შეუღლემაც ჩაუარა სავაჭროს. ფრეილინებივით ესხდნენ გვერდით გო-
რელი აზნაურის ქალები. ჭურჭელი ინახულა. მოიწონა, შეაქო გიგო. ჭურ-
ჭელზე არა ნაკლებ თვალში მოუვიდა იოკიმე თუშელიშვილი.

— ვინ არის? — იკითხა.

— ბარძიმ. თუშელიშვილის ძმა გახლავთ! — აცნობეს მხლებელმა ქალებმა.

— ჩვენი ბარძიმისა? ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ ბარძიმს! — იოკიმეს გა-
ულიმა. იცნობდა მაზრის უფროსის შეუღლე ბარძიმს. აღდგომის დღესასწა-
ლისათვის ყოველთვის მოსდიოდა იმისაგან ძღვნად ძუძუს წყვილი ბატ-
კანი.

იოკიმეც, რაღა თუშელიშვილი იყო, რომ ჩამორჩენოდა ძმას. ერთი კომპლექტი ყველაზე უკეთესი ქურჭელი, აღრევე ქალაღღში შეფუთვით დაუტოვა ულაგა შინ მიმავალ ქალს ეტლის საზურგელში.

— ვეცდებით, სამაგიერო პატივი გცეთ, — ნაზად თავის რხევით გადაუხადა ქალმა მადლობა და შინისაკენ გაეშურა.

თუ მეორე დღეს არა, მესამე დღეს ისეთი ან იმის მაგვარი ქურჭელი ჰქონდათ გორელ თავადთ, აზნაურთ, შეძლებულ ოჯახებს. ქურჭელულის ციებ-ცხელება ჩამოვარდა ქალაქში. იოკიმემ ერთ კვირაში ვაასალა ის საქონელი, რისი გასაღებაც გიგოს გეგმა ერთ წელიწადს ანგარიშობდა.

ჭურჭლის შექმნის ციება გლეხებსაც გადაედო. საიდან არ მოდიან ჭურჭლის სისყიდლად. ჭურჭელი კი იოკიმეს ჰქონდა. მან თბილისელ ვაჭრებისაგანაც შეიძინა რამდენიმე გაუხსნელი ვაგონი ჭურჭელი, გორის სადგურზე დააცლევინა. და ძვირფას ჭურჭლის სადენ კალაპოტში მიუშვა, როგორც ხელმრუდე მელენემ, შესანიშნავ ზედაშენში ლიახვის წყალი. მუშტარი აღარაფერს დაგიდევდათ. ოღონდ ჭურჭელი ეშოვნა. კალოობა კყო, ეშურებოდნენ.

ცოტა რომ შენელდა ჭურჭლის ციება, იოკიმემ ტელეგრამით აცნობა გიგოს ინგლისში.

„ფაიფური გასაღდა ორმოც ათასად ოქროთი. ფული ნაღდად შეტანილია ბანკში. საკომისიო ამინაზღაურეთ. უბრძანეთ ფირმებს გამოგზავნონ საქონლის უმჯობესი პარტია. უბრძანეთ ვოლგა-კამის ბანკს აწარმოოს ფირმებთან ანგარიშსწორება კონოსამენტებზე.“

იოკიმე თუშელიშვილი, თალალა, სუსანა, ბანკის დირექტორი ცივანოვი“. ინგლისიდანაც არ დააყოვნა პასუხმა. გიგო მაშინვე მიხვდა, რა სასარგებლო ნაქართან ჰქონდა საქმე. ტელეგრამის მიღება დაუდასტურა იოკიმეს. ბრძანება მისცა ნიჭნი-ნოვგოროდს, ბანკს, რათა გაეგზავნათ საქონლის მეორე პარტია გორში. ოდნავ არ მოეწონა დედისა და ცოლის სახელების ჩარევა კომერციის საქმეში. ბოლოს ამასაც მიხვდა გიგო. იოკიმე იმოწმებდა იმათ, რომ საქონელი მართლა გადატრიალებულია. ბანკის დირექტორის ხელისმოწერა კი ნიშნავდა, ფული ჩემთან ძვეს შენს მიმდინარე ანგარიშზე, ნაღდად, ოქროთიო. მაშასადამე, გორში ყველაფერი რიგზე მიმდინარეობდა.

ქარი მხსამი

თავი I

მგზავრები ვაადვიდა ჩახლუჩილმა ხავეილმა: „პერესანდკა ნა ჩატურუ, შორაბანი, შორაბანი“. გიტაც სწევებსავით ზეზე წამოიჭრა. მიიხედ-მოიხედავოლა კამკამაძე, უკვე გამოფიზილებული, თავის ადგილას იჯდა. მგზავრები ვაგონის კარიდორში გამოდიოდნენ, ერთმანეთს აწეებოდნენ ხელის ყუთულუბით და ჩანთებით დატვირთულები. ვაგონის ფანჯრებისათვის იმერეთის დაღმართზე მთის ქარს თოვლი შემოეყარა და შეეტკეპნა. მკრთალი სინაჟლე იდგა. კართოფლის სანთლის და მახუთის ბოლის ნარევი, გულის შემღონებელი სუნი ტრიალებდა. გიტამ ძილის დროს მოფაყვეებული საყვლო-გალსტუხი შეისწორა უსარკოდ, გადაივარცხნა თმა და უღვაშიც.



— გაჩერდება, ჩამოვალთ, ვიწრო ლინდავიან მატარებელში გადავსდებო-
ბით. ყოფილხარ კიათურაში ან იმერეთში საერთოდ? — ჰკითხა მკითხველმა.

— ერთხელ, წინათ.

— კიათურაში?

— არა. ქუთაისში ვიყავი სტაროსელსკისთან, იალტიდან დაბრუნების
წელიწადს.

— რაღა თქმა უნდა, მევენახეობის ან მებაღეობის საკითხზე.

— დიდი, ფილოქსერამ ჩამიყვანა სტაროსელსკისთან.

— მაშ, ახლა კიათურაც ნახე, ქუთაისივით ბაღებსა და ყვევილებში არ
დაიკარგები. კიათურა მადანი, თქრო და მუშუბია. ვინალო არ დაიწუნო.

— ადგილი ზოგი ასეთია, ზოგი ასეთი. რად უნდა დავიწუნო.

— ისე გეუბნები. ყვევილებსა, ბალ-ვენახისა და ჯეჯილების ოატატი
ხარ. გაფრთხილებ, ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, სულ ერთი არაა. მაგრამ
მე მაინც ხანიათში ისეთი ჭია მიზის, რომ ყველგან, თუნდაც საბარის უღაბ-
ნოში, სიცოცხლეს მაპოვნინებს.

მოსმა. ბუფერების ჯახუნი, მგზავრები კედლებს მიეხალნენ. მატარებე-
ლი დადგა. გიტა და გოლა ბოლოს ჩამოხტნენ. ქართლის მატარებელს აქ
ბათუმის მატარებელიც შეხვედროდა შესაცინებლად. ბაქანზე ხმაური და
ალიაქოთი იყო. ყველა იჩქაროდა, ხალხით გაქედნილ ბაქანზე — ადგილიდან
ვერ იძროდა, მხარს ვერ იბრუნებდა; ვაგონებიდან მგზავრები კვლავ ჩამო-
დიოდნენ, მათ მაგივრად ახალი მგზავრები სხდებოდნენ. დამხდურებისა და
გამცილებლების ხალხიანი სახეები ციალებდნენ რიყრაყში.

— აი შენი იმერეთიც. ხედავ, სადგურზე რამოდენა ხალხია! — ამბობდა
გოლა და ვიავაგლანით მიაკვლევდა გზას პირველ კლასის დარბაზისაკენ.
გიტამ ყურადღება მიაქცია: გოლას მოჩქარებულ სალამს აძლევდნენ აქეთ-
იქიდან. „ესენი ჩემა ამხანაგი შემანქანებები და ფარეშები არიან“ — ამბობდა
გოლა და განაგრძობდა გზას საუბრათ. — მოვა დრო, ყველა ესენი შენი
ნაცნობებიც იქნებიან. შეიყვარებ და შეგიყვარებენ, ოღონდაც შენში თავი-
სი მომხრე აღამიანი დაინახონ. გულს არაფერზე დაგწყვიტენ, ერთს ათად
გადაგიხდიან, ზედ გადაგვლევინ. მარტო სტაროსელსკის მაგალითი რადა-
ღირს! „უეზღნი ნაჩაღნი“ იყო, მაგრამ კაცი მირონიანი, იმიტომაც იმე-
რეთში იმის სახელი ახლა. ბავშვმაც კი იცის. რომელ სახლშიც არ უხდა
შევიდეს, მთელ თავის სიცოცხლეს და საცხოვრებელს ენდობიან.

პირველი კლასის საბუფეტო დარბაზიც ხალხით იყო სავსე. ისინი სასა-
დილო მაგიდის მახლობლად დასხდნენ. გოლა თვალებს აცეცებდა. თითქოს
ვილაცასთან შეხვედრის წუთი აქვს დათქმულიო, მოჩქარებით ანოალო
საათი.

— უკვე შეიღის ნახევარია. საცა პირველი საყვირი იქნება. თუ არ ვაჩ-
ქარე, სამუშაოდ გამასწრებენ. კიათურის მატარებელი ცხრაზე გადის, მაშ
ამ ორ ნახევარ საათში არ მოიწყინო, გიტავ, მე გავალ დეპოში, ვნახავ
ვინმეს.

— რა სათქმელია, წადი! — უთხრა გიტამ. გოლა იმავე წამს ადგა და დარ-
ბაზიდან გავიდა. გიტა საპარკმახეროშა შევიდა. წვერი გაიპარსა, ხელ-
პირი დაიბანა. ისევ დარბაზში გამოვიდა და ჩაი მოითხოვა. გარეთ თოვლს
უფრო ახვევდა. ცივი ქარიც ქროდა. უეცრად გიტამ ნახევრად გაღებულ

ფანჯრიდან თვალი მოჰკრა ნასაღდათარ აბელ ეზიამვილს. იგი დაბრუნებას შემდეგ მხოლოდ ზაფხულობით იყო შინ, სოფელში, მაშინვე მამიანულ მცირედ ბალსა და ვენახს ამუშავებდა. ერთ ჩაბრუნებაში თესდა. ზამთრობით კი, მოსავლის შენახვისთანავე გარე სამუშაოზე გადიოდა. ამ წელს კი აბელმა დაიგვიანა, სოფლიდან ფეხი არ მოუცვლია. ცოლ-შვილში იყო. ამ დილით კი იგი კოჭლობით მიაბიჯებდა ბაქანზე, მხარზე გატენილი ჭრელი ხურჯინი ეკიდა თხის ბალნის თოკებით პირწყარული. ეზიამვილს გვერდით მოჰყვებოდა ტყაბუქში გახვეული, მუთაქსავით გასივებული კაცი, მას თავზე ბუხრის ქუდი ეხურა, და ფეხზე ნაბღის ჩექმები ეცა, წელზე ტყავის ქარქაშში ჩაგებული წითელი და ლურჯი ბაირაღები ეკიდა, მკერდზე გრძელ თითბრის ძეწკვზე დაპროფილებდა ნიკელის სასატენი, ხოლო ხელში სანიშნებელი ფარანი ეჭირა. უცნობი სატვირთო მატარებლის კონდუქტორი იყო. ეზიამვილი და კონდუქტორი მზიარულად საუბრობდნენ, ეტყობოდათ სისხამ დილაზე არაყი გადაეკრათ და კარგადაც ესაუზმნათ.

ახლა კი აღარ მოსტყუვდა გიტა, აბელ ეზიამვილიც კითურაში მიდოდა, უთუოდ იმავ საქმეზე, რაზედაც გიტა და გოლა მიდიოდნენ. ამ კონსპირაციამ გიტა გააცინა და გაამხიარულა, შეგრილებული ჩაი რამდენჯერმე მოხერხა და გასძახა ეზიამვილს ფანჯრიდან:

— აბელ!

ეზიამვილი ადვილზე გაქვევდა, მიახედა და დამნაშავესავით სულტ გატვრინა, ნათქვამი ჰქონდა გოლა კამკამიძისაგან: ისე ჩამოდი კითურამდე ნაცნობს არ გადაეყარო. აქ კი ორი ნაცნობი, თავადის აგრონომი და ნაპურმარირილვეი კონდუქტორი, სვიმონ აგაშენაშვილი, შეხვდნენ.

— აბელი არ ხარ! — კვლავ დაუძახა გიტამ.

— დიაღ, გახლავარ, შენი ჰირიმე. — დამნაშავესავით მიუგო მან, ფანჯრისაკენ ორი ნაბიჯი გადმოდგა.

— რომელ მატარებელს ჩამოჰყევი?

— იმას, რომელსაც თქვენა ბატონო. — იყო პასუხი. გიტას შეაცხელა სხეულში.

„ცოდნია მე რომ მოვდიოდი კითურაში“, — დაასვენა გიტამ. გარეთ ბაქანზე გამოსვლა დააპირა, აბელთან გამოსალაპარაკებლად. გადაიფიქრა. ტანში შეაქრგოლა, დასავლეთ საქართველოს ნოტიო სიცივე იგრძნო, იალტისას ჰგავდა აქაური ჰავა. ბუფეტთან მივიდა და ერთი მოზრდილი ჰიჭა კონიაცი გადაჰკრა.

მიოლად გაუჩნებულში რკინიგზის ქანდარში ჩამოიარა, დარბაზი მგლის თვალით დაათვალიერა, გიტას ორი მხრიდან შემოუარა, ახელ-დახედა და ბუფეტთან გაჩერდა. მებუფეტემ უთქმელად დაუსხა ჯერ ერთი, მერე მეორე და მესამე ჰიჭა. ქანდარში იხინი თითო ყლუბით ჩაუშვა სტომაქში და ფშვინით გავიდა დარბაზიდან. მისი ერთ კარში გასვლა, ხოლო მეორედან გოლას შემოსვლა ერთ წუთს მოხდა. გიტას შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ქანდარში გოლას ეძებდა. გოლამ მიიზრინა მასთან. „ჩამოიარა?“ — ჰკითხა და გვერდით მოუჯდა. სული რომ მოითქვა, ხმადაბლა უთხრა გიტას:

— აქაურები წუხელის წასულან კითურაში. — შემდეგ ხმამაღლა განაგრძო: — მე კი ჩაის ისევ არაყი მიჩეენია. — მოტრიალდა, მებუფეტს ანიშ-

ნა სალოკი თითის მიღებით ყანყარატოზე. ოფიციალტმაც არ დააყოვნა, ბოლო
ლითა და საუზმით მოვიდა.

— აბელ ეზიამშვილიც ჭიათურაში მოდის? — ჰკითხა გიტამ. ერეკლესელი
გინგულიძე

— დაინახე?

— ჰო, ბოლო მეოთხე კლასის ვაგონში იჯდა. აბელი რაღაზედ მოდის
ჭიათურაში?

— იქ დარჩება. იმუშავეებს მადნებში. მაღაროს მუშებშიც გამოიცილება.
მერე სოფელში დაბრუნდება.— მრავალმნიშვნელოვნად სთქვა გოლამ. დარ-
ბაზის კარისკენ მიიხედეს, საიდანაც ხუთი ევროპულად გამაწყობილი კაცი
შემოვიდა. ხმამაღლა ვადალაპარაკებით მაგიდასთან მივიდნენ და გაბედუ-
ლად, ღვამების რახუნე ასტეხეს. მურომ დასხდნენ, დააკავენეს. ახლად შე-
მოსულებიდან სამი ჭიათურელი მრეწველი ბერძენი იყო. ერთი — ინეინერი,
გარეგნობის მიხედვით სომეხი და ერთიც გიტას და გოლასათვის კარგად
ნაცნობი ბარძიმ თუშელიშვილის ძმა, გორელი, მოდაში შემოსული ახლ-
გაზრდა კაცი, იოკიმე თუშელიშვილი.

გოლა დაფიქრდა. კარგა ხნის შემდეგ ჩასჩურჩულა გიტას:

— თავი მოშკერით თუ ეგ იოკიმე თუშელიშვილიც ჭიათურაში არ მოდის.

— მიბრძანდეს, ეს ქვეყანა მარტო ჩვენი ხომ არაა? — უთხრა ამაზე
გიტამ.

— მიბრძანდეს, კი მიბრძანდეს, მაგას ვინ უშლის. საქმე ის არის რაზედ-
რა უნდა? მერე სწორედ ამ დროს რა ესაქმება იქ?

— თეფშების და ჭურჭლეულის გასასყიდად, სხვა რა საქმე უნდა ჰქონ-
დეს, ეგ არის მაგის ალფა და ომეგა.

— აი ეგ კი აგრე არა მგონია. ჯამი და ჭურჭელი გათავდა ჩემო ძმარ.
ეგ მეორე ხარისხოვანი საეპროა მაგისთვის. შე სხვა რამე მაწუხებს.

— მესმის სხვა რამისთვის ჭიათურისაკენ მიდიოდეს მაგისი სახლიკაცი
ბარძიმ თუშელიშვილი. მაგისა კი რა მოგახსენოთ. ჯერჯერობით ეგ ჭურჭ-
ლით ვაჭრობს ვიგო ჩარეჭაშვილის პატენტს ამოფარებული.

— მგონია ეგ აგრე არაა. ვნახოთ. ჭიათურაში გავიგებთ. შე კი ჯერ ჩემს
აღლოს არ მოუტყუეებებივარ და ამიტომ გეუბნები.

— არა მესმის რა. — თქვა გიტამ.

ჭიათურის მატარებლის პირველი ზარი დარეკეს. ხალხი წამოაშალა, გა-
რეთ, ჭიათურის ბაქანზე გასასვლელად. დარბაზი ერთ წუთში დაცალიერდა.
ბაქანზე გიტამ კიდევ შეამჩნია აბელ ეზიამშვილი. ხურჯინის სიმძიმით გა-
ჭაპული შედიოდა ბოლო ვაგონის საფეხურზე. კონდუქტორიც ისევ იმას-
თან ერთად იყო. ბარბაცებდა, არყისთვის, ჩანდა ღვინოც დაეყოლებინათ
მეგობრებს და ზომამზე მეტიც მიერთმიათ.

გიტა და გოლა მეორე კლასის რბილ ვაგონში მოეწყვნენ. ხალხი შემო-
სვლის და დალაგების ფუსფუსში იყო, იმავე ვაგონში შემოვიდნენ შეზარბო-
შებული ბერძენები, სომეხი ინეინერი და იოკიმე თუშელიშვილი.

გიტა გაეტაცნა ჭიათურაზე ფიქრს. ამ ქალაქზე მას მრავალი წაეკითხნა
და გაეგონა. გულით სწაღდა ენახა და შემოხვევა არ ეძლეოდა. ჭიათურის
ნახვის წყურვილი გარაკეცებული ჰქონდა მას შემდეგ, რაც უფრო მოჰკრა,
რომ ჯულაშვილი ახლა იქაც აწყობს ორგანიზაციებსო. სწორედ ამისთვის
მიდიოდნენ გოლა და გიტა. ფიქრს იმას გამო, რომ ჯულაშვილს შეხვდებო-

და, მოეცვა მთელი მისი გონება. ამიტომაც გამოშტერებულივით გაჩვენდა რაც ხდებოდა, არც ესმოდა და ვერც ხედავდა... მართო ის შეგუწუნებული კამკამიძე ვაგონას კართან მიიჭრა და ხმამაღლა იცინოდა. ბიზლიყინაჲ

— ერი ჰა! ეს ნამდვილად თქვენ ხართ. უძველად თქვენ. — მოესმა კრდე გიტას თავს წამდგარ იოკიმე თუშელიშვილის ხმა. — პირველი კლასის დარბაზშიც დაგინახეთ, მაგრამ ვიფიქრე უთუოდ თვალი მატყუებეს-თქო. ვერ წარმოვიდგენდი თუ აქ შეგხვდებოდი. რაზე? რისთვის აქეთ ამ ცივ ზამთარში? ჩვენ, აქაურები, აქედან გაფრთხივართ თავქუდივით გლეჯილი. თქვენ კი აქეთ გიქნაათ პირი, რას მივაფერო? გამაგებინეთ თუ ღმერთი გწამთ. უთუოდ რაღაც დიდი საქმეა. ანა რამ დაგძრათ თავადის მამულიდან? თუ ექსკურსია და სტუმრობა ვანგოზრახავთ, ვარწმუნებთ, ჩემზე უკეთესი აქაურობის მცოდნე და მასპინძელი არავინ შეიძლება მოიძებნოს.

— საქმეზე გეახელით. — მაუგო გიტამ და კედლისკენ მიიწია, რათა ადგილი დაეთმო იოკიმე თუშელიშვილისათვის.

— ბრძანდებოდეთ, ნუ სწუხდებით! — ამბობდა იოკიმეც, თან ეწყობოდა რბილ დასაჯდომზე და ლაპარაკს არ სწყვეტდა:

— აი ჩემი იმერეთი, თუმცა ჩემი რაღად, მე უკვე ტუტია ვარ, ქართლელი, ასეა, გვერდებია ჩვენი სამშობლო თავის უბიდან, უწყალოდ გეპატივებოდა არა გეყოფნის, ველარსად ვეტყვი, მრეწველობა კი, ჩემო ძმაო, აი იმათ ჩაიგდეს ხელში (იოკიმემ ბერძნებზე უჩვენა). ამით კი ნუ შემიშინდები ბატონო აგრონომო. იმოდენა კი დამარჩენია იმერეთში, რომ აქ ყოფნა დაგახსოვთ. ამოხვალთ თუ არა ჩემთან შალაურში?

— არ ვიცი, თუ ძლიერ შორს არაა ქიათურიდან.

— იქვე, სულ ახლოსაა. დაუჯდებით ქიათურაში მატარებელს, ამოხვალთ საჩხერეში, თუ დროს დამინიშნავთ, ცხენებსაც კი დაგახვედრებთ. საჩხერედან კი იმაზე მეტი გზა არაა შალაურამდე, რაც გორიდან ბერბუჯამდე, ან კარალეთამდე.

— საჩხერის ნახვა ძლიერ შინდა.

— მესმის, ამ მხარეს მოხედეთ და აკაკის სამშობლო არ ინახლოთ, არც კი გეპატივებთ. თუმცა აკაკი ახლა სხვიტორში არ არის. ზამთრობით ჩვენი პოეტი თბილისს არ სცილდება, იქ აქვს ბინა.

— საჩხერე მაინტერესებს თორემ ბევრჯერ მინახავს აკაკი.

— მაშ კეთილი. თანახმა ხართ მესტუმროთ? მობრძანდით, გელით. ქიათურაშიდაც მოგნახავთ, სადაც არ უნდა იყოთ, ვერსად დამემალებით. მე იმ პატარა ოქროებიან ქალაქში ნემსიც კი არ დამეკარგება არა თუ განთქმული ქართლელი აგრონომი. მართლა, იცის თუ არა თქვენი გამოიმგზავრებისა იმერეთში ჩემმა ძმამ ბარძიმა?

— რა მოგახსენოთ. თუ შემთხვევით არ გაიგო...

— ერი ჰა! მაშ აუცილებლად მესტუმრეთ, აუცილებლად, თორემ შეგ დღეს დამაყრის ჩემი ძმა ბარძიმი. მოითავეთ საქმეები ქიათურაში და ჩემს განკარგულებაში მობრძანდით. — თითის ქნევით დააბოლავა საუბარი თუშელიშვილიმა, წამოდგა, თავის თანამგზავრ ბერძენ მრეწველებთან მივიდა. შეწყვეტილი საუბარი გააცხოველეს, ახმაურდნენ, იქაურობა აიკლეს.

— მაშ შენ ფიქრობ და გწამს კარგად იცნობ იოკიმეს ჰა! — ჰკითხა შე-
მობრუნებულმა გოლამ გიტას.

— ვიცნობ, ძლიერ კარგად! — გაიკვირვა გიტამ, ეს რა კითხვააო.

— არა, შენ მას არ იცნობ, მე კი თურმე ნამდვილად ვიცნობ.

— რად უსვამ ხაზს, რომ შენ იცნობ და მე ვერა? ბოლოსა გახდა გიგო ჩარექაშვილის ნოქარი მომწყდეს თავიდან, არ ღაბღაბა ლაპარაკი.

— ჩარექაშვილის ნოქარი ეგ უკვე აღარ არის.

— აბა რაღა კიდევ?

— თითონვე ვაჭრობს, ჩარექაშვილისაგან დამრუქიდებლად. ჩარექაშვილთან ვაჭრობა ისწავლა, ზელი გაიმართა და გაიწაფა, ძმავო. ამას შეხედა მისმა სახლიკაცმა ბარძიშმა და თავადმა ელიზბარმა, საბრუნავი კრედიტი მისცეს. ევაც ბითუმად ვაჭრობას ჩაეყიდა. გადაატრიალა ფული, მოიგო, მაგრამ რა მოიგო, ყელამდე გაივსო. ვალი გადაუხადა და ახლა შენ თავადსა და ბარძიშს ის შენი სასიამაოროც რომ ზედ წაუსვა, ყველას ჯიბეში ერთის ზელის ჩაკვრით იყიდის. აი ვინ გახლავთ იოკიმე თუშელიშვილი. იმ ბერძნებს რომ ეკურკურება, ეს მოჩვენება კი არაა. ისინი უფულო კაცს, ახლოს არ გაიკარებენ. მერე ვინ არიან ეგ ბერძნები, იცი? კიათურელი ჯერჯერობით ყველაზე მსხვილი მადნის მწარმოებლები და ექსპორტიორები.

— აგრე ნუ სკიმათ, ნათქვამია, აეწონოთ კატა, თუ ათი გირვანქა ხორცი შეუქამიაო.

— ეგ კიდევ რა არის? ეგ ყმაწვილი შეიძლება იქ მოდის, სადაც ჩვენ მივდივართ. იცი მაგის ფსევდონიმი და წაგაიკითხავს მაგის წერილები გაზეთში?

— შეუძლებელია!

— აბა მე გეუბნები. ბახიოთელის ფსევდონიმით ყველა წერილები მაგისია.

— გოლა, მე შენ მამცვიფრებ.

— მე ამას დიგნიტაციებთ კიათურაში მისვლამდე. თუ ეგ იქ მოდის სადაც ჩვენ მივდივართ, მაშინ ამ მატარებელში უთუოდ ერთი კაციც მოდის კიდევ. ხომ არ იცნობ ერასტი დვალს?

— არა, მაგრამ ხშირად გამიგონია.

— აბა, როგორც ჰგავს, გაიცნობ.

— მერე ვინ და რა არის ეგ ერასტი დვალი?

— ეშმაკმა არ იცის მაგისი თავი. საზღვარგარეთიდან ჩამოსული მუშა ყოფილა. აეტორიტეტს იხვევს, როგორც გადმოგვეყენე ზოგიერთ წერილებს მას უწერს თურმე ეგი იოკიმე და ათავსებს გაზეთებში. ახლა წარმოიდგინე, როგორი მუშაა და ვინცა!

გოლა ისევ წამოდგა და გავიდა. კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა, პალტოზე თოვლით შეფიფქული. სჩანდა, გარედ, ბრუსტერებზე იდგა, ვილიცას უთვალთვალებდა.

გიტა ბარძიმ თუშელიშვილზე ფიქრმა შეიპყრო. წაუძღვა ლექების რაზმს, ეს გველუშაბი. ახეიხინეს ცხენები კალოებზე და შარებში. მოითარეშეს სოფელი. მიბეგვეს ერთი გლეხი. მაკე ძროხას დაეტაკა აღიბეგა არობელინსკის ულაყი, ნაყოფი მოაგდებინა. მეორემ გამოკიდებულ ეზოს ძაღლს ბერდანიით თავი გაუბო და ადგილზედ გაათავა. სოფელში ხმა ვერაინ გაცა შარშარმათად გადაქცეულებს. გლეხებს ციხეებსავით კარე ჩაეკეტნათ, შინ გამოგრებულყვენ თუ დამალულიყვენ. ამიტომაც ფარეხიდან უსაკბილოდ გაგდებულ მგელივით გაურკვეველ მიმართულებით წავიდნენ შავრაზმელები.

სად არის ახლა ბარძიმი ლეკების შავი რაზმითურთ? ლამისყანაში არა. ბარძიმი იმათ შინ ვერ მიიყვანდა. კარგად იცის გიტამ იმისი გეგმა-დიდება. ერთ კვირასაც ვერ გაუძლებს რაზმის გამოკვებას. მაშ, ვინ ჰკვებავდა მათ? ვინღაც. ვინ არის ეს ვინღაც, რაზმლისაგანაც უთუოდ ბარძიმიც ისე იღებს ჯამაგირს, როგორც ალიბეგ არობელისსკი და ყველა შავრაზმელები.

აგრონომს უმაღლვე დაებადა თავში კითხვების უქვეელი პასუხი: ბარძიმს თავის რაზმითურთ ინახავს ან მთავრობა, ან საგუბერნიო მარშლის კანცელარია, ან ჟანდარმათა სამმართველო, შეიძლება მეფის ნაცვალიც კი ურევია საქმეში.

ამ პასუხმა გიტა უფრო ახალ და ახალ კითხვების ლობეს მიაყენა. ელიზბარი თავის მეგობრების საზოგადოებაში ლაპარაკითა და განგებ მოწყობილი კამათით მას დროს აკარგებინებდა. ათამაშებდნენ, თვალს უბამდნენ.

მატარებელი მიძჭოდა, გიტამ უეცრად წარმოიღვინა, ყველა ის ცვლილებანი, რაც იმის იალტაში სწავლის დროს მომხდარიყო სამშობლოში: მოხდა ბევრი რამ ისტორიულად მნიშვნელოვანი, და ამ მოვლენათა სათავესთან კი არა, მათ რიგშიც კი ვერ იდგა ჯერ აგრონომი. კარგად მომზადებულიყვნენ ამ დიდი სოციალური მოძრაობის მოწინააღმდეგეებიც. თუშელიშვილი მათი აღესილი მასვილი იყო და მზად იყო ქარჭამიდან საშიშვლად. თუშელიშვილის უფოთვა, რაც გიტას სასაცილოდ არ ყოფნიდა თომა ჩუთაშვილისას შეხვედრის დროს, ახლა ნამზადები მტრის უნებლიე გამოტეხად მოეჩვენა:

„მარტო მე არა ვარ მზად, მარტო მე“. იმეორებდა თავისთვის გიტა ვაგონში. — „მინაბირებენ ამხანაგებიც, განა გოლა არ არის, რომ საქმეების წერილმანს არ მაინობს?“ ერთხელ უსაყვედურა კიდევაც. გოლამ გაიცინა, გაუტრიზავა, „აგრე იყავი, ჯერ ჯერობით საქმისათვის“ ჩვენც ვეპარებართო“. გოლა უსინდისოა, გოლა ქლესა და ქოსატყუილაა და მეტი არაფერი. დღეს დილითაც სადღაც გაპქრა შორაბნის სადგურზე. ვიღაც ინახულა ვინ? არ ეკადრებოდა გაემსილა ამხანაგისათვის? მატარებელში გორიდან მათთან ერთად მგზავრობდა აბელ ეზიაშვილი, გოლამ იცოდა, მას კი არაფერი გაუზიდა. ახლაც დამერება მატარებელში, რადა, რისთვის? ჰკითხავ, გეტყვის არაფერი, არავინ, ხი... ხი... ხა... ხა...

— უშმაკივით მივხვდი! — გაიგონა ამ ფიქრში გართულმა გიტამ შეუჩინებლად მოსულ გოლას ხმა — სწორედ იქ მოდის იოკიმე თუშელიშვილიც, სადაც ჩვენ მივდივართ. და თუ ჩვენ კრებაზე შეეხვდებით ჯულაშვილს ეგენიც იმ კრებაზე იქნებიან, ესე იგი იოკიმე და ერასტი დვალი, როგორც მუშტიერესთა წარმომადგენელი, ჩვენს საპირდაპიროდ.

— როგორ თუ იქ?

— კამათია, თავიანთ ფრთის შეხედულებებს დაიცავენ, სულ მცირე, რა მოხდება და რა ითქმება ამის მოწმენი მაინც გახდება.

— ვინ, ნოქარი თუშელიშვილი?

— დაივიწყე, რომ ნოქარი იყო, ხედავ ვინ ჰყავს ფარად? საზღვარგარეთიდან დაბრუნებული, მსოფლიო მუშათა მოძრაობის ბუდეში ნაწრობი მუშა, ხა... ხა... ხი... ხი... მაგრამ ვაი მაგ საცოდავის ბრალი. იმდონი მოხედება, რამდონიც რუსის დარაბანდს არ მოხვედრიო. — გოლა ფანჯარას აყუდდა. ქალაქის ნაგლეჯით ორთქლი გადააცილა მინას. ბუქის კორიანტელში გახვეული მატარებელი სწრაფად მიიკვლევდა გზას ხეში. თოვლის სქელ ფენას გადაეგლო გორაკები და ამ ირგვლივ სითეთრეში, კუბრივით შავად

შხულით შოედინებოდა ყვირილა. იოკიმე, ბარძიმი, თომა, ელიზბარი, თევლე, რუსუდანი, ბალთიანთ სონა, დაუდგა გიტას თვალსა გონების წინ. რუსუდანი! ნეტავ არ შეხვედროდა ამ უკანასკნელად. ერთხელაც, ^{მეტი რაღა გინდა?} ^{დღესასწაულებს} ^{სოფელზე} ^{ნაკლებ} ^{ხომ} ^{არ} ^{გაეატარებდი} ^{თბილისში?} ^{მიაქციე} ^{ყურადღება,} ^{რომ} ^{საუზმეზე} ^{ჩაის} ^{ყოველ-} ^{თვის} ^{მე} ^{გისხამ,} ^{ერთხელ} ^{ვიღებზე} ^{ავარდნილი} ^{ლილიც} ^{მიგიკერე} ^{და} ^{ძაფი} ^{კბილით} ^{მივაწყვიტე.} ^{ერთხელ} ^{შენს} ^{ოთახშიც} ^{შევიპარე} ^{და} ^{აურ-} ^{დაურიე} ^{იქაურობა?"}

ისე კი წავიდა, უფრო წაიყვანეს, რომ უკანასკნელი სიტყვა უთქმელი დარჩა.
— რაზედ ფიქრობ? სადა ხარ, საით ჰქრის შენი გონება? — უთხრა გოლამ და თვალბში ჩააცქერდა ფიქრებში გართულ ამხანაგს.

— სად ვიქნები?

— სადღაც შორსა ხარ, განა არ ვიცი შენი მეოცნებე თავისა? ვიცი კი სადაც ხარ და ვისთან. სამწუხაროდ, დარიგებაც, ამხანაგური რჩევაც არ შემიძლია. აი მოვედით კიდევაც, გაჩერდება და ჩავალთ.

თოვლით დაფენილ ქუჩებსა და ბაქნებზე დადიოდნენ ჭვარტლისფრად გაზუნული მადნის მუშები და რკინიგზელები. მდინარესა და სადგურს შორის გორბივით იდგა ჩამოზიდული მადნის, პატარა ორთქლმავლები მკვირცხლად დასრიალებდნენ სატვირთავ ჩიხებში და კიოდნენ, წმუოდნენ, ორთქლსა და კვამლს ჰფენდნენ შიდამოს. გოლა და გიტა სადგურის უკანა მხარეს გავიდნენ, სადაც მათ კიბის ძირად დახვდათ აბელ ეზიშვილი თავისი განუყრელი ზურჯინით.

— არავინ ჩანს? — ჰკითხა გოლამ.

— მეც ახლა გამოველ. — მიუგო ეზიშვილმა.

— აი მოდრის! — თქვა ისევ გოლამ და ყველამ გზისაყენ ვახედა. თოვლის დრმა, ნაკვალევში თოვლის სიმაღლეს მტკაველად აცილებული მოდიოდა ვიღაც. გიტას იგი ბავშვი ეგონა. ბავშვმა მსწრაფლ გამოირბინა. თოვლის ორღობეთი, დადგა მათთან და მოსულების სახე რომ კარგად გაერჩია, თითქოს ქორს შესცქერისო პაერში, თავი ასე ასწია. ახლა შეამჩნია გიტამ, რომ მოწიფული ვაჟკაცი იყო, დაგრეხილი უღვაშებით. მან ხელი ჩამოართვა გოლასა და აბელს, უკანასკნელად გიტასთან მივიდა, შესცინა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— გამარჯობათ, ბატონო აგრონომო, კეთილი იყოს თქვენი ამ ჩვენ შავ ქალაქში ჩამოზრძანება.

გიტამ ხელი ჩამოართვა და დაამტერდა, ვერ იცნო. მოსულმა კვლავ უთხრა:

— ჰო, ვერ მიცანით?

— ვერა. — გამოუტყდა გიტა.

— ის მაინც აღარ გახსოვთ, ნერგები რომ ვაჩუქეთ?

— ჰო! — შესძახა გიტამ და ხელმეორედ ჩამოართვა ხელი ისაკა ბარბაქაძეს, რომელიც ორჯერ იყო თავადის მამულში, — აჩაჩა ურმით შრომელი თიხის ჭურჭელი დაჰქონდა გასასყიდად — ჭირნახულზე გასაცვლელად. იაგორა ბელთიშვილისას ათევედა დამეს. სოფელში ჭურჭელს ჭირნახულზე

სცელიდა. ღორას ჩაფს უდგამდა, ქალებს ეძვირებოდათ, ჩია ტანის რამ იყო, დასცანოდნენ კიდევაც. გიტამაც იყიდა ერთი ურემი ჭურჭელის მასაჟის საგან, რაც მამულის ინვენტარში ჭირდებოდა; მერე, რაკი ვერცხვით მასაჟის იყო, კვირტში მყნობა ასწავლა ზებილისა, მისგანვე მიიღო თავისი კუთვნილი პროკლამაციები, რასაც ისაკი იმერეთიდან ქართლში ეზიდებოდა ჭურჭელის საზიდი ჯინით გვიმრის ჯარჯში ჩამალულს.

— მაშ აქ მადნის ამოღებაზე მუშაობ?

— დილ, ჩემო ბატონო, შიგ უშაგულ ქვესკნელში ურტყამ წერაქვს. ჩემს მამაბაბას კიდევ რა უშაგადა, მიწას ზემოდან დასჩერებოდნენ, მე კი მიწის ქვეშ ვარ ცოცხალი და მკვდარს ვინ გამაფრენს ზეცაში.

— რად არ მითხარი, თუ მადნის მუშა იყავი — უსაყვედურა გიტამ.

— თქვენ, ჩემო ბატონო, არ გკათხავთ, მეც, რაზედაც არ მკითხავენ, არ მიმაჩნია იმაზედ საჭიროდ ლაპარაკი. ეგეც არ იყოს, თანდათან გაცნობა სჯობს უეცრივს. წამობრძანდით, სანამ თოვლი ნაბულს იკრავდეს, ისედაც ნოტიოა და მერმე ვაგვიქარდება, მანძილი შორი არაა, შარა შეღმართო გვაქვს ასასველები დიდი და ვაკის ხალხი აქ ნელა თუ ივლის.

ისაკიმ ჩონა შემოიკარწყა, შემობზრიალდა, გაჰყვა თოვლის ნაკვლევს, მას სხვებიც მიჰყვნენ, ეზო გადასჭრეს, დიდ გზაზე გავიდნენ, მდინარის აღმა იდღეს გეზი. მერე მარჯვნივ გაუხვიეს, პერევისის გზას შეჰყვნენ — ჯარბელისკენ. გზაში დადებული თოვლი მადნის მზიდველ ურემებს გაედღვებათ. ჰყლაპი იღგა. ნოტიო ძვალსა და რბილში ატანდა. მიდიოდნენ ნელის ნაბიჯით. მარტო ისაკიმ იცოდა, სად უნდა მისულიყვნენ ქართლელი სტუმრები. ეს ნღობა ახარებდა მას და მის ბატარა პირისახეს ენერგიულ იერს ჰმატებდა.

აძლეგდა რა ამ ნღობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ისაკი თავის თავში ისეთ თვისებებს ეძებდა, რამაც აქამდე მიაღწევინა. პოულობდა კიდევაც მათ, ერთს მეორეს უმატებდა, ალაგებდა და ბიოგრაფიასავით აყალიბებდა. ეხლა მას განსაკუთრებული სურვილი ჰქონდა დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე გადმოეშალა ვინმესთვის თავისი ცხოვრება. და როდესაც აგრონომისაგან გაიგონა: „რომელი სოფლიდან ხარო“, ისაკის სიხარულით გული აუჩქროლდა.

— მე ჩემო ბატონო, — დაიწყო ნელი ხმით ისაკიმ, — ტუნელის მუშა ვარ, გამრეკლის უბანში. თქვენ თითონ ნახავთ იმ ტუნელსაც და მთელ საბადოსაც. გეიცნობთ ჩვენ მუშებს. მეგეწონებთ მათი შეკავშირება. საიდან და სადაური არ არის იქ მოსულა და ძმებივით შობაბუნებულად კი ცხოვრობენ: ქართველი, სომეხი, თათარი — თითონ სათათრეთიდან, ოსი, ჩაჩანი, ბერძენი — თითონ საბერძნეთიდან, „პერსიანი“, რუსი, ლემენცი, იტალიელი, ფრანკული და ვინ მოთელის კიდევ სადაური. მუცლის მოთხოვნილება ამაზე შორსაც წიყვიანს კაცს. გამიგონია ბატონო, ჩვენი კაცი კიტაიაში და ამერიკაში არისო. ერთი სიტყვით ბევრი სხვადასხვა ნაციის ხალხი ვართ და ერთ ტაფაში ვიწვით ერბოკვერცხივით. ისე, ბატონო, ჩემი სოფელი აქედან შორს არაა, ისევ შორაპნის მარჯვნივ. გეცოდინებათ მდინარე ძირულა, მის პირად მდებარეობს, ვაგეგონებათ შროშა, ხორითი, მაქათუბანი, გეზრული, ჩხირიული, ტყემლოვანი, ბორიდი, ერეთი, ვერტყვილა და ვაშლევბი. ამათზე მიწამწირი და შიერი ალაგი თელ იმერეთში არაა. ვლენობაც ვაუნათლებელია. მიწამ მოსავალი არ იცის, ამიტომ ძველთაგან აკეთებენ აქაურები თიხის ჭურ-

ქელს ჩაფსა, დერგს, დორას, ქოთანს, ჯამებს, სურას, კრამიტს, ქუთქა და ქვევრსა, კეცსა და თაღარსა, ქოცოსა და თინეს. დაუდებენ უწყვეტად იელიან მთებს, გაცვლიან ქართლში პურსა და ქერზე, სიმინდსა და ლობიონზე, ხაზესა და კუმუშტოზე, ქარხალსა და მუხუდლოზე. მეიტანებენ იმერეთში და შეივსებენ წლის სარჩოს. თქვენ რომ ქართლში მეჭურჭლეები გინახავთ — იმერლები, — ყველანი, მე რომ სოფლები ჩამოგიტყალოთ, იქაურები არიან. მე, ბატონო, ჭურჭლის კეთება არ ვიცოდი, ცხოვრებულმა მამაჩემმა არ მასწავლა ეს ხელობა. თუმცა არც არაფერი ამ ხელობაში ჰყრია. ქალაქშიც და სოფელშიც ყველგან თუჯის ჭურჭელი გავრცელდა. თიხას აღარავინ ყიდულობს. თექვსმეტი წლის შევიქენი თუ არა, სხვა ჩემ მეზობელ ბიჭებივით რცხილის გულიდან წერაქვის სატარე გამოეკოპიბე ნაჯახით. გვიდგევი მხარზე და წამოვედი შავ ქვაში სამუშაოდ. ათისთავმა შემოიყვანა ტუნელში, მიმაყენა პლასტზე და მითხრა: ჰა იმუშავეო. ის დღეა და ის დღე: ვმუშაობ და ვმუშაობ, ვერტყამ წერაქვს შავი ქვის მადანსა. ჰა მე გამოვლეე, თუ ის მომინელებს. დილით ცისკარზე შევალ ტუნელში და გამოვალ იქიდან კარგად დალაშქრულში — თუ გარედ საქმე მაქვს. თუ არა და შიგ ვრჩები, მიწა თბილია სიღრმეში, გარედ ცის ქვეშ ყოფას, ისევე იქ სჯობს. ბინა არა მაქვს, ქალაქში ოთახი მაძინისხლადია. ჰო და ასე ვიქცევი, როგორც მოგახსენე. დავალბა თუ შემხვდა რამე დღის ნათელს მაშინ თუ დევინახამ, როგორც დღეს აგერ თქვენ რომ დაგხვდით „სტანციანზე.“

— დავალბით დაგხვდით მამ დღესა? — გაიკვირვა გიტამ.

— კი ბატონო. შიკრიკად ვარ ერთი ბედნიერი შემთხვევისა ჩემი სიმალის წყალობით. როგორც ხედავთ, ტანად პატარა ვარ, თუმცა არ გეგონოთ წერაქვში ვინმე წინ ვაუშვა. ჩემზე მეტ მადანს კაცი ვერ მოჭრის. ხერხიცი ვიცი მუშაობისა.

— რა შემთხვევა იყო ის, ან ეგ შენი ტანადობა რა შუაშია? — დაინტერესდა გიტა.

— მოგეხსენებათ ალბათ, ბატონო, ჩვენთან ჯულაშვილი ხშირად დაიარება. ორგანიზაციები აქვს საბადოებზე. ერთხელ სასწრაფოდ შეიქნა საჭირო კრების მოწვევა. დაგზავნეს მეამბეები ტუნელებში, დაგზავნეს, მარა დაწყვეტილები დაბრუნდნენ. მოგეხსენებათ, ტუნელები ძლიერ დაბალია და შიგ საშუალოზე დაბალმა კაცმაც კი ორად მოკეცილმა უნდა იაროს, თვარა თავს აკრავს მალა, შუბლს გეიტებს. პირველად დაგზავნილი ხალხი ისე დაღლილიყვნენ წელ-მობრილი სიარულით, რომ კაცად აღარ ვარგოყვნენ. მეორედ ვეღარ წვიდნენ სხვა მადაროში. ბევრის ნდობაც არ შეიძლებოდა საიდუმლო საქმეში. ახალ მეამბის არჩევაზე დადგა საქმე. ჯულაშვილმა ჩემსკენ გამოიხედა. მე მაგიდასთან ვიდექი ახლოს, ბეჭებით ოდნავ ვიყავი აცილებული მაგიდის ნაპირს.

— შენ ისაკ რას შერები, დაჩოქილი ხომ არა ხარ, მასწავლებელმა გაკეთილის უცოდინარობაში ხომ არ დაგბიჭირაო.

— არა-მეთქი, დაჩოქილი კი არა, ღმერთმა ასეთი გამაჩინა-თქვა — არ დევიბენი მეც.

— სწორედ ჩვენი საჭიროებისათვის გაუჩინებარო, ტუნელში შენ მოკეცვა კი არა, თავის დახრაც არ დაგჭირდებო. გვიშველე, აბა დანარჩენებს დაურბინე და შიკრიკობაც დღეიდან შენ გევალებოდესო. ხომ ამხანაგებო — ჰყოთა იქვე მდგომთ.

— ძალიან კარგი იქნებაო, — ერთხმად თქვეს იმათაც. წავედი. სიბრძნე-
ლით ფეხს არ ვაღვამიდი მიწაზე, მიეფრინავიდი. ათი ვერსი გზა ამ წყნარობაში
მოვრკინე მგონია. ყველა მეცხუყვანე თავის ალაგას. ეს რომ კარგად გააგონა-
ვიდა, მერე პროკლამაციაც მომცეს ტუნელებში დასაყრელად. ამისი რომ გე-
ვეჩვიე, მერე თითონ მე ვთხოვე ამ პროკლამაციებს სოფელში წავიღებ-
ოქვა, გლეხებს დაუროგებ-ოქვა. მაგას რაღა აჯობებსო, — მოთბრეს იმათაც.
ესეც რომ კარგად გამომივიდა, მერე თითონ დამავალეს, პროკლამაცია იქ-
ნება უფრო შორსაც გაავრცელოო. მეც უთხარი შეუძლებელი არა არის-
ოქო. ზაფხულობით შინ ვმუშაობ და ქართლში ტურპელი დამაქვს კირჩა-
ხულზე გადასაცვლელად, იმ მაშინ წავიღებ და დავარიგებ-ოქო, ქართლს მოე-
ფენ-ოქო. პროკლამაციებს გავავრცელებ აგრეთვე მეტურპელ იმერლებში,
რომლებიც ქართლ-იმერეთის გზაზე არიან გაკრული დღე და ღამესა-ოქო.
ესეც შევასრულე. თქვენ თითონ მოგეხსენებათ, აქი თქვენი თავადის მამულ-
სა და სოფელში ჩამოვიტანე და გავავრცელე. ვგ რა არის? ბიძაშვილები ჩა-
მოვიდნენ სალდათობიდან „ოტბუსკში“. იმათაც ჩოლწყვე „სუნდუჯის“ ძირ-
ში და ჯარში დაყრა დავავალე. ასეთია ბატონო, ჩემი ისტორია, ქე ვარ ახლა
გვარიანი არაღვევალური მომუშავე. ასე თქვენიასთან საბათრო ხალხის ად-
გილას მიყვან-მოყვანისაც მიაღებენ ახლა. კიდევ ბევრ სხვა წერილმანსაც.
საიდუმლო საქმე ისეთი რამაა, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანია იქ. თვარა
ჩავარდება ამხანაგი მტარვალების ხელში, დვილუბება კაცი და ორგანიზაცია.

გიტა მუსიკასავით ისმენდა ისაკის ნაამბობს, რაც უფრო მალა მიიწევდნენ
შეღმართში, ის უფრო ღრმა პატივისცემით იმსჯელებოდა ამ ქონდარა ვაჟ-
კაცისადმი. ისაკი წინ-წინ მიდიოდა ჯარბულის შეღმართში, თოვლს აკვლევდა
ნახევრად შიშველი ფეხებით, თან მგზავრებს საუბრით იყოლიებდა.

— არ გეშინიათ, ოჯახი არა გყავთ? — ჰკითხა გიტამ.

— „შეში ვერ იხსნის სიკვდილსა“, — ნათქვამია: უშიშრად აბა როგორ იქ-
ნება? მართო უგონო კაცს არ აქვს შიშის გრძნობა. გასაკეთებელ საქმეს კი
ვაკეთებ. სიფრთხილე კაცს ყოველგან გეიტანს. ოჯახი კი მაქ, დედმამაც
მყავს ვაშლევში. ძმები აქ მუშაობენ სხვა უბანში. ცოლი კი ჯერ, არ შემირ-
თავს. მერე იგება კი ერთი, მარა ქალის მშობელ-ნათესაობა ყოყმანობს. ძალი-
ან ბოგანო ხარო, შეიძინე რამეო, მერე წეიყვანე ქალიო.

— ქალი რას ამბობს მაგაზე?

— ქალს, ბატონო, რა ეთქმის. გაზაფხულზე, ოქონობას წავედი ჩხირო-
ულში დღეობაზე. ქალი იქაურია. მამაჩემის სვინის მეზობელი გახლავთ. კაი
ჩოხა-ახალონი, წულა-მესტები, ქული და ქამარ-ხანჯალი მაქ ჩემ პირობაზე.
ჩვეიც-ღვეიცხურე ყველაფერი. ხუთი მანეთი ფულაც ჯიბეში ჩავიდე. ეკლე-
სიაზე მივედი. ღვდილი წირვად იყო. დიდი ეზო აქ იმ ეკლესიას. ხალხით
იყო სავსე. ჯერ, როგორც წესია, საყდარში შევედიო, მერე სათითაოდ გა-
მოვიკრფეთ ბიჭები, დევიყარეთ თავი, გავედით ერში და სიმღერა ვთქვიო
სოფლურიც და აქაური, კიათურული, მუშების სიმღერა. მეწონათ, ყველა
ჩვენ შემოგვეხვია. მერე ფარდულებსაყენ გაყსწიეთ. რა გინდა სულო და
გულო იქ არ იყო, კვასი, ლიმონათი, ღვინო და „ვოლკა“. ხონელებს არღანი
მოეტანათ, ქართლიდან მედაფაზურნებიც იქ იყვნენ. დავლიეთ და ვიშხა-
რულეთ. გაეგო მამიჩემის სვინას ჩემი იქ ყოფნა და რაღას მომეშვებოდა.—
ისაკი, თუ ხათრი გაქვს, ჩემსა მოდი სადილად, კეთილგბი მყავს დაპატივე-
ხულიო. ი ჭოგოც ქე ვადმივივლის საღმე ჩვენსკენ და ჩემი ნაქები შენი

თვლით შეამოწმეო. მაღლობა შევსწირე. წვედი, მივედი. დიდი სუფრა იყო გაშლილი. ნასუქი ბურაკი დევლა, დედლები დევხოცა. მზადი მზადი, მზადი ში, შემწვარი და მოხრაკული, ღვინო ხომ რაღა — ბატის კუკის ფერი. აქაც დავეკეით და გადავკართ. მარა ტოლუბაში ჩამიდგა კრიჭაში. გამოცლის ყანწს, გაიკრავს მასრებზე, მესვრის, აბა თუ ბიკი ხარ და ნუ დაიჭერ. ალავერდიო, გიძახის სუფრის გადაღმიდან. მცდიდა, ღვინოში რა ხასიათი მაქვს. აქაური ქალი მეძლევა. თურმე ქალის ნათესაფია და მე რა ვიცი.

ნასადილევს ეზოში გამოვედით კაკლის ქვეშ. გავთოდა დიდი წრე. დაუკრეს დაირა. ჩემისთანა ლეკურს, ტყუილია, კაცი ვერ დაუვლის, რომ არ მოგატყუო, ხუთ კაცს და ხუთ ქალს გამოვიითამაშებ, დავლი და მე ისევე ვიტრიალებ წისქვილის ბორბალივით.

ამ დროს ხელები რომ გამიშლია და წრეს დაეტრიალებ, ქე ვხედავ, მე რომ ქალი მეძლევა, აგერ დგას წრეში წინ და უკრავს ტანს. ქალი ეშმაკია, ბატონო, დამინახა და იმიტომ მოვიდა იქ. გვექანე იქით ხელებ გაშლილი, მიუთამაშე და მოუხადე ქელი, გამოვიწვიე საცეკვაოდ, ქე იუარა, მარა აღარ გაუვიდა. გოგობმა ხელი კრეს, გამომიგდეს წრეში. დაგქროლე, გვევიოდე, — გემქცა, შემომიტია და დაეხიე, შეუტეე და დაიხია, მერე მხარდამხარ წავედით, ვითომ მოვრიგდით და ამ დროს გაეკარი კატის ბრწყალივით მკაწრავი სიტყვა: რას ფიქრობ-თქვა?

— მე თანახმა ვარ, გინდა მომიტაცე, გინდა გამოვიძარებო, მარა დედმამასთან თუ მორიგდები, ის აჯობებს, დიდი ნაამაგარი ვარ სახლზე, უზითვით გასვლა მიჭირსო.

ახლა ის მამიჩემის სენია არის ჩამდგარი შუაში და გვაჩივებს. აწი კი რა ვა იქნება საქმე, ერთმა ღმერთმა იცის. მარა რაკი ქალსაც უნდა, იმედი მაქვს. ქალმა თუ მოინდომა, მერე საქმე ვაკეთდება — სხვანაირად არა გამოვირა.

— დიად, აგრეა, ათასჯერ მართალი ხარ, — ემოწმებოდა გიტა ფიქრში.

სიარულსა და მუსაიფში სამკაო დრო გასულიყო. საათი დღის პირველს უჩვენებდა. აღარ თოვდა. ქარს ღრუბლები გადაერეკა-გადმოერეკა, რაკის მთებისკენ, -საწალიკის მწვერვალებზე მიეყარნა. მუქად ჩნდა ლურჯი ცა. თოვლზე მზის სხივები ბზინავდა. მგზავრები ასულიყვნენ პერევისის მაღლობებზე, დასჩერებოდნენ ქალაქს.

ბეკობებში მოსჩანდა გვირაბები. მათ წინ მუშები ფუსფუსებდნენ. გამოპტონდათ წიაღიდან მადანი, არჩევდნენ, ცხრილავდნენ, ურუმებს ტვირთავდნენ.

— პატარა ხნით შემიცადეთ ბატონო, წავალ, მოქებნი იქ ვინც საჭიროა და ახლავე გეახლებით. — შემოიხეწეწა ისაკი ბარბაქაძე, აბელ ეზიამვილს ხელით ანიშნა, შენ უკან გამოწყეო და თბუნელასავით თითქოს მიწას ამოეფარაო, ისაკი თოვლსა და მადნის გროვებში ჩაიმალა.

გიტა და გოლა მარტოდ დარჩნენ მაღლობზე, ისინი ათვალეირებდნენ მდამოს. აგრონომი ბურჩებთან გაყინულ კვირტებს წყვეტდა, უკვირდებოდა, სცნობდა. ადგილიდან გადუნაცვლებლად ბარემ ათი სხვადანსხვა მცენარის კვირტი შეაგროვა, მიუტანა გოლას და დაიწყო:

— იცი თუ არა, გოლა, აქ, იმერეთში, რა მიწა და ჰავაა? ისეთი მშვენიერი, რომ მთელ დედამიწის ზურგზე ასეთი რამ არ მეგულება. აქაური მიწას მორწყვა არ უნდა, წვიმა თამამად ყოფნის. ნიადაგის შემადგენლობაც საუკეთესოა. არ არის ისეთი მცენარე, რომელსაც მან თავისი ძუძუ არ აწოვოს და არ დაავაყვაცოს. აქაური გლეხი რად უნდა გრძნობდეს სარჩოს ნაკლებობ-

ბას, უხილობას, უბოსტნეულობას? აქაური ქალაქები რად უნდა ეზიდებოდნენ სხვა ქვეყნებიდან სასამელ-საქმელს? მე ამას ვერასოდეს ვფიქროვებოდე, ვერა და ვერა. მე ცოცხალი ადამიანი ვარ, ვხედავ ამას და ვფიქროვებოდა კიდევაც ჩემი მიწა-წყალი.

— მერე რა, რომ ხედავ. ეგ არ კმარა. სურვილები იქნებ სხვასაც ბევრი აქვს. შენ უნდა ეცადო, ეგ შენი სურვილები და მეცნიერული აზრები გაავრცელო, შთაუწერგო გლეხობას, მთელ ხალხს.

— აღვილია? ხალხს ვინ დაგანებებს?

— მაშინ უნდა წაართვა ხალხი, ვისაც იგი ხელში უჭირავს. შესცვალო მთელი სახელმწიფო შენობა.

— მაგას თაობათა ბრძოლა უნდა!

— არა, ამას ჩვენ ვიზამთ, გიტა, მე, შენ, შენი მებაღეები, ისაკი, ეზიაშვილი. ჩვენ, ჩვენი თაობა და მეტი არავინ.

აგრონომი დადუმდა. ბექობის იქიდან რაღაც ხმაური მოისმა. ოთხიოდუცხენოსანი გამოჩნდა. ისინი ზევიდან ამოვიდნენ. დასუქებული ცხენები სპილოებივით მძიმედ მოაბოტებდნენ. ცხენოსნები ევროპულ კოსტუმებში იყვნენ ჩაცმულნი, უცხოურ ენაზე საუბრობდნენ.

— ვინ არიან? — იკითხა გიტამ.

— ამ საბაღოს მებატრონეები გახლავან. მე მათ ძლიერ კარგად ვიცნობ. მაგათ ხელშია ამ მიწის ქვეშ ჩამალული სიმდიდრე. რად არის ეს ასე? იმისთვის, რომ ჩვენი კაცი არსად სჩანს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენივე ხალხის მარჯვენით დაამუშაოს. ჯანდაბას — თუნდაც იგივე კაპიტალისტი, მყვლეფელი. რას შერებიან ჩვენი თავად-აზნაურნი, მეფის სამსახურში მყოფი ქართველი ჩინოსნები და ვაჭრები? გასწყდეს მაგათი ქოჭი. თავიანთ კუჭს ჩასჩერებიან, გამოძღებიან, გამოილეშებიან და ჭირხედ არ ჰყიდიან თავისი ქვეყნის და შეილების ბედი და მომავალი. მაგათი უნიაღობისა და ეროვნული შეუგნებლობის გამო ილიასი, ნიკოლაძისა, ზუბალოვებისა და სარაჯევის ღონისძიებები ეროვნული სიმდიდრის დაგროვების დარგში ამოიხლმოჩნდა, დარჩა ხმელ მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა. რა უნდათ აქ გერმანელ თუ სხვა ერის წარმომადგენლებს ჩვენი სიმდიდრის პატრონებად? იცი, გიტა, ამას რა შეიძლება მოჰყვეს? ჩაიგდებენ ხელში ერის მთელ სიმდიდრეს. მერე იტყვიან სიმდიდრე, მიწა-წყალი ჩვენია და თქვენ ვინა ყრიხართო. აღიგავეთო, თუ არა და ბრძანდებოდეთ შეეზოვეებად, კარის კაცებად და მზარეულებადო.

აღგვა მოგველის, აღგვა მაგათ ხელში. გადაგვარება და საშობლოს სამუდამოდ დაკარგვა. და კიდევ იმიტომ უნდა მოხდეს რევოლუცია, რომ მაგათგან გაესწმინდოთ ჩვენი ქვეყანა. ხოლო რადგან იმედი არაა და არც საჭიროა ქართველი მყვლეფელი კლასი შეიჭმანას, რადგანაც ჩვენ უკვე ვარსებობთ ქვეყანაზე და უნარიც მოგვეპოება ქვეყანას ეუპატრონოთ, — რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიყვანოთ მოძრაობაში ყველაფერი, ძალა-უფლება მოვიპოვოთ. სახელმწიფოს სადავე ჩავიგდოთ ხელში. ნუ თუ ვერ ვივარგებთ, გიტა, რა დაგვემართა ასეთი?

— როგორ ვერ ვივარგებთ, მაგრამ ეგ ამბავი ოცნებას წააგავს.

— არაფერც, ეს ფაქტია! რად მიყვარს ჯულაშვილი? ერთი ნახე და ესაუბრე. პერსპექტივას გაგიშლის, შორს გააგზავნებს. გაგიძღვები სიცოცხლისა და მოქმედების სურვილით. მარგანეცის გაზიდვა რად გვინდა, ჩვენ თვითონ

უნდა გამოვადნოთ ამ მადნიდან ლითონიო. ავაგოთ ფაბრიკები და ქარხნებიო, ყველაფერი ჩვენი ქვეყნის საძირკველზე დაეფუძნოთ, ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვისო.

გიტა გულმოდგინედ უსმენდა, ოცნებაში წასულს მოკრეფილი კვირტები ხელიდან დასცვენოდა. გოლას დადუმებას წამიერი სიჩუმე მოჰყვა. ეს სიჩუმე ქუსილით ცის გარღვევისა და მიწის სკდომის წინა წუთით შემზარავი იყო. ქუსილიც გაისმა უცებ.

— აგრონომო გიტა მეზვარიშვილო, რით არ ვარგინარ შენ მიწათმოქმედების მინისტრად!

— გოლა, დაჩემდი, თუ ძმა ხარ, კმარა, ნამდვილად ჰკუაზე შემშლი... მე ხომ არ შემიძლია არ გისმინო! მაშ დამზოგე. ჩემი სისხლი, ძარღვები და გული მოგდევს, მოგყვება, გონება კი ერთბაშად ველარ ახერხებს შენი თქმულის განსჯას.

— „დოლოგ მნე ეშო პრიდიოტსა ტებია პრიუჩაც კ დერზოსტი“ — ჩაურთო რუსულად გოლამ, გადაიხარხარა. ისაკი ბარბაქაძე გამოჩნდა, „მობრძანდითო“ ანიშნა. ისინიც უმკვლევ თოვლში დაეშენენ დაღმართზე. გვირაბში შევიდნენ. აქ გამოირკვა, რომ კრება შესდგებოდა შექრუთში, ჩაჩანიძის ბინაზე, რასაც ამ ჯერად ჯულაშვილი ვერ დაესწრებოდა: იგი შეეჩერებია საქმეებს ბათუმში.

— უიღბლო ვარ, — უსაყვედურა თავის ბედს მეზვარიშვილმა. ბარბაქაძის თანხლებით შექრუთის გზას გაუდგნენ.

ჩაჩანიძისას მზად იყვნენ სტუმრების შესახვედრად. სოფელში და გზაწერილებზე გზირები და მეთვალყურეები იდგნენ. დიდი კრება უნდა შემდგარიყო. მუშმცირესების და მუშმრავლესების კამათს მოელოდნენ. ყველას აინტერესებდა, რამ გამოიწვია განხეთქილება სოციალ-დემოკრატიულ მთლიან პარტიაში. რას ებირებოდა ერთი და მეორე.

გიტას და გოლას აღარ გააკვირვებიათ იოკიმე თუშელიშვილის დანახვა. მას თან მოჰყვებოდა აქტიორივით წკიპზე გამოწყობილი ერასტი დვალი. ღრმა და ყელუბიანი ციმბირული გალოშები ეცვა, ტანთ საზღვარგარეთული პლაშჩი ემოსა, სპილოსძვლიან ტარით ეკირა საზღვარგარეთულივე ქოლგა: ამოვიდა აიენაზე, დაკეცა და დაიაზებით გადასცა სახლის პატრონს. იოკიმემ გაფხვერილი ერასტი დვალი წარუდგინა გოლასა და გიტას.

— ჩვენ ერთად მოვედით, დავივიწყეთ დროებით, რომ ერთი მეორეს იდეებიდან ცა და მიწასავით დაცილებული ვართ, — განმარტა იოკიმემ.

პირველ შეხედვის უმალ შეზიზღდა გიტას ერასტი დვალი. იგი უკვე საუბრობდა გოლა კამკამიძესთან. აჩანალეზდა თავს, ხანდახან ტუჩს იწევედა, ჯაგარა ულვაშის ძირებს იფხანდა. მერე თითქოს სიტყვას მუცლიდან მიიმე ტყვიასავით ეწევაო, ურთავდა:

— ენახოთ ეგ როგორ იქნება, მაგაზე თანახმა ვარ, აი ეგ კი აგრე არაა ინვლისში.

— მე კი მაინც არ მესმის, — შეუტია მას ერთხელ გოლამ. — თქვენ თითონ ექსპლოატატორი ხართ, მუშათა მოძრაობას კი ემზრობით.

— მერე რა? გლეხად დაბადებული, მუშა გაცხდი, მერე მცირეოდენი ქონება დაფაროვე, სახელოსნო გაცხენი. ამაში ცუდი რა არის. თუ სოციალიზმი დამყარდება, მაგას რაღა აჯობებს. მაგრამ სადაა? ჯერ ცარიზმიც ვერ შეგვირყვია, პრესაც შებოქილია. — ამბობდა იოკიმე.

რახან გამოირკვა, ჯულაშვილი არ მოვაო, უმეტესობამ აღარ მოიხილეს კრების ჩატარება, თუმცა მეუმიცირესეები ძალაზე იყვნენ, სწორედ ახლა უნდა ჩავატაროთ კრებაო. იფიქრეს, დრო მოგვეცა, ყველაფერი ჩვენი ხელშია. წყვეტო, როგორც ვესურსო.

მეუპრავლესეები ამას არ დაეთანხმნენ და კრებაც ჩაიშალა. მასპინძელიც მეუპრავლესეთა სასარგებლოდ იყო განწყობილი და ამან ყველაზე მეტად იმოქმედა შეკრებილებზე. — სოფელში სტრახნიკები ამოსულანო, — განაცხადა მან, — დაერიდეთ თქვენი ჭირიმეთ, არავეინ ჩავარდესო.

გიტამ და გოლამ გადასწყვიტეს იმ სადამოსვე გაბრუნებულ იყვნენ გორს, ოკიიმე თუშელიშვილი წინააღუდგა მათ სურვილს.

— პირდაპირ გადავალთ აქედან დარკვეთის სადგურამდე. სადამოს მატარებელს მიუტყობთ, მივალთ საჩხერეში, იქიდან რაღაც ნახევარ საათს მოუნდებით შალაუტრამდისო. ქართლელებს უბურმარილოდ როგორ გავიშვებთ, იმერლებს მაგრე არ წახდენიათ ჯერ საქმეო. — ის ეპატიყებოდა ერასტი დვალსაც, რომელიც უარზე იდგა.

— რა გაჭირვებისთვის მოვიკლა თავი? თქვენ წაბრძანდით, მე ამაღამ აქ გავითევ, ხვალ გვახლებით ჩემს გზაზეო.

— ეგეც აგრე იყოს, მაგაზე მეც ვეთანხმებით — დაცინვით უთხრა მას გოლა კამკამიძემ და იოკიმეს მიუბრუნდა. — ხომ კარგად გავკაბობ და გამოვკაბინებ?

— იმე! ეგ საქმის ერთი მხარეა. — დემოწმა იოკიმი.

— მეორე მხარისა კი შენ იცოდე.

აიჩქარეს, გასწიეს. ნამბულისაგან გათქვეფილ თოვლში ფეხების თვაფუნით, სიცილ-ხარხარით მიაშურეს დარკვეთის სადგურს.

სოფლის თავში, საიდანაც ზევის ფრიალო დაღმართი იწყებოდა, იოკიიმემ წამით შეაჩერა სტუმრები.

— შეხედეთ იმ სოფელს! ის კალვითაა, ახლა — გადაღმა ტაფობსაც მოავლეთ თვალი. რამოდენიმე კვადრატული ვერსია. მიწის მზომელები მეუთობენ, ადგენენ რუკას. მე შევიძინე ამ მიდამოს ქვესკნელები ჭუფი. მართალია გამძვრა ტყავი, ეს არაფერი. გაზაფხულზე გამრეცხი ქარხნის მშენებლობას ვიწყებ, კამპანიონებად შემყავს ელიზბარი და ჩემი სახლიკაცი. ყველას გივო ჩარექაშვილი მერჩია, ეს არის, ვერ შევიტყუე ამ საქმეში.

— მამ ჩვენ სტუმრად მივდივართ ჩვენს მოსისხლე მტერთან — მადნის მებატრონესა და მომავალ მრეწველთან. როგორ მოგწონს გიტა, ეს ამბავი? — თქვა გოლამ და ხარხარით მძლავრი ხელები დაავლო მხრებში იოკიმეს, მოუტყირა, შეარზია.

— სწორედ აგრეა! — ხარხარითვე უბასუბა იოკიიმე. თითონაც ჩაავლო გოლას ხელები მხრებში, არა ნაკლებად შეანჯღრია. თან ლაპარაკობდა, — სწორედ აგრეა, სწორედ, ოღონდ ეხლავე კი ნუ შევეპიდებით ერთმანეთს.

დილით ყველას გამოვლვიძა იოკიიმეს მამის ძველ სახლში. რცხილის კუნძებით სავსე ბუჩხარში მზიარული ცეცხლი გიზგიზებდა. თონეში პურს აცხობდენ. სწავდნენ გოკებს. იხარშებოდა ძროხის ბეჭი. ქვევრებიდან სხვადასხვა ფერის და ჯიშის ღვინოს იღებდნენ. გარბოდნენ მოპატიყეები. ქართლელები იყვნენ სტუმრად. იმერლები ასეთ სახათრო ხალხს კორბოულიდან ჩამოვლილ მაჭარაშვილივით ხომ ვერ დახვდებოდნენ.

(გაგრძელება იქნება)

3. კვლევა

შავი ღვინო

სამედიკალური ჟურნალის თითოეულ, სულ მცირე უბანსაც კი ჰყავს თავისი საყვარელი გმირები, თავისი რჩეული შვილები, ამის მასწავლებლები. ეს ბუნებრივია და გასაგები.

ადგილობრივი ჯანდაცვის ხასიათი და ამის პირობების თავისებურება გამოიწვევს ხოლმე ოფიცისა და მებრძოლის ისეთ ტიპს, როგორც ყველაზე უფრო საჭიროა სწორედ მოცემულ მომენტში. რასაკვირველია, ყველასათვის საჭიროა მამაცობა, ყველასათვის აუცილებელია შეუპოვრობა, მაგრამ არ არსებობს ზოგადი, უნივერსალური მამაცობა ცხოველების ყველა შემთხვევისათვის. ზოლო შეუპოვრობა, თუ იგი სადღეისო ამოცანების მიხედვით არ გამოიყენე, შესაძლოა სულელურ ჯიუტობად იქცეს.

ციმბირელისთვის, ტაიგებში გაზრდილი კაცისათვის ტყეში ბრძოლა უფრო ნაცადია და ადვილი, ვიდრე მთიელისათვის, მაგრამ მდინარეებთან მხარის მცხოვრები, თუნდაც რომ იგი დიდი მამაცობით არ გამოირჩეოდეს, მაინც აჯობებს ტყიანი მხარის მცხოვრებს და მთიელს მდინარის ზღუდეებისათვის ბრძოლებში.

მაგრამ გეოგრაფია ყველაფერი როდია იმში. ბოლოსდაბოლოს, მთიელი იწყებს საუცხოოდ ბრძოლას ტყეში, ზოლო ტყიანი მხარის მცხოვრები ტრამალზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვათუღმა მათგანმა თავის „ზღვარს“ მიაღწია და სხვა რამ, ამაზე უფრო მეტი, აღარ შეუძლია.

სხვათაშორის იმში და, ალბათ, მშვიდობიან ცხოვრებაშიც მთავარია მანერა, მიზანშეწონილი მოძრაობათა შორის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, რომელსაც წარმატება უნდა მოჰყვეს, „სვლა“, რომელიც უზრუნველყოფს თამაშის მოგებას. დღეს ეს „სვლა“ მდგომარეობს იმის უნარში, რომ ჩაეჭოდ მიწას და ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაიხიო, მაგრამ შესაძლოა ზვალ ამან თამაში არ მოგაგებინოს, რადგან პირობები შეიცვალა და ახლა საჭიროა სულ სხვა „სვლა“, ახლა საჭიროა წინ გაჭრა და მტერზე მკერდით ძეგრება.

მანერის მნიშვნელობის შეგრძნება სამხედრო ოსტატობის მწვერვალია და ის, ვინც ამ ოსტატობას პფლობს, იქნება იგი სერეანტი თუ კაპიტანი, ყოველთვის უფროსი მეთაურების პატივისცემითა და ამხანაგების უდიდესი სიყვარულით სარგებლობს.

არაან ასეულისა და ბატალიონის მასშტაბას ასეთი სუფორიები და ბაგრატიონები, რომელთა სახელი ჰქუხს მთელ დივიზიაში, მთელ არმიასი და ზოგჯერ მთელ ფრონტზედაც. ასეთი სახელის მოხვეჭა ყოველთვის,

განსაკუთრებით პირველი შეხედვით, როდია გასაგები პირველად იგი წარმოვიდგება, როგორც პრიმიტიული პატრიოტიზმი, მომწველელი პირველად თუ პოლკის ჩარჩოებში, როგორც „მოდა“, როგორც შემხატვენი, როცა ჩაუკვირდება, ყველაფერი მარტივი და გასაგები ხდება: ამ პატარა მეთაურში ხორცი შეუსხამს სწორედ ამ თვისებებს, იმ ნიჭს, რაც ახლა აუცილებელია იმისათვის, რომ არმიამ, დივიზიამ თუ პოლკმა გამარჯვება მოაპოვოს. და ეს მეთაური, ყველაზე თავდადებულიც რომ არ იყოს ის, — სულ ერთია, მას სამუდამოდ შერჩება მტრისათვის ყველაზე უფრო თავზარდამცემი მეომრის სახელი. ამხანაგების თვალში იგი იქნება ყველაზე უფრო გულდაც და ყველაზე უფრო ბრძენიც იმიტომ, რომ იგი ახლა ყველაზე უფრო საჭიროა. სწორედ ისეთი, როგორიც ის არის, ახლა ყველა უნდა იყოს და კიდევ იქნება.

როცა პირველად მიაბნეს ანაბის 414-ე დივიზიის ბატალიონის მეთაურზე ორგზის ორდენოსან კაპიტან შალვა დავითულიანზე, მე მის მიმართ არ აღმძვრია ის ინტერესი, რომელსაც იგი სინამდვილეში იმსახურებდა, მაგრამ ამ სახელს მრავალი ხალხი იმეორებდა სხვადასხვა ვარიანტით. მას სხვისთვის მაგალითის მაჩვენებლად სთვლიდნენ, კიდევ შეშურდით მასი სახელი, აკვირდებოდნენ მას და ჰბაძავდნენ. მეც უნებლიეთ დამამახსოვრდა დავითულიანი და უფრო დაწვრილებით გამოვაკითხე იმის ამბავი. ვეკითხებოდი იმათ, ვინც მას პირადად ყი არ იცნობდა, არამედ იცნობდა ომში, ბრძოლაში.

და აი მე საშუალება მომეცა შემეგროვებინა ყოველივე ეს და ჩამეწერა, რასაც ბედნიერ შემთხვევას ვუმაღლი.

ტამანის ნახევარკუნძულისა და ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში, გერმანელების „ციხფერი“ ხაზის იერიშისა და გარღვევაში წარმატების ბედს მანევრი სწყვეტდა. საჭირო იყო მტერი გაგვეტეხა, გაგვერღვია მისა თავდაცვა, მაგრამ სათანადო მიმართულებით და არა მთელ სივრცეზე, საჭირო იყო მტრის შებოკვა, გარშემორტყმა, იზოლირება, ყოველ წუთს ალღოს აღება, საკუთარა გადამწყვეტილებით რისკის გაწევა თვალის დახამხამებაში, როცა უყურებ შენს პატარა მანევრს დივიზიის, არმიის და, კიდევ მტერი, — მთელი ვეებერთელა ფრონტის დიდი მანევრის ფონზე. ყოველი წვეთი წყალი ნაკადად უნდა იქცეს და შენც, მოქმედებ რა როგორც წვეთი, თავი ზღვად უნდა წარმოიდგინო.

და აი მთლიანისაგან განუწყვეტლობის ეს გრძნობა, ალბათ, კაპიტან შალვა დავითულიანის ის მთავარი ნაჭი იყო, რომელმაც იგი შედმევში ცნობილი გახადა. როცა მტრის გარშემორტყმის ამოცანა წამოიჭრებოდა, დავითულიანი მყისვე მიიღებდა გადაწყვეტილებას და ოდნავადაც არ შესცვლიდა მას. მაგრამ ამავე დროს თავის თავს დაუსახავდა დამატებითს ქვეამოცანებს — როგორ შეესრულებინა ის ისე, რომ ნაკლები მსხვერპლი გაეღო და რაც შეიძლება მეტა ზარალი მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის.

როცა გარღვევის ამოცანა წამოიჭრებოდა, დავითულიანი გრძნობდა, სად იყო საჭირო გაჩერება და წარმატების განმტკიცება. იგი იმიტომ არ გაჩერდებოდა, რომ მამაცობა შემოაკლდებოდა, არამედ ამას მოათხოვდა ფიზიკური და სწრაფი განაგარიშება, რასაც შთაგონება ეწოდება და რაც მხოლოდ საქმის ოსტატთა ხვედრია.

და მიუხედავად იმისა, რომ კაპიტან დავითულიანის არცერთი წარმატება, არც ერთი საგმარო საქმე თავისი მასშტაბით არ წარმოადგენდა რისკულსა და მეს, რაც მამაცობის, გულადობის ან მეომრის ხელოვნების გამოხატულებას წილდება — იგი დღითი-დღე სულ უფრო პოპულარული და საყვარელი ხდებოდა. იგი ასეთი ვინმე იყო, ვინც მანევრის გრძობას თავის თავში ატარებდა, როგორც მომღერალი თავის თავში ატარებს სმენას, ან სწავლავს — მხედველობის სიზუსტეს. მეომრის ნიჭი ძნელი და მძიმეა. ასეთ ნიჭ-აკვირდებობას, მისგან სწავლობენ, მასთან ერთად უკეთ იბრძვიან, ვიდრე სხვებთან, ავი ამდიდრებს მის ირგვლივ მყოფთ და ისინიც უფრო ძლიერნი ხდებიან, ვიდრე იყვნენ.

გაიხედავთ და უკვე გაჩენილან მისთანები: ერთი, მეორე, მესამე, მეოცე-ნიჭი მრავლდება. ნიჭი თავის ნაჭუჭში არ ჩერდება, ავი ხალხს საქიროებს, რომ გამოვლინდეს.

ალბათ, სწორედ ამან გახადა დავითულიანი ცნობილი მანამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე იგი ყველაზე უფრო სასახელო საქმეს ჩაიდენდა ტამანისათვის უკანასკნელ ბრძოლებში.

დავითულიანის ბატალიონი იერიშით მიდიოდა სიმალის ასაღებად. ახლა, როდესაც გერმანელები მირეკილი იყვნენ ზღვის ნაპირთან და მათი „ცისფერი ხაზი“ იღეწებოდა, ჩვენი მხრით ოდნავი დაყოვნებაც საკვდილს უდრიდა.

რაც შეიძლება სწრაფად წინ გაჭრა, — ასეთი იყო ყოველი მანევრის იდეა. არც იერიშის სიძნელეს, არც დანაკლისს, არაფერს არ უნდა შეეცვალა მოძრაობის ტემპები. წინ გაჭრა, წარმატება, სიცოცხლე — ერთი სისწრაფით ვითარდებოდა.

დავითულიანის ბატალიონი აღიოდა მაღლობზე, ყოველ მეტრ მიწას ბრძოლით იპყრობდა. გერმანელებს გადმოჰყავდათ ახალი ძალები და თითქმის განუწყვეტლივ კონტრიერიშებზე გადმოდიოდნენ. ერთ-ერთი მხარე უნდა ჩასანგრებულყო. ეს ყველაზე უფრო ადვილი იყო დავითულიანისთვის, რადგან იგი მაშველ ძალებს ელოდა და მანამდე უნდა მოექანცა და სისხლისაგან დაეცალა მტერი.

ეს იყო ყველაზე ადვილი და ყველაზე ყალბი გადაწყვეტილება. და ამიტომ კაპიტანმა ეს გზა არ აირჩია. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საერთო მანევრის იმ ძირითად იდეას, რომელსაც ეწოდებოდა სიტყვა სისწრაფე.

როდესაც საიერიშო სიმალის ფერდობებზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, როცა შეიქმნა იმის საფრთხე, რომ გერმანელები უკუაგდებდნენ ბატალიონს მის პირვანდელ პოზიციებამდე, დავითულიანმა ერთ-ერთ თავის ასეულს უბრძანა — „წინააღმდეგ ყოველგვარი ვანიერებისა“ — სოლიდით შეტრილიყო გერმანელების განლაგებაში. ალბათ, როგორც ეს ყოლეთვის ხდება ხოლმე, იყვნენ წინდახედული რეზონიორება, რომლებიც ფიქრობდნენ: ეს არის რისკი! ეს არის ავანტურა!

მაგრამ კაპიტანის გააზრებანი არ ყოფილა არც რისკი და მით უფრო არ ყოფილა ავანტურა, ამასი იყო მხოლოდ ერთი რამ — წინ სვლის აუცალბელობა!

ვინაიდან ის, ვინც ამ წუთებში იწვა და გერმანელს არ ერეკებოდა, ვერ იქნებოდა დავალების ასე შემსრულები, როგორც ეს მოფიქრებული და

ორგანიზებული იყო. ასეული სოლივიტ შეიქრა გერმანელების გაილაგებში. გერმანელებმა მისი კვეთება გაიგეს როგორც სასოწარკვეთასმარქმეში გახელების აქტი და, შესაძლოა, როგორც მათი ისედაც საკმაოდ უმსკეპისპის ნერვების მოსინჯვა. მათ მაშინვე ყველა თავისუფალი ძალებით გარშემო-ერტყნენ მას (უპა ალბათ რა რიგ გაზარებული იყვნენ ისინი, რომ აჯობეს ქართველებს, რომლებმაც ვერ მოითმინეს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებ-ნენ). გარშემოერტყნენ რა ასეულს, გერმანელებმა მისკენ მიმართეს თავიანთი ნაღმსატყორცებისა და ტყვიამფრქვევების ძირითადი მასის ცეცხ-ლი.

გათავხედებულ ქართველებზე გამარჯვების სიახლოვე აღიღებდა მათ, ისინა ჩქარობდნენ. მათ ბრძოლაში ჩააბეს ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნ-დათ. დაეითულიანი ამ დროს გერმანელებს ფლანგებიდან უტევედა თავისა დანარჩენი ორი ასეულით.

დამარცხება პირველი ასეულისა, რომელმაც თავისთავზე მიიღო უსაშინ-ნელესი დარტყმა, აუცილებელი იყო. გამარჯვების გასაღება მის შეუპოვ-რობაში იყო ახლა, როდესაც ამ ასეულმა ეს გასაღები ხელთ იგდო, დაეი-თულიანი სხვა ორ ასეულთან ერთად დადიოდა, დარბოდა, აქეთ-იქით დახ-ტოდა გერმანელების გარშემოსარტყამად. მან ადვილად უკუაგლო ისინა, შეტყრა რკალი სიმაღლეზე, მთლიანად მოსპო ყველა, ვინც ამ სიმაღლეს იცავდა და გაეშურა წინ, რათა პირველი ყოფილიყო მტრის მდევნელთა რიგებში.

შესაძლოა, მე კარგად ვერ აესწერე ეს შესანიშნავი იერაში, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ ნაჩქარევად გაკეთებულ აღწერაშიც ნათელი უნდა იყოს კაპიტან დაეითულიანის ზასიათი. მისი დიდი, ნამდვილი მეომრული სა-ჭელის სათავე, მისი ნიჭის ფესვები.

— ეს არის დაეითულიანი! — ლაპარაკობენ მის შესახებ.

დიდება მეომარს, რომლის მარტო ერთი სახელი საქმის ზასაათსა და სტილს განსაზღვრავს.

რუსეთი

6. ბიზონი

სამი საღებრძელო

მო, სიყვარულის ავსწიოთ თასი,
შშობლიურ ქვეყნის საბედნიეროდ,
შენ, დედამიწავ, გადიდებთ ასე,
შენც — ქარიშხალო, მხნე და ძლიერო.

ყველგან: მზეა თუ სიციფე თოშავს,
ყველგან: დღეა თუ მთვარე კაშკაშებს, —
მუდამ ფარავდეს სიშართლის დროშა,
სამშობლოსათვის მებრძოლ ვაჟაკებს.

რომ ჩვენს ქვეყანას დავუდგეთ მცველად,
რომ საკუთარი დავიხსნად ბინა,
ჩვენს გმირულ დროშას, — საყვარელ ბელადს
გამარჯვებისკენ მივყავდეთ წინა.

მო, სიძულვილის ავსწიოთ თასიც,
რომ დაისაჯოს მტერი წყვეული,
ძირს ვარდებოდეს ყორნების დასი,
ცეცხლში იწვოდეს მათი სხეული.

საკუთარ სისხლის ტალღებს ენაყოს
სადმე, უფსკრულში ლეშად გდებული,
მათგან არცერთი აღარ ენახოთ
გერმანიაში დაბრუნებული.

უკან მისდევდეს ველურ კისკისით
სიკვდილის ბრბო და... ძრწოდენ ციებით,
და მათ სხეულებს წვავდეს გიზგიზით
ცეცხლი სახალხო შურისძიების.

კიდევ მესამე ავსწიოთ თასი
და ვადღეგრძელოთ ის დრო და ეამი,
როცა გაჰქრება მძარცველთა კლასი,
და ფაშისტების მძვინვარე შხამი.



საქართველოს
მწიგნობართა
კავშირი

რომ სიცოცხლის ხმა ტკბილი, მზიური
ისმოდეს ყვევით გულის ძგერაშიც, —
როგორც სიმღერა ატლანტიური
ისმის ტემზის და ნევის ბგერაში.

რომ გაჰქრეს ღამე აედარიანი,
დღეებს ემატოს ბრწყინვალე დღენი,
რომ შეეხას გრძნობდეს ადამიანი,
სიცოცხლის ჰაერს სუნთქავდეს ღრუნით.

თარგმანი ალიო მახაშვილისა.

3. ანთოლოგია

მოსკოვის ღამე

და ერთხელ კიდევ სცადა მტერმა გამოჭრილიყო
ღრუბელთა შორის და მშობლიურ მოსკოვს დასხმოდა.
ის არამზადა, ბერლინელი მკვლელი და ბრძოლი
გაჩირაღდნებულ ზეიმისკენ იმედით ჰქროდა.

მხეცი სევები, აფხორილი სსსტოი ფრთებით,
თავს დაგვიჩაოდნენ მთელი ღამე მანქვით, უგვანოდ,
მოჰქონდათ ტყვია, ცეცხლი, ნგრევა მათ გააფთრებით,
მაგრამ ჩვენებმა გადაარეკეს შორს სამუდამოდ.

ნისკარტდამძვრალი ბევრად ბევრი ახლა, ვით ზვინი,
გდია მოსკოვის მისადგომთა ცვრიან ბაღებში.
წუთით აენთენ რუმინეთის ნაძარცვ ბენზინით
აი ისინიც — დალეწილი რომ ჰგვანან ნახშირს.

და აი ისიც უსაშიშრო, ღრანუ-მოქცეული,
ცაში ას ნაჭრად დაიშალა — ერთი რასა ჰგავს.
როგორც გორილა ცად იწედა გუმინ წყეული,
ახლა შეხედეთ, მეგობრებო, ნამსხვრევთა ნაგავს.

ამხანაგებიც განაბულან, ქცეულან სმენად;
ესმით, ვით დასცეს ეს ურჩხული გრგვინით მიწაზე,
ხედავენ კიდევ მისი მგლური კბილების ღრქენას
და დალეწილი ჯვარის ნატებს ძვალტყავა ფრთაზე.

თარგმანი შ. აფხაიძისა.

სტ. შანიკაშვილი

მოდის ზამთარი

მოაგვარსკვლავებს ცის ტატნობს ყინვა,
ტიტველ ტყეს წისლის შემოსავს თექვა,
და ფრონტის მიწა, ფეხის შეხებით,
რკინისებურად დაიწყებს რეკას.

აგრიალდება, ცას მიანარცხებს
თოვლების ნამქერს ქარი ფრთიანი.
რუსულ ზიშტივით მტერს ეკვეთება
ყინვა სასტიკი და სუსხიანი.

მოდი ზამთარო, უმძვინვარესო,
ემატოს ძალა შენს ფრთებს რისხვიანს.
კენიგსბერგიდან ქერა პაულო,
აქ რისთვის მოხველ, ვინ მოგიწვია?

გაფიჩხდი მანდეე, სითბოს ნუ ელი,
თმებს დაგივარცხნის ქარი ტიალი.
დე, შშვიდად იწვნენ თოვლში, პირადმა,
მკედლარი ფრიცები, ზუნებიანი.

ბასრი ზიშტებით, მძლავრი ტანკებით
მოვსპობთ ვერაგ მტერს, აღსაფსებს გესლით.
რუსული ყინვაც ჩვენთან იბრძოლებს,
როგორც მოლაშქრე უერთგულესი.

თარგმანი **ხარებონ ვარდოშვილისა.**

ბრძოლის ველი

მოსჩანს სოფლები თოვლით ფარული,
და მაღალ ზეცის ტატნობი ვრცელი,
ირგვლივ სანგრები შემოჯარული,
და ბრძოლის ველი — ცეცხლის სარბენი.

ისმის გუგუნის სასტიკ ბრძოლების,
ყუმბარის ბათქი მტრის სანგრებს ლეწავს.
მგრგვინავ ქვემეხთა ცეცხლის ზოლები
ელვარე დაღად ევლება ზეცას.

არტილერიისტი იბრძვის გმირულად,
ხელმარჯვედ ურტყამს, არ აცდენს მიზანს,
მიაბნევს თოვლებს ზარბაზნის ლულა,
გარბის მტრის ჯარი განრთხმული მიწას.

მძაფრდება ბრძოლა. მოანგრევს სივრცეს
გამძვინებელი მღორიბის ქარი,
მტკიცე ნაბიჯით წინ-წინ მიიწევს
მტერთა მძლეველი — წითელი ჯარი.

თარგმანი **ზარიბონე ვარდოშვილისა.**

იოსებ უბინი

ჩემო ძვირფასო, თუ ველარ გნახე

ჩემო ძვირფასო, თუ ველარ გნახე,
ყური არ ვუგდე შენს ნაზ ბარათებს,
იცოდე, სხვისი არ მხიბლავს სახე,
სჩანს ცივ მიწაში ღამეებს ვათევ.

სჩანს ჩემს სამყოფელს ფოთლები მოსავს,
ქარი და წვიმა ჰანგებს ატირებს...
ასეთ სიჩუმეს და შინ არ მოსვლას
შენ და სამშობლოც მე მაპატიებს.

თქვენთან ვიყავი, თქვენი მშობელი,
და ბედნიერი გაგზდი სავსებით,
რადგან სატრფო და მიწა მშობელი
მე შემეყვარდა მთელი არსებით.

სანამ არ იტყვის ნანას ქარები
და ნაძვი, საფლავთ შემამკობელი,
მანამ ძვირფასო, თქვენ მეყვარებით.
ჩემი სატრფო და მიწა მშობელი.

მაგრამ მე მოგწერ... მტერს დაემარცხებ,
აზღებ, გული რასაც ევედრა.
სიკედლის ნაცელად ელის მამაცებს
დაბრუნება და ტკბილი შეხვედრა.

თარგმანი მიქელ პატარიძისა.

ჯიხის ჯიხისი

ლრუბლის ქუდა

რვა წელში განვლო მას შემდეგ, რაც ნორს-უოლის ნავმისადგომთან მიაცილა მან თავისი მეგობარი და ბედნიერი მგზავრობა უსურვა. მას შემდეგ გალახერს დიდ წარმატებებისათვის მიეღწია. ეს მაშინვე ეტყობოდა გატაცებული მოგზაურის ჩვევებისა, მსუბუქი უჯრედოვანი კოატიუმისა და თამამი ტონის მიხედვით. ამ ქვეყნად იშვიათად მოიპოვებიან მასავით ნიჭური და, უფრო ნაკლებ, წარმატებისაგან გაუფუჭებელი ადამიანები. ხუმრობა როდია — გყავდეს ისეთი მეგობარი, როგორც გალახერია.

ნასაუზმევი ციკქნა ჩენდლერის ფიქრები გალახერთან შეხვედრისა, გალახერის დაპატივებისა და სატახტო ქალაქის ცხოვრების გარშემო ტრიალებდნენ. ციკქნა ჩენდლერი იმიტომ უწოდეს, რომ ჩია კაცი სჩანდა, თუმცა ნამდვილად მხოლოდ საშუალოზე ოდნავ დაბალი იყო. ბელები პატარა და თეთრი ჰქონდა, სხეულის აგებულება — სათუთი, ხმა — წყნარი, მანერები — დახვეწილი. ძალიან ზრუნავდა თავის აბრეშუმივით ნათელ თმასა და პატარა ულვაშებზე და მისი ცხვირსახოცი ნელმაცხებლის ოდნავ საგრძნობ სურნელს გამოსცემდა. ფრჩხილების ფერები საუცხოვო მოყვანელობისა ჰქონდა და როცა იღიმებოდა, გამოსტკვიოდნენ მიჯრით მიწყობილი კბილები ბავშვისა.

სასამართლოს პალატაში თავისი კანტორის წინ იჯდა და ფიქრობდა, თუ რა ცვლილება მოხდა ამ რვა წლის განმავლობაში. მეგობარი, რომელიც ნიადაგ უფულოდ და გაცვეთილი ტანისამოსით დაიარებოდა, ლონდონის ბრწყინვალე ურნალისტი გამხდარიყო. ჩენდლერი ზანდისხან თავს ანებებდა მოსაწყენ ქალადებს და ღია სარკმელს მიაპყრობდა თვალებს. შემოდგომის დაისის ზაფრანისფერი გადააქვროდა ხეობასა და კვადრატისებურ გაზონებს.

ფაშისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის თვეებში პარიზიდან გაიქცა და 1941 წლის იანვარს შვეიცარიაში გარდაიცვალა ჯე მს ჯო სი (დაიბადა 1882 წ.), მე-20 საუკუნის ანგლო-საქსური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ავტორი სახელგანთქმული რომანისა „უღოსი“. წარმოშობით იგი ირლანდიელი იყო. თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. ჯე მს ჯო სი ზიზლით შეყურებდა გერმანული ფაშისმის ბარბაროსობას ევროპის კონტინენტზე.

ჯო სის ერთ-ერთ პირველ პროზულ ნაწარმოებს წარმოადგენს ნოველების წიგნი „ღუბლანელები“ (1914). ლიტერატურულად თავისი რეალიზმით და ჰუმანიური თანაგრძნობით პატარა ადამიანებისადმი, რომელიც ცხოვრების უკუღმართ და გამოუვალ რკალში მოქცეულან, უაღრესად დამახასიათებელი მოთხრობა იმ წიგნიდან „ღრუბლის ქუდა“ ჩვენი ურნალის ამ ნომერში იბეჭდება.



ოქროს მტერი მოწყალედ ეფრქვეოდა უსუფთაო ძიებებსა და მიზან-
 ნილ მოხუცებს, რომელნიც მერხებზე სთვლემდნენ. შუქი თამამოდ და მკაცრად
 ფერზე, რაც მოძრაობდა — ბავშვებზე, ეფილით რომ დარბოდნენ მო-
 კირწყულ ქუჩებში, და გამელულებზე, პარკისაკენ რომ უხვევდნენ. ციცქნა
 ჩენდლერი შესცქეროდა ამ სურათს და ფიქრობდა ცხოვრებაზე და (როგორც
 ყოველთვის, როცა ცხოვრებაზე დაფიქრდებოდა) მოიწყინა. მან შეიგრძნო,
 თუ რა ფუქია ბრძოლა ბედთან, — ასეთი იყო ტვირთი საბრძნისა, საუკუ-
 ნებებმა რომ უანდერძეს მას.

მოაგონდა ლექსების პატარა ტომები, შინ თაროებზე რომ ეწყო. ისინი
 ჯერ კიდევ უცოლობისას ჰქონდა ნაყიდი, და ხშირად, საღამოობით, პატარა
 ოთახში ჯდომისას მოიწადინებდა ხოლმე ჩამოეღო თაროდან ერთი მათგანი
 და ცოლისათვის წაეკითხა. მაგრამ ყოველთვის გაუბედაობა აჩერებდა, და
 წიგნები ისევ ისე რჩებოდნენ თაროებზე. ზოგჯერ თავისთვის იმეორებდა
 ლექსებს და ეს ამოშინებდა.

როცა მისი სამუშაო დრო ამოიწურა, ადგა და თავზიანად დაემშვიდობა
 კანტორასა და თანამომუშავე ამხანაგებს. სასამართლოს პალატის საშუალო
 საუკუნის თალიდან გავიდა იგი — წესიერი, მოკრძალებული ფიგურა და
 ფეხს აუჩქარა გენერიტ-სტრიტზე. მეწამული დაისი ფერფლებოდა. უკვე
 აგრილებულიყო. ქუჩა ფთფთებდა ქუჩყიანი, ძინძებიანი ბავშვებით. ის-
 ნი იღვწენ ან დარბოდნენ ქვაფერილებზე, დაცოცავდნენ კბეებზე გაღებუ-
 ლი კარების წინ, ისხდნენ ზღურბლზე თავგებივით სულგანახულნი. ციცქნა
 ჩენდლერი არ ამჩნევდა მათ: ის მოხერხებულად მიიკაფავდა გზას ამ მოფულ-
 ფუსე ხლართში, ჩამოფხავებულ ბუნდოვანი სასახლეების თავანების ქვეშ,
 სადაც ძველად წარჩინებულნი ღრეობდნენ. მაგრამ წარსულის სურათები არ
 ესახებოდნენ მას, იგი სასიხარულო აწმყათი იყო ავსილი.

ციცქნა ჩენდლერი არასოდეს არ ყოფილა „კორლესში“, მაგრამ კარგად
 იცოდა, რომ ეს იყო მარჯა. მან იცოდა, რომ თეატრის შემდეგ იქ მიდიოდნენ
 ზამანწყის საქმელად და ლიკიორის შესასვამად. და მას გაეგონა, რომ ოფი-
 ციანტები იქ ფრანგულად და გერმანულად ლაპარაკობდნენ. როცა საღ-
 მოობით აჩქარებული შორი-ახლო ჩაუვლიდა, ზედაედა — შესასვლელთან
 ჩერდებოდნენ ეტლები, იქიდან გადმოდიოდნენ მორთულ-მოკაზმული მან-
 დილოსნები თავიანთი კავალრებითურთ და სწრაფად იმალებოდნენ კარებში.
 მათ ეცვათ შრიალა კაბები და მსუბუქი მანტოები. შეუბღრული სახეები
 ჰქონდათ, და საფეხურიდან გადმოსვლისას ისე აიწევდნენ ხოლმე ქვედა
 სამოსს, თითქოს ატალანტები ყოფილიყვნენ. გვერდით რომ ჩაუვლიდა, პირს
 არ იბრუნებდა მათკენ. ჩვეულებად ჰქონდა დღისითაც-კი ჩქარა ევლო ქუ-
 ჩებში, ხოლო როცა ქალაქის ცენტრში გვიანობამდე უხდებოდა ყოფნა, თით-
 ქმის გამობროდა და ერთსა და იმავე დროს შიშსა და აზნებას განიცდიდა.
 ზოგჯერ-კი თვითონვე ეძებდა საბაბს შიშისათვის. უფრო ბნელ და ვიწრო
 ქუჩებს არჩევდა და თამამად მიაბიჯებდა წინ. და სიჩუმე, მისი ნაბიჯების
 ირგვლივ განრთხმული, ამინებდა მას. ხოლო დრო-და-დრო მიყრუებული და
 წუთიერი აფეთქება სიცილისა ფოთოლივით ათრთოლებდა.

მან გაუჩვია მარჯვნივ, კეპელ-სტრიტზე. ეგნატე გალახერი — ლონდონელი
 ეურნალისტი! ვინ მოელოდა ამას რვა წლის წინათ? თუმცა, წარსულს რომ
 გადაავლებდა თვალს, ციცქნა ჩენდლერი მომავალი დიდების მრავალ ნიშანს
 ჰპოულობდა მასში. გალახერს ჩვეულებრივ ავარას ეძახოდნენ და მართებუ-

ლადაც: იმ დროს იგი წყალწილებულ ადამიანებს შორის დაეთრეოდა, ბევრს
ლოთობდა და აქეთ-იქით ფულს სესხებოდა. ბოლოს ჩააბნეს ბინძური ტყვე-
რიამი, — რაღაც აფიორისთვის. ყოველ შემთხვევაში ასეთი ენაღობა
ვერსიათავანი მისი გაქცევისა. მაგრამ მისი ნიჭის უარყოფა არავის შეეძლო.
ეგნატე ვალახერიმ ყოველთვის იყო რაღაც... შთამაგონებელი პატივისცემისა
ადამიანებისათვის, მათივე ნება-სურვილის წინააღმდეგაც-კი. მაშინაც, რო-
ცა ჩამოფლეთილი ტანსაცმლითა და ჯიბე-ცარიელი დაეხეტებოდა, იბტი-
ბარს არ იტეხდა. ციკქნა ჩენდლერს მოაგონდა (და ამ მოგონებისას მსუბუ-
ქად შეუფთავალა ლოყები), ვალახერი რომ ამბობდა სიდუხჭირის ემს:

— ერთი წუთი შესვენება, ბიჭებო! — ამბობდა უდარდელად, — დამაცათ,
ტვინი გავანძრო!

მთლიანად ეს იყო ეგნატე ვალახერი და — დალახეროს ეშმაქმა — შეუძ-
ლებელია არ ყოფილიყავ მით აღტაცებული.

ციკქნა ჩენდლერმა ფეხს აუჩქარა. ცხოვრებაში პირველად გრძნობდა
თაქს იმ ადამიანებზე უფრო მალა, რომელთა გვერდითაც ის მიდიოდა.
პირველად ამხედრებულიყო მისი სული კეპელსტრიტის, მურუჯიანი უბად-
რუკობის წინააღმდეგ. უდავო იყო: სახელი რომ მოეხვეჭა, აქედან უნდა წა-
სულიყო. დებლინში არაფრის გაკეთება არ შეიძლება...

ფრატანის ხილზე ვაგლისას სიბრალულით დასცქეროდა ქვევით, მდინარის
გასწორივ, სანაპიროს ლატაქ ქობ-მახებს. ისინი ეჩვენებოდნენ ძონძებიან,
მტვრით დაფარულ და გამურულ მაწანწალებად, სანაპიროზე რომ თვალებს
უხამხამებენ ერთმანეთს. დაისის პანორამით მოხიბლული ეს ქობები დამის
პირველ აცივებას უცდიან, რათა წამოდგნენ, ტანთ გაიბერტყონ და გზას
გაუღგნენ. ციკქნა ჩენდლერმა გაიფიქრა, შესძლებს თუ არა ლექსად გამო-
სთქვას ეს აზრი? იქნებ ვალახერმა მოახერხოს და ლონდონის ერთ-ერთს
განუთმში მოათავსოს იგი? შესძლებს-კი დასწეროს რაიმე ორიგინალური?
ვარკვევით არა ჰქონდა წარმოდგენილი, როგორი აზრის გამოთქმა ეწადა,
მაგრამ იმ შეგნებამ, რომ პოეტური შთაგონების ფრთა შეეხო, კმაჟუერი
იმედი შთაუტასა მას. ჩენდლერმა მხნედ გადადგა ნაბიჯი.

ყოველი ნაბიჯით უახლოვდებოდა ლონდონს და შორდებოდა თავის ფი-
ზელ, პროზაულ ცხოვრებას. სინათლე გამოკრთა მისი სულის პორიზონტზე.
ის ჯერ კიდევ არ არის მოხუცი, — ოცდა თორმეტი წლმსაა. შეიძლება ით-
ქვას, რომ მისი პოეტური ტემპერამენტი სწორედ ახლა დაეაჯაკცა. რამდენ-
ნი განწყობილება და ფიქრი მოეპოვებოდა, რომელთა გამოთქმაც სურდა
ლექსებში! გრძნობდა მათ თავის თავში. ჩენდლერმა დაიწყო საკუთარი სუ-
ლის შეფასება: ნამდვილად ჰქონდა თუ არა პოეტის სული. თავისი ტემპე-
რამენტის უწინარეს თვისებად მას მელანქოლია მიაჩნდა, მაგრამ მელანქო-
ლია, შერწლებული რწმენის აღმადრენით, ბედისადმი მორჩილებით და უწყი-
ნარი სიხარულით. თუ თავისი თავი გამოთქვა ლექსების წიგნში, იქნებ მის
ხმას ყური დაუგდონ. არასოდეს არ გახდება პოპულარული, ვერასოდეს ვერ
დაიპყრობს ბრბოს, მაგრამ შეიძლება იგი მონათესავე სულთა რჩეულმა
წრემ დააფასოს. ლექსების მელანქოლიური ტონის გამო ინგლისელი კრი-
ტიკოსები, ალბათ, კელტურ სკოლას მიაკუთვნებენ. გარდა ამისა, თვითონვე
მიუთითებს ამაზე. ციკქნა ჩენდლერმა დაიწყო ფრაზების გამოგონება მი-
სი წიგნის გამო დაწერილ რეცენზებიდან: „მისტერ ჩენდლერს გააჩნია უნა-
რი მსუბუქი და დახვეწილი ლექსის წერისა“... „მისი ლექსები გამსჭვალუ-

ლია ფიქრნარევი სევდით... „კელტური ნოტები“... ბრალი, რომ მისი ბელ-
რთვა არა-ირლანდიური ჩანს. იქნებ სჯობდეს სახელის შემდეგ დევიზს ვაჭარ-
დაისვას: ტომას მელონ ჩენდლერი. გალახერს მოელაპარაკება ამჟამინდელს

ისე გაერთო ამ ოცნებით, რომ თავისი ქუჩა გაიარა და უკან დაბრუნება
მოუხდა. როცა კორლესს მიუახლოვდა, მღელვარება წინანდელი ძალით დაე-
უფლა და გაუბედავად შეჩერდა შესასვლელთან. ბოლოს, კარი გააღო და შევიდა.

ჩესტორანის შუქმა და ხმაურმა ერთი წამით შეაჩერა კარებთან. ირგე-
ლივ მიმოიხედა, მაგრამ წითელი და მწვანე ჭიქების ელვარებამ თვალები
აუპყრელა. მოეჩვენა, თითქოს ჩესტორანი გაქედილია და ყველანი ცნობის-
მოყვარეობით შესცქერიან მას. სწრაფად მიიხედა მარცხნივ და მარჯვნივ
(ოდნავ წარბ-შეკრულმა, ვითომც სერიოზული საქმისათვის იყო მისული).
მაგრამ როცა თვალები გაუნათდა, დაინახა, რომ თითქმის არავინ მიბრუნე-
ბულა მისკენ. აი იქ-კი, სკამზე ზურგიით მიყრდნობილი და ფეხი-ფეხზე გადა-
ქდობილი, იჯდა თვითონ ეგნატე გალახერი.

— ხელლო, ტომში, ძველს შეგობარო, მოდი ჩამოგექი რა დაელიოთ? რას
იბხოვს შენი სულა? მე ვისკის ვსვამ: ასეთს ლონდონშიაც, ვერ იშოვნი.
სოდით თუ სელტერის წყლით? მინერალური არ გიყვარს? აგრეთვე მე... გე-
მოს უფუქებს... გეთაყვა, გარსონ, თუ ხათრი გაქვთ, მოიტანეთ ვისკი, ორი
პატარა. აბა, რას მიაღწიე მთელი ამ ხნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც
ერთმანეთი არ გვინახავს? ღმერთო მოწყალეო, როგორ ვებრძობით! ძალიან
მეშინება, რომ უკვე მოხუცი ვარ, ხომ? ქაოკოთან გამთეთრებია და შემთხე-
ლებია, ხომ?

ეგნატე გალახერმა ქული მოიხადა და დიდი, მოკლედ შეკრეპილი თავი
უჩვენა. სახე მკვრივი, გაფითრებული და სუფთად გაპარსული ჰქონდა.
აპიდიისებური მწვანე თვალები, მის არაჯანსაღ სიფითრეს ხაზს რომ უსვამ-
დნენ, ნათლად დაკვიფობდნენ ნარიჯისფერ პალსტუქს. ამ ორ კონტრას-
ტულ ნიშანს შორის ტუჩები ძალზე გრძელი და უფერული გეჩვენებოდათ.
შან თავი დახარა და ორი თითით შესაბრალოსად შეიბერტყა შეთხელებული
თმა. ციციქნა ჩენდლერმა პროტესტის ნიშნად თავი გაიქნია. ეგნატე გალა-
ხერმა ხელახლა დაიხურა ქული.

— რა თქმა უნდა, დაიქანცები, — სთქვა მან, — რაა ეურნალისტის ცხოვ-
რება? მუდმივი ფუსფუსი და რბენა. სულ მასლა უნდა ეძიო, ზოგჯერ ვერც
შოულობ. შემდეგ, ეს დაუსრულებელი გამოვიდება. რაიმე ახლისადმი. ჰო-
და, მეც გავიფიქრე: რამდენიმე დღით ეშმაკსაც წაუღია სტამბა და ასოთ-
ამწყობნი-მეთქი. როგორ მიხარია, რომ შშობლიურ ნასახლარზე მოგხვდი.
ხომ საჭიროა, დაისვენო ოდესმე. საამურ, ქუჭყიან დუბლინში მოხვედრისას
როგორცაე სწრაფად გამოვეცოცხლდი. ჰო-და, აი, ტომში, დალიე. წყალი?
მითხარი, როცა კმაროდეს.

ციციქნა ჩენდლერმა ძალიან შეაზავა თავისი ვისკი.

— არ იცი, ჰაბუკო, რა სჯობია, — სთქვა ეგნატე გალახერმა, — მე წმინ-
დას ვსვამ.

— ჩვეულებრივ მე ძალიან ცოტას ვსვამ, — მოკრძალებით სთქვა ციციქნა
ჩენდლერმა, — იშვიათად ერთს ან ორ ჭიქას, ისიც, როცა ვხვდები რომელი-
მე ნაცნობს ძველი კომპანიიდან. ესაა და ეს.

— ჰო-და, — მზიარულად წარმოსთქვა ეგნატე გალახერმა, — დაელიოთ
ჩვენი სადღევგრძელო, გაიხსენოთ ძველი დროება და ძველი მეგობრები.



ერთმანეთს ჭიჭები მიუჭახუნეს და შესვეს.

— დღეს ვილაც-ვილაცები ვნახე ძველი ხროვიდან, — სთქვა ციციქნა ჩენდღერმა, — თხარა რატომღაც არ მომეწონა. რას აკეთებს?

— არაფერს, — სთქვა ციციქნა ჩენდღერმა, — ის შთლად დაეცა.

— ხოგენი, მგონი, კარგად მოწყობილა?

— ჰო, სამიწათმოქმედო კომიტეტში მსახურებს.

— როგორღაც ლონდონში შევხვდი მას. ჩანს, ჰყვავის... საბრალო თხარა! გალოთდა, ალბათ.

— მარტო გალოთება როდია... — ცივად სთქვა ციციქნა ჩენდღერმა.

ეგნატე გალახერმა გაიცინა.

— ტომში, — მიმართა მან, — შენ იოტისოდნაედაც არ გამოცვლილხარ, ინევ ის სერიოზული უმპაწილი ხარ, რომელიც ნოტაციებს მიკითხავდა ყოველ კვირა დილით, თავის ტკივილისაგან დაბორილებულს და ენა დაბმულს... შენ ცოტა უნდა იხეტილო ამ ქვეყნად, ნუ თუ ერთხელაც არსად არ წასულხარ?

— ვიყავი კუნძულ მენზე, — სთქვა ციციქნა ჩენდღერმა.

ეგნატე გალახერმა გაიცინა.

— კუნძული მენი! — სთქვა მან, — წადი ლონდონს ან პარიზს, უმჯობესია პარიზს. სასარგებლო იქნება შენთვის.

— შენ ყოფილხარ პარიზში?

— ცყოფილვარ. ჩინებულად გავერთე იქ.

— პარიზი, მართლა, ისეთი ლამაზია, როგორც ამბობენ? — იკითხა ციციქნა ჩენდღერმა.

მან მხოლოდ ოდნავ მოსვა ჭიჭა, ეგნატე გალახერმა-ვი ერთბაშად დასცალა ძირამდე.

— ლამაზი? — მიუგო ეგნატე გალახერმა, თან შეჩერდა: გემოს ატანდა თავის ვისკის. — არც ისე ლამაზია. არა, რასაკვირველია, ლამაზია. მაგრამ, მთავარია იჭაური ცხოვრება, აი რა მზიარულებსა, ხმაურისა და გართობის მზრივ პარიზის შესადარი ქალაქი არ არსებობს...

ციციქნა ჩენდღერმა თავისი ჭიჭა გამოსცალა და ძლივს ანიშნა ბარმენს¹ რომ კელავ მიეტანა ვისკი.

— ვიყავ მულენ-რუჟში, — განაგრძო ეგნატე გალახერმა, როცა ბარმენმა ჭიჭები წაიღო, — მოვიარე ლათინური კვარტალის ყველა კაფე. ჰო-და, მოგახსენებ, რომ პარიზი არ არის გაჩენილი ისეთი სათნო აღამიანებისათვის, როგორიც შენა ხარ.

ციციქნა ჩენდღერი სდუმდა, სანამ ბარმენი დაბრუნდებოდა ორი ჭიჭითურთ. მაშინ თავისი ჭიჭა მვეგობრის ჭიჭას შეაბო და სადღევრძელო გაიმეორა. ჩენდღერი მსუბუქ იმედგაცრუებას განიცდიდა: არ მოსწონდა გალახერის ტონი და მანერა გამოთქმისა. იყო რაღაც ეულგარული მის მეგობარში, რასაც ის წინათ ვერ ამჩნევდა. მაგრამ შეიძლება ეს იმისაგანაა, რომ ლონდონში ცხოვრობს, საგაზეთო შეხლა-შემოხლასა და კინკლაობაში. წინანდელი მომხიბლაობა იგრძნობოდა თავდაპირის ახალი, თამამი მანერის ქვეშ, და, რაც ვინდა სთქვი, გალახერს უცხოვროია, უნახავს ქვეყანა. ციციქნა ჩენდღერმა შურიტ შეხედა მეგობარს.

¹ ბარმენი — მებუფეტე (ინგლის).

— პარიზში ყველაფერი ვართობს, — სთქვა ეგნატე გალახერმა, — იქ იციან ცხოვრება და დატეობა და განა კარგი არ არის ეს? თუ გინდა, ჩემი დეილად იცხოვრო, პარიზში უნდა წახვიდე. იცი, პარიზელები უმჯობესად ემყრობიან ირლანდიელებს. როცა გაიგეს, რომ ირლანდიელი ვარ, კინაღამ არ დამლოჩვენს, დიად, დიად!

ციცქნა ჩენდლერმა რამდენჯერმე მოსვა თავისი კიქიდან.

— ერთი მითხარი, — დაიწყო მან, — პარიზი მართლაც ისეთი უზნეო ქალაქია, როგორც ამბობენ?

ეგნატე გალახერმა ლეთისმოშიშვით ასწია მარჯვენა ხელი.

— ყველა ქალაქი უზნეოა, — სთქვა მან. — რასაკვირველია, პარიზში შეიძლება საკმაოდ პიკანტური რამის ნახვა. აი, მაგალითად, სტუდენტების ცეკვები. ერთ რამედ ღირს იმის დანახვა, როგორ მიდი-მოდიან ვარდები. იშედა, ვესმის ვისზე ვლაპარაკობ?

— გამიგონია შაგათზე, — სთქვა ციცქნა ჩენდლერმა.

ეგნატე გალახერმა თავისი ვისკი დასცალა და თავი გააქნია.

— დიად, — სთქვა მან, — რაც გინდა სთქვი, მაგრამ არ არის მეორე ისეთი ქალი, როგორიც პარიზელი ქალია... გონება მახვილობის მხრივ, ლაზათის მხრივ.

— მამასადამე, პარიზი უზნეო ქალაქია, — სთქვა ციცქნა ჩენდლერმა გაუბედავი დაეინებით, — მინდა ვსთქვა, ლონდონთან ან დუბლინთან შედარებით-მეთქი.

— ლონდონი! — მიუგო ეგნატე გალახერმა, — როგორიც სადგისი, ისეთი სამკერვალო! ჰკითხე ზოგენს, ჩემო ძვირფასო. როცა ლონდონში ჩამოვიდა, ცოტათი გაეანათლე. მას შეეძლო თვალეტი აეხილნა შენტისს. ყური დამიგდე, ტომში, რაა რომ წრუბავ, ეს პუნში როდია, ერთბაშად შესვი!

— არა, მართლა...

— გაუშვი ერთი, არაფერი მოგივა! რა შეუუყვეთოთ? მე მგონია, ისევ ეს.

— დეე იყოს.

— Francois, თითო-თითო კიქა კიდევ... გავაბოლოთ ტომში.

ეგნატე გალახერმა პორტსიგარი ამოიღო. მეგობრებმა მოსწიეს. უსიტყვოდ აბოლუბდნენ, სანამ ვისკს მიირთმევდნენ.

— მე ჩემს აზრს გეტყვი, — სთქვა ეგნატე გალახერმა და ამოყურყუმელავდა ბოლის ღრუბლიდან, რომელშიაც იგი გახვეული იყო. — ჩვენ ვცხოვრობთ შემლოლს მსოფლიოში. უზნეობა! მე გამიგონია ისეთი შემთხვევები... რას ვამბობ, გამიგონიაო, ვიცი ისეთი... შემთხვევები...

ეგნატე გალახერი ჩაფიქრებით აქოშინდა, შემდეგ მშვიდი, ეპიური ტონით შეუდგა თავისი მეგობრის წინაშე საზღვარგარეთ გამეფებული სიძვის სურათების ვადაშლას. მან ჩამოსთვალა ბიწიერებანი რამდენიმე ქალაქისა. ეტყობოდა, პირველობის გვირგვანი ბერლინისათვის უნდა მიეყუთვნებინა. იყო ისეთი რამე რის გამოც თავის გამოდება არ შეეძლო (მხოლოდ გაეგონა მათ შესახებ). მაგრამ ბევრი რამ საკუთარი გამოცდილებით იცოდა. მან ამხილა ევროპული მონასტრების საიდუმლოებანი, აღწერა ვახრწინილება, მაღალ საზოგადოებაში მოდად ქცეული, და იმით დაამთავრა, რომ დაწვრილებით უამბო სკანდალური ისტორია ერთი ინგლისელი პერცოვის ქალისა, თანაც დადასტურა ამ ისტორიის სინამდვილე.

ციცქნა ჩენდლერი სახტად დარჩა.

— დიად, აჰ, ჩვენ ძველ, მივარდნილ დუბლინში მაგისტანა საგნებზე არც
ცი სმენით.

— შენ, ალბათ, ძალიან მოსაწყენად გეჩვენა აქაურობა, — სთქვა ციკქნა
ჩენდლერმა, — ყოველივე იმის შემდეგ, რაც გინახავს?

— იცი, — სთქვა ეგნატე გალახერმა, — ჩემთვის დასვენებაა აქ ყოფნა.
პო-და, შემდეგ, ეს ხომ მშობლიური ბუდეა, როგორც ამბობენ. შეუძლებე-
ლია არ გიყვარდეს აქაურობა, ასეთია ადამიანის ბუნება... მაგრამ, მომიყევი
საკუთარ თავზე... ხოგენმა მითხრა, რომ შენ... გიმენის¹ სიხარული შეიცნე-
უკვე ორი წელია, მგონი?

ციკქნა ჩენდლერი გაწითლდა და გაიღიმა.

— პო, — სთქვა მან, — მისში შესრულდება წელიწადი, ცოლი რომ შე-
ვირთე.

— ნება მომეცი, მთელი არსებით მოგილოცო, — სთქვა ეგნატე გალახერ-
მა, — უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს. არ ვიცოდი შენი მისამართი, თო-
რემ თავის დროზე მოგილოცავდი.

მან ხელი გაუწოდა, ხოლო ციკქნა ჩენდლერმა ჩამოართვა.

— გისურვებ შენ, — სთქვა გალახერმა, — და შენს ჯალაბს ყოველ სიკე-
თეს, ფულის ჩავს და ცხოვრებას მანამდის, სანამ მე თვითონ არ მოგკლავ-
ამას გისურვებს შენ, ჩემო საყვარელო ტომში, გულწრფელი შენი მეგობარი,
ძველი მეგობარი, იცი შენ ეს?

— ვიცი, — სთქვა ციკქნა ჩენდლერმა.

— ბალები გყავს? — ჰკითხა ეგნატე გალახერმა.

ციკქნა ჩენდლერი ისევ გაწითლდა.

— ერთი ბავშვი გყავს, — სთქვა მან.

— ბიჭი თუ გოგო?

— ბიჭი.

ეგნატე გალახერმა ხელი დაჰკრა მხარზე მეგობარს.

— ყოჩაღ! — სთქვა მან, — მე არც შეეჭვებოდა შენი, ტომში.

ციკქნა ჩენდლერმა გაიღიმა და შემკრთალმა თავის ჰიქას დახედა, თანაც
ქვედა ტუჩზე იკბინა ბავშვის სამი კბილით.

— იმედი მაქვს, გამოივლი ჩემთან საღამოთი, წასვლამდე. ცოლს ძალიან
გაუხარდება. შეიძლება მუზის გამოწვევა... და...

— დიდი მადლობა; ჩემო კარგო, — სთქვა ეგნატე გალახერმა. — ძალიან
სამწუხაროა, რომ აღრე არ შევხვდით ერთმანეთს. მაგრამ მე ხვალ საღამოს
უნდა გავემგზავრო.

— შეიძლება დღეს...

— ძალზე ვწუხვარ, ჩემო კარგო. მე აქ მარტო არა ვარ, ჩემთან ერთად
ჩამოვიდა ერთი ჩემი მეგობარი, ფრიად საინტერესო ახალგაზრდა კაცი, და
აი შევთანხმდით, წავიდეთ ქალაქის სათამაშოდ, თორემ...

— პო, რასაკვირველია, მესმის...

— თუმცა ვინ იცის? — სთქვა ჩაფიქრებულმა ეგნატე გალახერმა, — ახლა,
როცა უინული გამტყდარია, შეიძლება, მომავალ წელს ისევ ჩამოვირბინო
თქვენთან. ვადის გაგრძელება არ შეანელებს სიამოვნებას.

¹ გიმენი — ჭორწინების ღმერთი (ბერძნ.).

— ჩინებულისა, — მიუგო ციციქნა ჩენდღერმა, — შემდგომ ჩამოსვლისა მთელი ღამით მოხვალ ჩვენთან, უსათუოდ, ზომ?

— უსათუოდ, — სთქვა ეგნატე გალახერმა. — თუ ჩამოვედღა, მაშინ ვწელს, მაშინ parole d'honneur!¹

— და ჩენი პირობა რომ მტკიცე იყოს, — სთქვა ციციქნა ჩენდღერმა, — დავლით კიდევ თითოჯერ.

ეგნატე გალახერმა ოქროს დიდი საათი ამოიღო და ისრებს დახედა.

— ოღონდ თუ უკანასკნელი იქნება, — სთქვა მან, — რადგან, ზომ იცი, მიცდინა.

— საბოლოო და უკანასკნელი, — მიუგო ციციქნა ჩენდღერმა.

— მაშ, კარგი, — სთქვა ეგნატე გალახერმა, — ასეთს შემთხვევაში დავლით თითო-თითო deos an doruis.² გგონი, ასე ამბობენ აქ, თქვენსა?

ფერი, რამდენიმე წუთის წინათ რომ მოედო ციციქნა ჩენდღერის ლოყებს, ეხლა მთელს სახეზე მოეფინა. ყოველთვის ის ადვილად წითლდებოდა. სამი ჭიქა ვისკი თავში აღეარდა, ზოლო გალახერის მაგარმა სიგარამ გონება დაებინდა, რადგან სუსტი ჯანი ჰქონდა და მუდამ თავდაპყრილი იყო. შეხვედრა გალახერთან რეა წლის განშორების შემდეგ, ჯდომა გალახერთან კორალსში, კამკაშა სინათლესა და ხმაურში, მოსმენა გალახერის ლაბარაკისა, მონაწილეობა (თუმცა არც თუ დიდი ხნით) გალახერის მოხეტიალე და ბრწყინვალე ცხოვრებაში, — ყველაფერი ეს ისეთი შემთხვევა იყო, რომელმაც დაარღვია მისი მგრძობიარე ბუნების წონასწორობა. იგი მწვავედ გრძობდა კონტრასტს თავისი მეგობრის ცხოვრებასა და საკუთარ ცხოვრებას შორის, და ეს სამართლიანად არ მიაჩნდა. დაბადებითა და აღზრდით გალახერა მასზე დაბლა იდგა. დაწმუნებული იყო, რომ შეეძლო მას რაიმე ღირსშესანიშნავი, რასაც მისი მეგობარი ვერასოდეს ვერ შეაღწევდა, ზოლო თუ შემთხვევა მიეცემოდა, რაიმე უფრო ამბლებული, ვიდრე კამიკად ღირებული ეურნალისტიკა. რა ელობებოდა გზახე? თავისი შეებედითი მორცხეობა? მას უნდოდა როგორმე შური ეძია, დაეცვა საკუთარი მამაკაცური ღირსება. იგი თავისებურად განმარტავდა უარს, რომლითაც გალახერმა უბასუბა მიპატიებდაზე. გალახერი მას ღირსად ხდიდა და პატივს სდებდა თავისი მეგობრობით ისევე, როგორც ირლანდიას დასდო პატივი თავისი ჩამოსვლით.

ბარმენმა ვისკი მიიტანა. ციციქნა ჩენდღერმა ერთი ჭიქა მეგობრის ჭიქასთან მისწია, ზოლო მეორე სწრაფად ასწია.

— ეინ იცის, — სთქვა მას შემდეგ, როცა ჭიქები მიუჭახუნეს, — იქნებ მომავალ წელს, როცა შენ ჩვენთან მოხვალ, მე სიამოვნება და ბედნიერება მექნება მიუულოცო მისტერ და მისის გალახერებს...

ეგნატე გალახერმა, რომელიც ვისკის სვამდა, მრავალმეტყველად მისწურა თვალი ჭიქის კიდებზე. როცა სმა დაამთავრა, მან მკვეთრად დააწყლაბუნა, ჭიქა მაგიდაზე დასდო და სთქვა:

— ნურც წარმოიდგენ მაგას, ჩემო კარგო! ჯერ მე გალახერული ვიცხოვრებ საკუთარი სიამოვნებისათვის, მერე უღელს დავიდგამ, თუ ოდესმე ჩავიდენ ამას.

— როდისმე ჩაიდენ, — მშვიდად სთქვა ციციქნა ჩენდღერმა.

¹ პატიოსანი სიტყვა (ფრანგ.).

² გზად მიმავლის სადღეგრძელოდ. (ირლანდ.).



ეგნატე გალახერმა მარჯნისფერი ჰალსტუქი და ასპიდური მწვანე თველი ბი თავის მეგობარს მიაპყრო.

— მაგრე ფიქრობ? — სთქვა მან.

— დაიდგამ უღელს, — დაბეჯითებით გაიმეორა ციცქნა ჩენდლერმა, — როგორც ყველა, ოღონდ თუ შესძლებ შესაფერი ქალწულის პოვნას.

მან სთქვა ეს ოღნაფი გამომწვევი ტონით და იჯრანო, რომ თავისი თავი გასცა. და თუმცა ლოყები აეტყცა, მაინც გაუძლო მეგობრის ფიზიკურ შეზღუდვას. ეგნატე გალახერი წუთით შესტყეროდა სახეში, შემდეგ სთქვა:

— თუ ოდესმე მოხდება ეგ, შეგიძლიან დასდო შენი უკანასკნელი შილინგი, რადგან საქმე უსენტემენტოდ მოგვარდება. მე მხოლოდ ფულზე დავტორწინდები. ან კარგი მიმდინარე ანგარიში ექნება ბანკში, ან თვინიერი მოსამსახურე იქნება.

ციცქნა ჩენდლერმა თავი გაიქნია.

— შენ რას ფიქრობ, ძამიავ? — ცხარედ სთქვა ეგნატე გალახერმა, — საკმარისია ერთი სიტყვა დავძრა და ხეალვე გამოჩნდებიან ქალებიცა და ფულიც. არა გჯერა? მე ხომ ვიცი, რომ ასეა. არიან ასობით, რას ვამბობ, ათასობით მდიდარი ებრაელი და გერმანელი ქალები, რომელთაც ზღვასაღეთ გადასდით ფული თავზე. მათ მარტო თვალის ჩაკერა ეყოფათ. ნახავ, მეგობარო, როგორ მოვაწყობ ამ საქმეს. თუ რამეს მოვეყიდები, შეცდომა არ მომივა. ნახავ.

მან სწრაფად მიიტანა ტიქა პირთან, გამოსცალა და ხმაბალა გაიციან. შემდეგ ჩაფაქრებულმა თვალი სივრცეს მიაპყრო და უფრო დამშვიდებული ტონით წარმოთქვა:

— მაგრამ მე არა ვჩქარობ, დეე, თვითონ იმათ დაიცადონ. მე არ მინდა ერთი ქალით შევიზღუდო თავი, გესმის! — მან ტურები ამოძრავა (რალაკს სინჯავდა თითქოს) და სახე დაიმანჯა: — იმას ემგვანება, გემოდაკარგულ ლუდი ვსვა, — სთქვა მან.

ციცქნა ჩენდლერი ოთახში იჯდა ბავშვით ხელში. ეკონომისტის მათ მოსამსახურე ქალი არ აუყვანიათ. მონიკა, უმცროსი და ენასა, მოდიოდა დასახმარებლად ერთი საათით დილით და ერთი საათით საღამოთი. მაგრამ მონიკა კარგა ხანია შინ იყო წასული. ციცქნა ჩენდლერმა ჩაიზე დაიგვიანა და, ამას ვარდა, დააეიწყდა ენისათვის მიეტანა ყავა ბიულისაგან. აღნათ, ენნი გაებუტა, თითქმის აღარც ელაპარაკებოდა. ენნიმ სთქვა, არაფერს აღარ დავლევო. მაგრამ როგორც კი კუთხეში დუქნის დახურვის დრომ მოაღწია, გადასწყვიტა, თვითონ წასულიყო მეოთხედი ჩაისა და ორი გირვანქა შაჭრისათვის. მან ხელი დაადო მძინარე ბავშვს და ქმარს უთხრა:

— დაიჭი, მხოლოდ არ ვააღვიძო.

მაგიდაზე იდგა და ოთახს ანათებდა ფაიფურის თეთრ-აბაფურინან პატარა ლამპა. შუქი ძელის ჩარჩოიან ფოტოგრაფიულ სურათს ეცემოდა. ეს იყო ენნის ფოტოგრაფია. ციცქნა ჩენდლერმა შეხედა მას. თვალი შეაჩერა თხელ, მოკლემულ ბაგეებზე. ენნის ეცვა ცისფერი კაბა, როგორღაც შაბათ საღამოს რომ უყიდა ჩენდლერმა. კაბა ათ შილინგად და თერთმეტ პენსად დაუჯდა. მაგრამ რამდენ მწვავე მღელვარებად უღირდა იგი! როგორ იტანჯებოდა, როცა მალაზიის კარების წინ იცდიდა, სანამ მალაზია დაცალიერდებოდა, როცა დახლოთან იდგა და ცდილობდა თამამად ჩვენებოდა, სანამ ქალიშვილი მის

წინ საკაბეებს ალაგებდა, ან როცა საღაროში ფულს იხდოდა და ხურდის მღებდა დაავიწყდა, როცა მოლარემ უკანვე დაუძახა, ბოლოს, რეკრუქებულაგედან გამოსვლისას სინჯავდა, მაგრამ იყო თუ არა ფუთა შეკრულად დასწრეში სე შეფაკლული სახე დამალა. სახლში დაბრუნებისას კაბა ენნის გადისცა, ბოლო ენნიმ აკოცა და უთხრა, კაბა მეტად ჩინებული და ელეგანტურიო. მაგრამ ფასის გაგონებისას ენნიმ კაბა მაგიდაზე დააგდო და სთქვა, რომ ამაში ათი შილინჯისა და თერთმეტი პენსის ალება ნამდვილი მტაცებლობაო. თავდაპირველად ენნის უნდოდა უკანვე მიეტანა ის, მაგრამ როცა გაისინჯა, აღტაცებაში მოვიდა, განსაკუთრებით სახელოების საპირესაგან, აკოცა ქმარს და უთხრა, მიყვარხარო.

— კმ!..

ჩენდლერმა ცივად შეხედა ფოტოგრაფიის თვალებს და მათაც ცივად უბაუხეს. უუძველია, ლამაზი თვალები იყო, თვითონ სახეც ლამაზი იყო. მაგრამ ციკქნა ჩენდლერა რამდენადმე გახუნებული მოეჩვენა. რატომაა იგი ეგზომ არა შთაგონებული და დიაკური? თვალების აღუშფოთველობა აღიზიანებდა. ისინი უკუაგდებდნენ და გამოშვებულად შესცქეროდნენ. ამ თვალებში არ იყო ვნება, არ იყო თავდავიწყება. მოაგონდა, რას ამბობდა გალახერი მდიდარ ებრაელ ქალებზე. შავად მოლივლივე აღმოსავლური თვალები, — ფიქრობდა იგი. — რამდენი ალერსია მათში, რამდენი ვნებიანი მიზიდველობა! რატომ დაუკავშირა მან თავისი ბედი ამ ფოტოგრაფიის თვალებს?

ციკქნა ჩენდლერმა დაიჭირა თავისი თავი ამ საკითხში და შეშინებულმა მიმოიხედა ოთახში. რამდენადმე ტლანქად მოეჩვენა აგრეთვე ლამაზი ავეჯი, რომელიც ნაწილ-ნაწილ გადასახდელ ვალში შეიძინა თავისი ოთახის მორთვის დროს. ენნიმ თვითონ შეარჩია იგი, და ავეჯიც ცოლს აგონებდა, — ისიც ლამაზი და გაპრანჭული იყო. ჩენდლერში გაიღვიძა ბუნდოვანმა შეურაცყოფამ საკუთარი ცხოვრებისაგან. ნუთუ ვერ დააღწევს თავს ამ ვიწრო ბინას? ნუ თუ გვიანაა დაიწყოს ახალი, გაბედული ცხოვრება, როგორითაც ცხოვრობს გალახერი? ნუ თუ ვერ შესძლებს განშორდეს აქაურობას, წავიდეს — ლონდონს? ავეჯის ვალი ჯერ კიდევ არ არის სრულად გადახდილი. რომ მოახერხოს წიგნის დაწერა და დაბეჭდვა, ეს გაუკავთავდა გზას.

მაგიდაზე მის წინ ბაირონის ლექსების ტომი იდო. ფრთხილად, ბავშვი რომ არ გაეღვიძებინა, მარცხენა ხელით გადაშალა წიგნი და დაიწყო პირველი სტროფის კითხვა. შედგა. თავის გარშემო ლექსების რიტმი იგრძნო: რამდენი მელანქოლიაა ამ რიტმში! შეუძლიან კი თვითონაც ასე სწეროს, ლექსებში გამოსთქვას თავისი სულის მელანქოლია? იყო ბევრი რამ, რის აღწერაც ეწადა. თუნდაც თავისი შეგრძნობანი დღისით გრატანის ხიდზე. რომ შეეძლოს დაიბრუნოს ის განწყობილება...

ბავშვმა გაიღვიძა და ატირდა. ჩენდლერი მოსწყდა წიგნს და შეუდგა მის დაშვებებს. არწევდა ბავშვს, მაგრამ მისი ტირილი უფრო გამგმირავი ხდებოდა. უფრო ძლიერად არწევდა ბავშვს, თანაც მისი თვალები მეორე სტროფის კითხვობდნენ...

ყველაფერი ამაოა, არ შეიძლება კითხვა. ბავშვის ტირილმა ყური გაუხვრიტა. ყველაფერი ამაოა, მთელი სიცოცხლე ტყვეობაში იქნება. გაბოროტებისაგან ზელები დაეკრუნება და უეცრად, ბავშვის სახეზე თავდაბრილმა, დაუყვია:



— დაჩუმდი!

ბავშვი ერთი წამით მიჩუმდა, შემდეგ შიშისაგან აცახცახდა და აქყვივდა. ციცქნა ჩენდლერი წამოხტა და ბავშვით ხელში დაიწყო მარტოპარტოპარტოპარტო წინ და უკან სიარული. აცახცახებული ბავშვი ტიროდა. ერთ წუთში ზუთჯერ, ტქვსჯერ გადაფიჩინდა. შემდეგ ისევ ახალი ძალით მორთო კივილი. ოთახის თბელი კედლები ეხოდ გამოსცემდნენ ბავშვის კივილს. ჩენდლერი ცდილობდა ბავშვის დამოშმინებას, მაგრამ იგი უფრო და უფრო უმატებდა ტირილს. მან გაფითრებულ და მართოლვარე პატარა სახეს დახედა და შეძრწუნდა. ბავშვს ზედიზედ შეიღჯერ შეუღღონდა გული, და ციცქნა ჩენდლერმა შიშით იგი მკერდზე მიიკრა. რომ მოკვდეს?

ქალი ხმაურით გაიღო და ახალგაზრდა ქალი აქოშინებული შევარდა ოთახში.

— რა არის? რა მოხდა? — დაიკვილა მან.

ღედის ხმის ვაგონებაზე ბავშვს ისტერიული კივილი აღმოხდა.

— არაფერი, არაფერი, ენნი... არაფერი... ატირდა მხოლოდ...

ქალმა ნაყიდი იატაკზე დააგდო და ბავშვი გამოსტაცა.

— რა უქენი? — შეჰყვირა მან და თვალები ჩაასო.

ციცქნა ჩენდლერმა ერთ წამს გაუძლო ამ შემოხედვას და გული შეეკუმშა, როცა მასში სიძულელი ამოიკითხა. მან ენის ბორძიკით დაიწყო:

— არაფერი... ატირდა... ვერ მოვახერხე... არაფერი არ მიქნია მისთვის...

ქალი ყურადღებას არ აქცევდა, ოთახში მიმოდიოდა და ეჩურჩულებოდა ბავშვს:

— ჩემო პაწია, გენაცვალე! შეგაშინეს, გულიყო? დუ, დუ, შვილი! დუ, დუ... ა-ა, ა-ა! დედიკოს თვალის სინათლეც!.. დუ, დუ...

ციცქნა ჩენდლერმა იგრძნო, რომ სირცხვილის სიწითლე ედებოდა სახეზე და ლამპის შუქს განშორდა. იდგა და ისმენდა, როგორ ნელდებოდა თანდათან ბავშვის ტირილი და სინანულის ცრემლები მოადგა თვალებზე.

თარგმანი აკაკი ზაქარაიძისი.

პანს გაგვი

ათასნი ღაეხეიან¹

თავი მესამე

ღანაშაული სანტ-მინეაზულში

ბნელი ღამე იყო. ვერაფერს ვერა ვხედავდი. მოისმოდა მხოლოდ ცხენის ფეხების დაუსრულებელი თქარა-თქური. უეცრად ყურში ჩამეწვეთა მშობლიური ენის ბგერები: ვიღაც უნგრულად იგინებოდა.

გამოვეხმაურე იმ კაცს. იგი ოთხთვალას თუ ოთხთვალას მსგავს რაღაცას მართავდა.

— გთხოვთ წამიყვანოთ! — შევეხვეწე.

სწორედ იმ დროს კოლონაც შეჩერდა.

— დაუჯეპით უკან. სწრაფად! როცა დავიძრებით, ცხენს ვეღარ გაეჩერებ.

აეცოცდი. უცნაური ეტლი ორ თვალზე გადებული ფიცარი აღმოჩნდა. ფიცარზე ტყვიამფრქვევი იდგა. ტყვიამფრქვევის ლულაზე ის კაცი იჯდა. მე ფიცარს ჩავეჭიდე ხელი, ხოლო ზურგით არტილერიისტის ზურგს მრევერდნე.

— არ ჩავარდებით?

— ვფიქრობ, რომ არა.

მან ოდნავ წინ წაიწია.

კოლონა კვლავ დაიძრა და ცხენი აჩქარებული ნაბიჯით გაუდგა გზას. ჩვენს უკან ერთი სხვა ცხენიც მოჩაქჩაქებდა.

— თვალყური აღევნეთ მაგ ცხენს, არ დაიკარგოს, — მითხრა არტილერიისტმა.

ჩვენი პოლკიდან იყო. მე ფიცარს ვებლაუქებოდი. თოფი მუხლებს შორის შედგა. მაგრა ვუქერდი მუხლებს. რატომ წამოვიღე თოფი, რა ეშმაკად მინდოდა? — ვუსაყვედურებდი თავს და ვგრძნობდი, როგორ მაწუხებდა იგი. მათარის ლეედი თვალში მოჰყვა და გაგუდვას მიქაღდა. ფეხები თვლებს შორის მქონდა ჩაშვებული და საკმაოდ იყო ოდნავი გაუფრთხილებლობა, რომ ორივე ფეხი შუაზე გადამმტვროდა. ჩემი საბარგო ტოპრაკი მთელი თავისი სიმძიმით არტილერიისტის ზურგს აწევებოდა.

— რა გაქვთ მაგ ტოპრაკში? — მკითხა მან.

— ისეთი არაფერი.

— მაშ რა ეშმაკად გინდათ? გადააგდეთ და მოიშორეთ.

¹ იხ. „მნათობი“, № 6, 7, 8.

მაშინვე გადავივადე. ცხენმა, რომელიც უკან მოგდევდა, ფეხებით გაღ-
თელა იგი. ყველაფერს ჩავიდენდი, რაც უნდა ეთხოვნა იმ კაცს, ყველაფერს
ოღონდ მოქანცული, დასისხლიანებული ფეხებით არ მევლო. ბიზნისი მუშა
ჩემს თანამგზავრს ძალოვანი ზურგი ჰქონდა. სქელი კისერი ფოლადის
მუზარადს განიერ მხარ-ბეჭებზედა ჰყოფდა. ეს იყო ყველაფერი, რის და-
ნახეაც მე შემეძლო. უხეში ხმა ჰქონდა. ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო.

— სად მიდიხარ? — ვკითხე.

პასუხი არ გამცა.

— სად მიდიხარ? — გავუმერე კითხვა.

კვლავ არ გამცა პასუხი: დასძინებოდა.

ქვას წაეწყდით. შეგვაჯანჯლარა, და არტილერისტის თვლებსაკენ დაეშე-
ძლივს, წველებით გავიწათავისუფლე ერთი ხელი და ისევ ზევით ამოვათრიო.

— ზომ არ დაშავებულხარ? — ვკითხე.

— არ ვიცი. მთლად გავიყინე, — მომიგო მან. — ეს მეოთხედ თუ მეხუ-
თედ დავეშვი. სისხლში ვარ ამოსვრილი.

ამბობდა ამას უდრტეწველად. მხოლოდ ფაქტს აღნიშნავდა.

მერე მომმართა:

— მელაპარაკეთ, სულ ერთია რაზედაც გინდათ, ოღონდ მელაპარაკეთ.
თუ გაჩუმდებით, ჩამეძინება.

— საითკენ მიემართებით?

— არ ვიცი. მივდექ კოლონას.

— დიდი ხანია, ასე მიდიხარ?

— ოთხი დღეა.

— შეუსვენებლად?

— შეუსვენებლად.

თავს ძალას ვატანდი, მიჭირდა ლაპარაკი: ძილს ვერც მე ვართმევდი თავს.

— განა დიდხანს შეეძლებთ ასე სიარულს? — იკითხა მან. — ყველა მხრი-
დან გეარტყიან.

— საიდან იცით?

— ვიცი.

თოფი ძალზე მაწუხებდა. კვლავ ჩავეშვი ძირს. ბეწვზე-ლა ვეკიდე.

— საიდანა ხართ? — ვკითხე.

— ბალატონ-ალიგიდან.

— შეუძლებელია!

— რატომ?

თვალწინ წარმომიდგა ბალატონი, ბალატონი, მშობლიური კუთხე, სადაც
ხეშვობა გავატარე.

— დედაჩემი თქვენი სოფლიდან სულ ოც კილომეტრზე დაიბადა.

მან რაღაც ჩაიდუღუნა.

— ცოლ-შვილი გყავთ? — მკითხა მოულოდნელად.

— მყავს, — მივუგე. — თქვენ?

— მეცა მყავს, — მომიგო მან. — ოჯახი პარიზში მყავს. ესე იგი მყავდა
პარიზში. ცოლი და ორი გოგონა. არ ვიცი, რა დაემართათ. პარიზში გერმან-
ელები არიან.

— დიად, გერმანელები არიან იქ.

ლაპარაკი შესწყდა. თითებით მაგრა ჩავებლაუპე ტყვიამფრქვევს. ფოლა-

დი ცივი იყო, ხელები-კი ცხელი მქონდა. უფრო და უფრო ვემყვებოდი ქვემოთკენ.

— რას აკეთებდით ომამდე?

— ვმწერლობდი.

ჩაიცინა. რამდენიმე კვირაა უკვე, სიცილით მეგებება ყველა, ვისაც ვეუბნები, მწერალი ვარ-მეთქი.

— კარგ რამეებზე მოვიხდებათ წერა! — მიბასუხა ბოლოს.

კვლავ შეეჩერდი. ცხენი ცმუკავდა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. ბოლო დროს თითქმის გაგარეულდა თურმე და ჩემს მეგობარს ძალზე უძნელდებოდა მისი დამორჩილება. ჩვენს წინ ზარბაზანი მიჰქონდათ და ჩვენი ცხენი მალ-მალ დაეჯახებოდა ზოლზე მას.

— თქვენ, თქვენ რაღას აკეთებდით? — ვკითხე მე.

— მე შესაქცევი ხელობა მქონდა.

— შესაქცევი?

— დიად, შესაქცევი.

ზრინწიანად ჩაიცინა.

— მე „ბედის თვალი“ მქონდა, — სთქვა მან. — კარგი რამე იყო ის „ბედის თვალი“.

— მერე, რიგიან შემოსავალს იძლეოდა?

— რაღა თქმა უნდა. ბაზრობებზე დავდიოდი. ჩემს ფარდულში ყველაფრის მოგება შეგედლოთ. რა გინდა, სულო და გულო, იქ არ ყოფილიყო: მუშუნა ღვინოები, ქათმები, საბნები, საღებოარი საათები, — და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაუმატა: — ჩემი ცოლი კი ქარხანაში მუშაობდა.

კვლავ შეგვაჩერეს გზა-ჯვარედინზე. გვერდის გზიდან შარავნაზე გადმოდიოდნენ ფორნები, ცხენები, ჯარისკაცები. მომესმა მაროკოელების მონოტონური გინება. ისინი ცხენებზე ისხდნენ და გზას მიიკვლევდნენ. დრო და დრო მოისმოდა გერმანულ თვითმფრინავთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი გუგუნნი. ეს თვითმფრინავები ჩვენს თავზე დაფრინავდნენ, მაგრამ თითქოს ყურადღებას არ გვაქცევდნენ.

— სთქვით რამე! — ვთხოვე ჩემს თანამგზავრს. მეც მეშინოდა, ძილი არ მომრეოდა. შევაჯანჯღარე: — სთქვით, სთქვით რამე!

— შემობრძანდით, ქალბატონებო და ბატონებო! — შესძახა მან: — შემობრძანდით: თუ არა ახლა, ვერასოდეს ველარ იხილავთ. ბედნიერი შემთხვევაა. იგებს ყოველი ნომერი. ორი ნომერი — ორი მოგება!

უეცრად ზმა ჩაუწყვდა, კისერი მოელუნა და თავი მკერდზე დაუყარდა. მეც ჩამეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა: იქნებ ერთ წუთს, იქნებ ათ წუთს.

გამელვია მაშინ, როცა ძირს ჩავვარდი. თოფი ზედ თავზე დამეცა. ჩვენს უკან მომავალი ფორანი შემთხვევით შეჩერდა ერთ ნაბიჯზე ჩემგან. ცხენის ნალიანი ფეხი თითქმის ეხებოდა ჩემს სახეს. ხელი შუბლზე მივიდე. რაღაც თბილი სითხე დამდიოდა. მთლად მოსერილი ვიყავი სისხლით და ტალახით. მაინც შევძახე ჩემს თანამგზავრს:

— ჰეი, მეგობარო! — გამაოცა იმ აზრმა, რომ, გარდა სახელისა, ყველაფერი ვიცოდი იმ კაცზე.

გამოვედევნე. ნეტა, რა უნდა ერქვას?

ტყვიამტრქვევზე მჯდომარეს გამოელვია.

— ვერ გავაჩერებ ცხენს, — გადმომძახა: — როგორმე შემოახსენით მოვიკრიბე ძალ-ღონე, დავეწიე და თოფი გავეწოდე. უხილავმა ხელმა ჩემომართვა იგი სიბნელეში. მერე იმავე ხელმა, ჩემს წელზე მოხვედრის შემდეგ ვით ამწია. როგორც იყო, ავცოცდი.

— მაგრე ნუ ჯდებით, — მირჩია ბოლოს: — ზევიდან გადააჯექით. ხელი სარტყელში წამავლეთ.

მოვიქექე ისე, როგორც მირჩია.

— როგორ ფიქრობთ, დიდხანს ვივლით ასე?

— დაუსრულებლად.

ისე მომესმა ეს ხმა, როგორც გამოძახილი სხვა სამყაროდან. რაღაც უცნაურად მოვერიდე და სახელი კვლავ ვერა ვკითხე.

ახლა ხელი მაგრა მქონდა ჩაბლაუჭებული სარტყელში. გზა ისე იყო გაკვიდილი, რომ ქინძისთავეებით შეიძლებოდა მისი დაბომბვა. გზა და გზაველოსიბედისტები გვეწეოდნენ და ჩვენს გვერდით მოდიოდნენ. მალე გაჩნდნენ მშვიდობიანი მცხოვრებნიც — ქალები და ბავშვები. ისინი ფორნებს შორის დარბოდნენ, ცხენებს ქვეშ დაძვრებოდნენ. კავალერისტები გზის გაკაფვას ლაშობდნენ. ჩემს გვერდით მაროკოელის ფეხები დავინახე. მხედარი ღეხებით ცდილობდა ცხენის აჩქარებას, მაგრამ მთელი გზა მოძრავედელს წარმოადგენდა.

მარტოოდენ ცხენები იწვევდნენ აღტაცებას. იქნებ მათზე დაღლილობა არ მოქმედებდა ან იქნებ ციცილი, წვიმა და გუგუნი აფრთხობდა მათ? იქნებ გრძნობდნენ მოახლოვებულ საშიშვლებას, აუცილებელ საფრთხეს? ძნელი იყო მათი დაოკება. გააფთრებულნი მიიწვევდნენ წინ და მიეზიდებოდნენ მთელ ნაკადს.

გერმანული თვითმფრინავები მარყუტებს და წრეებს აკეთებდნენ ჩვენს თავზე. მაგრამ ბომბები აღარ ეცემოდნენ შეტბორებულ გზაზე. მოტორების გუგუნი ისე მოისმოდა, როგორც ირონიული ხარხარი.

ასე და ამნაირად მივალწიეთ სენტ-მენეგულდს. იქაც ქუჩის ერთი მხარე მთლად ნანგრევებად იყო გადაქცეული. მაშინ, როცა მეორე მხარე უვნებელი რჩებოდა. მარჯვენა მხარე ისე გამოიყურებოდა, როგორც გამოიყურება ხოლმე კვირაობით პატარა წყნარი ქალაქის მთავარი ქუჩა. საფხვითლზე, თამბაქოს და ხორცის ღუჭნები დაეკეტათ, დარაბები დაეხურათ. მაგრამ ნგრევისა და რღვევის ნიშანს ვერსად შეამჩნევდით.

სამაგიეროდ მარცხენა მხარე მთლად ნანგრევებით იყო დაფარული. უშნოდ აყუდებულიყვნენ შავი სვეტები. იქიდან, სადაც წინათ ოთახები იყო, შეტრუსული და შემჭვარტლული კედლები გამოიყურებოდნენ. კრაქუნებდა ჩარჩოში ჩარჩენილი კარი. მაგრამ ეს კარი სიცარიელიდან სიცარიელეში გადიოდა.

განაპირა უბანში, ზიდს აქეთ, დავინახე ბოლკოვნიკი დე-ბიუისი თავისი შტაბით. მოედანზე იღვა და მიმავალ კოლონას შესცქეროდა. იცდიდა, სანამ მისი პოლიე თავს მოიყრიდა.

ჩამჭრალი თვალებით იყურებოდა, როცა ტყვიამფრქვევზე გადამჯდარმა ჩაუღარე. უფროსის დანახვაზე უნებურად ხელი მუზარადისკენ წავიღე. და უეტრად მომესმა მრისხანე ხმა:

— გაბე, ეშმაკმა იცის, რასა ჰგევხართ! რა კომედიია?!

ხელი მოვისვი მოსვრილ, გასისხლიანებულ სახეზე.



პოლკოვნიკმა კვლავ დამიჭყვილა:

— ჩამოდით ამ საათში! სადაური მასკარადია ეგ?

უეცრად მიეხვდი ყველაფერს. ვიენ-ლა-ვილიდან გამოსვლის შემდეგ გაქცეული მასპინძლების საბანი წამოვისხი. არ დამიხედნია. ან კი რას დავინახავდი სიბნელეში? დამე ცივი იყო, საბანი კი თბილი. ჰო-და, წარმოიდგინეთ სახეგასისხლიანებული ჯარისკაცი თავზე მუზარადით და ხელში თოფით, რომელსაც ტანზე წამოსხმული აქვს ცისფერ-ყვავილებიანი, ძალზე წითელი საბანი....

— ჩამოდით ამ საათში! — გრგვინავდა პოლკოვნიკი.

— მიშეღე, როგორმე უნდა ჩავიდე, — მივმართე მე ჩემს თანამემამულეს, „ბედის თვლის“ პატრონს.

— არ შემიძლიან, — მომიგო მან: — ვერ გავაჩერებ, სანამ კოლონა არ შეჩერდება.

თოფი ქუჩაში გადავისროლე. მერე თავათაც ჩამოვხტი. ხელებით დავეცი და ძალზე დავიკაწრე. მომდევნო ფორნის მეეტლემ განზე მიიბრუნა თავისი ფორანი, თანაც მაგრა შემომიკურთხა. როცა ფეხზე წამოვდექი, ჩემი თანამემამულე უკვე შორს იყო, მტერის კორიანტელში გახვეული.

ჩვენი ასეული მთავარ მოედანზე შეიკრიბა. გასაოცარი იყო, რომ ეს მოედანი სრულიად უვნებელი გადაჩა. თითქმის ყველა სახლს მეზობელ ქუჩებში ცეცხლი ეკიდა. აქ-კი, მთავარ მოედანზე, არც ერთ დიდ სახლს ცეცხლი არ გააკარებია. ბანკი, ფოსტა, ეკლესია ისე გამოიყურებოდნენ, როგორც დღესასწაულში, და ეს მაგონებდა კვირა დღეს პატარა ქალაქში, როცა ვარდისფერ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები და მუქ-ლურჯ ტანისამოსიანი ყმაწვილი კაცები მთავარ მოედანზე დასეირნობენ, კაფეებში ბილიარდს თამაშობენ, ხოლო დედაბრები, ფარდებს. ამოფარებულნი, ჭორიკანობენ.

ქუჩაში წამოვწეკი და მაშინვე ჩამეძინა.

ჩვენ საცემბით დავეუფლენით ძილის ოსტატობას: შეგვეძლო ძილი სიარულის და ღვთის დროს, ქვევზე და ბალახში, სიწყნარესა და ბომბების თავსხმაში. როცა გამოვდებოდა, ჩემს მუცელზე თავისი რგვალი, მძიმე თავი ედვა გაბრიელ კონს. ისე მაგრა ხერხიავდა კონი, რომ გერმანელებსაც კი დააფრთხობდა.

გაბრიელ კონი, სარეგისტრაციო ბარათის 1553-ე ნომერი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ადამიანი იყო ჩემს ამხანაგებს შორის. დიდი რგვალი თავი ჰქონდა, ისეთი, როგორც შევიცარიის ბავშვებს აქვთ, წყალ-წყალი ლობიოსაგან გასიებული და სარდაფის ჰაერისაგან გაყვითლებული სახე. არ გააჩნდა მას არც სამშობლო, არც პროფესია. არავინ იცოდა, სად დაიბადა იგი, სად იყო მისი მამა და სად ირწეოდა მისი აკვანი, თუ-კი ბურჟუაზიული ყოფის ამ გულის ამარუყვებელ დეტალს რაიმე კავშირი ჰქონდა გაბრიელ კონთან.

გაბრიელ კონს არ გააჩნდა პროფესია, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად აღიარებული პროფესია. მახსოვს, უკანასკნელი შემოწმების დროს ბარკარესში ჩემზე წინ იღვა ეს ზორბა, დაუდევარი ახალგაზრდა, რომელსაც მხრებიც, ხელებიც და სველი ტუჩებიც როგორღაც შეუსაბამოდ ჰქონდა ჩამოშვებული. კაბრალის შევითხვავებ პროფესიის შესახებ კონმა წყნარად

უბასუბა — კონტრაბანდისტი ვარო. კონტრაბანდისტობა მას საცემოდ კანონიერ პროფესიად მიიჩნდა, ხოლო რისკი ამ პროფესიაში — ისევე, როგორც ყველა სხვა საქმეში. იქ, სასწავლო ბანაკში, სწავლისას ვარდოვან ზღვასთან, კონი დეკლარირებულ ადამიანად მიგვაჩნდა. რაც თავი ახსოვდა, მუდამ პარიზში ცხოვრობდა. ლაპარაკობდა პარიზის გარეუბნის აქცენტით, იცოდა აბაშების უარგონი, ქაბანწყვეტით ინახავდა ცოლსა და ორ ბავშვს, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა დედა-ქალაქის ყველა მამებართან და ხელბორკილს ალერსიანი სახელით „მონოკლით“ იხსენიებდა. ყოველთვის, როცა ციხიდან გამოდიოდა, ისევე და ისევე ძველ ხელობას უბრუნდებოდა, თითქოს კურორტიდან დაბრუნდაო. კონტრაბანდა შემოჰქონდა მეტწილად ბელგიიდან, შემოჰქონდა უფრო თამბაქო, თუმცა არ გაურბოდა არც სხვა რამეს, რაც-კი ხელში ჩაუვარდებოდა. როცა პირველად შეგებულებიდან დაბრუნდა, თან მოიტანა თავისი საქონლის ნიმუშების მთელი კოლექცია: დილები, პაპიროსები, ქაბრები, საკონსერვო დანები და ბუერი სხვა რამე. ამ თეთრთმინამა, უწინოდ აგებულმა კონტრაბანდისტმა ჩემი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით იმ დღეს, როცა ასეულის კანცელარიაში შემოვიდა სამი დღის სასწრაფო შეგებულების სათხოვნელად. პიერ სენ-ბრისმა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მეთაურობდა ჩვენს ასეულს, ჰკითხა, რატომ დაგვირდით შეგებულებაო.

— უმცროსი ქალიშვილი გამიხნდა ავად, — მიუგო გაბრიელ კონმა, — ცოლს-კი ფული არა აქვს.

სენ-ბრისმა თავისი ლამაზი ბავშვური თავი გააქნია.

— კვლავ სტყუიო, კონ, — სთქვა მან: — სად იშოვნით სამ დღეში ფულს? კონმა ფეხი ფეხს შემოჰკრა და გამოიჭიმა.

— მოვიბარაე, ლეიტენანტო, — უპატაკა მან.

სენ-ბრისმა, ალბათ, არ დაიჯერა კონის ასეთი ბოროტი განზრახვა ან შეიძლება მოიწონა კიდევ ჯარისკაცის გულახდილობა. ყოველ შემთხვევაში რაღაც საბაბით გამოსთხოვა პოლკოვნიკს ნებართვა შეგებულებაზე.

ერთი საათი აკლდა ვადას, როცა სახე გაბრწყინებული გაბრიელ კონი შეგებულებიდან დაბრუნდა. სამ დღეში „უშოვნა“ ფული ოჯახისთვის უფრო მეტიც: თან მოიტანა საქონლით გამოქვდილი ჩემოდანი. მეტად ზელსაყრელ ფასად ვყიდულობდით მისგან „ხარა-ხურას“, როგორც თავათ კონი ეძახდა საპარსავეებს, ჯიბის ფარჩების ბატარეებს, კონვერტებს და ფოსტის ქაღალდს, ზორცის კონსერვებს და სხვა საქონელს.

ასე და აშინიარად, გაბრიელ კონის ავადმყოფი ბავშვის გულისთვის ჩემი ყველანი სიხარულით გადავიქვეცით მოპარული ნივთების გამსაღებლებად.

ჰო-და, როცა გამომეღვიძა, ჩემს მუცელზე დანდობილი გასიებული თავი მეტოკდა. გაბრიელ კონი დიდხანს ისრესდა თეთრწაფეამებიან წითელ თვალებს.

— სული მეხუთება, — სთქვა მან.

— სად დასტოვეთ მოტოციკლი?

— თხრილში.

— რა დაემართა?

— სალტე მოეშვა.

— მერე?

— ვერაფერი გამოვენახე შესაკეთებლად. ვერაფერი. სრულიად ვერაფერი.

ერთბამად არ წამომდგარა ფეხზე. ჯერ რამდენიმე ნაბიჯი ოთხით გაიარა და მხოლოდ მერე წამოდგა.

მე პირი მივიბრუნე. მერე მეც წამოვდექი, კოჭლობით გვერდით მოედანი გადავლაზე და ეკლესიისაკენ გავემართე. ორივე დამავებულ ხელიდან ჯერ კიდევ მდიოდა სისხლი. არც კი მიფიქრია შესახებვე პუნქტში წასვლა, რადგან ვიცოდი, რომ ჩვენი ერთადერთი სანიტარული მანქანა უფრო მნიშვნელოვან საქმეში იყო ჩაბმული. გარდა ამისა, მთელ ქალაქში წყალი არ იშოვებოდა. მიღები რამდენიმე დღის წინად დასკდნენ, როცა არტილერია ყუმბარებს უშენდა ქალაქს. შავი შემხმარი სისხლი ჩემს ხელებზე ტალახისაგან აღარ განირჩეოდა. ხელები ისე მეჭირა, თითქოს გარეშე ნივთებიო.

ეკლესიაში სიგრილე და მყუდროება იყო. ჩემი ფეხის ხმა გუგუნით გაისმოდა. საკმეველის სუნი შეუმჩნეველად უერთდებოდა ტრუსის სუნს. ვიყავი თუ არა ღრმა და მტკიცე რწმენით გამსჭვალული? ალბათ, არ ვიყავი, რადგან დაედოდი ეკლესიაში და სული სიმშვიდეს ვერ პოვებდა. ჩემს შეჩვეულ ყურს შორიდან შეესმა მოახლოებული ტანკების ხმაური. ყურს ვუგდებდი ოთხი ნაკურთხი კედლის სიჩუმეს. თითქოს კედლებზე დახატული წმინდანებიც რაღაცას მოელოდნენ. წმინდა ფრანცისკ ასიზელი გაოცებული თვალებით შემომჰქეპროდა. არ ვიცი, ვის ეხებოდა გაოცება — მე თუ ღმერთს, რომელმაც დაუშვა ყოველივე ეს.

ეკლესიიდან გამოსულმა დაეინახე, რომ გაბრიელ კონი საფეხურებზე იწვა. მეც იქვე ჩამოვჯექი. კონმა თავისი პური გამინაწილა.

როცა პურს ვართმევდი, ყურადღება მიაკცია ჩემს ხელებს.

— რას მიგვაგვთ ხელები! — მითხრა მან. მერე მხარზე ხელი დამადო და მომპართა: — ხომ მოგეწამლათ სისხლი. რატომ არ დაიბანო?

— მთელ ქალაქში წვეთი წყალი არ არის.

— მონახვედით სანიტარულ მანქანას.

— არა სცალიან, არ ვიცი, სად არის, სად უნდა ვეძებო.

ღეჭვა შესწყვიტა. ერთ წუთს ჩაფიქრდა. მერე უეცრად ფეხზე წამოხტა. დაღლილობა თითქო აღარ ახსოვდაო. თავისი გრძელი კოყრებიანი ხელებით ფეხზე წამომაყენა. სანამ მოვიფიქრებდი, რას მიბირებდა, ეკლესიაში შემიყვანა, მერე ჩემი ხელები აიღო და წმინდა წყლით სავსე ემბაზში ჩაბყო. მე ვიუარე, შევეცადე ხელების განთავისუფლებას, მაგრამ მან მითხრა:

— ნუ გეშინიათ. არ ვიცი, ღმერთი კათოლიკეა თუ ებრაელი, მაგრამ კეთილი-ჟი უნდა იყოს. ხოლო თუ კეთილია, წერილმანებს არ გამოეკიდება.

აღარ აფუხირდი. კრილობები დამბანა. მისი უბეში ბალნიანი ხელები ქალის ხელებივით ნაზად მეხებოდნენ. გრილმა სითხემ დამიყუჩა ტკივილი მთელს სხეულში.

ბნელ ეკლესიიდან მზის სინათლეზე გამოვედით და კეთილმა სამართლებელმა ჩაიდუღუნა:

— ეგ საქმე, წმინდა წყლის საქმე თავათ თქვენ უნდა მოაგვაროთ ღმერთთან. მე უმაგოსოდაც ბევრი სადავიდარაბო მექნება ჩემს ღმერთთან იმის გამო, რომ კათოლიკების ეკლესიაში შევედი. ის კიდევ ზედმეტია, რომ ქუდი მოვიხადე.

ქუდად იგი ფოლადის მუზარადს გულისხმობდა. ხელში ატრიალებდა ამ მუზარადს.

მაგრამ მე ყურს აღარ ვუგდებდი: ჯერ კიდევ ეკლესიაში ვიყავით, როცა სენტ-მენეგულდის დაბომბვა დაიწყო.



მე არ ვკისრულობ სენტ-მენეგულდის ბრძოლის ისტორიის დაწერას.

მე იქ ვიყავი, მაგრამ ის, ვინც ბრძოლის ველზეა, ჩვეულებრივად ხედავს მხოლოდ მის ნაწილს, მის უმნიშვნელო უბანს. ისიც არ ვიცი, რამდენი დღეიზია იცავდა სენტ-მენეგულდს: იქნებ მარტო ოცდამეთხუთმეტე დღეიზია, რომელშიაც შეედიოდით ჩვენ. მაგრამ დღეს უკვე გასაგებია ჩემთვის სენტ-მენეგულდის ბრძოლის გეგმა და ის, თუ როგორ იშლებოდა ეს ბრძოლა, თუ კი შეიძლება ბრძოლა ეწოდოს იმ ველურ ქლუბა-ბოცვას.

სტრატეგიული გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო ბრძოლას, გასაგები იყო თვით ჩვეულებრივი ჯარისკაცისთვისაც. ფრანგთა დამარცხებული ნაწილები სენტ-მენეგულდისკენ მოდიოდნენ ხუთი დიდი შარავზით, რომელნიც მოემართებოდნენ ჩრდილოეთიდან, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ-დასავლეთიდან. ჯარი თავს იყრიდა სენტ-მენეგულდში ვუზიდან ვილ-სიურ-ტურბზე გავლით, ლიუქსემბურგის საზღვრიდან ვიენ-ლა-ვილზე გავლით და არგონის ტყიდან ლაშალაღზე გავლით. ნაწილობრივ ვერდენიდანაც. აღარას ვამბობთ უამრავი გვერდის გზებით მომავალ ჯარზე. მთელ ამ ჯარს თავი უნდა მოეყარა სენტ-მენეგულდში იმ აზრით, რომ შემდეგ დაძრულიყო სამხრეთ-აღმოსავლეთის გზით — უკან დახვევისთვის ერთადერთი თავისუფალი გზით. არ ვიცი, რას ითვალისწინებდა ეს გეგმა, იმას, რომ გვებრძოლა ზურგით მაქინოსკენ მიჭყეულებს თუ იმას, რომ იძულებული გაგზნდარიყავით გადაგველაზა შევიცარიის საზღვარი ბანელსა და იურს შორის. მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმ დროს არავითარი გეგმა არ არსებობდა, ხდლო თუ არსებობდა, ის გეგმა უსათუოდ მოღალატური იყო, ისეთი, რომელიც გვაძულებდა „გვესეირნა“ საფრანგეთის ტერიტორიაზე იმ დრომდე, სანამ მდგომარეობა ფრონტზე იძულებულს არ გაგვზნდოდა ჩამოგვეგდო დროებითი ზავი ან სანამ არ დადგებოდა ისეთი წუთი, როცა ყოველი ჯარისკაცი არ განიმსჭვალებოდა ერთადერთი სურვილით — გადაეყარა იარაღი და გასდგომოდა გზას შინისაკენ.

რანარიც არ უნდა იყოს ახსნა, ფაქტი ფაქტად რჩება: რამდენიმე არმიამ თავი მოიყარა პატარა ქალაქში, რომლის მოსახლეობაც სამი ათას სულს არ აღემატებოდა. ამ ქალაქიდან აღნიშნულ არმიებს გასვლა შეეძლოთ ერთადერთი გზით — ვარიერ-პასაჟან-კომერსის გზით. გერმანელები უნდა შეგვეჩერებინა გარდი-გარდმო გაწოლილ გზებზე, შეგვეჩერებინა იმ დრომდე, სანამ არ მოგვარდებოდა სენტ-მენეგულდიდან სამხრეთისაკენ ორგანიზებულად ჯარის დახვევა. ლაშაზი, წარმტაცი ქალაქი, რომელსაც წინად ტურისტებს ურჩევდნენ, როგორც ბაზას არგონის ბრძოლის ველებზე ექსკურსიებისთვის, საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა თავდასაცავად. ყოველი მხრიდან მდინარე ენისა და ენის არხის წყლებით შემორტყმული ქალაქი ბუნებრივ ციხეს წარმოადგენდა. მეტადრე ძნელად შეეძლოთ ტანკებს მისი მისადგომების გადალახვა. რადგან ოცდამეთხუთმეტე დღეიზია უკანასკნელი შევიდა სენტ-მენეგულდში, აშკარაა, მას „წესიერი დახვევის“ უზრუნველსაყოფად უნდა დაეცვა მთელი ის ჯარი, რომელმაც მასზე ადრე გაიარა ქალაქი. ამ მომენტამდე ყოველივე გასაგებია. დამარცხებული არმიის უკან დახვევას იცავს ერთი ან რამდენიმე დღეიზია, და არ იყო არავითარი მიზეზი, თუ რა-

ტომ არ უნდა შეეწირათ ჩვენი ან სხვების თავი აღნიშნული მიზნით. სენტ-მენეგულდის დანაშაულის ჩამდენი უნდა ვეძიოთ სხვაგან და არა აქ. ყველასთვის, არა სპეციალისტისთვისაც, ვინც კი ქალაქში შემქნელი ჩვენი მარეობას წარმოიდგენს, გასაგები უნდა გახდეს, რომ ჩრდილოეთის ხიდი უნდა აფეთქებინათ მას შემდეგ, როცა ამ ხიდს გადავიდოდა ქალაქის დასაცავად დატოვებული დივიზიის ანუ დივიზიების უკანასკნელი ჯარისკაცი. ხოლო სამხრეთის ხიდი უნდა შეენარჩუნებინათ იმ დრომდე, სანამ ეს დამცველი ჯარი ქალაქში დარჩებოდა, რათა უკანასკნელ ეამს შესძლებოდა მას ამ ხიდით უკან დახევა. ნამდვილად-კი რა მოხდა? ჩრდილოეთის ხიდი დაუზიანებელი გადაჩრა და ამან სრულიად მოულოდნელად გაუსხნა გერმანელებს სავსებით მოხერხებული გზა სტუმართმოყვარე სენტ-მენეგულდზე თავდასასხმელად. და, პირიქით, სამხრეთის ხიდი ფრანგმა ინჟინრებმა ააფეთქეს სწორედ იმ დროს, როცა თითქმის მთელი ჩვენი დივიზია ჯერ კიდევ ქალაქში იყო, ააფეთქეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ თავის დროზე უკან დახევის საშუალება გამოგვეცლოდა.

სენტ-მენეგულდის ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც ჩვენმა პოლკმა პირადი შემადგენლობის ნახევარი დაჰკარგა, ზმირად ვეკითხებოდი თავს: რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ უაზრო ქლექტა-ხოცვისა? დაუდევრობა თუ დანაშაული? რომ ჩრდილოეთის ხიდის აფეთქება ვერ მოხერხდა, ამას ვფიქრობ, შეიძლება კიდევ გამოენახოს ახსნა და გამართლება: იქნებ დეზორგანიზაცია იმდენად ძლიერი იყო და იმდენად ნაკლები ცნობები მოეპოვებოდა უმაღლეს სარდლობას, რომ მან არ იცოდა ის, თუ ჩვენი დივიზია უკანასკნელ იხედდა, იქნებ მან არ იცოდა, რომ გერმანელები ფეხ-და-ფეხ მოგვდევდნენ. მაგრამ ვერაფერ გამართლებას ვერ გამოუწახავთ იმას, რომ სამხრეთის ხიდი ნაადრევად იქნა აფეთქებული.

ერთად-ერთი ახსნა ის არის, რომ სარდლობამ განგებ მივეატოვა, განგებ ჩაუგდო ჩვენი თავი გერმანელებს ხელში, რათა დრო მოევო დანარჩენი ჯარის დასახვეად სამხრეთისაკენ. ამის გამო ჩვენ პოლკს მართო ერთ დილას ოთხასი კაცი მოუკლეს. ისინი დაიღუბნენ აუსტერლიცის მოედანს, მარგრენის ქუჩასა და შატრენის ქუჩას შორის. გმირულად იცავდნენ ისინი ყოველ სახლს. ორი მესამედი სიკვდილს გადაურჩა. ისინი არ მოუკლავთ, მხოლოდ დაიჭრნენ, მაგრამ რადგან ხიდი უკვე აფეთქებული იყო, არხზე გადაცურვით თავს უშველეს მხოლოდ ჯანმრთელებმა, დაჭრილები კი იქვე დარჩნენ. ისინი სისხლისაგან დაიცალნენ, ისინი გასრესილ იქნენ გერმანული ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების მიერ.

გაბრიელ კონთან ერთად ეკლესიიდან გამოსულმა გავიგონე, როგორ შემოდიოდნენ ქალაქში გერმანული ტანკები.

ჯერ კიდევ ეკლესიაში ვიყავით, როცა პანიკა დაიწყო. ჯარისკაცები აუსტერლიცის მოედანზე აქეთ-იქით გარბოდნენ, საფარს ეძებდნენ. ოფიცრები არსად სჩანდნენ. ყოველ შემთხვევაში მოედანზე არც ერთი მათგანი არ იყო. დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ ზოგიერთი ჯარისკაცი იმ წუთს ჰკუპოზე შეიშალა. ახლაც თვალწინ მიდგას სერჟანტი რიუპენი, რომელიც თავისი მოტოციკლით აუწერელი სისწრაფით უფლიდა მოედანს ირგვლივ, თითქოს მოტო-შეჯიბრებაზეყო. კვლავ და კვლავ გაიქროლა მან ზედ ჩემ ცხვირწინ, მაგრამ ვერაფრით ვერ შევაჩერე. აღიუტანტი ლეფოტი მოულოდნელად გა-

ჩერდა ჩემ წინ და მთლად გამოყვეჩებული სახით შეითხა, ხომ არაფერი ამბავიყო. მერე ისე მომშორდა, რომ პასუხს არც-კი დაუცადა. მანვე მისი კაცები თოფ-გადაკიდებულნი მოედანზე გაწოლილიყვნენ. სრულიად ბუნებრივი ბრძოლის ველზე, აქ უცნაურად გეჩვენებოდა. მებრძოლნი თოფებით და საბარგო ტოპრაკებით მოედანზე ეყარნენ, თითქოს სათამაშო ჯარისკაცები საბავშვო ოთახში ხალიჩაზე გაუფანტიათო.

გამოჩნდნენ პირველი თვითმფრინავები. ველარ ვარჩევდით ტანკების ხმაურს თვითმფრინავების გუგუნისაგან. მოედნის შუაგულში ბომბა დაცეპვები გამაყრუებელი ხმაურით ჰაერში ავარდნენ. ვერ იტყოდით, ღამე იყო თუ დღე. ყოველი ბომბა დაცემის დროს ჯერ სინათლეს ჰფენდა, მერე წყვედიადში ხვედა ყველაფერს.

მე ეკლესიის წინ ვიყავი გაწოლილი. უეცრად მომესმა:

— სახლებს შეაფარეთ თავი ტანკები შეაჩერეთ!

ვერ გავიგე, ვინ იმხბდა ამას. ავტომატურად დავემორჩილეთ ამ ბრძანებას. მე ალაყაფის კარებში შევევარდი, მოედნისა და მარგრენის ქუჩის კუთხეში. იმავე წუთს გერმანელთა ტანკებმა ვიწრო ქუჩაში შეუხვიეს. კაცს ეგონებოდა, ტანკები კი არა, მთელი ქუჩა მოძრაობსო, მოძრაობსო იგი ჯავშნიან მანქანებთან ერთად. მათ მთელი ქუჩა გაავსეს. მთელი ქუჩა წართანეს. მათი წითელი ხახები თავიანთი ენებით ხერხტდნენ კედლებს. გეგონებოდათ, ყველაფერს წალეკავენ და მოაშთობენ თავიანთ გზაზეო.

ჩვენს ზემოთ თვითმფრინავები გუგუნებდნენ, ქუჩებში ტანკები რახრახებდნენ. ამ გამაყრუებელ აურ-ზაურში უეცრად სულ ახლოს ნაცონი ხმა მომესმა: აკაკანდა ტყვიამფრქვევი. აღერსიანად, თითქმის შესიკალურად ჩამეწვეთა ეს ხმა ყურებში. ზევით ავიხედე. მეზობელი სახლის მეორე თუ მესამე სართულიდან თვითმფრინავს ესროდნენ. ესროდნენ მოახლოვებულ ტანკებს. და აქ მოხდა იგივე, რაც ხდება მაშინ, როცა მსხალ ბრბოში ერთი მამაცი კაცი მაინც გამოერევა. ატყდა სროლა. ისროდნენ ყოველი მხრიდან. ეს იყო ბავშვური ცდა. გამოცდილება მ დამიტკიცა, რომ თვით ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებიც კი ვერაფერს აკლებენ გერმანელთა მძიმე მანქანებს. უმნიშვნელო წარმატებას აღწევდნენ მხოლოდ 75 მილიმეტრიანი ზარბაზნები. ჩვენ-კი ტყვიამფრქვევებს და ძველ კარაბინებს ვისროდით. მაგრამ განა სულ ერთი არ იყო? მოულოდნელად ყველა სახლიდან მოისმა სროლა. სწრაფად გადავირბინე ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე. ტყვიებს ყურებთან გაქმონდა ზუზუნი. ჩვენმა ჯარისკაცებმა გადასწყვიტეს — მიემართათ გადამლობი ცეცხლისთვის.

კიბეზე ავირბინე. სახლი პატარა იყო, ძველი, ხის კიბიანი. არავის არ ვიცნობდი ტყვიამფრქვეველებიდან. მაგრამ მეზობელ ოთახში ფანჯარასთან თვალი მოვკარი კაცს, რომელიც ერთბაშად ვიცანი, ვიცანი ზურგიდანაც-კი. აუწერელმა სიხარულმა ამიტაცა. ვამბობ, აუწერელმა-მეთქი, რადგან ნორმალურ ცხოვრებაში ასე მკვეთრად ვერ განიცდის კაცი ყოველდღიურ წერილმანებიდან დიდ სიხარულზე გადასვლას. უკიდურეს სასოწარკვეთარებაშიღე უნდა მიხვიდე, რომ გაიგო, რას ნიშნავს მეგობრის პოვნა: ფანჯარასთან სენ-ბრისი იღვა.

გამოველაპარაკე. მან მარცხენა ხელი დამიქნია, არც კი მობრუნებულა. ფანჯარასთან მიველი და გვერდში ამოვედექი. ქერაწვერით შემოსილი მისი რგვალი გულკეითი ბავშვური სახე, როგორც ყოველთვის, მშვიდად და

ვაეცატურად გამოიყურებოდა. ჩამოსართმევად მარცხენა ხელი გამოიწროდა, შერე ისევ წაიღო იგი და რევოლვერის ლულას შეაშველა. მე წარჩინებულად ტენე ჩემი ძველი „რემინგტონი“, თუმცა ნაკლებად მოველოდნენ მას. მას შემდეგ

გაუგებარი იყო, რატომ შეჩერდა პირველი ტანკი, რომელსაც უამრავი სხვა ტანკი მოსდევდა, — ქუჩა იქ იმდენად ვიწრო იყო, რომ მათ გვერდი-გვერდ გავლა არ შეეძლოთ, ისინი ერთი მეორეს უნდა მიჰყოლოდნენ. იმავე დროს თვითმფრინავების გუგუნნი გაორკეცებული ძალით განახლდა. ტანკი მარგრენის ქუჩის ჩრდილოეთ ბოლოში იდგა. ტყვიამფრქვევები და დუმდნენ. ქუჩას გადავხედეთ. ასფალტზე მოკლული ჯარისკაცები ეყარნენ. თხრილში სისხლი მოსჩანდა.

რამდენსამე ნაბიჯზე ჩვენი სახლიდან დაჭრილი კვნესოდა. დრო და დრო ქუჩაში წამოჯდებოდა, შერე ისევ დაეცემოდა და ჩაჩუმდებოდა. და ყოველთვის ვფიქრობდით, რომ მოკვდაო. მაგრამ დროგამოშვებით კვლავ წამოჯდებოდა, კვლავ გააბამდა კენესას და შერე კვლავ დაეცემოდა.

ტანკების შემდეგ გერმანელი მოტოციკლისტები გაჩნდნენ. ქუჩა ძალზე ვიწრო იყო, ამიტომ ისინი ტროტუარზე გამწვრივდნენ. ყოველი მოტოციკლის ძირში ავტომატით შეიარაღებული ორი ჯარისკაცი იჯდა.

ისე დაძაბული ვიყავი, რომ ჩემ საფეთქლებს დაგა-დღუგი გაჰქონდათ. ქუჩის კუთხეში, ფანჯრებთან, მარჯვე დროს ელოდა თავზეხელაღებულია ჯგუფი. რამდენი კაცი იქნებოდა? იქნებ მარტო ჩვენ ვიყავით? მარტონი მკვდრებთან და ცოცხალ-მკვდრებთან, რომელთა გულწმინდარავე კვნესაც წამდღუწუმ მოისმოდა? ჩვენ არ ვიცოდით ეს. ყოველგვარ ხმაურზე უფრო ძნელი ასატანი სიჩუმე იყო, როცა იმასაც ვერ იტყოდი, თუ სად იყვნენ შენი ამხანაგები. ტყვიამფრქვევებზე-ც-ვი არ ინძრეოდნენ მეზობელ ოთახში.

ბოლოს მოტოციკლისტები დაიძრნენ. მათ მარჯვნივ და მარცხნივ მოუარეს ჯაგუნთან მანქანას. ყოველ მოტოციკლში მკვდომი ორი ჯარისკაცი-დან ერთს ავტომატი ზევით ჰქონდა აშვერილი, მეორე პირდაპირ უმიზნებდა, ქუჩის გასწვრივ. ისინი განუწყვეტლივ ისროდნენ ავტომატებს. განვლო წუთის რაღაც ნაწილმა და ისინი უკვე ჩვენი სახლების წინ იყვნენ. სულ ცოტა, თხუთმეტამდე იქნებოდა. მე ფანჯარასთან გავიჩაბე. სენ-ბარისი წინ გადაიხარა. ვხედავდი, როგორ უმიზნებდა. მეც მოვემზადე გასასროლად. სენ-ბარისმა ჩაბმახს მოსწია. დაუყოვნებლივ მეც მივბაძე. მოხდა სასწაული — ჩემი „რემინგტონი“ გავარდა. სწრაფად გავტენე ხელახლა. ყოველი მხრიდან მოტოციკლების, ტანკების, თვითმფრინავების, ყუმბარების, ტყვიამფრქვევების, თოფების ხმა მოისმოდა. ამ ხმაურის მიუხედავად, გარკვევით გავიგონე ბრძანება გერმანულად: „დაუშინეთ სახლს!“ და იმავე დროს ფანჯრის ჩარჩოები ნამსხვრევებად იქცნენ. ესროდნენ ჩვენს ფანჯარას. მეზობელ ოთახში გავცოცდი საბრძოლო მასალის მოსატანად. ჩემს ყურთან ტყვიამ გაიზუზუნა. „უცნაური, — გავიფიქრე: — ეს ტყვია ქუჩიდან არ უნდა იყოს გამოსროლილი“. და იქვე, ჩემს გვერდით, ვიღაცამ წამოიძახა: „არამზადები!“

მეცოცდი სამ ჯარისკაცთან, რომელნიც ტყვიამფრქვევს მისჯდომოდნენ. და იქიდან უეცრად დავეინახე ის, რისგანაც ტანში ერთნაირად დამიარა: პირდაპირ ერთ-ერთი გადარჩენილი სახლის ფანჯარაში, იმ სახლის ფანჯარაში, რომლის ალაყაფის კარსაც, რამდენიმე ხნის წინად მე თავი შევადარე,

ტყვიამფრქვევი დადგეს. ტყვიამფრქვევის უკან გამოჩნდა და მერე სწრაფად მიიშალა გერმანული ფოლადის მუზარადი. მაგრამ მაინც ისე სწრაფად ვერ მიიშალა: დაეინახე მისი სახე. მე შემომქცეროდა. იქნებ ესაა ფრანგი ქვეყნის მაგრამ მომეჩვენა, თითქოს ჩემს სიცოცხლეში არ მენახოს ისეთი სახიზლარი თვალები. არასოდეს არ შემშინებია ადამიანის მიერ გამოგონილი უსაზარლესი იარაღისა. ამ კაცმა-კი შემეშინა. საშიში არ არის ზარბაზანი, ყუმბარა, ბომბა. საშიშია მხოლოდ ადამიანი.

— არამზადები! არამზადები! — ყვიროდა ვიღაც ქვემოთ ფრანგულად.

სწრაფად გადაეთარგმნე ეს სიტყვები. ერთ-ერთმა ჩვენი ტყვიამფრქვეველმა, შევთვალა ჭაბუკმა, ალბათ, სამხრეთ საფრანგეთის მკვიდრმა, რაღაც ანიშნა თავის ორ ამხანაგს. ყველაფერი ჩუმად მოხდა, თვალის დახამხამებამზე. ცოცხლად მიათრიეს მათ კიბესთან ტყვიამფრქვევი, რომელიც იმავე წუთს აკაკანდა: ჩვენი ტყვიამფრქვეველები ზევიდან ქვემოთ ეაროდნენ კიბეს, რომლითაც გერმანელები აბირებდნენ ამოსვლას.

სენ-ბრისი კვლავ ფანჯარასთან იდგა. მისი სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ მან ხელით მანიშნა, რომ საბრძოლო მასალა გამომეღიაო. მეზობელ ოთახში ხელყუმბარა შეაგდეს, მაგრამ არ გამსკდარა. თავზე თვითმფრინავები დაგვტრიალებდნენ. ორი ვაზნა კიდევ მრჩებოდა. ხელში მეჭირა. ვგრძნობდი, როგორ ხურდებოდნენ ისინი.

უცრად სენ-ბრისმა მხარში ხელი წამავლო.

— უნდა გავეცალოთ აქაურობას, — ჩამჩურჩულა ყურში.

მიჯიკავებდა, მანიშნებდა, წავსულიყავ წინ. ხელში დაცლილი რევოლვერი ეჭირა. ალბათ, სახლი წინასწარ ჰქონდა დათვალიერებული. გავიარეთ ვიწრო ღერეფანი, მერე ნახევრად დანგრეული ოთახი. შემდეგ ხის კიბეზე დავეშვიტეთ და, ბოლოს, საკუჭნაოთი სახლიდან გავედით.

ალბათ, უკანა კარით გამოვედით. ძველი ქვეთკირის კედლით შემოვლებულ პატარა ბოსტანში გავჩნდით. ზაფხულის დილის კაშკაშა მუქმა უცრად თვალი მოგვჭრა. ღრმად ვისუნთქავდი ჰაერს. ბრძოლის გუგუნი ყრუდ მოისმოდა იქ.

— აბა, გავწიოთ! — მითხრა სენ-ბრისმა.

სირბილით გავუდღეით გზას. მივრბოდით მინდორ-მინდორ. ყურადღებას არ ვაქცევდით, გვითვალთვალებდნენ თუ არა თვითმფრინავები. მთავარი ის იყო, რომ თავისუფლად ვსუნთქავდით, რომ ცოცხლები ვიყავით.

მაგრამ დაყოვნება არ შეიძლებოდა, ხილთან მისვლა შეგვეძლო მხოლოდ უკან დაბრუნებით, ქალაქზე გავლით. ამასობაში გერმანელები თითქმის მთელ ქალაქს მოედნენ. მაგრამ ჩვენი მებრძოლნი თავგამოდებით უმკლავდებოდნენ მათ. ვხედავდი, როგორ ეფარებოდნენ ისინი მკვდრებს, როგორ უმიზნებდნენ მოკლული ამხანაგების გვამებზე გადაბულ თოფებს.

ქალაქში მოვირის, კვამლის და მომწვარი შაქრის სუნი იდგა. თვალი მოეკარი ბოლკოვნიკ ბიუსის, რომელიც ათიოდე კაცი თანაკების შესაკავებელი ღობურების მოწყობას ლამობდა. მთელი ეს სურათი უზადრუკ შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთსა და იმავე დროს იგი კომიკურიც იყო და ტრაგიკულიც: ცალ მხარეს — რამდენიმე თოფიანი ჯარისკაცი, ლეიტენანტი ლეკორვერით, მათულ-გაბმულობის მხოლოდ ერთობირი ქსელი, მიტოვებული ტყვიამფრქვევი. მეორე მხარეს — ჯავშნიანი მანქანები, უზარმაზარი ტანგე-

ბი, რომელნიც მეორე სართულს სწვდებოდნენ, მოტოციკლები, დევენი
შეყენებული ტყვიამფრქვევები.

და აი ამ დროს, ამ თოფის წამლის საბურველში მოჩვენებამ დაიწყო მუხუ-
ხა. ეს იყო მაიერი, ბუქარესტელი მაიერ-მაიერისკუ. შორი-ახლოს გაფურ-
ბინეთ და მხოლოდ ოდნავ მოკვარი თვალი. ვერც-კი ვიტყოდი, შეეძლო თუ
არა მას მოძრაობა. იგი პარაბეტზე გადაყენებული იდგა. დაავწყდა, ალბათ,
რომ მიწაზე უნდა გართხმულიყო. ალუმინის მოვლვარე კვამი წინანდებუ-
რად ზურგზე ეკიდა. ფოლადის მუზარადი ისე ჰქონდა ჩამოფხატებული
თავზე, როგორც სამგლოვიარო კვამბურა ქუდი სამგლოვიარო პროცესიის
მონაწილეს. მურისაგან სახე შავად ჰქონდა შეღებილი. გარუჯული ქერა
თმა თხელ წითელ ცხვირზე ჩამოჰფენოდა. გამოვეხმაურე. მაგრამ მისი გა-
მოხედვა ისევე უძრავად დარჩა, როგორც მანამდე იყო. რაღაცას შეჰყუ-
რებდა, მაგრამ რას, ვერ გავიგე.

სამხრეთის ზიდს ერთად-ერთი ტყვიამფრქვევი იცავდა. მას ორნი უწყე-
დნენ მომსახურებას: ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ფრანგი მეთერთმეტე პოლ-
კიდან და იმავე პოლკის ზანგი. უეცრად ზანგმა მკერდზე ხელი იტაცა და
დაეცა. ხილიდან დაეინახე, როგორ მივარდა ზანგს ბუქარესტელი მაიერ-
მაიერისკუ. ზანგის მკვდარ სხეულზე მწოლარე მაიერი ტყვიამფრქვევის
ლენტს აწვდიდა ფრანგ მსროლელს.

მესანგრეთა კორპუსის ჯარისკაცები ჩემთან ერთად გამორბოდნენ ხიდზე.
მათ ბრძანება უფრო სწრაფად შეასრულეს, ვიდრე მე მეგონა, — ქალაქი ჯერ
კიდევ საესე იყო ჩვენი მებრძოლებით. ძლივს გადმოვასწარი მეორე ნა-
პირზე, რომ ზიდი უკვე ააფეთქეს. ეს ერთად-ერთი უკანდასახვევი გზა იყო.
მტვერსა და კვამლში რაღაც მოვლვარე გაეარჩიე მეორე ნაპირზე. ეს მაიე-
რის ალუმინის გვამი ბრწყინავდა მზეზე.

საფრანგეთში ჯერ კიდევ მოიპოვებოდნენ ნამდვილი ადამიანები, ერთ-
ერთი მათგანი პიერ სენ-ბრისი იყო.

მე და სენ-ბრისი ერთმანეთს დავშორდით მაშინ, როცა პოლკონიკს
შეგხვდით. შევთანხმდით, რომ აქეთა ნაპირზე დაუტყდიდი. ერთმანეთს ვერა
ვხედავდით, მაგრამ ერთსა და იმავე დროს გადმოვსულვართ ხიდს. მოუ-
ლოდნელად წავაწყდით ერთმანეთს. გადავეცი პატარა მაიერის გმირობის
ამბავი. მცირე ხანს ჩაფიქრდა. მერე მითხრა:

— აბა, გავწიოთ! სწრაფად!

სირბილით გავყვევით მდინარის ნაპირს. ერთ ადვილას მდინარე ძალზე
ვიწროვდებოდა. სენ-ბრისი ბალახში ჩაჯდა და ტანისამოსის გახდას შეუღდა.

— რას აპირებთ? — ვკითხე.

— მაიერს უნდა მივეშველო.

მეც ჩაეჯექი ბალახში და გახდას შევუღდექი.

— რას სჩადიხართ? — მკითხა ლეიტენანტმა თითქოს უკმაყოფილომ.

— თქვენთან ერთად მოვდივარ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მარტო არ იყოთ.

შემომხედა. სათვალეებს ქვეშ თვალები უღიმოდნენ.

— კეთილი, — მომიგო: — მამ ვიბანავებთ.

ფეხსაცმელის გახდას დროს ვიგინებოდით. ნამდვილ ქირურგიულ ოპე-

რაციას წარმოადგენდა დასიებული, დასისხლიანებულ ფეხებიდან ფეხსაცმელის გაძრობა.

— დაღლილობას აღარა ვგრძნობ, — სთქვა სენ-ბრისმა.

— აღარც მე. სულ აღარ ვფიქრობ დაღლილობაზე.

ფეხსაცმელი და ფრენები ბუჩქებში შეემაღეთ. როცა ბუჩქებიდან გამოვედით, სენ-ბრისმა სთქვა:

— მაიერს მართო მე გამოვიყვან. თქვენ-კი, ხედავთ იმ იმ სახლს, პირდაპირ?

ხელი ძველი ნანაგრევებისაკენ გაიშვირა.

— ვხედავ.

— იქ სარდაფში მეორე ბატალიონის მწვერავები სხედან. ეუბრძანე დაეცადათ. იარაღი არა აქვთ.

— მესმის!

— აჩვენეთ არხის ეს ნაწილი. გერმანელებისათვის ეს ადგილები, ვგონებ, ჯერ კიდევ უცნობია.

— შესრულებული იქნება.

ახლა მოიხსნა მხოლოდ სათვალეები. ბუჩქებში შემაღა. მერე სთქვა:

— გისურვებთ საამო ბანაობას. მალე შევხვდებით ერთმანეთს.

სრული ორი საათი იყო, როცა ფეხსაცმელში ჩავდე ჩემი საათი, მამის საჩუქარი, ძვირფასი სახსოვარი, ხოლო როცა მეორე ნაპირიდან დაებრუნდი, — იმ ჯარისკაცებთან ერთად, რომლებთანაც სენ-ბრისმა გამგზავნა, — უკვე სამი საათი იყო. პატარა მაიერი ბალახში იჯდა. სენ-ბრისი კი კვლავ დაუბრუნდა თურმე აღ-მოდებულ ქალაქს. მაიერის გამოყვანისთანავე იგი ისევ გადამხტარა ცივ წყალში. ორი საათიდან შვიდ საათამდე სამჯერვე დაუბრუნდა სენ-ბრისი ქალაქს. ამ ხნის განმავლობაში გერმანელებმა მთელი ქალაქი დაიკავეს. ყოველ გადაცურებაზე სენ-ბრისმა შეიდი-რეა კაცი დაიხსნა აუცილებელ სიკვდილისაგან.

შვიდ საათისათვის, ბოლოს, გადასწყვიტა დასვენება და ტანისამოსის გაშრობა. მიწაზე დაჯდა, სათვალეები გაიწმინდა და ფეხსაცმელი ჩაიცვა. ისე ეჭირა თავი, თითქოს ეს-ეს არის დაბრუნებულიყოს 'სასამართლოდან თავის სანოტარო კანტორაში. წინადადება მივეცი დამეზილა მისთვის ზურგი. გოცებულმა შემომანათა თავისი რგვალი თვალები. მაგრამ ბოლოს მაინც თანხმობა განაცხადა. როცა პერანგი გაუშრა, თავისი ძველი, გაცვეთილი ფრენი ჩაიცვა.

არ შევხვდრივარ სხვა კაცს, რომელიც ამ ანეერელ ნოტარიუსზე უფრო ღირსი ყოფილიყოს ოფიცრის მუნდირისა. როგორც დახვერვის უფროსს ჩვენს პოლკში, სენ-ბრისს უბრძანეს, გაჩერებულიყო ვერიერის სკოლის შენობაში და დაეცადა დივიზიიდან მისაღებ და პოლკისთვის გადასაცემ ინსტრუქციებისთვის. როდესაც ვერიერში შევედით, ჩვენმა ჯარმა უკვე მიატოვა ეს სოფელი. თუმცა სენ-ბრისი დარწმუნებული იყო, რომ ხიდის აფეთქება შეაძლებინებდა ჩვენს ჯარს დაწინაურებულიყო და, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი საათით მაინც გაესწრო გერმანულ მოტორიზებულ ნაწილებისთვის, ფრანგთა ჯარი უკვე გაკრებილიყო ვერიერიდან.

დასაბინავებლად სკოლის შენობა ავირჩიეთ. მივაქარიტ კარება ბარათო, რომელზედაც ეწერა, მალე დავბრუნდებითო, და გავწიეთ საქმეწყოფე ქაბჯე ამ ქვეყნიურ სიკეთეთა საძებნელად. პირველი ამ ქვეყნიური უსამართლო მელიც ბედმა მარგუნა, იყო ახალი შარვალი. ამ შარვალმა სიტყვისსაგან მიხსნა — ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. ჩემი ძველი შარვალი დიდი ხანია ვაიხება იმ ადგილას, სადაც საუჯდომია, ხოლო დაუცხრომელი ტორჩინსკის, როგორც შევრავის, ნიჭით რამდენიმე კვირა იყო უკვე ვიღარ ვსარგებლობდით. ქალაქის მთავარ მოედანზე, ეკლესიის გვერდით, წაიწყდით ბალს, სადაც შარვლებს ყვაილებივით ეხარათ. საბარგო მანქანას — ასეთი მანქანა ცოტა მოიპოვებოდა საფრანგეთის ჯარში, მაგრამ მინც მოიპოვებოდა — ტანისამოსი და საჭურველი მოეტანა ვერიერში გაჩერებულ შესანგრეთა ბატალიონისთვის. ეს საჭურველი უკვე ომის დროს იყო დამზადებული, მანამდე-კი ძველს გვირიგებდნენ. ბევრი რამ აღმოჩნდა მანქანაზე: ახალი გალიფები, სუფთა ქვაბები წყნისათვის, თბილი საბნები, საბარგო ტოპრაკები, უამრავი შოკოლადი, შედედებული რძე, სარდინები.

ვერიერში, ეკლესიის გვერდით, მდებარეობდა ქალაქის საუცხოო ბაღი, ხელოვნური ნაკადული, არკადებით, რომანტიული ვარდის ბუჩქებით და ფართო მწვანე კორდით. კორდზე, როგორც ზღაპარში, ფუფუნების ნაირ-ნაირი საგნები იზრდებოდნენ. ამ სიმდიდრეში ეძინა ერთ არსებას, რომელიც თამამად შეგვიძლოთ მძინარე მზეთუნახავად მიგვლოთ. მაგრამ ამ შთაბეჭდილებას აქარწყლებდა ოთხკუთხე ნიჟაზე არშისავით შემოვლებული ხშირი შავი წვერი. გვაღვიძებდნენ მზეთუნახავი და როგორც მისი სიტყვებიდან გავიგეთ, წინა დღეს მოსულა იგი ამ ბაღში საბარგო მანქანით, მაგრამ შესანგრეთა ბატალიონი, ვისაც ის ეძებდა, წასულა სადაც, ხოლო სად, კაცმა არ იცოდა. საქონელი გადმოუტვირთავს და უკვე მომზადებულა წასასვლელად, როცა ვიღაც ოფიცრებს საბარგო მანქანის რეკვიზიცია მოუხდენიათ, მათ შოფერიც წაუყვანიათ, მაგრამ მერე უკან დაუბრუნებიათ საქონლის „საყარულოდ“.

— მერე რას აკეთებთ აქ? — ჰკითხა სენ-ბრისმა.

— თავით არ ვიცი, — მიუჯო მძინარე მზეთუნახავმა ისე, რომ ფეხზე არ წამომდგარა: — ფეხები მტკივა, ქვეითად სიარული არ შემეძლიან.

იგი კვლავ წამოწვა. მზის აბაზანის მისაღებად მომზადებულმა ხელი დაავლო პაპიროსების მთელ დასტას, ასიოდე ცალს, — პაპიროსები ბლომად ეყარა მის გარშემო. მერე ხელით გვანიშნა — თქვენც ინიბეთო.

მე და ლეიტენანტს თვალეზში არ შეგვეხედნა ერთმანეთისათვის. უსიტყვოდ ამოვირჩიეთ ის, რაც სასარგებლოდ მიგვაჩნდა, თუმცა ზედმეტად დატვირთვას მოვერიდენით: დახეული შარვლების მაგიერ ახლები ჩავიცვიით, პერანგები გამოვიცვალეთ, წამოვიღეთ იმდენი პაპიროსი და შოკოლადი, რამდენის წამოღებაც შეგვეძლო. შემდეგ განვაგრძეთ გზა.

ქალაქი ცარიელი და მტვრიანი იყო. დრო და დრო ჩამორჩენილი ფორანი ჩაირბრაბებდა ხოლმე. ცხენების გამრეკი ჩერდებოდა და გზას კითხულობდა, თუმცა თითონაც არ იცოდა, სად უნდა წასულიყო. იშვიათად გამოჩნდებოდა ორცხენიანი ძველის-ძველი საველე სამხარეულო კოფოზე მძინარე ჯარისკაცი.

ქალაქში ხეტიალის დროს აღმოვაჩინეთ, რომ იგი არც თუ ისე უკაცური იყო. ვხედავდით მოხუცებს და შეშლილებს. ასეთ სურათებს უკარგუნებდა სას სხვა სოფლებშიაც ვხედებოდით. ლტოლვილებს ისინი თან სწავნიან დატოვებულნი. ერთი ასეთი შეშლილი სკოლის პირდაპირ ფარდულში იჯდა. მან თავის დედასთან შეგვიყვანა, მოხუც, უკბილო დედაბერთან, რომელიც სოფლის განაპირად ნახევრად დაქცეულ სახლში ცხოვრობდა. სამოცდახუთი წლისა მაინც იქნებოდა. ეზოში ძველი „რენო“ იდგა. ვკითხე, მისი ხომ არ იყო მანქანა. არაო, მომიგო. მხოლოდ ეთხოვათ მისთვის, თვალი დაეჭირა. განა თქვენ მანქანა გვირდებათო, გვკითხა ახლა დედაბერმა თავის შხრივ. მთელი ნახევარი საათი ვევაჭრეთ და ბოლოს ორ პურად დაგვითმო. მანქანის ავზში რამდენიმე ლიტრი უხვიროს საწვავი ჩააჩენილიყო. როცა ავამუშავეთ, აყროლებულ კვამლში გავგხვია. ბოლოს კრაპა-კრუჭით დაიძრა მანქანა ეზოდან.

სკოლაში დაბრუნებულებმა გავიგეთ, რომ არავის არ მოუკითხავართ. თათბირი გავმართეთ. ისე ვიყავით მიჩვეულნი სამხედრო დისციპლინას, რომ ახლაც ვყოყმანობდით: შეგვეძლო თუ არა ბრძანების მიუღებლად წასვლა. გულმოდგინედ ვუშტყიცივდები ლეიტენანტს, რომ ჩვენ მარტონი ვერ დავიცავდით სოფელს. სენ-ბრისი ახლა მთელ თავის იმედს ძველის-ძველ დანჯღრეულ „რენო“-ზე ამყარებდა.

— საეჭვოა, რომ გერმანელები ღამე დაიძრან, — სთქვა მან. — უფრო საფიქრებელია, რომ ისინი დღამდე დარჩებიან სენტ-მენგულდში. შევძლებთ კარგად გამოძინებას. და თუ მანამდე ბრძანებას არ მივიღებთ, თანახმა ვარ გავუდგეთ გზას. ამ მანქანით სწრაფად დაეწევით პოლკს.

ხელა აუვარდა. ალბათ, არხზე გადმოცურვის დროს გაცივდა. გადაეწყვიტეთ, დაგვეცადა. მასწავლებლის სამზარეულოში ოცდარვა კვერცხისაგან ერბოკვერცხი დავიზაღეთ. კვერცხი ბლომად იშოვებოდა. ერბოკვერცხს იმავე მასწავლებლის სარდაფის ბორღო დავაყოლეთ. ამის შემდეგ დაეწეით საკლასო ოთახში მოწაფეთა სკამებზე.

ორიოდე წუთს ისე ვიწეით, ხმა არ ამოგვიღია. მერე სენ-ბრისმა მკითხა:

— რატომ ოხრავთ?

— განა ვოხრავ?

— რასაკვირველია.

მანაც ამოიოხრა. მერე სთქვა:

— კარგს ვერაფერს ვერა ვხედავ.

— მაინც რას ფიქრობთ? — ვკითხე მე. — კიდევ დიდხანს მოგვიხდება ასე სირბილი?

— არ ვიცი. იქნებ მანამდე, სანამ გერმანელები მთელ საფრანგეთს არ დაიკავენბენ.

— მაჟინოს ხაზი? დალადიეს ხაზი, რომელიც სადღაც უცდის მტერს? ლუარაზე მოწყობილი წინააღმდეგობა? განა ამ ომში შეუძლებელია მეორე მარნა? არა გწამთ?

სიბნელეში ჩემსკენ მობრუნდა და თავი ხელებს დააყრდნო.

— არა, — მომიგო მან, — არა მრწამს.

გამოკითხვა არ მინდოდა, მაგრამ თავით განაგრძო ლაპარაკი, რასაც იტყვი-
თად სჩადიოდა:

— დიდი, აღარა მრწამს. მომზადებულნი არ ვიყავით ამ ომისთვის. წყნარად
რალებაზე არას ვამბობ: ამას ცხრა თვის განმავლობაში მოვავგარებდით.
საქმე ის არის, რომ არც ერთმა ფრანგმა არ იცის, რისთვის იბრძვის. გა-
ნა გერმანელები გეძულდნენ? ჩვენმა ახალგაზრდობამ არც-კი იცოდა, რანი
არიან გერმანელები? ახლა-კი ფიქრობენ გონებაჩლუნგი ადამიანები, რომ
ჰიტლერის გამარჯვებას გადაიტანენ. რა თქმა უნდა, გადაიტანენ, მაგრამ
გადაიტანენ როგორც მონები. გერმანელების მიზანი ამ ომში მონობის და-
ბრუნებაა. და მთელი კაცობრიობის თვალში ჩვენ ნებაყოფლობითი მონება
ვიქნებით.

ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა. მე ვიწრო სასკოლო სკამზე ვიყავი წამოწო-
ლილი. ჩვენ შუა პიუპეტრი იდგა საწერლით და უჯრებით.

— ჩვენ, ფრანგებმა, დიდი ხანია დავივიწყეთ, რას ნიშნავს თავისუფლე-
ბა, — განაგრძო სენ-ბრისმა, — ნამდვილი თავისუფლება. ჩვენ გახურებულ
სამოქალაქო ომში ვიყავით ჩაბმულნი, როცა გერმანელები თავს და-
გვესხნენ.

— ომის დროს, — მივუგე მე, — ფრანგები მუდამ ივიწყებდნენ განხეთქი-
ლებას.

— ეგ მართალია, მხოლოდ წარსულის მიმართ, — სთქვა სენ-ბრისმა, —
დღეს-კი... ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც გერმანელები დაიკავებენ!

არასოდეს სენ-ბრისს ამნაირად არ ულაპარაკებია. მეგობრები ვიყავით,
მაგრამ უფროს-უმცროსობას არ ვივიწყებდით. ამასთან ის ფრანგი იყო, მე
კი უცხოელი. სენ-ბრისი თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა.

— დიდი ხანი არ არის, — განაგრძო მან, — რაც ერთმა კაპიტანმა მითხრა,
რომ საფრანგეთი უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე ჰიტლერი, მაგრამ ჰიტლერი
უფრო მომწონს, ვიდრე ლეონ ბლიუმიო. ამაზე მეტი რაღა გნებავთ!

ხველამ შეაწყვეტინა სიტყვა.

— დიდი, — სთქვა მან ბოლოს: — ვიცი ეგ ძველი ზღაპარი, ვიცი, რომ
სათანადოდ არა ვართ შეიარაღებულნი. მაგრამ ნუ თუ გგონიათ, რომ
შეიარაღება ყველაფერსა სწყვეტს? ხომ მოვიგეთ მსოფლიო ომი, თუმცა
უფრო ცუდად ვიყავით შეიარაღებულნი? ამბობენ, ჩვენი საპაირო ძალების
მეტი წილი აეროდრომებზე მოსპესო. ამბობენ, აღმოჩნდნენ ისეთი ოფიც-
რები, რომელთაც პილოტებს გაფრენის ნება არ მისცეს, რომელნიც ამ
პილოტებს დახოცვას ემუქრებოდნენო. განა შეგძლიანთ წარმოიდგინოთ
ყოველივე ეს?

— ვერა, ვერ წარმოვიდგენ.

— თანდათან უხვლები ყველაფერს: ჩვენ როდი გაგვიცდეს, გაგვეცეს. და
ეს ყველაფერზე უარესია. ძნელი არ იყო დაგვეზვრიტა რამდენიმე გენე-
რალი და ამით თავიდან მოგვეშორებინა ისინი. მაგრამ ჩვენ გამყიდველი
გენერლები არა გყვანან. ვერ გაამტყუნებ, ვერ აშხელ მათ. არ მოიბოვე-
ბა „ბორდერო“,¹ ისეთი, როგორიც დრეიფუსის საქმეში მოიბოვებოდა.

¹ „ბორდერო“ სახელით ისტორიაში ცნობილია ერთი დოკუმენტი, რომელიც რეპ-
ტურმა შედგომამ გამოიყენა დრეიფუსის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული პრო-
ცესის მოსაწყობად. ეს დოკუმენტი შეადგინა გერმანელმა ჯაშუშმა, გერმანიის საელჩოს
აგენტმა პარიზში, საფრანგეთის სამსახურში მყოფმა ოფიცერმა გრაფმა ესტრეგაზიმ.

მათ ისე გაგვეცეს, რომ გერმანელებს არც-კი გამოლაპარაკებოთ. მათ არ უნდათ ომი გერმანიასთან. იქნებ გერმანელებმა მოისყიდეს? ნეტავი მითხროს ყიდათ! მაგრამ ისინი მოსყიდულებიც არ ყოფილან. არ მახსენებენ: მანკაძე გამიგონია, რომ ბალკანეთის რომელიღაც ხალხი მუდამ მზად არის გაპყიდოს თავისი სამშობლო, გაპყიდოს და არა ვასცეს. ჩვენ-კი უარესი ჩავიდინეთ: გავეცით საკუთარი სამშობლო, გავეცით ისე, რომ არაფერი ამისთვის არ მიგვიღია.

— ხომ არ აზვიადებთ საქმის ვითარებას?

ესთქვი ეს, თუმცა დაწმუნებული არ ვიყავი. მაგრამ სენ-ბრისმა გამტანჯა, ისევე, როგორც საკუთარი თავი გასტანჯა. ჩვენ ყველას თავისებურად გვიყვარდა ეს ქვეყანა და ეს ხალხი, გვიყვარდა ყველა სხვა ხალხსა და ქვეყანაზე მეტად.

— არა, — სთქვა მან, — არ ეაზვიადებ. რომ მინდოდეს კიდევ, ვერ ვაზვიადებ.

შევეცადეთ დაგვეძინა. მაგრამ იმ დღემ და იმ ლაპარაკმა ძალზე აგვალეღვა. ხოლო ზარბაზნების გუგუნნი უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა.

— საარტილერიო მზადებაა, — სთქვა სენ-ბრისმა, — ისინი მაინც მოვლიან წინააღმდეგობას.

მე დავეამთავრე მისი აზრი:

— ამ საძაგელ, ამ გამოჰყვილილ გზაზე შეუძლებელია წინააღმდეგობის გაწევა.

— სრული სიმართლეა, — მომიგო სენ-ბრისმა. — აი სწორედ მაგის დამტკიცება უნდათ მათ. ეგ იგივე ხალხია, რომელიც საბოტაჟს უწევდა ჩვენს შეიარაღებას. დიად, ისინი არიან. მათ დაიწყეს და წააგეს დრეიდუსის საქმე. იმის შემდეგ დაკარგეს ძალა-უფლება. ეს რევანშია დრეიდუსის წაგებული საქმის გამო. ისინი ოცნებობენ ტრიუმფალურად დაბრუნებას გერმანელთა ზიშტების მეოხებით. ხალხს არ ესმის ეს. და დიდზანს ვერც გაიგებს. იმიტომ, რომ ომი, სამწუხაროდ, გამოცხადებული იყო საფრანგეთსა და გერმანიას შორის. იმიტომ, რომ ისინი ისე გულახდილნი არ არიან, როგორც ვენერალი ფრანკო იყო. მან აშკარად მაინც მიიწვია უცხოელნი ესპანეთში. ნუ თუ გუშინ სენტ-მენეგულდის ქუჩებში ვერ იგრძენით, რომ ეს არის არა ომი ორ სახელმწიფოს შორის, არამედ სამოქალაქო ომი? ვანა ამით ყველაფერი არ აიხსნება? ცალ მხარეს თავისუფალი საფრანგეთი, როგორც თავისუფალი ესპანეთი. ხოლო მის წინააღმდეგ უცხოელი სახელმწიფოების დახმარების იმედით გამხსნელებული ბანდიტთა ხროვა. მხოლოდ აქ, ჩვენში, ეს გეგმა უფრო ღრმად ჩაიდგურეს და უფრო ოსტატურად შეასრულეს. ისე მოქმედებენ და ისე მიჰყავთ საქმე, თითქმის ფრანგები ომობდნენ გერმანელებთან. არასოდეს, გუუბნებით, არასოდეს საფრანგეთი არ წააგებდა ომს გერმანიასთან. ჩვენ ვაჯობებდით მათ ჩვენი ძველის-ძველი შეიარაღებითაც-კი. მაგრამ ეს ხომ ომია ფრანგებისა ფრანგების წინააღმდეგ. და ვერაივნი ვერ იტყვის...

გაჩუმდა. ლაპარაკი აღარ შეეძლო. ვგრძნობდი, რომ მთლად ცახცახებდა. იქნებ გაცივდა და ციებ-ციხელებამ წამოუარა? ან იქნებ ტირის?

წამოვდექი, მხრებზე საბანი მოვიგდე, მივედი მასთან და გვერდით მივუჯექი.

— ეს იყო... ეს იყო... — დაეიწყე მე: — იქნებ ჯერ კიდევ არ მისწავლეს და თითქოს დრო გაახსენდაო, სენ-ბრისმა საბანი გადაიგდო და საათს დახედა.

— ბრძანება ჯერ კიდევ არ არის, — სთქვა მან.

ტუნებ-მოკლულნი ვისხედით სასკოლო მერხზე. და ორივეს ჩაგვეძინა. გავიღვიძეთ მაშინ, როცა ყუმბარა ფარდულს დაეცა, ქუჩის მეორე მხარეს უკვე მთლად გათენებული იყო.

— ოთხი საათია, — სთქვა სენ-ბრისმა: — ცდას აღარავეითარი აზრი აღარა აქვს.

პაპიროსები ავაბოლეთ.

— მზადა ხართ?

— მზადა ვართ, ლეიტენანტო.

გამოვედით გარეთ, სადაც მანქანა იდგა. ისე დაიძრა იგი ადგილიდან, თითქოს არ ეცისო, რომ მასში სულ ორი პური მივეციო.

თარგმანი ი. აზლაძისა.

განსაკრონ ჟღერით

გალაქციონ ვაბიძე¹

თანამედროვე დიდ ქართველ პოეტს გალაქციონ ტაბიძეს დაბადების 50 წლისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავი შეუსრულდა.

საკაცობრიო კულტურის უბოროტესი მტრების — ჰიტლერული კანიალების შესამუსრაად წარმოებულ უმაგალითო გმირული ბრძოლის ვითარებაში აღვნიშნავთ ჩვენ ამ თარიღს. ნაციონალური სიამაყის კანონიერ გრძნობით ვითვალისწინებთ და ვაფასებთ ჩვენ ესხლა პოეტის მიერ განვლილ დიდ შემოქმედებითს გზას, რომლის მანძილზედაც მან მრავალი ბრწყინვალე წარმატებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურის ძვირფასი საგანძფრი.

გალაქციონ ტაბიძის სახელთან არის უმუალოდ და განუყოფელად დაკავშირებული მეოცე საუკუნის ქართული პოეტური კულტურის ისტორია, მისი ყველა დამახასიათებელი პროცესი, მისი მამოძრავებელი ყველა ძირითადი იდეა და მოტივი. 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის ადფრთოვანებული გამოძახილი ქართულ ლიტერატურაში, შემდეგ, ამ დიდი სახალხო მოძრაობის ჩაბშობით გამოწვეული გულგატეხილობისა და სოციალური სევდის განწყობილებანი, მწერლობაში დამკვიდრებული ინდივიდუალიზმისა და რეალური სინამდვილიდან ფანტასტიურ წარმოდგენათა სამყაროში გაბიზენის მისწრაფებანი, ხოლო შემდეგ ჩვენს სამშობლოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე შექმნილი ახალი ცხოვრების ღირსეულად ასახვისათვის წარმოებული დიდი შემოქმედებითი ბრძოლა, — ყოველივე ეს მაღალ პოეტურ გამოხატულებას პოულობს გალაქციონ ტაბიძის შთავგონებულ პოეტურ ქმნილებაში.

თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის აღმოცენებისა და დამკვიდრების საქმეში გალაქციონ ტაბიძეს ისეთივე ნოვატორული როლი ეკუთვნის, როგორც ქართული მხატვრული მეტყველების მთელ ისტორიაში შეუსრულებიათ მის უდიდეს რეფორმატორებსა და განმთავსებლებს — ჩვენს ნაციონალური პოეზიის დიდ კლასიკოსებს. გალაქციონ ტაბიძე ღირსეული შემკვიდრეა და ახალი გზებით გამარჯვებული ქართული პოეტური ხელოვნების იმ დიდი ტრადიციისა, რომელიც შეუქმნიათ ჩვენს დიდსა და საამაყო წინაპრებს, უკვდავი რუსთაველით დაწყებული, გურამიშვილით და ბარათაშვილით გაგრძელებული და ილია ქაჭკაეაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დიდებული სახელებით დამთავრებული.

¹ წაითხვლია მოხსენებად გალაქციონ ტაბიძის დაბადების 50 წლისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, 1943 წლის, 29 ნოემბერს.

ჩვენი ღრის დიდი ნაციონალური პოეტი გალაქტიონ ტაბიძე მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ცხოვლად ეხმარებოდა ეხმარებოდა წინავე სოციალურ და ლიტერატურულ იდეებს. ამ მხრივაც კარგად იყო მომზადებული პოეზიის დიდ კლასიკოსთა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას განაგრძობს. საბჭოთა ხალხების პოეტური კულტურის განვითარებაში გალაქტიონ ტაბიძეს უაღრესად თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავს, როგორც ახალი სტილის, სოციალისტური რეალიზმის სტილის, ლირიკის საუკეთესო ტრადიციის ერთ-ერთ შემომქმედს და ფუძემდებელს.

გალაქტიონ ტაბიძის მრავალი პოეტური ქმნილება, მისი მდიდარი ლირიკული მემოდიები ცხოველ გამოძახილს პოულობენ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ისინი საყოველთაო აღიარებას და აღტაცებას იწვევენ.

ჩვენი ღრის ქართველი პოეტური ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის დიდი ზემოქმედების კვალით არის აღბეჭდილი. როგორც ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებამ თავის ნამდვილ მწვერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბრძნულსა და მღელვარე ლექსებში მიიღწია, ისე მეოცე საუკუნის ქართული დეკადანსის პოეზიამ თავისი უმაღლესი და უღრმესი გამოხატულება გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში პოვა.

უიმედობისა და განწირულობის, მწუხარებისა და მარტოობის, სოციალურ სინამდვილისაგან გახიზვნისა და საკუთარ განცდათა სიღრმეში ჩაკეტვის განწყობილებებით არის აღბეჭდილი გალ. ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი. იგი დიდი და მრავალმანგოვანი სევდიანი სიმფონიაა, „დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით“.

„უდაბნოს“, „მე და ლამის“ და „მესაფლავის“ დამწერ პოეტისათვის უკვე ბუნებრივად გახსნილი იყო გზა ევროპული და რუსული დეკადენტური სკოლების პოეტური პოზიციებისაკენ, თუმცა გალაქტიონ ტაბიძე არასოდეს არ მოსწყვეტია მშობლიურ ნიადაგს, მშობლიური პოეზიის ტრადიციას. საკმარისია გავიხსენოთ ამ პერიოდის გალ. ტაბიძის შედევრები „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“, სადაც პოეტმა შეგნებულად გვიჩვენა მისამართი თავისი დიდი წინამორბედის — ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ამ ღრმა სულიერი ნათესაობის უქველ კვალს ვხედავთ აგრეთვე გალაქტიონ ტაბიძის ლექსში „შავი ყორანი“:

„გზა გავიარე... შურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები.
შავი ყორანი გზაზე მომზავის,
ნუ იხედები... ნუ იხედები...
გზაზე მივდივარ... შურს გაეარკვით
გასაღებელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომზავის:
შურს ნუ გასცქერი... შურს ნურვის ელი!“

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი შეუღარებელი სიმდიდრეა რევოლუციის წინაპერიოდის ქართული პოეზიისა და უქველად ერთი უდიდესი მოვლენათაგანი ევროპული და რუსული სიმბოლიზმის მასშტაბით. ამ წიგნში ტაბიძემ მიიღწია იმპრესიონისტული პოეტური ფერწერის უკიდურეს საზღვარს, გამოიმუშავა პოეტის ღრმად სუბიექტური განცდებისა და გრძნობების გადმომცემი მიწიწიველი მუსიკა ლექსისა, პოეტური სახეების ემოცი-

ური ძერწვის თავისებური მანერა, რომლის მეოხებითაც ლოგიკურ ენაზე აუხსნელი მოტივებიც კი ხშირად აღწევენ განზრახულ ეფექტს. მანუშაძის ძალით გადადიან მკითხველის ცნობიერებაში. ამ წიგნში მანუშაძის სიტყვებით გამოვლინდა ჩვენი დროის ამ დიდი პოეტის უსაზღვროდ მდიდარი ფაქტაზია, გადაიშალა პოეტური სიტყვის ღრმად ინდივიდუალური ლაბორატორია, სადაც ლექსის რთული მოდერნული კულტურა ორგანიულად არის შეთავსებული მეტყველების ძალდაუტანებელ, ბუნებრივ მდინარებასთან.

პოეტისათვის ჩვეული სევდა გამძაფრებულ სევდისივითა გადასული, მისტიციზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი განსაზღვრავენ მის მსოფლშეგონებას, სამყაროსადმი მიმართების, გარემოცვის ხედვისა და ხატვის ხასიათს. და ამ ლექსების კითხვისას ერთის შეხედვით გაუგებრადაც მოგჩვენებათ, თუ როგორ შესძლო ამის შემდეგ პოეტმა სოციალისტური რევოლუციის პირველსავე წლებში ერთბაშად და თანმიმდევრულად დამდგარიყო დიდი სოციალური იდეების განმსახიერებელი, ახალი, რევოლუციური პოეტური კულტურის ნიადაგზე. მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით. ნამდვილად კი გალაქტიონ ტაბიძის მთელი პოეტური ბიოგრაფია გვაძლევს გასაღებს პოეტის ამგვარი გარდაქმნისა და შემობრუნების ასახსნელად. გალაქტიონ ტაბიძე თავისებური გზით მივიდა სიმბოლიზმის იდეურ-შემოქმედებითს კონცეპციამდე. მისი კონფლიქტი თავისი დროის სოციალურ სინამდვილესთან გამოწვეული იყო არა ბურჟუაზიული დაცემულობის, არა ბურჟუაზიის მიერ თავისი კლასობრივი განვითარების ამოწურვისა და განწირულების შეგნების შედეგად, არამედ წარმოშობილი იყო იმ სოციალური სევდის საფუძველზე, რომელმაც მოიცვა წვრილბურჟუაზიული მხატვრული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

ეს გარემოება განასხვავებს გალაქტიონ ტაბიძეს ევროპელი სიმბოლისტი პოეტებისაგან და ამაშია მისი შეუთანხმებლობის მიზეზი ქართველ „ცისფერ ყანწელებს“. სკოლასთანაც, რომელიც გულმოდგინედ მიჰყვებოდა უცხოეთის სიმბოლისტური სკოლების ტრადიციას და ერთგულად ნერგავდა ქართულ ლიტერატურაში ბოქემის, ეროტიზმის და თვითმკვლელობის კულტს, სიმახნჯის ესტეტიკას, ასე უცხოს და მიუღებელს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებისათვის.

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში მკაფიოდ გამოისჩანს იმის შეგნება, რომ იგი რევოლუციამ, სოციალური განთიადის ძალამ წარმოშვა:

„შე დავიბადე ვანთიადისას,
როცა მთის წვერზე დილა მაისის
თვალებს ახელდა... და ნაზი იყო
ელვა — ელვური მტრედისფერ სივრცის“.

ამ განთიადის დროებითი ჩაქრობისა და რეაქციული ბურჟუასის მძვინვარების წლებში მოვიდა ქართულ პოეზიაში გალაქტიონ ტაბიძე და თავისი პირველი ლექსებით თან მოიტანა წითელი ყაყაჩოს ელფერი და იასამნის სურნელება. ახალი შეტევების, ახალი გაწევის დიად დღეს — პირველ მაისს მიუძღვნა მან თავისი ჭაბუკური სიმღერები:

„დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.“

სალამი იმ დღეებს, სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ შეტევას,
იმ პირველ მაისებს!"

საქართველოს
ბრძოლიანობა

ასეთი სოციალური რადიკალიზმით შთაგონებული ჰანგი შემოიტანა ახალ-გაზრდა პოეტმა სევდისა და უიმედობის ნისლით მოცულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და ეს მოტივი გალაქტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის დასაწყისისათვის საესეებით დამახასიათებელი იყო. 1910 წლით დათარიღებულ მის ერთ ლექსში ისევ ნათელი რწმენით აღზნებული ასეთი ჰანგები გვესმის:

„მაღე ფერ-გადაშლილი
ამწიანდება ტყე-ვილი,
გაიშლება ყვავილი,
სურნელების მფრქვეველი;
გაცოცხლდება დაფნარი,
მთის მწვერვალი, ტყის პირი,
და დაივლის ნარნარი
გაზაფხულის ზეფირი“.

მაგრამ ასეთი იმედით და რწმენით აღბეჭდილი სიმღერები თანდათან გადადიან გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედების მეორე პლანზე. რაც უფრო ღრმად შედის პოეტი ამ პერიოდის ლიტერატურულ გარემოცვაში, მით უფრო მეტის ძალით ეუფლება მას ამ გარემოცვისათვის დამახასიათებელი განწყობილება — სოციალური უიმედობის, გულგატეხილობის, სევდის განწყობილება.

იწყება სოციალური ცხოვრების მკაცრი და სუსხიანი სინამდვილის წინაშე „თვალი დახუჭვის“, საკუთარი გრძნობებისა და განცდების ინტიმურ სამყაროში გახიზნვის უფრო და უფრო მზარდი ტენდენცია. საკუთარი „გულის სიღრმეში“ იწყებს პოეტი „რამე ნათელის“ ძიებას. ძნელი არ არის დანახვა პოეტის ამგვარი ევოლუციის განმაპირობებელი მიზეზებისა. პოეტი პირდაპირ გვამღებს ამ მოვლენის გასაღებს:

„დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა აღრე მოკვდა, რა აღრე მოკვდა!
ეხლა ღამე... ჭვითინებს ქარი,
რომ გამახსენოს ტუბილი წარსული
და გაზაფხულის საზე ნეტარი“.

ძნელი არ არის ამ სტრუქტურების ნამდვილი აზრის გაშიფრვა და დანახვა იმისა, თუ რა ტუბილ წარსულზე, რა გაზაფხულის ნეტარ საზეზე, რა ქარის ჭვითინსა და ღამეზე ლაპარაკობს ეს ლექსი. გალაქტიონ ტაბიძე, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში მოდერნული ლექსის კულტურა, თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველსავე საფეხურზე ხასიათდება რთული პოეტური საბეებისაყენ სწრაფით. იგი თემებსა და იდეებს გადმოგვცემს არა სააგიტაციო ფრაზაში (როგორც მეტწილად სწადიოდნენ ედოშვილის სკოლის პოეტები), არამედ გართულებულ სიმბოლიური ნიშნების მეშვეობით. მაგრამ პოეტუ-

რი ხატვის ამ მანერის პირობებშიც სავსებით ნათლად გამოკრთიან პოეტის სოციალური სევდის სათავეები, საზოგადოებრივ გარემოცვასთან თიერთობის გამძაფრებული კონფლიქტის ბუნება:

„რტობში აეობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს უფერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიჭანაობს“.

აყვავებული ატმის ყვავილების სახით წარმოიდგენს პოეტი თავისი კაბუ-კური ოცნების, თავისი მაღალი მისწრაფებებისა და სურვილების ცხოველ-მყოფელობას:

„ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მზიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი“.

და ამას მოსდევს იმ ყვავილების დაცვენის, დაქნობისა და მიმოფანტვის სევდიანი პეიზაჟი, რომელიც უეჭველად გარკვეული სოციალური აზრის სიმ-ბოლიურ სახედ არის აგრეთვე მოფიქრებული და დახატული:

„მგარამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრტვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი —
გადაცვნილი ატმის ყვავილი
იყო დიდლილი და მოწყენილი“.

იმის გასაგებად, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა გალაქტიონ ტაბიძის რევო-ლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ღრმა სევდისა და გან-წირულების სულისკვეთება, რომელმაც შემდეგ პოეტი ისე ღრმად დააბლო-ვა ევროპისა და რუსეთის ლიტერატურულ დეკადანსის სკოლებს, განსაკუთ-რებული მნიშვნელობა აქვს ლექსს „მშობლიური ეფემერა“:

„ველარ ვენობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ — მიემართავ ტყეებს.
და ტყე გუგუნებს: — დიდი ხანია!
შებავსებიან კლდეები კლდეებს,
იქ ვილაც კენესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მიემართავ ტყეებს.
და ტყე გუგუნებს: — ამირანია.
ეს მსაფრი კენესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ — მიემართავ ტყეებს.
და ტყე გუგუნებს: — დაკარგულია“.

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი პატრიოტული ტრადიცია თავისებურ ღრმა გამოხატულებას პოულობს გალაქტიონ ტაბიძის ამ პერიოდის შემოქმედებაში. ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში გამოსახული ამირანის კენე-სის მოტივით პოეტი უშუალოდ უკავშირდება და აგრძელებს პატრიოტული

რომანტიკის ხსენებულ ტრადიციას. მაგრამ პატრიოტიზმის, სამშობლოადმი მგზნებარე სიყვარულის გრძნობის გამოსახატავად, მშობელი ქვეყნის მიმართ ხვედრით დამწუხრებული პოეტის განწყობილების გადმოსაცემად „სასქესის“ თავისებურ და განსხვავებულ, დასრულებულ პოეტურ ფორმას მიღწეა გალაქტიონ ტაბიძემ ლექსში „მამული“. ეს პატარა ლექსი ერთ-ერთი უბრწყინვალესი პოეტური ქმნილებაა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში და საერთოდ ახალ ქართულ პოეზიაში. სამშობლოს იდეა იქ გამოხატულია ღრმად ინტიმურ და კონკრეტულ განცდათა ასპექტში: მოხუცი მამის სახე, მშობლიური მიწა-წყლის უშუალო შეგრძნება, გადასულ წინაპართა ხსენება, „სხვა ხალხის“ ყრიაბული, — ყოველივე ეს განსაზღვრებულია ორგანიზულად მთლიან, ღრმა სევდით და წრფელი პატრიოტული გზნებით აღბეჭდილ ლირიკულ კომპოზიციაში:

„ცრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის იმის აქ ყრიაბული.

გაშალა ველი ნელმა ნიემმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დაღის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაეგვიანება,
ისევ ამწვანდა მღელი და კორდი?
დავდივარ... ეწუხვარ და მენანება!”

მარტო ეს ერთი ლექსიც საკმაო მდიდარ მასალას გვაძლევს იმის გახარკვევად, თუ რამდენად ახალ ლინდაგზე გადაიყვანა გალაქტიონ ტაბიძემ ქართული ლექსის განვითარება, ქართული პოეტური კულტურის მოდერნიზაციის თვალსაზრისით.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამ ლექსს მივმართეთ იმიტომ, რომ უფრო ცხადად დაგვეჩინა საფუძვლები და სათავეები გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზიაში გამოხატული სევდიანი და მწუხარე განწყობილებებისა.

„მე და დამე“-ში უმძაფრესი გამოხატულება ჰპოვა სიმარტოვისა და სულიერი ობლობის განცდამ. უფრო შორს წავიდა პოეტი ლექსში „უდაბნო“, სადაც არა მარტო მოცემულია პოეტის წარმოდგენა სამყაროზე, როგორც ყრუ და უმოძრაო უდაბნოზე, არამედ ამასთანავე გამოხატულია პოეტის განწირული დამორჩილება უდაბურობისადმი:

„რათ მინდა მიწვედე მიწვედომელს,
ვრცელს და უსაზღვროს!
ჩემს უდაბნოს ვერ გავეპყვევი მინც ვერას დროს“.

ლექსების წიგნში „არტისტული ყვავილების თესვები“ გალაქტიონ ტაბიძე გვევლინება უკვე დასრულებულ დეკადენტად, რომლის არა მარტო განწყობილება, არა მარტო მსოფლშეგრძნობა, არამედ პოეტური მეტყველების საშუალებათა მთელი სისტემაც ტიპიურად სიმბოლისტურია.

მისი პოეტური სახე უკიდურესად სუბიექტიურია, სადაც მოხსნილია ობიექტური შემეცნებითი დანიშნულება პოეზიის ამ ძირითადი მხარეების კომპონენტისა. გარემოცვისადმი, პოეტური ხედვისა და ხატების რატიონალური დმი ურთიერთობაში გალაქტიონ ტაბიძე მივიდა იმპრესიონიზმის უკიდურეს საზღვრებამდე. იგი გვიძღვებს არა რეალური საგნებისა და მოვლენების პოეტურ ანარეკლს, არამედ მხოლოდ საკუთარ შთაბეჭდილებებს და განწყობილებებს, სადაც ობიექტური სამყაროს მხოლოდ იმპულსის ფუნქცია რჩება ამ შთაბეჭდილებათა აღმოცენებისათვის. პოეტი უკარგავს საგნებს მათს სხეულებრივ, საგნობრივ ბუნებას. მის ლექსებში პეიზაჟიც მხოლოდ პოეტის ემოციური სამყაროს, სულიერი ცხოვრების მოძრაობის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს.

საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი გალაქტიონ ტაბიძის ამ პერიოდის შედევრებიდან:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებით ხიდიდან ფენა;
მუხბარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მეესება თოვლით —
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემ სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

ასევე შეაფიოდ გვიჩვენებს პოეტის სრულ დაშორებას რეალისტური პოეტის პოზიციისაგან ლექსი „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“:

„დღეაო ღვთისაგ, მზეო მარიაში
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაყვარდე.
შემოიღამებს მთის ნაპრალები
და თუ როგორმე ისევ გათენდა —
ღამე ნათევი და ნამთვრალევი
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“.

ხშირად სახეების ბუნების ასეთი სუბიექტური, იმპრესიონისტული მანერა დაკავშირებულია აგრეთვე სიტყვის განტვირთვისთან ობიექტური, საკომუნიკაციო მისი დანიშნულებისა და შინაარსისაგან, როცა სიტყვა აღებულია, როგორც მხოლოდ ბგერითი ფენომენი, როგორც მხოლოდ მუსიკალური ერთეული ლექსის მელოდირურ წყობაში:

„მირბის დაღალ გადაყრილი
დოეინ-დოევენ-დოელი.
თოელი ფიფქი და აპრილი —
ვარდისფერი თოელი“.

ქ პოეტური სიტყვა გაგებულია როგორც მუსიკალური ფრაზის შემადგენელ მელოდირური ერთეული, როგორც პოლ ვერლენის „უსიტყვო რომანსებში“. გალაქტიონ ტაბიძის ასეთი ლექსები ეხმაურებიან არტურ რემპოს „სიტყვათა აღქმისას“, ან კიდევ უფრო მეტად ალექსანდრ ბლოკის ირაციონალურ მელოდებს, რომლებიც უშუალოდ არიან მიმართული მკითხველის ემოციათა სამყაროსაკენ.



„ზნორად პოეტის წარმოსახვითს საშუალებათა სისტემაში სრულიად წამ-
ლილია საზღვრები სმენითსა და მხედველობითს შეგრძნობათა შერწყმულს

გნებლნიცხეხს

„ასე მწუხარე ვიდექი ღიღხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ევრხეები
აზრიალებდნენ ფოთლებს ზნელ-ზმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები“.

და ყოველივე ამის მიუხედავად, გალაქტიონ ტაბიძის ამ დროინდელი ლექსები ემოციური შემოქმედების უდიდესი ძალით ხასიათდებიან. შეითხვე-
ლი ყოველთვის შეუნელებელ და ცხოველ ემოციურ კონტაქტშია პოეტთან.
დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ლექსის მუსიკალურ ბუნებას, რის სფე-
როშიაც გალაქტიონ ტაბიძე შეუდარებელ სიმდიდრეს და ოსტატობას იჩენს.
მისი ყოველი სტრიქონი გაცოცხლებულია და შინაგანად ამღვრებული.

ასე შორს წავიდა ვალ. ტაბიძე კლასიკური რეალისტური ლირიკის ტრა-
დიციებიდან. ასე ღრმად გამოიხატა მის შემოქმედებაში დეკადანსის პოე-
ტური კულტურის დამახასიათებელი თვისებები. მაგრამ მისი მთელი შემოქ-
მედებითი ევოლუციის გზა აღბეჭდილია წინააღმდეგობებით. არის მთელს
მის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ერთგვარი „ქვეტექსტი“, ზოგჯერ შე-
ტად ღრმად შებურვილი, ზოგჯერ უფრო ცხადად გამოვლენილი შენაკადი,
რომელიც ყოველთვის გამოიხატავს პოეტის სულიერ ნათესაობას ეპოქის რე-
ვოლუციურ ფაქტორებთან.

ღრმა სევდასა და განწირულებასთან ერთად, რომლითაც საერთოდ გამს-
ჭვალულია ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზია, იშვიათად როდი ვხვდებით
რწმუნით და სასიცოცხლო მისწრაფებებით აღბეჭდილ სტრიქონებს. უმკვე-
ლია, რომ პოეტის მახვილ ყურთასმენამდე მაინც აღწევდა ხმა იმ ფარული
გუგუნისა, რომლითაც სოციალური სინამდვილის სიღრმეში გროვდებოდნენ
რევოლუციის ახალი მამოძრავებელი ძალები:

„ო, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დაემარხე ოცნება წარველი,
განადგურების ეკლიან გზაზე
გულს ბევრი რამ აქვს ხელუზღებელი“.

და შინაგანი პოეტური ხილვა პოეტს თვალწინ წარმოუსახავს სადღაც არსე-
ბულ „სტეა სამყაროს“, რომლისკენაც მიპყრობილია მისი იმედი და მისწრა-
ფება:

„და მუდამ გავზრდი გულში იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე,
სადაც ედემი ყვავის მზიანი,
სადაც არ არის სული მწუხარე“.

ბნელი და პირქუში საზოგადოებრივი ვითარების მიღმა პოეტი მაინც ხე-
დავს თავის საოცნებო ნათელს და თუმცა ის ნათელი მიუწვდომელ სიშო-
რედ ეჩვენება, მაინც გულით მიიწევს მისკენ:

„მას აქეთია იალქანი ზღვაზე მთფრინავს,
მისთვის ერთია, სად დახუტავს ოცნება თვალებს,
მთუწვდომელი სინთლები კი ზრწყინავს და ზრწყინავს.
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!“

არა მარტო ოცნება შორეულ ნათელზე, არა მარტო რწმენა და სწრაფვა/ამ
„მზიურ ედემისაგან“ გამოსჩანს ტაბიძის რევოლუციამდელ პედაგოგიურ-აქტი-
მედ ზოგჯერ მგზნებარე ტემპერამენტით აღბეჭდილი განწყობილებებიც.
იდეალის მოახლოებისათვის საბრძოლველად შთაგონებული პოეტისა:

„ვიწიწვებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაკურებ,
ვაინადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყულ ღამესაც ვავანადგურებ“.

„მე და ღამის“ ავტორს აქვს ისეთი ლექსიც, სადაც იგი უკუაგდება სიმ-
შვიდისა და მყუდროების იდილიას, რათა გრივალს შეეხას და ქარიშხალს
მოუწოდოს:

„ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე ვერც სიტბობება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო და სანეტარო.
დაპროლე, ქარო, მე არ მიყვარს ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შეხმა მინდა, დაპროლე ქარო!“

და როგორც კი დაპროლა ამ ქარიშხალმა, პოეტმა მართლაც დიდის გაბე-
ღულობით განადგურა „ხელის შემშლელი ნისლი“ საკუთარი პოეტური
წარსულისა. თუმცა ეს ნისლი ღრმად და ორგანიულად იყო დასადგურებუ-
ლი პოეტის ბუნებაში, მაინც რევოლუციასთან შინაგანმა ნათესაობამ და მის-
წრაფებამ დასძლია იგი:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია,
და სისხლიანი სდვას ანგელოსი,
ახალ გრივალებს სიცოცხლეს ვწირავთ,
ჩვენ პოეტები საქართველოსი“.

მთელ რიგ პოეტურ ქმნილებებში განასახიერა გ. ტაბიძემ ოქტომბრის რე-
ვოლუციის დიადი დღეებით გამოწვეული შთაბეჭდილებანი, რომლებიც მან
უშუალოდ განიცადა რუსეთში. თავდაპირველად ბუნდოვანი იყო პოეტის
ცნობიერებაში ამ დიადი დღეების საერთაშორისო ისტორიული აზრი. მას
რევოლუცია ჯერ კიდევ ნკრევის სტიქიად მიაჩნდა, რომლის გარემოცვაში
იგი თანაბრად იყო შეპყრობილი ალტაცებისა და განწირულების გრძობე-
ბით:

„ქუჩა სიყვის გრძობამ შეფიქვა,
თან შეფიცება დობას და ძმობას,
და ყორანივით უცნობის სკრიპკა
ჩემს მხართან ტირის უიმედობას.
კარგია ძილი, რკინაზე მძიმე,
ამ უცხოეთში უგზოდ დაკარგვა.
კარგია თოვლი, კარგია წვიმა,
მაგრამ უცნობო შენ რა დაგარჯვა?“

მაგრამ რევოლუციის ასეთი მიმღეობა მსწრაფლწარმავალი აღმოჩნდა პო-
ეტისათვის. იგი ალტაცებით გაჰყვა ოქტომბრის რევოლუციას და ამიერიდან
შის ლექსებში განწირულებისა და უიმედობის მოტივი სამუდამოდ შესცვა-
ლა გამარჯვებული ბრძოლის სიმღერამ:

„ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ურამულმა გადაიღურა,
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“.



ეს გარდაქმნა ტაბიძისათვის არ ყოფილა მტკივნეული, მერყეობასა და და-
ეპყვებასთან დაკავშირებული. მაგრამ, ცხადია, ადვილი არ იყო ახალქვეყნულ
ლუციური თემებისა და იდეებისათვის შესაფერი პოეტური მოტივების
საღებავების მიგნება. პირად-ინტიმური თემების განსახიერებისათვის, ეფემ-
რებისა და ფანტასტიური სურათების გადმოცემისათვის გამომუშავებული
პოეტური ფორმა საფუძვლიან გარდაქმნას და შეცვლას მოითხოვდა. ეს კი
შედარებით უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ამ სიძნელის გადალახვი-
სათვის წარმოებულ დიდ შემოქმედებითს ბრძოლაში ტაბიძე ყოველთვის რო-
დი ახერხებდა შეენარჩუნებინა პოეტური ქმნილების მისთვის ჩვეული ესთე-
ტიური ძალა და სიღრმე. ავიღოთ, მაგალითად, პოემა „ჯონ-რიდი“. ამ ვრცელ
პოეტურ ნაწარმოებში, სადაც ავტორი ოქტომბრის რევოლუციას ვაძლევს
როგორც ნგრევის სტიქიის ანარეკლს, პოეტური ფორმის მხრივ დარღვეუ-
ლია ყოველგვარი კანონზომიერება და ზოგჯერ დაეწიება ლექსის სპე-
ციფიკის მოთხოვნებიც. პოეტი აქ ფაქტებისა და მოვლენების კალიდოსკოპს
იძლევა, მათი ესთეტიური გააზრებისა და სახეობრივი გადამუშავების გარეშე:

„წაქცეული ხე ტვერის ბულვარში,
წაქცეული ცხენი ტვერის ბულვარში.
ტყვიანმტრქვეველ დიდ სამრეკლოზე,
ცეცხლი ედება
უწარმავარ სახლებს ბულვარზე.
სახლები იწვიან ყოველმხრივ,
ყოველმხრივ...
ლევენდა ერთ სახლზე.
შოსკოვი ღამით განათებული,
განუწყვეტილი კანანადები,
სამინელი შიმშილი,
და მე ვინტოვკით!
კრემლი გამაგრება:
პური, რომელიც მიჰქონდათ კრემლში!“

ამ სტრიქონებში გადმოცემულია დიადი რევოლუციური დღეების მძაფრი
შეგნება. მაგრამ სინამდვილის სტიქიურ ათვისებასთან ერთად აქ თვით ლექ-
სის მდინარეც სტიქიურია: ირღვევა პოეტური კანონზომიერების ყველა
ჯგბირი. ცხადია, გალაქტიონ ტაბიძე აქ სრულიად შეგნებულად ახდენს საკუ-
თარი პოეტური ტრადიციების უღმობელსა და დაუზოგავ დეფორმაციას. აღ-
ბათ, მათს დრღვევაში ხელავს პოეტი ახალ, რევოლუციური ეპოქის პოეტური
კულტურისათვის აუცილებელი მუსიკის აღმოცენების წინაპირობას.

შემდეგში რევოლუციური თემებისა და იდეების უფრო ღრმა დაუფლები
ნიადაგზე პოეტი თანდათან შედის ახალი ხარისხის, მაღალი და მძლავრი პოე-
ტური ფორმის ყალიბში. მის პოემებში, რომლებიც უფრო ლირიკული ფრაგ-
მენტების თემატიურად აწყობილს კომპოზიციებს შეადგენენ, ჩვენ ვხვდებით
დიდი შთავგნებით და ღრმა ემოციური ძალით ამოძრავებულ ლექსებს:

„ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია,
მან ბეჭეტი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია“.

ქარიშხლიანი რევოლუციური ეპოქის პათოსი თანდათან მკვიდრდება გა-
ლაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ბუნებრივად ირღვევა მისი ლექსის ინტი-

მურ-კამერული ინტონაცია. უფრო მძაფრი გარდატეხებისა და დიადი კლასობრივი ბრძოლების დაძაბულ ატმოსფეროს ამსახველი პანგი განსახიერებს: ცხლა მისი პოეზიის მელოდიურ ბუნებას. გ. ტაბიძის ლექსი უფროსი უმეტესობისაა, ვაქაცურ, პათეტიურ სტილში იწყებს მდინარებას:

...არა თუ წლები გადაიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი ბუკარი
არის ვაჭრილი კლასობრივ ომად,
არის ეპოქის დროშის ჭვეშ მღვარი.
ეპოქა არის ნამგლის, ჭურების
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა“.

და მართლაც, თავისი პოეტური შემოქმედების მთელი ძალა და გაქანება, ყოველი თავისი ლექსი დააყენა მან დიდის რწმენით და შთაფონებით სოციალისტური ეპოქის საბრძოლო დროშის ქვეშ.

წრფელი პათოსით ამღერებულ მის ლექსებში აელვარდნენ ოქტომბრის რევოლუციის გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის დიადი საბეები.

ოქტომბრის რევოლუციის თემა ორგანიულად დამკვიდრდა ტაბიძის პოეზიაში და ამ თემის მრავალმხრივი დამუშავებით იგი საბჭოთა ეპოქის პოეტური კულტურის პირველხარისხოვან ოსტატად მოგვევლინა. გალაქტიონ ტაბიძე უმდერის ოქტომბრის რევოლუციას, როგორც კაცობრიობის ახალი სიცოცხლის დასაწყისს:

„გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არცა ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე ებლა რაოდენია!
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს
მათ განახლებას ეუბნება ბანს
ეს გაზაფხული, უზარებს დღეებს
და არწევს ახალ სიცოცხლის აკვანს“.

სოციალისტური რევოლუციის გრანდიოზული გაქანების განსახიერებას გვაძლევს პოეტი საერთაშორისო რევოლუციური პიმნის „ინტერნაციონალისადმი“ მიძღვნილ ლექსში:

„ამ პიმნმა დასძრა ძველი ტაძრები
და ეარსკვლავები აჟარა ცაზე,
მწვერვალს მოსწყვიტა სასახლეები
და დააქანა მოღიბულ გზაზე,
მუდამ მალეღვებს ინტერნაციონალი,
ეს ერთანტელი ჩვენი დროისა!
ადვილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება
და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა“.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების უდიდეს ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მის პოეზიაში ღრმად არის გამოხატული ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა. მთელ რიგ პოეტურ ქმნილებებში იგი გვაძლევს კაპიტალისტური გარემოცვის მომაცდინებელ მხი-

ლუბას და განამტკიცებს მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვების
ნას:

ურყევ რწმენა
ეროვნული
გინჯლირთხვა

„მგვრამ მოვა დრო, მედგარი წვიმა,
მსოფლიო წვიმა დაჰკრავს ჯეჯილებს,
მიეზღინება იგი პოლიუსს,
ვით ცისარტყელის ფერი მზიანი.
წყალს იგი თუ არ, სხვა ვერვინ მისცემს
წყურვილისაგან ხმა ჩახლეჩილებს,
იგი: მსოფლიო ოქტომბრის შუტო,
ქვეყნის პირველი მერიდიანი“.

უშრეტი პოეტური ენერგიით შევიდა ტაბიძე ჩვენი სოციალისტური თა-
ნამედროვეობის თემებისა და იდეების- არეში და იშვიათია ჩვენი ეპოქის
რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ანარეკლი და გამოხმაურე-
ბა არ ეპოვოს ჩვენი დროის ამ მოწინავე პოეტის შემოქმედებაში.

განახლებულ საქართველოს დედაქალაქში შემოკრილ ამომავალი მზის
პირველ სხივს პოეტი განიცდის, როგორც ცხოველყოფელ ნიშანს ჩვენს
ქვეყანაში სამუდამოდ გათენებისას, ჩვენი ბაღხის ცხოვრების განათებისა და
ასხივოსნებისას:

„განთიადისა პირველი ალი
ნარიყალისა ნანგრევზე წვიბა,
ელექტრო ჭრება და შუტო მზისა
იფეთქებს როგორც ახალი შევება,
ჰყვება თბილისი სხვადასხვა პანჯებს,
ხმა სიშორიდან გულს ღელვად ზედება;
ჩემი საღამო გიგანტურ ჩანჯებს,
ზნელს სული ზდება, სიბნელე ჰკედება“.

წრფელი სიმღერებით ეხმაურება პოეტი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური
აღმავლობის პათოსს და გაქანებას:

„აქ ძაბილია ლიანდაგების,
აქ ტრიალია სემადორების.
შორი ძაბილი სადგურებისა,
მოსვლის, შეხვედრის და განშორების“.

გამარჯვების რწმენით აღბეჭდილი, მგზნებარე ლექსით მიმართავს პოე-
ტი კოლხეთის ველზე ახალ მატერიკისათვის, ახალ ცხოვრებისათვის მებრ-
ძოლ გმირ აღამიანებს, „ახალი დროის არგონავტებს“:

„თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა,
დაბრკოლებანი გარემოისა,
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა,
არგონავტებო ახალ დროისა“.

განახლებული საქართველოს მზიური პეიზაჟი, ჩაის პლანტაციებით და-
ფარული ველები, აყვავებული ვარდის სურნელით გაჟღენთილი ბუნების
ზეიმი გალაქტიონ ტაბიძის პოემაში პოულობს მგრძნობიარე ლირიკულ გა-
მოხატულებას:

„ჩემი გულია, მშვენიერ მაისს
ზევწინად მუხლებში რომ ვუფარდები,
სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის
და უფეთღელი ჩაის ეარდები!“

პოეტი შთაგონებულად უმღერის ჩვენი სოფლის მამა-პაპური იდეალის განახლებას, მის ცხოვრებაში მანქანის უეჭრას. ლექსში „ავტომობილი“ ურემი“ გამოხატულია ახალი ცხოვრების ძლევა მოსილი წინსვლა წინსვლას უკანასკნელი ნაშთების კატასტროფა:

„ახალ-ახალ შარზე
მიჭკრის ავტომობილი,
ჩემი გადარეული
და კეთილი ძმობილი.
გზა მიეცით მანქანას,
მოშავალი მისია.
იგი ჩვენში ახალი
ყოფნის დასაწყისია“.

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში ღრმად არის განსახიერებული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უწმინდესი იდეა. პოეტი შთააგონებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს უძლეველ და სახელოვან წითელ არმიას:

„რწმენით იარ, იარ, იარ,
შტაკაცე გქონდეს ბოჯი,
ყველა ნიჭზე ძლიერი
ქვეყნის დაცვის ნიჭი“.

ასე ფართოა გალაქტიონ ტაბიძის პოეტური დიაპაზონი, ასე ვრცელია მისი შთაგონების თემებისა და იდეების სამყარო. ამ დიდსა და დიდადულ შემოქმედებითს მუშაობაში, თემებისა და პრობლემების ამ არაჩვეულებრივ სიუხვეში იშვიათი როდია პოეტურ ქმნილებათა არათანაბარი დონე და ხარისხი. „ეპოქის“, „პაციფიზმის“ და „რევოლუციური საქართველოს“ ციკლებში ვხვდებით შედარებით დაბალი ესთეტიური ღირებულების ლექსებს. ეს უმთავრესად იმ შემთხვევებში, როდესაც პოეტი სოციალური სინამდვილის კონკრეტული მოვლენების ასახვას, ყოფაცხოვრებითი სურათების დახატვას ლამობს, როდესაც იგი მომთხრობელობით ლექსსზე გადადის და ეპიურ ჟანრში იწყებს მუშაობას. სიანს, ლირიკული ლექსის უმაღლეს ხელოვნებას დაუფლებულ პოეტს ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავისი ინდივიდუალური გასაღები კონკრეტულ, რეალურ თემატიურ მასალისათვის. შეიძლება ეს აინხსნებოდეს პოეტის ინდივიდუალური თვისებით, მისი ნიჭის სპეციფიკით. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ საბჭოთა პოეტური კულტურის ისეთი შედეგების გვერდით, როგორც არის „ქალაქი წყალქვეშ“, „პრესა“ და მრავალი სხვა, ტაბიძის შემოქმედებაში ვხვდებით ისეთს შემთხვევებს, როცა, პოეტისავე სიტყვით:

„თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც
არ არის ლექსი“.

აბა რა აქვს სიერთო გალაქტიონ ტაბიძის პოეტურ ბუნებასთან, მის შესანიშნავ და წარმატებულ ლირიკულ სიმღერებთან, მაგალითად, ასეთ სტრიქონებს:

„რიონკის
საქართველოსთვის არის
უმაღლესი
თავისუფლება.
რიონკისს შემდეგ
საქართველოსთვის“

ვერ იარსებებს
ვერავითარი
დამწონებელი
ძალაუფლება“.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ მთლად ჩახშობილია ის დიდი პოეტური გზნება, მხატვრული აზროვნების, მოვლენების ლირიკული განცდის და შთაგონებული ამღერების ის იშვიათი თვისება, რომელიც ასე დამახასიათებელია გალაქტიონ ტაბიძის მთელი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის.

განსაკუთრებით შეეხება ეს მთელ რიგ თავებს პოემიდან „აქაქი წერეთელი“ და ვრცელ პოეტურ ტრაქტატს „საუბარი ლირიკის შესახებ“.

აქ ვხვდებით უბრალოდ გარითმულ მსჯელობებს, სადაც ლექსის ემოციური ძალა მინიმუმამდეა დაყვანილი:

„აზრთ შინაგანი მოძრაობა
ბუნება გრძნობათ —
უნდა გაიხსნას გარეგანად
იმ მოძრაობად,
რასაც იძლევა სიტყვათ რიტმი
და ჰარმონია;
ხელმარჯვეობა უმრავლესთა
ყვავილთ მკონია.
მრავალნაირი მოძრაობით
შექმნილი ძველი
მრავალფერობა ხმათა — როგორც
ამბობს ჰეგელი“.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად მცირე პოეზიაა ამ სტრიქონებში, თუ რამდენად არ შეესაბამებოდა ეს სტრიქონები გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედების ნამდვილ ბუნებას, საკმარისია მოვუყვანოთ რამდენიმე სტრიქონი ამავე პოეტური ნაწარმოების შესავალ ნაწილიდან, რომელიც ღრმა პოეტური ფანტაზიაა, გალაქტიონისებური ქეშმარიტი ლირიზმით აღბეჭდილი:

„ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს,
ჭაღების გაღმა,
ჯავახიონის კლდოვანი მთის
მოსტანდა ფერდი,
საღამოობით ვით ხომალდი
ასწიოს ნალშმა —
მზით ენთებოდა და მჭრებოდა
ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე ის სიშორე
მტანჯავდა ერთი —
ლაფვარდოვანი მიტაცებდნენ
ნაჭერალები
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი,
ვმღერდი თუ ვსწერდი —
მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ
ის მწვერვალები“.

ეს არის ნამდვილი გალაქტიონ ტაბიძე, მისი ქეშმარიტი პოეტური ხმა, მღელვარე გრძნობა, დაუცხრომელი ლირიზმი, მხატვრული აზრის ექსპრესია, ლექსის შინაგანი ამღერება, თავისებური მელოდიურობა.



სწანს, გალაქტიონ ტაბიძის პოეტური ცხოვრების სტიქია მდგომარეობს არა მსჯელობითი რეზონიორულ ლექსთა თხზებში, არა მტყნარეზულუბითს ეპიურ პოეტურ ქანრებში, არა ყოფა-ცხოვრებითი სურამტყნარეზულუბითსა და ტიპიურ ადამიანთა პორტრეტების გადმომცემ ფორმებში მხატვრულ მეტყველებსა.

გალაქტიონ ტაბიძე ჩვენი ეპოქის დიდი ლირიკოსია და იგი თავისი პოეტური ბუნების მთელ ძალას სწორედ მაშინ გამოავლენს, როდესაც ობიექტურ სამყაროს გამოვლინების მიმართ თავისი დამოკიდებულების, თავის განცდათა და განწყობილებათა განმასახიერებელ ლექსებს ჰქმნის, და თუ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ზღუდავს მის პოეზიას, ღრმა სოციალურ რეზონანსს, ვერ ამწყვედებს მას პირადულ-ინტიმური გრძნობებისა და ეიწრო ინდივიდუალისტური ემოციების რკალში, ეს იმიტომ, რომ იგი მღელვარე ლირიკულ მელოდებში, რომლებითაც პოეტი თავისი თანამედროვეობის დიდ სოციალურ ძვრებსა და იდეებს ეხმაურება, აღწევს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ტიპიურ მისწრაფებათა და განწყობილებათა გადმოცემას. საკუთარი ლირიკული ასპექტი სინამდვილის პოეტური ათვისებისა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ორგანიულად არის დაკავშირებული ხალხის საბრძოლო იდეალებთან, უდიდესი ისტორიული შისიით ამხედრებულ მილიონების სულისკვეთებასთან და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი, როგორც სოციალისტური ლირიკის გამოჩენილი ოსტატის, ერთ-ერთი უპირველესი ღირსება.

ეპოქის მასულმდგმულეზებელ დიდ სოციალურ იდეებს, ჩვენი უაღრესად დამაბული და გმირული სინამდვილის მოვლენებს გალაქტიონ ტაბიძე ეხმაურება და გამოხატავს ისეთივე ლირიკული გზნებით, ისეთივე მწყურვალე მგრძნობელობით და პოეტური მღელვარებით, როგორც იგი ოდესმე პირად-ინტიმურ განცდათა სამყაროდან მომდინარე მოტივებს განასახიერებდა ან საკუთარი ფანტასტიური წარმოდგენებით შეთხზულ სამყაროში ხილულსურათებს წარმოსახავდა.

გალაქტიონ ტაბიძის პოეტური ბუნების ეს თვისება განსაკუთრებით ცხოვლად და მკვეთრად ვლინდება ეხლა, დიადი სამამულო ომის ვითარებაში, როდესაც მისი შემოქმედების მასულმდგმულეზებელ ძირითად ძალად გადაიქცა სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულების იდეა, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების უბოროტესი მტრებისადმი მომაკვდინებელი მძულვარების წმინდა გრძნობა.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, გალაქტიონ ტაბიძე თავისი პოეტური ცხოვრების დასაწყისიდანვე ცხოვლად და შთაგონებულად ეხმაურებოდა და თავისებურად განავითარებდა ქართული კლასიკური პოეზიის დიდ პატრიოტულ ტრადიციას. სრული სიმართლეა გამოთქმული სამშობლოსადმი მიძღვნილს მის ერთ-ერთ ლექსში:

„სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მზურვალეა გარს რომ ავლია,
აი პირველი,
აი პირველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია“.

ეს გრძნობა იყო პირველი და უმთავრესი გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი სტიქიის აღმძვრელ გრძნობათა შორის და თემებისა და ქვეყნების იმ ამოუწურავ სიუხვესა და მრავალფეროვნებაში, რომელიც გალაქტიონ ტაბიძის პოეზიას ახასიათებს. სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის იდეა ყოველთვის ამგვარ განმსაზღვრელ მდგომარეობას ინარჩუნებს:

„გაღწლი უძიძვეს ლექსების კონებს,
რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს —

ნურაინ ჰგონებს, —
რა სიყვარულიც მე მისწავლია!“

ღრმა სიწრფელით და მომხიბლავი უშუალობით ჟღერს სამშობლოსადმი მიმართული სიტყვები პოეტისა უკანასკნელი ღროს მისი ერთ-ერთი ღრვიანი ლექსიდან „ჩემი სიმღერა“:

„შენ, სამშობლოც,
ჰა ჩემი ჩანგი, სწორუპოვარი,
ჰა ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

სამშობლოს მიუძღვნა და მიაკუთვნა პოეტმა თავისი ჩანგიც და თავისი გულიც. თავისი სიციცხლისა და შემოქმედების მთელი არსება სამშობლოსთან დაკავშირება მან ისეთი ინტიმური და მშობლიური სიხლოვით, როგორც განიცდის ადამიანი რაიმე თავის უსაყვარლეს და უძვირფასეს საგანს.

სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში უშუალოდ არის დაკავშირებული მტრულ სამყაროსადმი შლეღვარე სიტუაციის გრძნობასთან.

დაუცხრომელი პოეტური ენერგიით და შეუირველობის მძაფრი განცდით ჰქმნიდა გალაქტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ მშვიდობიან მშენებლობის წლებში მტრული რეაქციული სამყაროს მამხილებელ ლექსებს. დიდი სიუხვეთ და სისაყსით არის დამუშავებული ეს თემა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. გარდა დიდი პოეტური ციკლებისა: „ეპოქა“ და „პაციფიზმი“, ამ თემისადმი მიძღვნილი გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მესამე ტომის ძირითადი ნაწილი „მოგონებები ევროპაზე“.

ამ ლექსებში პოეტი ღრმა დამაჯერებლობით განასახიერებს რეაქციულ სამყაროს სასიკვდილო განწირულების აზრს, გადმოგვეცმს საბჭოთა ადამიანის ნაციონალური სიამაყის გრძნობას, მის შეგნებას ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებული ახალი ცხოვრების უპირატესობისა, ჩვენი ხალხის ბრძოლის დიადი საერთაშორისო ისტორიული აზრისა. ამ აზრით აღბეჭდილი ლექსებით მიმართავს პოეტი ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტერთა სამყაროს:

„ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძიძობის,
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს —
ხალხთა ძიძობისა და მეგობრობის
ურთიერთ რწმენით ურყვე საძირკველს.

თქვენი ქვეყანა კი ურთიერთი
ღრმა სიტუაციის ვულკანზე მდგარი,
რბევს მძინვარე ღმერთი
არის იმისი ბაირალტარი“.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსი ყოველთვის ისწრაფოდა — გაეწრთო და გამახვილებინა ჩვენი ხალხის სიფხიზლე მტრული ძალების მხრისკენ. მისი გრძნობა მზადყოფნისა მომავალი დიადი ბრძოლებისათვის — მისი მტრების წინააღმდეგ.

პოეტს იერში მიჰქონდა ჩვენი გულდამწვიდების ყოველგვარ ილუზიაზე, იგი დაეინებით მოგვეფიქრებდა:

„რომ არა ერთხელ აგულუნდება
დედამიწაზე კიდევ სამი“.

იგი გვიხატავდა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ისტორიის ყველაზე ბნელი და უბოროტესი ძალების მოსალოდნელი ვერაგული გამოლაშქრების სურათს, აღბეჭდილს ღრმა პოეტური ექსპრესიით:

„წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრაღ
ასანტიმეტრის მკაცრი სახელი,
ხევიდან ხევზე გადიგრაილებს
ხევიდან ხევის გამოძახილი.
გააფთრებული ომის გენია
ძველ ენგად უვითელი ფერის
გადეფარება მუწამულ ზეცას
რომ მიიტანოს დღე მწარე წერის,
იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრიოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მიადგეს ტფილისს!“

ეს წინათგრძნობა და წინაღობა საერთაშორისო რეაქციის უბნელს ძალთა მოსალოდნელი თავდასხმისა ჩვენს დედა-სამშობლოზე მრავალჯერ არის გამოხატული გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. ამიტომ უმღეროდა იგი ყოველთვის ისეთი ფრთაასხმული შთაგონებით ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, მის უძლეველობას, მტერთ შემშუსრავი სიმტკიცის იდეას:

„ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლაში მავარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნამავარი“.

ჩვენს სამშობლოზე პიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის თითქმის წინა დღით, 1941 წლის თებერვალში, დასწერა გალაქტიონ ტაბიძემ პატრიოტული მგზნებარებით შთაგონებული ვრცელი ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ — ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკისა.

თითქმის მოახლოებულ დიად ბრძოლათა წინათგრძნობით განსაკუთრებულად გამძაფრებული და აღგზნებული პატრიოტული გულისძგერა მოისმის ამ ლექსის სტრიქონებში. პოეტი აქ აღწევს მთელი ხალხის უწყინდეს გრძნობათა და მისწრაფებათა გამოთქმის ძალას, განასახიერებს რა საბჭოთა ადამიანის თავდადებულ სიყვარულს თავისი ქვეყნისადმი. განუზომელ აღტაცებას მშობელი ქვეყნის წარმტაცო ბუნებით, კანონიერ სიამაყეს ჩვენი გმირული და სახელოვანი ისტორიით, ჩვენი ტკბილი მშობლიური ენით, დიადი კულტურით, შეგნებას ჩვენი თანამედროვე შრომისა და ბრძოლის მონაპოვართა უდიდესი საერთაშორისო-ისტორიული აზრისა და ჩვენს საყოველ-
12. „მნათობი“, № 9—10.

თათ მზადყოფნას, რომ სისხლის ყოველი წვეთით დავიცვათ ყოველი
 ის, რაც გაერთიანებულია სამშობლოს უმაღლესსა და უწმინდესსა.
 ამ ლექსში გალაქტიონ ტაბიძემ პოეტური გამოსახულება მისცა: ჩვენს
 ხალხის საყოველთაო აზრსა და რწმენას, რომ ჩვენი სამშობლოს აღდგენისა
 და აღორძინების, ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების ნათელის დამკვიდრე-
 ბის დიადი ეპოპეა განათებულია დიდი სტალინის მშობლიური, უსაზღვროდ
 საყვარელი სახელით, მისი მარად წინსვლისაკენ მომწოდებელი და დამარბ-
 მელი გენიით, რომელიც ზრდის და აყალიბებს ჩვენს არსებაში სამშობლოს
 დაცვისათვის თავგანწირულობის მაღალ ნებისყოფას.

პოეტი მიმართავს სამშობლოს:

„...მრავალჯის დანჯრული
 დღეს ძლიერი გახდი მზაჲ,
 და მოედო სოფელს, ქალაქს
 განახლების ნიღვარი;
 თუ ვრიგალი მშენებლობის
 ამეტყველებს თვით ჭვა-ლოდებს, —
 ეს მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
 ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
 მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.
 რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
 შენი დროშის ფერს დავიცავ“.

ასე მღეროდა გალაქტიონ ტაბიძის ლექსი მშვიდობიანი მშენებლობის
 წლებში, ხოლო როდესაც მის ლექსებში განსაზიერებულ მტრულს სამყა-
 როსთან მოახლოებულ დიად შეჯახებათა წინათგრძნობა რეალობად იქცა,
 გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში უფრო მეტის ცხოველმყოფელობით გაისმა
 პატრიოტული თავგანწირულობის, სამშობლოსადმი თავდადებული საყვარუ-
 ლის წრფელი საგალობელი:

„სიცოცხლო, მამულო, მამარი, არა-ფარული,
 შეილთა შენთა ხმაბლთა სთქვან შენი საყვარული“.

ვერაგი მტრისადმი მომაკვდინებელი ზიზლის წმინდა გრძნობით აღზნებუ-
 ლი ლექსი გალაქტიონ ტაბიძისა ეხლა ადამიანობის უმაღლეს იდეალად, სი-
 ცოცხლის უმაღლეს დანიშნულებად და გამართლებად, მტრის ურდოების
 შესამუხრავად და უკუსაქცევად ვაჟკაცურ ბრძოლას სახავს:

„საწამლავით ხელში მოსულს
 მას სიკვდილი მოსდევს მზღებლად,
 ომს აჩაღებს ბარბაროსულს,
 ხალხს ეკეთა საწამებლად.
 უნდა გაქრეს სიმწრის ფერი,
 მძიმე სულის, მძიმე ქროლა,
 ეხლა არის ყველაფერი —
 მასთან ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა“.

ყოველდღიური პრესის ფურცლებიდან, ლექსთა საგანგებო კრებულები-
 დან თუ დედაქალაქის ქუჩებზე გაკრულ საბრძოლო პლაკატებიდან ეხლა გა-
 ლაქტიონ ტაბიძის ლექსი დიდების შარავანდედით მოსავს ჩვენს გამრულ
 დღეებს, როდესაც:



„ძალით, სიკაცხლით, გატაცებით,
მკლავით, გონებით,
ადამიანთა მღელვარებენ მილიონები“.

ჩვენი პატრიოტული აღფრთოვანების უფრო მეტი აღმავლობისათვის, ხოლო მომავალ თაობათა ხსოვნაში უკვდავყოფისათვის აღბეჭდავს მგზნებარე დღეებს, როდესაც:

„მოსიყვარულე, ხმაშალალ
მძაფრი და მალი
ხევიდან ხევე მოგუგუნებს
ძახილი „სტალინი!“

სამშობლოსათვის თავდადების სულსკვეთებით გამსჭვალულ მის სიმღერებში ხორცს ისხამს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურყევი რწმენა ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვებისა. პოეტი ამ გამარჯვების დიადი დღის მოახლოებას შეჰხარის და უმღერის:

„სამშობლოსათვის თავდადების დრონი შეფობენ!
იგი გვეძახის ბევრის მოწმე, ბევრის მგონები.
ჰოხლოებულ გამარჯვების დიდებას გრძნობენ
ადამიანთა პატროსანთ მილიონები“.

ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიციოცხლის გადამწყვეტ მძაფრ ვითარებაში გალაქტიონ ტაბიძის ლექსებში უშუალო პოეტურ გამოსახულებას პოულობს ყოველი საბჭოთა პატრიოტის უმალღესი ოცნება და რწმენა:

„რაკი მძლავრობს ხალხის ზმა და სტალინის გენია,
ვიცი, რომ საბოლოოთ გამარჯვება ჩვენია“.

ასეთი ცხოველყოფილი საბრძოლო პანგებით ეღერს ეხლა იმ პოეტის ლექსები, რომელიც ოდესღაც უნაზეს ლირიკულ მელოდიებს სთხზავდა. ადამიანის უარესად ინტიმურ განწყობილებათა და ღრმად ინდივიდუალისტურ განცდა-წარმოდგენათა გადასაცემად.

ასე ფეხდაფეხ მიჰყვება პოეტი თავის ეპოქას, თავის მშრომელ ხალხს, თავისი ქვეყნის მოწოდებას:

„შე კაცასიის ჭედები მოხოვენ,
მე მოხოეს მუსიკა თერგის ხმაურის,
ცესმინო ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს,
აგუგუნება კაიშაურის“.

ეხლა მარად მშფოთვარი და დაუდგრომელი თერგის ხმაური და მყინვარის ჭედუხრელი სიმალღე და ელვარება, არაერთხელ ნაღიღები საქართველოს დიდი პოეტების მიერ, განსაზღვრავს გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის პანგებსა და ფერადებს, ეხლა „აგუგუნება კაიშაურის“ გამხდარა მისი პოეტური გამოძახილის საგნად და იდეალად.

ეხლა გალაქტიონ ტაბიძე თავისი პოეტური ცხოვრების უმალღეს დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ღირსეულ პოეტურ სიმღერებში უკვდავყოფს ჩვენი ხალხის ეხლანდელი დიადი, უმაგალითო გმირული ბრძოლა:

„ამ დღეებს ძეგლი უნდა აუგო,
უნდა აღმართო წყებათა-წყება,
ვით აფიშართა შენთან, ძაღვო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება“.

გალაქტიონ ტაბიძის მთელი პოეტური ბიოგრაფია წარმოადგენს ერთ-
 ლეს შემოქმედებითს განზრახვათა ბრწყინვალე განხორციელებას. მისი
 თანმიმდევრობას უეჭველია, რომ იგი ასეთივე წარმატებით დასრულდეს. მშ
 დიდ შემოქმედებითს ამოცანას, რომელიც ჩვენი მწერლობისა და, კერძოდ,
 პოეზიის წინაშე დასახა ჩვენმა გმირულმა თანამედროვეობამ.

როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც პოეტის წარმატების საწინდარს,
 დიდ პოეტურ შესაძლებლობასთან ერთად, წარმოადგენს ის ღრმა პრინცი-
 პიალობა და მაღალი იდეურობა, რომელიც დამახასიათებელია გალაქტიონ
 ტაბიძისათვის, როგორც საბჭოთა ეპოქის მოწინავე პოეტისათვის.

გალაქტიონ ტაბიძის განუზრელი ერთგულება თავისი მაღალი სოციალუ-
 რი იდეალისადმი, მისდამი მთელი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების,
 თავისი მაღალი ნიჭისა და ოსტატობის დამორჩილება სანიმუშოა საბჭოთა
 ეპოქის მხატვრული კულტურის ყოველ მოღვაწისათვის.

გალაქტიონ ტაბიძის მიმართ ჩვენ შეგვიძლიან გავიმეოროთ მისივე სიტყ-
 ვები, თქმული ჩვენი ეპოქის ჭეშმარიტი პოეზიის დასახასიათებლად:

„სიძლიერით მოდის,

არ გაღუბნებს რჩეულ გზისაგან,

სხვა გზა — უცნობი —

ვერასოდეს ვერ შეირიგოს..

იგი ისწრაფვის კომუნისმის

გამარჯვებისკენ.

მაშ გაუმარჯოს

სამართლისათვის მებრძოლ ლირიკოს!”

პროფ. პ. გუგუშვილი

პირი მარჯის ქართულ საზოგადოებრივ- ბასა და პუბლიცისტიკაში

(1871 — 1898 წწ.)

1860 — 1870 წლებში რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავ-
ლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა უშუალოდ ეცნობა რევო-
ლუციურად და რადიკალურად განწყობილ იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს,
რომლებიც უპირატესად სხვადასხვა სახის წვრილბურჟუაზიული სოციალიზ-
მისა (დას. ევროპაში) და ნაროდნიკული იდეებით იყვნენ ამოძრავებულნი.
იგი აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობს ამ ჯგუფების მოღვაწეობაში.

ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში (1861 წელს) ჟურნ. „ცისკარ-
ში“ გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის კრიტიკული სტატიებით იწყება ქარ-
თული ლიტერატურული კრიტიკის ახალი ისტორია. ილია ჭავჭავაძე, ნ. ნი-
კოლაძე, ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და სხვა ქართველი
მესამოციანელები, განიცდიდნენ რა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის,
კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის დახასიათებით რუსეთის ამ დიდი დემოკრა-
ტიების, — უშუალო გავლენას, იმავე დროს დიდად იყვნენ დავლბულნი
ბელინსკის ლიტერატურული საგანძურად.

ილ. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა ქადაგება სამოციან წლებში ყუმ-
ბარასავით გასცდა და წყვედიად გაანათა, მან შეტი თუ ნაკლები ინტენ-
სივობით მთელი საქართველოს საზოგადოებრივობა ამოძრავა და დიდი
გავლენა მოახდინა საერთოდ კავკასიაში. სწორედ იმ დროს, ე. ი. სამოციანი
წლების ქართულ პრესაში ლიტერატურულ და პოლიტიკურ-ეკონომიურ
საკითხებზე გაჩაღებული დისკუსიით ჩამოყალიბდა ეროვნულ-გაიმანთავი-
სუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული სულით გაჟღენთილი ქართუ-
ლი პუბლიცისტიკა.

სამოციან წლებში ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა პოლიტიკური
პარტიები, ამიტომ ყოველგვარი პოლიტიკურ-ეკონომიური პუბლიცისტიკა
უწინარეს ყოვლისა გამოდიოდა, როგორც ლიტერატურული მოძრაობა და
არაიშვიათად, როგორც თეოლოგიური მწვალებლობაც, რამდენადაც ფეოდა-
ლური ურთიერთობის ნორმები თავს აფარებდნენ ბიბლიის დოგმებს, რო-
მელთაც ხშირად კოდექსის ძალა ჰქონდათ.

მაგრამ ამ ლიტერატურულ მოძრაობას, რომლის მთავარი ბირთვი თერგ-
დალელულთა სახით ჩამოყალიბდა, თვით ცხოველმყოფელი სინამდვილის შემ-
დგომი განვითარებისა და იმ იდეოლოგიური საფუძვლების მეტამორფოზის

მიხედვით, საითყენაც იგი თავის საწყისებს მიუთითებდა, უნდა დიქტანტი შეურიგებლობისა და რადიკალობის თავდაპირველი ჩასიათი იგი უნდა დაშლილიყო და დიშალა კიდევაც; თუმცა ისე, რომ არ მოსწონებოდა, მან თავისებური სახეცვალება განიცადა: მისი ზოგიერთი ვარსკვლავი მეტი თუ ნაკლები ხნით მოსწყდა პუბლიცისტიკის პორიზონტს, ზოგიერთი გადახალისდა და ახალი შარავანდედით გაბრწყინდა, ზოგი კიდევ ცალკე წარმოქმნილი თანავარსკვლავედის სისტემაში მოექცა და ახალი სხივით აკამკაშდა.

დასავლეთ ევროპული სოციალისტური უტოპიები, წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კორიფეები (ფურციე, ოუენი, სენ-სიმონი, მილი, ლასალი, პრუდონი, ბასტია, რიკარდო, სმიტი და სხვ.) 1860—1870-იანი წლებიდან მოყოლებული სათანადო რეზონანსს ჰპოულობენ ქართულ პუბლიცისტიკაში. ზოგიერთი მათგანის ნაწარმოები პირდაპირ ითარგმნება და იბეჭდება ქართულ ეურნალებში. მაგ. ჯერ კიდევ 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ეურნალი „საქ. მოამბე“ აქვეყნებს პრუდონისა¹⁾ და ბასტიას²⁾ ნაწარმებს. გ. თუმანიშვილი თავის მოგონებებში სწერს: „გამოსვლა დაიწყო „საქ. მოამბე“მ. ეს იყო დრო საყოველთაო გამოცოცხლებისა, ეს იყო დრო დიდი იმედებისა. შესამოციანელები, პრინციპულად რეალისტები და მატერიალისტები, ნამდვილად აღვიძებდნენ საუკეთესო ადამიანურ გრძნობებს... ჭავჭავაძის ეურნალიდან მე პირველად გავიგე ბელინსკისა და დობროლიუბოვის, პრუდონისა და ბასტიას არსებობის შესახებ“. ამასთან მოსახლეობის გათვითნობიერებისათვის, გონებრივი უძრავობისა, ცრუმორწმუნეობისა და საერთოდ პატრიარქალური რუტინიზმის აღმოსაფხვრელად უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა თვით ბუნებათმეცნიერების წარმატებას და კერძოდ, დარვინიზმის პოპულარიზაციას, რასაც გულშოდგინედ ეწეოდნენ სამოციანი წლების ჩვენი განმანათლებლები, რომელთა შორის ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის გ. წერეთელს.

ამავე დროს უფრო და უფრო ძლიერდება გავლენა რუსი ნაროდნიკების—ჰერცენის, ჩერნიშევსკის, ლავროვის, ბაკუნინის, რომელთა იდეებით იედენტება სამოციანი წლების ქართულ საზოგადოებრივობა და პუბლიცისტიკა. პირველი პოლიტიკური პარტია—ზალზონობა—საქართველოში (მომასაღამე—კავკასიაშია) წარმოიშვა როგორც ერთგვარი სექცია (თუნდაც როგორც ფრაქცია) რუსეთის ნაროდნიკული პარტიისა.

წ. ნიკოლაძე სამოციანი წლების დასაწყისიდანვე გატაცებულია რუსეთის დიდ განმანათლებელთა—დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის იდეებით. 1861 წლიდან ნიკოლაძე პეტერბურგშია, სადაც სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ჯგუფების პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ ჯგუფებში უფრო და უფრო გარკვევით ყალიბდება ნაროდნიკული მოძრაობა. იმავე წელს ნიკოლაძეს აპატიმრებენ. იგი ფკვე პეტრო-პავლოვსკის ციხის კაზნმატებშია, სადაც ლონდონიდან მიღებული ჰერცენის „კოლოკოლის“ მოწინავეში რუსე-

¹⁾ პ. ჟ. პრუდონი: „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ („საქ. მოამბე“, 1863, № 10, 72—87).

²⁾ ფრ. ბასტია: „შპარცელობის ფიზიოლოგია“ („საქ. მოამბე“, 1863, № 8, გვ. 61—67, № 11, გვ. 71—80).

თის გამოძღვებულთა სიაში აღტაცებით კითხულობს თავის გეარსაც. 1862 წლის შესახებ ლონდონს დაწერილ მოგონებებში თვით ნ. ნიკოლაძე მოგვცემს: „ჩვენ ცას ვეწიეთ სიხარულისაგან: წარმოიდგინეთ, ეს უნდა ჩვენს საბით იღვიძებდა პირველად ბუმბერაზი რუსეთი. ჩვენი მღვლეარება აქ აღწერილი იყო, როგორც ახალი ზანის დასაწყისი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში... ან როგორ არ ავესილვიყავი სიამაყით და არ მომესურვა მონაწილეობის მიღება შემდეგს გმირულ ბრძოლებში.“¹⁾

პატიმრობიდან განთავისუფლების დროიდან ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართველი და ამიერკავკასიელი სტუდენტები (გ. წერეთელი, ნ. და ბ. ლოლობერიძეები, კ. ლორთქიფანიძე, მ. ნალბანდიანი, ი. ანდრონიკაშვილი, ი. ისარლიშვილი და სხვ.) უკვე ხშირი სტუმრები არიან თვით ნ. ჩერნიშევსკის ოჯახისა,²⁾ სადაც გატარებული საღამოები, ცხადია, ხელს უწყობდნენ მათში ნაროდნიკული გავლენის შემდგომ გაძლიერებას.

1864—1868 წწ. ნ. ნიკოლაძე დასაველეთ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებშია. იქ იგი იმდენად გატაცებულია პოლიტიკური ეკონომიით, რომ სწერს შრომას ამ მეცნიერების შესახებ, სადაც, როგორც სჩანს, განხილული იყო უპირატესად სოციალისტ-უტოპისტების დოქტრინები. 1866 წ. ნ. ნიკოლაძე ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „ფურციეს და სენ-სიმონის სისტემა აწერილი შექვს, ახლა მაკლია: ტომას მორ, კამპანელა, კამბეტ, შემდეგ ლუი ბლან და სხვანი“. ხოლო ორიოდ წლით ადრე (1864) მასვე სწერდა: „არ დაგავიწყდეს, მაშინ (1862 წ. — რუსეთში) ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის წიგნები მქონდა და იმათ კითხვაში მავიწყდებოდა შიშშილი; და ახლა — ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი რა არის? ფურიე და სენ-სიმონი მქონდა“. და შემდეგ: „ყოველ დღეს აქ ახალ-ახალი ვზით მუშაობს ჩემი აზრი და ძალიან ხშირად ის, რაც გუშინ დამტკიცებული და დაურღვეველი მეგონა, დღეს ირღვევა სულის ერთი-შებერვით... მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანკულული სოციალიზმი, დიდი რამე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებლად“, ე. ი. შესასწავლად.³⁾

მაგრამ ყოველივე ამას, ე. ი. დასაველეთ ევროპული უტოპიებით გატაცებას, ხელი არ შეუშლია ნიკოლაძისათვის, რომ 1868 წელს ენევაში ეკისრა რედაქტორობა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი სრული კრებულის გამოცემისა. აღსანიშნავია, რომ ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომის წინასიტყვაობაში ნ. ნიკოლაძემ საგრძობლად გააქრა ჰერცენის ჯგუფს, რომლის წინააღმდეგ მანამდეც აწარმოებდა პოლემიკას. ჰერცენი იმავე წელს ლონდონიდან პ. ოკარევს სწერდა: „დამალა რა თავისი ქართული ბრძულები, ნიკოლაძემ ჩერნიშევსკისათვის წინასიტყვაობაში გაგვკრა ჩვენ და სავსებით იმ თვალსაზრისით, როგორადაც პისარევმა „ბაზაროვში“ (სჩანს მე არ შევმცდარები)⁴⁾“, — ჰკულისხმობს ალბათ, წინათ გამოთქმულ თავის აზრს ნიკოლაძის შესახებ.

1865 წ. ნიკოლაძე სტატიას სწერს პრუდონის გარდაცვალებაზე: ამ სტატიაში იგი კრიტიკულად არჩევს პრუდონის ეკონომიურ სისტემას და სამარ-

¹⁾ ნ. ნიკოლაძე, „თხზულებანი“, I, 120.

²⁾ იქვე, 122, 140.

³⁾ ნ. ნიკოლაძე, „თხზულებანი“, I, 40.

⁴⁾ А. Герцен—Сочинения, XX, 275.

თლიანად აღნიშნავს, რომ ეს სისტემა „ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთის სოციალდემოკრატიული წყობილების არსებით ბოროტებას.“¹⁾ 1866 — 1868 წწ. წინა კოლაძე შვეიცარიაში აქვეყნებს რამდენიმე შრომას რუსეთის საზღვარგარეთურ რევ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების შესახებ. 1868 წ. ენევეაში ფრანგულად იბეჭდება მისი სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო სოციალ-ეკონომიური ხასიათის და საერთოდ პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ქართველმა წარადგინა ახალი ევროპის უმაღლეს სასწავლებელში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დ. ტულუქაშვილის მიერ ლათინურ ენაზე თეოლოგიური ხასიათის დისერტაციის დაცვას რომში 1733 წელს.

სწორედ იმ წანებში ნ. ნიკოლაძე ეცნობა კ. მარქსს. ნ. ნიკოლაძეს კ. მარქსმა წინადადება მისცა, „მიეღო თავის თავზე ინტერნაციონალის წარმომადგენლის შოვალეობა ამიერ-კავკასიაში“. ამ წინადადებაზე ნ. ნიკოლაძეს რაღაც მიზეზით უარი უთქვამს. ხოლო „კაპიტალს“ ნ. ნიკოლაძე პირველად გაცნობია რუსული თარგმანის კორექტურაში 1869 წელს (გამოიცა იგი 1872 წელს). როდესაც ნ. ნიკოლაძე შემდეგ ფრანგულ თარგმანში გასცნობია „კაპიტალს“, ასეთი დასკვნა გამოუტანია — „კ. მარქსის აზრები საქართველოსათვის ვერ გამოდგებაო“.²⁾

ევროპიდან დაბრუნებისას ნ. ნიკოლაძეს თან ჩამოჰქონდა ზოლმე დიდძალი არალეგალური ლიტერატურა.³⁾ ს. მგალობლიშვილი ვადმოგვცემს, რომ „ნიკოლაძის ჩამოსვლამ საზღვარგარეთიდან სულ ახალი მიმართულება შექმენა ლიტერატურაში და ცხოვრებაში“, რომ სკანდელის (ნიკოლაძის) ნაწერებს „ახალგაზრდობა გატაცებით კითხვლობდა“.⁴⁾ ნ. ნიკოლაძე თავის ფრიად მახვილ პუბლიცისტურ ზეატატიებში, თუმცა იშვიათად, მიმართავდა კ. მარქსის ავტორიტეტს. მაგ., 1873 წ. ბაკუნინის გარდაცვალების გამო დაწერილ ფელეტონში ბაკუნინს აღარებს კ. მარქსს და უქანასკნელს აშკარა უპირატესობას აძლევს.⁵⁾

თბილისში 1860 — 70-იან წლებში პერიოდული ორგანოების — „დროების“ (1866 — 1885), „მნათობისა“ (1869 — 1872) და „კრებულის“ (1871 — 1873) გარეშე თავს იყრის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია: გ. წერეთელი, ვრ. თარხან-მოურავი, დ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი, ა. ფურცელაძე, დ. შიქელაძე, ს. მესხი, მ. ქიქოძე, ნ. ინაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. ჩაღდება დიდი და ხშირად ფრიად მწვევე პოლემიკა თანადროულობის საჭირობორტო სოციალ-ეკონომიურ საკითხებზე, როდესაც სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ თანდათან უფრო ძლიერად იჩენს თავს ხალხოსნობა.

გაზ. „დროება“ ეხმაურება ევროპისა და რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგალითად, საფრანგეთ-პრუსიის ომის მიმდინარეობასა და შედეგებს. ერთგან ვადმოცემულია გერმანიის რაიხსტაგის გადაწყვეტილება, რომ „ელზასი და ლოტარინგია... პრუსიას უნდა დარჩესო“. იქვე ქვემოთ კვითხვლობთ, რომ რაიხსტაგში „ამ საქმის თაობაზე ილაპარაკა გერმანიის გამოჩე-

¹⁾ ნ. ნიკოლაძე — „თხზულებანი“, I, 156.

²⁾ ს. ხუნდაძე — „ცნობები კ. მარქსის შესახებ ქართულ ლიტერატურაში“ (ეჭრნ. „საბ. სოც. მეურნეობა“, 1935, № 1—2, გვ. 109—112).

³⁾ პ. გუგუშვილი — „ქართული წიგნი“, 1929, თბ. 237.

⁴⁾ ს. მგალობლიშვილი — „მოგონებანი“, 1933 წ., 60—61—71.

⁵⁾ „Тифлисский листок“, 1873 წ. № 143.



ნიღმა დემოკრატმა ბებელმა. იმან სთქვა, რომ ელზასისა და ლოტარინგიის ძალით დაქვერადიდი შეცდომილება და დანაშაულობა არაა, არამედ მისი მხრით. ბისმარკს ნურასოდეს ამედი ნუ ექნება, რომ ელზასელელებმა და ლოტარინგელებში, რომელნიც ნამდვილი რესპუბლიკანელები არიან, როდესმე მონარხიული გარზობა და რწმუნებები ჩაბერგოს.“¹⁾ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ „დროება“ თავის შეითხველებს ატყობინებს, რომ „დააბატიმრეს ა. ბებელი გერმანიის იმპერატორის შეურაცყოფისათვის.“²⁾

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის საკითხში როგორც „დროება“, ისე მთელი მამინდელი მოწინავე ქართული პუბლიცისტიკა ამკარად ჰკიცხავდა გერმანიის იმპერიალისტურ ზრახვებს. ამასთან „დროების“ ენეველი კორესპონდენტი ბ. ჯ. (ბ. ჯაფარიძე, ენევის უნივერსიტეტის სტუდენტი) ბისმარკის გერმანიას ბრალს სდებდა, შვეიცარიის დაპყრობას ლამობსო: „შვეიცარიის რესპუბლიკა საზოგადოთ არ ესია მოვებთ არც თუ მარტო ბისმარკს... ესენი არ ითავილებენ, რომ ეს მათთვის უსიამოვნო წყობილება მოსპონ ევროპაში.“³⁾

„დროება“ ხშირად ბეჭდავს ცნობებს დას.ევროპაში მყოფ რუს პოლიტიკურ ემიგრანტთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მაგალითად: „ლონდონში ცხოვრობს ახლა სამი ემიგრანტი: ნეჩაევი, სერებრენიკოვი და ელბინინი, რომელთაც რუსის ემიგრანტების წინამძღოლად მიაჩნიათ თავისი თავი... ამითან იქ მისულა აგრეთვე, როგორც ამბობენ, ლაეროვი, რომელიც იმ დროს, როდესაც პარტის ნემცები გარს უხვიუნენ, ამ ქალაქში იყო, არტილერიაში მსახურობდა.“⁴⁾ დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ იგივე გაზეთი იუწყება ციურინში ნეჩაევის დააბატიმრების შესახებ⁵⁾ და სხვ.

1870-იანი წლების დასაწყისში თბილისელ სემინარისტთა რადიკალურ ახალგაზრდობაში არალეგალურად ვრცელდება ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ბოკლის, დარკინის, დრეპერისა და სხვათა თხზულებები.⁶⁾ ამ ახალგაზრდობის ჯგუფები და წრეები ანტირელიგიური ლიტერატურიდან თანდათან გადადიან ლიბერალურ პოლიტიკურ და შემდეგ რევოლუციური წიგნების კითხვაზე და ცხარედ პაექრობენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. უკვე ჩნდება არალეგალური წიგნების გამავრცელებელი კერები (ექ. ზელადის სტამბა, გრ. ჩარკვიანის და ზ. ჰიქინაძის წიგნის მალაზიები), სადაც „მოიპოვებოდა მრავალგვარი აკრძალული წიგნები.“⁷⁾ 1871 წ. „დროების“ და „კრებულის“ ჯგუფმა დააარსა სამკითხველო, რომლის გამგედ, რათა აღმინისტრაციას ექვი არ აელო, დანიშნეს ვინმე ივანოვი და ამის გამო სამკითხველოსაც ივანოვის სამკითხველოს უწოდებდნენ. სამკითხველო მაშინ ახალი ხილი იყო. მამინდელი მოსწავლე ახალგაზრდობა, „როგორც წყალმოწყურებული, ისე დაეწაფა წიგნების კითხვას.“⁸⁾

¹⁾ „დროება“, 1871, № 22.
²⁾ „დროება“, 1872, № 27.
³⁾ „დროება“, 1871, № 21.
⁴⁾ „დროება“, 1871, № 22.
⁵⁾ „დროება“, 1872, № 35.
⁶⁾ შ. დავითაშვილი—„ხალხოსტრი მოძრაობა საქართველოში“, 1933 წ. თბ. 15, 61, 11, 25.
⁷⁾ იქვე, 22, 36.
⁸⁾ ს. მაგლობლიშვილი — „მოგონ.“, 61.

1870-იანი წლების მეორე ნახევარში შ. დავითაშვილის ჯგუფი ხსნის საპე-
კინძაოს, სადაც არალეგალურ წიგნებს ჯვარიით შოვარაყებულ წიგნებს
შენ, ე. ი. საეკლესიო წიგნების მსგავსად აფორმებენ. იმავე სახელწოდებით
ყო არალეგალური ბიბლიოთეკა, უმეტესად რუსული წიგნებისა: კრებულე-
ბი პარიზის კომუნისა, საფრანგეთის რევოლუციისა და სხვათა შესახებ, აგ-
რეთვე წიგნები პერცენის, ჩერნიშევსკის, დარვინის, ჰეკლის, ფიხტეს, სპენ-
სერის, კანტის, ბოკლის, ე.ე. რუსოს, სენ-სიმონის, ფურიეს, ოუენის,
პრუდონის, ლავროვის, ფლეროვსკის, დობროლიუბოვის, ა. სმიტის, კ. მარქ-
სის და სხვ.) თვით შ. დავითაშვილი სწერს: „სოციალიზმის ლიტერატურა-
ვეცნობილით ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროებით, გვინდოდა მი-
გველო ნათელი წარმოდგენა მომავალ სოციალურ წყობილებაზე, ვკითხუ-
ლობდით ძველ და ახალ ეკონომისტებს და პლატონიდან დაწყებული სხვადა-
სხვა ფილოსოფოსების შრომებს.“¹⁾

როგორც თბილისში, ისე ქუთაისშიაც არსებობდნენ არალეგალური წრე-
ები. 1876 წელს შედგენილ თბ. ენდარმთა სამმართველოს მიმოხილვაში ნა-
თქვამია: „ამ საზოგადოების (ე. ი. ხალხოსნური ორგანიზაციების) მუშაო-
ბა ამჟამად გამოიხატება დიდძალი აკრძალული წიგნების გავრცელებაში და
თავის მხარეზე სოფლის სკოლების მასწავლებელთა, გიმნაზიის მოწაფეთა,
ზოგიერთი ქალისა და სხვ. მიმხრობაში... ამ საზოგადოების მოღვაწეთ მიმო-
წერა აქვთ პეტერბურგსა და მოსკოვში მყოფ კავკასიელ სტუდენტებთან.“²⁾
როდესაც 1876 წლის ნოემბერში „ქუთაისის რევოლუციური (ხალხოსნუ-
რი) საზოგადოების“ წევრები დააპატიმრეს და გაჩხრიკეს, შედგენილ იქნა
მათთვის ჩამორთმეული არალეგალური ლიტერატურის სია. ამ სიაში მარქ-
სის სახელი არ იხსენიება, არსებითად ეს იყო რუსული ნაროდნიკული ლი-
ტერატურა.³⁾ დადასტურებულია, რომ თბილისში არსებულ ჭალხოსანთა
ორგანიზაციას („ნაროდნია ვოლიას“), სადაც ხელმძღვანელ როლს თამა-
შობდნენ სტ. პრელაშვილი, ვ. ჯაბადარი, გ. ზდანოვიჩი და სხვანი, უშუალო
კავშირი ჰქონდა მოწინავე მუშებთან და ხელოსნებთან, რომელთა შორისაც,
ცხადია, ავრცელებდნენ ხალხოსნურ იდეებს.⁴⁾

1884 — 1886 წწ. ოდესელი ქართველი სტუდენტები რუსებთან ერთიან-
დებიან ნაროდნიკულ ჩერნო-პერედელეცების წრეებში, სადაც პაექრობენ ლავ-
როვის, ტკაჩოვის, ტიხომიროვის წიგნებში წამოჭრილ საკითხებზე, „სწავ-
ლობენ მილის პოლიტიკურ ეკონომიას, ჩერნიშევსკის შენიშვნებით, შემდეგ
მარქსის პირველ ტომს, ლასალის საავტოციო სიტყვებს...“⁵⁾

ამ დროისათვის უკვე, როგორც გ. ლასხიშვილი გადმოგვცემს, „ეკონო-
მიური ნაწილი ნაროდოვოლცების მოძღვრებისა, როგორც მახსოვს, ბევრს
ვურ აკმაყოფილებდა. მაშინაც სხვადასხვა გზით მიდიოდნენ სოციალიზმის
საპეფოში: ზოგი ძველი ნაროდნიკების, ან ტიხომიროვის გზით, ზოგი ლავ-

¹⁾ შ. დავითაშვილი — დას. თბ. 87.

²⁾ იქვე.

³⁾ სკს, ფონდი 36, 1876 წ., საქმე № 18, ფ. ფ. 21 — 22.

⁴⁾ შ. ჩოდრიშვილი — „ჩემი თავდასაცავი“, 1927, თბ. 91.

⁵⁾ გ. ლასხიშვილი — „მემორიები“, 1934, თბ. 23 — 25.

როვის და მიზაილევსკის თეორიებით... უკვე იყვნენ ისეთებიც რომელნიც მარქსის კონცენტრაცია-პროლეტარიზაციით და ბოლოს ცენტრალიზაციით მიემგზავრებოდნენ“.)

ამგვარად, ამ დროისათვის რუსეთის საუნევერსიტეტო ცენტრების მოწინავე ახალგაზრდობაში უკვე ამგვარად სჩანს კრიტიკული განწყობილება ნაროდნიკული იდეებისადმი და ამასთან გავლენა იმ მუშაობისა, რომელიც გააჩნდა გ. პლუხანოვის მიერ 1883 წელს საზღვარგარეთ, ენევეაში, დაარსებულმა პირველმა რუსულმა მარქსისტულმა ჯგუფმა.) მაგრამ, იმავე გ. ლასხიშვილის გადმოცემით, ჯერ კიდევ მაინც „პოლიტიკური მხარე ნაროდოვოლცების პროგრამისა იდეური ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას ბეჯითად სწამდა“.

1880-იანი წლებიდან, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, მოწინავე ახალგაზრდობა ძლიერ გაიტაცა ეკონომიურმა შეცნობებამ. ეს ტენდენცია ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში უფრო ძლიერდება. სწავლობენ როგორც სოციალ-უტოპისტებს, ისე დ. რიკარდოს, ადამ სმიტს, კ. მარქსს. ერთი მაგალითი: 1887 წ. ოდესაში არეულობის გამო დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის ქართველებიც იყვნენ. 1888 წლის იანვარს ეს პატიმრები ხარკოვის ციხიდან როსტოვში წაიყვანეს. პატიმარი ვ. წერეთელი საეტაპო მოგზაურობაშიაც ფალოსოფიურ და ეკონომიურ პრობლემებზე კამათობდა. იგი გ. ლასხიშვილსა და კ. მესხს ეუბნება: „ძალიან საინტერესოა ადამ სმიტის გამოკვლევა საშუალო საუკუნეებში ქალაქების ზრდის შესახებ...“

— თუ ღმერთი გწამს, თავი დაგვანებე, ვასილ!— შეევედრა კოტე მესხი, — რა შეადამსმიტება, სული კბილით ძლივს გვიჭირავს.“)

აქვე უნდა დავსძინო, რომ ვ. წერეთელი (ვ. წ-ლი) თავის პირველს ლიტერატურულ დებიუტში („კაცთა საზოგადოების განვითარება“) იმოწმებს კ. მარქსსა და ადამ სმიტს, როგორც საზოგადოებათმეცნიერების დიდ ავტორიტეტებს:)

ცნობილია ისიც, რომ სწორედ იმ ზანებში ციმბირში მყოფ მ. ყიფიანს „კაბიტალს“ უგზავნიან თბილისიდან ს. შვალაბლიშვილი.) ოთხმოციანი წლებში ციმბირი მარქსის იდეების გავრცელების თავისებური სამკედლო იყო. რუსეთიდან თუ საქართველოდან ციმბირში გადასახლებული ქართველი ხალხოსნური ახალგაზრდობა (ნაროდოვოლცები, ზემლეოვოლცები, ჩორნი-პერედელეები) იქ რუსი რევოლუციური ინტელიგენციის და მუშების გავლენით უფრო ახლოს ეცნობიან კ. მარქსის მოძღვრებას.

გ. ლასხიშვილი გადმოგვცემს, რომ მისი (ნაროდოვოლცის) მსოფლმხედველობა ციმბირში „შეაჩყია იმ დაეამ, რომელიც ატყდა რუსეთში ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის. ერთის მხრით, მარქსის შესწავლამ და მეორეს მხრით სტრუქტურა და განსაკუთრებით პლუხანოვის ნაწერებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და მომამორეს ეს წმინდა წყლის რუსული“

1) იქვე, 25.

2) „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია“, 1938 წ. თბ. გვ. 11—13.

3) გ. ლასხიშვილი, დასახ. თხზულ. 37.

4) „ოუბატრი“, 1889, № 34—38.

5) ს. ხუნდაძე, დასახ. თხზ. ტ. II, 142.

უტოპია, ვითომ თემი და არტელი იხსნიან რუსეთს კაპიტალიზმისაგან და შესაძლებლად გახდიან მისთვის პირდაპირ სოციალიზმის დამყარებას. სწორედ ციმბირში გადასახლებისას ბაკუნინის მუშევრობით კ. მარქსის იდეებების გავლენის სფეროში მოექცა ცნობილი პუბლიცისტი, ხალხოსანი, გ. შაიაშვილი (ხდანოვიჩი). მან 1882 წელს „ივერიაში“¹⁾ გამოქვეყნებული ტრაქტატით („წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“) პირველმა სცადა წარედგინა ქართველი მკითხველისათვის, ასე თუ ისე დასაბუთებულად, კ. მარქსის სოციოლოგიური მოძღვრება.

როგორც 1870-იანი, ისე 1880-იან წლებში ქართველი ხალხოსნები, სემინარიელები და სხვები (მაგალითად, გოლა ჩიტაძე 1882 წელს) რეგულარულად დადიოდნენ ხალხოსანთა და მოწინავე მუშათა კრებებზე და ხშირად უკითხავდნენ „ჩერნიშევსკისა და პისარევის თხზულებებიდან, მუშათა ცხოვრებიდან“.²⁾

1926 წელს, როდესაც საქ. ცენტრარქივში შევუდგე ჩემის ინიციატივით თავმოყრილი კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო ფონდის შესწავლას, პირველად წაეფუძი გაზ. „დროებისათვის“ ცენზურის მიერ 1870-იან წლებში აკრძალული „საცენზურო ამონაბეჭდების“ გროვას, სადაც მოყვანილია ციტატები კ. მარქსის ნაწერებიდან. ერთ-ერთ ვრცელ ფელეტონში, რომელიც დ. მიქელაძის (მეველის) კალამს ეკუთვნის, ვრცელი ციტატის სახით მოყვანილი იყო კ. მარქსის „პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის“ ცნობილი წინასიტყვაობის დიდი ნაწილი.

სწორედ 1870-იანი წლების დასაწყისიდან გვხვდება პირველად კ. მარქსის სახელი ქართულ პრესაში.³⁾ აღსანიშნავია რომ ქართული პერიოდიკა დიდ ინტერესს იჩენს პირველი ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნისადმი. დასავ. ევროპის ქალაქებში მცხოვრები ქართველი სტუდენტების სახით „დროებას“ საყუთარი კორესპონდენტები ჰყავდა ამ ქალაქებში. მაგალითად 1871 წ. ეს გახეთი „უცხო ქვეყნების“ განყოფილებაში სისტემატურად ათავსებს კორესპონდენტებს, ფელეტონებს, დეპეშებს სათაურით: „პარიზის არეულობა“,⁴⁾ „საფრანგეთი“,⁵⁾ „საფრანგეთი და გამბეტა“,⁶⁾ სადაც გამუქებულია, ხშირად დაწერილებითაც, როგორც საფრანგეთ-პრუსიის ომის, ისე რევოლუციისა და პარიზის კომუნის ამბები.

1871 წ. „დროებაში“ ვრცელი სტატია მიუძღვნა „ხალხთა-შორისი მუშების საზოგადოებას“, ე. ი. პირველ ინტერნაციონალს (1864 — 1872). ხსენებულ სტატიაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ეს საზოგადოება ან ასოციაცია შემდგარია თითქმის მხოლოდ მუშა ხალხისაგან, მაგრამ იმის წევრებად არიან აგრეთვე მწერლებიც და სხვ. პირებიც, რომელნიც გამოჩენილნი

¹⁾ გ. ლახიშვილი, 75.

²⁾ გ. შაიაშვილი — „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“ („ივერია“, 1882 წ. № 7—8, 129—166, № 9, 99 — 129).

³⁾ მ. ზოდრიშვილი, იქვე, 94.

⁴⁾ კ. მარქსი ყურადღებას აქცევდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ვითარების საქმეს, იხ. პ. გუგუშვილი — „კარლ მარქსი ცარიზმის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ“ (ფურნ. „საქ. სოც. მეურნეობა“, 1938 წ. № 5, 12—19).

⁵⁾ „დროება“, 1871, №№ 17, 18, 19, 20.

⁶⁾ „დროება“, 1871, №№ 21, 22, 23, 26, 27, 29, 30 და შემდ.

⁷⁾ „დროება“, 1871, № 28.



არიან ხალხის მოყვარული თავის აზრებით და რომელთაც მსურთ მანათობა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება... ეს ასოციაცია არის მთავრად მუშათა შემაერთებელი, ის ცდილობს, რომ ყველა მუშას ერამბეჭდოს მუშათა წადილი და ერთგვარი მოქმედება ჰქონდეთ.“¹⁾

ცხადია, ამ სტატიის ავტორისა და საერთოდ „დროების“ გარშემო თავმოყრილი პუბლიცისტებისათვის არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო პირველი ინტერნაციონალის მთავარი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ქ. მარქსის სახელი და მოღვაწეობა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სწორედ რამდენიმე კვირით ადრე „დროების“ მკითხველი ამ გაზეთის ფურცლებზე ამოიკითხავს ქ. მარქსის სახელს.

სახელდობრ, 1871 წლის 15 აპრილის ნომერში (უცხოეთის მიმოხილვის განყოფილებაში) ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ ახლანდელი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყევით მარქსს, ასისს, ბენტონისა და დარმოტს; ყველა ესენი არიან სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი წევრები ლონდონის ხალხთა-შორისი მუშების ლიგისა. ამ ლიგის მიტინგებში, როცა პარიჟში რევოლუციის მოედანზე ყოფილა ლაპარაკი, დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ბლანკისა.“²⁾

ჯერჯერობით ეს ითვლება ქართულ ბეჭდვით სიტყვაში ყველაზე ადრინდელ ცნობად ქ. მარქსის შესახებ. ამ ცნობას პირველმა ს. ზუნდაძემ მიუძღოა ყურადღება³⁾. აქვე უნდა ითქვას, რომ თავისთავად მარქსის შესახებ ეს ცნობა არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. მართალია პირველი ინტერნაციონალის რამდენიმე წევრი მონაწილეობას იღებდა რევოლუციისა და პარიზის კომუნაში, მაგრამ თვით პირველი ინტერნაციონალის კომიტეტს და, მაშასადამე, ქ. მარქსსაც მასში უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ.

იმავე გაზ. „დროებაში“ ნახევარი წლის შემდეგ ისევ იბეჭდება ცნობა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობის შესახებ. „იმ დიდ საზოგადოებას, რომელსაც სამ მილიონამდე წევრი ჰყავს და რომელსაც „ხალხთა შორის მუშების საზოგადოებას“ ეძახიან, შარშან უნდა ჰქონოდა ლონდონში კრება... ომიანობის გამო, ეს კრება არ მოხდა და მის ნაცვლად წელს უნდოდათ შეკრება, მაგრამ პარიზის არეულობის გამო, რომელშიაც იმათ წევრებმა მიიღეს მონაწილეობა, ევროპის სახელმწიფოების მართებლობებმა და საზოგადოებამაც დევნა დაუწყეს და ამიტომ საზოგადო კრების მაგივრად მხოლოდ 26 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი მოიწვიეს და საიდუმლო კრება დანიშნეს ლონდონშივე. კრებამ 15 კაცი ამოირჩია საზოგადოების საქმეების გამგებლებად, რომელნიც მუდამ ლონდონში არიან და ცენტრალურ კომიტეტს შეადგენენ. კომიტეტის თავი ნემეცი კარლ მარქსია, რომელმაც კრებას საზოგადოების მოქმედების ანგარიში წაუკითხა. კრებამ გადაწყვიტა, რომ განსაკუთრებით ყურადღება საფრანგეთისა და რუსეთის მუშებს უნდა მივაქციოთ.“⁴⁾

„დროების“ 1873 წლის თებერვლის ნომერში იბეჭდება დ. მიქელაძის

¹⁾ „დროება“, 1871, № 23.

²⁾ „დროება“, 1871, № 15, გვ. 2.

³⁾ ს. ზუნდაძე — ტ. I, 115 — 116, „საქ. სოც. მეურნეობა“, 1935, № 1—2, 109—110.

⁴⁾ „დროება“, 1871, № 41.

კორესპონდენცია: „საფრანგეთი“¹⁾ სადაც, აღწერილია რა დას. ევროპის კ-პიტაღოსტურ ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა კლასის სასტიკი ყველაფერად უკეთესად ერთოდ მძიმე მდგომარეობა, ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის მტკიცე მშობნად ყვანილია ამონაწერის სახით კ. მარქსის სიტყვები და თანაც მითითებულია წყაროზე (ავტორზე).²⁾

შემდეგ აღსანიშნავია იმავე წელს „დროებაში“ დაბეჭდილი ცნობა, ვითომ კ. მარქსის გარდაცვალების შესახებ: „ლონდონში მომკვდარა გამოჩენილი მწერალი და რესპუბლიკელი კარლ მარქსი. ეს ის მარქსია, რომელსაც წადმუშეულმა „ხალხთა-შორისი მუშების ამხანაგობის“ მოთავედ სთვლიდნენ და თან ლასალის მასწავლებლად... მარქსს გვარიანი ძალი ნაწერი რჩება“ და (მ. ³⁾

გ. თუმანიშვილის მიერ შედგენილს და 1878 წ. გამოცემულ „აღმანახში“ (წ. 1) მოთავსებულია შემდგენელის სტატია: „ეკონომიური სურათები“, სადაც დას. ევროპის (ინგლისის) ვითარების მიმოხილვისას მოყვანილია ციტატი კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველა ტომიდან.⁴⁾

ამგვარად, 1870-იანი წლების ქართულ პრესაში რამდენჯერმე არის მოხსენებული კარლ მარქსი. პირველ 1871 წლის ცნობებში ლაპარაკია კ. მარქსის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, ხოლო მერმინდელ ცნობებში კ. მარქსი ნახსენებია აგრეთვე, როგორც ავტორიტეტი ეკონომიურ საკითხებში.

საერთოდ კარლ მარქსის სახელი ქართულ საზოგადოებრივობასა და პუბლიცისტიკაში პირველად შემოიტანა ზალხოსნურად განწყობილმა და ზალხოსნურმა ინტელიგენციამ.

1880-იანი წლებიდან კი ქართულ პუბლიცისტიკაში თეორიულ ეკონომიურ და საერთოდ სოციოლოგიურ საკითხებზე ავტორიტეტებად მიჩნეულ მეცნიერთა შორის (რუენი, პრუდონი, ბასტია, მილი, ფურიე, ჩერნიშევსკი, რიკარდო, სმიტი, ფეიერბახი, ჰეგელი, კანტი, და სხვ.) კარლ მარქსი გვევლინება, როგორც უდიდესი ავტორიტეტით მოსილი მეცნიერი.

უკვე აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ რუსეთის ქალაქებიდან თუ საქართველოდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის ციმბირს გადასახლებული ქართველი ზალხოსანი ინტელიგენცია იქ, ციმბირში, 1880-იან წლებში, უფრო ეცნობოდა მარქსის მოძღვრებას და, ცხადა, ამა თუ იმ ზომით განიცდიდა კიდევ ამ მოძღვრების გავლენას.

ასეთ ქართველ ზალხოსან-პუბლიცისტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ბაკუნისტს გ. მაიაშვილს (ზდანოვიჩს), რომელიც 1882 წელს ციმბირში სწერს და ჟურნ. „ივერიაში“ აქვეყნებს თავის დროისათვის უდავოდ მრავალმხრივ საინტერესო ტრაქტატს: „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“.

გ. მაიაშვილი, ეხება რა სოციალ-ეკონომიური ხასიათის რეფორმათა მნიშვნელობას, სწერს: „ყოველი რეფორმა, ცხოვრების რომელ მხარესაც გინდა შეეხებოდეს, დარჩება უქმად და ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი

1) დ. მიქლაძე, ამ დროს პარიზში ცხოვრობდა.

2) „დროება“, 1873 წ., № 6.

3) „დროება“, 1873 წ., № 27.

4) „აღმანახი“, 1878, თბ., 1, 109.

მტკიცედ შემეცნებულ და ცხადად გამოთქმულს პრინციპებზე არ არის დამყარებული. აი როგორ გამოსთქვამს მოკლედ თავის "შეხედულებებს" ერთი უდიდესი და უღრმესად შემეცნებული კაცი ჩვენი დროისა: "მარქსი კენისა, კაცი ისეთი, რომლის სრულიადმა და მტკიცე შეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე (миросозерцание) ჰქმნა დიდი ძლევა."¹⁾

ამის შემდეგ მოყვანილია ვრცელი ამონაწერი ცნობილი წინასიტყვაობიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, სწორედ ის ადგილი, სადაც კ. მარქსი იძლევა ისტორიის მატერიალისტური გაგების ქვინტ-ესენციას.²⁾

ქვემოთ, მას შემდეგ, როცა იგი იძლევა კ. მარქსის „ამ დროს მოაზრის“ ერთი კომენტატორთაგანის³⁾, განმარტებას (მოკლე ციტატის სახით), გ. მიაიშვილი სწერს: „ამ სახით, როდესაც ხალხთა წოდებათა შორის ეკონომიურად დაზავება ძლიერდება, როდესაც ძლიერდება მათი ჭონებათა უთანასწორობა, მათთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური დაზავებაც. ეკონომიური ცხოვრების უსწორ-მასწოროდ მიმდინარეობა ხალხს აგრძნობინებს, თუმცა წინად ბუნდად, რომ მისი ცხოვრების პირობანი არ არიან ნორმალური. შემდეგ ამას თანდათან უფრო ცხადად გრძნობს ხალხი და ებადება სურვილი შესცვალოს, დაამსხვრიოს ეკონომიური ბორკილები, რომელნიც უშლიან იმის შრომის ნაყოფიერებას წესიერად მიმდინარეობდეს. ვისი ინტერესებიც ამნაირად ეკონომიურის ცხოვრების შეცვლით, საშიშროებაში ჩავარდება, ისინი საზარლად ძრწუნდებიან და ლელდებიან. და რადგანაც იურიდიკული და პოლიტიკური ფორმები სრულიად შეესაბამებიან და შეესაბამებიან მატერიალურის ცხოვრების საძირკველს, ე. ი. რადგანაც იურიდიკული და პოლიტიკური დაწესებულებანი არიან ერთგულნი გუშავნი აწმყო ეკონომიურთა ცხოვრების, რომელსაც ისინი ფხიზლად და ერთგულად ჰყარაულობენ, ამისათვის, რა წამსაც კი შენიშნავენ ხალხს ეკონომიურის ცხოვრების შეცვლის სურვილს, მაშინვე ეს გუშავნი სცემენ ნალარას, ისხამენ აბჯარს და გამოდიან მიმდინარე ეკონომიურის ცხოვრების დამცველად.“⁴⁾

ეს გ. მიაიშვილის სიტყვებია. ამ სახითაა პირველად ქართულ ენაზე, ქართულ ბეჭდვით სიტყვაში, ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა და პუბლიცისტის მიერ გადმოცემული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე კ. მარქსის მოძღვრებისა.

ამ შესანიშნავი ტრაქტატის მნიშვნელობა ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, ჩვენ გვეჩინა, ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული. თავის ტრაქტატში მიაიშვილი ლაპარაკობს ქართული სინამდვილის შესახებ და ცდილობს კ. მარქსის აზრების გამოყენებას კონკრეტული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ.

გ. მიაიშვილის ამ ტრაქტატის გამოქვეყნება გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში, სადაც მან კიდევაც პროვა თვალსაჩინო გამოხმაურება, მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა. ცხადია, ცენზურამ დიდად დაამახინჯა თვით მიაიშვილის ტრაქტატიც, იმდენად, რომ იქ კ. მარქსის სახელი ერთხელაც კი არ არის მოხსენებული.⁵⁾

¹⁾ „ივერია“, 1882, № 7—8, 152.

²⁾ კ. მარქსი—„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932, 40—42.

³⁾ „ივერია“, 1882, № 7—8, 153—154.

⁴⁾ გ. მიაიშვილს შემდეგმ ათეულ წლებშიაც დარჩენია კ. მარქსის წიგნებისადმი პატივისცემა. 1897 წელს ლუკა ასათიანს (მათემის ქალაქის თავს) მიხეილ რომანოვთან პრო-

აღნიშნული ტრაქტატის გარშემო დისკუსია მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით თითქმის ათიოდე წელიწადს გრძელდებოდა ჩვენს პერიოდში, რაც, ცხადია, ხელს უწყობდა კ. მარქსის სახელის პოპულარიზაციას. შესაძლებელია, მისი იდეების გავრცელებასაც, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის უკვე დიდი ხნით ადრე გამოცემული იყო „კაპიტალის“ I ტომის რუსული თარგმანი, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ (1885 წ.) „კაპიტალის“ II ტომიც გამოქვეყნდა რუსულად. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ბოსლეველმა (მკვლდომემ), კრელაშვილმა, ხიზანიშვილმა, ჯაბაძემ და სხვ.

თავის ტრაქტატში გ. მიაიშვილი ისტორიის მამოძრავებელ ძალად სთვლის ეკონომიურ ფაქტორს. მისი აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს ეკონომიური (მეურნეული) ყოფიერება თამაშობს. სწორედ ამ მოსაზრებათა დასამტკიცებლად მიმართა მან კ. მარქსის ავტორიტეტს. მაგრამ გ. მიაიშვილის ამ შეხედულებას გამოუჩინდნენ მოწინააღმდეგენი, რომელნიც, მართალია, აღიარებენ ეკონომიკის (შწარმოებელი ძალების) უშიშრატესობას, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ გ. მიაიშვილმა სავსებით და უსაშაროლოდ უგულებელყურა დიდი მნიშვნელობა პოლიტიკისა.¹⁾

ეს დისკუსია ჩვენთვის ამჟამად მით უფრო საინტერესოა, რომ ამ მეორე მხარესაც აუცილებლად მიაჩნია საკუთარ მოსაზრებათა განსამტკიცებლად მიიშველიოს ისევ კ. მარქსის სახელი.

ბოსლეველი, ეკამათება რა მიაიშვილს, აცხადებს: „ჩვენ ბატ. მიაიშვილს ვეთანხმებით, რომ ყოველი პოლიტიკური მოძრაობა გამომდინარეობს ხალხის ეკონომიური მდგომარეობისაგან... და ბოლოს ისიც ცხადია, რომ ყოველს საზოგადოებრივ მოღვაწეს თავის მოღვაწეობის საგნად უნდა ჰქონდეს ცნობილი ხალხის ეკონომიურის ცხოვრების განკარგება...“ მაგრამ „რასამოულებია უნდა იხმაროს საზოგადო მოღვაწემ, რომ აღნიშნულს და განსაზღვრულ საგანს მიაღწიოს? აი კითხვა, რომლის განმარტებაზედაც ჩვენ არ ვეთანხმებით ბატ. მიაიშვილს.“²⁾

ბოსლეველი იმ თვალსაზრისზეა, რომ პოლიტიკურმა მოღვაწემ „ხალხის ეკონომიური ცხოვრების განკარგებისათვის“ საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური ბერკეტები უნდა ამოძრავოს და სწორედ აქ იჩენს თავს პოლიტიკის მნიშვნელობა: „საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში საზოგადოებრივი მოღვაწენი ამ პოლიტიკურს უფლებათ ხმარობენ ხალხის ეკონომიურის მდგომარეობის განკარგებისათვის და შეცდიდნენ, რომ ამ უფლებათა საშუალებით მუშა ხალხი თავის ოფლის ნაყოფის შესაკუთრედ გახდონ... ბატ. მიაიშვილის პრაქტიკული რჩევა რომ ტყუილია და მაგ რჩევით დღეს არაეინ არ ხელმძღვანელობს, ამას მოწმობენ ევროპის სტედასხვა ხალხის მოძღვრებანი და ამ მოძღვრებათა უკეთესნი წარმომადგენენი. კარლ მარქსი თავის 1847 წლის მანიფესტში, სხვათა შორის, ამბობს, რომ

ტექციისათვის (კითხურის მარჯვენაზე სარკინიგზო ტარიფის დაკლების საქმეში) გ. ზდანოვიჩმა მიუძღვნა „კაპიტალის“ ორი ტომი... რაც ჩემი ხნის კაცისათვის ძნელი დასაძლევია იყო, მაგრამ ძლიერ მესიამოვნია“ — უთქვამს ლ. ასათიანს (იხ. დ. კლდიაშვილი — „მეშურები“, 1933, ტფ. 120 — 121).

¹⁾ იხ. ჩენი სტატია გახ. „კომუნისტში“, 1940, № 122.

²⁾ გახ. „შრომა“, ქუთაისი, 1882, № 48.

მუშა-ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უღელი შემუსროს.“¹⁾

დისკუსიაში მიაშვილს ასე თუ ისე გარკვევით მიემხრნენ ურბნელი (ხ. ზინანოვილი), რომელიც თავის სტატიაში²⁾ ასახელებს კ. მარქსს, და ს. კრელა-შვილი.³⁾ ახლა ბოსლეველი ამ უკანასკნელსაც ეკამათება: „მარქსი და ლასალი იმგვარსავე მნიშვნელობას აძლევენ პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებას ცხოვრების ეკონომიურად გაუმჯობესებისათვის, როგორც ამას შერებოდა თქვენგან გაუგებარი ფიხტე. ჩვენს სტატიაში ვრცლად იყო ნათქვამი ამაზედ, ჩვენ გვქონდა მოყვანილი ამის შესახებ მარქსის, ლასალის და პოლიტიკო-ეკონომის მილის აზრი, მაგრამ თუ ამან საზოგადოების ყურადღებამდე ვერ მიაღწია, ჩვენი დანაშაული არ არის.“⁴⁾ ე. ი. ეს აზრები და ციტატები ცენზორს ამოუღია.

მაგრამ სტ. კრელაშვილი ვერ ითმენს ბოსლევლის მიერ ზემოხსენებულ მეცნიერთა საერთო რუბრიკაში მოთავსებას: „ვერ გავგვიფა ერთი უბრალო გარემოება, ისა, რომ, თუ ბოსლეველი... პატივსა სცემს მარქსისა და ლასალის ეკონომიურ აზრებს, მაშინ ფიხტე რაღა შუაშია, რომელი სიტყვის მასალაა.“⁵⁾

ცხადია, ამ დროიდან კ. მარქსის სახელი ხშირად გვხვდება საეურნალო თუ საგაზეთო სტატიებში და აგრეთვე ბროშურა-წიგნაკებშიაც. აღსანიშნავია, მაგალითად, ა. ფურცელაძის მიერ ბანკების შესახებ თავის 1884 წელს გამოცემულს ბროშურაში კ. მარქსის მრავალგზის მოხსენება, როგორც ეკონომიური საკითხების დიდი ავტორიტეტისა.⁶⁾

ცნობილია ზ. ჭიჭინაძის მიერ არალეგალური ლიტერატურის გავრცელების ფაქტი. ზ. ჭიჭინაძე, სხვათა შორის, წიგნით მოვაჭრეც იყო. მაგრამ იგივე ზ. ჭიჭინაძე, როგორც მწერალი, ხელს უწყობდა კ. მარქსის სახელის პოპულარიზაციას. ერთ-ერთ თავის სტატიაში „მუშა ხალხი საქართველოში“, ეხება რა საერთოდ მუშათა მდგომარეობის საკითხს, იგი აღნიშნავს, რომ მას „ხმის ამოღებას შესახებ მუშა ხალხისა საქართველოში“ აბედენებებს ის გარემოება, რომ ამ საკითხის აქტუალობას აღიარებენ „თვით კარლ მარქსი, ფერდინანდ ლასალი, პრუდონი და ფლეროვსკიც-კი.“⁷⁾

სამიოდე წლის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე აქვეყნებს „კაპიტალის“ მეორე ტომის რუსული თარგმანის რეცენზიას: „მრავალთ ჩვენს ყმაწვილ-კაცებს წაკითხული თუ არა, გავიანილი მაინც ექნებათ გამოჩენილის და დიდათ მცოდნე პოლიტიკო-ეკონომიური მწერლის, ძლიერი კრიტიკოსის კარლ მარქსის სახელი. აწინდელმა კაცობრიობის ეკონომიურმა მეცნიერებამ და კრიტიკამ ისეთს წერტილამდის მიაღწია მარქსის მეოხებით, რომლის მსგავსი და შესაძარბელი ვერ დადი ხანი გავა, რომ გამოვიდეს ვინმე.“

„კარლ მარქსი არის წარმომადგენელი ახლის პოლიტიკო-ეკონომიური მეცნიერებისა რაციონალიზატურის სკოლისა, რომლის რეალურს ეკონომიურ

¹⁾ „შრომა“, ქუთაისი, 1883 წ., № 3.

²⁾ „იმედი“, 1883 წ., № 3, გვ. 35—46.

³⁾ „დროება“, 1883, № 16.

⁴⁾ „შრომა“, 1883 წ., № 5.

⁵⁾ „დროება“, 1883, № 32.

⁶⁾ ა. ფურცელაძე—„ბანკები და მათი მნიშვნელობა“, 1884, თბ. 15—16 და შემდ.

⁷⁾ „იმედი“, 1883, № 2, 35—40.

მხარეებთან და აზროვნებასთან თითქმის მჭიდრო კავშირი აქვს ყოველწინაირს მეცნიერულ აზროვნებასა. მარქსის ძლიერი შრომის და ვინაობის ნაშრომები დიდი ხანია, რაც ევროპაში განისმის და თვით რუსულ ეურნალეზშიც უწყრაით ამის შესახებ“.

ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ ზ. ჰიჭინაძე უკვე ეხება კ. მარქსის „კაპიტალს“. „ამ ძლიერი და უშესანიშნავესი კაცის თხზულების „კაპიტალის“ პირველი ტომის რამდენიმე რვეულები ნემენცურ ენაზე 1859 წ. გამოიცა¹⁾. ესევე გამოცემა იმავე დროს სხვადასხვა ენაზედაც გადასთარგმნეს და მის გამო ბევრმა უშესანიშნავესმა მწერალმა ისაუბრეს, არჩიეს, არკვიეს და მარქსის საწინააღმდეგოდ მაინც ვერა გააწყვეს რა. შემდეგ წლებში პირველ რვეულებს მიემატა შემდეგბც და მით გათავდა „კაპიტალის“ პირველი ტომი...“

„...გარდაიკვალა კარლ მარქსი და მისი სიკვდილის შემდეგ გაისმა იმ ცნობის ხმა, რომ კარლ მარქსს თავის „კაპიტალის“ მეორე ტომი გათავებულ-ლი დარჩენია. ყველა ეს შრომა, გარჩევა, გადაწერა და გამოცემა იკისრა გამოჩენილმა და განვითარებულმა ფ. ენგელსმა. ენგელსი კარლ მარქსის ძველი შეგობარია და მასთანავე დიდათ მცოდნე პოლიტიკური ეკონომიის სწავლის და სხვადასხვა მეცნიერებისა“.

„მარქსის „კაპიტალის“ გამოცემას მთელი განათლებული ქვეყნების მწერლები... დიდი სიხალისით მიეგებენ და ეს უშესანიშნავესი მეცნიერებით საესე თხზულება იმავე წელიწადს რუსულ ენაზედაც გადმოთარგმნეს და 1885 წ. პეტერბურგში ცალკე წიგნათაც გამოსცეს. აქვე უნდა დაუმატოთ, რომ ამ გამოჩენილის და უძლიერესის ეკონომისტის სწავლამ დიდი გავლენა იქონია მთელ ევროპის ეკონომისტ-მეცნიერებზე და დღეს საფრანგეთის ქალაქ პარიზში მთელი სკოლა არის დაარსებული, რომლის წარმომადგენელი მარქსის თეორიას იკვლევენ და ამ სკოლის წარმომადგენელთ პირთ სახელდაც „მარქსისტები“ ეწოდებათ.“²⁾

ამგვარად, ზ. ჰიჭინაძე, გარდა იმისა, რომ პირველი იხსენიებს ქართულ პრესაში ფრ. ენგელსის სახელს, იმავე დროს პირველი სწერს ბიბლიოგრაფიას კ. მარქსის თხზულებაზე საერთოდ ქართულ ბეჭდვითს სიტყვაში, და შეტად მალა აყენებს კ. მარქსსა და მის მოძღვრებას, თუმცა თვით ქართული სინამდვილისათვის ყოველივე ეს ჯერჯერობით ნაადრევად მიიჩნია. სახელდობრ: „კაპიტალის“ მეორე ტომის გამოსვლასა და არსებობას ჯერ-ჯერობით ჩვენს გონებითს მოძრაობასთან და ლტოლილებასთან (მისწრაფებასთან) დიდი რამ კავშირი არა აქვს და კ. მარქსის შრომა უფრო ევროპის რაციონალური შკოლისა და საკითხავ საანუკვარ განმად არის მიღებულიო“.³⁾

დასასრულ, 1880-იანი წლების მიწურულს გამოქვეყნდა გ. მაიაშვილის ტრაქტატისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი გამოხმაურება: ნ. გ-ლის (იე. ჯაბადარის) სტატია, რომელმაც თავის მხრივაც დიდი

¹⁾ იგულისხმება „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

²⁾ „თეატრი“, 1886, № 17, 176 — 178.

³⁾ „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, კ. მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომი“ (ეურნ. „თეატრი“, 1886, № 17, გვ. 176—178).

ეს სტატია რომ სახელდობრ ზაქ. ჰიჭინაძეს ეკუთვნის დადგინა პროფ. ს. ხუნდაძემ (იხ. მისი „სოციალიზმის ისტ. საქართველოში“, ტ. II, 144, შენიშვნა სქოლიოში).

მოლემიკა გამოიწვია.¹⁾ ივ. ჯაბადარც, მსგავსად მიაძმვილისა, წაიკმე-
რალი ზალზოსანია.

ის წინასწარ აღინშნავს, რომ საერთოდ მიაძმვილი „ლაბარაკობის იმისთანა პრინციპიალურს საგნებზედ, რომლების ასე თუ ისე გარდაწყვეტას ჩვენის ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.“²⁾

5. გ-ლი სწერს: „ეს აზრი (ლაბარაკია გ. ნაიაძმვილის მიერ მოყვანილი ქ. მარჭის ციტატა და შეხედულებებზე—ბ. გ.) ჩემო მკითხველო, ეკუთვნის წარჩინებულს საქვეყნო მეცნიერს, რომელმაც თავისი დიდათ შესანიშნავი სამეცნიერო თხზულება, ვიღ ერთი კარგი ზორბა ყუმბარა, მარჯვეთ ესროლა მთელის ქვეყნის მოქალაქის გაქვავებულს გულს და, თუმცა ნათლად დაგვანახვა ის საზარელი და სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც წარმოვედგენს ევროპის მდამიო ზალზის ცხოვრება, მაგრამ სანუგეშოთ ისიც დავეიმტკიცა, რომ თვით კაპიტალისტების წარმოებითი მოქალაქობას საფლავი ეთხრება და აღრე თუ მალე გლოვის ზარიც უეჭველად დაერკება.“

„ამ შესანიშნავ სამეცნიერო შრომის აზრი ის გახლავთ, რომ ყოველის ერის უფლებას, იმის პოლიტიკურ, სასულეერო და საზნეობო წესს და წყობილებას საფუძვლად და დასაბამად აქვთ ქონებრივი ცხოვრების წესი და წარმოება.“

„დიდათ საქიროა დაინახოს კაცმა ნათლად, როგორ მიაგნო ამ მეცნიერმა თავის ნათელს აზრს... რასაცვირველია, ჩვენ ჩვენის მზრით მთლად ვეთანხმებით ამ ფილოსოფიურს აზრს, მაგრამ... მავარი ის არის, რომ იმას არა აქვს ჩვენს ცხოვრებაში ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელსაც ბ-ნი მიაძმვილი მიაწერს და რომლისაგანაც ის დამკვნა გამოჰყავს, რომ თუ ჩვენ მართლა ჩვენის ქვეყნის ერის გულითადი მზრუნველნი ვართ, უნდა უეჭველად უპირველესი ყურადღება იმის ეკონომიურის ცხოვრების გამოკვლევასა და განკარგებას მივაქციოთ.“³⁾

იხილავს რა კაცობრიობის ისტორიის განვითარების ძირითად ეტაპებს, 6. გ-ლი ასკვინს: „ამგვარად, ჩვენ მივალწიეთ იმ საფუძველს, რომელზედაც ზემოხსენებულმა მეცნიერმა (ქ. მარჭისმა) დაამყარა ის თავისი ფილოსოფიური აზრი, რომ ყოველ ერის უფლებას, იმის საპოლიტიკო, სასულეერო და საზნეობო წესს და დაწყობილებას საფუძვლად და დასაბამად აქვს ქონებრივის ცხოვრების წესი და წარმოებაო. ახლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ეს აზრი არის მხოლოდ შედეგი ფილოსოფიურის განხილვისა ადამიანის შრომის ისტორიისა.“

ჩვენს ეპოქაში, როდესაც მონობა (პიროვნული არადავისუფლება) უკვე მოსპობილია, „დახელოვნებულ კაცის ქონებრივი ბედნიერება თავის ზელშია, ოღონდ ზელებ-შეკრული არ იყოს, ნება და უფლება ჰქონდეს თავისის ცხოვრების მოწყობისა“.

„აი, ჩვენის აზრით, ამგვარი მიმართულება და მნიშვნელობა უნდა მისცეს

¹⁾ იხ. „ივერია“, 1888 წლის 105 ნომრის მოწინავე; იგრეთვე სანოს (ს. კრელაშვილის) ერთი ფელეტონები: „ივერია“, 1888, №№ 149, 154, 161, 181, 189, კიდევ „ივერია“, 1888, № 162 და შემდეგ ფელეტონები სათაურით: „ზოგიერთი ფიქრი“. 6. გ-ლს ეკამათებოდნენ განსაკუთრებით „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის შეფასებაში. „ივერიის“ 1888 წლის 105 ნომრის მოწინავეს იტორი ილ. კაცვაძეც უნდა იყოს.

²⁾ „ივერია“, 1888, № 100.

³⁾ „ივერია“, 1888, № 111.

კაცმა ცხოვრებაში ზემოხსენებულის მეცნიერის აზრს... მაგრამ ბუნებრივად შეილი ამ აზრს... სხვა მნიშვნელობას მიაწერს და კეზმარიტეტის სამწუხაროა... იმიტომ... რომ შემდეგ დიდის ისტორიულის გამოცდილებებისა, ამგვარი მნიშვნელობა თვით რუსეთშიაც-კი უარყოფილია დაწინაურებულ და განათლებულ საზოგადოებისაგან, როგორც ცხოვრებაში გამოუხადებარა და ძნელად აღსასრულებელი“.

ამის შემდეგ გ-ლი გვამცნობს თავის საკუთარს, ტიპიურად ხალხოსნურ შეხედულებას იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ინტელიგენციამ უნდა დაისახოს: დღეს, როდესაც „გონება დახშულ და გაუხსნელ მდაბიო ხალხს არა აქვს იმდენი ღონისძიება და საზსარი, რომ გადაავლოს თვალი თავის ისტორიას, იცნოს თავი და ძალა თავისი და ამგვარად დაადგინოს ის აზრი, რომ დღეს ნება და მოვალეობა ყოველის კაცის კეთილდღეობის საფუძველი და საძირკველია, რომ ნათლად გაიგოს, თუ ეს ნება-მოვალეობა იმის ზელთ იქნება, მაშინ თავის ჭონებრივ ცხოვრებასაც თვითონვე საუკეთესოდ მოაწყობს. ზოლო საუბედუროდ მდაბიო ხალხი დიდხანს ვერ გაიგებს ამის მნიშვნელობას; ამის გაგების და ასრულებაში მოყვანის მოვალეა იმისი წინ-მასული ძმა, განათლებული საზოგადოება, ე. ი. ინტელიგენცია... ამაშია ყოველის ერის ინტელიგენციის აუცილებელი და უპირველესი მნიშვნელობა და ამაშივე უნდა გამოიჩინოს თავი ყველგან: სალიტერატურო, საზოგადო, თუ სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზე“.¹⁾

ამგვარად, აქ ი. ჯაბადარის, რუსეთშიაც კარგად ცნობილი ხალხოსანის მიერ, ასე მკაფიოდ და აშკარად არის გადმოლაგებული საერთოდ ხალხოსნობის ერთ-ერთი ძირითადი შემცდარი შეხედულება სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე. სახელდობრ ხალხოსნების (ნაროდნიკების) „შემცდარი და მკენე შეხედულება კაცობრიობის ისტორიის მთელ მსვლელობაზე“, რომ მათი „აზრით, ისტორიას ჰქმნიან არა კლასები და არა კლასთა ბრძოლა, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები — „გმირები“, რომლებსაც ბრძალ მიჰყვებიან მასები, „ბრბო“, ხალხი, კლასები“.²⁾ აქვე აშკარადება ის შეცდომა, რომ „მთავარ რევოლუციურ ძალად ნაროდნიკები სთვლიდნენ გლეხობას, ინტელიგენციის ხელმძღვანელობით და გლეხურ თემს“.³⁾

საერთოდ ზემოთმოყვანილი მასალის საფუძველზე უკვე შესაძლებელია გარკვეული დასკვნის გამოყვანა.

ჩვენ დაეინახეთ, რომ კ. მარქსის სახელი ქართულ საზოგადოებრივობასა და პუბლიცისტიკაში (პრესაში) ჩნდება 1870-იანი წლების დასაწყისშივე. კ. მარქსი 1870-იან წლებში აქ წარმოგვიდგება, როგორც ავტორიტეტი პოლიტიკურ და საერთოდ სოციალ-ეკონომიურ საკითხებში.

1880-იანი წლებში პირველად იწყება ქართველ ინტელიგენციასა და პუბლიცისტიკაში დისკუსია მარქსის გაგებისათვის, რაც ძირითადად ხალხოსნურ შეხედულებათა ორბიტში მოძრაობს. მაგრამ, ცხადია, რაც უნდა გაუგებრობის ბურკილებში არ ყოფილიყო წარმართული ეს დისკუსია, იგი ისტორიული აუცილებლობით მაინც ჰქმნიდა წინაპირობას საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისათვის 1890-იანი წლებიდან მოყოლებული.

1890-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში გარდატე-

¹⁾ იქვე.

²⁾ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია“, 16.

³⁾ იქვე.

ბა მოხდა, მაშასადამე, პუბლიცისტიკაც ახალ საფეხურზე წავსდით. „ქვეყნის დასაზღვევად“ რომელიც 1893 წელს ჩაისახა, „დასაბამი მისცა მარქსისტული იდეების გავრცელებას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში და განაგრძობდა ნაკლის მიუხედავად, მაინც ბიძგი მისცა რევოლუციურ ახალგაზრდობას და მოწინავე მუშებს მარქსიზმის გაცნობისა და შესწავლის საქმეში.“¹⁾

ამ დროიდან უკვე საქმე გვაქვს არა კ. მარქსის სახელისა და ცალკეული იდეების გავრცელებასთან, არამედ მარქსიზმის, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობის, გავრცელების ფაქტთან. ამას ანხორციელებდნენ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები. მარქსიზმის თესლი ამიერ-კავკასიაში შემოიტანეს როგორც რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებულმა რუს სოციალ-დემოკრატებმა, ისე საზღვარგარეთ ნაყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა.

„მესამე დასის“ ძირითადი ჯგუფი, რომელიც თბილისის — მთელი ამიერ-კავკასიის მაშინდელი ცენტრის — ქართულ ლეგალურ პრესაში (გაზეთი „კვალი“, „მოამბე“), მარქსიზმს ქადაგებდა, იყო ნოე ჟორდანიას ჯგუფი (1893 — 1898 წწ.)²⁾

ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ე. ნინოშვილი, ეკამათებოდა რა წინა თაობის, მეორე დასის, მწერლებს, 1893 წელს „კვალში“ სწერდა: „...ის თაობა, რომელიც აღიზარდა და დაბერდა შელინგისა და ჰეგელის მეტაფიზიკაზედ, რა თქმა უნდა, ვეღარ შეითვისებდა ბიუხნერის, მოლშოტის, კ. ფოტის და სხვა მისთანა ახალ მეცნიერთა მატერიალურ მიმართულებას და ოგ. კონტის პოზიტიურ ფილოსოფიას; ის თაობა, რომელსაც მოხუცებამდე მტკიცედ სწამდა კიუპეს თეორია, მოხუცების დროს ვეღარ შეითვისებდა დარვინის ევოლუციონურ თეორიას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა ბუნებისმეტყველებაში; ის თაობა, რომელსაც მოხუცებამდე ქეშმარიტებად მიაჩნდა მალტუსის, სემს, ბასტიას და სხვა მისთანა პოლიტიკო-ეკონომების მოძღვრება, რა თქმა უნდა, მოხუცების დროს ვეღარ შეითვისებდა კარლ მარქსის საპოლიტიკო-ეკონომიურ მოძღვრებას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში.“³⁾

იმ დროიდან, როცა ეს სიტყვები დაიბეჭდა, ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ ე. ნინოშვილის ღია საფლაფზე წარმოთქმულ სიტყვაში სილ. ჯიბლაძე ლაპარაკობდა: „...ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს: ერთი მხრით — ფიზიკური და ჯონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით — მუქთა-ბორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა; აი სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის (კ. მარქსის) სიტყვით რომ ვსთქვათ, ორსულად ახლანდელი ფაშთა-ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და

¹⁾ ლ. პ. ბერია — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხი-სათვის, 1938 წ. თბ. 13.

²⁾ იქვე, 7.

³⁾ ე. ნინოშვილი — „ძველი დავა ახალ ჭერში“ („კვალი“, 1893, № 32, გვ. 3).

გასაადვილებლად ილწვიან და უნდა ილწვოდენ კიდევაც საუქმეთესო წიგნ-
მომადგენელნი „ახალი თაობისა“. *)

იმავე ხანებში „კვალში“ გამოქვეყნებულს ერთს ცოცხსებულს წიგნს
კვითხულობთ: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის წიგნში
საფლავებაზე. მის კუბოს ვარს შემოკრებენ, ასე ვსთქვათ, მესამე დასი
ახალგაზრდობისა... ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოსთქვეს ამათ თა-
ვისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაეწყვენ, რომ ხალხში
შეიტანონ განათლების შექი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რე-
პელიც დღეს თავს ისრაჩობს ბანკისა და ქალაქის არჩევნებში“. *)

ამგვარად, ჩამოყალიბდა „მესამე დასი“, რომლის იდეოლოგი და ყველა
საპროგრამო ნაშრომის ავტორი იყო ნოე ჟორდანიძე. ეხებოდა რა 1894 წელს
გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიძის პროგრამულ ნაშრომს („ეკონომიური წარმა-
ტება და ეროვნება“), *) ს. ჯიბლაძე სწერდა: „ამ სტატიაში, რომლითაც
იწყება, ჩვენი აზრით, ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში, საკმაოდ გამოს-
ტვივის პროგრამა ჩვენი ახლის — დღეს „მესამე დასად“ წოდებულის —
თაობისა“. *)

„მესამე დასის“ მოღვაწეობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებ-
რივობაში. აი როგორ გადმოგვცემს ამ გარემოებას ჩვენი ცხოვრების ისეთი
ნიჭიერი დამკვირვებელი, როგორიც იყო დავ. კლდიაშვილი: „1894 წელს
ნინოშვილის საფლავზე, მის გასვენების დროს, სილიბისტრო ჯიბლაძემ დე-
კლარაცია წაიკითხა იმ პარტიის, რომელსაც შემდეგ დაერქვა სახელად მე-
სამე დასი. დეკლარაცია დაიბეჭდა „კვალში“ და დიდი შთაბეჭდილება მოახ-
დინა საზოგადოებაში. ამგვარი რამ თორმეტის წლის წინეთაც იყო ქართულ
პრესაში, — ეს გ. მაიაშვილის წერილი საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, და-
ბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“. წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა,
მაგრამ მკითხველთა წრე იმ ხანებში მეტად ვიწრო იყო და ამიტომ ფართო
გავრცელება არ ჰქონია ამ ყოვლად შესანიშნავს წერილს, რომელიც წარ-
მოადგენდა საოცრად შედგენილ პროგრამას ჩვენი ეკონომიური ცხოვრების
განსაფთხარებლად. თორმეტის წლის შემდეგ, მსგავსმა დეკლარაციამ კი
აუარებელი მსმენელი იპოვა, იგი შეიტკრა ხალხში; არ დარჩენილა მხოლოდ
ინტელიგენციის კუთვნილებად, მოიპოვა მრავალი მსმენელი, ახლად ვადვი-
ტებულ წრეებში და დიდ გავლენას ახდენდა მათზედ“. *)

ეს მოძრაობა ფართოდ გავრცელდა საქართველოში და ამიერ-კავკასიის
ყოველ კუთხეში, განსაკუთრებით კი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებში.

იგივე დ. კლდიაშვილი გადმოგვცემს, თუ როგორ იკრიბებოდა და ცხა-
რედ კამათობდა ახალგაზრდობა ბათუმში, 1890-იანი წლების პირველ ნახე-
ვარში. მაგალითად, სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიასთან შეკრებილ და მოკამათე
ახალგაზრდათა შორის ერთხელ ერთმა ყმაწვილმა „გატაცებით წამოიძახა:

*) „კვალი“, 1894, № 22, გვ. 15.

*) „კვალი“, 1894, № 21, გვ. 3.

*) „მოამბე“, 1894, № 5, 6.

*) „კვალი“, 1895, № 10, გვ. 15—16.

*) დ. კლდიაშვილი — „მემუარები“, 1933, ტფ. 130—131. უნდა დავსინოთ, რომ გ. მა-
იაშვილის გამოსვლასთან ეს ანალოგია ილინიშა მამინე „კვალშიაც“ და დ. კლდიაშვილის
მსჯელობის ხასიათიც გვაფიქრებინებს, რომ ამ უკანასკნელს მემუარების წერისას უსარ-
გებლნია სითანადო ლიტერატურითა და წყაროებით.

მე მარქსისტი ვარ, ვარ მარქსისტი და ვერავეთარი ძალა მას ვერ ჩამოვწმობ რებს! ამ ყაცმა (კ. მარქსმა) სამოთხე ზეციდან დედამიწაზე ჩამომიტანა, აქ გამიჩინა, აქ მომცა ჩემს სიცოცხლეში... პროლეტარებო ყველა ჩვენივენი, შეერთდით! მიგვაგნებინა ვზას და ყველა რომ შევეერთდებით... სამოთხეს აქ გავაჩენთ, სიცოცხლეში“. იმ ხანებში „ბათუმის ქუჩებში ყოველი ფეხის ნაბიჯზედ შეხედდებოდი სხვანაირი სიმარადით მოსიარულეს, გატაცებულ კილოზე მოლაპარაკე სუაწვილობას „კვალით“ ხელში“. ¹⁾ „კვალი“ მალე ლეგალური მარქსიზმის ორგანოდ გადაიქცა.

„მესამე დასელოა“ უმრავლესობა, ეორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა „ლეგალური მარქსიზმის“ ჯგუფს, რომელიც თავის ნაწერებში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მთელ რიგ ძირითად საკითხებზე ამბინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას, ავულგარებდა მარქსიზმს და ნაციონალისტურ ელფერს აძლევდა მას“. ²⁾ მესამე დასელოა უმრავლესობა, მართალია, მკაცრად აკრიტიკებდა მემამულურ და ხალხოსნურ მიმართულეებებს, სცნობდა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას, მაგრამ კაპიტალიზმში მხოლოდ პროგრესიულ მხარეს ზედავდა და არ აყენებდა ბურჟუაზიული ურთიერთობის მოსპობის საკითხს. „ნოე ეორდანია და „მესამე დასის“ უმრავლესობა უარჰყოფდნენ რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას“. ³⁾

„მესამე დასის“ უმრავლესობის შესახებ მისივე თვალსაჩინო მოღვაწე ს. ჯიბლაძე 1895 წელს მახვალგონიერად მსჯელობდა: „მოსალოდნელია, ჩვენის აზრით, მესამე და მეორე დასი მომავალში დაუახლოვდნენ ერთმანეთს, დროებით ჩაუნგრიონ ბუდე რეაქციონერებს, შემდეგ ერთი მეორის წინააღმდეგ მოიღერონ ყელი საბრძოლველად. მაშინ ჩვენს ცხოვრებაში დამყარდება ორი სამკედრო-სასიცოცხლოთ მეომარი დასი — პროგრესიული, დღეს „მესამედ“ წოდებული, და კონსერვატიული დასი [II]. ეინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში? ჩვენ ეფიქრობთ, პირველი. რატომ? იმიტომ, რომ ის მიდის წინ ცხოვრების მიმდინარეობასთან ზელი-ხელს გაყრილი. ამით გათავდება ისტორიული დანიშნულება დღევანდელ ახალგაზრდა (III) დასისა. როცა ეს ახალი დასი შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას, ეინ იცის, იქნება, მასაც იგივე ბედი ეწიოს, რა ბედიც ეწია ჩვენს ძველ დასს. ასეთი მაგალითებით სავსეა ისტორია, მისი განვითარების უღმობელი ლოდიკა ამას თხოულობს. დღეს ის თავისი სიყვარულით ასაჩუქრებს და ეფერება ერთს იმიტომ, რომ ხვალ მას ზურგი შეაქციოს და თავისი მშობლიური აღერსი მეორეზე გადაიტანოს“. ⁴⁾

მართლაც, გარკვეული დროის შემდეგ, უღმობელმა ისტორიამ ზურგი შეაქცია „მესამე დასს“, რომელიც თავისი პოლიტიკური მიმართულებით არც იმთავითვე ყოფილა ერთგვაროვანი.

1897 წელს „მესამე დასში“ შევიდა ლ. კეცხოველი, ხოლო 1898 წ. იოსებ სტალინი, რომელთაც იქ სიახლე და რევოლუციურობა შეიტანეს.

ამხანაგი სტალინი თბილისში ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფეთა წრეებში

¹⁾ დ. კლდიაშვილი, იქვე, 131 — 132.

²⁾ ლ. პ. ბერია, დასახ. თხზ. 10.

³⁾ იქვე, 11.

⁴⁾ ს. ჯიბლაძე, „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“ („კვალი“, 1895, № 9, გვ. 14—15).

მუშაობისას იცნობდა და ასწავლიდა კ. მარქსის ნაწერებს. ამის შესახებ აშ. დ. გოვოხია თავის მოვონებაში სწერს, რომ 1894—1895 წწ. „წრეში იოსებ სტალინი“ გვიკითხავდა ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებს, გვეხსნიდა რევოლუციონის თეორიას ადამიანის წარმოშობის შესახებ, ხოლო წლის ბოლოს ჩვენი გადავედით პოლიტიკური ეკონომიისა და მარქსისა და ენგელსის წიგნებიდან ნაწყვეტების კითხვაზე.“¹⁾

მართალია, კ. მარქსის „კაპიტალი“ რუსულად გამოცემის დროიდანვე განდა თბილისში, მაგრამ, როგორც სჩანს, 1890 წლების მეორე ნახევარში ეს წიგნი აქ იშვიათად მოიპოვებოდა. ცნობილია, რომ 1938 წელს პრობანდისტების თათბირზე, როგორც აშ. ემ. იაროსლავსკი გადმოგვცემს, ი. სტალინმა აღნიშნა, რომ 1890-იან წლებში მუშათა წრეებში „თბილისში მხოლოდ ერთად-ერთი ცალი იყო „კაპიტალისა“ და წრის (რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა) წევრებმა გადასწერეს ხელით, რათა თავიანთთვის ჰქონოდათ იგიო.“²⁾

„მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიოდნენ ს. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი. ეს ჯგუფი წარმოადგენდა „მესამე დასის“ უმცირესობას, რომელიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში არ ეთანხმებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობას.“³⁾

„მესამე დასის“ უმცირესობამ გააჩაღა დიდი და ცხოველმყოფელი მუშაობა რევოლუციური მარქსიზმის აგტიაცია-პრობანდისტის საქმეში. აღსანიშნავია, რომ „კვალში“ იბეჭდება რეცენზია ლენინის ცნობილ წიგნზე „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომელიც ის-ის იყო გამოქვეყნდა. ბიბლიოგრაფიის ავტორი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი მოღვაწე ივ. ლუზინი ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს კ. ლენინის ხსენებულ შრომას, რომელსაც ურჩევს მკითხველთა საზოგადოებას.“⁴⁾

როგორც აშ. ლ. პ. ბერია სწერს, „გადამჭრელ და შეუღებებელ ბრძოლაში ქართული ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ, „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ედგა ნოე ჟორდანიას, ჩაისახა, ჩამოყალიბდა და გაიზარდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რევოლუციური ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ორგანიზაცია ამიერ-კავკასიაში.“⁵⁾

ამ დროიდან მოყოლებული, მთელი რიგი წლების მანძილზე ქართულ არალეგალურ თუ ლეგალურ პერიოდულ ორგანოებში და ცალკე გამოცემათა სახით სისტემატურად იბეჭდება იოსებ სტალინის შრომები. ამხანაგი სტალინი თავის ამ თხზულებებში ეწევა საერთოდ მარქსიზმის და კერძოდ მარქსისტული ეკონომიური მეცნიერების არა მხოლოდ ბრწყინვალე დაცვასა და პრობანდას, არამედ შემდგომ განვითარებასაც. ი. სტალინის მიერ საქართველოში დანერგული მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერების დიდებულ ტრადიციის პირველი აღამდარი იყო ალ. წულუკიძე, რომელმაც ქართულად

¹⁾ იხ. „ამიერ-კავკასიის ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე“, 1939, თბ. 14.

²⁾ Е. Ярославский. „Борьба за создание СДРП в России (1883—1901 г. г.)“, М. 1941, 166.

³⁾ ლ. პ. ბერია, დასახ. თხზ. 14.

⁴⁾ „კვალი“, 1899 წ. № 30, 511—512.

⁵⁾ ლ. პ. ბერია, დასახ. თხზ. 16.

დასწერა პირველი მარჭისისტული, სოპულარული წიგნი „პოლიტიკური ეკონომიკაში“ (სწავლევები პოლიტიკური ეკონომიკიდან“, 1904 წ.).

სწორედ იმ დროს, 1905 წლის რევოლუციის დასაწყისში, სწავლევები უცხოეთიდან ჩამოდიან ვ. ჩერქეზნიშვილი, აგრეთვე კ. გოგელსონი და მ. წერეთელი (Baton) და სხვ. ამათ აქ გააჩაღეს ანარქისტული აგტიაცია-პრობაგანდა, გაიჩინეს პერიოდული ორგანოები. ცხადია, ანარქისტების მოღვაწეობა მიმართული იყო უმთავრესად მარჭისისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ისინი ლამობდნენ თავიანთი გავლენა გაეყრცელებინათ მუშათა და გლეხთა მასებში.

ვ. ჩერქეზნიშვილმა, გარდა მთელი რიგი სტატიებისა, 1907 წ. თბილისში რუსულად გამოსცა პოლემიკური ბროშურა¹⁾ სოციალ-დემოკრატიის, კერძოდ, კ. კაუცკის წინააღმდეგ.

ეს იყო გაგრძელება იმ ცილისმწამებლური დისკუსიისა, რაც ანარქისტებმა და კერძოდ ჩერქეზნიშვილმა ჯერ კიდევ 1880-იან წლებში დაიწყეს ჟურ. „Les temps nouveaux“-ში (პარიზი), ყუველკვირეულ „Freedom“-ში (ლონდონი) და სხვა ანარქისტულ ორგანოებში საერთოდ მარჭისისტებისა და კერძოდ თვით კარლ მარჭისისა და ფრ. ენგელსის წინააღმდეგ. ჩერქეზნიშვილის ამ ფელეტონებიდან ზოგიერთი ცალკე ბროშურებად დაიბეჭდა. ეს ნაწერები იმავე ხანებში ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, იაპონურ და ჩინურ ენებზედაც-ი.

ცხადია, რომ ვ. ჩერქეზნიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა გარკვეულ რეზონანსს იწვევდა მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვ. ჩერქეზნიშვილის მთელი ეს კრიტიკული ვარჯიშობა, რაიმე სხვათა შორის, გამოიწვია პ.

¹⁾ В. Черкезов—„Наконец-то сознались?“, 1907.

ა) ამას გარდა ვ. ჩერქეზნიშვილი (1846—1925) დას. ევროპაში ეწეოდა დიდ პრაქტიკულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. სხვათაშორის იგი იყო ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე ანარქისტული ინტერნაციონალის ენეგია და პარიზის სექციებისა. 1881 წ. იგი პარიზიდანაც გადასახლდა. ფრთად თვალსაზრის რაღას თამაშობდა 1882 წ. ინტერნაციონალის იურის ფედერაციის კონგრესში. იმავე 1882 წელს პარიზში იწვება ლიონელი ანარქისტების ცნობილი პროცესი. ლიონელთა საქმეში ერა ვ. ჩერქეზნიშვილიც და რათა პოლიციას ზელში არ ჩაეარდნოდა, იგი ვარბის ფენეტილიანაც. შემდეგ ერთხანს თითქმის სავსებით ცლიდება პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხელს კიდევს სხვადასხვა კომერციულ საქმეს; კონსტანტინოპოლთან ჩაძირული ავსტრიული გემის ამოღებას, ბუქარესტში კეფიზის წარმოებას, გალაცში იგი მუშაობს როგორც მხატვარი. ერთხანს საქართველოშიაც ცხოვრობდა — როგორც თავ. მუხრან-ბატონის ბავშვების მასწავლებელი. მგზამ ეანდარმერის შიშით აქედან ისევ საზღვაგარეთ გაიქცა. 1892 წ. უცეე ლონდონშია, სადაც კვლავ ებმება პოლიტიკური ცხოვრების ორამიტიალში; მონაწილეობს ანარქისტულ გამოქვეყნებათა მუშაობაში, იმავე დროიდან ძალიან უბლოცდება პ. კრაპოტკინს, რომელმაც ხელი შეუწყო, რათა ვ. ჩერქეზნიშვილი უშუალოდ ჩამშლიყო ევროპისა და ამერიკის ანარქისტული პარტიების ლიტერატურულ-პოლიტიკურ მუშაობაში. ... 1907 წელს საქართველოდან მიემგზავრება შაიან სამშვიდობო კონფერენციაზე პეტციით, რომელზედაც 40.000 კაცს ეწერა ხელი, რომ ... ცარიზში ევროპაში მშვიდობიანობაზე ქადაგებს, ხოლო თვითონ პატარა ერებს, როგორც საქართველოა, თვისუფლებასა და დამოუკიდებლობას აბოიებს და ჩაგრაეს. 1907 წლიდან ვ. ჩერქეზნიშვილი სულ ევროპაშია, სადაც კრაპოტკინთან, კორნელისენთან, გრაითან ერთად ხელმძღვანელობს ანარქისტულ პარტიებს ევროპისა და რუსეთში. 1912 წ. ლონდონს ბეჭდავს წიგნს ინგლისურ ენაზე, რომელიც წარმოადგენს „კრიტიკას“ კ. მარჭის კონცენტრაციის თეორიისა. შემდეგ რედაქტორობს ბაქუნინის თხზულებათა კრებულს (1915 წ.). მონაწილეობს ანარქისტთა გამოსვლაში („16-ის დეკლარაცია“) ციმერვალდის კონფერენციის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ანტიგერმანულ პოლიტიკაზე იდგა; 1917 — 1921 წწ. კვლავ საქართველოში ცხოვრობდა. 1925 წ. გარდაიცვალა. დასაფლავებულ იქნა ლონდონს.

კრაპოტკინის ალტაცება, ნაკარნახევი იყო მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წმინდა პარტიული, კლასობრივი ინტერესებით და მას საერთო არაფერი აქვს კეშმარიტებასთან.

სულ მალე, სახელდობრ 1900 წელს ვ. ჩერქეზიშვილი უკვე საჭიროდ სთვლის ქართულ პრესაშიაც გამოვიდეს მარქსიზმის წინააღმდეგ. ვაზ. „ივერიაში“ ვ. მარველის ფსევდონიმით იგი აქვეყნებს ფელეტონებს¹⁾ („ბელგიაში მოგზაურობა“), სადაც, ჩვეულებრივ ცილისმწამებლური ბრალდებებითა და ცრუმეცნიერული არგუმენტებით ილაშქრებს კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის წინააღმდეგ.

მესამე დასის უმრავლესობის ორგანოს „კვალის“ რედაქციას მარქსიზმის ასეთი საყოველთაოდ ცნობილი მტრის წინააღმდეგ შესაბამელად სცენაზე გამოჰყავს თვით ვ. პლეხანოვი, რომელიც იყო უდიდესი ავტორიტეტი „მარქსიზმის საერთაშორისო ლიტერატურაში“²⁾ ვ. პლეხანოვი, რომელიც, როგორც სჩანს, ისედაც თვალს ადევნებდა ქართულ პუბლიცისტიკას, სპეციალურ სტატიებს სწერს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ვ. ჩერქეზიშვილის ფელეტონების საპასუხოდ. ვ. პლეხანოვის ეს სტატიები—როგორც ჰქვხს, ისე არა სწევის³⁾—პირველად გამოქვეყნდა ქართულად „კვალის“ ფურცლებზე.

ამგვარად, თვით 1900-იანი წლების გარიჟრაჟზე ქართული საზოგადოებრივობა და პუბლიცისტიკა იმდენად დაწინაურებულია, რომ იგი სრულის პრეტენზიით გამოდის მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე და თანაც იმდენად მძლავრი მაჯისცემით, რომ აქ აქტიურ რეზონანსს ჰპოულობენ საერთაშორისო პუბლიცისტიკის უახლესი და უმწვავესი პრობლემები.

ქართული ცხოველმყოფელი სინამდვილე უკვე იმდენად შეეზარდა მსოფლიო საზოგადოებრივ ცხოვრებას, ქართული ბეჭდვითი სიტყვა იმდენად გადაეხლართა საერთაშორისო პრესის კოლიზიებს და გადმოიზიდა თავისკენ მისი მწვერვალები, რომ აქ, უშუალოდ თვით ქართული ქურონალ-გაზეთების ფურცლებზე, აუცილებელი შეიქნა ერთმანეთს დასჯახებოდნენ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყო ვ. პლეხანოვი, ხოლო მარქსიზმის მტერთა ბანაკში—ვ. ჩერქეზიშვილი.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში (1905—1907 წწ.) ვ. ჩერქეზიშვილი უკვე თვით ჩამოდის თბილისში, რათა აქ, რუსეთის რევოლუციისა და, მაშასადამე, მარქსისტული მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში, გაეჩაღებინა ანარქისტული პროპაგანდა-აგიტაცია.

მაგრამ სწორედ აქ, თავის სამშობლოში, მისთვის საცხებით მოულოდნელად, დასაჯ. ევროპულ პუბლიცისტიკაში ფრთებშესხმული და გალალბული ვ. ჩერქეზიშვილი ახლა პირისპირ უნდა დასჯახებოდა რევოლუციური მარქსიზმის ციხე-სიმაგრეს, რომელიც ფოლადის ურყევ ბურჯზე იყო აღმართული.

ამიერ-კავკასიელი ბოლშევიკები, ლენინური ხაზის მტკიცედ გამტარებლები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეუდრეველ ბრძოლას აწარმოებდნენ როგორც ყოველგვარი ანტიმარქსისტული და ნაციონალისტური მარტიების, ისე კერძოდ ანარქისტების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, მაგალითად,

¹⁾ „ივერია“, 1900, №№ 200, 247, 248, 258.

²⁾ В. Ленин—Сочинения, XXVI, 135.

ის დიდი დისკუსია, რომელიც „ჩატარდა თბილისში ანარქისტ-კრებულების — კ. გოგელიას და მ. წერეთლის წინააღმდეგ, რაც ბოლშევიკთა კრული გამარჯვებით დასრულდა.“¹⁾ კერძოდ, ქიათურაში 1905 წელს ტინგზე ანარქისტების წინააღმდეგ გამოსული სტალინის შესახებ თავის მოგონებაში ბ. კეკელიძე სწერს: „იწყება მიტინგი. პირველი გამოდის კობა, გაჩაღდა დიდი კამათი... მაშინ, როცა ყოველი მოწინააღმდეგე ილანძღებოდა და „ღორბლს ჰყრიდა“, აზ. კობა დინჯად და შეურყევლად არღვევდა და აცამტვერებდა მოწინააღმდეგეთა ყველა დებულებას.“²⁾

მაგრამ გარდა სიტყვიერი აგიტაციისა, ანარქისტები ვ. ჩერქეზიშვილი და მის მიერ ჯერ კიდევ ევროპაშივე დარაზმული მისი მოწაფეები კ. გოგელია,³⁾ შ. გოგელია, მ. წერეთელი, ბლომად ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ ანარქისტულ ლიტერატურას. აუცილებელი იყო ამ მხრივადაც ბრძოლა და საბოლოო ანგარიშის გასწორება ანარქისტებთან. და აი სტალინი აქვეყნებს, სხვათა შორის, თავის შრომას „ანარხიზმი თუ სოციალიზმი“ (1906 — 1907 წწ.).

სტალითა სერიის სახით გამოქვეყნებულს ამ შრომაში სტალინი, გარდა იმისა, რომ ანეითარებს საერთოდ დიალექტიკურ მატერიალიზმზე მარქსისტულ მოძღვრებას და იძლევა პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს, იმავე დროს საგვებით აცამტვერებს ანარქისტების „თეორიულ ვარჯიშობათ“, უდიდესი დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ „...მარქსიზმი და ანარხიზმი სრულიად სხვადასხვა პრინციპებზეა აშენებული“. სასაცილოდ იგდებს ანარქისტების „ფილოსოფიურ მსჯელობათ“, სადაც ისინი ამტკიცებენ თავიანთს მატერიალიზტობას, და ნათელ-ჰყოფს, რომ ანარქისტებივით „ფიქრობდნენ მხოლოდ ვულგარული მატერიალისტები (მაგ., ბიუზნერი და მოლეშოტი), რომლებიც ძირიანად ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს“; აშკარაავენს საერთოდ ანარქიზმის ნამდვილ, ე. ი. მუშათა კლასისათვის მავნებლურ და მტრულ ბუნებას.

ამგვარად, ამხანაგ სტალინის მიერ აქ, საქართველოს სინამდვილეში, ანარქიზმის ზემოხსენებულ წარმომადგენელთა მოღვაწეობის ყოველმხრივი დამარცხება წარმოადგენდა იმავე დროს უდიდეს განმანადგურებელ დარტყმას საერთაშორისო ანარქიზმზედაც.

¹⁾ ლ. პ. ბერია, დანახ. თხზ. 52.

²⁾ იქვე, 53.

³⁾ კ. გოგელია (ორგანი) 1897 წლიდან სწავლობდა საფრანგეთსა (ნანსა) და შვეიცარიაში (ლოზანაში, ვენეციაში). 1903 წლიდან უკვე რედაქტორობდა ვენეციაში ანარქისტულ ორგანოს — „Хлеб и Воля“-ს — რომელშიაც თანამშრომლობდნენ პ. კრაპოტკინი, ვ. ჩერჩიშვილი, ლუიჯი ბერტონი და სხვა ცნობილი ანარქისტები. ამ დროიდან ორგანი ცნობილად უბდება აღმოფთვება მისი ლიტერატურული გამოსვლების გამო. 1905 წლიდან საქართველოშია და აქ რედაქტორობს „ნობათს“ და „მუშას“, სცემს თავის ძმა შალვასთან ერთად ბროშურებს. 1907 წლის შემდეგ კვლავ შვეიცარიაში და საფრანგეთშია. პარიზში დრანგულად იბეჭდება მისი ნაშრომები. ხშირად „მოხუცებთანაც“ (პ. კრაპოტკინი, ვ. ჩერჩიშვილი) არის ლონდონში. 1915 წ. პარიზში, როგორც „პორაფენეცს“ აპატიმრებენ და „Sante“-ში ზის. შემდეგ კვლავ შვეიცარიაშია. 1917 — 1919 წ. რუსეთში იყო. 1921 წ. საქართველოში ჩამოდის. იმავე წელს გარდაიცვალა.

საერთოდ იმ პერიოდში აქ ამხანაგი სტალინი ბრწყინვალედ იცავს და გენიალურად ანვითარებს რევოლუციურ მარქსიზმს, ასაბუთებს უფრო მეტად რევოლუციის ლენინურ თეორიას, დაუნდობლად ებრძვის რამდენიმე მკაცრ ანარქისტულ და ყოველგვარ სხვა ანტიმარქსისტულ პარტიებსა და ოღეოლოგიას.

დიდი სტალინის მიერ ქართულ საზოგადოებრივობასა და ეურნალისტიკაში მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ შეუწელებელი ბრძოლის პროცესში დარაზმულმა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასმა ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა რუსეთის სახელოვანი პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. სტალინის მიერ ამიერ-კავკასიის ხალხებში დანერგილი ეროვნული მეგობრობა დღეს განსაკუთრებული სიმღიერით მელაენდება პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი სამამულო ომის პირობებში.

1943 წ. მისი.

პროფ. შალვა ნუცუბიძე

განათლება და საგანმანათლებლო იდეები ქართულ ჩინესანსში *

განათლებისა და ცოდნის მოცულობა ქართული კულტურის მოღვაწეებისა XI—XII ს-ში პირდაპირ უკავშირდება საკითხს განათლების სისტემისა და ცენტრების შესახებ ამავე პერიოდის საქართველოში. გარკვეული თემატიკის თვალსაზრისით იგივე პრობლემა შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც განათლების სისტემისა და ცენტრების საკითხი ქართულ ჩინესანსში. საკითხის ასეთი დაფორმება ბუნებრივად უკავშირდება განათლების ცენტრებისა და სისტემის საკითხს მეზობელ—აღმოსავლურ და დასავლურ—განსაკუთრებით ბიზანტიურ—საგანმანათლებლო სინამდვილისა. დამოუკიდებელი ამისაგან მთავარია გაირკვეს: 1. რა მოცულობისა და ხასიათისაა ცოდნა XI—XII ს. მოღვაწეთა; 2. აკმაყოფილებს თუ არა იგი ჩინესანის პერიოდისათვის დამახასიათებელ ოდენობას ცოდნისა; 3. თუ ასეა, არის ეს ცოდნა უცხოურ პირობათა მეოხებით მოწოდებული თუ თვით იმდროინდელ საქართველოში შექმნილი და 4. განათლების რა სისტემისა და რომელ ცენტრებს ემყარებოდა იგი?

ასეთთა საძიებელი პრობლემის ნათელსაყოფად აუცილებელი საკითხებია. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ქართული ჩინესანის პრობლემისათვის. მართლაც, თუნდაც დავრწმუნდეთ, რომ ქართველ მოღვაწეთა ცოდნისა და განათლების დონე მაღალი იყო, ეს კიდევ არაფერია ქართული ჩინესანის პრობლემისათვის, თუ არ გაირკვეა, რომ ასეთი ცოდნის შესაძენი პირობები თვით საქართველოში არსებობდნენ. ქართველი საზოგადოების გარკვეული წრეების განათლების შესახებ ხშირად გამოთქმულა მეცნიერებაში დამადასტურებელი აზრები, მაგრამ თვით ამ განათლების მოცულობისა და ხასიათის შესახებ მეტად თუ ნაკლებად ზედმწიფებითი გამოკვლევა თითქმის აქამდე განუხორციელებელია.¹⁾

ამას ფარდა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საგანმანათლებლო იდეოლოგიური ვითარება ყოველგან, სადაც ჩინესანის ირგვლივ მოძრაობა გაცხოველებულა, წინააღმდეგობისა და ერთგვარი, ხშირად მწვავე, ბრძოლის ნიშნის

* წაკითხულია პედაგოგ. მეცნიერებათა ინსტიტუტში.

¹⁾ აკადემიკოსი ნ. მარი ლაპარაკობს „XII ს. ქართული საზოგადოების მაღალი და შავალმზრავი განათლების შესახებ“ (იხ. Труды и разыскания по А.-Г. Фил., IV, гл. 49, СПб, 1902 წ.).

განათლების შესახებ აღრიცხულ საქართველოში სწერს აგრეთვე აკად. კ. კეკელიძე („ქართ. ლიტ. ისტ.“, ტ. II, შესავალი. თბილისი, 1941 წ.).

ქვეშ დამდგარა. თუ ეს ხდებოდა ყველგან აღმოსავლეთსა და დასავლეთში, თუ რენესანსის ეპოქის განათლება ყოველთვის მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის ატმოსფეროში ვითარდებოდა, უნდა ველოდეთ, რომ საქართველოშიაც ასეთს მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი.

ისტორიული სინამდვილე მართლაც ამ ხაზით მიდის როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ უკანასკნელის ქვეშ ჩვენი, ქართული საზოგადოება, ცხადია, მომეტებულად ბიზანტია იგულისხმება, თუმცა იგივე კანონზომიერება იტალიური რენესანსის საგანმანათლებლო იდეოლოგიურ პროცესშიც სრულიად ნათელია.

სქემატურად აღებული აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ვითარებაში სურათი შემდეგნაირად წარმოსდგება: ანტიკურობის მომდევნო ხანაში ადგილი აქვს მის გავლენას, რომელთანაც შეგუების გზებს უძებს დოგმატიზირების გზაზე დამდგარი კონფესიონალური ნაკადი, განურჩევლად იმისა, იქნება ეს ქრისტიანობა, ებრაიზმი თუ მამალიანობა. ადგილისა და დროის პირობების მიხედვით თითოეულ შემთხვევაში შეგუების ასეთი პროცესი თავისებურია. კერძოდ, ქრისტიანული და ანტიკური იდეოლოგიის ურთიერთობა განსხვავდება აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მიუხედავად პატრისტიკული და ერეტიკული ელემენტების გავლენისა, რომელიც დაგვარია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არსებითად დასავლეთი ეკლემტიკურ გზას არჩევს, ანტიკურ ძეგლების უშუალო ცოდნას სცილდება და კომპენდიებისა, ე. ი. ზოგადი მიმოხილვებისა და ფრაგმენტების ნიადაგზე რჩება. ავეუსტინე და ბოეთისი ამ მხრივ დამახასიათებელი არიან დასავლეთისათვის, თუმცა მათი როლის შეფასებაში ხანდისხან ფრიალ აჟარბებენ დასავლეთის მეცნიერებაში. მაგ., ავეუსტინეს შესახებ გერმანელი მეცნიერი მარტინ გრაბმანი, ზოლო ბოეთისის შესახებ ინგლისელი მეცნიერი ჰენრი ჰალეში, ნელსონი და სხვ.¹⁾

აღმოსავლეთს, ბიზანტიის ჩართვით, ანტიკური კულტურის მემკვიდრეობასთან უფრო უშუალო კავშირი აქვს. ამ მხრივ ბერძნული ენის კულტურულ სფეროზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ IX ს-მდე თვით ბერძნულ ანტიკურ ძეგლებისადმი ინტერესი არ განახლებულა და ამ ეპოქის დასაწყისად ფოტოისის მოღვაწეობა ითვლება. მაგრამ ეს ასეა, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ანტიკური ფილოსოფიის ძეგლების ისევე ხმარებაში შემოღება. თუ მხედველობაში მივიღებთ ანტიკური მემკვიდრეობის შეთვისებასა და გადაიშუაებას, მაშინ როგორც მთლიანად აღმოსავლეთის, ისე კერძოდ საქართველოს განათლებისა და აზროვნების განვითარება უფრო სხვა გვარად წარმოსდგება.

ამ საკითხის გაშუქებისათვის ფრიალ საინტერესოა დასავლეთის ბურჟუაზიული მეცნიერების ცალმხრივობისა და ზერელობის ნათელყოფა ისეთ შემთხვევაშიაც კი, როდესაც თითქოს ეს მეცნიერება აღმოსავლურ და დასავლურ რენესანსს შორის ერთგვარ კავშირს მაინც ხედავს და ამ კავშირის დასაბუთებას ლაპობს. ამ მხრივ სანიმუშოა გერმანელი მეცნიერის ლუდვიგ შტაინის შემცდარი პოზიცია. ის ცდილობს დააკავშიროს ერთი მეორესთან ისეთი კულტურული საგანმანათლებლო ცენტრები, როგორც იყო IX ს.

¹⁾ Martin Graubmann, Geistesleben des Mittelalters, München, 1935, II, 23—34

აღმოსავლეთში ბაღდადი და დასავლეთში პარიზი, ხოლო ორივემ ცენტრებში ბიზანტიასთან. აქ ის ზედაეს ახალი, რენესანსის შემამზადებელი საწყისი.

დასახელებული ავტორის ზერელობისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ყურადღებას აქცევს არა იდეათა და შეხედულებათა განვითარებას, არამედ მათს გარეგნულ გამოხატულებას, მწიგნობრულ-ორიგინალურს თუ თარგმნითს მოღვაწეობას. მისთვის მნიშვნელობა აქვს ბაღდადში წარმოებულ თარგმნელობითს მოღვაწეობას სირიულიდან არაბულ ენაზე, რომელსაც IX ს-ში ეწეოდა ჰონაინ-ბენ-ისხაკ. ამის პარალელს ის ხედავს პარიზში წარმოებულ მოღვაწეობაში, სადაც იოანე ერიუგენამ სთარგმნა ე. წ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის წიგნები და მათ ნიადაგზე დასწერა თავისი ცნობილი წიგნი „განაწიერებისათვის ბუნებისა“ (De divisione naturae). ორივე აღნიშნულ მოვლენას ავტორი აკავშირებს ფოტიოსის მიერ პლატონის წიგნების ხშირებაში შემოღებასთან ბიზანტიაში. თავის მსჯელობას ამ საკითხზე ლ. შტაინი აბოლოვეს შემდეგი დასკვნით: „ურყევია დებულება, რომ ფოტიოსი კონსტანტინეპოლში, იოანე სკოტ ერიუგენა პარიზში, ალ კენდი და ჰონაინი ბაღდადში თითქმის ერთსა და იმავე დროს სამივენი კულტურული განვითარების ხაზით ახალ ეპოქას განამტკიცებდნენ.“¹⁾

მრავალ ცალკეულ დეფექტს რომ თავი დაეანებოთ, აღნიშნული მსჯელობა ზერელობის გამო ერთი მეორეში ურევს სხვადასხვა მოვლენას, რომელთაც როგორც განათლების თვალსაზრისით, ისე ისტორიულ-კულტურულად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. მაგ., ერიუგენას მოღვაწეობა ემსახურება ე. წ. ფსევდო-არეოპაგელის ნააზრევის დასავლეთში შეტანის საქმეს. ამდენად იგი ენათესავება არა ფოტიოსის მოღვაწეობას (IX ს-ნე), არამედ მაქსიმე კონფესორისა, რომელმაც ბიზანტიაში შეიტანა არეოპაგისტული იდეები ჯერ კიდევ VII ს-ში.

შტაინს, ისევე, როგორც სხვებს, შორეული წარმოდგენაც-ვი არა აქვთ ქართული განათლების შესახებ საძიებელ პერიოდში. მაგრამ აღნიშნულ ვითარებაში ერთია ყურადღების ღირსი: საშუალო საუკუნეების ბოლო ხანებში ახალი ეპოქის შემქმნელთა ინტერესი უკავშირდება ზუსტ მეცნიერებათა ზოგი დარგის განვითარებასა და ანტიკური ფილოსოფიის ისეთ მემკვიდრეობას, რომელიც ერთგვარად ოპოზიციური განწყობის მატარებელია ოფიციალურ შეხედულებათა წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა ახასიათებს აღმოსავლეთში, მაგ., ბაღდადის აკადემიას, შემდგომ ქართული საგანმანათლებლო ცენტრებს, ხოლო ბიზანტიაში—კონსტანტინეპოლის („მანგანის“) აკადემიას, დასასრულ იტალიაში—ფლორენციის აკადემიას.

პრერენესანსის და რენესანსის პერიოდის განათლებისა და საგანმანათლებლო იდეების კვლევისათვის საერთოდ საჭიროა დასახელებულ ცენტრებში არსებული იდეური ვითარების შედარებითი ანალიზი. ჩვეულებრივი სქემა განვითარების ამ ხაზისა ასეთია: V საუკუნის მიჯნაზე ევროპაში სწყდება ანტიკური კულტურის უშუალო გავლენა (იგულისხმება ანტიკური ფილოსოფიის სწავლების აკრძალვა ათენში 529 კეისარ იუსტინიანეს მიერ). IX საუკუნიდან განახლდება ანტიკურობის შესწავლა არაბთა საგანმანათლებლო ცენტრებში—ბაღდადსა, ბასრასა და სხვაგან, რაც ევროპაშიაც ვრცელდებ-

¹⁾ Archiv f. Geschichte d. Phil. B., VII, Berlin, 1894, გვ. 358.

ბა მომდევნო პერიოდში და ხელს უწყობს რენესანსის იდეოლოგიურ შემზადებას.

ეს სტეპა ამარტივებს საკითხს. იგი პირველად შეიღობა რენესანსის იდეოლოგიური „ცენტრისტული“ გაგებისა. აქედან გამომდინარეობს რთული პროცესი აღმოსავლური საგანმანათლებლო-იდეური მოძრაობისა. გამოდის, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში, — V-დან IX-დე, კაცობრიობის აზროვნება შეწყვეტილი იყო. ცხადია, ასე არ იყო. დასავლეთის მეცნიერებებს გამოეპარა ფაქტი ანტიკური ფილოსოფიის შემკვიდრების განვითარებისა, რასაც ადგილ ჰქონდა აღმოსავლეთში, კერძოდ სირიაში, სადაც შემუშავებულ იქნა ე. წ. არეომაგიტიკა. ეს უკანასკნელი საფუძველად დაედო მოწინავე, ოფიციალური დოგმატიკის საწინააღმდეგოდ მიმართულ აზროვნებას როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.¹⁾

XI — XII საუკუნეთა მიჯნაზე, როცა საფუძველი ეყრება ახალ ეკონომიურ და საზოგადოებრივ ვითარებას საქართველოში, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, უარესად ხელსაყრელი პირობები იქმნება კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და განვითარებისათვის. იმ დროს საქართველოს თავისი საზღვრების გარეთ გააჩნდა კულტურული მუშაობის ცენტრები. მათ შორის ათონის კერას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ექვთიმე ივერი და გიორგი მთაწმინდელი ამ კერასთან იყვნენ დაკავშირებული. ისტორიული წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელი უცხოეთში — ბიზანტიაში გზავნიდა ახალ-გაზრდობას განსასწავლად. ეს ჯერ ის დროა, როცა საქართველოს უმაღლესი რენესანსულ განათლების საკუთარი ცენტრი არ გააჩნდა. საქართველოს, ყველა მონაცემის მიხედვით, უმაღლესი განათლების ადრინდელი ცენტრი ანტიკურობის მიწურულშია ჰქონია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღმოსავლეთში, ბაღდადასა და ბასრაში, უკვე IX ს-ში არსებობდნენ აკადემიები, ბიზანტიაში — XI საუკუნის თითქმის ნახევრიდან, ხოლო ფლორენციაში — XV საუკუნიდან, აშკარა გახდება, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თითქმის თანმიმდევროდ მიდიოდა ზოლი უმაღლესი განათლების ტალღისა.

მართალია, საქართველოში აკადემიის დაარსებას ბიზანტიის („მანგანის“) აკადემიასთან შედარებით თითქმის ნახევარი საუკუნე დაგვიანდა, მაგრამ თუ გათვალისწინებული იქნება, რომ ბიზანტიას უფრო ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიური პირობები ჰქონდა, ხოლო საქართველოს აღნიშნულ პერიოდამდე უარესად რთული საგარეო და განუვითარებელი შინაური მდგომარეობა აბასიათებდა, აღნიშნულ დაგვიანებას აზრი დაეკარგება. შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოს არა ჰქონდა საშუალება უფრო ადრე შეექმნა თავის საკუთარ ფარგლებში და უზრუნველყო უმაღლესი განათლების ცენტრები.

მიუხედავად ამისა, არ იყო საეაღდებულო განათლების ტალღა წასულიყო ხაზით: ბაღდადი, გელათი, კონსტანტინეპოლი, ფლორენცია. ასეთ სწორზოვნობას ბევრი რამ უშლიდა ხელს. თუ ამ ხაზის ქვეშ უნდა იგულისხმე-

¹⁾ Ш. Нуцубидзе — Восточный ренессанс, ИЗ. АКН., 1941 г., № 8.

ბოდეს როგორც ქრონოლოგიური ურთიერთობა, ისე არსებითი წყობითი, სწავლენა, მაშინ ზოგი რამ დამატებით გარკვევას საჭიროებს.

ჯერ ერთი, როცა საქართველოში აკადემია დაარსდა, ე. ი. X^ს საუკუნეში დადის აკადემიას უკვე დასრულებული ჰქონდა თავისი საქმიანობა. თავდაპირველად იგი მომეტებულად თარგმნითი მოღვაწეობის ცენტრი იყო, რაც ჯერ კიდევ ხალიფა ჰარუნ-ალ-რაშიდის (გარდ. 809) დროს დაიწყო, ხოლო უმაღლეს წერტილს ალ-მაიმუნის დროს (გარდ. 843) მიაღწია.¹⁾

ამ ოთხ სახელდახელოდ აღებულ საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრს შორის ორი აღმოსავლეთს ეკუთვნის, ერთი ბიზანტიას, როგორც უშუამავალს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შორის, ხოლო ერთი — ფლორენციისა — სავსებით დასავლეთს. მიუხედავად დროისა და სოციალ-კულტურული გარემოს სხვაობისა, ოთხივე სანიმუშოდ აღებული წერტი მსოფლიო კულტურისა ერთსა და იმავე სააზროვნო სიტუაციას შეიცავს. დამოუკიდებლად ამისა, რომ ოთხივე აკადემიის შესახებ ერთნაირი ღირსების მქონე ცნობები არა გვაქვს, მაინც ეს ძირითადი სიტუაცია ერთია ყველა დასახელებულ შემთხვევაში. პოზიტიური და მათემატიკური ცოდნის ერთგვარ განვითარებასთან ერთად, ყველგან ვითარდება ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა, რომელიც შეჯამებულ იქნა ნეოპლატონისტურ ფილოსოფიაში და რომელიც ახალი, ანტიკურის მომდევნო კულტურის მიერ განვითარებულ იქნა ე. წ. არეოპაგისტულ წიგნებში.

არეოპაგისტული გადაშენება ანტიკური მემკვიდრეობისა თავმოყრილ იქნა წიგნში „მიზეზთა შესახებ“ (Liber de causis). ეს წიგნი გაჩნდა IX ს-ის დასაწყისში არაბულ ენაზე და მეცნიერებას დიდხანს მიაჩნდა იგი საზოგადოდ არაბულად დაწერილ ვინმე არაბ ქრისტიანის მიერ²⁾. ეს შეხედულება შეცდომაა, რადგან აღნიშნული წიგნი უკანასკნელ დიდ ნეოპლატონიკოსის პროკლეს თხზულების „კავშირნი თეოლოგიურნი“-ს თარგმანებაა ამ ცნების იმ გაგებით, როგორც ეს ძველ ქართველ მწიგნობართ ესმოდათ. მთელი სააზროვნო მიმდინარეობანი არაბულად ცნობილ კულტურისა აღნიშნული წიგნის ნიშნის ქვეშ დგანან. ალ-ქეაღდი, ალ-ფარაბი და ბოლოს ავიცენა (აბუ-ალი-იბნ-სინა), — არაბული აზროვნებისა და განათლების სამივე ეს ბურჯი ამ გზით მიდიან. ანტიკური ნააზრევის ნეოპლატონისტური შეჯამების გამოყენება აღმოსავლეთშიაც ისეთსავე საოპოზიციო განწყობილებას ჰქმნის ისლამის დოგმატიკის წინააღმდეგ, როგორც დასავლეთში საქრისტიანო სქოლასტიკის წინააღმდეგ. ეს აზრი საკმოდ ცნობილია მეცნიერებაში. ჰაინრიხ შტაინერი თავის გამოკვლევაში „მეთაზილიტები ანუ თავისუფალი მოაზროვნენი ისლამში“³⁾ სამართლიანად აღნიშნავს ამ ფაქტს. ავიცენა ანუ, უფრო სწორად, იბნ-სინა ისლამისტური აზროვნების ამ საფეხურის საუკეთესო გამომატველია: შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აღმოსავლურ აზროვნებაში, რენესანსის იდეოლოგიური შემზადების თვალსაზრისით, ავიცენა უმაღლესი საფეხურია. მის შემდეგ მარჯვნივ დერევიშული

¹⁾ შესაძლოა სიმართლეს არ იყოს მოკლებული ბრძენ აბულ-ფარაბის ცნობა, რომ აღნიშნულმა გამოთხოვა ბიზანტიიდან ხმარებიდან ამოღებული ყველა ბერძნული ფილოსოფიური წიგნი (იხ. Wenrick De Autorum grecorum, Leipzig, 1842, გვ. 160).

²⁾ ასეთი აზრი გამოთქმული აქვს არაბულ აზროვნების ისტორიკოსს Hortens — Philo-d. Islam.

³⁾ H. Steiner, Mutaziliten u. Freidenker in Islam. წინასიტყვაობა, VII. Leipzig, 1865 წ.

მისტიკა მიდის ალ-ჰაზალის მეთაურობით და მარცხნივ ავეროღის ანუ იბნ-როშდის მოძღვრებით, რაც ფაქტიურად ავიცენას იდეების განმეორება იყო ცოტა უფრო ზომიერ ფორმებში.

XI—XII საუკუნეების ქართული განათლები ერთ-ერთი სახელდობრ აღმოსავლური გავლენის კომპონენტი, ამ საბით, გამოკვეულია. ავიცენას მისტიკურ-ერეტიკულმა განწყობამ განსაზღვრა ირანული პოეზია, რომელიც ძალიან მჭიდრო დამოკიდებულებაში იყო ახლად გაღვიძებულ ქართულ პოეზიასთან¹⁾. ეს დამოკიდებულება დღეს აღარ შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ, როგორც XIX—XX ს-ბის მიჯნაზე ეგონათ. ქართულ და ირანულ პოეზიაში XI—XII ს. ს. ურთიერთშემოქმედებას ჰქონდა ადგილი და არა ცალმხრივ გავლენას. აქ იგივე ხდებოდა, რაც საგანმანათლებლო კულტურულ სფეროში.

თავის გამოკველევაში ნიზამის შესახებ საკავშირო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ბერტელსი სამართლიანად აღნიშნავს ასეთ სააზროვნო-საგანმანათლებლო ურთიერთობას საქართველოსა და შირვანს შორის. როგორც ისტორიიდან ცნობილია, ნიზამის დროს, ე. ი. XII ს-ის შუა ხანებში, შირვანს საქართველოს პროტექტორატის ქვეშ იყო. მემატინანს გადმოცემით, საქართველო შირვანს შეჰპირდა „ხელისაძყრობასა“. აღნიშნული გავლენა ამ შემთხვევაში, სჩანს, მარტო პოლიტიკური სფეროთი არ განისაზღვრებოდა და შესაძლებელია ბერტელსი თავის დაკვირვებაში სავსებით მართალი იყოს.

იმავე მდგომარეობას ადასტურებს ლიტერატურის განვითარება. დღეს, მეცნიერებას უკვე აქვს საშუალება მსჯელობა იქონიოს აღმოსავლეთის რენესანსზე, როგორც ერთ მთლიან პროცესზე რომლის წიაღში იშლება დამოკიდებულება არა ირანული პოეზიის ქართულზე ცალმხრივი გავლენისა, როგორც ეს, მაგალითად, აკადემიკოსს ნ. მარჩს ესახებოდა, არამედ როგორც ორმხრივი ზემოქმედება. ამ უკანასკნელს განვითარების ისეთი ტენდენცია ემჩნევა, რომელიც განვითარებას საფეხურებად წარმოგვიდგენს, სადაც საქართველოს კულტურას დამამთავრებელი ხასიათი ენიჭება.²⁾

თუ ასეა, მაშინ აშკარა ხდება, რომ საქართველოს საგანმანათლებლო განვითარებას XI—XII ს-ბში აღმოსავლეთთან უეჭველი შეხება ჰქონდა, მაგრამ ამით სრული დამოკიდებულება საქართველოსი აღმოსავლურ კულტურისაგან არ დამყარებულა და ვერც დამყარდებოდა. მართალია, ზოგიერთი ზუსტი ანუ პოზიტიური ცოდნა აღმოსავლეთიდან შემოდითა. მაგ., მათემატიკური ცოდნა, როგორც იმ დროის ზოგიერთ საფილოსოფიო ძეგლიდანა სჩანს, შეიძლება აღმოსავლური გზით იყოს შემოსული. ასეთივეა ასტრონომია და მასთან დაკავშირებული ობსერვატორიები, თბილისსა და გელათის აკადემიასთან რომ არსებობდნენ: იქნებ ეს დაწესებულებებიც აღმოსავლეთიდან იყვნენ შემოტანილნი, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მათი ხელმძღვანელები თავდაპირველად უცხოელები, კერძოდ, არაბები იყვნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ცოდნის ისეთი პოზიტიური დარგი, როგორიც იყო მცენარეთ მკვლევარება ანუ ბოტანიკა, ვრცელდებოდა საქართველოში ისეთივე დაკავშირებით მკურნალობასთან, როგორც, მაგ., არაბეთში, სადაც არა თუ ბოტანიკა და სხვა სამეცნიერო სამეცნიერო დარგი, არამედ თვით ფილოსოფიაც კი მედიცინის მფარველობის ქვეშ ვითარდებოდა. საქართველოში შემოსული უძვე-

¹⁾ იხ. ამის შესახებ ჩაბრუბაძის რუსული თარგმანი, შესავალი.

²⁾ იხ. ამ საკითხზე ჩვენი შესავალი შეთვლისა და ჩაბრუბაძის რუსულ გამოცემებისა.

ლესი კარაბადინი და „წიგნი სააქიმოა“ აღნიშნული გარემოების დამადასტურებელია.

აღნიშნული ფაქტები არა სცვლიან ძირითად ვითარებას: ქვეყნის ტურა და, კერძოდ, განათლება განაგრძობდნენ რენესანსის პერიოდში თავიანთი დიდი წარსულის ტრადიციას. აღმოსავლეთის მოწინავე იდეები — ისლამის ერეტიკული ოპოზიცია, ისევე როგორც ქრისტიანობის ასეთივე „რევოლუციური ოპოზიცია“, ქართული აზროვნების შედეგებით იყო განმტკიცებული და მასზე აგებულნი. ამიტომაც გარედან შემოსულ ზოგ საგანმანათლებლო ელემენტს, რა დიდი მნიშვნელობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქართული განათლება ადვილად ითვისებდა და გადაამუშავებდა. ამიტომაც აღმოსავლეთთან საქართველოს ურთიერთზემოქმედების დამოკიდებულება ჰქონდა. ხოლო იმ მომენტისათვის, რომელიც რენესანსის თვალსაზრისით გადაწყვეტი იყო, საქართველო, ბერტელსის თქმისა არ იყოს, მეტს აწვდიდა, ვიდრე სესხულობდა. აქედან ისიც ნათელია, რომ თუ საქართველოს რენესანსული მოძრაობის დასაბამში შეეძლო დახმარება გაეწია აღმოსავლეთ მეზობლებისათვის, ცხადია, მას შეეძლებოდა თავისი საკუთარი კერა ჰქონოდა რენესანსის იდეოლოგიურად მომზადებისათვის.

განათლებისა და კულტურის ასეთი კერა საქართველოს გააჩნდა კიდევ — გელათის აკადემია, რომელიც დააარსა დავით აღმაშენებელმა XII ს-ის დასაწყისში. მის შესახებ ცოტა ცნობა მოიპოვება, მაგრამ იმ სიტუაციის მიხედვით, რომელშიაც საქართველოს ეს სასწავლო-საკვლევო დაწესებულება მოქმედებდა, ნათელი ხდება მისი დაარსების პირობები და მიზანი. ცხადია, რომ XII ს-ის დასაწყისში საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი აქვს. თვით ეს ფაქტი ბევრი რამეს მაჩვენებელია. ჯერ ერთი, ასეთი უმაღლესი სამეცნიერო კერას არსებობა საკირო ყოფილა მაშინდელ საქართველოში, რაც გარკვეულ კულტურულ გარემოს მოასწავებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ უმაღლესი განათლების ცენტრი საქართველოში უცხოური, სულ ერთია რომელი, გავლენით შეიქნა. ფლორენციის აკადემია, რომელიც, როგორც გელათის აკადემია საქართველოში, რენესანსის იდეოლოგიურ ცენტრად გადაიქცა, ბიზანტიელების გავლენის ქვეშ დაარსდა XV ს-ში, ე. ი გელათის აკადემიის დაარსების თითქმის სამი საუკუნის შემდეგ. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს მის მნიშვნელობას. ასეთივე ურთიერთდამოკიდებულება სხვა შემთხვევებშიც ყოფილა, მაგრამ ამას არ შეუმცირებია იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ უმაღლესი განათლების ცენტრების შექმნა ყოველთვის უკავშირდებოდა ადგილობრივ მომზადებულ და მომწიფებულ პირობებს.

ასეთივე სურათი იყო გელათის აკადემიის შექმნის დროს. როგორც აღინიშნა, ამ ფაქტს წინ უსწრებდა დავათის მიერ ახალგაზრდობის გაგზავნა უცხოეთში, განსაკუთრებით ბიზანტიაში. უეჭველია ამ საგანმანათლებლო პოლიტიკამ სათანადო ნაყოფი გამოიღო, და როცა გელათის აკადემიას მეცნიერულად, განსწავლული სათანადო ხელმძღვანელები დასჭირდა, ასეთი ხალხი უკვე მომზადებული აღმოჩნდა. ექვს გარეშეა, ისეთი პირები, როგორიც იყო იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე, ეზეკიელი და სხვები, გამოვიდნენ იმ ახალგაზრდათა წრიდან, რომლებიც დავათის საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით უცხოეთში იქნენ განსწავლულნი. მართალია, მათ, როგორც ქვემოთ დავანახავთ, თან შემოიტანეს საქართველოში ბიზანტიისათვის დამახასიათებელი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ურთე-

ერთობანი, მაგრამ ამასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურათა ცენტრად და მემკვიდრეობის თვალსაზრისით.

სჩანს, საქართველოს საგანმანათლებლო განვითარებაში XII საუკუნეში უკვე შეიქმნა პირობები, რომლებიც აუცილებელს ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. არ შეიძლება, რომ ეს ჩაედინათ დიდებულების ატრიბუტების შესაქმნელად. ქართული პოეზია XII ს., მართალია, მაღალი პათოსით გადმოგვცემს „ახალი რომის“ იდეასთან დაკავშირებით გელათისა და ელადის იგივეობის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში იოანე შავთელის ან, ჩვენის ნომენკლატურით, „შავთელ II-ის“ ცნობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი აძლიერებს მეორე დამამთხვევე ცნობას იმავე საგნის შესახებ. იოანე შავთელის ცნობა ემთხვევა მატთანეს ცნობას, რომ გელათის აკადემია დაარსებულ იქნა „ახლად ათინად“ და იმაზე მეტდაც. ისტორიკოსი არა მალავს, რომ გელათის აკადემიას მაღალი მიზნები ჰქონდა დასახული. შავთელ II-ის პოეტური კომპლექსი, სადაც გელათის აკადემია უკავშირდება „ახალი რომის“ იდეას, სავსებით ემთხვევა ისტორიკოსის თქმას „ახალი ათინის“ შესახებ. ათინა, როგორც მაშინ ამბობდნენ, ანუ ათენი — მეორე რომი უნდა ყოფილიყო თავისი იდეით პირველი რომის დამხობის შემდეგ. ქართული წყაროები არაფერს ამბობენ მესამე რომზე, რადგან ისინი ამჯობინებდნენ „ახალ ათინაზე“ ლაპარაკს, რაც „ახალ რომს“ უდრიდა. ქართული წყაროები „ახალ ათინას“ ეხებოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და არა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, რასაც ცხადჰყოფს ის, რომ ათინას თუ „ახალი რომის“ იდეა უკავშირდება გელათს, ამ უკანასკნელს უპირველესად ყოველისა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ახალი კულტურის ცენტრს.

ამრიგად, გელათის აკადემიას თანამედროვეობა, როგორც საისტორიო მწერლობის, ისე მხატვრული ლიტერატურის ხაზით, სთვლის არა ერთმართველობის გარეგნულ მოკავშულუბად, არამედ განიხილავს მას კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივებში, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ ქართული რენესანსის მოღვაწეთ კარგად ესმოდათ საქართველოს როლი, როგორც ბიზანტიაში დაწყებული საფილოსოფიო რენესანსის გამგრძელებლისა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოწმობა იმასაც ადასტურებს, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების კერა თანამედროვეთ არავითარ შემთხვევაში არ მიიხნდათ გარეგნულ და წარმავალ მოვლენად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მეორე გარემოებაც. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას ერთგვარი კონტიგენტი ესაჭიროებოდა. იქ, სადაც განათლების საქმე უმაღლეს სასწავლო დაწესებულების შექმნამდე მისულა, ყოველთვის იგულისხმებოდა, რომ განათლების სხვა საფეხურებიც უნდა არსებებულყვნენ. ქართული წყაროები ამ მხრივ ძალიან ცოტა ცნობას შეიცავენ. მნელია ისეთი ცნობებიდან, როგორიც მოიპოვება გ. ხუცესმონაზვნის მიერ შედგენილ გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერილობაში, რაიმე გარკვეული წარმოდგენის შემუშავება საქართველოში იმ დროს არსებული სასკოლო სისტემის შესახებ). ასევე უმნიშვნელო გამოდგა ზოგიერთი სათანამდებობო

1) იხ. ჩვენი შესავალი შავთელის რუსული გამოცემისა.

2) პროფ. ნ. ბერძენიშვილი შეეცადა ასეთი მასალის მოძებნას დასახლებულ ძეგლიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, მან უმნიშვნელო შედეგს მიიღწია. იხ. „კრებული“, გამოცემა პედაგოგ-მცნ. ინსტ.

სახელიდან არსებულ სასკოლო სისტემაზე შეხედულებათა შემუშავების ასე, მაგ., „შვიგნობართ-უხუცესის“ არავითარი კავშირი არა ჰქონდა ლეონის საქმესთან, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. ამ შედგენილების პირველი ნაწილი არ გულისხმობს შვიგნობრობას, დაკავშირებულს წიგნთან და, მაშასადამე, საგანმანათლებლო დარგთან, არამედ დამწერლობას, როგორც, ასე ესთქვათ, სათანადებო-საუწყებო მოვლენას. ამდენად „შვიგნობართ-უხუცესი“ ნიშნავდა სამდივნოს მეთაურობას და შემდეგ უფრო მაღალ და შეიძლება ხელმძღვანელ სახელმწიფო თანამდებობასაც.

ასეთივე მდგომარეობასთან უნდა გვექონდეს საქმე „მოძღვართ-მოძღვარი“-ს სახელწოდების გარჩევის დროს. ფიქრობდნენ, რომ აქ რაღაც მოძღვართა ზედამხედველობითი და ხელმძღვანელობითი დანიშნულებაზე უნდა ყოფილიყო თითქოს ლაპარაკი. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა აქ რაღაც სასწავლო-საგანმანათლებლო საქმის ხელმძღვანელობა დაგვეჩვენა. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინის თითქოს სხვა გაგებაც ისახება, რომელიც იმავე განათლების სფეროს ეკუთვნის. მაგრამ მოყვანალ გაგებას არ ეთანხმება ტერმინი „მოძღვართ-მოძღვარი“. თუ იგი პირდაპირ საეკლესიო-სამონასტრო სფეროს არ ეკუთვნოდა, უნდა წარმოებული იყოს ბერძნულ *μηχανιστής* ფასთაფასის დაგვარად. ე. ი. ფილოსოფოსთა ანუ ბრძენთა-ბრძენი ანუ მოძღვარი. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ეს სახელწოდება უფრო სამეცნიერო წოდებას უდრია, როგორც ეს ანალოგიურ შემთხვევაში მიღებული იყო ბიზანტიაში.

მაშასადამე, არც ერთი დასახელებული ტერმინი არ იძლევა საშუალებას რამდენადმე მაინც გაირკვეს იმ დროინდელი საქართველოს სასკოლო სისტემა. მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი უმაღლესი სასწავლებლის არსებობისა ნათელსკოფს, რომ აღუცილებლად უნდა ყოფილიყო დაბალი და საშუალო სკოლა, როგორც საფეხურები უმაღლესი სკოლისა. ამდენად, მეთოდი მაშინდელ საქართველოში სასკოლო სისტემაზე ერთგვარი წარმოდგენის შემუშავებისა აღნიშნული პირობების გამო იწყება არა ქვემოთან ზევით, არამედ, პირიქით, ზემოთან ქვევით.

როგორი უნდა ყოფილიყო მაშინდელი საქართველოს საშუალო სკოლა და რა უნდა შეესწავლათ ამ სკოლაში? ამ საკითხს განსაზღვრავს უმაღლესი სკოლის პროგრამა და მიზანი ძველ საქართველოში. პირდაპირი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ერთად-ერთი გზა, რომელიც ამ შემთხვევაში არის ჩვენს განკარგულებაში, არის შედარებითი მეთოდი და ცოტაოდენი დამატებითი არაპირდაპირი წყარო.

ამ მხრივ ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება სამ გარემოებას:

1. ქართველ სამეცნიერო მოღვაწეთა კავშირს უცხოეთის, კერძოდ, ბიზანტიის უმაღლეს სკოლასთან; 2. ასეთსავე კავშირს ქართულ სემინარიაზთან პეტრიწონში და 3. საქართველოს აკადემიის პედაგოგიური ხელმძღვანელის იოანე პეტრიწის პედაგოგიურ იდეებს, რომლებიც, უეჭველია, მის მიერ წარმოებულ საპედაგოგიო-სამეცნიერო პრაქტიკას უკავშირდებოდნენ.

პირველი საკითხი უკავშირდება განათლების საკითხს XI — XII ს-ში. მანგანის აკადემია კონსტანტინეპოლს დაარსდა XI ს-ში. იგი თანდათან გადაიქცა მთელი განათლების ცენტრად ბიზანტიაში. აღსანიშნავია, რომ იმავე დროს მანგანის აკადემია ბიზანტიის იდეოლოგიურ-ფილოსოფიური რენესანსის ცენტრი იყო. ამ რენესანსის მეთაურები იყვნენ ჯერ მიქაელ პაელოსა და შემდეგ იოანე იტალა. მათ ამოცანას შეადგენდა ანტიკური ფილოსოფი-

თა და კულტურის მემკვიდრეობის აღდგენა იმ სახით, რა სახეც მიიღო ამ მემკვიდრეობის შეჯამებამ ნეოპლატონისტურ ფილოსოფიაში. ეხება გონებრივი მიმართულების საერთო ხასიათს და იგი არ განააზღვრავს განათლების სისტემას, რომელშიაც ყალიბდებოდა და ხორციელდებოდა ეს მიმართულება. ამ მხრივ საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ საპროგრამო-საგეგმო გარემოცვაში იყო მოცემული საერთო ფილოსოფიური წამყვანი ხაზი განათლებისა XI საუკუნეში.

ამ საკითხს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ მანგანის აკადემიაში-თავმოყრილი საქართველოდან წარგზავნილი ახალგაზრდები ითვისებენ როგორც გარკვეულ დისციპლინებს, ისე მათი სწავლების მეთოდებსა და ორგანიზაციას.

მანგანის აკადემიაში სწავლობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიძესძე, ეზეკიელი და სხვა ქართველები. ესენი კარგად იცნობდნენ საქმის ვითარებას ამ აკადემიაში. ჯერ ერთი—მანგანის აკადემიაში არსებობდა ორი იდეოლოგიური ხაზის ბრძოლა—დოგმატიკოსებისა და განახლების მომხრეებისა, რაც იდეოლოგიური გამოხატულება იყო ბიზანტიაში XI ს-ში წარმოებული სოციალ-კლასობრივი ჭიდილისა. იოანე ქსიფილინე, ერთის მხრივ, როგორც დოგმატიკოსთა მეთაური, და მიქაელ პსელოს თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში—მეორეს მხრივ, ასეთი იყო ძალთა განლაგება ძველი და ახალი იდეებისათვის შებრძოლ ბანაკებისა. შემდეგში მიქაელ პსელოსი, უკვე კონსერვატორთა ბანაკში გადასული, იოანე იტალია შესცვალა, რომელსაც ქართველებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

დღეს ჩვენ ყველა საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ ქართველები ბიზანტიაში დაირაზმნენ იქ არსებული პარტიების მიხედვით და მანგანის აკადემიის ირგვლივ არსებული ჭიდილი საქართველოში გადმოიტანეს. არსენ იყალთოელის „დოღმატიკონ“-ის შემადგენლობაში აღმოჩენილი ნაწარმოებები სათაურით „პირმშოასათვის“ იმ გარემოების დამადასტურებელი თვალსაჩინო დოკუმენტია, რომ მანგანის აკადემიაში დაწყებული ჭიდილი ქართველებმა თავიანთ სამშობლოში გადმოიტანეს. არსენ იყალთოელი ამ ნაწარმოებში თავს ეხსმის თავის იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს იოანე პეტრიწს, სახელდობრ მის თხზულებას, რომელიც მან დასწერა ნეოპლატონიკოს პროკლეს წიგნის „კავშირნი თეოლოგიურნის“ ვითომდა კომენტარის სახით¹⁾.

დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ არსენ იყალთოელი, როგორც ქრისტიანულ-დოგმატიკური აზროვნების წარმომადგენელი XII ს-ის საქართველოში, ებრძვის იოანე პეტრიწს, როგორც კულტურისა და განათლების ახალი ნაკადის იდეოლოგს. ამრიგად საქართველოში მეორდება ის, რაც მანგანის აკადემიაში იოანე ქსიფილინეს და მიქაელ პსელოსის შორის მოხდა.²⁾

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ბიზანტიაში განათლებულმა ქართველებმა საქართველოში გადმოიტანეს იქაური კულტურულ-საგანმანათლებლო ტენდენციები. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ბიზანტიური პრაქტიკის შემოღება საქართველოს უმაღლეს განათლების საქმეში საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებსაც უნდა შეეხებოდა.

¹⁾ ი. პეტრიწი, თხზულებანი, ტ. II. შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1937 წ.

²⁾ იხ. ამის შესახებ ჩვენი გამოკვლევა *Идеолог. борьба в Грузии в начале XII в. УЗИФАН, Москва, 1941 г. № 1.*

საორგანიზაციო-საპროგრამო საკითხებიდან საინტერესოა შესასწავლ საგანთა დაჯგუფება და ხასიათი. ამას გარდა, მნიშვნელობა აქვს თემის სკოლის სკოლის ორგანიზაციას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს, რადგან, მისი ითქვამს, პირდაპირი ქართული ან სხვა რომელიმე საისტორიო წყარო არ არის ჩვენს განკარგულებაში და იძულებული ვხდებით დაეკმაყოფილდეთ არა პირდაპირი წყაროებით. ასეთი წყაროა: 1. იმ უმაღლესი სკოლის პრაქტიკა, სადაც სწავლობდნენ შემდეგში ქართული უმაღლესი სკოლის მეთაურები; 2. იმ მასწავლებლის პრაქტიკა, სადაც მეთაურ-ხელმძღვანელად იყვნენ ის პირები, რომლებიც შემდეგში ქართულ უმაღლეს სკოლის მეთაურებად გამოდიან.

მართლაც, ძნელი საფიქრებელია, რომ ბიზანტიაში სპეციალური მომზადებისათვის გაგზავნილ და საქართველოში დაბრუნების შემდეგ უმაღლეს სკოლაში სამუშაოდ მიწვეულ პირებს საქართველოს უმაღლესი სკოლა არ აეგოთ იმ გეგმით და პროგრამით, როგორც იყო იქ, სადაც ამ პირებმა განათლება მიიღეს. ამ პირთაგან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა არიან არსენ იყალთოელი და განსაკუთრებით იოანე პეტრიწი. პირველის სახელი ზოგიერთი ცნობით უკავშირდება იყალთოს აკადემიის საქმიანობას, ზოლო მეორესი — გელათისას. ამ შემთხვევაშიაც თანაბარი მდგომარეობა არ არის. იყალთოს აკადემიის შესახებ ცნობები მეტად განსაზღვრულია და თვით არსენის იქ მოღვაწეობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ამის გამო ჩვენი კვლევის ცენტრში თავის-თავად დგება იოანე პეტრიწი და ნაწილობრივ ფერფმ მცირე.

ი. პეტრიწი ძალიან დაახლოვებული იყო მანგანის აკადემიასთან. და, როგორც დღეს ირკვევა, შემდეგში იგი არ დაეკმაყოფილებულა მხოლოდ მსმენელის ანუ მოწადის როლით. დღეს-დღეობათ, ვფიქრობთ, შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ უსპენსკის, ზოლო მის შემდეგ ნ. მარის ცნობები და აზრი იოანე პეტრიწისა და იოანე იტალის თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ შესაფერ დსაყრდენს პოულობენ ჩვენ მიერ ბერძნული ხელნაწერის ერთ-ერთი ადგილის წაკითხვის ნიადაგზე. ეს ადგილი, რომლის შესახებ ცნობა ჩვენ გამოვამკვეყნეთ სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში („სამეცნიერო მემკვიდრეობა“) ადასტურებს, რომ იოანე პეტრიწი მონაწილეობას იღებდა მანგანის აკადემიის საშეცნიერო საქმიანობაშიაც. კერძოდ, ენციკლოპედიური ხასიათის მასწავლო სახელმძღვანელო, რომელსაც მეცნიერება აქამდე მხოლოდ იოანე იტალის დაწერილად სთვლის (ე. წ. „ზოგადი ფილოსოფია“ — *Φιλοσοφία γενική*) ყოველ შემთხვევაში ორ ავტორს ეკუთვნის, რომელთაგან ერთი იოანე პეტრიწი უნდა იყოს.

ასეთი აქტიური მონაწილეობა ი. პეტრიწისა მანგანის აკადემიის საქმიანობაში უფრო შესაძლებელს ხდის იმ გარემოებას, რომ საქართველოში დაბრუნებისას პეტრიწი უძველესად შეეცდებოდა ისევე აეგო გელათის აკადემიის საქმიანობა, როგორც ეს იყო მის „ალმა მატერ“-ში — მანგანის აკადემიაში.

საორგანიზაციო მხარესთან არის აგრეთვე დაკავშირებული ის გარემოება, რომ თვითონ ი. პეტრიწი, საქართველოში მეორედ დაბრუნების შემდეგ, რექტორი გელათის აკადემიისა, მანამდე პეტრიწონის სემინარიის რექტორად იყო ოცი წლის განმავლობაში. ყოვლად დაუშვებელია, რომ ოცი წლის განმავლობაში საქართველოს გარეთ საკმაოდ ვრცელ, თუმცა არა უმაღლეს

სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელს, იოანე პეტრიწის, საქართველოში მოღვაწეობისათვის, ამასთან სწორედ სასწავლო დარგში მოღვაწეობისათვის მსუბუქი პირობები არ შეექმნა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რამაშ პეტრიწი პირველად საქართველოდან იძულებით წავიდა. იგი, მანგანში მეცნიერულად ნაშრომად, ბიზანტიის ჩენესანსის ერთი მონაწილეთაგანი, დევნილი სხვებთან ერთად და უპირველეს ყოვლისა იოანე იტალიანთან ერთად, საქართველოში ვერ ამხორციელებს თავის საგანმანათლებლო იდეებს. ჯერ კიდევ რუს-უბრნისის კრება არ მომხდარა. საეკლესიო რეაქცია, ბიზანტიის დაწესებულო, საქართველოშიაც შემოიჭრა. იოანე პეტრიწი ეკლესიის რეაქციონერების მიერ დევნილი, იძულებული გახდა მიეტოვებინა სამშობლო.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიაც ხელთა გვაქვს პეტრიწონში (ბულღარეთში) არსებული ქართული სემინარიის დებულება, მომეტებულად საორგანიზაციო ხასიათისა, და არა გვაქვს დებულება ან რაიმე აღწერილობა გელათის აკადემიისა. ამიტომაც იძულებულნი ვართ გელათის აკადემიის შესახებ წარმოვადგინო შევიშოთ ნაწილობრივ მანგანის აკადემიისა და ნაწილობრივ პეტრიწონის სემინარიის მიხედვით. ვიმეორებთ, ასეთი გზის გამოყენების უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ გელათის აკადემიის ხელმძღვანელო (რეპტორი) წინათ ხანგრძლივად ორივე დასახლებულ სასწავლო დაწესებულების აქტიური თანამშრომელი და ხელმძღვანელი იყო.

მანგანის აკადემია ეკლესიის ზედამხედველობის ქვეშ იყო. ეს გასაგებია იმ დროის პირობების მიხედვით. ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოშიაც. თვით მასწავლებელ-ხელმძღვანელნი ერთსა და იმავე საეკლესიო და სამეცნიერო წოდების მატარებელნი იყვნენ. მიქაელ პსელოს, ბიზანტიურ ფილოსოფიური ჩენესანსის მეთაური, მათივე სასულიერო პირი იყო, როგორც პეტრიწი, ქართული ჩენესანსის ადოლოგიური ფუძემდებელი. ეს, ცხადია, არაფერს უშლიდა. იტალიის ჩენესანსის მებარახტრე პეტრაქა სასულიერო პირი იყო. ასევე — ფრანსუა რაბლე, საფრანგეთის ჩენესანსის საუკეთესო წარმომადგენელი.

არ ვიცით გარკვეულად, რა კვალიფიკაცია იყო საქართველოში აკადემიის მეცნიერ-ხელმძღვანელისათვის. ფაქტია, რომ თვითონ იოანეს ხარისხი ჰქონდა. მას რომ საქართველოში შერთა სპეციალური წოდება „ფილოსოფოსისა“ — „იოანე ფილოსოფოსი“ — ეს ბელობის, ასე ვთქვათ, დარგის აღმნიშვნელი როლია. ასე რომ იყოს, ფილოსოფიურ საქმიანობას სხვებიც ეწეოდნენ, მაგ. არსენი, დიმიტრი, იეზეკიელი, ტარიქისძე და სხვები, მაგრამ მათთვის „ფილოსოფოსის“ წოდება არც მიუციათ და არც ისტორიულად შეუნარჩუნებიათ.

ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ „ფილოსოფოსი“ ერთ-ერთი სამეცნიერო ხარისხი იყო, შემოღებული ბიზანტიის (მანგანის) აკადემიაში, თანახმად არსებული ცნობებისა. ბიზანტიის უმაღლეს სკოლაში მიღებული იყო სამი სამეცნიერო საფეხური: იპატრიოსოსი, ფილოსოფოსოსი და იპატოსოსი. ასე, მაგ., მიქაელ პსელოსს იმ დროისათვის, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს, უკვე უმაღლესი ხარისხი ჰქონდა — იპატოსოსი. როგორც იმავე ბერძნულ წყაროებიდან სჩანს, იოანე იტალიანსაც მიუღია ეს ხარისხი ანუ იპატოსოსი.¹⁾

¹⁾ ანა კომინა — „ალექსიად“ 1, 179.

შეუძლებელია ეიფიქროთ, რომ იპატოსობა თანამდებობის მავარი რამე ყოფილიყო. ანა კომნინას ცნობით, იტალმა მიიღო უმაღლეს მადლობა, რომელიც უნდა მიეძღვნა „პსელოსის ბიზანტიიდან გასვლის შემდეგ“-ო, მაგრამ ანტიკურ ფილოსოფიის მასწავლებლის თანამდებობას იპატოსის წოდებისაგან.

იოანე პეტრიწი ფილოსოფოსად იწოდება იმ წიგნშიაც, რომელიც მან იოანე იტალთან ერთად შეადგინა — „იოანე ფილოსოფოსი“. იქ ლაპარაკია სწორედ, იოანე პეტრიწზე და არა იოანე იტალზე, რომელიც იმ დროს უკვე იპატოსის სახელწოდებას ატარებდა. „ფილოსოფოსის“ ასეთივე სამეცნიერო ტიტულით ბიზანტიაში ცნობილი იყვნენ სხვა მეცნიერებიც, მაგ., ბლემილდე — „ფილოსოფოსი“. იყო თუ არა საქართველოში შენარჩუნებული საზოგადოდ ინსტიტუტი სამეცნიერო ხარისხებისა — ძნელი სათქმელია, თუმცა რამდენადაც იოანეს საქართველოშიაც შერჩა ასეთი წოდება, აღნიშნული მოვლენა გამორიცხული არაა.

რაც შეუხება მსწავლების მოცულობას ანუ პროგრამას, ბიზანტიის აკადემიაში ცოტა უფრო ფართო პროგრამა იყო, ვიდრე პეტრიწონის სემინარიაში: ორივე შემთხვევაში განათლება საფილოსოფიო და საღვთისმეტყველო დარგებით განისაზღვრებოდა.

ამ მხრივ ორივე სასწავლებელი თავსდებოდა დასავლეთ ევროპაში მიღებულ საგანმანათლებლო გეგმაში, ე. წ. „ტრივიუმ-კვადრივიუმოს“-ში. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის უმაღლეს განათლებას მაინც რამდენადმე თავისებური სახე ჰქონდა. თუ თვით პსელოსის გადმონაცემს მივიღებთ მხედველობაში, ის ამბობს, რომ აწვდიდა თავის მსმენელებს, გარდა აღნიშნულისა, აგრეთვე მასალას სხვა დარგებიდანაც, მაგ., ლიტერატურის ისტორიიდან, რაც ზოგიერთი ანტიკური ტექსტის ახსნაში გამოიხატებოდა, ბუნებისმეტყველებიდან და მედიცინიდანაც.

დაახლოვება ფილოსოფიისა მედიცინასთან წმინდა აღმოსავლური წარმოშობის ამბავი იყო და ამ მხრივ არაბები სანიმუშონი იყვნენ. სჩანს, მათ გავლენა მოახდინეს მთელი აღმოსავლეთის უმაღლეს სკოლაზე, კერძოდ, საქართველოს და ბიზანტიის სკოლებზედაც. დასაშვებია, რომ საქართველოში ეს საგანი ისწავლებოდა უმაღლეს სკოლაში, რასაც ის გარემოება ადასტურებს, რომ სათანადო სახელმძღვანელო უმაღლესი განათლებისათვის უკვე XII ს-ში შეიქნა საჭირო, რისთვისაც გადმოკეთებულ თუ გადმოთარგმნილ იქნა ისეთის სახით, როგორც იყო „კარაბადინი“ და „წიგნი სააქიმოა“.

ეს რომ მომეტებულად არაბული გზით მოდიოდა, სჩანს იქიდან, რომ ასეთივე შერწყმით მედიკურ-საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიური განათლება გავრცელდა არაბული კულტურის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, როგორც იყვნენ ესპანეთი და სიცილია იმავე XII, XIII საუკუნეებში. საფიქრებელია, რომ საქართველოში მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ცოდნა ვითარდებოდა ორივე გავლენის ქვეშ — არაბულის და ბიზანტიურისა. ყოველ შემთხვევაში ცალმხრივი გავლენა აქ გამორიცხული უნდა იყოს. საამისო საბუთებს საქართველოში განათლების მდგომარეობის სხვა ცნობებიც იძლევიან. კერძოდ, მნიშვნელობას არ არის მოკლებული მეტად საგულისხმო ფაქტი: თუმცა არისტოტელეს ლოგიკას, ყველა მონაცემის მიხედვით, XI — XIII ს-ში ქართველები ბერძნული წყაროებით ეცნობოდნენ, მაგრამ არისტოტელეს სილოგისტიკის ფორმალური აღმნიშვნელი საქართველო-

ში ისეთი სახით შემუშავებულა, რომ ბერძნულისაგანაც და, რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპულისაგანაც განსხვავდებოდა, მაგრამ არაბულიდან განსხვავდებოდა. ლიოსთან რაღაც კავშირში უნდა იყოს.

ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ერთი საინტერესო საკითხთაგანია ქართული განათლების რენესანსის ეპოქაში, სპეციალური განხილვა ესაჭიროება.

საქართველოს კულტურული წარსულის შესწავლა ბოლო ხანებში ითვისებს დებულებებს ქართული რენესანსის შესახებ და მისი ურთიერთობა ბიზანტიის განათლებასთან თითქმის სწორად არის შეთვისებული. აკად. კორნ. კეკელიძე 1941 წელს გამოცემულ წიგნში უკვე ითვისებს დებულებას, რომ „ბერძნული რენესანსის ფილოსოფია, რომელიც შემოიჭრა საქართველოში კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიიდან, უმთავრესად პეტრიწონის-ტული სკოლის საშუალებით მუშავდებოდა უმეტეს ნაწილად გელათისა და იყალთოს აკადემიებში“. აქ ერთი არსებითი შესწორებაა მხოლოდ საჭირო: არავითარი საბუთი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ის, რაც ხდებოდა გელათის აკადემიაში, ვრცელდება იყალთოს აკადემიაზედაც. ფაქტია, რომ როცა დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა შემოეკრიბნა, როგორც ისტორიკოსი ამბობს, „კაცნი პატიოსანნი და შემკულნი ყოველითა სათნოებითა“, და ესენი გელათის აკადემიისათვის ხელმძღვანელ-მასწავლებლებად უნდოდა, მათ შორის არ აღმოჩნდა არსენ იყალთოელი. გელათისა და იყალთოს აკადემიები არ იდგნენ ერთი და იმავე სასწავლო პროგრამისა და იდეოლოგიური ხაზის ნიადაგზე. ასე რომ ყოფილიყო, ზემოთმოყვანილ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა.

კიდევ შენიშვნა. სწორია, რომ მანგანის აკადემიისაგან ქართველმა მეცნიერებმა რენესანსის პერაოდში ბევრი რამ გადმოიღეს, მაგრამ თანმიმდევრობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ გადმოიღეს პარტიულ-იდეოლოგიური ბრძოლაც, რომელსაც მეთაურობდნენ კონსერვატორი ქსიფილინო და პროგრესისტუი შველსი და განსაკუთრებით იოანე იტალი. ამ ბრძოლის ფაქტის აღიარება ბიზანტიის რენესანსში და მიჩქმალვა ქართულში დაუშვებელია. ეს მით უფრო გაუგებარია, რომ, მეორეს მხრივ, აღიარებელია, რომ იმავე ამბებმა „ხელი შეუწყო მოაზროვნე ქართულ საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფას“. „მათ შორის სასტიკი იდეოლოგიური ბრძოლა იყო“ (11, 44).

რაც შეეხება მეცნიერების შესწავლის მეთოდებს, ამ მხრივაც მრავალი საინტერესო მომენტია ქართულ რენესანსის განათლებაში. ზედმიწევნით დავაგებული ცნობები ამის შესახებაც არ მოიპოვება, მაგრამ ამ საკითხზე ეტყობა უფიქრიათ ქართული რენესანსის მეცნიერ-მოაზროვნეთ და ამ მხრივაც იგივე სურათი იშლება, რაც ზემოთ იყო აღნიშნული.

ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელს მრავლად გამოუთქვამთ არა თუ ზოგადი საგანმანათლებლო იდეები, არამედ წმინდა მეთოდიკური ხასიათის შეხედულებანიც. აქაც, უეჭველია, მოსჩანდნენ აღმოსავლეთ-დასავლეთის გავლენის გზები. ზუსტი მეცნიერული კვლევა-სწავლისა და მეცნიერული მუშაობის მეთოდები აქ აღმოაჩენდა იმავე კანონზომიერებებს განმტკიცებას, რაიცა სხვა შემთხვევაში იქნა ჩვენს მიერ შემჩნეული.

ასე, მაგ., ეფრემ მცირე, ეხება რა კაცობრიობის აზროვნების განვითარებას, ჩერდება ბერძნულ მითოლოგიაზე და აღნიშნავს, რომ ქვეშარბიტ-

ბის გამოსავლენად კაცობრიობის აზროვნებისა და განათლების უფრო დაბალ საფეხურზე საჭირო იყო ზღაპრობანი. ეს იმიტომ, ფიქრობდა მ. ციციანიძე, რომ სიბრძნე და ქეშმარიტება ჯერ მოუმაგრებელ ცობრიობისათვის მხოლოდ ზღაპრის ფორმაში იყო მისაწვდომიო. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და გაჩნდა აზროვნება ფილოსოფიური და სხვა. ეფრემს მოჰყავს ბავშვის კვების მაგალითი. ვიდრე ის ჩვილია, მას რბილსაკვებს აძლევენ, მომაგრებისას — მაგარსაო. ამ მსჯელობას ის აზრი აქვს, რომ სიბრძნის სწავლას ადვილიდან ძნელზე გადასვლა ესაჭიროებო. ეს აზრი შეიძლებოდა დამყარებოდა ერთგვარ პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრაქტიკას, რასაც ქართულ საგანმანათლებლო პრაქტიკაში, საფიქრებელია, თავისი დასაყრდენი ჰქონდა. მაგრამ ეს დებულება, სწამს, აღრეც იყო ცნობილი. ყოველ შემთხვევაში რომეტი ფილოსოფოს ეზნიკ ოლბელის წიგნში, რომელიც დასათარებელია როგორც „სექტების წინააღმდეგ“, ასეთი დებულება არის გამოთქმული.

მეორეს მხრივ — იოანე პეტრიწის მთავარ თხზულებაში ვხვდებით ფრიად მნიშვნელოვან მეთოდურ საკითხს: რა შემთხვევაშია შესაძლებელი მივიღოთ ამა თუ იმ საკითხის სწორი გადაწყვეტა? პეტრიწი უპასუხებს: იმ შემთხვევაში, თუ თვით საკითხი სწორად არის დასმულიო. „პროვლიმა“, როგორც ამბობს პეტრიწი ანუ საკითხი თუ არ იქნება ნათლად ცნობილი, სწორი პასუხის მიღება შეუძლებელიაო, და დასძენს: „ვითარ ჰქურნოს აქიმა თუ არ უწყოდეს ტკივილი“.¹⁾

ქართულ რენესანსის განმანათლებლები, სწამს, კარგად იცნობდნენ, თანამედროვე მეცნიერთა მეთოდურ ნაზრევსაც, რადგან რუსთაველი პეტრიწის დებულება თავის უკვდავ პოემაში გამოიყენა, რაც, უეჭველია, მაჩვენებელია არა მარტო უცხოურ მწერლობაში განათლება-ნაკითხობისა, არამედ შრობიურ მწერლობაშიაც.

მეთოდური და მეთოდოლოგიური აზრები და მსჯელობა მრავალადაა მოცემული ეფრემ მცირის და განსაკუთრებით იოანე პეტრიწის ნაწერებში. ისინი განსაკუთრებულ შესწავლას და სისტემატიზირებას საჭიროებენ, რაც სპეციალური გამოკვლევის საგანს უნდა შეადგენდეს.

ეფრემ მცირემ უკვე ქართულ რენესანსის პერიოდში შეითვისა ე. წ. ალეგორიული მეთოდი ბერძნული მითოლოგიის ახსნა-განმარტებისა. ამ მეთოდს თავისი ისტორია ჰქონდა. იგი ჯერ კიდევ პატრისტიკის წარმომადგენელთა მიერ იყო გამოყენებული. ეფრემ მცირე იცნობს ბასილ დიდის ალეგორიულ მეთოდს, რაზედაც თვითონვე მიუთითებს. ამავე მეთოდს მიმართავს პეტრიწი იმავე ბასილ დიდის მითითებით და მის შეზღუდულებათა მოხსენებით. მაგრამ პატრისტიკის წარმომადგენელთა თვითონი მიზნები ჰქონდათ, რაც არსებითად განსხვავდებოდა რენესანსის პერიოდის მიდგომისაგან ალეგორიულ მეთოდისადმი. ალეგორიული ახსნა პატრისტიკისათვის საქრისტიანო დებულებათა განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა და მესიანიზმის პოპულარიზაციას წარმოადგენდა.

რენესანსის პერიოდისათვის ალეგორია იყო გზა ანტიკურობის პოპულარიზაციისა და მის ნიადაგზე ახალი იდეების საქადაგებლად. ამ მეთოდის ფართო გამოყენება ქართული რენესანსის მწერალთა მიერ იმის მაჩვენებ-

¹⁾ ი. პეტრიწი — „კავშირნი“, შესავალი, გამ. შ. ნუცუბიძისა და. ს. კალხაშვილისა, თბილისი, 1937 წ.

ლია, რომ საქართველო იმ ხანაში მეთოდოლოგიურ-საგანმანათლებლო იდეების მხრივაც იმავე გზას ადგა, რასაც ბიზანტიისა და შერეცქესკის იტალიის რენესანსის წარმომადგენელი, მაგ., დანტე. ბიზანტიის რენესანსის იდეოლოგიური საფუძველმდებელი მიქაელ პსელოს სწერს: „მე ვხსნი ელინურ მითებს ალლეგორიულად“-ო¹⁾.

ასეთივე გზა აირჩია იტალიის წინა რენესანსის მეთურმა დანტემ, რაც მსოფლიო რენესანსის კანონზომიერების ერთ-ერთი გამოვლენათაგანია. ისიც ანტიკური მითების შესასწავლად ალლეგორიის მეთოდს მიმართავდა²⁾.

ამ მუხლში ერთი მეორეს დაემთხვა ბიზანტიური, ქართული და იტალიური რენესანსი. ქართულ რენესანს თავისი საკეთარი გზა და სახე ჰქონდა იმ ისტორიულ-კულტურული პირობების მიხედვით, რომელთა ნადაგზედაც იგი აღმოცენდა.

მაგრამ თავისებურება ქართული რენესანსის საგანმანათლებლო იდეებისა ოდნავადაც არა ნიშნავდა იმას, რომ მისი თავისუფალი აზროვნება ქართული საეკლესიო აზროვნების ლიბერალიზმის შედეგი იყო. წარმართულ აზროვნებამდე მისული იდეები ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურისა, აშკარად გამოვლენილი მეორე შავთელისა და განსაკუთრებით ჩახრუხაძის პოეზიაში, ოდნავადაც არა ნიშნავს, რომ მას კეთილი არა ჰქონდა საქართველოს გარეთ წარმოებულ სარენესანსო საგანმანათლებლო იდეებთან.

ასეთი მსჯელობა შეცდომა იქნებოდა. საკვირველია მოცულობა ცოდნისა, რომელსაც იჩენენ ეფრემ მცირე, დ. პეტრიწი და სხვები ქართული რენესანსის იდეოლოგიის ხაზით. განსაკუთრებელია განათლების სივრცე და სიღრმე შავთელისა, ჩახრუხაძისა, რუსთველისა. მაგრამ ამაში წილი არ უდევს ქართული ეკლესიის ვითომ თავისებურ თავისუფალ აზროვნებას, როგორც ფიქრობს აკად. ქ. კეკელიძე. ყველა ეს გარკვეულ სოციალურ პირობებში აიხსნება კანონზომიერებით რენესანსის საგანმანათლებლო განვითარებისა, რომლის ერთ ფრთას წარმოადგენდა აღმოსავლეთის რენესანსი, კერძოდ ქართული რენესანსი.

აკად. ქ. კეკელიძე, იღებს რა ქართული და ბიზანტიური რენესანსის თეზას, მაინც ფიქრობს, რომ ქართველები „ქრისტიანული მსოფლმხედველობის სფეროშიც არ იზიარებდნენ ბიზანტიურ... კონსერვატიულ შეჭედულებებს... ისინი რელიგიაში ყურადღებას აქცევდნენ მის მთავარ, არსებით მხარეს და არა ასოებს“. აკად. ქ. კეკელიძე ქართული ეკლესიის დამსახურებად სთვლის იმას, რაც იყო დამახასიათებელი თვისება მსოფლიო რენესანსისა განვითარების ამ საფეხურზე. მას რომ გაეთვალისწინებინა ის, რასაც თავისუფალი და არა ასოების მიხედვით ამბობდნენ საგანმანათლებლო-სამეცნიერო იდეებისათვის, მაგ., ბიზანტიასა და იტალიაში, ასეთი საზიფათო დამკენის გამოყვანა არ დასკირდებოდა.

მივხედოთ ძეგლებს. მიქაელ პსელოს სწორედ რელიგიური საკითხის შესახებ სწერს „ქალდეელთა დოგმატების დალაგებაში“ თავისი მოწაფეებისათვის: „იქიდან უნდა შეითვისოთ მოძღვრება ბუნების შესახებ... ასო

1) Psellos, V, 59.

2) Dante, Conviv, II, 1.

და ამის ხეობით, როგორც ქერქი, ხოლო მასში დაფარული აზრია ჩაითვსოთ თავის თავში, როგორც მარგალიტი“.¹⁾

სად არის აქ ვითომ და ბიზანტიური მიდრეკილება ასოების მრღვევებისა და კონსერვატიზმისა?

ერთ-ერთი იდეოლოგიური საფუძველმდებელი იტალიის რენესანსისა პიკო დელ-მიჩანდოლა თავის წიგნში პლატონის შესახებ სწერს, რომ „შემცდარნი არიან, ვინც პლატონისა და არისტოტელეს შედარების დროს ყურადღებას აქცევს ასოებს და არა არსებითს. აქ პლატონი და არისტოტელე ერთი მეორეს ავსებენო.“²⁾ სად არის აქ ასოების გამოდევნება? მაშასადამე, საგანმანათლებლო იდეებისა და გზების თავისუფალი ხასიათი ქართულ ეკლესიის ღირსება არც ყოფილა და ვერც იქნებოდა.

საქართველოს მსოფლიო რენესანსის განვითარებაში თავი ადგილი აქვს კანონზომიერად დაკავშირებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის რენესანსთან. ყველა ამ იდეას თვითონ საქართველოში გარკვეულ სოციალ-ისტორიულ საფეხურზე თავისი საკუთარი დასაყრდენი ჰქონდა — დიდი ისტორიული ტრადიცია ე. წ. ფსევდო-არეოპაგელიდან მომდინარე, რომლის ქვეშაც ჩვენი საბელოვანი თანამემამულე პეტრე ივერიელი იმალება, და საკუთარი საგანმანათლებლო ცენტრი რენესანსისა — გელათის აკადემია, „ახალათინად“ წოდებული.

¹⁾ Migne, Patr. gr. t. 1. 22, გვ. 1149 და სვ. „Pselli Dogmatum chaldeicorum expositio“.

²⁾ Pico della Mirandola, Opera. (Basil. 1601) I, 88.

ი. ბალახაძე

სამაგუდო ომი და ეროვნული საკითხი

ევროპის კულტურულ ქვეყნებზე გერმანული ფაშიზმის ყაჩაღობა თავდასხმამ, მაღალი განათლების და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დროებით დამარცხებამ და მათდამი ხეპრე გერმანულ ჯარისკაცთა მხეცურმა მოპყრობამ, უმდიდრესი ქვეყნების გესტაპოელთა ბრბოების შიერ გაძაარცვამ, დაპყრობილ ტერიტორიებზე დემოკრატიის კულტურულ ღირებულებათა ბარბაროსულმა განადგურებამ, ვულყანისებური სიმძლავრით აღმოავლინა ევროპის ხალხთა მასებში უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება.

საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბელგიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში ფართოდ არის განვითარებული საბოტაჟი, დივერსია და ტერორი პიტლერელ ჯალათებისა და მრბეველთა წინააღმდეგ; საბჭოთა კავშირის, თუგოსლავიის, ჩერნოგორიისა და საბერძნეთის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე მძვინვარებს პარტიზანელთა მოძრაობა, რომლებიც ათასობითა და ათიათასობით სპობენ და ანადგურებენ გერმანელი-იტალიელთა ბანდიტებს.

პატრიოტულმა ენთუზიაზმმა მოიცვა აგრეთვე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოსახლეობის ყველა ფენა: მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. გამსჭვალულნი გერმანელ ბარბაროსთა მიმართ სიძულვილისა და უსაზღვრო შურისძიების ერთიანი გრძნობით, მოსახლეობა თავისი მრავალი წლის დანაზოგს, ფასეულობასა, ნიეთებსა და პროდუქტებს უხვად სწირავს წითელ არმიის შეიარაღების ფონდში, რითაც ხელს უწყობს მას, რათა საბოლოოდ განადგუროს სისხლიანი ფაშიზმი.

დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი პატრიოტიზმი, ეროვნული ღირსების გრძნობა, უღმობელი ნებისყოფა, მიმართული სამშობლოს, კულტურის, ღირსებისა და თავისუფლების დაცვისაკენ, განსაკუთრებული ძალით სვამენ მეცნიერებს წინაშე ეროვნების არსის, წარმოშობისა და განვითარების პრობლემას და ამასთან ერთად ეროვნული საკითხის ღრმად შესწავლის საქმეს.

მეორე მსოფლიო ომი კიდევ და კიდევ უცილებლად ამტკიცებს ლენინურ-სტალინური მოძღვრების ნამდვილ ჭეშმარიტებას, და ყბადღებულ ფაშისტ-რასისტების ნაბოღვარის უბადრუკობას.

ერი წარმოიშობა კაპიტალისტურ წყობილებასთან ერთად და ვითარდება ამ წყობილების ზრდისა და განშტკიცების საფუძველზე.

ერი არის არა უბრალო ისტორიული კატეგორია, — სწერს ამხანაგი სტალინი, — არამედ ისტორიული კატეგორია განსაზღვრული ეპოქისა. ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე

დროს ადამიანთა ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ასე ხდება (მაგალითად, დასავლეთ ევროპაში. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, *и т. д.*) და სხვანი ერებად ჩამოყალიბდნენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის *и т. д.* ლურ დაქუცმაცებაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად წინ მიდიოდა.

მაგრამ ერების წარმოშობა იქ ნიშნავდა ამავე დროს მათ გადაქცევას და მოუცილებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად“ (ი. სტალინი „მარქსიზმი და ნაციონალურ კოლონ. საკითხი“. პარტკამომცემლობა, თბილისი, 1934, გვ. 15).

ერების წარმოშობამდე ადამიანთა საზოგადოება წარმოადგენდა მცირე ჯგუფებს: გვარებს, ფრატრიებს, ტომებს და ბოლოს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო მსხვილ ერთეულს — ხალხს; ეს უკანასკნელი წარმოიშვა ცივილიზაციის ეპოქაში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში. ხალხი წარმოადგენდა ისტორიულად გადაჯგუფებულ ზოგან შერეულს, ზოგან კი მონათესავე გვარებისა და ტომების გაერთიანებას და ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია შენარჩუნებულ იქნა ერის ჩამოყალიბებამდე, ე. ი. კაპიტალისტური წყობილების წარმოშობამდე.

XVIII საუკუნის შეწყობამდე დასავლეთ ევროპაში არ იყო არც ფრანგების, არც გერმანელების, არც იტალიელების, არც ინგლისელების ეროვნებანი და, ახლანდელ სახელმწიფოთა ადგილზე არსებობდა ცალკე სამთავროები და სამეცხოვროები, გაყოფილი ურთიერთშორის პოლიტიკური საზღვრებით, ხოლო მოსახლეობა წარმოადგენდა დიდ გადასახლების დროიდან ძალზე შერეულს, მრავალგზის შეზავებულ ტომების შენაერთს.

ხალხთა ასეთი დაქუცმაცება მსოფლიოს ყველა კუთხეში წარმოადგენდა ფეოდალური ეპოქის ხელშეუვალ დამახასიათებელ თვისებას.

პირველად სიეაჟრო, შემდეგ კი სამრეწველო კაპიტალიზმი ილაშქრებს ფეოდალური დაქუცმაცების წინააღმდეგ და, ფეოდალური წყობილების დაშლასთან ერთად, სპობს ფეოდალურ განცალკევებასაც, ჰქმნის ფართო შინა ბაზარს და ამ ფუძეზე ხალხთა ფართო გაერთიანებებს — ერებს.

ერი — კაპიტალიზმის პირველი შვილია, იგი წარმოიშვა და განვითარდა კაპიტალიზმთან ერთად. და ისევე, როგორც კაპიტალიზმი გადის თავის განვითარებისა და ზრდის პერიოდებს, აგრეთვე ეროვნებათა მდგომარეობა და ეროვნული საკითხი განიცდის ისტორიულ ცვლილებას.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ბურჟუაზია ყოველთვის უდგება იმისა და მიხედვით თუ რა დამოკიდებულება აქვს ამას მის პოლიტიკურ ამოცანებსა და მიზნებთან. XVIII საუკუნის დასასრულს, ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ბურჟუაზია მიისწრაფოდა ერების განვითარებისა და კომსოლიდაციისაკენ; სწორედ ამ ხანაში წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში ნამდვილად ეროვნული სახელმწიფოები.¹⁾

მაგრამ ბურჟუაზიული სახელმწიფონი, თავის განვითარებასა და გაძლიერებასთან ერთად, ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების ძებნით გატაცებულნი, თანდათანობით განზე დგებიან ეროვნული თავისუფლების იდეასაგან და მიისწრაფიან სხვა ერთა ტერიტორიების ხელში ჩაგდებისაკენ.

¹⁾ ამწიარად, პირველი პერიოდი ხასიათდება ეროვნებათა გაწინით კაპიტალიზმის განთიადზე, ამისთან ევროპის დასავლეთით იბადებიან წმინდა-ნაციონალური სახელმწიფოები ნაციონალური ჩავერის გარეშე“ (ი. სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალ. საკითხი“. პარტკამომცემლობა, თბილისი, 1934, გვ. 101).

ამგვარად იმპერიალიზმის ჩასახვისა და განვითარების ეპოქაში ეროვნულ საკითხის განვითარებისა და გადაწყვეტის მეორე პერიოდში, როგორც ახასიათებს ამ ცვლილებას ამხანაგი სტალინი:

„მეორე პერიოდი ნაციონალური ჩაგვრის და მასთან ბრძოლის საშუალებების განვითარებაში მიეკუთვნება იმპერიალიზმის წარმოშობის პერიოდს, როცა კაპიტალიზმი გასაღების ბაზრების, ნედლეულის, სათბობის და იაფი სამუშაო ძალის ძებნაში, როცა ის კაპიტალის ვაზიდვისა და დიდი სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში, გამოდის ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოებიდან და აფართოებს თავის ტერიტორიას ახლობელ და შორეულ მეზობლების ზარჯზე“. (ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი“. პარტგამომცემლობა, თბილისი 1934, გვ. 101).

კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტურ პერიოდს თან სდევს იმპერიალისტური ერებისა და სახელმწიფოების მხრივ სუსტი ერებისა და სახელმწიფოების დამორჩილება და ჩაგვრა. კაპიტალის მიერ მსხვილი შევიწროება-დაჯახნვა და ექსპლოატაცია უკიდურესობას აღწევენ თვით ამპერიალისტურ სახელმწიფოებშიც, ხოლო იგი კიდევ მეტად აუტანელი და უსაზღვრო განსაკუთრებით დამორჩილებულ ქვეყნებში — კოლონიებში.

ექსპლოატატორული ახალი წესებისა და ხერხების შესაბამისად წარმოიშობა ეროვნული დამონებისა და დაჯახნვის ახალი იდეაც.

გერმანული ფაშიზმი, როგორც ყველაზე უფრო მტაცებლური, ყველაზე უფრო შოვინისტური და რეაქციული რაშიმ საერთაშორისო იმპერიალიზმისა, ეროვნული საკითხის შესახებ გამოდის ყველაზე უფრო რეაქციული მოძღვრებით. მართალია ამ საკითხში, როგორც მეცნიერებას სხვა დარგებშიაც, იგი არ ჰქმნის და არ იძლევა არაფერს ახალს, სამაგიეროდ, როგორც მიბაძვისათვის დაუშრეტელ წყაროს, ხშირად მიმართავს ხოლმე ძველ რეაქციონერთა გამტკვარიანებულ არქივს და იმეორებს მათ დამპალ და ქუთამალმურ გამოთქმებსა და „მოსაზრებებს“.

ამგვარად გერმანულ ფაშიზმს განსაკუთრებით თვალში მოუვიდა გრაფ გობინოს რასიული თეორია და ლორდ ჩემპერლენის ებრაულფობური ნათიზმი. რა თქმა უნდა, საშუალო საუკუნეების ნაგვიანვე შემამულეთა ამ ნაწარმოებებში მეცნიერული არაფერია, სამაგიეროდ ყოველივე ეს მეტად ხელსაყრელია გერმანული ფაშიზმის მტაცებლური მიზნებისათვის.

როგორც ცნობილია, 1850-იანი წლები დასავლეთ ევროპას ბურჟუაზიის ცხოვრებაში რეაქციის საწყისის წლებია. 1848 წლის რევოლუციის მწარე ვაკევილებიდან საფრანგეთის ბურჟუაზიამ გამოიტანა ის დასკვნა, რომ მისი რევოლუციის ხანა გათავდა და მას აწ ბრძოლა მოუხდებდა თავის ყოფილ მოკავშირესთან — პროლეტარიატთან. 1849 — 1850 წლებში გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია დამარცხდა და ევროპა რეაქციამ მოიცვა — სწორედ ამ დროს წარმოიშვა რეაქციული რასიული თეორია.

გრაფ გობინოს, საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით გულნაკლულ და ნაწყენ ძველ ფრანგულ არისტოკრატიულ და როალისტურ ოჯახის ნაშვირს — მეტად სძულს ბურჟუაზიული დემოკრატია, მისი თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპებით და მისი უარყოფით წოდებრივ-შემამულური წყობილებებისადმი.

გობინომ, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ფრანგულ დემოკრატიის მიმართ, თავშესაფარად და თავის არისტოკრატიულ განწყობილების

დასამებლად—აღმოსავლეთ ევროპის ჩამორჩენილი ქვეყნები — XIX საუკუნის 50-ნი წლების შვედია და გერმანია ამოირჩია; აქ არისტოკრატიები და ფეოდალიზმი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ თავის ძალასა და ბრძოლას მას მოეწონა ამ ქვეყნების ფეოდალური იდილია, და ფეოდალურ-არისტოკრატიული წყობილების სიმტკიცე ამ ქვეყნებში მან მიაწერა მათ მკვიდრ მოსახლეთა რასიულ თვისებებს.

თავის წიგნში — „ცდა აღამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ“ გობინო ატარებს იმ აზრს, რომ კაცობრიობის ისტორია არა მხოლოდ დამხოლოდ რასების ბრძოლა ბატონობისათვის და რომ ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო უნარიანი და მომზადებული კულტურისათვის არის თეთრი ანუ არიული რასა, რომელმაც უნდა იბატონოს კიდევ. მაგრამ გობინოს აზინებს ის, რომ თეთრი რასა თანდათანობით ერევა სხვა რასებს, რასაც შედეგად მოაყვება მისი განზავება და დაღუბვა. ამ შერევიდან კი ვითომც გამოიღინარეობს თანასწორობისა და დემოკრატიის იდეის წარმოშობა, რაც, გობინოს აზრით ნიშნავს კულტურის დაცემას და კაცობრიობის გადაგვარებას.

რაკი თეთრი რასა ყველაზე უკეთესია — ფიჭრობს გობინო — მაშინ ბუნებრივია, რომ საესებით თეთრუბანა ტომები — უფერული თმით, თეთრი გუგებითა და თეთრი ფერმკრთალი სახის კანით, უნდა იყვნენ ყველაზე უკეთესები.

ამიტომ გობინო მოითხოვს თეთრი — არიული რასის დახვეწილობის შენარჩუნებასა და დაცვას და, განსაკუთრებით, მისი ტიპური ნაწილის — ჩრდილო გერმანული — ქერა ტომებისას.

ასეთია მოკლედ გობინოს მოსაზრებანი, რომელნიც მოკლებულნი არიან მეტნიერულ საფუძველს და დასაბუთებას კაცობრიობის ისტორიაში. ეს მოსაზრებანი შემდგომ გადამუშავებულ და განვითარებულ იქნა იმპერიალიზმის თანამედროვე ავანტების — ჰიტლერის, როზენბერგის, ამონის, დარეს და სხვა გერმანელ ფაშისტების „შრომებში“.

ამ ხალად მოკლენილ რასისტების აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, არამედ ეს არის გარკვეულ შემკვიდრულ ზოოლოგიურ ანუ ბიოფსიქიკურ თვისებათა მატარებელი — აღამიანთა ჯიში; აღამიანთა მოდგმა, დამახასიათებელი გარეგნული ბიოლოგიური თვისებებით: კანისა, გუგისა და თმის ფერით. როზენბერგის აზრით, ამ თვისებებს უნდა დაემატოს კიდევ სისხლისა და სულის თავისებურება; ზოლო რით და რაში გამოიხატება ეს თავისებურება არაეინ, გარდა აეტორისა არ უწყის.

ამრიგად, გერმანელი რასისტების მოძღვრების თანახმად, ერი არის რასა, ანუ ბიო-ფსიქიკური კატეგორია, რომელიც, მუდმივად ინარჩუნებს ფიზიკურ აგებულებისა და სულიერი თავისებურობის საესებით გარკვეულ თვისებებს, ე. ი. არ იცვლება არც დროისა და არც სივრცის მიხედვით. ამ ნიშნების საფუძველზე კი ქვეყნად ყველაზე უკეთესი ერი ან რასა არიელთა ტომებისაგან წარმოადგება.

ჰიტლერის აზრით: „არიელები მოველინენ ქვეყანას, როგორც კაცობრიობის ფუძემდებლები“. „აბა სინჯეთ, — წერს ეს ეფრეიტორი, — მომავლისათვის უკუაგდეთ სრულებით არიული რასის როლი და, სულ, რაღაც რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ, მსოფლიოს ისევ მოიცავს წყვილიადი, კაცობრიობის კულტურა დაიდუბება და მთელი სამყარო დაცალიერდება“. „არიელი — ეს არის კაცობრიობის პრემეთე, მისი ნათელი თავი ზეგარდმო და-
15. „მნათობი“, № 9—10.

ჯილდოებული იყო ღვთაებრივ ღვინის ნაბერწყლით, იგი მწოდებულ იყო გაერადებინა ადამიანის გონების პირველი ცეცხლი“ („ჩემი ბრძოლა“).

რამდენად უფიცია ისტორიაში ამ აზღაუბდის ავტორი! მან შექმნიდა იცის, რომ კაცობრიობის კულტურის მზემ თავის უხვი და მადლიანი სხივებით პირველად გაანათა და გაათბო აზია და არა ევროპა, და კულტურის ამ ბრწყინვალე განთიადის სულის ჩამდგმელები იყვნენ არა თეთრი, არამედ ყვითელი მონღოლური რასის წარმომადგენლები. — მან ისიც კი არ იცის, რომ კულტურისა და ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაში მეტად თვალსაჩინო როლი ითამაშეს სპარსელებმა, ბაბილონელებმა, ბერძნებმა, ეგვიპტელებმა, კართაგენელებმა, ებრაელებმა, არაბებმა და სხვა ხალხებმა, რომელთაც ჰიტლერი სთვლის უმდაბლეს რასად.

ჰიტლერს ბანს აძლევს როზენბერგი: „სისხლის მოწინააღმდეგე ნაკადები ებრძვიან ერთმანეთს, — წერს იგი, — და ეს ბრძოლა არ დასრულდება მანამდე, სანამ ერთი სისხლის ძალა არ დაამარცხებს მეორეს“.

ან კიდევ მისი ნათიონის სხვა ადგილი:

„დღეს აღიძვრება ახალი რწმენა: სისხლის შთი, — რწმენა, რომ სისხლის მგშვეობით საერთოდ შეიძლება დაიცვა ადამიანის ღვთაებრივი არსება; რწმენა, აღფრთოვანებული ჰემშარიტი ცოდნით, რწმენა, რომ ჩრდილოური სისხლი წარმოადგენს სწორედ იმ მისტერიას, რომელმაც შესცვალა და დაამარცხა ძველი საიდუმლოებანი“.

აქ მცენიერება იმდენივეა, რამდენიც შესილის გონებამიხდილ ბოდვაში; აი ამას ეწოდება გერმანული ფაშიზმის რასული თეორია.

ეყრდნობა-რა სავსებით ამ ბოდვის „თეორიას“, ჰიტლერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ რასიული შერჩევისა და არაგერმანული რასის გაძევების ზნით შეიძლება „ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნას გერმანული ევროპის მარადიული პოლიტიკური და ბიოლოგიური საფუძველები“.

მაგრამ ევროპის გაჯანსაღებისთვის თურმე საჭიროა პირველ ყოვლისა თვით გერმანული რასის გაჯანსაღება, ვინაიდან, * რასისტ ამონის აზრით, თვით გერმანიაში მძალ კლასს, რომელიც დაჯილდოებულია არიული რასის ყველა ვარჯისი თვისებით, შეიძლება მიეკუთვნოს გერმანელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი — სულ რაღაც 2.717 კაცი, რომელთა რიცხვიდან თვეთ „ელიტას“ ანუ მწვერვალს შეადგენს, მხოლოდ 11 კაცი, დანარჩენი გერმანელები კი თურმე ცოტად თუ ბევრად უახლოვდებიან რევალობის პიბროდს, და, საკმაოდ შორს სდგანან სუფთა არიული სისხლისაგან.

ამიტომ ჰიტლერის ერთ-ერთ თანამებრძოლს — დარეს შემოაქვს წინადადება გერმანული სისხლის გაწმენდის შესახებ ხელოვნური შერჩევის ანუ ჩვეულებრივი დაგრილების საშუალებით. დარეს აზრით ისევე, როგორც ეს ხდება პირუტყვის ჯიშის შერჩევისა და გამოზრდისას, შესაფერისი შერჩევისა და დაგრილების საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნას და გამოიზარდოს ყოველგვარი სისხლისა და ხასიათის, ანუ ჯიშის ადამიანი.

ეს „იდეა“ დარემ გადმოიღო ჰიტლერისაგან, რომელმაც სთქვა: „ჩვენ უნდა მივალწიოთ იმას, რომ გერმანელები უმჯობესებდნენ არა მარტო ძაღლების, ცხენებისა და კატების ჯიშს, არამედ დაბოლოს შეიცოდონ თავიანთი თავიც“. იზიარებს რა თავისი ფიურერის შეხედულებებს, დარე აქვეყნებს თავის ორ წიგმს: „გერმანელი ხალხის მოშენების პრობლემა“ და „ლორი, როგორც ნორდული ხალხების კრიტიკიუმი“. ადვილი გასაგებია თუ რა შე-

ხედულებისაა დარე. ამ თავის შეხედულებას მან სათანადო ფორმულირება მისცა ერთერთ საუბარში სადაც ნათქვამია:

„მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ მივალწიეთ ძველი პანოტეონის აღორძინებას, რისთვისაც ვაწარმოებდით ჯიშინი ულაყებისა და ფაშატების შერჩევას, მთელი რიგი თაობის მანძილზე, სავალდებულო შეგვარების საშუალებით ჩვენ მავალწიეთ აგრეთვე ჩრდილოელი გერმანული სუფთა ტიპის აღორძინებას. ახალი თავად-აზნაურობის შექმნა — ეს ნიშნავს მოსახლეობის შერჩეული ნაწილის მოშენებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (ჩაუშინი, „პიტლერი მე შეუბნებოდა“).

პიტლერის მეორე ნაბოლარა ლაიპციგელი პროფესორი ერნსტ ბერგმანი წერს: „მონოგამია — ეს არის ხალხის დამახინჯება და ის იწვევს რასის გარყვანას; საზღვნიეროდ ჩვენ საკმაო რაოდენობით მოგვებოება ვარგისი ბიჭები (Burschen) კეთილი ნებისყოფითა და კარგად მომარჯვებულნი. ერთ ზიჟს კი შეუძლია გაანაყოფიეროს ოცი გოგო“. (ბერგმანი — „შემეცნება და დედობა“).

ამეთაა ზნედაცემულობისა და გარყვნილობის თეორია, რომელსაც ოფიციალური გერმანული ფაშიზმი მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად აცხადებს და რომელსაც ყველაფერს უქვემდებარებს.

II

გერმანელი ფაშისტები არ კმაყოფილებიან ამ უწმაწურობის მხოლოდ ქალაღზედ ან საავიტაციო კრებებზე გადმოცემით და ყოველივე ამას ამკვიდრებენ თვით ცხოვრებაში.

შეედურმა გაზეთებმა 1941 წლის 2 აგვისტოს თარიღით გამოაქვეყნეს ცნობა ბერლინში ვილაც დოქტორ მაიერის ხელმძღვანელობით მოსახლეობის საკითხებისადმი მიძღვნილ სრულიად-გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ, აგრეთვე ჰიმლერისა და დარეს საერთო ხელმძღვანელობით რაიხს-კანცლერ პიტლერის კაბინეტთან „მოსახლეობის პოლიტიკის, მეკვიდრეობისა და რასის სისუფთავის საკითხების ცენტრალური სამმართველოს“ ორგანიზაციის შესახებ.

შემდგომ გაზეთები იუწყებიან:

„თათბირმა სცნო, რომ მოსახლეობის აღდგენისა და გერმანული რასის სისუფთავის დაცვისათვის საჭიროა მიღებულ იქნას საგანგებო ზომები. გამოქვეყნებულ იქნა პიტლერის ბრძანება „რასული ქაოსის თავიდან აცილებისა და გერმანელ ხალხში საარსებო ძალის დაცვისაკენ მიმართული ზომების შესახებ“. ამ ბრძანებით ჰიმლერს დავალდებული აქვს ოლქებისა და უბნების მიხედვით შექმნას „სუფთა რასის ჯგუფები“, რომლებიც უნდა შედგებოდნენ ჯანსაღი გერმანელი მამაკაცებისაგან, უბიარტესად მოიერიშე (შტურმოველებისა) და დამცველი რაზმების წევრებისაგან... ამავე დროს ცენტრალურ უწყებას ეძლევა წინადადება აიყვანოს აღრიცხვაზე ყველა ქალები, რომელთაც აქვთ შვილიერების უნარი, იმისათვის, რომ ისინი მიმაგრებულ იქნან სუფთა რასის ამა თუ იმ ჯგუფზე. მთელი ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით შეიქმნება ე. წ. „საქორწინო პუნქტების“ ქსელი. გასაზღვრულ „საქორწინო პუნქტებზე“ ქალების მიმაგრება დამთავრებულ უნდა იქნას 1941 წლის აგვისტოსათვის. როგორც გასათხოვარ, აგრეთვე იმ გათხოვილ

ქალების, რომელთა ქმრები სხვაგან იმყოფებიან, „საქორწინო პუნქტებზე“ გამოცხადება საეკლესიოა“. (გადმობეჭდილია „პრავდაში“ — ქართულ ენაზე).
 შეედური გაზეთები 1941 წლის 25 აგვისტოს თარიღით თანახმად ჰიტლერის ბრძანებისა, უკვე ორგანიზებულია საქორწინო პუნქტები (30 ათასამდე), რომლებზედაც მიმავრებულია 30.000 მოიერიშე (მამაკაცები) და 2 მილიონი ქალი ასაკით 18-დან 35 წლამდე.

იგივე გაზეთები აქვეყნებენ დოქტორ რუტკეს მოხსენების ზოგიერთ ადგილს, რომლის ტექსტი დაედვა საფუძვლად, „საქორწინო პუნქტების“ ორგანიზაციას; მოხსენებაში ნათქვამია:

„ყველა ჯანსაღი არიელი ქალი ასაკით 18-დან 35 წლამდე განაწილებულ და მიმავრებულ უნდა იქნას სუფთა რასის განსაზღვრულ ჯგუფებზე; აღნიშნული ქალები განაყოფიერდებიან ორგანიზებული წესით მოიერიშე რაზმების წევრების, ზურგში დარჩენილი ჯარისკაცების ან ყველა იმ ჯანსაღი არიელი მამაკაცის მიერ, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ იყო გაწვეული არმიაში“ (გადმობეჭდილია „პრავდაში“ 26.8 41 წ.).

ამრიგად, გერმანელმა ფაშისტებმა უკვე გაატარეს ცხოვრებაში ის საშინელი და საზიზღარი უწმარობა, რაც შექმნა მათმა დაავადებულმა ტვინმა, და რის შესაგვსი რამ წარსულში ადამიანს შეეძლო წაეკითხა მხოლოდ გარყვნილებისა და ხელოვნების პარნოგრაფიულ ბოღვაში.

როგორ მივიდნენ ასეთ ჰქუის სიდაბლემდე და ზნეობრივ დაცემამდე თანამედროვე გერმანიის მესვეურნი? საიდან გაუჩნდათ მათ ასეთი ცხელების ბოღვა, ასეთი უწმარო აზრები? არ იქნებოდა სწორი, რომ ყოველივე ეს ჩვენ შეგვეფასებინა, როგორც გაზეთის ფელეტონი ან მწარე შესაბამისი ხუმრობა — რაც გერმანულ ფაშიზმს თითქოს განზრახული ჰქონდეს მხოლოდ შტურმოველთა გართობისათვის.

ამ უწმარობის ასეთი გაგება, რასაკვირველია, იქნებოდა არა სწორი და არამართებული. საქორწინო პუნქტების შექმნა ადამიანთა მომრავლებისათვის, ეს რასაკვირველია, მეტად წააგავს ფელეტონსა და კომედიას, მაგრამ ეს კომედია უფრო ტრაგიკულია ვიდრე — კომიკური.

გერმანულმა ფაშიზმმა ყოველივე ეს გამოიგონა არა თავისი გადაგვარების გზაზე მდგომი საზოგადოების გასართობად, არამედ გარკვეული მიზნით, ხელმძღვანელობდა რა იეზუიტური მორალით, რომელიც ამბობს: „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

გერმანულ ფაშიზმს მიზნათ აქვს დასახული დაიმორჩილოს დედამიწის მთელი მოსახლეობა. ჰიტლერი გიჟური ცინიზმით წერს:

„ჩვენ ვფიქრობთ დაეამყაროთ ჩვენი მუღმივი ბატონობა და განვამტკიცოთ ისე, რომ იგი ვეგრძელდეს სულ ცოტა ათასი წელიწადი მაინც. ჩვენი დანიშნულება იმაში მდგომარეობს რომ დაეიმორჩილოთ სხვა ხალხები. გერმანელი ხალხი მოწოდებულია მისცეს მსოფლიოს ბატონთა ახალი კლასი“. („ჩემი ბრძოლა“).

თავისი წიგნის მეორე ადგილას ჰიტლერი წერს:

„დამიჯერეთ მე, რომ მთელს ნაციონალ-სოციალიზმს გახვრეტილი გროშის ღირებულება არ ექნებოდა, რომ იგი კმაყოფილდებოდეს მხოლოდ გერმანიით და არ უკვდაყოფდეს, სულ ცოტა ორი-სამი ათასი წლით მაინც, უმაღლესი რასის ბატონობას მთელს მსოფლიოში“ (ციტირებულია ეჟრნალ „ბოლშევიკის“ მიხედვით 1941 წ. № 16).

ასეთია გერმანული ფაშიზმის იმპერიალისტური მიზნები და პიტლერმა კარგად იცის, რომ ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული, ყოვლის შთამთქმელი, ან როგორც იგი ამბობს — „ტოტალური ომების წარმოებით“.

ომისათვის კი საჭიროა „საზარბაზნე ხორცი“, ჯარისკაცები; ჯარისკაცები მაგარი კუნთებითა და ჩლუნგი თავით. პიტლერი ცინიკურად აღიარებს: „მე ვაწარმოებ ომს მიუხედავად ზარალისა. ყოველივე ჩვენთაგანმა კარგათ იცის, თუ რას წარმოადგენს „ტოტალური ომი“. მე არ მოვერიდები არავითარ ნგრევასა და დაქცევას. ჩვენ ბარბაროსები ვართ, კიდევ გვსურს ვიყოთ ბარბაროსები“. და შემდეგ: „მე მჭირდება აღამიანები მაგარი მუშტით, რომელთაც ვერაუთიარი პრინციპები ვერ შეაჩერებს, როდესაც დავავალებ ვისმეს ვაგორებას... ჩვენ გამოუზრდით ახალგაზრდობას, რომლის წინაშე მთელი მსოფლიო შეძრწოლდება, ახალგაზრდობას უღმობელს, შეუბოვარსა და სასტიკს. მე ასე მინდა; მე მინდა, რომ იგი წააგავდეს ველურ მხეცებს“.

ასეთია გერმანული ფაშიზმის მიზნები და რადგან იგი მასაში, მდამიო ხალხში ხედავს მხოლოდ ბრბოს, „პირუტყვს, გასაგებია, რომ ამ პირუტყვის მიმართ იყენებს საგრილობელ პუნქტებზე მომრავლების ზოოლოგიურ მეთოდებს. პიტლერს ესაჭიროება მაგარ მუშტიანი და თავგარტებული ჯარისკაცები ისეთივე ტიპისა, როგორიცაა მისი მოიერიშეები; გასაგებია, რომ ასეთი ჯიშის მოშენებისათვის ყველაზე უკეთესი არიან ისევ იგივე მოიერიშეები — ნახევრად იდიოტები, ნახევრად კრეტინები, სადისტები და მკვლელები. აი რაგვარ რასულ შერჩევაზე ლაპარაკობენ პიტლერი, პიმლერი, როზენბერგი, დარე, რუტკე და სხვა ფაშისტი რასისტები.

სხვა საკითხია — შესაძლებელია თუ არა პრაქტიკულად განხორციელებულ იქნას ასეთი მომრავლება! დასაბუთებულია თუ არა ეს მეცნიერულად! ყოველივე ეს სრულებით არ აინტერესებს პიტლერს. რა მისი საქმეა მეცნიერება. იგი ეფერეიტორია და ეფერეიტორულადვე სკრის საკითხს. იგი მსჯელობს ასე: თუ კი ჰანოვერული ულაყისაგან წარმოიშობა ჰანოვერული კვიცი და იორკშირული ღორისაგან იორკშირული გოჭი, რაღა შეუშლის ხელს, რომ კრეტინ-სადისტ-მოიერიშესაგან წარმოიშვას კრეტინ-სადისტ-მოიერიშე. ჯიში — ჯიშია, დაგრილება — დაგრილებაა. მორჩა და გათავდა.

აი რა ზენდაცემამდე მიიყვანეს თავისი ხალხი გერმანელმა ფაშისტებმა. აი რა ღირსეული ლოგიკური დაგვირგვინება ჰპოვა გერმანიის გრაფ გობინოს რასულმა თეორიამ.

III

თუ როგორ გამოიყურება გერმანული ფაშიზმის რასიული თეორია პრაქტიკულად ამის შესახებ კარგად მოგვიტობრობენ არა მარტო ზემოთ მოყვანილი მაგალითები, არამედ აგრეთვე თვით მოიერიშეებისა და გერმანული არმიის გენერლების ბნელი საქმეები, რასაც სწადიან ისინი ფრონტზე და დროებით დაპყრობილ ადგილებში. აქ ადგილი აქვს არა „საქორწინო პუნქტების“ საოხუნჯო კომედიას, არამედ საშინელების, ძალდატანების, ბარცევაგლეჯის, მკვლელობის, სადიზმისა და მხეცობის ნამდვილ ტრაგედიას, რომელთაც შედარებაც კი არ შეიძლება ჩინგის-ხანის ურდოების მხეცობისა და ნამოქმედარის.

გერმანულმა ფაშიზმმა მკვდრეთით აღადგინა ისტორიაში დიდი ხნით აღ-

რე დაეწეებული საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია და აუტოდაფე, 1937 წელს, თავისი გამარჯვების უკვე მეორე დღესვე, მან წამებინა მსხვერპლის კვით გამოასალმა წუთისოფელს ასეულობით გერმანიის მეცნიერები, ლეები, მხატვრები და კულტურული ადამიანები; მან მიუნხენში, ბერლინში, ლეიციგში, შტუტგარტსა და სხვა ქალაქებში მოაწყო აუტოდაფე და მილიონ ეგზემპლიარობით დაწვა წიგნები, ეურნალები, ბროშურები — მსოფლიოს უდიდეს გენიათა კმნილებანი. მან გააძევა გერმანიიდან გამოჩენილი მეცნიერები, ეეროპის უდიდესი ფიზიკოსები, როგორც არიან აინშტეინი, ჯემსი, ფრანკი, პროფესორ ბორნი. გამოჩენილი მედიკოსი ცონდეკი, გამოჩენილი არტურ კორნი. ფაშისტებმა მოკლეს ფრიც გაბერი და მისი მოწაფე პოლანი და ასეულობით სხვა გამოჩენილი მეცნიერები, რომელთა გვარები ჩამოთვლილია „ყავისფერის წიგნის“ რამდენიმე ათეულ გვერდზე.

გერმანული ფაშიზმი პრინციპიალურად უარყოფს მეცნიერებასა და კულტურას და ცინიკურად აბუჩად იგდებს პროგრესსა და განათლებას.

ჰიტლერი წერს:

„ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო იმას, რასაც ეწოდება საყოველთაო განათლება. საყოველთაო განათლება — ეს არის შხამი. ჩვენ ბარბაროსები ვართ და კიდევ გესურს ვიყოთ ბარბაროსები. ეს საბატიო წოდებაა... უმდაბლესი კლასების საკეთილდღეოდ ჩვენ ვაძლევთ მათ დიდ უმრავლესობას შესაძლებლობას დარჩენ უწიგნურობის წყვილიაღში, ბოლო ჩვენ ვითავისუფლებთ თავს ყოველგვარი მეცნიერული და პედაგოგიკული ცრურწმენებისაგან. ამასთან დაკავშირებით იფიქრების კოლეჯებში, რომლებიც შე განზრახვა მაქვს დაეარსო და სადაც ჩვენი არისტოკრატის წევრებისათვის დასწრება იქნება საეალდებულო, შე გავმართავ იმ ადამიანთა საზარების ქადაგებას, რომელიც იბატონებს აგრეთვე გონების ანუ ეგრეთ წოდებულ მეცნიერული თავისუფლების ცდუნებაზე... ჩვენ უნდა ვერიდოთ აზრს, შეგნებას და დავემორჩილოთ მხოლოდ ინსტინქტებს... შეგნება იგივეა, რაც ადამიანის დასახიჩრება, წინდაცვეთა“.

რა საშინელებაა ყოველივე ამის გაგონება მეოცე საუკუნის ევროპაში და განსაკუთრებით საშინელია შეგნება იმისა, რომ ამ სიბილწის ავტორი დღეს ბატონობს და განაგებს თითქმის მთელ დასავლეთ ევროპას! რა ზნეობრივ დაცემამდე და გახრწნამდე მიიყვანა ჰიტლერმა გერმანია.

გაზეთი „ნაციონალ ცეიტუნგი“ ილაშქრებს ინტელიგენციის წინააღმდეგ და ემუქრება მას ყოველივე იმით, რასაც ფაშისტები დიდი ზანია უყვე ანხორციელებენ ყველგან, სადაც კი მათ მიწვდებათ ხელი. „სიტყვა ინტელიგენტს, — წერს ეს გაზეთი — ჩვენთვის გერმანიაში აქვს მეტად უსიამოვნო ელფერი. ამ სიტყვას ჩვენ ხშირად ვხმარობთ როგორც ლანძღვაგინებას და სავსებით საფუძელიანად. ის მცირე რიცხვი გონებაშეზღუდულ და ჰეჰამოკლე ინტელიგენტებისა, რომელიც-და კი დარჩა (მართლაც რომ საკვირველია თუ დარჩა. ი. ტ.) იმ ტერიტორიებზე, რომლებიც იქნება ჩვენს გამგებლობაში ომის შემდეგ, ზეღასლად იქნებიან აღზრდილნი ან უღმობლად მოსპობილნი“ („პრავდა“ — 1942 წ. 29/1).

და მართლაც, ფაშისტ ბარბაროსების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებზე ეს „ინტელიგენციის აღმოფხვრა“ მეტად სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. ყველა დაპყრობილ ადგილიდან მათ დაუყოვნებლივ გააქვთ ისტორიული ფასეულობანი და განძეული. სკოლები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები კი



გადაქცეულია ბოსლებად; ფაშისტები დაუზოგველად სძობენ და ანადგურებენ ისტორიულ ძეგლებს და კოცონზე წვავენ მეცნიერებისა და კულტურის გენიათა დიდ ქმნილებებს.

პოლონეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის ოკუპირებულ და ჯანსაყთობით საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე გერმანელი ხებრე ჯარისკაცები და გენერლები, რომელთა ყველა ქმედობა ნაკარნახევია ზევიდან ბრძანებით, ჩადიან ყოველგვარ სისაძაგლესა და მოსახლეობის სატანჯველად არ თაკილობენ წამების, ძალდატანების, ბარბაროსობისა და აბუჩად აგდების არაერთარ ფორმებს, რის გამოგონებაც კი შეუძლიათ დეგენერატ შტურმოველებს და სხვა სადისტებს; ამ საშინელებათა მავალითუბი და ფაქტები ყოველ დღე ქვეყნდება ჩვენს პრესაში და ამის შესახებ ყველამ კარგად იცის.

ასეთია რასული თეორია პრაქტიკაში. მართალია, ეს თეორია არ არის მეცნიერულად დასაბუთებული, სამაგიეროდ იგი დიდ სამსახურს უწევს მის აქტორებს იმპერიალისტური მიზნებისა და ზრახვების განხორციელებაში.

თვით ქვეამოკლე და გონებაშეზღუდული პიტლერი შეშლილის გულახდილობით აღიარებს და არ უარყოფს ამას. რაუშინგთან საუბარში მთელი მსოფლიოს დაპყრობის შესახებ პიტლერმა განაცხადა:

„ამ ამოცანის შესასრულებლად მეტად გამოსადეგია მცნება რასის შესახებ. იგი აყირავებს ძველ იდეებს და მეტ შესაძლებლობას იძლევა ახალი კომბინაციებისათვის... როგორც ევროპაში, აგრეთვე მთელ მსოფლიოში შეგპოვიყენებ შერჩევისა და აღზრდის იმ ახალ მეთოდს, რომელიც გამოიყენებულია ნაციონალ-სოციალიზმით გერმანიაში. ერის რჩეული აქტივი — ჩრდილოური ელემენტი — გაბატონდება და მიჰყვდის მასწავლებლებს ყველას. გადარჩება და სიცოცხლეს შეინარჩუნებს მხოლოდ ყველაზე უფრო ძლიერი და მტკიცე რასა“.

ასეთია იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის „თეორია“ და პრაქტიკა. სავსებით გასაგებია, რომ ეროვნული საკითხის ასეთი „გადაწყვეტა“, სინამდვილეში არის მისი გადაწყვეტა კი არა, არამედ მისი აბუჩად აგდება და გაბიბრება.

ამიტომ, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხები არჩევენ სიკვდილს, ვიდრე ფაშისტებისა და ხებრე გერმანელ ჯარისკაცთა ბატონობას. ამიტომ, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილები ასეთი თავგამოდებითა და საცოცხლის დაუზოგველად იცავენ თავის ქვეყანას, თავის მიწა-წყალს, თავის ოჯახს, თავის ღირსებას, თავისუფლებასა და კულტურას ფაშისტ მხეცის ხელყოფისაგან. ამიტომ, რომ ასეთი დიდი ხალისით სწირავენ ჩვენი მუშები, გლეხები, ინტელიგენცია თავის მრავალი წლით დანაშოგს სატანკო კოლონების შესაქმნელად და ახლად მოვლენილ ჩინგის-ხანის ურდოების გასანადგურებლად.

სულ უფრო მკიდროდ და მტკიცედ ირახმება მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხები საბჭოთა კავშირის — ინგლისის, ამერიკის კოალიციის გარშემო იმ მომენტის მოლოდინში, როდესაც შესაძლებელ გახდება შური იძიონ ფაშისტ მტარვალებსა, მძარცველებსა და მოძალადეებზე.

ასეთია ეროვნული საკითხის მდგომარეობა კაპიტალიზმის განვითარების მეორე პერიოდში.

IV

ეროვნული

ნამდვილად სწორს და მართებულ გადაწყვეტასა და დამტკიცებასა ეროვნული საკითხი აღწევს მხოლოდ თავისი განვითარების შესაბამის პერიოდში, ლენინისა და სტალინის მსოფლიო-ისტორიულ გენიალურ რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკაში. მისი გადაწყვეტა აქ ხდება ისტორიული გამოცდილების შესწავლისა და აღამიანთა საზოგადოების ნამდვილი შემეცნების საფუძველზე, ეროვნებათა ჩასახვის, განვითარებისა და მოწიფულობის პირობებისა და მათზე მოქმედ გარემოებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე.

„შესაბამის პერიოდი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ესაა ააბჰოთა პერიოდი, კაბიტალიზმის მოსპობისა და ნაციონალურ ჩაგვრის ლიკვიდაციის პერიოდი, როცა გაბატონებული და დამორჩილებული ერების, კოლონიებისა და მეტროპოლიის საკითხი ისტორიულ არქივს ბარდება, როცა ჩვენს თვალწინ საბჰოთა რუსეთის ტერიტორიაზე აღიმართებიან ეროვნებანი, რომელთაც აქეთ თანასწორი უფლებები, განვითარების თანასწორი შესაძლებლობა, ხოლო შეუნარჩუნებიათ ერთგვარი ისტორიულად ნამეშვეიდრები უთანასწორობა თავისი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო. ეროვნებათა ამ უთანასწორობის არსება ისაა, რომ ჩვენ, ისტორიული განვითარების ძალით, წარსულსაგან მივიდეთ მეშვეიდრეობა, რომლითაც ერთი — სახელდობრ კელიკოროსული ეროვნება — სხვა ეროვნებებზე უფრო განვითარებული აღმოჩნდა პოლიტიკურად და მრეწველურად. აქედან ფაქტიური უთანასწორობა, რომლის აღმოფხვრა ერთ წელიწადს არ შეიძლება, ხოლო რომელიც უნდა აღმოფხვრას ჩამორჩენილი ეროვნებათათვის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დახმარების აღმოჩენის საშუალებით“ (ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი“ პარტგამომცემლობა, თბილისი, 1934, გვ. 102).

ლენინისა და სტალინის დიად შემოქმედებაში ეროვნული საკითხი პირველ ყოვლისა ღებულობს სწორ, ნამდვილად მეცნიერულ გამოკვლევასა და გაშუქებას.

თავის გენიალურ ნაწარმოებში „მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი“ ამხანაგ სტალინი იძლევა ერის ასეთ განსაზღვრას:

„ერი — ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება.

„ამასთან, თავისთავად გასაგებია, რომ ერი, ისე როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ცვალებადობის კანონს ექვემდებარება, მას აქვს თავისი ისტორია, დამაწყისი და დამასრული, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი შემოხსენებული ნიშანი, ცალკე აღებული, ერის განსაზღვრისათვის საკმარისი არაა. კიდევ მეტი: საკმარისია არ იყოს თუნდაც ერთი ამ ნიშანთაგანი, რომ ერი ერად აღარ დარჩეს.

„შეიძლება წარმოვიდგინოთ აღამიანები საერთო „ნაციონალური ხასიათით“, მაგრამ მიინც არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ ერს შეადგენენ, თუ ეკონომიურად განთავისუფლებულნი არიან, სხვა და სხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ, სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ და სხვ... ასეთთა მაგალითად, რუსი, გალიციელი, ამერიკელი, ქართველი და მთიელი ებრაელები, რომელ-

ნიც, ჩვენის აზრით, ერთ ერს არ შეადგენენ". (ი. სტალინი, „მარქსი და ნიკ. საკითხი". გვ. 10).

რომ ერი არ არის რასობრივ-ნათესაობრივი ბიოლოგიური გარემოებას ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით ხაზს უსვამს.

ამის დასამტკიცებლად, გარდა ზემოდ აღნიშნულ ადგილისა, მოგვეყვან აგრეთვე ამავე ნაწარმოებიდან მეორე ადგილიც.

„ერი — ესაა უზირველეს ყოვლისა ერთობა, — ამბობს ამხანაგი სტალინი — ადამიანთა განსაზღვრული ერთობა.

„ეს ერთობა არაა რასიული და არც ტომობრივი. დღევანდელი იტალიის ერი შექმნილია რომაელებისა, გერმანელებისა, ეტრუსკებისა, ბერძნებისა, არაბებისაგან და სხვა. საფრანგეთის ერი ჩამოყალიბდა ვალეებისა, რომაელებისა, ბრიტებისა, გერმანელებისაგან და სხვ... იგივე უნდა ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებზე და სხვებზე, რომელნიც ერებად სხვა და სხვა რასისა და ტომების ადამიანთაგან ჩამოყალიბდნენ“, (ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნიკ. კოლ. საკითხი“ გვ. 7).

აქედან გამომდინარეობს ის უღავო დასკვნა, რომ ერის ცნება არ არის ბიოლოგიური ცნება, ის არ წარმოადგენს სისხლისა და ხასიათის მართლმართობის, დაბვეწილობისა და ზეისტორიულობის წაერთს. ერის ფესვები, ერს არსი ადამიანთა ჯიშში ან სისხლითი ნათესაობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საზოგადოების ისტორიულ თანაცხოვრების, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ურთიერთ თანამშრომლობას ფორმებში, წარმოების წესში.

საზოგადოების შემქმნელი, მშობელი დედა ადამიანთა ჯიშური, სისხლითი ნათესაობა კი არ არის, როგორც ეს პირუტყვთა სამყაროს ჯოგებს ამხანაგებზე, არამედ ადამიანთა თანამშრომლობა, ადამიანთა შრომითი ურთიერთობაა. საზოგადოება სინონიმი და შედეგია საწარმოო ურთიერთობის და არა ჯიშის.

აქედან აგრეთვე შეაფიქრო და ნათელია, რომ ერი არის ისტორიული კატეგორია, ისტორიული მოვლენა, მსგავსად იმისა, როგორცია, მაგალითად, საზოგადოების სახელმწიფოებრივი წყობილება ანუ კაპიტალისტური ფორმაცია. ერი ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ნაყოფია, რომელიც წარმოიშობა ამ განვითარების კონკრეტ საფეხურზე; ერის წარმოშობამდე ადამიანთა საზოგადოება არსებობდა მრავალი ათასი წლების განმავლობაში და იგი დებულობდა ყოფაცხოვრების და საზოგადოებრივ ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას; იმ ხანაში ჯერ კიდევ არ იყო საჭიროება ეროვნულ გაერთიანების, ეროვნულ შეშვიდროებისა და მთლიანობის.

ამყამად ისტორიული მეცნიერების მიერ სრული სიზუსტით არის დამტკიცებული, რომ თავისი ცხოვრების განთიადზე საზოგადოება ატარებდა გვარობრივ წყობილების ფორმას, ე. ი. ადამიანთა ყოფაცხოვრების ერთეულს წარმოადგენდა გვარი (Genos) ორივე სქესის სისხლითი ნათესავ ადამიანთა კოლექტივი; საწარმოო ურთიერთობათა განვითარების იმ საფეხურზე ასეთი ორგანიზაცია წარმოადგენდა საზოგადოების მხოლოდ ერთადერთ შესაძლებელსა და ზელსაყრელ ფორმას.

საწარმოო ურთიერთობათა ზრდას და, ამასთან დაკავშირებით, თვით საზოგადოების ზრდას შედეგად მოჰყვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემდგომი განვითარება: ფრატრიების და შემდეგ ტომის ჩამოყალიბება. ყოველივე ეს განვითარება დაგვირგვინდა და დამთავრდა პირველყოფილი კო-

მუნიციპის წიაღში, რომელსაც კიდევ სხვაგვარად, გვიროვნული საზოგადოება ეწოდება.

შემდგომ საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციის — მონათმფლობელთა საზოგადოებისა — და გვიროვნულ წყობილების შორის წარმოიქმნა მათ შორის წინააღმდეგობანი და ეს უკანასკნელი იქნა განადგურებული. გვიროვნული წყობილების ადგილი დაიკირა მოსახლეობის ტერიტორიულმა დაყოფამ, რომელიც შედგებოდა უკვე შერეულ ტომებისაგან; ამ უკანასკნელთაგან წარმოიშვა აღამიანთა ყოფაცხოვრების ახალი ერთეული — ხალხი.

ხალხი ჯერ კიდევ თავდაპირველად წარმოადგენდა გვიროვნულ წყობილების ნაშთების და მოსახლეობის ახალი ტერიტორიული. ჩანასახების ერთგვარ სინთეზს, რომელიც მეტად მომარჯვებული და ხელსაყრელი იყო საერთო ცხოვრებისათვის და საზოგადოების პოლიტიკური მმართველობისათვის, სწამ საზოგადოებამ სრულებით არ დაჰქარგა გვიროვნობისა და ტომის ყველა ნიშანთვისება.

მოსახლეობის საზოგადოებრივ ორგანიზაცია — ხალხი — არსებობდა მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის მთელს მანძილზე, როგორც ზოგადცხოვრების უმაღლესი ფორმა.

ფეოდალურ-კარჩაქეტილ მეურნეობის ხანაში ხალხი თანდათანობით მიდის დამლა-დაცემისაკენ და განიცდის მუდმივ დიფერენციაციას და თავისი ძირითადი ბირთვის დაქუცმაცებას თვითმპყრობელ ეფოდალებს შორის, რომლებიც მუდამ მტრულად იყენენ განწყობილი ურთიერთ მიმართ, განუწყვეტლივ ომობდნენ და ხელს უშლიდნენ იმ დროისათვის ამ მძალისა და პროგრესიული ზოგადცხოვრების ფორმის — ხალხის განმტკიცებას.

ადვილად გასაგებია ის ტრაგედია, რომელსაც განიცდიდნენ ხალხები ფეოდალიზმის ხანაში. თუ შევიწყვლით XVIII საუკუნის დასასრულის დასავლეთ ევროპის ისტორიას, ვნახავთ, რომ იმაჟამად ფრანგი ხალხი დანაწევრებული იყო 16 საჰერცოგოდ, გერმანელი — 18 სამთავროდ, იტალიელი 5—6 დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად.

ყველა ამ საჰერცოგოს, სამთავროს, სამეფოს ჰქონდა თავისი პოლიტიკური საზღვრები, საბაჟოები, კანონთა კოდექსები და მთლიანი ხალხის გამოთქმული და გამცალკეებელი სხვა ინსტიტუტები და დაბრკოლებანი.

ასევე განაწევრებული იყო პატარა ქართული ხალხიც, რაც აღიბეჭდა როგორც ხალხის ენაზე, აგრეთვე ჩვენს ქვეყნის ცალკე კუთხეთა სხვადასხვა ყოფაცხოვრებითს მხარეებზე. იმ ეპოქაში ქართული ენა დანაწევრებულ იყო ქართულ, მეგრულ, სვანურსა და ინგოლოურ კალოებად, რომლებიც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ არასპეციალისტები მათ თვლიან სხვადასხვა ენებად.

XVIII საუკუნის დასასრულს დასავლეთ ევროპაში, შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში და მთელს მსოფლიოშიც, გაძლიერდა და განმტკიცდა წარმოების ახალი პროგრესული წესი, რომელსაც ეწოდა კაპიტალისტური.

ფეოდალურ დაქუცმაცება-დაშულობასა და კაპიტალისტურ წარმოებას შორის, ან უკანასკნელის წარმოშობის მომენტიდანვე, წამოიჭრა მძაფრი წინააღმდეგობანი; კაპიტალისტური წარმოება მოითხოვდა მეურნეობის საწარმოო ბაზის გაფართოებასა და საქონლის გასაღებისათვის ფართო ბაზარს; იგი ჯერ კიდევ თავის აღრიან ასაკში დახმარებას უწყევდა და სუბსიდიებს

აძლედა მონარქ-ხელისუფალთ და აქეზებდა მათ დემორჩილებინათ ქვეყნის ფეოდალი მთაერები და გავერთიანებინათ ისინა ერთი კვერთხის-ქვეყნის კაპიტალისტური წარმოების შემდგომ განვითარებას შედეგად მოჰყვა ფეოდალიზმის რევოლუციური დამსხვრევა და მასთან ერთად ხალხთა დაქუცმაცების ბოლომოდება.

კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე წარმოიშვა ახალი, უფრო ფართო, მტკიცე, მკაფიოდ გამოსახული ზოგადცხოვრების ორგანიზაცია — ერა.

ერი, როგორც ეს ნათლად ჩანს ამხანაგ სტალინის გენიალურ გამოკვლევებიდან, კაპიტალიზმის პირშმო შვილია. იგი იზადება და ვითარდება მხოლოდ იქ და იმდენად, სადაც იზადება და ვითარდება წარმოების კაპიტალისტური წესი, მიღწეული სრულ მოწიფულობას.

ერი სავსებით ისტორიული ყოფაცხოვრებითი ფორმაა, საზოგადოების ნამდვილი ისტორიული კატეგორიაა, ხოლო სრულუბითაც არა ზოიბილოგური ანუ ბიოფსიქიური, რაშიაც ასე უსუსურად და უმწეოდ იბნევიან გერმანელი რასისტები.

როგორც სავსებით ისტორიული კატეგორია, ერი განიცდის განვითარების ტიპურ პერიოდებს: ჩასახვას, აყვავებას და სიმწიფეს. მისი ჩასახვა მიუკუთვნება კაპიტალიზმის გამარჯვების პერიოდს, მისი ნამდვილი აყვავება — სოციალიზმის პერიოდს და მისი ისტორიული დაგვირგვინება — მოწიფული კომუნისმის პერიოდს, როდესაც ერი უკვე გაივლის თავისთავზე გადაზრდის პერიოდს და მიიღებს საერთოსაკაცობრიო ყოფაცხოვრების ფორმას, რომელიც მოიცავს მთელს მსოფლიოს და დააგვირგვინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარებას პატარა გვირიდან (Genos) დაწყებულა, საერთოსაკაცობრიო გაერთიანებამდე.

კაპიტალისტურ ეპოქასთან შესაბამისად, როგორც ვხედავთ, ერების განვითარება იყოფა ორ პერიოდად: სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქა — ერების წარმოშობისა და განმტკიცების პერიოდია; ხოლო იმპერიალიზმის ეპოქა — ზოოლოგიური შოვინიზმის პერიოდია; ყველაზე უფრო მდიდარი და მტაცებელი ერების ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელთა იმპერიალისტ-მოთავეების მიერ მრავალი ერის დამონებისა და გაძარცვის პერიოდია.

ყველაზე უფრო ტრაგიკულ მდგომარეობაშია ერების დიდი უმრავლესობა იქ, სადაც გაბატონებულია გერმანული ფაშიზმი, ან, როგორც მას ხანდობან უწოდებენ, ჰიტლერიზმი.

ჰიტლერს მსურს უკუაქციოს კაცობრიობა მონათმფლობელური საზოგადოებისაკენ და ამგვარად მოსპოს ერი, როგორც ისტორიულად პროგრესული მოვლენა, რომელიც ზელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების პოტენციალურ სამეურნეო-კულტურულ შემოქმედებითი ძალების უმაღლეს განვითარებას.

დასმულია ისტორიული ალტერნატივა: ღობადი იმპერიალიზმი, ე. ი. ჰიტლერიზმი, თუ პროგრესული ორგანიზმი — ერი. ამ ორ ისტორიულ მოვლენას ერთად არსებობა აღარ შეუძლიათ. ყოველგვარი ლაყბობა იმის შესახებ, ვითომც მსოფლიოს ყველა ერის დამონებისა და ნაწილობრივ ამოწყვეტის შემდეგ, დადგება გერმანელი ერის ნამდვილი არსებობისა და აყვავების ხანა, ეს მხოლოდ ეფერეიტორული ლაყბობაა, ვინაიდან ისეთი ერი, რომელმაც ძირი გამოუთხარა ერთა არსებობის საფუძველს, დიდხანს ვერ იარსე-

ბებს და ვერ აყვავდება. „შეუძლებელია თავისუფალი და ბედნიერი იყოს ხალხი, რომელიც სხვებს მონად აქცევსო“ — ამბობს მარქსი. *პარტიზენული* ამ გიგანტურ ბრძოლაში უეჭველად უნდა დაიღუპოს ფაშისტური მხარეები რიზში, როგორც რეაქციული მოვლენა და არა ერი. ამ უკანასკნელს ისტორიამ უჩვენა საუკეთესო გამოსავალი ფაშისტური ტრაგედიიდან: ეს არის საბჭოთა ხელისუფლება. ეს არის სოციალიზმი.

V

ერი პოულობს თავის ახსნას და ყველა პირობას თავისი განვითარებისათვის, უფრო სწორად — აყვავებისათვის, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურაში — სოციალიზმში.

„თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად ანცალკეებს ადამიანებს, აღვივებს ნაციონალურ შუღლს და აძლიერებს ნაციონალურ ჩაგვრას, — ამბობს ამხანაგი სტალინი — კოლექტიური საკუთრება და შრომა აგრეთვე აუცილებლად აახლოვებს ადამიანებს, ძირს უთხრის ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე იმგვარადვე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე, ნაციონალური თავისუფლების გარეშე. შოვინიზმი და ნაციონალური ბრძოლა აუცილებელია, თავიდან აუცილებელია, ვიდრე გლეხობა (და საზოგადოდ, წვერილი ბურჟუაზია), რომელიც აღვსილია ნაციონალისტური ცრემორწმუნეობით, მიჰყვება ბურჟუაზიას და, პირიქით, ნაციონალური მნიშვნელობა და ნაციონალური თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, თუ გლეხობა პროლეტარიატს მისდევს, ე. ი. თუ პროლეტარიატის დიქტატურა უზრუნველყოფილია. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება — ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის, ნაციონალური თანასწორობის დამყარების და ნაციონალური უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა.“ (ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი“, მარტგამ. თბ. 1934, გვ. 92).

ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამდე ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია აწარმოებდა გადამწყვეტ ბრძოლას ყველა ერის თვითგამორკვევისა, თავისუფლებისა და თანასწორობისათვის; ამგეა ანზორციელუმს კიდევ მეტი სიმძლიერით იგი დღეს.

ამ ბრძოლის პროგრამა მოკლედ ფორმულირებულია შემდეგნაირად:

ა) ყველა ეროვნების, მიუხედავად მათი რასული განსხვავებისა, სრული თვითგამორკვევის უფლების აღიარება, ე. ი. თვითგამორკვევა თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე.

ბ) კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებული ყველა ხალხის სამხედრო და ეკონომიური ძალთა ნებაყოფლობითი გაერთიანება და ცენტრალიზაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სოციალისტური მეურნეობის მშენებლობისათვის.

გ) ყოველმხრივი და გადამწყვეტი ბრძოლა წინამდებე ყოველგვარი შეზღუდვისა და შევიწროებისა, რაც მიმართულია ამა თუ იმ ხალხის, ერისა და რასის წინააღმდეგ, ყველა ერისა და რასის სრული თანასწორუფლებიანობა.

დ) კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებულ ერთა ნაციონალური კულტურების უზრუნველყოფა და ხელისშეწყობა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა

ძალითა და საშუალებით, ამ კულტურათა შინაარსის განვითარების საკმარისი თანამიმდევრობითი პროლეტარული ხაზის გატარებით.

ე) წარსულში დამონებულ „ოლქების“, „განაპირა მხარეებში“ „ლონიების“ სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ზრდისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობა მათი სოციალისტური გარდაქმნის მიმართულებით, სრული და ნამდვილი ეროვნული თანასწორობისათვის ბაზისის შექმნის მიზნით.

უ) ბრძოლა შოვინიზმის, ეროვნული სიძულვილის, რასული ციურწმენებისა და ფეოდალური და კაპიტალისტური ბარბაროსობის სხვა იდეოლოგიურ პროდუქტთა ყოველგვარი ნაშთის წინააღმდეგ.

ამგვარად ბოლშევიზმი თავისი წარმოშობის დღიდანვე ისახავდა და ისახავს მიზნად მსოფლიოს ყველა ერის თვითგამორკვევასა და თანასწორობათვის უფლებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ეს ხორციელდება მთელი ჩვენი მრავალეროვნებიანი კავშირის ცხოვრებაში, პირველ ყოვლისა ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ხაზით. 25 წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა უდიდესი მუშაობა რუსეთის ცარიზმის ბნელი მემკვიდრეობის რევოლუციისათვის—მისი კოლონიური-ჩაგვრითი პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა იგი ცხოვრებაში თავის არსებობის მრავალი ასეული წლის განმავლობაში.

ყოფილი მეფის რუსეთის იმპერიაში მრავალი ხალხი იღვა ეროვნულ გადაგვარებისა და უხეში ასიმილაციის გზაზე, და მათ არც კი გაიჩნდათ თავისი ანბანი. სრულიად საკავშირო ცაქთან ჯერ კიდევ 1929—1930 წლებში ჩამოყალიბებული იქნა კომისიები ანბანების შესადგენად 15 ჩამორჩენილ ხალხისათვის (ლოპარები, ოსტიაკები, ეოგულები, ნენცები, ტუნგუსები, გოლდოები, უდეგე, გილიაკები და სხვ.), მათ შორის ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ხალხისათვისაც.

გახსნილ იქნა სკოლები დედაენაზე სწავლით 30 ეროვნებისათვის, რომელთაც ადრე არ ჰქონდათ თავისი სკოლები. ამჟამად მრავალ ეროვნებებს აქვთ უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც და აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი; მათ მეფის დროს არც ჰქონდათ ამის უფლება. საბჭოთა კავშირში შემავალ ყველაზე უფრო კულტურულ ერებს აქვთ დღეს თავისი მეცნიერებათა აკადემიებიც.

მეფის რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა იყო უწიგნური, განსაკუთრებით მჭიმე მდგომარეობაში ამ მხრივ იყვნენ დამონებული ერები: უზბეკები, ტურკმენები, ტაჯიკები, აზერბაიჯანელები და სხვ., რომელთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი არ აღემატებოდა 5—10-ს. ამჟამად ამათ შორის ძნელად თუ შეხვდები უწიგნურ ადამიანს.

თავისი არსებობის მე-25 წელს საბჭოთა კავშირი გადაიქცა მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის ქვეყნად; აქ ამჟამად ოცჯერ უფრო მეტია საშუალო სასწავლებლები, ვიდრე რევოლუციამდე, ოცდაათჯერ უფრო მეტია უმაღლესი სასწავლებლები და ორმოცჯერ მეტი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი; საბჭოთა კავშირი სწორედ რომ უბედნიერესი ქვეყანაა მთელს მსოფლიოში, სადაც კულტურამ მიაღწია ნამდვილ აყვავებას; ეს კულტურა არის ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით.

ჩვენი უდიდესი მიღწევები კულტურისა და მეცნიერებათა დარგში ამჟამად

ნათელი გახდა ყველასათვის, ამას ვერ უარყოფენ ვერც ჩვენი ბტრები და ვერც მეგობრები; თუმცა ბევრ მათგანს შეხედულებებით არაფერი უნდა ერთო კომუნიზმთან. ამ მიღწევების შესახებ წერს ამერიკის კონგრესის წევრი შტატების ყოფილი ელჩი სსრ კავშირში დევისი; ამის შესახებ მოუთხრობს ამერიკელ საზოგადოებას ბ-ნა უენდელი უილიკი; ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უილესმა, რომელმაც სსრ კავშირის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე თქვა: „განათლების დარგში სტალინი ანხორციელებდა დემოკრატიას მთელი ძალით. ლენინმა და სტალინმა მისცეს რუსის ხალხს (იგულისხმება სსრ კავშირის მთელი მოსახლეობა. ი. ტ.) შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინა წერა-კითხვის მკოდნეობის საუკუნეებრივი წყურვილი და 20 წლის განმავლობაში რუსეთი გახდა მთლიანი წერა-კითხვის მკოდნეობის ერად. რუსეთს რომ ჰქონოდა შესაძლებლობა შემდგომშიც ასევე განვითარებინა თავისი წარმატებანი, როგორსაც მან მიადწია ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, იგი გაუსწრებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს“. („იზვესტია“, 1942 წ. 12/XI. № 226).

მაგრამ იმ ნაციონალური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, რაც ჩვენ მეგვიდრეობით მივიღეთ მეფის ხელისუფლებისაგან, საჭირო გახდა ძალების გიგანტური დარაზმვა არა მარტო განათლების დარგში, კიდევ უფრო მეტი — მუშაობა და შრომა იყო გასაწევი ყოფილ დამორჩილებულ ერთა ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიური გარდაქმნის პროგრამა შედგენილი იყო ისე, რომ სსრ კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკათა და ოლქების სამრეწველო განვითარებასათვის მშენებლობის ტემპები ვითვალისწინებული იყო ერის კულტურულ-ეკონომიური განვითარებას მიმართ უკუპროპორციით, ე. ი. რაც ერი უფრო ჩამორჩენილი იყო კულტურულ-ეკონომიურად, მით მეტი უნდა ყოფილიყო იქ მშენებლობა და ყოველგვარი ასოგნობება ქვეყნის განვითარებისათვის.

ეს პროგრამა განუწყვეტლივ ტარდებოდა და ტარდება სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში გასაბჭოების დღიდან.

ეროვნული ჩაგვრისა და დამცირებისაგან, ეკონომიური კაბალისა და კულტურული დეგრადაციისაგან განთავისუფლებულმა საბჭოთა კავშირის ხალხებმა სწორედ ამ ნიადაგზე გამოიჩინეს გიგანტური შემოქმედებითი ძალა და ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა 25 წლის მანძილზე გადააქციეს მსოფლიოში მოწინავე ტექნიკისა და კულტურის მწვეყნად.

სსრ კავშირის მრეწველობა შთლიანად 25 წლის მანძილზე, ომის წინა დროინდელ დონის მიხედვით, გაიზარდა ათჯერ, ცალკე რესპუბლიკების მრეწველობა კი ამავე ხნის განმავლობაში გაიზარდა 15-ჯერ (ბელორუს. სსრ), 20-ჯერ (აქ. სფსრ), 30-ჯერ (შუა აზია) და სხვა.

აუწერელი სიამაყის გრძნობას ნერვავს ყველა საბჭოთა აღამიანის გულში ამხანაგ სტალინის დიადი სიტყვა, წარმოთქმული მის მიერ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე; აი ეს ძვირფასი სიტყვა:

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი ტექნიკით აღჭურვის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავეა, შედარებით ყველა სხვა

ქვეყანასთან, სადაც ძველი მოწყობილობა ჰმორაკავს წარმოებას და ადგილებს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს.

„ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარღვევების მნიშვნელოვან მონაპოვრად საანგარიშო პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას ექსპლოატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დარაზმვა ერთ საერთო შრომის ფრონტად, საბჭოთა საზოგადოების მორალური-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ახალა კონსტიტუციის შექმნა“ (ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე).

VI

საბჭოთა ქვეყნის ბენდიერმა ხალხებმა დროულად გაითვალისწინეს ის დიდი საფრთხე, რომელიც მათ მოელოდათ იმპერიალისტური სამყაროს, და პირველ რიგში გერმანული ფაშიზმის მხრივ და შექმნეს დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. იმ საკითხის შესახებ, თუ რაშდენად დიდ საჭიროებას წარმოადგენს ასეთი კავშირის შექმნა, ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1921 წელს ამბობდა:

„ამიტომ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა მერყეობს, სიმტკიცეს მოკლებულია, რადგან მათ არსებობას კაპიტალისტური სახელმწიფოები ემუქრებიან. საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის საერთო ინტერესები, ერთი მხრით, ომისაგან დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა, მეორე მხრით, და საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უპურო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პურიანი რესპუბლიკების მიერ, მესამე მხრით, — დაყინებით გვიკარნახებს ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური კაპალისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან გადარჩენის ერთადერთ გზას. „თავისი“ და „უცხო“ ბურჟუაზიისაგან განთავისუფლებულ ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუძლიათ თავისი არსებობის დაცვა და იმპერიალიზმის შეერთებულ ძალებზე გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანდებიან, ანდა ისინი სრულიად ვერ გაიმარჯვებენ.“ (ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი. პარტგამომც. თბ. 1934. გვ. 93 — 94).

ასრულდა დიდი სტალინის ბრძნული სიტყვები, საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაიცვეს თავის სოციალისტური სამშობლო სწორედ იმის მეოხებით, რომ შესძლეს გაეერთიანებინათ და შეემჭიდროებინათ თავისი ძალები ერთ მთლიან ძლიერ მუშტად, რომელიც მიიმართება ჩვენი დიდი ბელადის ბრძნული სტრატეგიული გეგმით.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი საუკეთესო ნიმუშია ემალღესი სოციალისტურ-ნაციონალური დემოკრატიისა. საბჭოთა კავშირში ყველა ერი თანასწორია და დამოუკიდებელი.

სტალინური კონსტიტუციის მე-123 მუხლში ნათქვამია:

„მუხლი — 123. სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევ კანონს წარმოადგენს.

უფლების რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით,

მოქალაქეთა პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის შემოღება პაპის რასული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რუსულ-საქართველო-სა-ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის გამოწვევად ველგვარი ქადაგება — ისჯება კანონით“.

სტალინური კონსტიტუცია — ეს არის ეროვნული თანასწორობისა და თავისუფლების დიადი ქარტია. მაშინ ოქროს ასოებითაა ჩაწერილი სწორედ ყოველივე ის, რაზედაც მთელს მსოფლიოში ოცნებობდნენ თავისუფლების-მოყვარე ერები.

სტალინური კონსტიტუცია — ეს არის თანამედროვე კაცობრიობის მოწინავე კლასის კეთილშობილურ და მაღალ მოსწრაფებათა სრული რეალიზაცია. მან კანონმდებლობითი წესით განამტკიცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრწყინვალე მიღწევები, მათ საუკუნოებრივ ბრძოლაში თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობისათვის.

ლენინურ-სტალინურ ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა კავშირის ხალხები შემოქმედრდნენ ხალხთა ერთ მთლიან, მტკიცე და უძლეველ ოჯახში, რომელიც მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო უღმობელი და თავხედი ცბიერი ფაშისმი.

პიტლერი მოტყუვედა თავის გამოანგარიშებაში და სათანადოდ ვერ შეაფასა საბჭოთა კავშირის სიძლიერე.

„მეორე მხრით, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — გერმანელები იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ საბჭოთა წყობილება მტკაცე არ იქნებოდა, საბჭოთა ზურგი მტკიცე არ იქნებოდა, ფიქრობდნენ, რომ პირველივე სერიოზული დარტყმისა და წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შედეგად თავა იზნდა კონფლიქტები მუშებსა და გლეხებს შორის, ატყდებოდა ჩხუბი სსრ კავშირის ხალხთა შორის, დაიწყებოდა აჯანყებანი და ჩვენი ქვეყანა შემოდგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რაც გერმანელ დამპყრობთ გაუადვილებდა წინსვლას თვით ურალამდე. მაგრამ გერმანელები აქაც სასტიკად მოტყუვდნენ. წითელი არმიის წარუმატებლობამ არა თუ ვერ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა როგორც მუშათა და გლეხთა კავშირი, ისე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. უფრო მეტიც, — ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან ურდვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. საბჭოთა ზურგი არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლა. სავსებით დასაჯერებელია, რომ ყოველი სხვა სახელმწიფო, იმდენი ტერიტორია რომ დაეკარგა, რამდენიც ჩვენ ახლა დაეკარგეთ, განსაცდელს ვერ გაუძლებდა და დაეცემოდა. თუ საბჭოთა წყობილებამ განსაცდელს ესოდენ იოლად გაუძლო და კიდევ უფრო მეტიც განამტკიცა თავისი ზურგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილება ახლა ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა“ (ი. ბ. სტალინი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი. სახელგამი 1941. გვ. 10 — 11).

დიად მართლაც, საბჭოთა სახელმწიფო ყველაზე უფრო მტკიცე და ძლიერი სახელმწიფოა მსოფლიოში, რის შესახებ ამჟამად უკვე გაბედულად ლაპარაკობენ შორსმჭვრეტელი მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწეები ბურჟუაზიული ბანაკიდან.

1942 წლის 11 ნოემბერს თავის სიტყვაში თემთა პალატაში პრემიერმა

ჩერჩილმა განაცხადა: „რუსეთი, სულ ცოტა მაინც, სამჯერ უფრო ძლიერი და სიცოცხლე უნარიანი ორგანიზმია, ვიდრე იგი იყო წინა ომის დროს... ეს პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია — წარმოგედგინა ადამიანს, რომელიც წინა ომში შეეძლებოდა წინააღმდეგობა გაეწია მთელი გერმანიის არმიისათვის, ახლა კი ამ არმიის დარჩემის მთელი სიმძიმე მას აწევს კისერზე“ („პრავედა“ 1942 წ. 13/XI).

ამერიკელ მოქალაქეთა 18-ათასიანი მიტინგის წინაშე 1942 წლის 12 ნოემბერს, ქალაქ ტორონტოს დაბაზში, სიტყვით გამოვიდა ბ-ნი უენდელ უილკი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ რუს მოკავშირეთა ვაჟკაცობასა და გმირობას, რომლებმაც თავისი ოსტატური და შეუზოგარო ბრძოლით პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დაამტკიცეს, რომ მათთან არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის ძლიერება, სულერთია მოგვეწონს ეს ჩვენ თუ არა, გამომდინარეობს არა მხოლოდ მის ხელმძღვანელებიდან, არამედ თვით ხალხიდანაც“ (ზარია ვოსტოკა, 1942 წ. 1/XII).

ამ მოკლე გამოთქმაში, მარტივად და მეტად მკაფიოდ არის აღიარებული საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის არსი; მისი ფართო ხალხურ-სახელმწიფოებრივი ფესვების სიდიადე, მისი ნამდვილი, რეალური მასობრივი საწყისი და საძირკველი.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო მსოფლიოში პირველი ქვეშაირიტი ხალხური სახელმწიფოა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადმა მეგობრობამ წარმოშვა წითელი არმიის ისტორიული გმირობა, რამაც დაამარცხა და გაანადგურა ფაშისტური ურდოები მოსკოვის, სტალინგრადის, ვორონეის, კურსკის რაიონებსა და ფრონტის მრავალ სხვა პუნქტებში, სადაც მტკიცე მეგობრობით შემკიდროვებულნი, მხარიმხარ ჩამწყრივებულნი იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ერების მამაცი შვილები.

ხალხთა დიადმა მეგობრობამ წარმოშვა უდიდესი და გაუგონარი პატრიოტიზმი ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა, რომლებმაც მრავალი მილიარდი შეიტანეს თავის დანაშოვი თანხებიდან სატანკო და საავიაციო კოლონების ასაშენებლად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა, აკებული დიადი ოქტომბრის მონაპოვართა საფუძველზე და გამოწრთობილი დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მარშალის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საბოლოოდ გაიმარჯვებს. იგი დაამარცხებს ფაშისტურ ურდოებს და გაანთავისუფლებს კაცობრიობას მე-XX საუკუნის ბარბაროსებისაგან.

რომანი ახლო წარსულიდან

(ა. ქუთათელი — „პირისპირი“. რომანი, წიგნი მესამე.
ბამოშ. „საბჭოთა მწერალი“, 1943 წ.)

ბოლო ხანებში ქართულმა მხატვრულმა პროზამ შექმნა რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის თემებზე. ამ მხრივ ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ალ. ქუთათელის რომანის „პირისპირი“ მესამე წიგნი. რომანი შეეხება ჩვენი ქვეყნის მახლობელ წარსულს. ნაწარმოების მთავარი გმირის კორნელი მზეიძის ბიოგრაფია ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლების ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფიის წარმოადგენს.

რუსულ და დასავლეთ ევროპის ლიტერატურას ამ მხრივ ფართო და მნიშვნელოვანი ტრადიცია გააჩნია. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ შექმნა თავისი საუკუნის ახალგაზრდა კაცის ტიპი. ლერმონტოვის პეჩორინი არის რუსეთის მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების ახალგაზრდა კაცის მხატვრულად განსახიერებელი ბიოგრაფია და ამ ბიოგრაფიაში თვალწინ გვეშლება მეფის რუსეთის ნამდვილი სურათი. თავიანთი საუკუნის ახალგაზრდის ტიპზე ჰქმნიდნენ სტენდალი, ბალზაკი, პიუგო, ფლობერი, პულჟინი, ტურგენივი, გოკო და სხვანი. გოკო მოუწოდებდა ჩვენს მწერლობას — შექმნა ჩვენი დროის ახალგაზრდა კაცის ტიპი.

ქართულ ლიტერატურასაც აქვს ასეთი ტრადიცია. ალ. ქუთათელის რომანის მიზანდასახულება სწორედ ასეთია. კორნელი მზეიძის ცხოვრების ჩვენებით მწერალმა სცადა რა ამ პირის მხატვრული ბიოგრაფიის მოცემა, თვალწინ ვიდავითშაღა ჩვენი ქვეყნის ახლო წარსული.

რომანის სახელწოდება „პირისპირი“ ნათლად გამოხატავს ორი სამყაროს, ბურჟუაზიული და სოციალისტური ქვეყნების დაპირისპირებას. ორი შოფლმზედველობა დგება პირისპირ, და მათი შეჯახების ნიადაგზე იქმნება მეტად რთული კოლიზია. ახალგაზრდა კაცი კორნელი მზეიძე, ინტელიგენტი, დაუდგენელი ხასიათის პატრონი, პირისპირ უდგას თავისავე მეგობარს, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდას, ბოლშევიკ ვანო მახათაძეს. რომანის სამივე წიგნი რელიეფურად იძლევა ახალგაზრდა ინტელიგენტის მზეიძის მსოფლმზედველობას თანდათან გარდაქმნას. მის შეგნებულ დაახლოვებას ბოლშევიკური პარტიის პოზიციებთან, ჩვენი მოწინავე საზოგადოების საბრძოლო იდეებთან. მწერალი, დააყენებს რა თავის გმირს რთული საზოგადოებრივი მოვლენების პირისპირ, დრამად ჩასწევდება მის ბუნებას, გადმოგვეყვას მის შინაგან გარემოში მომხდარ ძეგებს, სულიერ განცდებს და გრძნობებს და შივილი სისრულით წარმოგვიდგენს მახლობელი წარსულის ახალგაზრდა ინტელიგენტის ტიპს.

„პირისპირი“ ასახავს საქართველოში მენშევიზმის ბატონობის წლებს და იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ქართველი ხალხი თავისი მოსისხლე მტრების მენშევიკების ძალაუფლების დასამოხრად. რომანი გვიჩვენებს მაშინდელ საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობას, უბადრუკი მენშევიზმის ხელისუფალთა ორიენტაციას იმპერიალისტურ ქვეყნებზე. რომანის პირველი წიგნი მენშევიკური პერიოდის თბილისის ფონზე იშლება: ერთის მხრივ ასახულია შოვინისტური და ვაშწყობილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მეორე მხრივ, — საბრძოლველად გამოადრებული მუშათა კლასი. მწერალი ისტორიული მოვლენებიდან, ფაქტებიდან ყოველთვის არჩევს არსებითს, ტიპურს და აქედან ცალკეული მოვლენების სახით იძლევა მთელ სოციალურ-ისტორიულ განვითარებას. იგი ასახავს ახლო წარსულში ნამდვილად მომხდარ კომფლიქტებს და იძლევა მათს ზუსტ გამოიწვევ მიზეზებს. აქ შეგხედებთ შაქრობის ელზე მომხდარი მძიმე და საშინელი დრამა. აქვე დახატულია ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვედრა და სხვა. ამ წლებში საშინელი ეპოპეა ჯეროვან გამოასახულებას ჰპოებს რომანში.

„პირისპირის“ მეორე წიგნი იმერეთის სოფლის ფონზე იშლება. იგი გვიჩვენებს ქართველი ხალხის ბრძოლის საბჭოთა ხელისუფლებისათვის, აგრეთვე ჩვენი გლეხკაცობის ბრძოლის სოფლად მენშევიკურ ხელისუფლების წინააღმდეგ.

მწერალს რომანში ბევრი ისეთი ტიპი გამოჰყავს, რომლებიც სულ ახლებურად ხასიათდებიან ჩვენს მწერლობაში. მწერალი დიდს მსატყურეს გემოვნებით იძლევა იმერეთის პეიზაჟის წარმატებულ კოლორიტს, წინაჩვეულებებს, ხალხს კინას და ლზინს. ავტორი თავის გმირის ცხოვრების გვიხატავს სრულის დამაყურებლობით. დიდი იდეური გარდატეხა ხდება კორნელის მხედის ბუნებაში. ცხოვრების პირისპირ მდგომარეობაში ახალგაზრდა რწმუნდება, რომ მომავლის გზები ია და ვარდით როდია მოფენილი, რომ საჭიროა ბრძოლა უკეთესი მომავლის შესაქმნელად. „რკინიგზის, ლინდაგზე მდგარი კორნელის ფიჭვი ფიჭვს მისდევდა, ერთ გარკვეულ მოსაზრებაზე მიივებოდა აცხული, და ებ მოსაზრება მიმართული იყო მისი ჭეჭუნის მომავლისა და ამ ჭეჭუნაში თავისი წილის და დანიშნულების შეცნობისაკენ“. იმერეთის პატარა რკინიგზის სადგურზე მდგომარეობს კორნელი ხედავდა, თუ როგორ მიდიოდნენ საქართველოდან დამარცხებული გერმანიის საოკუპაციო ჯარის ემელონები. მას უძეკრად გაახსენდა თავის მეგობრის ვანო მახათაძის სიტყვები, კარსმეურთის სამკითხველოს წინ თქმული: „საქართველოს დამოუკიდებლობა მტკნარი სიკრუვეა. სამშობლო მენშევიკებს ფეხებზე ჰკიდიათ“. ახალი ფიქრით, ახალი გრძობით სახეცელი კორნელი მხეიძე სტრუგებს სოფელს და მიდის თბილისში. აქ მთავრდება რომანის მეორე წიგნი. პირველ ორი წიგნის შესახებ ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრივებამ უკვე გამოსთქვა თავისი შეხედულება და აღნიშნა რომანის მხატვრული ღირსება.

აღ. ქუთათელის „პირისპირის“ მესამე წიგნი მთელი სიმპატიით არის დახატული მენშევიკური ხელისუფლების კრიზისისა და რღვევის და ქართველი ხალხისთვის მენშევიკების შეოხებით დატრიალებული ნაციონალური უბედურების მძიმე წლები. მენშევიკურმა ხელისუფლებამ სრული ქაოსი შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვიწრო ნაციონალისტური იდეების ქადაგებით მან მტრობა და სიძულვილი ჩამოაგდო საუკუნოებით მეგობრულად განწყობილ ერთა შორის. ამხანაგი სტალინი თბილისის პარტორგანიზაციის კრებაზე 1921 წლის 16 ივლისს წაკითხულ მოხსენებაში ამბობდა: „საკვირველი არ არის, რომ ამ მოშამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა.“ რომანში ნაჩვენებია ეს მომენტი, კერძოდ, სიმეს-ქართველთა ომი, რაც ერთ-ერთ ყველაზე უფრო სამარცხვინო ლაქად დარჩა მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის მოკლე ისტორიაში.

მწერალი ნათლად გვიხატავს თავისი რომანის ცენტრალური გმირის სულეირ გარდატეხის, მის პოლიტიკურ ევოლუციას. ცხოვრებისა და თავის თავზე დაკვირვების შედეგად კორნელი ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დგება და აშკარად გრძნობს მოძვე ერთა შორის კინკლაობის მავნებელურ შედეგს.

კორნელი მხეიძე რომანის ამ ნაწილში წარმოგვიდგება როგორც ნამდვილი პატრიოტი თავისი ხალხისა, თავისი ჭეჭუნისა, მისთვის გულშემატკივარი. იმავე დროს იგი ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძობით გამსჭვალული ადამიანია, რომელმაც იცის სიყვარული მეგობარ ერებისადმი.

კორნელი მხეიძის სახით აღ. ქუთათელმა შემოიყვანა ქართულ ლიტერატურაში ახალგაზრდა ინტელექტუალური და ევოლუციური სახე, რომლის თავისებურებანი უფრო ნათლად გამოჩნდებიან, ალბათ, რომანის მეოთხე წიგნში.

რომანში მწერალმა დაგვიხატა აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი ქალის ნინო მაყაშვილის მტკნალ სიმპატიური სახე. კორნელის და ნინოს სამიჯნურო ურთიერთობა ფაქტობრივად ხასიათდება. ნინოს სახით მოცემულია ახალგაზრდა, ლამაზი ნიქიერი ქალიშვილის პიროვნება, თუმცა მასში ძლიერია ტრადიცია, ოჯახისა და გარემოს დიდი გავლენა. რომანტიკული გატაცება ნაკლებად ახასიათებს მას. იგი მონა-მირჩილია ოჯახის და მშობლებისა. ამიტომ მისი რომანი კორნელისთან ვერ არის გაბედული. იგი ვერა სიმოხს საკუთარ გარემოს საყვარელ კაცისთვის. მოკრძალება, გაუბედაობა, ხშირად ანგარიშინაობაც კი ახასიათებს მას სიყვარულის გრძნობაში.

ნინო მორჩილია მამისა, თუმცა კორნელი მას თავდავიწყებამდე უყვარს. იგი ხმის შებრუნებისკ ვერ უბედავს ესტატქა კორნელისა და მისი იდეის სისწორეში ტყვეც-კი არ შეტყეს ნინოს. იგი დარწმუნებულია კორნელის სრულ სიმართლეში. მაგრამ აქტიური გალაშქრება მშობლების წინააღმდეგ ვერ გაუბედნია.

რომანის მესამე წიგნში მწერალი დართოდ გვიხატავს ქართველი ინტელიგენციის დეკადენტური, სიმბოლისტური, ჯგუფის ცხოვრებას. განსაკუთრებით შეიძლება ვთქვათ პოეტ-დეკადენტის და თავისებური პიროვნების პლაცონ მოგვეხსენიებოდეს. ზოარი, პარადოქსების მოყვარული მოგველაძე რომანის პირველ ორ წიგნშივე მრავალჯერ გვხვდება, მაგრამ მესამე წიგნში იგი უკვე დასრულებული სახით წარმოგვესახება. პლაცონი ძალზე თავმოყვარეა, მას ისიც სჯერა, რომ ეს „შვი მას“ და საცოდავი „კაცუნები“ მის პერსონას, უცხო გმირსა და ადამიანს მოწიწებით და თავყინისცემით უნდა ექცოდნენ. პლაცონი ტიპური განსახიერებაა ქართველი ინტელიგენციის დეკადენტური ფრთისა, რომელიც ევროპული კულტურის დაგვიანებული, უბადრუკი ემიგრანტი. იმავე დროს იგი ცრუპატრიოტულ პოზაშიც გვევლინება, ნამდვილად კი ზიანს აყენებს პატრიოტიზმის ტეშმარტ მცნებას. პლაცონი ცხოვრებას მოწვევებითი ზერეცე ადამიანია. უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე აცეთებს. მის თავი მოაქვს ისტორიის მკოდნედ, ხალხის გულის მესაიდუმლედ. ნამდვილად კი ისტორიული დაქტებისა და მოვლენების ვულგარიზაციის ეწევა.

აღ. ქუთათელმა რომანში შექმნა მთელი რიგი ტიპებისა, რომლებიც დარწმუნებია ჩვენი ლიტერატურაში და შეინარჩუნებენ აქტიურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ემოციურ ზემოქმედებას. მწერალმა გაამდიდრა და გააფართოვა ქართული მწერლობის მიერ შექმნილი ტიპების გაღერევი. აღ. ქუთათელის ნაწარმოებში ასახული არიან აგრეთვე ისტორიული აქცილებლობით ცხოვრების ასპარეზიდან მიმავალი დრომოქმული კლასები თავიანთი ადამიანებით, ტრადიციული ჩვევებითა და მორალით. ასეთები არიან, მგალითად, ოტია მდივანი, მისი მთელედ ხაბო, მარგარიტა ლეტა, გერმანელი ქალი, ვარუენილი და გაქსეებული, სპექტულიანტი და ავხორცი, მიხაკო შაკეგარიანი, ამორალური ადამიანი, ცინიკი მრავალი თავისებურებით. მეორეს შხრიც, აღ. ქუთათელი თავის რომანში იძლევა ჩვენი ხალხის წილიდან გამოსული ადამიანების სამახსოვრო სახეებს. გოჯასპირის შვენიშნავად დაბატული სახე წარუღულ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

ამვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ მწერალი ზომიერებას ვერ იჩენს. გრძობს რა მხატვრული დეტალს სიძლიერეს, იგი მრავალჯერ იმეორებს მას შთაბეჭდილების გასაღრმავებლად, ამასთან იმდენად ხშირად, რომ კარგი მხატვრული დეტალი ჰკარგავს თავის ძალას. მაგალითად, გოჯასპირის ძლიერი ბუნების დანახატავად მწერალი ერთ დეტალს წარმოვიდგინო—გოჯასპირი გვიამბობს: „უნდა გენახა, რას გავდა. ხარის თვალთვით მაკვდა. ყურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერმე დანის წვერით ავხიბ“. გმირის შინაგანი ბუნების სიძლიერის გადმოსაცემად ეს დეტალი კარგია, მაგრამ მისი რამდენჯერმე სხვადასხვა ვარიაციით გამეორება სავირო არ არის. ბოლშევიკ ენო მახათაძის სახეს მწერალი შემდეგი დეტალით გადმოგვცემს: „საკინძეშენსნილ მის გამზადარ და გრძელ კისტრე, კომისის წნელითი დაგრეხილი და მოლურჯო მარღვი გაპერილიყო და გამალეებით ძვარდა“. სხვადასხვა მომენტში, ენოს პიროვნების ასახვისას მწერალი აღნიშნულ დეტალს მრავალჯერ იმეორებს.

აღ. ქუთათელის რომანის მესამე წიგნში ცხოვრებას უკვე თინდათან ეპატრონებთან და მისი უკეთესობისათვის იბრძვიან სისხლკარბი და სიცოცხლით სავსე ადამიანები იმ კლასისა, რომელსაც ისტორიამ კაცობრიობის ხედი ჩააბარა. ასეთები არიან ახალგაზრდა ბოლშევიკი ენო მახათაძე და მისი მეგობრები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძვიან. რომანში განსაკუთრებული დამაჯერებლობით გვიხატავს ავტორი ენოს სახეს, რომელიც საზოგადოებრივი მოვლენების რთული გადაყენების დროსაც-კი ინარჩუნებს ვაეკულრ სიღინჯეს და თავგამოდებით იბრძვის მისებში შეგნების შესაძენად. მის დიდი აღმზრდელითი უეგვლენა აქვს კორნელზე, თუმცა ისინი ასაკით თანატოლები არიან.

მწერალმა კორნელის დედის სახით საინტერესო სახე შექმნა ხანდაზმული ქართველი ქალისა. ტერეზა თავდაპირვლი, პრაქტიკული გონების ქალია, შვილის დახასიათებით. თუმცა „ქვაწეა“, ხელმოკერილი ქალია, მაგრამ მისში მიხინც განსახიერებულია მრავალი კარგი თვისება: პრაქტიკული ჰქუა; წინდახედულება, უადრესად ფაქიზი მშობლიური გრძობა, გარჯილობა და მუყაითობა.

საერთოდ მწერალი სრულის დამაჯერებლობით გვიხატავს ვმართა მთელ გაღერევისათვის თავის რომანში. მისთვის მიუღებელია ხელაღებით ქება ინ დამკირება დაღებით თუ უარყოფითი გმირისა. ავტორი გმირს წარმოვიდგინს მთელი თავისი სიყვარულით. მისი რომ-



შინის გმირთა გაღურება თავისებური განმასხვავებელი ინდივიდუალური ნიშნებით არის წარმოდგენილი. ცხადია, ამ რომანის ღირსება ის, რომ მასში მძაფრი დრამატული მენტები მხატვრულად გადმოცემული. რომანს არ აკლია არც მომქმედი პიროვნებები, არც გიჟი ანალიზი, შთი საქციელის მოტივირება. ამიტომ მომქმედი პირებიც ცოცხალი და ჩამოყალიბებულნი არიან.

ავტორი ზოგჯერ ტვირთავს თავის რომანს ფაქტობრივ მასალით. მწერალი, იძლევა რა მენშევიცური ხელისუფლების უზადრეც სახეს, ხშირად იფიქრებს მთავარი გმირის ამბავს და კარგა ხნობით გვერდით სტოვებს მას, ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პირველ წიგნში, ნაწილობრივ მეორე წიგნშიც. მესამე წიგნში ეს ნაკლებად დამჩნეულია. აქ ძირითადად მწერალი შეიძრო კონტაქტში აქცევს გმირსა და საზოგადოებრივ მოვლენებს.

„პირისპირში“ მყევთრად არის ნაჩვენები მენშევიცური ხელისუფლების რღვევის ისტორიული აქტიულობა. იმავე დროს მწერალი მომავალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განწყობივ ხედვებს ახალ ძალას, რომელიც თანდათან მძლავრდება, ეუფლება საზოგადოებრივი ყოფის სიმაღლეებს. ამ შემთხვევაში ის კონტრასტებს მიმართავს პირველ წიგნში მრავალ საინტერესო კონტრასტსა სოციალურ ყოფიდან ამოღებულს. ასევე მეორე წიგნში — გლეხობისა და აზნაურული ყოფის დაპირისპირებით მხატვრულად ძლიერ სურათებს გვაძლევს ავტორი. ეს ხერხი, მხატვრული პროზისთვის დამახასიათებელი, კარგად არის გამოყენებული რომანში. რომანში მწერალი მრავალხრივ წარმოგიდგენს თავის გმირს ბუნებასთან კონტაქტში. გმირის სულიერ განწყობილებას უკავშირებს ბუნებას, თუმცა ეს ახალი რეალია. დიდი ტრადიციის მქონე ქართულ ლიტერატურას ამ მხრივ გააჩნია კარგი მონაცემები, თუნდაც ალ. ყაზბეგის შემოქმედების სახით. მაინც ალ. ქუთათელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, ეს ხერხი მწერლის მიერ ავტოგონ მხატვრულ სიმაღლეზე აყვანილი. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად არის მოკმედი მესამე წიგნის ფინალი და ზოგერთი ცალკეული თავი, მაგალითად, „მკედრის მზე“.

რომანის საერთო კომპოზიციაში, სამწუხაროდ, იგრძნობა ერთდავეარი დისპროპორცია ზოგიერთი ადგილის გადაჭარბებულ აღწერაში. მაგალითად, ძალიან საგრძნობია ხელოვნურ დამრკობლათა შექმნა კორნელისა და ნინოს სიყვარულში. ამ ინტრიგების ქსელს ჭეშინთო ერთი მომქმედი პირობაინი — ელიკო, რა სურს ამ გმირს, რატომ იჭედა ასე — გაუგებარია. მისი საქციელი არ არის მოტივირებული. გაკვიანრებულა და ზოგჯერ გმირსთვის ზნეობრივად დამამკირებელია დამოკიდებულება ვარყენილ მარგარიტა ლეტთან. გადაჭარბებულია ინტელიგენციის დეკადენტური, სიმბოლისტური აგუფვის ცხოვრებისა და ყოველდღიური ყოფის სურათების მოცემა. რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია რომანის მთავარი გმირის ცხოვრებაში. ეს ეხება განსაკუთრებით თავებს: „ქუმერიონი“ და „პოეტები“.

ალ. ქუთათელის რომანი საერთოდ წარმოადგენს თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის საუკეთესო მიღწევას. მას ახასიათებს საზოგადოებრივი მოვლენების ასახვის დროს სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გამოყენება. მწერალს ამ რომანის შექმნის საქმეში სტიმულს აძლევდა ამხანაგ ლ. პ. ბერძანის შესანიშნავი წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური შთაგონების წყაროა.

რომანი „პირისპირ“ უაღრესად მნიშვნელოვანსა და საყურადღებო ნაწარმოებს წარმოადგენს თანამედროვე ქართულ საბჭოთა პროზაში. შინაგანი აღნაგობის მხრივ იგი მრავალ სირთულეს შეიცავს. მისი ფართო ფონი და ტიპების მდიდარი გაღურება ავტორის ძლიერი მხატვრული პოტენციისა და ერუდიციის მაჩვენებელია. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისი რომანის ყველა ნაწილი დიდის ინტერესით იკითხება, რაც უსათოდ მწერლის გამარჯვებას მოწმობს.

დავ. შამათავა.

ალექსანდრე აბაშელი — „სამშობლოსადმი“

საბლიტბამი, 1943 წ.

 ერეკლეშვილი
 გიგლიძისძე

არასოდეს ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებითი ცხოვრება არა ყოფილა ისე მდიდარი, როგორც უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით სამამულო ომის პერიოდში. პოეტის პატრიოტულმა ალტკინებამ ფართო გამოხატულება. პპოვა გერმანულ ფაშიზმთან საბჭოთა ხალხების გმირული ბრძოლის მძაფრ დღეებში.

მხატვრული გულწრფელობითა და განცდათა უშუალოებით არის დაწერილი იღ. აბაშელის სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. განახლებული სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ პოეტის გულში მკვიდრი ადგილი დაიჭირა: სამშობლო ყოველთვის აღელვებდა და აღაგზნებდა პოეტს, მაგრამ დღევანდელი სამშობლოს სიყვარულის გრძნობა სულ სხვაა. იღ. აბაშელის მთელი პოეტური არსება განახლებული სამშობლოს სიყვარულს შეუტყობია, იგი მოუხიზლავს აყვავებულ ქვეყნის მიწის სურნელებას, მის მარად მოკაშვავე ცასა და მზურგაღე მზეს, ჩვენი სამშობლოს მუდმივ გაზაფხულს.

როცა პოეტმა შეიგრიწო სამშობლოს მუდმივი გაზაფხულის ძალა, მისი ლექსების რიტმი მზიარული და ხალისიანი შეიქმნა, ძველი სევდიანი განწყობილება შესცვალა სიხარულმა, საზეიმო განცდამ. სამშობლო ქვეყნის ბუნებაში, მის ლამაზ პერზეშიც ახლა პოეტი სულ სხვა სურათს სკვრეტს.

ჩვენი სამშობლოს პეიზაჟი ყოველთვის ლამაზი იყო, მიმზიდველი, მაგრამ ეს სილამაზე წარსულში ჩვენი პოეტისათვის სევდის წყარო უფრო იყო, ვიდრე სიხარულისა, თუმცა ეს სევდა არა ყოფილა სასოწარკვეთილების მათუწებელი. ქართველი ხალხის სევდიან მულო-დიაში ყოველთვის ისმოდა გმირული ხმა, რასაც ძალას „ზეცის გამოდარების მოლოდინი“ აძლევდა. საბჭოთა პატრიოტული გრძნობის გამაძაფრებისათვის ალექსანდრე აბაშელი ხშირად წარსულის ფონს იყენებს. ამით პოეტი უფრო ნათელს ხდის ჩვენი ეპოქის სიდიადეს:

„გჭონდა სიმაგრე მკლავის და მუხლის,
 ბევრი ტრამალი გადაგიფლავს,
 მტერს ახვედრებდი ვაჟაკურ ტუჩილს
 და ქარჭიანიდან ამოსულ ელვას“.

რევოლუციით განთავისუფლებული ჩვენი სამშობლოს ცხოვრება სულ სხვაანაირი შეიქნა. ხალხმა შეინარჩუნა რა გმირული სული, მთელი თავისი ენერჯია და უნარი ქვეყნის აყვავებას მოახმარა. ცხოვრება გახადა მიმზიდველი და ხალისიანი.

მიმართავს რა სამშობლოს, პოეტი ამბობს:

„შენი მინდვრების ელავს ხავერდი,
 მას კოდან ოჭოს სივები აწვიმს,
 ლურჯმა პაერმა გადაუსწია მკერდი
 შენი ბუდიდან აფრებილ არწივს,
 ის შენს ცა-ფირუზს უღელს გარშემო,
 როგორც მნათობი გაუჭრობელი,
 მან აყვავა, სამშობლოე ჩემო,
 შენი კალაქი, შენი სოფელი“.

ბოლო სტრიქონებში პოეტი გულსხმობს იმ იდამიანს — რომელმაც ქვეყანას სიხარული მიუტანა. ამ სახეს პოეტი ისე სათითად და სიყვარულით ხატავს თავის ლექსებში, რომ მკითხველი დაუსახებლად გრძნობს მას მთელი თავისი არსებით, მისდამი სიყვარულით იმსჯელება. ეს ის უდიდესი იდამიანია, რომელმაც ჩვენი ქვეყანა აყვავა, ცხოვრება საამუ-რი და ბედნიერი გახადა, შემდეგ კი მტკიცედ დაიცვა მისი დამოუკიდებლობა და თავისუფ-ლება გერმანულ დამპყრობელთა ურდოების შემოსივისაგან, უზრუნველყო წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებები. პოეტი ისტატურად აღწევს უშუალო და მახლობელი გახადოს მკითხველისათვის ის, რაც მახლობელია მისთვის. აქ იგი უშუალობასთან დიდ სითბოსაც ამჟღავნებს. თბილია და გულში ჩამწვდომი სტალინზე ნათქვამი პოეტის სტრიქონები:

„ეს სახელი შეტია,
 მარად გაუჭრობელი,
 ის ჩვენს ფიტრებს თანა სდევს,
 ის ჩვენ გვათბობს, გვანათებს,
 მზეა თუ ქარბუქია, —
 ჩვენ მისი ვართ მშობელი“.

დიდი სტალინის სახელი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის აღორძინებასთან, მის ჭრეულ მიწაზე. სტალინმა აღადგინა, რაც საუკეთესო იყო ჩვენი ხალხის წაქეზებული უკიდურესობით შეშინა და აბალი განათება მისცა მას. ჩვენს დღევანდლობასთან კავშირა დიდმა სტალინმა წარსულის საუკეთესო ტრადიციები და ამით უფრო მდიდარი და საინტერესო გახადა იგი. პოეტმა კარგად გრძნობს ამას, იგი თვითონაც სიყვარულით ეყარობა საქართველოს წარსულს და მის ფონზე მომზადები ფერებით ხატავს აწმყოს.

სამამულო ომის პერიოდში უაღრესად ინტენსიური გახდა ალ. აბაშელის შემოქმედება მის უცანასკნელ ლექსებში შერიკ გამოხატებით ძალაა, შერიკ პატრიოტული აღტაცება, გმირული ხმა და სამშობლოსათვის თავდადების გრძნობა. მისი უცანასკნელი ლექსები საყვარელით ამართლებენ პოეტის სიტყვებს:

„როცა დღე, ომის გრილით საცხე,
ციცხლსა და კვამლში დაიბნედა,
სამშობლოს ვარსკვლავს მე ეხედავ
და ჩემს გულშიც ციცილი ინთება.
ყოველთვის როცა ამ ციცილის გზაზე
გოლს გამხრევიბის ძალა სჭირდება
სამშობლოს ვარსკვლავს შეიხედავ ცაზე
და მღეროე ფიჭვი დამეწმინდება“.

სამამულო ომის პერიოდში ალ. აბაშელი მთელი შემოქმედებითი ენერგიით ამტყველდა. იგი თავისი სადა ლექსებით დიდ იდეურ შემოქმედებით გავლენას ახდენს მკითხველზე და ზრდის მასში შეტუბორების, სამშობლოსათვის თავდადების, დიდი სტალინის საქმისათვის ერთგულების შეგნებას. ამასთან, ალ. აბაშელის ლექსები ეერაგი მტრისადმი შტრისძიების გრძნობასაც აღვივებს და მოუწოდებს თავის მკითხველებს ეეკატური ზრძოლისაკენ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისაკენ.

„ცამ დაიჭება გუშინ,
მეხიც გაეარდა ბევრი.
დილა გათენდა. ტუში,
და ფეხზე დადგა ერი.
ცამ დაიჭება გუშინ, —
კარს მოგვადგაო მტერი!
როგორ გაბედა ძალღმა
ჩვენს ვალავანზე ასელა?
უნდა დაუშეათ დაღმა
სისბლი და ცრემლი ვსვავთ!
როგორ გაბედა ძალღმა
რკინის ეედლებზე ასელა?
აია! სამშობლოს იცავს
ძლევაშისილი ხმალი,
ჩვენს აყვავებულ მიწას
ეერეინ წავგართმევს ძალით,
რადგან ქვეყანას იცავს
ძლევაშისილი ხმალი“.

ასე ძლიერად სწამდა და სწამს პოეტს ჩვენი ხალხის სიმტკიცე, წითელი არმიის შიერ ფაშისტ დამპყრობელთა განადგურების გარდუვალობა. ამ რწმენით არის გამსჭვალული ალ. აბაშელის სამამულო ომის პერიოდის შემოქმედება. ამასთან ალ. აბაშელი არსად დაღლატობს თავის პოეტურ ისტატობას, მისი ლექსები დახვეწილია, მოფიჭრებით მთლიანი, აზრობრივად ნათელი.

მეგრამ აქვე უნდა შევნიშნათ, რომ ზოგიერთ ლექსში არ იგრძნობა სიხალღე, შინაგანი სითბოც არ არის თანაბარი. შეიძლება ეს აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ ყველა ლექსი ერთი დიდი თემის გარშეშაა დაწერილი და ძნელი ზღვება პოეტისათვის ყველა ლექსს აბალი და ორიგინალური მხატვრული ფორმა მოუნახოს, აბალი პოეტური საყვარულით აკონძოს ისინი.

აღ. აბაშელის უახლოესი შემოქმედების საერთო ტონს მაინც მისი საუკეთესო ლექსები ქჷნაიან. ცალკეული გამოცემისებია ვერ დაარღვევენ მთლიან შთაბეჭდილებას. საბოლოო წიგნში მოთავსებული ლექსები პოეტის გულის სიღრმეიდან წამოსული ერთი შეხედვით ვერ წარვლენ სიმღერას, რომელშიაც გამოხატულია სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული და მტერზე საბოლოო გამარჯვების დიდი რწმენა.

ბ. ანტონაბაძე.

საქუარაღებო წიგნი ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

(აღ. ბარამიძე — „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ ტ. II. სტალინის სახ. თბილ. სახ. უნ. ტის ბამოცემა, თბილისი, 1940 წ. გვ. 451).

პროფ. აღ. ბარამიძის წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ გამოკვლევების კრებულს და განკუთვნილია უმაღლესი სკოლის დამზარებელ სახელმძღვანელოდ; წიგნში უმთავრესად მიმოხილულია მე-15—18 საუკუნეების სალიტერატურო მასალები, ქართული ლიტერატურის მესამე პერიოდის უმთავრეს წარმომადგენლების შემოქმედება და აღბრულია მეცნიერულ-ლიტერატურული მნიშვნელობის მრავალი საინტერესო საკითხი ჩვენი წარსული ცხოვრების კულტურის წიაღიდან.

სარეკენო წიგნი საგულისხმო მოვლენაა ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის დარგში; იგი მთელი ამ დარგის (ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის) ზრდისა და წინსვლის მაჩვენებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ წიგნში სადღო არაფერია და პროფ. აღ. ბარამიძის მიერ აქ გამოთქმული ყველა მოსაზრება მისაღებია.

მკვლევარი აქა-იქ არა საყესებით სწორ შეხედულებებსა თუ დებულებებს იცავს და ჩვენ გვიჩვენებს აქ ზოგიერთ მათგანზე შეგჩერდეთ:

1. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების კვლევა იმთავითვე არ იდგა სწორ საფუძვლებზე; მკვლევარები, და მათ შორის პროფესორი აღ. ბარამიძე, ჩვენი ვერსიების საერთო ხასიათის გარკვევისათვის ვერდნობოდნენ მხოლოდ და მხოლოდ „შაჰ-ნამეს“ ბექდურ (ვულგარისა და მოლის) გამოცემებს, რის გამოც ბევრი რამ აღუსწავს და გაურკვეველი რჩებოდა.

„შაჰ-ნამეს“ სპარსული ვერსიების (განსაკუთრებით მე-15—16, მე-17 და მე-18 საუკუნეებში შემუშავებული ვერსიების) შესწავლამ ბევრ რამეს მოჰქინა წეთელი.

ორკვეა, რომ ჩვენი ვერსიები მომდინარეობენ „შაჰ-ნამეს“ შერყვნილი, ინტერპოლირებული, როგორც ლექსითი, ისე პროზითი ვერსიებიდან და თავის შერეუ ქართულს ნიადაგზედაც ზდება ამ ისეთი შერეული ტექსტების შერევა.

პროფ. აღ. ბარამიძე ერთ შემთხვევაში, კერძოდ, როცა ის ლაპარაკობს თბილისისა და ლენინგრადის „შაჰ-ნამეს“ პროზული ვერსიების ხელნაწერთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე, აღნიშნავს რედაქციული აღრეულობის ფაქტს და სიმარტილიანადაც წერს:

„ვადამწერი ისეთ მიმართულებას აღღევს ამებებს თანმიმდევრობას და ორ რედაქციულ ტექსტს ერთმანეთს ისე ათანმებს, რომ ლოგიკურობისა და ბუნებრიობის სრულ ილუზიას ქჷნისო“ (გვ. 40); მკვარამ მკვლევარი ვერ აჩვენებს ისეთ გარემოებას სხვა შემთხვევაში და ამის გამო მას ზოგიერთი საკითხის მიმართ ვალგებრობა გამოუდის. ერთგან იგი წერს: „საამიანი“ „ზაქიანის“ უშეღაო ვაგარქელეაია“ (გვ. 82).

პროფ. აღ. ბარამიძის შეყვლობიდან მამუკა მდიენის მიერ ვალგეჰალი „ზაქიანის“ ლიტერატურული წყაროების შესახებ შემდეგს ეტყობილობთ: „მართალია, მამუკა იცნობდა „შაჰ-ნამეს“ მიმამდგელის ქართულ პროზით ვერსიას და თავის ვალგეჰალ რედაქციაში აქედან ზოგიერთი დეტალიც შეუტრანია (მაგალითები ნაჩვენებია ჩვენი წერილში, გვ. 70—77.— აქ ბარამიძის მხედველობაში აქვს მისი აღრინდელი შრომა „შენიშვნები შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, საჭ არქივი, 111, 1927 წ.—დ. კ.), მაგრამ მძირითად წყაროდ მას ჰქონია საკუთრივ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ თარგმანი“ (გვ. 47).

სამის შესახები ეპიზოდების ლექსით ვერსიაზე ავტორი შემდეგს წერს: „სამის ამებები კ. ლექსად შეუწყვია „სამიანის“ სახელწოდებით ბარქიმ ვაჩანაძეს. ვაჩანაძე ზედმეწინით სიახლოვით იმეორებს თავის პროზულ დედანს (ლაპარაკია „ურრუთიანი-სამიანი“

ნის", — ასე უწოდებს წიგნის ივტორი ამ ნაწარმოებს, — პროზულ ვერსიაზე — დ. კ.) და მხატვრულ ღირსებებსაც არაა მოკლებული" (გვ. 82).

ახლა საკითხი აშინიად ისმის: თუ „ზაქიანის“ გამლექსავი მამუცა მდებარეობდა ეწყობოდა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართულ პროზულ ვერსიას, საიდან უნდა შეეტანა მას მის მიერ, ვალეტელ „ზაქიანში“ უკანასკნელი თავი „აჰა ვითივდა ზაქის ამბავი და დრიდონ გახელმწიფდა“ რომელშიდაც გადმოცემული ამბავი შინააჩსულად არ უდგება სპარსული „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტს და არც „შაჰ-ნამეს“ ქართულ პროზულ ვერსიას?!

ან და „სამიანი“, რომელშიდაც ფირდოუსის „შაჰ-ნამესგან“ სავსებით გამსხვავებული ამბებიცაა გადმოცემული, როგორ წარმოადგენს „ზაქიანის“ უშუალო ვაგრძელებას, თუ „ზაქიანი“ და „სამიანი“ სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ?

მართალია, მამუცა მდივანს, როგორც ეს აღნიშნული აქვს პროფ. ალ. ბარამიძეს (გვ. 47), ნაწილობრივ უსარგებლად S 1594 და H 921 ხელნაწერებში წარმოდგენილი ნაწარმოებითაც, მაგრამ ამ ნაწილობრივ საკვებლობაში არავითარ შემთხვევაში არ ივლენს სხვაობა. — ზაქის ამბავის შინააჩსულად დამთავრების შედეგად, — მამუცას მიერ უცნაური ნაბტომის გაკეთება ნარიმანის ამბავის ლექსად წამოწყება და მისი დამთავრებლად მტკიცება.

პროზულ ვერსიებში წარმოდგენილი ნარიმანის ამბები, რაც თანამედროვე სახის „ზაქიანისა“ და „სამიანის“ ლექსის ვერსიებში გვხვდება, ერთი თანამედროვეობითაა გადმოცემული. ეს გარემოებაც კი იმავე მიზეზითობს, რომ ეს ამბავი ამავეთი თანამედროვეობით ერთ მუდღვეს უნდა გაეღვას, ყეროდ იმას, ვისაც საამის შესახებ ამბების ვალეტელს მიაწერენ. ე. ი. ბარძიშ ვაჩნაძეს. ამის ისიც აღსატკრებებს, რომ გვიანდელი დროის რედაქციის „სამიანის“ ტექსტი იწვება სტრიქონით:

„აჲ ლექსიდა ეთქვა ამბავი საამის გმირთა გმირისა“, რითაც, როგორც ამის მართებულად აღნიშნავს ავადმოცოსი კორნელი კეკელიძე (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 294), შექმნილია დამოუკიდებელი ნაწარმოები იწვებოდაც.

ცხადია, პოეტს საამის ამბავის ლექსად შეწყობამდე აქვს რაღაც ნიჭიანი, რომლის ვაგრძელებას საამის ვალეტელი ეპიზოდები წარმოადგენენ და ისეთია S 1594 და H 921 ხელნაწერების სახით წარმოდგენილი პროზული ვერსიის წინა ნაწილების ლექსითი რედაქცია (S 61), რომელიც პროფ. ალ. ბარამიძეს, არა ბარძიშ ვაჩნაძის არამედ დიდი აწინაში მწერლის ვალეტელად ეკუთვნება (გვ. 82).

ლექსითი „სამიანი“ წარმოადგენს — როგორც ეს უკვე ცნობილია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში — ამ ნაწარმოების უკანასკნელი ეპიზოდების ვალეტელს, რომელსაც ჩვენი მწეწერები „უთრულიან-სამიანის“, „ფრიდონიან-სამიანის“ და სხვა სახელებს უწოდებენ.

აქ საამის ეპიზოდები ვაგრძელებდა იმ ამბებისა, რაც ამ ნაწარმოების წინა თავებშია გადმოცემული და ეს ბუნებრივია, რადგანაც საამის ეპიზოდები ამ ნაწარმოების ნაწილებს შეადგენენ.

მასში წარმოდგენილი მთელი რიგი გმირებისა და ეპიზოდებისა უცხოა, როგორც „შაჰ-ნამესათვის“, ისე ჩვენი „ზაქიანის“ ლექსითი ვერსიისათვის, რომელიც, როგორც ამის მართებულად შენიშნავს პროფ. იუსტიანე აბულაძე (ვერსიები I, III), „ეშრობა ფირდოუსის „შაჰ-ნამესში“ წარმოდგენილ ზაქის შესახებ ეპიზოდს“. ამიტომ ლექსითი „სამიანი“ არ შეიძლება „ზაქიანის“ ბუნებრივი. მის უშუალო ვაგრძელებად იქნეს მიჩნეული.

აქ ლექსითი ვერსიების ტექსტთა შერევის ნიადაგზე ორი სხვადასხვა პოეტის, ბარძიშ ვაჩნაძის და მამუცა მდივანის ნაწარმოებებია შერეული.

2. მეკვლევი წერს: „უკანასკნელი ვერსია (შედეგობაშია ფერიდონ და ზაქის წიგნი, — დ. კ.) ყოველი ნიშნებით თურქულ წარმოშობილობას ამჟღავნებს“ (გვ. 36) და მიგვითითებს თავის აღნიშნულ გამოკვლევაზე (შენიშვნები „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, საქ. არქივი, III, გვ. 87 — 96), რომელშიდაც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მეკვლევის მიერ წამოყენებული ისეთი მოსაზრება, რომლითაც მოჩინდეს, რომ ზემოდ დასახელებული თხზულება მართლაც ყოველი ნიშნებით თურქულ წარმოშობილობას ამჟღავნებდეს“.

ჩვენი აზრით, ეს ძველი, რომელსაც პროფ. ალ. ბარამიძე, თანამედ H 605 ხელნაწერისა, ფერიდონ და ზაქის წიგნი უწოდებს, წარმოადგენს „სამიანის“ შემკველი „შაჰ-ნამეს“ შერყენილი რედაქციის ქართულ თარგმანს, საინტერესოა, რომ შერყენილი „შაჰ-ნამეს“ ეს ქართული ვერსია მომდინარეობს არა ლექსითი, არამედ პროზული ვერსიიდან და ვფიქრობ, სანდოა H 605-606 ხელნაწერში წარმოდგენილი ცნობა, რომლითაც ჩვენი თხზულება სპარსული მოთხრობის (ე. ი. პროზად დაწერილი ამბის, — დ. კ.) ქართულ თარგმანს წარმოადგენს“.

თხზულების ქართულად გადმოღებებს, რომლის ენაობა ევრაგერობით გამოტყვევებული ხელთ უნდა ჰქონდეს საქ. მუხ. მუსლიმანური ფონდის № 462 ხელნაწერის სახელით. ენაობა „შაჰ-ნამეს“ შერყენილი პროზული ევრსიისაგან მცირედად განსხვავებულია, რადგან ლეგს აქა-იქ თურქული სიტყვების შემცველი სპარსული ტექსტი, რომლის ნაწილი მის სიტყვა-სიტყვით გადმოვლია.

შთაბრუნვლს, უდაოდ, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მის მიერ გადმოღებული თხზულების ძირითად ნაწილს „საამ-ნამე“ წარმოადგენდა, ისე, როგორც „შაჰ-ნამეს“ ქართული ლექსითი ევრსიების დამამთავრებელ ზოსრო თურმანიძეს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მის მიერ გადმოთარგმნილი ბარზუს ამბავი „შაჰ-ნამეს“ გამკრძალებლის თხზულების „ბარზუს-ნამეს“ ეპიზოდებს შეიცავდა და არა „შაჰ-ნამეს“ ნაწილს.

შთაბრუნვლი ჩვენი თხზულებისა ფიქრობდა, რომ იგი „შაჰ-ნამეს“ თარგმნიდა და ახლა. მკონი, ვასაგებია თუ რატომ ეწოდება H 900 ხელნაწერით ამ ნაწარმოებს „როსტომიანი“. „შაჰ-ნამეს“ ევრსიების ქართულ ენაზე გადმოღებულები ამ სახელწოდებაში („როსტომიანი“) „შაჰ-ნამეს“ გულსმზობდნენ; ისინი, როგორც ამაში ჩვენი ევრსიების საერთო ხასიათის შესწავლა გვიჩვენებს, თარგმნიდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ „შაჰ-ნამეს“ ტექსტებს იმის გამო, რომ ისინი („შაჰ-ნამეს“ ევრსიები) ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამბებს შეიცავდნენ.

„შაჰ-ნამეს“ შერყენილი თუ შერყენილი ქართული პროზული ევრსიები ამბავს „როსტომიანის“ დასაწყისში წარმოდგენილ ეპიზოდებამდე გადმოსცემენ. საგულისხმოა, რომ გვიანდელ ხანაში მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეებში შემოშვებული „შაჰ-ნამეს“ სპარსული ევრსიები სწორედ ამ ნაწილში (ზაალის შობამდე გადმოცემულ ამბებში) არ ეთანხმებიან ერთმანეთს, რაც „შაჰ-ნამეს“ ტექსტებში სხვადასხვა საგმირო-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებების შერთვით არის გამოწვეული. „შაჰ-ნამეს“ სპარსული ევრსიების ნაირსახეობა იტყვი მიზეზად, როგორც სხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული ევრსიების, ისე ამ ევრსიის ქართულად გადმოთარგმნისა, რომელსაც ჩანართის სახით შემოყალიბა ფირდოუსის მიმბაძველის თხზულება „საამ-ნამე“.

თურქულადაც არსებობს „შაჰ-ნამეს“ პროზული და ლექსითი ევრსიები, რომელთა სათავეს სპარსულად შემოშვებული ევრსიები წარმოადგენდნენ.

ეს გარემოებად რომ არ იყოს მხედველობაში მისაღები, ჩვენს ძველს, ისევე, როგორც ამგვარი სახის „შაჰ-ნამეს“ შერყენილი პროზული ევრსიების (აგრეთვე ლექსითი ევრსიებისც), ახლავს, როგორც ინტერპოლიაცია „საამ-ნამე“ მთლიანად და „ევრსიას-ნამეს“ ეპიზოდები ნაწილობრივ. „საამ-ნამე“ და „ევრსიას-ნამე“ კი სპარსული ლიტერატურის ორიგინალური ძეგლებია. ისე, რომ ჩვენი ევრსიის ორიგინალის თურქული წარმოშობილობის საკითხი თავისთავად იხსნება და პროფ. ალ. ბარამიძის აზრით, რომ თითქმის ეს თხზულება „ყოველი ნიშნებით თურქულ წარმოშობილობას ამჟღავნებს“, „ევრსიას-ნამეს“ გამართლებას.

3. პროფ. ალ. ბარამიძეს კარგად აქვს შესწავლილი ფირდოუსის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები; წიგნი კარგადაა დახასიათებული ფირდოუსის ეპოქა, გარკვეულია პოეტის შინაგანი-ლიტერატურული მნიშვნელობა, დეტალურად გადმოცემულია „შაჰ-ნამეს“ სპარსული, ძირითადი ტექსტის შინაარსი და ყოველივე ეს იმაზე მაკეთილეთებს, რომ ავტორს შეეძლო თავიდან აეცილებინა ის მცირე უზერხულებანი, რაც წიგნის ამ ნაწილსაც ახასიათებს.

ა) უმართებლოა ავტორის შენიშვნა ბერტელსისადმი, თითქმის იგი თავის წიგნში „ახლ უსამ ფირდოუსი და მისი შემოქმედება“ (ლენინგრადი, 1935 წ. რუსულ ენაზე) სისწრაფით არ გადმოსცემდეს „შაჰ-ნამეს“ შინაარსს („ნარკვევები“, II, გვ. 25, შენიშვნა).

საქმე ამაშია, რომ ბერტელსის მიერ გადმოცემულ შინაარსით ფერიდუნს შეილია ჯემშიდის; ელერისის ტექსტის მიხედვით კი, რომლითაც ალ. ბარამიძე სარგებლობს, იგი შეილია აბდინისა და ფირანქანისა. ბერტელსი აქ „შაჰ-ნამეს“ შინაარსს გადმოგვცემს ევლერისის ტექსტისაგან განსხვავებული ტექსტის მიხედვით; ხომ არსებობს „შაჰ-ნამეს“ ისეთი ევრსიები, რომლებიც ფერიდუნს ჯემშიდის შეილიდ თვლიან?

ბ) მკვლევარს განხილული აქვს ფირდოუსის სახელით ცნობილი „სატირა სულთან შაჰ-მულუჟ“ (გვ. 22).

ამ სატირის ბეითების დიდი ნაწილი გვხვდება „შაჰ-ნამეს“ სხვადასხვა ადგილებზე; ფირდოუსის უკუდავი სიტყვებია: „კეთილნიშენი სასაზღვრები გავგვრანდება“ და სხვ., რაც მის



წიგნში პროფ. ბარამიძეს სატირის სტიტიკონებთან ერთად წარმოდგენია (ხელობა, სატირის სტიტიკონებად სიფლის) სიტყვა-სიტყვით იკითხება „შაპ-ნამეში“ (იხ. ელ. ლეჟანის წიგნი „სატირის სტიტიკონები“).

საველოსშია, რომ სატირის პეიტიები გვხვდება „შაპ-ნამეს“ იმ ადგილებში, რომლებიც შაპულის ქება-დიდებას გამოხატავენ: ყაბლის შქნელს, როგორც ეტყობა, ფირდოუსის გარდაცვალების შემდეგ „შაპ-ნამედან“ გამოუტყრებია ეს ადგილები, შეუცვლია მათი დანიშნულება და მაშუღლისადმი მიმართულ გველიან სატირაში გაერთიანებია. ასეა თუ ისე, მეცნიერებაში არსებობს ეჭვი: სატირა ფირდოუსის ნახელავი არ უნდა იყოს, და ეს გარემოება, ჩემი აზრით, ვაკვრით მაინც უნდა აღენიშნა პატივცემულ მკვლევარს.

4. სიტყვა „ფირდოუსი“ ფსევდონიმია პოეტისა, იგი წარმოდგენილია სადაცრობის ილმინიშენელი იაით (იაი ნესბეთ) და ამ შემთხვევაში ნიშნავს „სამოთხელს“. მაშასადამე, აქ „ი“ ძირეულია და გვიკვირს, რომ ილ. ბარამიძე არა სწორად ხმარობს პოეტის სახელის ფორმებს. წიგნში შეგვხვდება „ფირდოუსი“ (გვ. 21), „ფირდოუსმა“ (გვ. 22) და სხვ. უნდა იყოს „ფირდოუსის“, „ფირდოუსამ“ და სხვ.

აგრეთვე გაუმართლებელია ფორმა „ლაზნველი“ (გვ. 21). ამ შემთხვევაში იგი სპარსულ-ქართულია. სპარსულად იტყვიან: „ლაზნევი“, „დეპლევი“, „განჯევი“, მაგრამ ამის სხვადასხვა (თუ სპარსულ ფორმას არ დავიცავთ), ქართულში უნდა ეიხმაროთ, ლაზნელი ან ლაზნიველ, დეპლევი, განჯელი და არა ლაზნველი, დეპლეველი, განჯეველი და სხვ.

5. თეიმურაზ პირველის ქანრების მიმოხილვისას მკვლევარს ისეთი აზრი აქვს გამოთქმული: „თუმცა თეიმურაზი მაჯამას სპარსულ გვირად აცხადებს, მაგრამ არსებითად ეს მის მიერ შემოღებული ორიგინალური ენაა“ (გვ. 157).

სპარსული პოეტის მკვლევართათვის დიდიხანია ცნობილია, რომ სპარსულ პოეზიაში არსებობს სხვადასხვა სახის მაჯამა; ცნობები სპარსული მაჯამის ნაირსახეობათა შესახებ მოცემული აქვს ჯერ კიდევ რეშიდ ვატეატს (მე-12 საუკუნე) თავის უცვლად შრომაში სპარსული პოეტის შესახებ. ევროპელ მკვლევართა შორის სპარსული პოეტის გამოჩენილი მკვლევარ რუკერტი იძლევა სპარსული მაჯამის სხვადასხვა სახეთა მიმოხილვას. რა თქმა უნდა, როგორც ქართული, ისე სპარსული მწერლობის კლასიკური პერაოდის ლექსად დაწერილ ითქმის ყველა ძველში შეიძლება შეინიშნოს სარიტმო სიტყვებიდ ომონიმების გამოყენების ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ეს გარემოება (ცალკეული შემთხვევები ომონიმური რითმების გამოყენებისა), როგორც ამას მართებულად აღნიშნავს პროფ. ილ. ბარამიძე (გვ. 157) არ ჩაითვლება გარკვეულ „მაჯამურ“ პრინციპად არც სპარსული და არც ქართული პოეზიისათვის.

სპარსული მაჯამის შრავალსახეობათა შორის (მაჯამა, ულ სსანი, ი; მაჯამა, ულ ბარამინ; ჯამი, ულ შურუფი და სხვ.), ჩვენ გვხვდება მაჯამი სწორედ ისეთივე სახეც, როგორც თეიმურაზის მორთა გამოყენებულა.

სპარსულშია, იმ სახის მაჯამაში, რომელსაც თეიმურაზი მიმართავს, საქმე გვაქვს ღრმა განცდების, შინაგნული აზრებისა და პოეტური სურათების გამოხატვით ლექსების (ბეითების) შეყრა-გაერთიანებისთან, სადაც ომონიმები, როგორც სარიტმო ერთეულები, ყველა შემთხვევაში შეიძლება არ იქნეს გამოყენებული.

სპარსული მაჯამის ამ სახეს ეწოდება „ჯამი, ულ ქალამი“ ე. ი. შეყრილი სიტყვები, გაერთიანებული ლექსები, რომელშიდაც შეჯამებული სახით გამოხატულია პოეტის შეჯელობანი, მისი განცდანი.

თეიმურაზი საესებით მართებულად მაჯამას „სპარსულ გვირად“ აცხადებს და სწორადაც განმარტავს მას:

„სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“, შეყრილად ითარგმნება,

წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხმარება“-ო.

ისე რომ, თეიმურაზისეულ მაჯამას საფუძვლები სპარსულ პოეზიაში გაჩნდა და ამის გამო მას, ცხადია, თეიმურაზის მიერ შემოღებულ ორიგინალურ ენად ვერ მივიჩნევთ.

6. არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ შესახებ ილ. ბარამიძე წერს: „არჩილსეც შემოულია რაღაც „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რომელიც მართალი უნდა ითქვას, სრულ უკუპირებას წარმოადგენს“ (გვ. 220).

უკუპირების შესახებ რა მოგახსენოთ, ხოლო ქართულ პოეზიაში ჩარხებრ მბრუნავი ლექსი

¹ დოქ. შ. ზუბუამ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 5, გვ. 491 — 493) სპარსულიდან ზოგი მაჯალითი წარმოადგინა ამის ცხადსაყოფად.

სტების არსებობა საველისხმო მოვლენაა: იგი ერთი რეკლამაგანია სპარსულ-ქართულ და ფორმებისა და პოეტური ტერმინების ერთიერთობის იმ გრძელი გაკვირვებით, თავე ჩვენში საერო მწერლობის გაჩენის დღიდანვე შეინიშნება.

სპარსულ პოეზიაში კლასიკური პერიოდის მიწურულიდან შეინიშნება სხვადასხვა სახის ჩარხებზე მბრუნავი ლექსების არსებობა. არჩილის „ჩარხებზე მბრუნავი ლექსი“ ერთი სახეა ჩარხებზე მბრუნავი ლექსებისა. სახელდობრ, სიტყვები 'ისეა ჩარხში განლაგებული, რომ ერთიველი წაკითხვა (კითხვა უნდა დავიწყეთ) ჯერ ჩვეულებრივ პირველი სიტყვიდან, შემდეგ კი მეორედან და ა. შ.) ლექსის სხვადასხვა ზომის გვაძლევს. ამ მიზნისათვის არჩილს ასეთი სიტყვები შეურჩევია: „ამოებანა იგავით ასოთა შენობს მოესო“ (არჩილანი, ტ. I, გვ. 289-290). მეორე სტრიქონი იქნება „იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებანა“.

არჩილის „ჩარხი“ ორივე მხრივ ბრუნავს და ამის გამო მეორე სტრიქონად შეიძლება მივიღოთ: „მოესო ამოებანა იგავით ასოთა შენობს“.

სადიქტანბელია, რომ ჩვენში სპარსულის წაბადვით არჩილამდეც იქნებოდა სხვა სახის ჩარხისებური ლექსებიც გავრცელებული.

7. საიათნოვასადმი მიძღვნილ თავში ერთგან იკითხება:

„საიათნოვამ შექმნა საკეთარი ფიგურალობა, პოეტური სახეების/ მოელი სამყარო“ (გვ. 358).

ჭველი წერია: „მისი მხატვრული ხერხები ხშირად პრიმიტიულია, ანდა ორიგინალობას მოკლებულია, პოეტი ხშირად იმეორებს გაცევილ პეტაფორებს, ეპითეტებს, შედარებებს და ა. შ.“ (გვ. 364).

თუ ეს ასეა, მაშინ როგორ გამოდის საიათნოვა საკეთარი ფიგურალობისა და პოეტური სახეების მოელი სამყაროს შემქნელად?

ან ერთი დებულება უნდა დავიყოთ, ან მეორე.

მ. ავტორი ხშირად არა სწორად ხმარობს სიტყვას „მინიკდამინიკ“ მაგალითად:

„მინიკდამინიკ არაფერია, რომ ზაატის ეპიზოდებიდან მოყოლებული ბოლომდე ლენინგრადის ბელაწერი თავისებურ ერთეულს წარმოადგენს“ (გვ. 40).

„მინიკა და მინიკ საბოლოოდ ბაამანი დამარცხდა და გარდაიხვეწა“ (გვ. 85-87) და სხვა. არა აქვს აქ სიტყვას „მინიკდამინიკ“ ჩვენთვის გაუგებარია.

ჩვენი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ ლიტერატურულ პიროვნ. ალ. ბარამიძის შრომას, რომლის ძირითადი ნაწილი უდაოდ ნაყოფიერი შემოაბისა და სიღი მცენიერული მოტივების შედეგია. ბოლოსდაბოლოს, იგი ეკუთვნის ცნობილ მცენიერს. ქართული ლიტერატურის საერთაღებო მკვლევართაგანს და გასაკვირი არაა, რომ წიგნი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ სრულ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი ძველი მწერლობის, განსაკუთრებით მდიდარ და მრავალფეროვან ალრბინების ხანის ლიტერატურაზე და, მაშასადამე, ამ ეპოქის ლიტერატურის მცენიერულად შესწავლის საქმეში თვალისაინიო ნაბიჯს წარმოადგენს.

განსაკუთრებული სიყვარულია და მცენიერულ-ლიტერატურული კეთილსინდისიერებითაა დაწერილი თავები: „თეიმურაზ პირველი“, „არჩილის ცხოვრება და შემოქმედება“, „სტლხან-საბა ორბელიანი“, „დავით გურამიშვილი“, „ბესიკი“, — წიგნის ეს ცალკეული თავები პროფ. ალ. ბარამიძის ცოდნის უფრო მეტად გაღრმავებისა, მცენიერული დონის მაღლებებისა და მისი საერთო წინსვლის მაჩვენებელია.

ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო უმაღლესი სკოლის სტუდენტებს, არამედ ყველას, ვისაც კი ქართული ლიტერატურის შესწავლა აინტერესებს.

დავ. კოსიძე.

შინაარსი



ქართული მწერლობა

აღ. აბაშელი — სიმღერა ბერიიზე (ლექსი)	3
„ „ — თბილისი ღამით (ლექსი)	4
ხიმონ ჩიქოვანი — არმაზის აზრდილები (ლექსები)	5
არ. ჩაჩიბაია — ჰაშიმბაის სიმღერა (მოთხრობა)	9
აკ. ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა (რომანი)	32
გ. კაჭხიძე — შიშველი მიწა (ლექსი)	80
ს. თავაძე — კავკასიონის კარბთან (რომანი)	81
აღ. შენგელია — ორდენოსან მფრინავს ნ. შენგელიას (ლექსი)	97
ბ. ჩხეიძე — ლახვის პირას (მოთხრობა)	99

სამაგზაო ომის გმირები

პ. პავლენკო — შალვა დავითულიანი (ნარკვევი)	121
--	-----

გოგამ ხალხთა მწერლობა

რუსი პოეტები:

ნ. ტიხონოვი — სამი სადღეგრძელო (ლექსი, თარგ. აღ. მაშაშვილისა)	125
პ. ანტოკოლსკი — მოსკოვის ღამე (ლექსი, თარგ. შ. აფხაიძისა)	127
სტ. შჩიპაჩოვი — მოლის ზამთარი. ბრძოლის ველი (ლექსები, თარგ. ბ. ვარდოშვილისა)	128—129
ი. უტიჩინი — ჩემო ძვირფალო, თუ ველარ ვნახე. (ლექსი, თარგ. მ. პა-ტარიძისა)	130

უცხოეთის ლიტერატურიდან

ფემს ფოისი — ღრუბლის ქულა (მოთხრობა, თარგ. აკ. გაწერელაისი)	131
მანს გაზე — ათასნი დაეცემიან (თარგ. ი. ავლაძისა)	142

კ რ ი ტ ი კ ა

ბესარიონ ფლენტი — გალაქტიონ ტაბიძე	161
------------------------------------	-----

მეცნიერება

პროფ. პ. გუგუშვილი — კ. მარქსა ქართულ საზოგადოებრივობასა და პუბლიცისტიკაში (1871—1898 წ.წ.)	181
პროფ. შ. ნუცუბიძე — განათლება და საგანმანათლებლო იდეები ქართულ რენესანსში	205

ამბულაური საკითხები

ი. ტალახაძე — სამამულო ომი და ეროვნული საკითხი	222
--	-----

ბიბლიოგრაფია

დ. შამათავა — რომანი აბლო წარსულიდან (ა. ქუთათელის „პირის-პირ“, წიგნი მესამე)	242
მ. ახტავატუროვი — ალექსანდრე აბაშელი — „სამშობლოსადმი“. ლექსები	246
დავ. კობიძე — საყურადღებო წიგნი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (აღ. ბარამიძის „ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტ.“, ტ. II)	248



საქართველოს
ლიბრერიის
სამსახური

ფანის 8 826

რე. ბერი



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ